

780/3

3

2000



# საქართველო



2

---

2000

# საშუენქვე

2000/2

მარტი  
აპრილი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



## შინაარსი

### პროზა და პოეზია

ადუნადროს ბარიალ. აბრეშუმის, მოთხრობა, თარგმნა დადი იაშვილმა	3
ფრანსუა რაბლე. ბარბანტუსა და პანტაბრუსენი. რომანი, დასასრული, თარგმნა გურამ გოგიაშვილმა	39
სპარსული ღირიკოსები. პოეზია. სპარსულიდან თარგმნა ნოზაღი ბართაიამ	166
შიღიათ ფოლკენი. გამტაცებენი. რომანი. გაგრძელება, თარგმნა ზაურ კილაძემ	182
ფედერიკო გარსია ლორკა. დეძემბი. ესპანურიდან თარგმნა კამილა კორინთელმა	229
ინგლისური ბაღაღები. ინგლისურიდან თარგმნა თამაზ ფილოლიამ	232

### წერილები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე. ჩემი ცხოვრება, პოეზია და სინამდვილე დასაწყისი, გერმანულიდან თარგმნა დადი ფანჯიკიძემ	234
სვამი ვიჟეკანანდა. ოთხი იოგა, თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	290

### იუმორი

ოსტაპ ვიშნია. იუმორი. უკრაინულიდან თარგმნა გრიგოლ სიხარულიძემ	312
---	-----



**საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი**

2000, № 2

თბილისი  
შინაგაზაფხული

**მთავარი რედაქტორი  
ნანა დარჩია-ბოლქვაძე**

**სარედაქციო საბჭო:**

**ელზა ახვლედიანი**

**ნანა ასობაძე**

**მანანა ამისულაშვილი**

**ჯემალ აჯიაშვილი**

**ნანა ბართაია (პ/მგ მდივანი)**

**გურამ გოგიაშვილი**

**ნანა გოგოლაშვილი**

**თამარ ერისთავი**

**რუსუდან ქეზულაძე**

**დალი ფანჯიკიძე**

**გივი შანაზარი**

**გივი ძეგლაძე**

---

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41.

---

გად. წარმ. 2. 02. 2000 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 04. 2000 წ., ქალაქის  
ზომა 70X108<sup>1/16</sup>, სააღრ. თ. 20. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. ტირ 300.  
შეკ. 107.

---

**ფასი 3 ლარი**

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.  
თბილისი, მ. კოსტაეას 14.



აბრეშუმი

თარგმანი დანი იაშვილიძე



ალექსანდრო ბარიკო დაიბადა 1958 წ. ტურინში. მისმა პირველმა რომანმა — „სიბრაზის ციხე-სიმაგრეები“ — იტალიაში ყველაზე პრესტიჟული პრემიები და საფრანგეთში უცხოელთათვის დაწესებული მედიჩის პრემია მიიღო.

რომანმა „აბრეშუმი“ კი, რომლის პუბლიკაციასაც საფრანგეთში დიდი წარმატება მოჰყვა, მას ახალი თაობის მწერალთა შორის დიდი მწერლის სახელი დაუმკვიდრა.

ეს არც რომანია და არც მოთხრობა. ეს ამბავი ერთ კაცთან ერთად იწყება, ვინც მსოფლიოს შემოივლის, და ტბასთან მთავრდება ერთ ქარიან დღეს, იმ ტბასთან, იქ რომ არის თავისთვის. კაცს ერვე ჟონკური ჰქვია. ტბის სახელი არ ვიცით. შეიძლება გვეთქვას, რომ ეს სიყვარულის ამბავია, მაგრამ მარტო ეს რომ ყოფილიყო, მაშინ არც ეღირებოდა მისი მოყოლა. ამ ამბავში ჩვენთვისაც კარგად ცნობილი სურვილი და ტკივილია, რომელთა გამოსათქმელადაც სიტყვები არ გვყოფნის. ასეა თუ ისე, ეს არაა სიყვარული. (ეს ძალიან ძველი რამაა, როცა ვერ პოულობ სიტყვას საგანთა სახელდებისთვის და ხმარობ ამბავს. ასე ხდება საუკუნეთა მანძილზე).

ყველა ამბავს თავისი მუსიკა აქვს. ამისი თეთრი მუსიკა გახლავთ, ეს უთუოდ უნდა ითქვას, რადგან თეთრი მუსიკა უცნაური მუსიკაა, ხანდახან საგონებელში ჩამგდებიც: იგი მშვიდად უნდა დაუკრას და ნელა იცეკვოს. თუ კარგადაა შესრულებული, ასე გგონია, სიჩუმეს ვუსმენო; ამ მუსიკაზე მოცეკვავენი ღმერთებს ჰგვანან: შეჰყურებ და გგონია, რომ არც კი იძვრიან. საოცრად ძნელია თეთრი მუსიკა.

ბევრი აღარაფერი მაქვს დასამატებელი. ალბათ უნდა დავაზუსტო, რომ ეს ამბავი XIX საუკუნეში ხდება, რათა არავის ეგონოს აქ სარეცხ მანქანებს, თვითმფრინავებსა და ფსიქოანალიტიკოსებს შევხვდებიო. ისინი აქ არ არიან.

სხვა დროისთვის შეიძლება იყვნენ.

ალექსანდრო ბარიკო

მამამისს მისთვის ბრწყინვალე სამხედრო მომავალი სურდა, მაგრამ ერვე ჟონკურმა თავის გატანა უჩვეულო პროფესიით შესძლო, ხალხი რომ ცოტა არ იყოს ირონიით უყურებდა იმ მსგავსების გამო, რითაც იგი ქალების ძველთაძველ პროფესიას წააგავდა.

ერვე ჟონკური ყიდულობდა და ჰყიდდა აბრეშუმის ქიას.

1861 წელი იდგა. ფლობერი „სალამბოს“ წერდა, ელექტროგანათება

25373





ჯერ მხოლოდ ჰიპოთეზა იყო, ოკეანის გადაღმა კი აბრაამ ლინკოლნმა ომი წამოიწყო, რომლის დამთავრებასაც ვერ მოესწრო.

ერვე ჟონკური ოცდათორმეტი წლისა იყო. იგი ყიდულობდა და ჰყიდდა აბრეშუმის ქიას.



2

სინამდვილეში იგი ყიდულობდა და ჰყიდდა აბრეშუმის ქიას მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ ერთ ციდა მოყვითალო-მონაცრისფრო, გარეგნულად მკვდარ კვერცხს წარმოადგენდა, ხელისგულზე რომ შეგეძლო ათასობით დაგეტია.

ამას ჰქვია ბედის ხელში დაჭერა.

მაისის პირველ დღეებში კვერცხები იჩეკებოდნენ. განთავისუფლებული ქიები ოცდაათი დღე თუთის ფოთლებს გაცხარებით ნთქავდნენ და პარკში ჩასაკეტად იღვწოდნენ, რომ ორი კვირის შემდეგ იქიდან საბოლოოდ დაეღწიათ თავი და თან ათასმეტრიანი აბრეშუმის ყაჭი გამოეყოლებინათ, ფრანგული ფრანკის მნიშვნელოვან რაოდენობას რომ შეესაბამებოდა, თუ ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით ნავიდოდა და თუ ერვე ჟონკურს საფრანგეთის სამხრეთ რეგიონებში ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა.

ლავილდიე იყო იმ პატარა დაბის სახელი, სადაც ერვე ჟონკური ცხოვრობდა.

მის მეუღლეს ელენი ერქვა.

შვილი არ ჰყავდათ.

3

გამანადგურებელი 'ეპიდემიის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, სულ უფრო და უფრო რომ ედებოდა ევროპულ აბრეშუმის ქიას, ერვე ჟონკური ხმელთაშუა ზღვის მეორე ნაპირზე, სირიასა და ეგვიპტეში მიემგზავრებოდა აბრეშუმის ქიის კვერცხების საყიდლად. ეს ფრიად ავანტურული ხასიათის სამუშაო იყო. ყოველ წელს, იანვრის პირველ დღეებში გაუდგებოდა ხოლმე გზას, გადაივლიდა ათას ექვსას მილ ზღვას და რვაას კილომეტრ ხმელეთს, ამოარჩევდა კვერცხებს, ივაჭრებდა და იყიდდა. შემდეგ მობრუნდებოდა, გადმოივლიდა რვაას კილომეტრ ხმელეთსა და ათასექვსას მილ ზღვას და, როგორც წესი, აპრილის პირველ კვირა დღეს, დიდი მესის ყამს ლავილდიეში ბრუნდებოდა.

მერე ორ კვირას წაიმუშავებდა, კვერცხებს ყუთებში ჩააწყობდა და გაყიდდა. წელიწადის დანარჩენ დროს კი ისვენებდა.

4

— როგორია აფრიკა? — ეკითხებოდა ხალხი.

— დაღლილი.

მას დაბის შესასვლელთან დიდი სახლი ჰქონდა და პატარა სახელოსნო ცენტრში, ზუსტად ჟან ბერბეკის მიტოვებული სახლის პირდაპირ.

ჟან ბერბეკმა ერთ დღეს გადაწყვიტა აღარ ელაპარაკა და ნათქვამი კიდევც აასრულა. ცოლმა და ორმა ქალიშვილმა მიატოვეს, ხოლო როცა გარდაიცვალა, მისი სახლი არავის მოუნდა და ახლა მიტოვებული იყო:



აბრეშუმის ქრისტიანული ყიდვა-გაყიდვით ერვე ჟონკური ყოველწლიურად იმდენს იგებდა, რამდენიც საკმარისი იყო მისი და მისი მეუღლის კომფორტის უზრუნველსაყოფად, იმ კომფორტისა, პროვინციაში ფუფუნებას რომ ეძახიან. ის იდუმალ ხარობდა თავისი ქონებით და სულაც არ აღელვებდა შესაძლებელი პერსპექტივა — ნამდვილად მდიდარი გამხდარიყო. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ამბიციებისაგან თავი შორს უჭირავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ადამიანები თავიანთი ბედის ცქერით ისე ტკბებიან, როგორც ზოგიერთები წვიმიანი დღით.

5

ერვე ჟონკურისთვის რომ გეკითხათ, იგი მუდამაც ასე იცხოვრებდა. სამოციანი წლების დასაწყისში პებრინის ეპიდემიამ უვარგისი გახადა მთელ ევროპაში აბრეშუმის კვერცხი და ზღვებს იქითაც გადაინაცვლა, აფრიკასა და, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ინდოეთშიაც. 1861 წელს ერვე ჟონკური თავისი ჩვეულებრივი მოგზაურობიდან კვერცხებით დატვირთული დაბრუნდა და მხოლოდ ორი თვის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ისინი თითქმის მთლიანად გაფუჭებული იყო. ლავილდიესათვის, ისევე როგორც ბევრი სხვა ქალაქისთვის, თავის სიმდიდრეს აბრეშუმის წარმოებაზე რომ ამყარებდა, ეს წელი აღსასრულის დასაწყისი გამოდგა. მეცნიერება უძღური აღმოჩნდა ეპიდემიის მიზეზთა გარკვევაში და მთელი დედამიწა, ყველაზე მივარდნილი რეგიონებიც კი ამ აუხსნელი ჯადოს ტყვეობაში აღმოჩნდა.

— მთელი დედამიწა არა, — წყნარად თქვა ბალდაბიუმ, — მთელი არა — და ანისულიან ქიქაში ორი თითის დადება წყალი ჩაამატა.

6

ბალდაბიუ იყო კაცი, ვინც დაბაში ამ ოცი წლის წინ ჩამოვიდა, პირდაპირ მერის კაბინეტისაკენ გაემართა, გაუფრთხილებლად შევიდა, მაგიდაზე ბინდისფერი თავსაფარი დაუდო და ჰკითხა:

- იცით, ეს რა არის?
- ქალების საქმეა.
- ცდებით. ეს კაცების საქმე — ფულია.

მერმა ის გარეთ გამოაგდებინა. მან კი ქვემოთ, მდინარის პირას, ტყესთან ახლოს ძაფსართავი ფაბრიკა და ვივიერის გზაჯვარედინზე წმინდა აგნესის ეკლესია ააშენა. ამ საქმეში ათიოდე მუშა ჩართო. იტალიიდან ხის უცნაური კბილანათვლებიანი მანქანა ჩამოიტანა. შვიდი თვის განმავლობაში აღარაფერი უთქვამს. შემდეგ ისევ მივიდა მერთან და სანერ მაგიდაზე გულდაგულ დაწყობილი ოცდაათი ათასი ფრანკი დაუდო დიდი კუპურებით.

- იცით, ეს რა არის?
- ფული.
- ცდებით. ეს იმის დასტურია, რომ თქვენ ერთი ყეყეჩი ვინმე ბრძანდებით.

შემდეგ, თითქოს წასვლას აპირებდნენ, ფული ისევ პორტფელში ჩადო. მერმა შეაჩერა:

- რა ჯანდაბა ვქნა?



— არაფერი, და თქვენ პატარა, მდიდარი ქალაქის მერი იქნებით.

ხუთი წლის შემდეგ ლავილდიეში შვიდი ძაფსართავი ფაბრიკა იდგა. და იგი ევროპული აბრეშუმის წარმოებისა და დართვის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი შეიქნა. ყველაფერი ბალდაბიუს არ ეკუთვნოდა, სხვა საპატიო მოქალაქეებმა და ადგილობრივმა მინათმფლობელებმა მიზამეს მას და ხელი მიჰყვეს ამ უცნაურ ინდუსტრიულ ავანტიურას. უოველ მათგანს ბალდაბიუ დაუზარებლად უხსნიდა ხელობის საიდუმლოებას. სწავლება და საიდუმლოებების გაზიარება მისთვის უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე უამრავი ფულის მოხვეჭა. ასეთი იყო ეს კაცი.

7

ბალდაბიუ ის ცაციც იყო, ვინც ამ რვა წლის წინ ერვე ჟონკურის ცხოვრება შეცვალა. ეს იმ დროს მოხდა, როცა ეპიდემიის პირველმა ტალღამ ევროპულ აბრეშუმს შეუტია. ბალდაბიუმ დინჯად შეისწავლა ვითარება და დაასკვნა, რომ პრობლემა ადვილად არ გადაწყდებოდა, თუ მას სხვაგვარად არ შემოუვლიდნენ. ჩანაფიქრის განსახორციელებლად კაცი სჭირდებოდა. იმწამსვე მიხვდა, საჭირო კაცი რომ იპოვა, როცა ვერდენის კაფეს წინ ინფანტერიის უმცროსი ლეიტენანტის ფორმაში ელეგანტურად გამოწყობილი, შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის ამაყი იერიით მიმავალი ერვე ჟონკური დაინახა. ერვე ჟონკური ოცდაოთხი წლის იყო. ბალდაბიუმ იგი თავისთან მიიწვია, წინ ეგზოტიკური სახელებით აჭრელბული ატლასი გადაუშალა და უთხრა:

— გილოცავ. ბოლოს და ბოლოს შენ იპოვე სერიოზული საქმე, ჩემო ბიჭუნა!

ერვე ჟონკურმა მოისმინა ყველაფერი, რასაც აბრეშუმის ჭიაზე, კვერცხებზე, პირამიდებსა და გემით მოგზაურობაზე მოუყვა ეს კაცი, და შემდეგ უთხრა:

- არ შემიძლია.
- რატომ?
- ორ დღეში შვებულება მიმთავრდება, პარიზს უნდა დავბრუნდე.
- სამხედრო კარიერა?
- დიახ, ეს მამაჩემის გადაწყვეტილებაა.
- ეს პრობლემა არაა.

მოკიდა ერვე ჟონკურს ხელი და მამამისთან წაიყვანა.

— იცით, ვინ არის ეს?

— ჩემი ვაჟი.

— უკეთ დააკვირდით.

მერი ტყავის სავარძლის საზურგეზე გადაწვა და ოხვრით თქვა:

— ჩემი ვაჟი ერვე, რომელიც ორ დღეში პარიზს დაბრუნდება, სადაც ჩვენს არმიაში ბრწყინვალე კარიერა ელოდება, თუ ღმერთმა და წმინდა აგნესმა ინებეს.

— ყველაფერი სწორია, იმის გარდა, რომ ღმერთი სხვა საქმეებითაა დაკავებული, ხოლო წმინდა აგნესს სძულს სამხედროები.

ერთი თვის შემდეგ ერვე ჟონკური ეგვიპტეში გაემგზავრა გემით, რომელსაც „ადელი“ ერქვა. კაიუტაში სამზარეულოს სუნი შემოდიოდა. მასთან ერთად ერთი ინგლისელიც მგზავრობდა, რომელიც ამბობდა, ვატერლოოზე დავიჭერიო. მესამე დღის საღამოს ჰორიზონტზე დელფინები



გამოჩნდნენ, მთვრალი ტალღებივით მოდიოდნენ და მოდიოდნენ. იგი ორი თვის შემდეგ დაბრუნდა — აპრილის პირველ კვირას, დიდი მესის ჟამს — ხის დიდ ყუთებში ბამბაში სათუთად გახვეული ათასობით კვერცხით. უამრავი რამ ჰქონდა მოსაყოლი, მაგრამ ბალდაბიუმ შეხვედრისას მხოლოდ ეს უთხრა:

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— დელფინებზე მელაპარაკე!

— დელფინებზე?

— ჰო, იმ წუთზე, როცა ისინი პირველად დაინახე.

ასეთი იყო ბალდაბიუ.

კაციშვილმა არ იცოდა, რამდენი წლის შეიძლებოდა ყოფილიყო.

8

— მთელი დედამიწა არა, — წყნარად თქვა ბალდაბიუმ, — მთელი არა — და ორი თითის დადება წყალი ჩაიმატა ანისულიან ჭიქაში.

აგვისტოს ღამე იდგა, შუალამე გადასული იყო. სწორედ ამ დროს კეტავდა ხოლმე ვერდენი კაფეს. გადატრიალებული სკამები მაგიდებზე იყო ჩამწკრივებული, დახლი და სხვა დანარჩენიც განმენდილი. სინათლის ჩაქრობა და ჩაკეტვა აკლდა. მაგრამ ბალდაბიუ შუა ღამეში იყო და ვერდენიც უცდიდა.

მის წინ მჯდარი, ტუჩზე სიგარეტჩამოკიდებული ერვე ჟონკური უძრავად უსმენდა. როგორც რვა წლის წინათ, ახლაც ნებას აძლევდა ამ კაცს კიდევ ერთხელ შეეცვალა მისი ბედი. ბალდაბიუს სუსტი და მკაფიო ხმა, რიტმულად შეწყვეტილი ანისულის ყლუპებით, სწვდებოდა მის სმენას. კარგა ხანს შეუწყვეტლად ღამეში უძებოდა, ბოლოს კი დააყოლა:

— არჩევანი არაა, გადარჩენა თუ გვინდა, იქ უნდა წავიდეთ.

დუმილი.

დახლზე დაყრდნობილმა ვერდენმა თვალი მოსაუბრეებს მიანათა.

ბალდაბიუმ კიდევ ერთი ყლუპი ანისული ამოწრუპა თავისი ჭიქის ძირიდან.

ერვე ჟონკურმა, სანამ რამეს იტყოდა, სიგარეტი მაგიდის კიდეზე ჩამოდო.

— და მაინც ზუსტად სადაა ეგ იაპონია?

ბალდაბიუმ თავისი ლერწმის ჯოხი ჰაერში ასწია და წმინდა ოგუსტის სახურავს გადალმა მიუთითა:

— იქ, სულ პირდაპირ, ქვეყნიერების დასასრულს.

9

ამ დროს იაპონია მართლაც ქვეყნიერების დასასრულად ითვლებოდა. ეს იყო კუნძულებისგან შემდგარი კუნძული, რომელიც ორასი წლის განმავლობაში დანარჩენი კაცობრიობისაგან სრულიად მოწყვეტილი ცხოვრობდა, უარს აცხადებდა კონტინენტთან ყოველგვარ ურთიერთობაზე და ყველა უცხოელს თავის ტერიტორიაზე შესვლას უკრძალავდა. ჩინეთის სანაპირო ორას მილზე იყო, მაგრამ იგი იმპერატორის დეკრეტმა უფრო შორი გახდა — მთელ კუნძულზე აიკრძალა ერთიანულად მეტი გამების მშენებლობა. თუმცა კანონი არ კრძალავდა სამშობლოს დატოვებას, მაგრამ იგი სიკვდილით სჯიდა მათ, ვინც უკან დაბრუნებას შეეცდებოდა. ჩინელი, პოლანდიელი თუ ინგლისელი ვაჭრები ბევრჯერ შეეცა-



დნენ ამ უაზრო კარჩაკეტილობის დარღვევას, მაგრამ მხოლოდ სახიფათო და ნამსხვრევებად ქცეული კონტრაბანდის გროვებით, ცოტა ფულით, ბევრი უსიამოვნებებითა და იმ ზღაპრული თავგადასავლებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, საღამოობით ნავსადგურების სასადილოებში გასასაღებლად რომ ვარგოდა. იქ, სადაც ვაჭრები ჩაფლავდნენ, ზარმატებას სამხედრო ძალის გამოყენებით ამერიკელებმა მიაღწიეს. — 1955 წელს კომანდორი მეთიუ კ. პერი იოკომასთან თანამედროვე ორთქლის გემების ფლოტით რეიდზე დადგა და იაპონელებს ულტიმატუმი წაუყენა, რათა კუნძული უცხოელთათვის გაეხსნათ.

იაპონელებს აქამდე თვალით არ ენახათ პირქარში ზღვის გადამლახავი გემი.

როცა შვიდი თვის შემდეგ პერი მობრუნდა ულტიმატუმზე პასუხის მისაღებად, კუნძულის სამხედრო მთავრობა უცხოელთათვის ქვეყნის ორი ჩრდილო ნავსადგურის გახსნასა და პირველი ფრთხილი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაზე დათანხმდა. ამიერიდან ამ კუნძულის გარშემო ზღვა ნაკლებად ღრმააო, საზეიმოდ განაცხადა კომანდორმა.

ბალდაბიუმ ეს ყველაფერი იცოდა. იცოდა ის ზღაპრული თქმულებები, იქიდან დაბრუნებულები რომ ჰყვებოდნენ. თურმე ამ კუნძულზე უკვე ათასი წელია თავიანთი საიდუმლო წესებით ამქვეყნად ყველაზე მშვენიერ აბრეშუმს აწარმოებდნენ და არნახულ შედეგსაც აღწევდნენ. ბალდაბიუ ფიქრობდა, რომ ეს მოგონილი ამბავი კი არა, წმინდა წყლის ჭეშმარიტება იყო. ერთ დღეს მან ხელში იაპონური აბრეშუმისგან ნაქსოვი თავსაფარი დაიჭირა. და როცა ყველაფერი დალუპული ჩანდა პებრინის ამბისა და დაავადებული კვერცხების გამო, გაიფიქრა:

— ეს კუნძული აბრეშუმის კვერცხებითაა სავსე. კუნძული, სადაც ორასი წლის განმავლობაში არც ერთ ჩინელ ვაჭარსა და არც ერთ ინგლისელ სადაზღვევო აგენტს არ გაუჭაჭანებია, ეს ის კუნძულია, სადაც ვერანაირი დაავადება ვერასოდეს შეაღწევს.

იგი მარტო ფიქრს არ დასჯერდა: ლავილდიეს ყველა მებაბრეშუმე ვერდენის კაფეში მოიწვია და ეს აზრი გაუზიარა. არც ერთ მათგანს მანამდე გაგონილიც კი არ ჰქონდა იაპონიის სახელი.

— მაშასადამე, ასეთი ნარჩევი კვერცხების შესაძენად მთელი ქვეყნიერება უნდა გადავიაროთ და ისეთ ადგილას ჩავიდეთ, სადაც უცხოელს დანახვისთანავე ახრჩობენ?

— ახრჩობდნენ, — დააზუსტა ბალდაბიუმ.

იქ მყოფთ აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ. ზოგი შეეპასუხა კიდევ:

— საფუძვლიანი მიზეზი არსებობს ალბათ, რაკი ამ ქვეყანაზე კაცი-შვილს თავში აზრად არ მოსდის იქ კვერცხების საყიდლად ჩასვლა.

ბალდაბიუს შეეძლო მათთვის თვალში ნაცარი შეეყარა და ეთქვა, ამქვეყნად არც სხვა ბალდაბიუ არსებობსო, მაგრამ სიმართლის თქმა არჩია:

— იაპონელები თავისი აბრეშუმის გაყიდვაზე დათანხმდნენ და არა კვერცხებისაზე. მათ თავისთვის ინახავენ, ხოლო ვინც კვერცხის კუნძულიდან გამოტანას ცდილობს, დამნაშავედ აცხადებენ.

ლავილდიეს მებაბრეშუმეები მეტწილად ჯენლტმენები იყვნენ. ისინი



ფიქრადაც არ გაივლებდნენ კანონის გვერდით ავლას საკუთარ ქვეყანაში, ქვეყნიერების მეორე კიდეში კი ამის ჩადენა სავსებით გონივრულად მი-  
აჩნდათ.



1861 წელი იდგა. ფლობერმა „სალამბო“ დაასრულა. ულექსიკოგანა-  
თება ჯერ მხოლოდ ჰიპოთეზა იყო, ოკეანის გადაღმა აბრაამ ლინკოლნმა  
ომი წამოიწყო, რომლის დამთავრებასაც ვერ მოესწრო. ლავილდიეს მე-  
აბრეშუმეებმა კი საზოგადოება დააარსეს და ექსპედიციისათვის საჭირო  
დიდძალი თანხა შეაგროვეს. ყველანაირი ლოგიკით ეს საქმე ერვე ჟონ-  
კურისათვის უნდა მიენდოთ. როცა ბალდაბიუმ ჰკითხა, თანახმა იყო თუ  
არა, მან კითხვითვე უპასუხა:

- კი მაგრამ, ზუსტად სადაა ეს იაპონია?
- იქ, სულ პირდაპირ, ქვეყნიერების დასასრულს.
- იგი ნ ოქტომბერს გაემგზავრა. მარტო.

ლავილდიეს კარიბჭესთან გულში ჩაიკრა თავისი მეუღლე — ელენი-  
ნიდა და უბრალოდ უთხრა:

- შენ არაფრის არ უნდა გეშინოდეს.

ელენი ტანად მაღალი, მშვიდი ქალი იყო. ჰქონდა შესანიშნავი ხმა  
და გრძელი თმა, რომელსაც არასდროს იხვევდა კეფაზე.

ერვე ჟონკური ოცდაოთხი ათასი ფრანკითა და ბალდაბიუს მიერ  
დასახელებული რამდენიმე ადამიანის — ერთი ჩინელის, ერთი პოლანდი-  
ელისა და ერთი იაპონელის — იმედით გაემგზავრა. საზღვარი მეცთან  
გადაკვეთა, გადაჭრა ვურტამბერგი და ბავარია, შევიდა ავსტრიაში, მა-  
ტარებლით მიაღწია ვენას, შემდეგ ბუდაპეშტს და კიევამდე ჩავიდა. ცხე-  
ნით გადაიჭენა რუსული ტრამალების ორი ათასი კილომეტრი, გადაიარა  
ურალის მთები, ჩავიდა ციმბირში, ორმოცი დღე იმგზავრა, სანამ ბაიკა-  
ლის ტბას მიაღწევდა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ზღვას“  
ეძახდა. დაუყვა ამურის დინებას, გაჰყვა ჩინეთის საზღვარს ოკეანემდე  
და, როცა ოკეანეს მიაღწია, თერთმეტი დღე საბირკის ნავსადგურში იჯ-  
და, პოლანდიელი კონტრაბანდისტების გემს ელოდა, კაპო ტერაიაში —  
იაპონიის დასავლეთ სანაპიროზე რომ ჩაიყვანდა. იქ ბილიკებით სიარული  
ამჯობინა და ფეხით გადაკვეთა ისიკავას, ტოიამასა და ნიიგატას პროვი-  
ნციები, შევიდა ფუკუსიმას პროვინციაში და ქალაქ სირაკავას მიაღწია,  
საიდანაც აღმოსავლეთისკენ აიღო გეზი; შემდეგ ორი დღე შავით მოსილ  
კაცს ელოდა, რომელმაც თვალები აუხვია და მთის სოფელში წაიყვანა,  
სადაც ღამე გაათია. მეორე დღეს ევაჭრა კვერცხებს კაცს, რომელიც არ  
დალაპარაკებია და რომელსაც სახე შავი აბრეშუმის პირბადით ჰქონდა  
დაბურული. მზის ჩასვლისას მან კვერცხები თავის ბარგში ჩამალა, ზურ-  
გი აქცია იაპონიას და მზად იყო შინისაკენ გასდგომოდა გზას.

ის-ის იყო სოფლის ბოლო სახლები უკან მოიტოვა, რომ ერთი კაცი  
სირბილით წამოეწია და შეაჩერა. რაღაც უთხრა აღელვებულმა მტკიცე  
კილოთი და თავაზიანად მოაბრუნა უკან.

ერვე ჟონკური იაპონურად არც ლაპარაკობდა და არც ესმოდა, მაგ-  
რამ მიხვდა, რომ ჰარა კეის სურდა მისი ნახვა.



ბრინჯის ქალაქის კედელი გადაინია და ერვე ჟონკური ოთახში შევიდა. ჰარა კეი ოთახის შორეულ კუთხეში იატაკზე ფეხმორთმული იჯდა. თალხი ტუნიკა ეცვა და არავითარი სამკაული არ ეკეთა. მისი ქალაუფლების ერთადერთი დამადასტურებელი მის ფერხთიფი გაწიფილი, მის მუხლებზე თავდადებული, თვალდახუჭული ქალი იყო. ხელები ძალზე განიერ წითელ სამოსში ჰქონდა შემალული, რომელიც მის გარშემო გაშლილიყო და ნაცრისფერ ჭილოფზე ცეცხლის ალივით მოჩანდა. ჰარა კეი თმაზე ნელა უსვამდა ხელს, თითქოს ძვირფასბუნვიან, ჩაძინებულ ცხოველს ეფერებო.

ერვე ჟონკურმა ოთახი გაიარა, მასპინძლის ნიშანს დაელოდა და მის წინ დაჯდა. უხმოდ ისხდნენ და ერთმანეთს თვალეში შეჰყურებდნენ.

უეცრად, შეუმჩნევლად მსახური შემოვიდა, ორი ფინჯანი ჩაი დადო და გაუჩინარდა. ჰარა კეი მონოტონური, უსიამოვნო, ხელოვნური ფალცეტით თავის მშობლიურ ენაზე ალაპარაკდა. ერვე ჟონკური უსმენდა. თვალს არ აშორებდა ჰარა კეის, ეს კია, მისდა უნებურად ერთი წამით ქალის სახეს შეხედა.

პატარა გოგოს სახე იყო.  
თვალი მყის მოაშორა.

ჰარა კეი გაჩუმდა, აიღო ერთ-ერთი ფინჯანი, ტუჩებთან მიიტანა, რამდენიმე წამს გააჩერა და თქვა:

— შეეცადეთ თქვენზე მომიყვეთ, ვინ ხართ თქვენ?

მან ეს ფრანგულად თქვა, ხრინწიანი ბუნებრივი ხმით, ხმოვნებს ოდნავ განელილად გამოთქვამდა.

ერვე ჟონკური შეეცადა მოეთხრო იაპონიის ყველაზე შეუვალი კაცი-სთვის, თუ ვინ იყო იგი, ყოველივე იმის პატრონისთვის, რის გატანასაც ამ კუნძულიდან ახერხებდნენ. იგი მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, ოდნავ ნელა და დარწმუნებული არ იყო, ესმოდა თუ არა ჰარა კეის რამე. ქვეშეცნეულად უკუაგდო ყოველგვარი სიფრთხილე და უბრალოდ დამატებებისა და გამონაგონის გარეშე ჰყვებოდა სიმართლეს. იგი ჰყვებოდა საკვანძო მოვლენების წვრილმანებს თითქმის დახვეწილი ფესტებით, მშვიდი ხმით ისე, როგორც ნახანძრალ ნივთებზე მოჰყვებოდა კაცი. ჰარა კეი უსმენდა, ნაკვთი არ შეტოკებია სახეზე. მისი თვალეში ისე მიჯაჭვოდნენ ერვე ჟონკურის ტუჩებს, თითქოს გამოსამშვიდობებელი ბარათის ბოლო პნკარი ყოფილიყო. ოთახში ისეთი სიჩუმე იდგა, ისეთი გარინდება რომ ის, რაც უეცრად მოხდა, დიდ მოვლენას წარმოადგენდა, და მაინც დიდი არაფერი მომხდარა.

უეცრად,  
ისე, რომ არც განძრეულა,  
ახალგაზრდა ქალმა  
თვალი გაახილა.

ერვე ჟონკურს ლაპარაკი არ შეუწყვეტია, მაგრამ მისდა უნებურად თვალი ქალისკენ გააპარა და დაინახა, რომ მის თვალეში არ ჰქონდათ აღმოსავლური ჭრილი და ისინი სულისშემძვრელი დაყინებით მიშტერე-



ბოდნენ თითქოსდა ქუთუთოების ქვემოდან, ერვე ჟონკურმა მზერა მოაცილა, თავს ძალა დაატანა ბუნებრივობა შეენარჩუნებინა და მის ხმაში უჩვეულო არაფერი გამჟღავნებულყო. არც ლაპარაკი შეუწყვეტია, სანამ მის წინ, იატაკზე დადგმულ ჩაის ფინჯანს არ გადააწყდა მისი მზერა. აილო ფინჯანი, ტუჩებთან მიიტანა და ნელა მოსვა. შემდეგ ხელახლა დაინყო ლაპარაკი და ფინჯანი წინ დაიდო.

საფრანგეთი, ზღვებზე მოგზაურობა, ლავილდიეს თუთის ხეების სურნელი, ორთქლმავლები, ელენის ხმა — ერვე ჟონკური თავისი ცხოვრების ამბავს ჰყვებოდა და ჰყვებოდა ისე, როგორც არასოდეს მოუყოლია. ახალგაზრდა ქალი ისეთი დაჟინებით მიჩერებოდა, თითქოს მის ყოველ სიტყვას იტაცებდა და გულში ინახავდა.

ოთახი მარადიულ უძრაობაში ჩაყვინთული ჩანდა, როცა უეცრად, სრულიად მშვიდად ქალმა ხელი გამოაცურა ტანსაცმლიდან და ჭილოფზე მოაფათურა. ერვე ჟონკურის თვალის არეში იყო მოქცეული ეს ნათელი ლაქა. მან დაინახა, როგორ შეეხო ქალის ხელი ჰარა კეის ფინჯანს და შემდეგ უყოყმანოდ როგორ დაიძრა მეორე ფინჯანისკენ, იმ ფინჯანისკენ, რომლიდანაც ერვემ დალია, როგორ აილო მსუბუქად და თავისკენ წაილო. ჰარა კეის წამითაც არ მოუშორებია თვალი ერვე ჟონკურის ბაგისთვის. იგი არა გრძნობას არ ამჟღავნებდა.

ქალმა მსუბუქად ასწია თავი.

ახლა პირველად მოაცილა მზერა ერვე ჟონკურს და ფინჯანს შეხედა.

ნელა მოატრიალა ფინჯანი ისე, რომ მისი ბაგე ზუსტად იმ ადგილს შეხებოდა, საიდანაც ერვემ დალია.

და თვალმინაბულმა მოსვა ერთი ყლუპი ჩაი.

ბაგიდან მოიშორა ფინჯანი.

მშვიდად დადო იქ, საიდანაც აილო.

შემალა ხელი ტანსაცმელში.

ხელახლა დადო თავი ჰარა კეის მუხლებზე.

და თვალგახელილი შეაცქერდა ერვე ჟონკურს თვალებში.

ერვე ჟონკური კიდევ დიდხანს ჰყვებოდა თავის ამბავს. მხოლოდ მაშინ შეწყვიტა ლაპარაკი, როცა ჰარა კეიმ თვალი მოაშორა და გამომშვიდობების ნიშნად წელში მოიხარა.

დუმილი.

ფრანგულად, ცოტა განვლილი ხმონებით, ბუნებრივი ჩახლეჩილი ხმით ჰარა კეიმ თქვა:

— თუ თქვენი სურვილიც იქნება, მე დიდ პატივად მივიჩნევ თქვენს ხელახლა ნახვას.

და პირველად გაიღიმა.

— კვერცხები, თქვენ რომ გაქვთ, თევზის ქვირითია, მას არავითარი ფასი არა აქვს.

ერვე ჟონკურმა თვალები დახარა. წინ ჩაის ფინჯანი ედო. აილო და ტრიალი დაუწყო, თითქოს რალაცას ეძებდა ფინჯანის გაფერადებულ კიდე-



ზე. როცა იპოვა, ბაგე მიადო და ბოლომდე გამოსცალა. შემდეგ წინ და-  
იდო და თქვა:

— ვიცი.

გამხიარულებულმა ჰარა კეიმ სიცილი დაინო.

— და იმიტომ გადაიხადეთ ყალბი ოქროს ფულები?

— რაც ვიყიდე, იმის საფასური გადავიხადე.

ჰარა კეი ისევ დადინჯდა.

— აქედან გასვლისას გექნებათ ის, რაც გსურთ.

— როცა ამ კუნძულიდან ცოცხალი გავალ, თქვენც მიიღებთ თქვენს  
კუთვნილ ოქროს. პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

ერვე ყონკური პასუხს არ დაელოდა, ადგა რამდენიმე ნაბიჯი უკან  
გადადგა და გამომშვიდობების ნიშნად წელში მოიხარა.

17

ექვსი დღის შემდეგ ერვე ყონკური ტაკაოკაში ჰოლანდიელი კონტ-  
რაბანდისტების გემში ჩაჯდა, რომელმაც იგი საბირკში ჩაიყვანა. იქიდან  
ჩინეთის საზღვარს აჰყვა ბაიკალის ტბამდე, გადაკვეთა ციმბირის მიწის  
ოთხი ათასი კილომეტრი, გადაიარა ურალის მთები, მიაღწია კიევს, მთე-  
ლი ევროპა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მატარებლით გადასერა და  
აპრილის პირველ კვირა დღეს — დიდი მესის ყამს — ლავილდიეს კა-  
რიბჭესთან იდგა. ნამით შეჩერდა, მაღლი უძღვნა უფალს და დაბაში ფე-  
ხით შევიდა. ნაბიჯებს ითვლიდა, თითოეულს სახელს არქმევდა, რომ არა-  
სოდეს დავიწყებოდა.

— როგორია ქვეყნიერების დასასრული? — ჰკითხა ბალდაბიუმ.

— უხილავი.

თავის მეუღლეს — ელენს — აბრეშუმის ტუნუკა ჩამოუტანა საჩუქ-  
რად, რომელსაც ქალი გაფრთხილებისა თუ მორიდების გამო არასოდეს  
იცვამდა. ისეთი აბრეშუმი იყო, მუჭში ჩაგეტეოდა და თან გეგონებოდა,  
ხელში არაფერი მიჭირავსო.

18

ერვე ყონკურის მიერ იაპონიიდან ჩამოტანილი კვერცხები, ახლა თუ-  
თის პატარა ფოთლებზე ასობით მიწებებული, სავსებით ჯანსაღი აღმოჩ-  
ნდა. ამ წელს ლავილდიეს აბრეშუმის ნანარში ხარისხითა თუ რაოდენო-  
ბით არაჩვეულებრივი გახლდათ. ორი ახალი ძაფსართავი გაიხსნა, ხოლო  
ბალდაბიუმ წმინდა აგნესის პატარა ეკლესიის პირდაპირ მონასტერი ააშე-  
ნებინა. კაცმა არ იცის რატომ, მან იგი მრგვალი წარმოიდგინა და მისი  
პროექტი ესპანელ არქიტექტორს ანდო, ვისაც ხუან ბენიტესი ერქვა და  
ვისაც სახელი პლასა დე ტოროს მშენებლობით გაეთქვა.

— ბუნებრივია, შუაში ქვიშა კი არა, ბალი უნდა იყოს. და თუ შე-  
საძლებელია შესასვლელში დელფინების თავები ხარის თავების ნაცვლად.

— დელფინების, სენიორ?

— ჰო, ბენიტეს, დელფინების, ისინიც თევზებია!


ერვე ყონკურმა ფული გადაითვალა და აღმოაჩინა, რომ მდიდარი იყო.  
იყიდა ოცდაათი აკრი მიწა თავისი მამულის სამხრეთით და ზაფხულის  
თვეები ბალის გეგმის შედგენას მოანდომა, სადაც წყნარად და მშვიდად  
დაისვენებდა. მას ბალი ისეთივე უხილავი წარმოედგინა, როგორც ქვეყ-







ადგა და ერვე ჟონკურიც გაჰყვა. სანამ ბილიკს მიაღწევდნენ, მან ნაპირზე მიტოვებული ფორთოხლისფერი კაბის გვერდით ცალი ხელთათმანი დააგდო. საღამოვდებოდა, სოფელში რომ შევიდნენ.



ოთხი დღის განმავლობაში ერვე ჟონკური ჰარა კეის სტუმარი გახლდათ. ეს ისეთი პატივი იყო, როგორც მეფის კარზე ცხოვრება. მთელი სოფელი ამ კაცისთვის არსებობდა, არ იყო არანაირი ძრაობა ამ მთებში, მის დასაცავად ან გასართობად რომ არ ყოფილიყო გამიზნული. ცხოვრება ჩურჩულით, ზანტად მიედინებოდა, და ამ სინელის მიღმა გაიძვერობა იმალებოდა, როგორც ბუნაგში შემწყვდეული ცხოველი. დრო აქ შეჩერებულს ჰგავდა.

ერვე ჟონკურს თავისი სახლი ჰქონდა და ხუთი მსახური ჰყავდა, ყველგან რომ თან დაჰყვებოდნენ. მარტო სადილობდა აყვავებული ხის ჩრდილში, რომლის მსგავსი მანამდე არ ენახა. დღეში ორჯერ დიდი ზარზე-მით ჩაის მიართმევდნენ. საღამოს სახლის ყველაზე ქვისიატაკიან დიდ დარბაზში შეიყვანდნენ ხოლმე, სადაც განბანვის რიტუალი ხდებოდა. სამი ასაკოვანი თეთრპირბადიანი ქალი წყალს ასხამდა სხეულზე და თბილი აბრეშუმის ნაჭრით ამშრალებდა. მათ ხეშეშა, მაგრამ ძალზე მსუბუქი ხელები ჰქონდათ.

მეორე დილას ერვე ჟონკურმა დაინახა, რომ სოფელში თეთრი კაცი შემოვიდა ხის დიდი ყუთებით დატვირთული ორი ურმით. იგი ინგლისელი აღმოჩნდა აქ რამის საყიდლად კი არა, გასაყიდად ჩამოსული.

— რას ჰყიდით, ბატონო?

— იარაღს, მონსიე, თქვენ?

— მე აბრეშუმის ჭიას ვყიდულობ.

ერთად ისადილეს. ინგლისელს ბევრი რამ ჰქონდა მოსაყოლი: უკვე რვა წელი იყო, რაც ევროპასა და იაპონიას შორის მიდი-მოდიოდა. ერვე ჟონკურმა მოუსმინა და ბოლოს ჰკითხა:

— იცნობთ იმ ახალგაზრდა ევროპელ ქალს, აქ რომ ცხოვრობს?

ინგლისელს ჭამა არ შეუწყვეტია.

— თეთრი ქალები არ არიან იაპონიაში. ერთი თეთრი ქალიც კი არაა იაპონიაში.

მეორე დღეს ოქროთი დატვირთული ინგლისელი წავიდა.

ერვე ჟონკურმა ჰარა კეი მხოლოდ მესამე დღეს ნახა. უეცრად შეამჩნია, რომ მისი ხუთი მსახური მოჯადოებულებივით გაქრა. რამდენიმე წამის შემდეგ კი მისკენ მომავალი ჰარა კეიც დაინახა. ეს კაცი, ვისთვისაც ამ სოფელში ყველა და ყველაფერი არსებობდა, ყოველთვის მარტო იყო. თითქოს წინასწარ ჰქონდა გაცემული ბრძანება მარტო დაეტოვებინათ.

ისინი ძლივძლივობით ავიდნენ მთის თხემზე, მდგლოს მიაღწიეს, სადაც ცა ათობით დიდი ცისფერფრთიანი ფრინველით იყო სავსე.

— აქაურები უყურებენ მათ და მათი ფრენის მიხედვით მომავალს წინასწარმეტყველებენ, — თქვა ჰარა კეიმ. — პატარა რომ ვიყავი, მამამ ასეთ ადგილას წამიყვანა, ისარი მომცა და მიბრძანა მესროლა. ვესროლე და დიდი ცისფერფრთიანი ფრინველი ქვასავით დაეცა მინაზე. საკუთარი



მომავალი თუ გსურს გაიგო, შენი ისრის სისწრაფით უნდა იწინასწარმეტყველო, მითხრა მამამ.

ფრინველები ნელა არტყამდნენ ირაოს, მერე მალლა ადიოდნენ და ისევ დაბლა ეშვებოდნენ, თითქოს სურდათ ფრთებით ცა წამიერად წაეშალათ.

სოფელში ნაშუადღევის უცნაურ შუქზე დაბრუნდნენ, სადა მამამ მათ უფრო ჰგავდა. ერვე ჟონკურის სახლთან ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. ჰარა კეი მიბრუნდა და ნელა წავიდა მდინარესთან ჩამავალი ბილიკისაკენ. ერვე ჟონკური სახლის შესასვლელთან იდგა და გაჰყურებდა. ჰარა კეიმ ოციოდე ნაბიჯი რომ გაიარა, მიამახა:

— როდის მეტყვით, ვინაა ეგ ქალიშვილი?

ჰარა კეი ნელი ნაბიჯით განაგრძობდა სვლას, დაღლა არ ეტყობოდა. მის გარშემო სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა. თითქოს საგანგებო ბრძანებით, სადაც არ უნდა წასულიყო ეს კაცი, სრულ მარტოობაში უნდა ევლო.

22

ბოლო დღეს, გამთენიისას, ერვე ჟონკური სახლიდან გამოვიდა და სოფელში გაისეირნა. კაცები მის დანახვაზე ნელში იხრებოდნენ, ქალები კი ღიმილით ხრიდნენ თვალებს. როცა წარმოუდგენელი რაოდენობის ყველა ჯიშის ფრინველით სავსე უზარმაზარი ვოლიერი დაინახა, მიხვდა ჰარა კეის სახლს რომ უახლოვდებოდა. საოცარი სანახაობა იყო. ჰარა კეი მოუყვა, რომ ისინი ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხიდან ჩამოაყვანილა. ზოგიერთი მათგანი მეტი ღირდა, ვიდრე ლავილდიეში ერთი წლის მანძილზე წარმოებული აბრეშუმი. ერვე ჟონკური შეჩერდა ამ საოცარი სასწაულის დასათვალიერებლად. გაახსენდა, ერთ წიგნში რომ წაეკითხა, აღმოსავლელები სატრფოებს ერთგულების საფასურად სამკაულებს კი არა, ფრინველებს ჩუქნიანო. ერვე ჟონკური სახლს მიუახლოვდა და შესასვლელიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით გაჩერდა. კარი არ იყო, ქალაღდის კედლებზე ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ მდუმარე ჩრდილები. ეს არ ჰგავდა ცხოვრებას, ეს უფრო თეატრი იყო. ერვე ჟონკური იდგა და ელოდა, არ იცოდა რას. იდგა უძრავად სახლიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც თავი ბედს მიახლო, ეს უცნაური სცენა მხოლოდ ჩრდილებისა და სიჩუმის ამარად სტოვებდა. შემდეგ მოტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით თავისი სახლისაკენ წავიდა. თავდახრილი მიდიოდა, თავის ფეხებს დაჰყურებდა და ცდილობდა არაფერზე ეფიქრა.

23

სალამოს ბარგი შეკრა. შემდეგ მსახურებს ქვით მოკირწყლულ დიდ ოთახში წაჰყვა განბანვის რიტუალისთვის.

დანვა, თვალები დახუჭა. დიდ ვოლიერზე, სიყვარულის ამ უცნაურ საფასურზე ფიქრობდა. უეცრად თვალებზე სველი ტილო დაადგეს, რაც ადრე არასოდეს მომხდარა. ინსტინქტურად მისი მოშორება მოინდომა, მაგრამ მისი ხელი სხვა ხელმა შეაჩერა. ეს არ იყო მოხუცი ქალის ხელი.

ერვე ჟონკურმა იგრძნო, როგორ ეღვრებოდა წყალი სხეულზე: ჯერ ფეხებზე, შემდეგ მკლავებზე, შემდეგ გულმკერდზე. წყალი ზეთივით ეღვრებოდა. გარშემო უცნაური სიჩუმე იყო. იგრძნო აბრეშუმის ნაჭრის სიმ-



სუბუქე, ზედ რომ გადააფარეს, და ქალის ხელები, რომელიც ამშრალეობდა და თან ეფერებოდა. ყველგან გრძნობდა ამ ხელებს და თითქოს არაფრისაგან ნაქსოვ ნაჭერს. ნამითაც არ განძრეულა, არც მაშინ, როცა ხელები მისი მხრებიდან კისერზე გადაცოცდა და თითებმა — თითებმა აბრეშუმმა — ტუჩებს მიაღწია, ოდნავ შეეხო და მერე ნელა გაქრია.

იგრძნო, როგორ ააცალეს აბრეშუმის ნაჭერი და წაიღეს, მერე კი ვიღაცამ ხელი გაუშალა და ხელისგულში რაღაც ჩაუდო.

დიდხანს ელოდა სიჩუმეში, არ იძვროდა. შემდეგ ნელა მოიცილა თვალებიდან სველი ნაჭერი. ოთახში თითქმის ბნელოდა. კაციშვილის ქაჭანება არ იყო. ნამოდგა, აიღო იატაკზე დადებული დაკეცილი ტუნიკა, ოთახიდან გავიდა, მთელი სახლი გაიარა, მივიდა თავის ჭილოფთან, დაწვა და სახლის შემოსასვლელთან ჩამოკიდებული ფარნის მოცახცახე შუქს დაუნყო ყურება. უკიდურესად დაძაბულმა დრო იმდენი ხნით შეაჩერა, რამდენითაც სურდა.

ბოლოს და ბოლოს არაფერი მოხდებოდა, ხელი რომ გაეშალა და ენახა პატარა ბარათი. ერთმანეთის ქვეშ შავი მელნით მიხატული რამდენიმე იდეოგრამა.

24

მეორე დღეს დილაადრიან ერვე ჟონკური გაემგზავრა. მას თან მიჰქონდა ბარგში ჩამალული ათასობით აბრეშუმის ჭიის კვერცხი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლავილდიეს მომავალი — ათობით ადამიანის სიმდიდრე და ასობით ადამიანის საარსებო წყარო. იმ ადგილას, სადაც გზა მარცხნივ უხვევდა და თვალსაწიერიდან მთებს გადაღმა საბოლოოდ დაიმალეობდა სოფელი, იგი გაჩერდა, ყურადღება არ მიაქცია თანმხლებ ორ კაცს, ცხენიდან ჩამოხტა და რამდენიმე წუთი გასცქეროდა მთის კალთას ჩაბლაუჭებულ სახლებს.

ექვსი დღის შემდეგ ერვე ჟონკური ტაკაოკაში ჰოლანდიელი კონტრაბანდისტების გემში ჩაჯდა, რომელმაც იგი საბირკში ჩაიყვანა. იქიდან ჩინეთის საზღვარს აჰყვა ბაიკალის ტბამდე, გადაკვეთა ციმბირის მიწის ოთხი ათასი კილომეტრი, გადაიარა ურალის მთები, მიაღწია კიევს, მთელი ევროპა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მატარებლით გადასერა, სანამ სამი თვის მოგზაურობის შემდეგ საფრანგეთამდე ჩააღწევდა. აპრილის პირველ კვირას — დიდი მესის ჟამს — ლავილდიეს კარიბჭესთან იდგა. დაინახა მის შესახვედრად სირბილით მომავალი ცოლი, შეიგრძნო მისი კანის სურნელი, როცა გულში ჩაიკრა, და მისი ხმის ხავერდოვნება, როცა ელენმა თქვა:

- შენ დაბრუნდი.
- ტკბილად.
- შენ დაბრუნდი.

25

ლავილდიეში ცხოვრება უბრალოდ, ჩვეულებრივად მიედინებოდა. ერვე ჟონკური ორმოცდაერთი დღე უდრტვინველად მიჰყვებოდა ამ დინებას. ორმოცდამეორე დღეს კაპიტულაცია გამოაცხადა — სამგზავრო ჩემოდნის უჯრიდან ამოიღო იაპონური მუყაოს კონვერტი, გახსნა და პატარა ბარათს დახედა, იქ ერთი თვის წინ რომ ჩამალა. ერთმანეთის ქვეშ



შავი მელნით მიხატული რამდენიმე იდეოგრამა იყო. დაჯდა საწერ მაგი-  
დასთან და დიდხანს დაძყურებდა ბარათს.

ბალდაბიუ საბილიარდოში იპოვა. იგი ყოველთვის მარტო თამაშობ-  
და, თავის თავს ეთამაშებოდა უცნაური თამაშის პარტიებს. ამას მაგარას  
თამაშს ეძახდა ცალხელას წინააღმდეგ — ერთ დარტყმას ჩვეულებრივად  
აკეთებდა, მეორეს ცალი ხელით. იმ დღეს, როცა ცალხელა მოიგებს, —  
ამბობდა ის, — ამ ქალაქიდან წავალ. ცალხელა წლების მანძილზე ამგე-  
ბდა.

— ბალდაბიუ, უნდა ვიპოვო ვინმე, ვინც იაპონურად კითხვა იცის.  
ცალხელამ ერთ-ერთი ბურთი რეტროს სტილით გატყორცნა.

— ერვე ჟონკურს ჰკითხე, მან ყველაფერი იცის.

— მე? მე ამის არაფერი გამეგება.

— აქ შენ ხარ იაპონელი.

— შეიძლება, მაგრამ მაინც არაფერი გამეგება.

მაგარა ბილიარდის მაგიდისკენ დაიხარა.

— მაშინ მადამ ბლანშის მეტი არავინ ყოფილა, მას ნიმში აქვს ქსო-  
ვილების მალაზია. მალაზიის ზემოთ საროსკიპოა. ისიც მისია. მდიდარი  
ქალია. იაპონელი.

— იაპონელი? აქ როგორ მოხვდა?

— არაფერი ჰკითხო, თუ გინდა მისგან რამე გაიგო. უჰ ამის...

ცალხელამ ის-ის იყო ააცილა სამ კარგად განლაგებულ ბურთს თო-  
თხმეტი გოჯის მანძილიდან.

26

თავის მეუღლე ელენს ერვე ჟონკურმა უთხრა, რომ ნიმში საქმეებზე  
სჭირდებოდა წასვლა და იმავე დღეს დაბრუნდებოდა.

იგი მალაზიის მეორე სართულზე ავიდა მოსკატის ქუჩის 12 ნომერში  
და მადამ ბლანში იკითხა. დიდხანს აცდევინეს. სალონი ისე იყო მოწყო-  
ბილი თითქოს წლების წინ აქ ზეიმი დაიწყო და აქამდე არ დამთავრე-  
ბულა. ქალიშვილები ყველანი ახალგაზრდები და ფრანგები იყვნენ. პია-  
ნისტი წყნარად უკრავდა, ჰანგებში რუსული სული იგრძნობოდა; ყოველი  
სიმღერის შემდეგ იგი მარჯვენა ხელს თმაზე ისვამდა და ჩუმად ამბობდა:

— ვუალა.

27

ერვე ჟონკური თითქმის ორი საათი ელოდა. შემდეგ გრძელი დერფ-  
ფნის სულ ბოლო კარამდე მიაცილეს. მან გააღო კარი და შევიდა.

მადამ ბლანში ფანჯრის შორიახლო იჯდა დიდ სავარძელში. მსუბუ-  
ქი ნაჭრის მთლად თეთრი კიმონო ეცვა. თითებზე პატარა მუქი ლურჯი  
ყვავილები ეკეთა ბეჭდებივით.


— ნუთუ ისეთი მდიდარი ხართ, რომ ჩემთან დაწოლა შეგიძლიათ?

ერვე ჟონკური მის პირდაპირ იდგა, ხელში ქუდი ეჭირა.

— მე თქვენი დახმარება მჭირდება, მადამ, ფასს არა აქვს მნიშვნე-  
ლობა.

შემდეგ პიჯაკის გულის ჯიბიდან პატარა, ოთხად დაკეცილი, ფურ-  
ცელი ამოიღო და გაუწოდა.

— მინდა გავიგო, აქ რა წერია.





მადამ ბლანში არ შერხეულა. ბაგე ღიმილით ოდნავ ჰქონდა გახსნილი.

— გთხოვთ, მადამ.

ქალს არაფერში სჭირდებოდა ამის გაკეთება, მაგრამ შაინც გაშალა ბარათი, დახედა, შემდეგ ერვე ჟონკურს ახედა, შემდეგ კვლავ დახარა თვალები და ფურცელი ნელა დაკეცა. როცა წინ გადმოიხატა დასაბრუნებლად, კიმონო ოდნავ გაეხსნა და გულმკერდი გამოუჩნდა. ერვე ჟონკურმა დაინახა, შიგნით რომ არაფერი ეცვა და ახალგაზრდა უმნიკვლო, ქათქათა კანი ჰქონდა.

— დაბრუნდით, თორემ მოგკვდები.

წარმოთქვა ცივი ხმით. თვალები ერვე ჟონკურს შეჰყურებდნენ და არავითარ გრძნობას არ გამოხატავდნენ.

დაბრუნდით, თორემ მოგკვდები.

ერვე ჟონკურმა ხელახლა ჩაიდო ბარათი პიჯაკის გულის ჯიბეში.

— გმადლობთ.

თავი დაუკრა, შემოტრიალდა, კარისკენ წავიდა და მაგიდაზე ფულის დადება დააპირა.

— მოეშვით.

ერვე ჟონკური წამით შეყოვნდა.

— ფულზე არ გეუბნებით, ქალზე გელაპარაკებით. მოეშვით. არ მოკვდება და ეს თქვენც კარგად იცით.

ერვე ჟონკურმა შემოუბრუნებლად ფული მაგიდაზე დადო, კარი გააღო და გავიდა.

ბალდაბიუ ამბობდა, მადამ ბლანშთან ზოგჯერ ღამის გასატარებლად პარიზიდანაც კი ჩამოდიან კაცებიო და დედაქალაქში დაბრუნებისას საღამოს ტანსაცმლის ღილაკილოებში პატარა, ლურჯი ყვავილები აქვთ გაკეთებულიო, რომელთაც ეს ქალი თითებზე ბეჭდებივით ატარებსო.

იმ ზაფხულს ერვე ჟონკურმა ცოლი პირველად წაიყვანა რივიერაზე. ისინი ორი კვირით ნიცაში იმ სასტუმროში მოენყვინენ, სადაც უფრო ხშირად ინგლისელები ჩერდებოდნენ ხოლმე და რომელიც ცნობილი იყო თავისი მუსიკალური საღამოებით. ელენი დარწმუნებული იყო, რომ ასეთ მშვენიერ ადგილას ბოლოს და ბოლოს ჩაესახებოდა ბავშვი — რომელსაც წლების განმავლობაში ამაოდ ელოდა — და მას ფილიპეს დაარქმევდნენ. ისინი ფრიად თავდაჭერილად ჩაერთვნენ მაღალი საზოგადოების საკურორტო ცხოვრებაში. გართობის შემდეგ კი თავის ოთახში იკეტებოდნენ და გულიანად იცინოდნენ იმ უცნაურ ადამიანებზე, რომლებსაც ხვდებოდნენ. ერთ საღამოს კონცერტზე პოლონელი ბენვეულის ვაჭარი გაიცნეს, რომელმაც თქვა, იაპონიაში ვიყავიო.

წამოსვლის წინა ღამეს ერვე ჟონკურს შუალამისას გაეღვიძა, ადგა და ელენის საწოლს მიუახლოვდა. ქალმა თვალები რომ გაახილა, ერვემ თავისი მშვიდად ნათქვამი სიტყვები გაიგონა:

— ყოველთვის მეყვარები.



სექტემბრის დასაწყისში ლავილდიეს მებარეშუმეები შეიკრიბნენ და მოქმედების გეგმა დასახეს. მთავრობას ნიშნით ახალგაზრდა ბიოლოგი გაეგზავნა იმ დაავადების შესასწავლად, რომელიც უვარგისს ხდიდა საფრანგეთში წარმოებული აბრეშუმის ქიის კვერცხს. მას უკვე პასტერი ერქვა: ისეთი მიკროსკოპით მუშაობდა თურმე, უხილავსაც კი ხედავდა. ამბობდნენ, უკვე არნახულ წარმატებებსაც მიაღწიაო. იაპონიიდან იმ ძაღლებისაგან წაქეზებული გარდაუვალი სამოქალაქო ომის ამბები მოდიოდა, ქვეყანაში უცხოელთა შესვლის წინააღმდეგი რომ იყვნენ. არცთუ დიდი ხნის წინ იოკოჰამაში გახსნილი საფრანგეთის საკონსულო დეპეშას დეპეშაზე გზავნიდა, სადაც ჯერჯერობით არავის ურჩევდა კუნძულთან რაიმე კომერციული ურთიერთობის დამყარებას და უკეთესი დროის დალოდებას სთავაზობდა. ლავილდიეს პატივცემულმა მოქალაქეებმა სიფრთხილისა და იმ უზარმაზარი ხარჯის გამო, იაპონიის საიდუმლო ექსპედიციას რომ სჭირდებოდა, ერვე ჟონკურის მოგზაურობის შეკვეცა და შუა აზიიდან დიდი იმპორტიორების მიერ ჩამოტანილი საიმედო კვერცხებით დაკმაყოფილება გადაწყვიტეს. ბალდაბიუმ ყველას სიტყვის უთქმელად მოუსმინა. ბოლოს, როცა მისი ჯერი დადგა, თავისი ბამბუკის ჯოხი მაგიდაზე დადო და მის წინ მჯდარ კაცს უხმოდ მიაჩერდა.

ერვე ჟონკურმა პასტერის ცდების ამბავიც იცოდა და იაპონიიდან მოსულ ცნობებსაც კითხულობდა, მაგრამ კომენტარებისგან ყოველთვის თავს იკავებდა. მას ერჩია დრო ბალის პროექტის განხილვისთვის დაეთმო, რომელიც სახლის გარშემო უნდა გაეშენებინა. საწერი მაგიდის უჯრაში, მიმალულ ადგილას, ოთხად დაკეცილ პატარა ბარათს ინახავდა, ერთმანეთის ქვეშ შავი მელნით მიხატული რამდენიმე იდეოგრამით. მას ბანკში ანგარიში ჰქონდა, მშვიდად ცხოვრობდა და იმ აზრს ელოლიავებოდა, რომ მალე მამა გახდებოდა. ბალდაბიუმ რომ შეხედა, მან უთხრა:

— შენ გადაწყვიტე, ბალდაბიუ.

ერვე ჟონკური იაპონიაში ოქტომბრის პირველ დღეებში გაემგზავრა. საფრანგეთის საზღვარი მეცთან გადაკვეთა, გადაჭრა ვურტამბერგი და ბავარია, შევიდა ავსტრიაში, მატარებლით მიაღწია ვენას, შემდეგ ბუდაპეშტს და კიევამდე ჩავიდა. ცხენით გადაიჭენა რუსული ტრამალების ორი ათასი კილომეტრი, გადაიარა ურალის მთები, შევიდა ციმბირში, ორმოცი დღე იმგზავრა, სანამ ბაიკალის ტბას მიაღწევდა, იქაური მოსახლეობა რომ „უკანასკნელს“ ეძახდა. დაჰყვა ამურის დინებას, გაჰყვა ჩინეთის საზღვარს ოკეანემდე და, როცა ოკეანეს მიაღწია, თერთმეტი დღე საბირკის ნავსადგურში იჯდა და პოლანდიელი კონტრაბანდისტების გემს ელოდა, რომელიც კაპო ტერაიაში — იაპონიის დასავლეთ სანაპიროზე — ჩაიყვანდა. იქ ომის მოლოდინით აფორიაქებული ქვეყანა დახვდა, ომისა, რომელიც არა და არ იწყებოდა, მან მრავალი დღე ისე იმოგზაურა, რომ ჩვეული სიფრთხილისათვისაც კი არ მიუმართავს. გარშემო ხელისუფალთა კონტროლის მორყეული სისტემა ბუყბუყებდა და გარდაუვალი ტოტალური აფეთქების მოლოდინში იყო.

სირაკავაში კაცს შეხვდა, რომელსაც ჰარა კეისთან უნდა წაეყვანა.



ორი დღე ცხენით იმგზავრეს. როცა სოფელი გამოჩნდა, ერვე ჟონკური ჩამოქვეითდა და სოფელში ფეხით შევიდა, რათა მისი ჩამოსვლის ამბავს მისთვის გაესწრო.



იგი სოფლის ტყისპირას მდგარ ერთ-ერთ ბოლოში დასდგა. მიაცი-  
ლეს. სოფლის მეორე ბოლოში ჰარა კეის სახლი მოჩანდა, სხვა სახლებზე  
ოდნავ მაღალი. გარშემო მაღალი კედრები ერტყა, მის მარტოობას რომ  
იცავდა. ერვე ჟონკური რამდენიმე ხანს აკვირდებოდა მას, თითქოს სხვა  
არაფერი იყო დასანახი ჰორიზონტზე. უეცრად სასახლის თავზე ცა გა-  
შავდა. უამრავი ფრინველი თითქოს მიწიდან ამოიფრქვა. ყველა ჯიშის  
ფრინველი გაბრუებული, გაგიჟებული მიფრინავდა სხვადასხვა მხარეს,  
ჭყიოდნენ, გალობდნენ, ფრთებს აფათქუნებდნენ, ხმაურითა და ფერების  
ლივლივით ტრიალებდნენ დამაბრმავებელ შუქში და ამ ფრთების მუსიკით  
შეშინებულ ცას ავსებდნენ.

ერვე ჟონკურს გაელიმა.

სოფელი გაგიჟებული ქიანჭველების ბუდესავით აფორიაქდა: ყველა  
გარბი-გამორბოდა, ყვიროდა და ცას ასცქეროდა, თვალს აყოლებდა თავ-  
დაღწეულ ფრინველებს, წლების განმავლობაში მათი ბატონის სიამაყე,  
ახლა კი თავის მოჭრა რომ იყო. ერვე ჟონკური თავისი სახლიდან გამო-  
ვიდა და სოფლისაკენ დაეშვა; ნელა მიდიოდა, უსაზღვრო სიმშვიდით იმ-  
ზირებოდა. თითქოს ვერაფერს ხედავდა და თითქოს მასაც ვერ ხედავდნენ.  
თითქოს ოქროს ძაფი იყო, ვილაც გიჟის ნაქსოვ ხალიჩას რომ ექსოვე-  
ბოდა. მდინარეზე გადებული ხიდი გადაიარა და დიდი კედრების ჩრდი-  
ლში შევიდა. როცა იქიდან გამოვიდა, მის წინ უზარმაზარი ვოლიერი და-  
ინახა სრულიად ცარიელი, ყველა კარი კი ფართოდ გაღებული. ვოლიერის  
წინ ქალი იდგა. ერვე ჟონკური გარშემო არ იყურებოდა, დინჯად მიაბი-  
ჯებდა, მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როცა ქალის პირისპირ აღმოჩნდა.

მის თვალებს არ ჰქონდათ აღმოსავლური ქრილი და სახე პატარა  
გოგოს მიუგავდა.

ერვე ჟონკურმა მისკენ ნაბიჯი გადადგა, ხელი გაიწოდა და გაშა-  
ლა. ხელისგულზე პატარა ოთხად დაკეცილი ბარათი ედო. მის დანახვაზე  
ქალს სახეზე ღიმილი დაეფინა, ხელზე ხელი დაადო, წამით შეაყოვნა და  
ბარათი აიღო. ბარათი, რომელმაც მთელი ქვეყნიერება შემოიარა, თითუ-  
ბით ეჭირა. ძლივს მოასწრო ტანსაცმელში მისი შემალვა და ჰარა კეის  
ხმაც გაისმა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჩემო ფრანგო მეგობარო.

იგი რამდენიმე ნაბიჯზე იდგა. შავი კიმონო ეცვა, კეფაზე გულდაგულ  
შეეკრა შავი თმა. ერვეს მიუახლოვდა. მერე ვოლიერს მიაჩერდა. სათითა-  
ოდ გადახედა ფართოდ გაღებულ კარებს.

— დაბრუნდებიან. ყოველთვის ძნელია დაბრუნების ცდუნებაზე უა-  
რის თქმა, არა?

ერვე ჟონკურმა არ უპასუხა. ჰარა კეიმ თვალი თვალში გაუყარა და  
ძალზე მშვიდად უთხრა:

— წამობრძანდით!



ერვე ჟონკური გაჰყვა. მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მოტრი-  
აღდა და ქალს გამომშვიდობების ნიშნად თავი დაუკრა.

— იმედია მალე გნახავთ.

ჰარა კეი სიარულს განაგრძობდა.

— მან თქვენი ენა არ იცის, წამოდით.



იმ საღამოს ჰარა კეიმ ერვე ჟონკური თავის სახლში მიიწვია. იქ იმ  
სოფლის რამდენიმე კაცი დახვდა და ძალზე ელეგანტურად გამოწყობი-  
ლი, თეთრად და მყვირალა ფერებით სახეშეღებილი ქალი. საკეს სვამდნენ  
და გრძელი ჩიბუხით მწარე და გამაბრუებელ თამბაქოს ეწეოდნენ. მო-  
ვიდნენ აკრობატები და კიდევ ერთი კაცი, ადამიანებს და ცხოველებს რომ  
ბაძავდა. სამი ხნიერი ქალი სიმებიან საკრავებზე უკრავდა, პირზე ღიმი-  
ლი არ სცილდებოდათ. ჰარა კეი საპატიო ადგილას იჯდა, თალხით მო-  
სილი, ფეხშიშველი. გვერდით აბრეშუმის თვალწარმტაც კაბაში გამოწყო-  
ბილი ახალგაზრდა ქალი ეჯდა. ერვე ჟონკური ოთახის მეორე კუთხეში  
მათ პირდაპირ იჯდა ქალების მოტკბო სურნელითა და კაცების ყურად-  
ღებით გარემოსილი. შეჭირვებული უღიმოდა კაცებს, მისთვის ამბების  
მოყოლით რომ ერთობოდნენ, მას კი არაფერი გაეგებოდა. მან ათასჯერ  
მოძებნა ქალის თვალები და ათასჯერვე წააწყდა მათ. ეს იდუმალ, მო-  
წყენილ და უსუსურ ცეკვას წააგავდა. მერე ერვე ჟონკური წამოდგა,  
რალაც საბოდიშო ნაიბუტბუტა ფრანგულად, რაც შეეძლო ზრდილობია-  
ნად მოიშორა ქალი, ვინც გაცილებას უპირებდა, და კვამლის ღრუბლებში  
გზა გაიკვლია. კაცები გზას უღობავდნენ და გაუგებარ ენაზე მკვახედ მი-  
მართავდნენ. როგორც იქნა, გავიდა. გასვლისას უკანასკნელად გაიხედა  
ქალისაკენ. ისიც უყურებდა სავსებით უტყვი, საუკუნეთა მიღმიდან წა-  
მოსული მზერით.

ერვე ჟონკური სოფელში დაეხეტებოდა. ღამის გრილ ჰაერს ისუნთ-  
ქავდა. გზა აებნა და მთის მწვერვალისკენ ამაველ ორლობეში აღმოჩნდა.  
როცა თავის სახლს მიაღწია, ქალაქის კედლის მიღმა მოციმციმე ფარა-  
ნი დაინახა. შევიდა, იქ ორი ქალი დახვდა: ერთი აღმოსავლელი, სულ ნო-  
რჩი, თეთრ უბრალო კიმონოში გამოწყობილი და მეორე ის. ქალს თვა-  
ლებში აღგზნებული სიხარული ჩაღვროდა; განძრევაც არ აცალა, მიუბ-  
ხლოვდა, აიღო მისი ხელი, სახესთან მიიტანა, ბაგით ოდნავ შეეხო, შემ-  
დეგ მაგრად მოუჭირა და მის გვერდით მდგარ გოგონას ხელზე დაადო,  
ცოტა დაახანა, კაცის ხელი რომ არ გაქცეოდა. მერე ხელი შეუშვა, ორი  
ნაბიჯით უკუდგა, აიღო ფარანი, წამით თვალი თვალში გაუყარა ერვე  
ჟონკურს და გაიქცა. ნარინჯისფერი ფარანი იყო. ღამემ ჩაყლაპა პანა-  
წინა გაქცეული შუქი.

ერვე ჟონკურს არასოდეს ენახა ეს გოგონა და ვერც ამ ღამეში ხედავ-  
და. ბნელ ოთახში მან მისი სხეულის მშვენიერება შეიგრძნო, იგემა მისი  
ბაგე და ხელები. საათები გაგრძელდა მათი სიყვარული, მსგავსი ყესტები  
და მანერა არასოდეს შეუგრძნია ერვე ჟონკურს. ქალს ნება მისცა მისთვის  
ესწავლებინა მანამდე უცნობი ვნებათა დანელება. სიბნელეში ძნელი იყო



მისთვის სიყვარული და, და ეს არ იყო მისი სიყვარული, სიყვარული იმ ქალისა.

განთიადამდე ცოტა ხნით ადრე გოგონა ადგა, აიღო თავისი თეთრი კიბონო და წავიდა.

36



დილით ერვე ჟონკურს სახლის წინ ჰარა კეის გამოგზავნილი კაცი დახვდა. თან თუთის თხუთმეტი ფოთოლი ჰქონდა, მთლიანად აბრეშუმის ჭიის კვერცხებით დაფარული — ერთი ციდა სპილოსძვლისფერი კვერცხებით. ერვე ჟონკურმა დიდი ყურადღებით შეამოწმა თითოეული ფოთოლი, შემდეგ ევაჭრა და ოქროთი გადაუხადა საფასური. სანამ კაცი წავიდოდა, მიახვედრა, რომ ჰარა კეის ნახვა სურდა. კაცმა თავი უარის ნიშნად გააქნია. და მიმიკით აცნობა, რომ ჰარა კეი იმ დილით ადრინად წასულიყო ამალასთან ერთად და არავინ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა.

ერვე ჟონკურმა სოფელი გადაირბინა და ჰარა კეის ადგილსამყოფელს მიადგა. იქ მხოლოდ მსახურები დახვდნენ, რომლებიც ყველა მის შეკითხვაზე თავის გაქნევით პასუხობდნენ. სახლი უკაცრიელს ჰგავდა. იგი გარშემო თვალებს აცეცებდა. ყველაზე უმნიშვნელო ნივთებსაც კი აკვირდებოდა, მაგრამ ვერსად და ვერაფერში აღმოაჩინა მისთვის განკუთვნილი რაიმე ნიშანი. მან დატოვა ჰარა კეის სახლი და სოფელში დაბრუნებისას უზარმაზარ ვოლიერს ჩაუარა. კარები ხელახლა დაეკეტათ და შიგნით ასობით ფრინველი გამოემწყვდიათ.

37

ერვე ჟონკური კიდევ ორი დღე ელოდა ნიშანს. შემდეგ გაემგზავრა. სოფლიდან ნახევარი საათის სავალზე, ტყის პირას გავლისას უცნაური, წკრიალი მოესმა. ტყეში ფოთლებში მიმალული ათასობით ფრინველი ისვენებდა. თანმხლებთ არაფერი უთხრა, ცხენი შეაჩერა, იძრო რევოლვერი და ექვსჯერ ჰაერში გაისროლა, შეშინებულ ფრინველთა გუნდი წამოიშალა და კვამლივით აიჭრა ცაში ისე მალლა, რომ ორი დღის სავალიდანაც დაინახავდა კაცი. ცა გაშავდა. ამ უაზრო ქმედების მიზეზი მხოლოდ ერვე ჟონკურის თავგზააბნეულობა იყო.

38

ექვსი დღის შემდეგ ერვე ჟონკური ტაკაოკაში პოლანდიელი კონტრაბანდისტების გემში ჩაჯდა, რომელმაც იგი საბირკში ჩაიყვანა. იქიდან ჩინეთის საზღვარს აჰყვა ბაიკალის ტბამდე, გადაკვეთა ციმბირის მიწის ოთხი ათასი კილომეტრი, გადაიარა ურალის მთები, მიაღწია კიევს, მთელი ევროპა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მატარებლით გადასერა და აპრილის პირველ კვირა დღეს — დიდი მესის ჟამს — ლავილდიეს კარიბჭესთან იდგა. გააჩერებინა ეტლი და რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იჯდა, ფარდები არ აუნევია. შემდეგ გადმოვიდა და ფეხით განაგრძო გზა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა, საოცრად დაღლილი.

ბალდაბიუმ ჰკითხა, ომი თუ ნახეო.

— ის არა, რომელსაც ველოდი — უპასუხა მან.

ლამით მივიდა ელენის საწოლთან და ისეთი მოუთმენლობით დაეუფლა, რომ ქალი შიშმა აიტანა და ცრემლები ველარ შეიკავა. როცა მი-



ხვდა, რომ ერვემ შეამჩნია, თავს ძალა დაატანა, გაულიმა და წყნარად უთხრა:

— ნუ გეშინია, ძალიან ბედნიერი ვარ და იმიტომ ვტირი...



ერვე ჟონკურმა კვერცხები ლავილდიელ მებარეშუმეებს და შემდეგ კარგა დიდხანს სახლიდან არ გამოუხედავს. თავისი ყოველდღიური ვიზიტიც კი დაივიწყა ვერდენტან. მაისის პირველ დღეებში ყველას გასაოცრად ჟან ბერბეკის მიტოვებული სახლი იყიდა, იმ ჟან ბერბეკისა, ერთ დღეს ლაპარაკი რომ შეწყვიტა და სიკვდილამდე აღარაფერი უთქვამს. ყველა ფიქრობდა, ალბათ იქ ახალი სახელოსნოს გამართვას აპირებსო. მან კი სახლის განმენდაზეც არ იზრუნა. დროდადრო მიდიოდა ხოლმე მარტო და კაცმა არ იცის, იქ რას აკეთებდა. ერთ დღეს ბალდაბიუ წაიყვანა.

— იცი, ჟან ბერბეკმა რატომ შეწყვიტა ლაპარაკი? — ჰკითხა მას.

— ეგ შეკითხვა იმ მრავალთაგანია, რაზეც მას არასოდეს უპასუხნია.

წლები გასულიყო, კედლებზე კი ისევ ეკიდა ძველი ჩარჩოები და საშრობზე ქვაბები. ეს ყველაფერი არ იყო დიდად მხიარული სანახავი და ბალდაბიუ სიამოვნებით წავიდოდა აქედან, მაგრამ ერვე ჟონკური მოჯადოებულებით განაგრძობდა ამ ობიანი მკვდარი კედლების ცქერას. ცხადი იყო, იქ რაღაცას ეძებდა.

— ზოგჯერ შეიძლება შენი ცხოვრება ისე უცნაურად შემოტრიალდეს, რომ აღარაფერი გქონდეს სათქმელი და დასამატებელი. — თქვა ერვე ჟონკურმა: — აღარაფერი, აღარასოდეს.

სერიოზული საუბრები არ უყვარდა ბალდაბიუს. ის ჟან ბერბეკის საწოლს უყურებდა.

— ასეთ საშინელ სახლში ყველა დამუნჯდებოდა. — უპასუხა მან.

ერვე ჟონკური მთელი დღეების განმავლობაში განაგრძობდა კარჩაკეტილ ცხოვრებას, იშვიათად ჩნდებოდა ხალხში და მთელ თავის დროს ბალის პროექტს ანდომებდა, რომელსაც ერთ დღესაც იქნებოდა და გააშენებდა. იჯდა და აშავებდა და აშავებდა ფურცლებს უცნაური ნახატებით. მანქანები გეგონებოდათ. ერთ საღამოს ელენმა ჰკითხა.

— რა არის ეს?

— ვოლიერი.

— ვოლიერი?

— ჰო.

— რისთვისაა საჭირო?

ერვე ჟონკური გაშტერებული დაჰყურებდა ამ ნახატებს:

— შენ მას ფრინველებით აავსებ, რაც შეიძლება ბევრი ფრინველით და ერთ დღეს, როცა რაიმე ძალიან სასიამოვნო შეგემთხვევა, კარს ფართოდ გააღებ და დაინახავ, როგორ გაფრინდებიან...

ივლისის ბოლოს ერვე ჟონკური მეუღლესთან ერთად ნიცაში გაემგზავრა. ისინი ზღვის პირას პატარა ვილაში დასახლდნენ. ელენმა მოისურვა ასე. დარწმუნებული იყო, რომ განმარტოებული ბინა და სიმშვიდე გამოაკეთებდა მისი მეუღლის მეღანქოლიურ განწყობას. წინასწარ ჰქონდა ეს



მისამართი, მაგრამ არჩევანი ქირვეულობად მოაჩვენა საყვარელ კაცს და საშუალება მისცა ამ დათმობით მისთვის ანგარიში გაენია.

პატარა და გამოუთქმელი ბედნიერებით სავსე სამი კვირა გაატარეს ერთად. იმ დღეებში, როცა სიცხე უფრო ასატანი ხდებოდა ეტლს ქირაობდნენ და გორაკებს მოფარებული სოფლების აღმოჩენით ერთობდნენ თავს, საიდანაც ზღვა დახატულ დეკორაციას ჰგავდა. ზოგჯერ ქალაქში მიდიოდნენ კონცერტსა ან მაღალი წრის შეკრებაზე დასასწრებად. ერთ დღეს იტალიელი ბარონის მოწვევა მიიღეს, შვეიცარულ სასტუმროში თავის სამოცდაათი წლის აღსანიშნავ საზეიმო ვახშამზე პატიჟებდა. დესერტს მიირთმევდნენ, როცა ერვე ჟონკურმა ელენს შეხედა. იგი მაგიდის მეორე მხარეს მომხიბვლელი ინგლისელი ჯენტლმენის გვერდით იჯდა, რომელსაც დილკილოში პატარა ლურჯი ყვავილების კონა ეკეთა. ერვე ჟონკურმა დაინახა, როგორ გადაიხარა იგი ელენისაკენ და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ელენს სიცილი აუტყდა, თავი ოდნავ გადახარა ჯენტლმენისკენ და თმით მის მხარს თითქმის შეეხო ლალად, ქვენა გრძნობების გარეშე. ერვე ჟონკურმა თვალები თეფშისაკენ დახარა. შეამჩნია, რომ ვერცხლის პატარა კოვზს ჩავლებული ხელი ნამდვილად უკანკალებდა.

მოგვიანებით მოსაწევ ოთახში კარგა ნასვამი, ფეხარეული ერვე ჟონკური მიუახლოვდა მაგიდასთან მარტო მჯდარ კაცს, უაზროდ თვალგაშტერებული რომ იყურებოდა, მისკენ დაიხარა და ნელა, დამარცვლით უთხრა:

— რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა გაგანდოთ, ბატონო ჩემო. ჩვენ ყველანი საძაგლები ვართ — ყველანი ძალზე კარგები და ძალზე საძაგლები.

კაცი დრეზდენელი ხორცის ვაჭარი იყო და ფრანგული კარგად არ იცოდა. ახარხარდა და თავს თანხმობის ნიშნად ისე აკანტურებდა, გეგონებოდა, ველარასოდეს გაჩერდებო.

ერვე ჟონკური და მისი ცოლი რივიერაზე სექტემბრის დამდეგამდე დარჩნენ. სინანულით დატოვეს პატარა ვილა, სადაც თავს თავისუფლად გრძნობდნენ და სადაც ერთმანეთის სიყვარული ერგოთ წილად.

ბალდაბიუ დილაადრიან ეწვია ერვე ჟონკურს.

— არაჩვეულებრივი ბალია.

— მე ჯერ არც დამინყია მისი გაშენება, ბალდაბიუ.

— ჰოდა, სწორედ მაგიტომაცაა არაჩვეულებრივი.

ბალდაბიუ დილით არასოდეს ეწეოდა ხოლმე თამბაქოს. ახლა კი ჩიბუხი ამოიღო, დატენა და აანთო.

— მე ვნახე პასტერი. კარგი კაცია. მან მაჩვენა, რომ შეუძლია ამოიცინოს დაავადებული და სალი კვერცხები. მაგრამ მათი განკურნება, რა თქმა უნდა, არ შეუძლია. შეუძლია სალი კვერცხების იზოლაცია და თქვა, რომ ჩვენი წარმოების ოცდაათი პროცენტი სავარაუდოდ სალია.

პაუზა.

— ამბობენ იაპონიაში ომმა იფეთქაო, ამჯერად ნამდვილადო, ინგლისელები მთავრობას აძლევენ იარაღს, ჰოლანდიელები კი აჯანყებულებს. ისე ჩანს, ერთმანეთში მოლაპარაკებულნი არიან. მიუშვეს ერთმანეთის გამოსაშიგნად და მერე თვითონ აიღებენ და გაინაწილებენ ყველა-



ფერს. საფრანგეთის კონსული კი ზის და ამას შეჰყურებს, ეგენი მხოლოდ საყურებლად არიან იქ. მარტო ის შეუძლიათ დეპეშები აგზავნონ და ხოცვა-ყლეტიცა და ყელგამოდარული უცხოელების ამბები გვაცნობონ ხოლმე.

პაუზა.

— კიდევ არის ყავა?

ერვე ჟონკურმა ყავა დაუსხა.

პაუზა.

— ეგ ორი იტალიელი, ფერერი და მეორე, შარშან ჩინეთში რომ იყვნენ... თხუთმეტი ათასი უნცია კვერცხით დაბრუნდნენ, კარგად ივაჭრეს, ბოლესი უკვე შეუსყიდიათ. ამბობენ, პირველი ხარისხის კვერცხებიანო. ერთ თვეში უკან გაბრუნდებიან... საინტერესო საქმე შემოგვთავაზებს რიგიან ფასში, უნცია თერთმეტ ფრანკად, გარანტიასაც იძლევიან. დარბაისელი ხალხია, ზურგს ორგანიზაცია უმაგრებთ, ნახევარი ევროპა მათგან ყიდულობს კვერცხს. გეუბნები, დარბაისელი ხალხია-მეთქი.

პაუზა.

— არ ვიცი, მაგრამ იქნებ ჩვენი კვერცხებით, იმ სამუშაოთი, პასტერმა რომ ჩაატარა, და კიდევ იმით, რასაც ამ ორი იტალიელისგან ვიყიდით, იოლად გავსულიყავით... შეიძლება ამით იოლად გასვლა. ხალხი ამბობს, სიგიჟეა შენი იქ გაგზავნა... ხარჯსაც ითვალისწინებენ და... ამბობენ, რომ ძალიან სახიფათოა შენი იქ წასვლა და მართალნიც არიან, სხვა დროს სხვანაირად იყო საქმე, ახლა... ახლა კი გაგიძნელდება იქიდან ცოცხალი დაბრუნება.

პაუზა.

— რაც მთავარია, არ უნდათ კვერცხების ჩამოტანა სააღბათო გახდეს. მე, მე კი არ მინდა შენი დაბრუნება გახდეს სააღბათო.

ერვე ჟონკური თვალგაშტერებული გაჰყურებდა ჯერ არარსებულ ბაღს. ცოტა ხანს შეიცადა და შემდეგ ისეთი რამ გააკეთა, რაც ადრე არასოდეს ჩაუდენია.

— წავალ იაპონიაში, ბალდაბიუ. ვიყიდი კვერცხებს, თუ გაჭირდა, ჩემი საკუთარი ფულით ვიყიდი. შენ მხოლოდ ის გადაწყვიტე, თქვენ მოგყიდოთ თუ ვინმე სხვას.

ბალდაბიუ მისგან ამას არ მოელოდა. ეს იმას ჰგავდა, ცალხელას რომ მოეგო, და მოჭრილი დარტყმით ოთხი არასახარბიელოდ განლაგებული ბურთი ჩაეყარა ლუზაში.

ბალდაბიუმ ლავილდიელ მეაბრეშუმეებს აცნობა, პასტერი არც მაინცდამაინც საიმედოა, იმ ორმა იტალიელმა უკვე გალლიტა ნახევარი ევროპა და წმინდა აგნესმა სიზმარში მითხრა, იაპონიაში ომი ზამთრამდე დამთავრდება, თუ მთელი იაპონური არმია ქვეშაფსია არააო. მხოლოდ ელენს ვერ მოატყუებდა.

— მართლა აუცილებელია მისი წასვლა, ბალდაბიუ?

— არა.

— მაშ, რატომ მიდის?

— მე ვერ დავუშლი და, თუ უნდა წასვლა, მხოლოდ ისღა შემიძლია ვურჩიო, რომ უკან დაბრუნდეს.



ლავილდიეს ყველა მებარეშუმემ ძალაუნებურად თავისი წილი შეიტანა ექსპედიციის დაფინანსებაში. ერვე ჟონკური მზადებას შეუდგა და ოქტომბრის პირველ დღეებში უკვე მზად იყო. ელენი, როგორც წინა წლებში, ეხმარებოდა, არაფერს ეკითხებოდა და ყველაფერს უმაღლავდა, რასაც მისი შენუხება შეეძლო. მხოლოდ სალამოს, შუქი რომ ჩასატრეს, შაჰის მოიკრიბა და მტკიცედ, ალერსის გარეშე უთხრა:

— დამპირდი, რომ დაბრუნდები.

სიბნელეში ერვე ჟონკურმა უპასუხა:

— გპირდები.

1864 წლის 10 ოქტომბერს ერვე ჟონკური მეოთხედ გაემგზავრა იაპონიაში. საზღვარი მეცთან გადაკვეთა, გადაჭრა ვურტამბერგი და ბავარია, შევიდა ავსტრიაში, მატარებლით მიაღწია ვენას, შემდეგ ბუდაპეშტს და კიევამდე ჩავიდა. ცხენით გადაიჭენა რუსული ტრამალების ორი ათასი კილომეტრი, გადაიარა ურალის მთები, ჩავიდა ციმბირში, ორმოცი დღე იმგზავრა, სანამ ბაიკალის ტბას მიაღწევდა, იქაური მოსახლეობა რომ „წმინდას“ ეძახდა, დაუყვა ამურის დინებას, გაჰყვა ჩინეთის საზღვარს ოკეანემდე და, როცა ოკეანეს მიაღწია, თერთმეტი დღე საბირკის ნავსადგურში იჯდა, ჰოლანდიელი კონტრაბანდისტების გემს ელოდა, კაპოტერაიაში — იაპონიის დასავლეთ სანაპიროზე — რომ ჩაიყვანდა. იქ ბილიკებით სიარული ამჯობინა და ცხენით გადაკვეთა ისიკავას, ტოიამასა და ნიიგატას პროვინციები, შევიდა ფუკუსიმას პროვინციაში. როცა სირაკავას მიაღწია, სოფელი ნახევრად დანგრეული დახვდა. ნანგრევებში მთავრობის გარნიზონის ჯარისკაცებს ბანაკი გაემართათ. მან სოფელს აღმოსავლეთიდან მოუარა და ხუთი დღე ამაოდ ელოდა ჰარა კეის ემისარს. მეექვსე დღეს, განთიადზე მთებისაკენ წავიდა, ჩრდილოეთის მიმართულებით. მას მხოლოდ რამდენიმე მიახლოებითი რუკა ჰქონდა და ის, რაც ახსოვდა. რამდენიმე დღე იხეტიალა, სანამ მდინარე იცნო, შემდეგ ტყე, შემდეგ გზა. გზის ბოლოს ჰარა კეის სოფელს წააწყდა: ყველაფერი დამწვარიყო, სახლები, ხეები, ყველაფერი.

ალარაფერი დარჩენილიყო.

არც სულიერის ჭაჭანება იყო.

ერვე ჟონკური გაშეშებული შესცქეროდა ამ უზარმაზარ ნახანძრალს. ზურგს უკან რვა ათასი კილომეტრი მოიტოვა, წინ კი არაფერი ელოდა.

და უეცრად დაინახა ის, რაც უხილავი ეგონა...

ქვეყნიერების დასასრული.

ერვე ჟონკური კარგა ხანს დარჩა ნანგრევებში. უნდოდა წასვლა და ვერ მიდიოდა. თუმცა კარგად იცოდა, რომ აქ დაკარგული ყოველი წამი მისთვის და მთელი ლავილდიესათვის უბედურების მომასწავებელი იყო. კვერცხები არ ჰქონდა და კიდევ რომ ჰქონოდა, მხოლოდ ორი თველა რჩებოდა ქვეყნიერების გადასავლელად, სანამ ისინი გამოიჩეკებოდნენ და გამოუსადეგარი მატლების ხროვად იქცეოდნენ. ერთი დღით დაგვიანებაც კი დალუპვას ნიშნავდა. ეს იცოდა, მაგრამ მაინც ვერ მიდიოდა. იქ იყო იმ დრომდე, ვიდრე უცნაური რამ არ მოხდა: უეცრად საიდანღაც პატარა



ბიჭი გამოჩნდა. მოდიოდა ჩამოძონძილი, შიშით აკვირდებოდა უცხოელს. ერვე ჟონკური არ განძრეულა. ბიჭმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და შეჩერდა. უძრავად იდგნენ ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. შემდეგ ბიჭმა რალაც მოძებნა თავის ძონძებში, შიშით აცახცახებული მიუახლოვდა ერვე ჟონკურს და უცხელთათმანი გაუნოდა, ერვე ჟონკურს თვალწინ წარმოუდგინა ტყვიანი ქვიშაზე დაგდებული ფორთოხლისფერი კაბა და პატარა თითქოს ძალზე შორიდან გამოგზავნილი ტალღები, წყალს ნაპირისაკენ რომ მოაგორებდნენ. მან ხელთათმანი აიღო, ბიჭს გაუღიმა და უთხრა:

— მე ვარ ფრანგი... აბრეშუმის კაცი, ფრანგი, გაიგე? მე ვარ...

ბიჭმა ცახცახი შეწყვიტა.

— ფრანგი...

ცრემლით სავსე თვალები უბრწყინავდა, იღიმებოდა. მერე ალაპარაკდა, თითქმის აყვირდა, გაიქცა და ერვე ჟონკურს ანიშნა, გამომყევით. იგი მთაზე შეფენილ ტყისკენ მიმავალ ბილიკზე გაუჩინარდა.

ერვე ჟონკური არ განძრეულა. მხოლოდ ხელთათმანს ატრიალებდა ხელში, თითქოს ამის მეტი აღარაფერი ჰქონდა საკეთებელი ამ გადასაკარგავში. იცოდა, რომ უკვე ძალზე გვიან იყო და რომ სხვა გზა აღარ დარჩენოდა.

ადგა. ნელა მიუახლოვდა თავის ცხენს. შეჯდა. შემდეგ კი უცნაური რამ გააკეთა — ქუსლი ჰკრა და მთის მიმართულებით წავიდა, ბიჭს გაედევნა ქვეყნის დასასრულის მეორე მხარისაკენ.

მრავალი დღე იმოგზაურა, მთებს გადაუარა, ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. ერვე ჟონკურს არ აინტერესებდა, სად მიდიოდა: ბიჭს მიჰყვებოდა, არაფერს ეკითხებოდა. ორი სოფელი შემოხვდათ. ხალხი სახლებში იმალებოდა. ქალები გაქცევით შველოდნენ თავს. ბიჭი გიჟურად ერთობოდა, რალაც გაუგებარს უყვიროდა გაქცეულებს. იგი თოთხმეტიოდენ წლის იქნებოდა. გაუთავებლად უსტვენდა ლერწმის სალამურზე და სხვადასხვა ფრინველებს ბაძავდა. ჩანდა, რომ ცხოვრების უბედნიერესი წუთები ჰქონდა.

მეხუთე დღეს მთის მწვერვალზე ავიდნენ. ბიჭმა გაახედა და ქვევით ვაკისკენ ჩამავალი გზის რალაც წერტილზე მიუთითა. ერვე ჟონკურმა ჭოგრიტით გახედა და კორტეჟი დაინახა: შეიარაღებული კაცები, ქალები, ბავშვები, ურმები და პირუტყვი. მოკლედ, მთელი სოფელი გზას გასდგომოდა. დაინახა ცხენზე მჯდარი თალხით მოსილი ჰარა კეი. მის უკან ჭრელაჭრულა ქსოვილით მოფარდაგებული ტახტრევანი მიქანაობდა.

ბიჭი ცხენიდან ჩამოხტა, რალაც თქვა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. სანამ ხეებში გაუჩინარდებოდა, წამით შეჩერდა, მოტრიალდა და ხელის ნიშნებით ცდილობდა ეთქვა: ძალიან კარგი მოგზაურობა იყო. — კარგი მოგზაურობა იყო, არა? — მიაძახა ერვე ჟონკურმა.

ერვე ჟონკური მთელი დღე შორიახლო მიჰყვებოდა ქარავანს. რომ დაინახა, ღამის გასათევად ჩერდებიანო, მაინც განაგრძო გზა, სანამ ორი შეიარაღებული კაცი არ შემოხვდა, რომლებმაც მისი ცხენი წაიყვანეს და



ბარგიც წაიღეს, მას კი კარავში მიუჩინეს ადგილი. დიდხანს ელოდა. ბოლოს ჰარა კეი მოვიდა. არც მიესალმა და არც დაჯდა.

— აქამდე როგორ მოაღწიეთ, ფრანგო?

ერვე ფონკურმა არ უპასუხა.

— გეკითხებით, ვინ მოგიყვანათ აქამდე? სიჩუმე.

— აქ არაფერი გესაქმებათ. აქ ომია და ეს არაა თქვენი ომი. წაეთრით აქედან.

ერვე ფონკურმა პატარა ტყავის ქისა ამოიღო, გახსნა და მიწაზე ოქროს მონეტები მიმოაბნია.

— ომი ძვირი თამაშია. თქვენ მე გჭირდებით, მე კი თქვენ.

ჰარა კეიმ არც კი შეხედა მიწაზე მიმობნეულ ოქროს, ზურგი აქცია ერვე ფონკურს და გავიდა.



47

ერვე ფონკურმა ღამე ბანაკის განაპირას გაათია. კაციშვილი არ დალაპარაკებია, თითქოს ვერ ხედავენო. ხალხს მიწაზე ეძინა, კოცონის გარშემო. მხოლოდ ორი კარავი იყო გამართული. ერთის წინ ერვე ფონკურმა ცარიელი ტახტრევანი დაინახა: ოთხივე მხარეს პატარა გალიები ჰქონდა მიმაგრებული — ჩიტებით. გალიების მარყუჟებზე პანანა ოქროს ზარები ეკიდა. ისინი მსუბუქად წკარუნობდნენ ღამის გრილ ნიაფზე.

48

როცა გაიღვიძა, დაინახა, რომ სოფელი წასასვლელად ემზადებოდა. კარვები აეშალათ. ტახტრევანი ჯერ კიდევ იქ იყო. კარლია. ხალხი უხმოდ ჯდებოდა ურმებში. იგი ადგა, დიდხანს იყურებოდა გარშემო, მაგრამ მისი თვალები მხოლოდ აღმოსავლური ჭრილის თვალებს აწყებოდნენ, რომლებიც იმწამსვე ძირს იხრებოდნენ. ხედავდა შეიარაღებულ კაცებსა და ბავშვებს, რომლებიც არ ტიროდნენ. ხედავდა უტყვ სახეებს. ასეთი სახეები აქვთ ლტოლვილ ადამიანებს. დაინახა გზის ნაპირას მდგარი ხე და ხის ტოტზე ჩამოკიდებული ბიჭი, რომელმაც აქამდე მოიყვანა.

ერვე ფონკური მიუახლოვდა და წუთით მონუსხულივით შეჰყურებდა. შემდეგ გახსნა თოკი, ჩამოიღო ბიჭის სხეული. მიწაზე დაასვენა და დაიჩოქა. ვერა და ვერ მოაცილა თვალი მის სახეს. არ დაუნახავს, როგორ გაუდგა სოფელი გზას, მხოლოდ მიმავალი ქარავნის ხმაური ესმოდა, იგი თითქოს ძალიან შორიდან მოდიოდა და მის სმენას ოდნავ ეხებოდა. თავი არც მაშინ აუწევია, როცა ორი ნაბიჯიდან ჰარა კეის ხმა მოესმა:

— იაპონია ძალზე ძველი ქვეყანაა, იცოდით ეს, ფრანგო? მისი კანონი ძველთაძველია: და ის ამბობს, რომ არსებობს თორმეტი დანაშაული, რომლისთვისაც ადამიანი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ერთ-ერთი ამ დანაშაულთაგანი კი თავისი ქალბატონის სამიჯნურო ბარათის წაღებაა.

ერვე ფონკური თვალს არ აცილებდა პატარა მკვდარი ბიჭის სახეს.

— მას არავითარი სამიჯნურო ბარათი არ მოუტანია.

— ის თვითონ იყო ბარათი!

ერვე ფონკურმა იგრძნო, როგორ დაანვა რაღაც კეფაზე და თავი მიწამდე დაახრევინა.

— ფრანგო, ეს თოფია. არ ასწიო თავი! გთხოვ!



ერვე ჟონკური უცბად ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. შემდეგ ლტოლვილთა ამ პროცესიის ხმაურში ათასობით პანანუნა მოოქროვილი ზანზალაკის ხმა გაიგონა, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა. თვალწინ მხოლოდ შავი მინა პქონდა, მაგრამ წარმოიდგინა საათის ქანქარასავით მოქანავე ტახტრევანი. თითქმის ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა ქვეყნის დასავლეთ ნაბიჯ-ნაბიჯ, წკარუნ-წკარუნით ნელი და უღმობელი. ხმაურით და უფრო ძლიერდებოდა, აუტანლად ძლიერდებოდა, უფრო და უფრო ახლოვდებოდა, თითქმის ფიზიკურად შეიგრძნობდა ამ მოოქროვილ წკრიალს. ახლა მის წინ იყო, ნამდვილად მის წინ იყო, სწორედ ახლა, ამ წუთში, მის წინ.

ერვე ჟონკურმა თავი ასწია.

მომაჯადოებელი ნაჭრები, აბრეშუმის ქსოვილები ტახტრევნის გარშემო. ათასი ფერი: ფორთოხლისფერი, თეთრი, ჟანგისა და ვერცხლის ფერი. ერთი ბენო ჭუჭრუტანაც არ იყო ამ შესანიშნავ ბუდეში, ამ ფერთა შრიალსა და ბიბინში, მიუნვდომელსა და მსუბუქში...

ერვე ჟონკურს არ გაუგონია გასროლის ხმა მისი სიცოცხლე რომ უნდა მოეცელა. ესმოდა მიმავალი ხმები, იგრძნო, როგორ მოაცილეს კეფიდან ლულა და გაიგონა პარა კეის უმშვიდესი ხმით ნათქვამი:

— ნაეთრიეთ, ფრანგო! და აღარასოდეს დაბრუნდეთ!

49

მდუმარება იყო გზაზე, პატარა ბიჭის სხეული მიწაზე და მის წინ დაჩოქილი კაცი დღის შუქის უკანასკნელ გაკრთომამდე.

50

ერვე ჟონკურს თერთმეტი დღე დასჭირდა, იოკოჰამამდე რომ მიეღწია. მოისყიდა იაპონელი მოხელე და თექვსმეტი კარდონი კვერცხი მოიპოვა, კუნძულის სამხრეთიდან ჩამოტანილი. ისინი აბრეშუმის ნაჭერში შეახვია, ხის ოთხ მრგვალ ყუთში ჩააწყო და დალუქა.

შემდეგ ძლივს შესძლო კონტინენტისაკენ მიმავალ გემზე დაჯდომა და მარტის პირველ დღეებში რუსეთის სანაპიროს მიადგა. რაც შეიძლებოდა ჩრდილოეთის გზა აირჩია, რომ სიცივით როგორმე შეენარჩუნებინა კვერცხების სიცოცხლე და გაეხანგრძლივებინა მათ გამოჩეკვამდე დარჩენილი დრო. სწრაფად გადაიარა ციმბირის ოთხი ათასი კილომეტრი, გადაკვეთა ურალი და სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა. ოქროს ფასად ნაყიდი ერთი ცენტნერი ყინული კვერცხებთან ერთად ჩატვირთა ჰამბურგში მიმავალი სამგზავრო გემის ტრიუმში. ექვსი დღე მოუნდა იქ ჩასვლას. გადმოტვირთა ოთხი მრგვალი ხის ყუთი და სამხრეთისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდა. თერთმეტი საათის მოგზაურობის შემდეგ, სწორედ სოფელ ებერფელდის გასასვლელთან, მატარებელი გაჩერდა წყლის მარაგის ასაღებად.

გაზაფხულის მზე დანათოდა ხორბლის მწვანე მინდორსა და მთელ დედამიწას. მის წინ რუსი ვაჭარი იჯდა: ფეხსაცმელები გაეხადა და გერმანული ჟურნალის გარეკანით იწიავებდა. ერვე ჟონკური ხედავდა ოფლის ლაქებს მის პერანგზე და მარგალიტივით ასხმულ წვეთებს მის შუბლსა და კისერზე. რუსმა ღიმილით რაღაც თქვა. ერვე ჟონკურმაც გაუღიმა. ადგა, აიღო თავისი ბარგი და მატარებლიდან ჩავიდა. მივიდა ბოლო ვა-



გონ-ფურგონამდე, რომლითაც ყინულში ჩადებული თევზი და ხორცი გადაჰქონდათ. წყალი ისე დიოდა, როგორც ათასი ლურსმნით დახვრეტილი კასრიდან. გაალო ფურგონის კარი, ავიდა, ერთი მეტრის მიყოლებით გარეთ გამოიტანა ხის ყუთები და რელსების გვერდით მიწაზე დააწყო. შემდეგ კარი დახურა და დაიცადა. როცა მატარებელი წასასვლელად გაემზადა, დაუყვირეს ეჩქარა და ამოსულიყო. მან თავი გააუქნია და გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია. დაელოდა, როდის მიწყდებოდა მატარებლის ხმაური. შემდეგ ყუთებისკენ დაიხარა და ლუქები ააძრო. ნელა, მზრუნველად ხსნიდა.

ათასობით ჭია მკვდარი დახვდა.

1865 წლის 6 მაისი იყო.

51

ცხრა დღის შემდეგ ერვე ჟონკური ლავილდიეში ჩავიდა. მისმა ცოლმა შორიდანვე დაინახა მათი სახლის ჩრდილიან ხეივანში ამომავალი ეტილი. თავი დაარწმუნა, რომ არც უნდა ეტირა და არც გაქცეულიყო.

სადარბაზო კარამდე ჩავიდა, გაალო და ზღურბლზე დაელოდა.

ერვე ჟონკური მიუახლოვდა, გაულიმა, გულში ჩაიკრა და წყნარად უთხრა:

— დარჩი ჩემთან, გეხვეწები.

ლამე დიდხანს არ დაიძინეს. სახლის წინ ისხდნენ, ერთმანეთის გვერდი-გვერდ. ელენი ლავილდიეს, მოლოდინის თვეებისა და ბოლო საშინელი დღეების ამბებს მოუთხრობდა.

— შენ მკვდარი იყავი, — თქვა მან.

— შენ მკვდარი იყავი და აღარაფერი იყო კარგი და მშვენიერი ამქვეყნად.

52

ლავილდიეს ფერმებში ხალხი შეჰყურებდა თუთის გაფოთლილ ხეებს და თავის დაქცევას ხედავდა. ბალდაბიუმ იშოვა კვერცხები, მაგრამ ჭიები სინათლის დანახვისთანავე კვდებოდნენ. ძლივს გადარჩენილი ყაჭი შვიდიდან ორი ძაფსართავი ფაბრიკის ასამუშავებლად გაჭირვებით თუ იკმარებდა.

— რამეს ხომ არ აპირებ? — ჰკითხა ბალდაბიუმ.

— კი, — უპასუხა ერვე ჟონკურმა.

მეორე დღეს აცნობა, რომ ამ ზაფხულს სახლის გარშემო ბაღის გაშენება ჰქონდა განზრახული. მან ათობით ქალი და კაცი ჩართო ამ საქმეში. გააჩეხინა ტყე, დაადაბლებინა დაბლობისაკენ ჩამავალი დაღმართი. ხეებისა და მესრებისაგან მიწაზე მოხატეს მსუბუქი და გამჭვირვალე ლაბირინთი. ყველა ჯიშის ყვავილებისაგან გადაჩითეს ბაღი, რომელიც გასაოცრად ლამაზი გამოჩნდა არყის ხის ჭალაკის კორდზე. მდინარიდან წყალი ამოიყვანეს და ჩანჩქერებად დაუშვეს ბაღის დასავლეთ საზღვრამდე, სადაც იგი პატარა ტბას ქმნიდა. სამხრეთით ლიმონისა და ზეთისხილის ხეებს შორის ხისა და რკინისაგან დიდი ვოლიერი ააგეს, ცაში ატყორცნილი ნაქარგი რომ გეგონებოდა. ოთხი თვე იმუშავეს. სექტემბრის ბოლოს ბაღი მზად იყო. ლავილდიეში ჯერ მსგავსი არაფერი ენახათ. ხალხი ამბობდა, ერვე ჟონკურმა მას მთელი თავისი ქონება დაახარჯაო.



ასევე ამბობდნენ, იგი იაპონიიდან სხვანაირი დაბრუნდაო. იქნებ ავად-  
მყოფიცო. ამბობდნენ, კვერცხები იტალიელებს მიჰყიდა და ახლა პარი-  
ზის რომელიღაც ბანკში უზარმაზარი თანხა აქვსო. ამბობდნენ, მისი ბა-  
ლი რომ არა, წელს ყველანი შიმშილით ამოვიხოცებოდითო. ამბობდნენ,  
გაიძვერა და თაღლითიაო. ამბობდნენ, წმინდანიაო. იმეცხვერებდნენ,  
რალაც უბედურება სჭირსო.

ერვე ყონკური თავისი მოგზაურობის შესახებ მხოლოდ იმას ჰყვებო-  
და, რომ კვერცხები კიოლნის ახლოს ერთ სოფელთან გამოიჩეკა და დაი-  
ხოცა და რომ სოფელს ებერფელდი ერქვა.

მისი დაბრუნებიდან ოთხი თვისა და ცამეტი დღის მერე ბალდაბიუ  
ესტუმრა. ბალის დასავლეთ საზღვართან, ტბის ნაპირას პირდაპირ დაუჯ-  
და და უთხრა:

— ასეა თუ ისე, ერთ დღეს ვილაცას უნდა მოუყვე სიმართლე, ეს  
აუცილებელია.

ეს მშვიდად თქვა, თავს ძალა დაატანა, რადგან კარგად იცოდა, სი-  
მართლის თქმას ყოველთვის რომ არ მოაქვს სიკეთე.

ერვე ყონკურმა ბალს გახედა.

შემოდგომა იდგა. უცნაური შუქი მოჰფენოდა გარემოს.

— პირველად ჰარა კეი რომ ვნახე, თალხი ტუნიკა ეცვა, ფეხმორთხ-  
მული იჯდა უძრავად ოთახის უკანა კუთხეში. მის წინ ქალი იყო განო-  
ლილი, თავი მის მუხლებზე ედო. ქალის თვალებს არ ჰქონდათ აღმოსავ-  
ლური ჭრილი და სახე პატარა გოგოს მიუგავდა.

ბალდაბიუ უხმოდ უსმენდა ბოლომდე ებერფელდის მატარებლამდე.  
არაფერს ფიქრობდა.

უსმენდა.

უჭირდა მოსმენა.

— მე მისი ხმაც არ გამიგონია. — თქვა ბოლოს ჩუმად ერვე ყონ-  
კურმა.

და ერთი წამის შემდეგ დაუმატა:

— ეს უცნაური ტანჯვაა. მოკლედ, რალაცის ნოსტალგიაა, ასე ჰკლავთ  
ხოლმე იმაზე დარდი, რაც არასოდეს განუცდიათ.

გვერდიგვერდ მიდიოდნენ, ბალი ამოიარეს და ერთადერთი, რაც ბალ-  
დაბიუმ თქვა, იყო:

— ეშმაკმა დალახვროს, რატომ ცივა ასე, ძალღი არ გაიგდება გა-  
რეთ.

1866 წელს იაპონიამ ოფიციალურად ნება დართო აბრეშუმის კვერ-  
ცხის ექსპორტზე.

შემდგომ ათწლეულში საფრანგეთში უკვე ათი მილიონი ფრანკის  
იაპონური კვერცხი შემოდინდა.

1869 წელს სუეცის არხი გაიხსნა. იაპონიაში ჩასვლას ოც დღეზე მე-  
ტი აღარ სჭირდებოდა, დაბრუნებას უფრო ნაკლები.

1884 წელს ფრანგი შარდონე ხელოვნური აბრეშუმის პატენტს აი-  
ღებს.



ლავილდიეში დაბრუნების ექვსი თვის თავზე ერვე ჟონკურმა ფოსტით მდოგვისფერი კონვერტი მიიღო. როცა გახსნა, შიგ შიდა ფურცელი ნახა შავი მელნით ნაწერი, მჭიდრო იაპონური იდეოგრაფიული სავსე. კონვერტზე სახელისა და მისამართის მეტი არაფერი ეწერა. ლათინური შრიფტით. შტემპელის მიხედვით წერილი ოსტენდიდან უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი.

ერვე ჟონკური დიდხანს ფურცლავდა და აკვირდებოდა. პატარა ჩიტების ნაფეხურების ანაბეჭდის კატალოგი გეგონებოდათ, მეტიმეტი მონდომებით შედგენილი. ამაღელვებელი იყო იმის გაფიქრება, რომ ეს ნიშნები გადაბუგული ხმის ნაცრის ნაშთი იყო.

რამდენიმე დღე ერვე ჟონკური გულის ჯიბით ატარებდა ოთხად მოკეცილ წერილს. როცა კოსტუმს იცვლიდა, ფურცლები ახალ ჯიბეში გადაჰქონდა, არც ხსნიდა და არც ათვალთვლებდა. ხანდახან, როცა მოიჯარეს ესაუბრებოდა ან სადილს ელოდა ვერანდაზე მჯდარი, თითებით წერილს ატრიალებდა. ერთ საღამოს თავის კაბინეტში ლამპის შუქზე რომ დააკვირდა, გამჭვირვალე ფურცელზე პანანა ჩიტების ნაფეხურების ანაბეჭდები ყრუდ ამეტყველდნენ. ისინი ან რალაც სრულიად უმნიშვნელოს ამბობდნენ, ან მთელ ცხოვრებას აგირ-დაგირევდნენ. სიმართლის გარკვევა შეუძლებელი იყო და ეს ამბავი კიდევ მოსწონდა ერვე ჟონკურს. გაიგონა, ელენი რომ უახლოვდებოდა და წერილი მაგიდაზე დადო. ქალმა, როგორც ყოველ საღამოს, ძილის წინ კოცნა დაუპირა. როცა მისკენ დაიხარა, ლამის პერანგის გულისპირი ოდნავ გადაეხსნა. ერვე ჟონკურმა დაინახა, რომ შიგ არაფერი ეცვა და რომ მისი პატარა ქალწულებრივი მკერდი არნახულად თეთრი იყო.

ოთხი დღის განმავლობაში იგი ჩვეულებრივად ცხოვრობდა, არაფერი შეუცვლია თავისი ფრთხილი ცხოვრების წესში. მეხუთე დილას ჩაიცვა ნაცრისფერი ელეგანტური კოსტუმი და ნიშში გაემგზავრა. ასე თქვა, საღამომდე დავბრუნდებიო.

მოსკატის ქუჩის თორმეტ ნომერში ყველაფერი სამი წლის წინანდელივით დახვდა. დღესასწაული ისევ გრძელდებოდა. ქალიშვილები ყველანი ახალგაზრდები და ფრანგები იყვნენ. პიანისტი ხმადაბლა უკრავდა. სიმღერებში რუსეთის სული იგრძნობოდა. ოღონდ სიბერის ბრალი იყო თუ სხვა რამ სწებისა, ყველა სიმღერის შემდეგ მარჯვენა ხელს აღარ ისვამდა თმაზე და აღარ ჩურჩულებდა:

— ვუალა!

ჩუმად იჯდა დაბნეული და თავის ხელებს დასცქეროდა.

მადამ ბლანშმა უსიტყვოდ მიიღო. თმა შავად უბზინავდა ლამაზ აღმოსავლურ სახეზე. თითებზე ლურჯი პატარა ყვავილები ეკეთა ბეჭდები-



ვით. თეთრი გრძელი, თითქმის გამჭვირვალე კაბა ეცვა. ფეხშიშველი იყო.

ერვე ჟონკური პირისპირ ჩამოუჯდა. წერილი ამოიღო ჯიბიდან.

— გახსოვართ?

მადამ ბლანშიმა დასტურის ნიშნად თავი ოდნავ დახარა.

— ისევ მჭირდებით.

და წერილი გაუნოდა. ქალმა, თუმცა არაფერში სჭირდებოდა, გამოართვა და გახსნა. ერთიმეორის მიყოლებით გადახედა შვიდივე ფურცელს, შემდეგ ერვე ჟონკურს შეხედა.

— მე არ მიყვარს, ბატონო, ეს ენა. მე მისი დავინწყება მინდა, დავინწყება იმ ქვეყნისა, ჩემი იქ გატარებული ცხოვრების და ყველაფერი იქაურისა.

ერვე ჟონკური გაუნძრევლად იჯდა, ხელები სავარძლის სახელურისთვის ჰქონდა ჩავლებული.

— წაგიკითხავთ ამ წერილს. და ფულიც არ მინდა. ოღონდ შემპირდით, რომ მსგავსი თხოვნით აღარასოდეს მოხვალთ ჩემთან.

— სიტყვას გაძლევთ, მადამ.

ქალი თვალეში შეჰყურებდა. შემდეგ მზერა ბრინჯის ქალაღდის ფურცელზე გადაიტანა, შავი მელნით რომ იყო შევსებული.

— ჩემო უსაყვარლესო ბატონო,

დაიწყო მან:

— ნუ გეშინია, არ გაინძრე, მშვიდად იყავი, ჩვენ ვერაფერს ვცხედავს.

დარჩი ასე, გაუნძრევლად. მინდა გიცქირო. მე იმდენ ხანს გიმზერდი, შენ კი ჩემთვის არ გეცალა. ახლა ჩემი ხარ. გთხოვ, დარჩი ისე, როგორც ხარ, არ მომიახლოვდე, წინ მთელი ღამე გვაქვს. მინდა გიყურო, ამგვარი არასოდეს მინახიხარ, შენი სხეული ჩემია, შენი კანი... დახუჭე თვალები და შენს თავს მოეფერე, გთხოვ.

კითხულობდა მადამ ბლანში, ერვე ჟონკური უსმენდა.

თუ შეიძლება არ გაახილო თვალები, მოეფერე შენს სხეულს, შენი ხელები ისეთი ღამაზია, რამდენჯერ მიოცნებია მათზე და ახლა მინდა მათი დანახვა შენს კანსა და სხეულზე, მომწონს, ასე რომ ვხედავ, გთხოვ, ნუ გაახელ თვალებს, მე აქ ვარ, ვერაფერს დაგვინახავს, შენ გვერდით ვარ, მოეფერე შენს თავს, ჩემო უსაყვარლესო ბატონო, მოეფერე შენს ასოს, ძალიან ნაზად, გთხოვ.

ქალი გაჩერდა, — განაგრძეთ, გთხოვთ, — უთხრა კაცმა.

რა მშვენიერია შენი ხელი მანდ. არ გაჩერდე, მომწონს, რომ ვუყურებ, რომ გიყურებ, ჩემო საყვარელო ბატონო, არ გაახილო თვალები, ჯერ არა, ნუ გეშინია, მე შენთან ვარ, გესმის ჩემი? ეს ჩემი კაბის აბრეშუმია, არ გაახილო თვალები და ჩემი კანიც შენი იქნება.

კითხულობდა მადამ ბლანში, წყნარად ბავშვის ხმით კითხულობდა.

ჩემი ტუჩებიც შენი იქნება, პირველად სწორედ ტუჩებით შეგეხები, არ გეცოდინება სად, მაგრამ უეცრად იგრძნობ ჩემს ბაგეთა მხურვალეებას შენს სხეულზე, თუ თვალებს არ გაახელ, იგრძნობ ჩემს ბაგეებს, ოღონდ არ გეცოდინება სად, უეცრად იგრძნობ.



იგი გაუნძრევლად უსმენდა. მისი ნაცრისფერი კოსტუმის ჯიბიდან საოცრად თეთრი ცხვირსახოცი ჩანდა.

შეიძლება თვალეზზეც იგრძნო, მე ბაგით დავაწვები შენს ქუთუთოებს, წამწამებს, იგრძნობ, თუ როგორ შეაღწევს ჩემი სითბო შენს ტვინში და შენს თვალეზში, ტუჩებს დავაჭერ, პირს ოდნავ გავხსნი და ნელ-ნელა ქვევით ჩავუყვები.

ბიზლიძისა

კითხულობდა ქალი, თავი ფურცლისკენ შქონდა დახრილი და თითით კისერს იქექავდა. კაცი უსმენდა და კედელზე ჩამოკიდებულ ცარიელ ვერცხლის ჩარჩოს მიშტერებოდა.

და შემდეგ შენს გულს ვაკოცებ, რადგან მინდიხარ, მე დავკბენ კანს, შენს გულზე რომ ფეთქავს, რადგან მინდიხარ. და როცა შენი გული ჩემს ბაგეებში მოექცევა, შენ ჩემი იქნები. დიახ, ჩემი იქნები. შენ ჩემი გახდები სამუდამოდ, თუ ჩემი არ გჯერა, გაახილე თვალეზი, ჩემო უსაყვარლესო ბატონო. მე აქ ვარ. ვილაცას შეუძლია სამუდამოდ წაშალოს ეს წამი. ჩემს სხეულს, რომელსაც აბრეშუმის აღარ ფარავს, შენი ხელები ეხება, შენი თვალეზი მას უყურებენ.

წარმოთქვა ქალმა და ლამპისკენ გადაიხარა, შუქი ქალაღდს დანათოდა და მის გამჭვირვალე კაბაში იკარგებოდა.

შენი თითები ჩემს საშოშია, შენი ენა ჩემს ბაგეებზე, შენ ცურავ ჩემს სხეულზე, მაღლა სწევ ჩემს თეძოებს და წყნარად მაძლევ ნებას შენში შემოვცურდე. ვის შეუძლია ამ წამის წაშლა. შენ ჩემში ხარ და ნელა მოძრაობ, შენი ხელები ჩემს სახეზეა, შენი თითები ჩემს პირში, ნეტარება შენს თვალეზში, შენს ხმაში, ნელა მოძრაობ და მაინც ტკივილს იწვევ ჩემში,

კაცი უსმენდა, წამით მოტრიალდა და ქალს შეხედა, უნდოდა თვალი მოეშორებინა, მაგრამ ვერ შეძლო.

ჩემი სხეული შენს სხეულზეა, შენი ზურგი მაღლა მწევს, შენი ხელეპი არ მიშვეებენ, უნდათ იცოდნენ, სადამდე ვგრძნობ ტკივილს. სადამდეც შენ გინდა, ჩემო უსაყვარლესო ბატონო, ამას არა აქვს დასასრული, ეს არ შეიძლება დამთავრდეს, ვერ ხედავ? ვერავინ ვერ წაშლის ამ წამს. შენ სამუდამოდ გადამაგდებინე თავი უკან, კვნესით, სამუდამოდ ვხუჭავ თვალეზს, ცრემლები ჩამომდის წამწამებიდან. ჩემი ხმა შენსკა ერთვის. შენი თავაწყვეტილი სურვილია ხელშემოხვეული გეჭირო. აღარც დასასრულის დროა და აღარც წინააღმდეგობის გაწევის ძალა, ეს წამი უნდა ყოფილიყო, ეს წამი დადგა, დამიჯერე, ჩემო უსაყვარლესო ბატონო, და ეს წამი ამიერიდან სამარადჟამოდ იქნება.

წარმოთქვა ქალმა სუსტი ხმით და გაჩერდა.

მეტი აღარაფერი ენერა ფურცელზე, რომელიც ხელში ეჭირა: ეს ბოლო იეროგლიფი იყო.

მაგრამ რომ გადმოაბრუნა და დადება დააპირა, უკანა გვერდზე კიდევ დაინახა თეთრი ფურცლის შუაგულში შავი მელნით საგულდაგულოდ გამოყვანილი ნიშნები. ერვე ყონკურს შეხედა. კაცი თვალს არ აშორებდა და ქალი მიხვდა, რომ ულამაზეს თვალეზს ხედავდა. ისევ დახედა ფურცელს.

— ჩვენ ველარასოდეს შევხვდებით, ჩემო ბატონო.

ნაიკითხა მან:

რაც ჩვენ შორის იყო, რაც გაგაკეთეთ, თქვენც კარგად იცით. მერწმუ-



ნეთ, სამარადისოდ იქნება. მიგულეთ თქვენი ცხოვრების საფარად. მაგრამ თუ თქვენი ბედნიერებისათვის საჭირო იქნება, ნუ შეყოვნდებით დაივიწყოთ ის ქალი, ვინც ამ წუთში დაუნანებლად გემშვიდობებათ.

ცოტა ხანს ისევ დასცქეროდა ქალი ფურცელს, შემდეგ დანარჩენებს დაადო, გვერდით მდგარ ხის პატარა მაგიდაზე. ერვე ჟონკურს ნაწილად განძრეულა. მხოლოდ თავი მოაბრუნა და თვალები დახარა, დასწრებულს დასცქერდა თავისი შარვლის ნაოჭს, მარჯვენა ფეხზე ძლივს რომ ჩანდა, საზარდულიდან მუხლამდე, დახვეწილი და უზადო.

მადამ ბლანში ადგა, ლამპისაკენ დაიხარა და ჩააქრო. ოთახს მხოლოდ სალონის ფანჯრიდან შემომავალი მკრთალი შუქილა ანათებდა. იგი ერვე ჟონკურს მიუახლოვდა, თითიდან პანანინა ლურჯი ყვავილი წაიძრო და მის გვერდით დადო. შემდეგ ოთახი გაიარა და კედელში ჩამალული მოხატული ცარი გაალო, შევიდა და შეღებული დატოვა.

ერვე ჟონკური დიდხანს იჯდა ამ უცნაური შუქით განათებულ ოთახში, ხელში პანანუნა ლურჯი ყვავილების ბეჭედს ატრიალებდა. სალონიდან პიანინოს დაღლილი ხმა მოისმოდა. ეს ხმა დროს არად აქცევდა, ამის შეცნობა გულს ტკენდა კაცს.

ბოლოს ადგა, მიუახლოვდა თეთრი ხის პატარა მაგიდას და გაბნეული ბრინჯის ქალაღდის ფურცლები აიღო. გაიარა ოთახი, პატარა შეღებულ კარს ისე ჩაუარა, იქით არც კი გაუხედავს, და გავიდა.

60

შემდგომ წლებში ერვე ჟონკურმა უზრუნველყოფილი კაცის წყნარი ცხოვრება აირჩია, წინასწარ განსაზღვრული ზომიერი გრძნობებით მიმდინარე. ლავილდიეში ხალხს ისევ აღაფრთოვანებდა მისი პიროვნება, რადგან ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა, ხალხშიც ხშირად ჩნდებოდა. ამბობდნენ, კვლავ ისეთია, როგორც ადრე, ახალგაზრდობაში, იაპონიაში გამგზავრებამდე იყო.

ჩვეულებად ექცა თავის მეუღლე ელენთან ერთად ყოველწლიური ხანმოკლე მოგზაურობა. მათ მოინახულეს ნეაპოლი, რომი, მადრიდი, მიუნხენი, ლონდონი. ერთ წელს პრალამდეც კი ჩავიდნენ, სადაც ყველაფერი თეატრად მოეჩვენათ. მოგზაურობდნენ ყოველგვარი პროგრამისა და განსაზღვრული დროის გარეშე. ყველაფერი აოცებდათ, საკუთარი ბედნიერებაც კი. როცა სიმშვიდე მოენატრებოდათ, ლავილდიეში ბრუნდებოდნენ.

ერვე ჟონკურისთვის რომ გეკითხათ, ასე იცხოვრებდა მუდამ. მას იმ ადამიანის სულიერი სიმშვიდე ჰქონდა, ვინც თავისი ადგილი იპოვა ცხოვრებაში. ხანდახან, ქარიან დღეებში ბალს გადაივლიდა და ტბასთან ჩადიოდა. საათობით იჯდა ხოლმე ნაპირზე და გაჰყურებდა წყლის ლაპლაპა ზედაპირს, რომელზეც ქარი უჩვეულო ფიგურებს ხატავდა. ქარი ერთი იყო, მაგრამ წყლის ამ სარკეში, იფიქრებდი, ათასიყო. თითქოს ათასი მხრიდან მოჰქონდა. ეს ნამდვილი სანახაობა იყო. აუხსნელი და მსუბუქი.

ქარიან ამინდში ერვე ჟონკური საათობით გაჰყურებდა ხოლმე ტბას. ასე ეგონა, წყლის ზედაპირზე მისი გარდასული ცხოვრება ისახებოდა. მსუბუქი და აუხსნელი.



1871 წლის 16 ივნისს ვერდენის კაფეს უკანა დარბაზში შუადღეზე ცოტა ხნით ადრე, ცალხელამ რეტროს ეფექტით ოთხი წარმოუდგენელი ბურთი ჩააგდო და მოიგო. ბალდაბიუ ბილიარდის მაგიდაზე გადახრილი დარჩა. ცალი ხელი ზურგს უკან ჰქონდა, მეორეში კი ეჭირა დაუნდობელი.

— აი, მოსახდენიც მოხდა.

გასწორდა, დადო ბილიარდის კია და გამოუმშვიდობებლად გავიდა. სამი დღის შემდეგ ქალაქიდან გაემგზავრა. თავისი ორი ძაფსართველი ფაბრიკა ერვე ჟონკურს აჩუქა.

— აბრეშუმის გაგონებაც კი აღარ მინდა, ბალდაბიუ.

— გაყიდე, ბრიყვო.

კაციშვილმა ვერ წამოაცდენინა, საით წასვლას ან რის გაკეთებას აპირებდა. რალაც ჩაილაპარაკა წმინდა აგნესის შესახებ, რაც, კაცმა რომ თქვას, ვერავინ გაიგო.

დილით ერვე ჟონკურმა და ელენმა ავინიონის რკინიგზის სადგურამდე მიაცილეს. მარტო ერთი ჩემოდანი ჰქონდა და ესეც გასაკვირი იყო. როცა ბაქანზე ჩამომდგარი მატარებელი დაინახა, ჩემოდანი დადო.

— ადრე ერთ კაცს ვიცნობდი, რომელმაც რკინიგზა მარტო თავისთვის გააყვანინა. — თქვა მან. — და ყველაზე საოცარი ის იყო, რომ სულ პირდაპირ გააყვანინა, ასიოდე კილომეტრზე ერთი მოსახვევიც არ იყო. ამას სხვათა შორის კი ჰქონდა რალაც ახსნა, მაგრამ აღარ მახსოვს, რა ყოველთვის გავიწყდება რალაც. მოკლედ ასეა თუ ისეა, მშვიდობით.

სერიოზული საუბარი მართლაც არ იყო მისთვის ჩვეული რამ. არადა, გამომშვიდობება სერიოზული საუბარია...

ხედავდნენ, როგორ შორდებოდათ თავისი ჩემოდნით სამუდამოდ.

უეცრად ელენმა უცნაური რამ ჩაიდინა. მოწყდა ერვე ჟონკურს, ბალდაბიუს გაეკიდა, დაენია, გულში მაგრად ჩაიკრა და აქვითინდა.

მანამდე ელენს არასოდეს უტირია.

ერვე ჟონკურმა ორი ძაფსართველი ფაბრიკა სასაცილო ფასში მიჰყიდა მიშელ ლარიოს, იმ კარგ კაცს, ვინც ოცი წლის განმავლობაში ყოველ შაბათ სალამოს დომინოს ეთამაშებოდა ბალდაბიუს და მუდამ ერთგულად აგებდა. მას სამი ქალიშვილი ჰყავდა. უფროსებს ფლორანსი და სილვი ერქვათ. ნაბოლარას აგნესი.

სამი წლის შემდეგ 1874 წლის ზამთარში ელენი ავად გახდა ტვინის ანთებით და ვერც ერთმა ექიმმა ვერ უშველა. იგი მარტის დასაწყისში, ერთ წვიმიან დღეს გარდაიცვალა.

მის გასაცილებლად მთელი ლავილდიე გამოეფინა, რადგან იგი თავაზიანი და სათნო ქალი იყო და თავის განცდებს სხვას არ ახვევდა თავს.

ერვე ჟონკურმა საფლავზე ერთადერთი სიტყვა ამოატვიფრინა:

ვაგლახ.

მადლობა გადაუხადა ყველას, ათასჯერ გაიმეორა, რომ არაფერი



სჭირდებოდა, და შინ დაბრუნდა. არასდროს მოჩვენებია სახლი ასეთი დიდი და თავისი ბედი ასეთი უაზრო.

რადგან უიმედობა მისთვის უცხო ხილი იყო, იმას მიუბრუნდა, რაც ცხოვრებაში დარჩენოდა — მან მებაღის მოვალეობა იკისრა, უთენია დგებოდა ქარშიაც და თავსხმაშიც.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

63

ელენის გარდაცვალებიდან ირი თვისა და თერთმეტი დღის შემდეგ სასაფლაოზე მისულ ერვე ჟონკურს ვარდების გვერდით, ყოველ კვირას რომ მოჰქონდა მეუღლის საფლაოზე, პანანა ლურჯი ყვავილების ბეჭედი დახვდა. იგი გაოცებული დაიხარა და კარგა ხანს აკვირდებოდა. ვინმე შემთხვევით გამვლელს რომ დაენახა ეს წაკუზული კაცი, სასაცილოდ თუ არა, უცნაურად მაინც მოეჩვენებოდა. შინ დაბრუნებული ჩვეულებისამებრ ბაღში სამუშაოდ აღარ გასულა, დიდხანს იჯდა კაბინეტში და ფიქრობდა. რამდენიმე დღის განმავლობაში სხვას არაფერს აკეთებდა, ფიქრობდა და ფიქრობდა.

64

მოსკატის ქუჩის თორმეტ ნომერში მკერავის ატელიე დახვდა. უთხრეს, მადამ ბლანში უკვე ერთი წელია აქ აღარ არისო. ძლივს შეიტყო, რომ იგი პარიზში გადასულიყო, სადაც ვიღაც ფრიად დიდი კაცის საყვარელი გამხდარიყო, მგონი, პოლიტიკოსისაც.

ერვე ჟონკური პარიზს გაემგზავრა.

ხუთი დღის შემდეგ ძლივს გაიგო ქალის მისამართი. სიტყვა შეუთვალა და მიღება სთხოვა. მან უპასუხა, რომ მეორე დღეს ოთხ საათზე ელოდებოდა. ზუსტად დროზე მივიდა. ავიდა კაპუჩინების ბულვარზე მდებარე კოხტა სახლის მესამე სართულზე. მოახლე ქალმა კარი გაუღო, სალონში შეუძღვა და დაბრძანება სთხოვა. მადამ ბლანში ძალზე ფრანგული და ძალზე ელეგანტური კაბით შემოვიდა. თმა მხრებზე ჰქონდა ჩამოშლილი, როგორც ამას პარიზული მოდა მოითხოვდა. თითებზე ლურჯი ყვავილების ბეჭდები აღარ ეკეთა. იგი ერვე ჟონკურის წინ დაჯდა. სიტყვა არ დაუძრავს, ელოდა, კაცი რას ეტყოდა.

კაცი თვალეებში ბავშვივით შეჰყურებდა.

— თქვენ დანერეთ არა, ის წერილი? ელენმა გთხოვათ და თქვენც დანერეთ?

მადამ ბლანში არ განძრეულა, არც თვალეები დაუხრია და არც გაკვირვება დასტყობია. თვალმოუცილებლად შეჰყურებდა კაცს, ბოლოს კი უთხრა:

— არა, მე არ დამინერია.

დუმილი.

— წერილი ელენმა დანერა.

დუმილი.

— ელენს უკვე დანერილი ჰქონდა, ჩემთან რომ მოვიდა. მან მისი იაპონურად გადაწერა მთხოვა. და მეც გადაწერე. ესაა სიმართლე.

ერვე ჟონკური მიხვდა, რომ ეს სიტყვები მთელი ცხოვრების მანძილზე იყლებოდა მის ყურებში... მერე ადგა, შეჩერდა, თითქოს დაავინწყდა, სად მიდიოდა. სადღაც შორიდან მადამ ბლანშის ხმა მოესმა:



— მან ეს წერილი წამიკითხა. არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა. და ისეთი გრძნობით კითხულობდა ამ ფრაზებს, ვერასოდეს დავივიწყებ. თითქოს ისინი მართლაც მას ეკუთვნოდა.

ერვე ჟონკური ნელი ნაბიჯით წავიდა კარისკენ.

— იცით, ბატონო, ვფიქრობ, მას ძალიან უნდოდა, ყველაფერზე მეტად უნდოდა ის ქალი ყოფილიყო. თქვენ ვერ გაიგებთ. მაგრამ მე, მე მოვუსმინე, როგორ კითხულობდა წერილს, და ვიცი, რომ ეს ასეა.

ერვე ჟონკური კართან მივიდა, სახელურს ხელი მოჰკიდა და უკანმოუხედავად წყნარად თქვა:

— მშვიდობით, მადაშ.

მათ ერთმანეთი აღარასოდეს უნახავთ.

ერვე ჟონკურმა კიდევ ოცდასამი ნელი იცოცხლა. მეტწილად ჯანმრთელად და მშვიდად. ის აღარც ლავილდიეს მოსცილებია და აღარც თავის სახლს. გონივრულად განაგებდა თავის ქონებას. უზრუნველყოფილი იყო და თავის ბაღს უვლიდა. ხანი გამოხდა და იმაში ჰპოვა სიამოვნება, რასაც ადრე უარყოფდა: მის 'სანახავად მოსულ ხალხს თავისი მოგზაურობის ამბებს მოუთხრობდა. მისი მოსმენით ლავილდიელები ქვეყნიერებას ეცნობოდნენ, ბავშვები კი სასწაულებს. იგი მშვიდად ჰყვებოდა. ჰაერში ხედავდა იმას, რასაც სხვები ვერ ხედავდნენ.

კვირაობით დაბაში მიდიოდა დიდ მესაზე დასასწრებად. წელიწადში ერთხელ ძაფსართავეებს ჩამოივლიდა, რათა ახალშობილი აბრეშუმისთვის შეეველო ხელი. როცა მარტოობა შემოაწვებოდა, სასაფლაოზე გადიოდა და ელენს ესაუბრებოდა. დანარჩენი დრო ჩვეულებების მსახურებაში გადიოდა. ჩვეულება მას ჭმუნვისაგან იცავდა. ხანდახან ქარიან დღეებში ტბაზე ჩადიოდა და საათობით გაჰყურებდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ წყალზე მისი გარდასული ცხოვრების მსუბუქი და აუხსნელი სპექტაკლი თამაშდებოდა.





გარბანტუა და კანტაბრუელი



თარგმანა გუკამ გოგიაშვიდმა

ქველი კანტაბრუელის საბირო მეჭეობისა და სიტყვაბრძნობის მეხუთე და გოლო წიგნი

მედიცინის დოქტორის მეტრ ფრანსუზ რაბლეს აღნაძვნი

რომელიცა შეიცავს ღუთაებრივი ბაკბუკისა ორაკულის მოკითხვა-მონახულების ამბავსა, აგრეთვე ბოცა-ბოთლისა თავად იმა თქმულსა, რისა გულისთვისაც წამოიწყო ხანგრძლივი ესე მოგზაურობა

გამოცემულია 1564 წელსა

მეტრ ფრანსუზ რაბლეს პირველსათხმელი კანტაბრუელის მეჭეობისა და სიტყვაბრძნობის მეხუთე წიგნისთვის

კათილმიდრაკილ მკითხველთ

მარადის მთვრალნო, ეშმაკისა ძმანო და უნამეტნავისად ძვირფასნო ცუდჭირშეყრილნო! სანამ მოცლილნი ხართ და სხვა უფროისად საკათიელი, ანუ ძნელისა მსგავსი რამე საქმე არა გაგჩენიათ რა, გავბედავ და შეგეკითხებით, რატომ იქცა ჩვენსა დროში მოარულ კოსედ, მოარულ სიტყვისა მასალად: „ქვეყანა სულელი (fat) აღარ არისო?“ Fat ლანგედოკური სიტყვაა და ჩვენებურად უარზანიკოსა ნიშნავს, იგივე უმარილოსა, მტკნარსა, უგემურსა, უფერულსა, გადატანილი აზრით კი — სულელსა, უფხო-უსულგულოსა, აბუეტსა, უტვინოსა. თქვენც ადგებით და, ვიცო, ამის პასუხად სიტყვასა შემიქცევთ, აქეთ შემეკითხებით, და ლოგიკურად ნამდვილად აგრეც არის, აქამდე რა, ქვეყანა სულელი იყო და ანლა დაჭკვიანდაო? კი, მართალნი იქნებით, მაგრამ ახლა იმას აღარ იტყვით, რაერთი და რა ვითარება-გარემოებისდა ძალით იყო ის სულელი? რაერთი და რა ვითარება-გარემოებისდა ძალით დაჭკვიანდა? რად იყო სულელი? რატომ დაჭკვიანდა? მაინც რაში ხედავთ იმის ადრინდელ სისულელესა? მაინც რაში ატყობთ ახლანდელ სიბრძნესა? ვისი ბრალია, რომ სულელი იყო? ვის უნდა უმადლოდეს



დაჭკვიანებასა? ვინ უფრო მეტნი არიან: ვისაც ის სისულელისა გულისთ-  
ვის უყვარდა თუ ვისაც ჭკუისა გულისთვის უყვარს? რაზომ ხანგრძლივ  
იყო სულელი? რაზომ ხანგრძლივ იქნება ჭკვიანი? საიდან წარმოდგებოდა  
იმისი წინანდელი სისულელე? საიდან წარმოდგება აწინდელი სიბრძნე?  
რატომ სწორედ ამხელად, და არა უფრორე გვიან, წარმოდგენა იმისი ად-  
რინდელი სისულელე? რატომ სწორედ ამხელად, და არა  
უფრორე გვიან, დაეწყო ახლანდელი სიბრძნე? რა ბოროტება იყო შე-  
დნობილ-შეუღლებული იმის ადრინდელ სისულელესთან? რა სიკეთეს გვი-  
ქადის იმისი ამჟამინდელი სიბრძნე? რა მოუვა იმის უწინდელ დამხობილ  
სისულელესა? რა მოუვა იმის აწინდელ აღორძინებულ სიბრძნესა?

უპასუხოება არ გამოვა, მიპასუხეთ, თუ ღმერთი გწამთ! სხვასა არც-  
რას დავაფიცებ თქვენთა მალაღლირსებათ, რა ვიცი, კაცნი ვართ, ემანდ  
მამა-პაპათა საფლავნი არ შეგინუხოთ. ნუ კრთით, მიდით, თავლაფი და-  
ასხით უფალ ტაიფელსა,<sup>1</sup> მაგ სამოთხისა და ჭეშმარიტებისა მტერსა.  
მხნედ, შვილნო ჩემნო! უკეთუ ღვთისა კაცნი ხართ, ადექით და წინათქმისა  
მაგივრად ჯერეთ, სულ ცოტა, ხუთ-ხუთი შუშა მაინც გადაყლურწეთ, მერ-  
მეთ კი, შემოგველოთ ჩემი თავი, შემისრულეთ ნუკვა, ხოლო უკეთუ ღვთი-  
სა კი არა, ვიღაც-ვიღაცათა მსახურნი ხართ, მაშინ, vade retro  
Satanasi! დიდსა შერლიბერლისა ვფიცავ,<sup>2</sup> ამა ამბავსა თუ არ გადამა-  
წყვეტინებთ, სინანულისა გზასა დავადგები, ის კი არა, აწ უკვე ვნანობ  
კიდევაც თქვენთან საქმისა დაჭერასა. არადა, ოდენ ჩემგან ამისა გადანყ-  
ვეტა არცათუ ნაკლებ საძნელოა, ვინემ მგლისა ორივე ყურითა დაჭერა.

ჰა, რასა შვრებით? კი, ბატონო, ყველაყა გასაგებია: სიტყვისგება გი-  
ჭირთ, გაბედულება არა გყოფნით. ნიკაპისა თმისა, ანუ წვერისა მადლმან,  
არცალა მე გამოვიდებ თავსა. ვისაც უნდა, იმან გადანყვიტოს. მე მარტო  
იმას გიმთხრობლებთ, რა ისიტყვა ერთმა წინასწარმეტყველებისა სახადელ-  
ზედ მოსულმა პატივდებულმა სწავლულმა კაცმა, პრელატურ გუდა-  
სტვირად სახელდებული წიგნისა მთხზველმან. მაინც რაო, რასა უბ-  
ნობს ის ძუკნისა დაგდებული ისა? რასა უბნობს და, ყური მიგდეთ, ჭკუ-  
ისა უბედურნო, სასმენელნი გაამახვეთ!

საიუბილეო წელიწადი მოჰყვება პარსვას,  
ყველას მოალხენს, ანადიმებს, ვინც სვამს და არ სვამს.  
გადაამეტებს წელიწადით სამ ათეულსა,  
მაშინ ქვეყანას, სულელსა და გადარეულსა,  
გონსა მოიყვანს მხოლოდ წიგნი, ისლა უშველის,  
და თუ რამ კვირტი დარჩენილა სადმე უშლელი,  
იმ გაზაფხულზედ გაცოცხლდება, გაახელს თვალსა.

გაიგონეთ? აზრი აართვით? ჩახვდით აზრსა? ძველი მეცნიერი კაცია,  
გონებავრცელი, სიტყვა მოკლედ მოჭრილი აქვს, თქმულობა — სკოტური  
და ბუნდოვანი. თუმცა კი თავისთავად დია საგულისყურო და ძნელგასა-  
გებ საგანზედ მსჯელობს, მაგრამ ამა გონებაამხედველებული კაცისა უმ-  
ჯობეს მთარგმანებელთ ეს ადგილი აგრე აქვთ განმარტებული: საიუბი-  
ლეო წელიწადი უცილობლად ოცდაათისა შემდგომ უნდა დადგეს, მაშა-  
სადამე, სწორი გამოთვლისადა თანახმად, საიუბილეო წელიწადსა ათას ხუ-

\* განვედ, სატანავ! (ლათ.).



თას ორმოცდაათი უწევს. იმა წლისა ფერ-ეშხსა და წყალჯავარიანობასა უკვე არცაღა დაემუქრება. გაზაფხულზედ ქვეყანასა არცვინ ხელსა და სულელსა არღა დაუძახებს. ყოველნი სულელნი, რომელთა რიცხვიც, ვითარ სოლომონი ირწმუნება, უსასრულოა, სულ ერთიანად ბოლმისგან ამონყდებიან, ზედვე მიჰყვება ყველნაირი დანარჩენი სისულელე, რამდენსა ნაირსახეობაცა, ვითარ ავიცენა ამტკიცებს, აურაცხელია: *Ungulae, sicuti sunt species,\** და თუ ავად სუსხიან ზამთარში სისულელე სადმე ქალაქ ადგილას იჩენდა ხოლმე თავსა, შემდგომ ისა კვალად სოფელ ადგილსა უბრუნდებოდა და ბორობან ხესაებრ ყვაოდა. ამასა ჩვენი ქირნახულობა, ანუ გამოცდილება გვასწავლის, ყველას განა არ მოგეხსენებათ, ყოველნი თავად მოსწრებიხართ. ეგევე დაგვიმტკიცა ძველად, უწინდელსა დროში, ისეთმა ბრძენმა ბერიკაცმა, ჭკუისა ლამპარმა, როგორცა რომ ჰიპოკრატეა, თვისთა აფორიზმთა შინა: *Verae etenim maniae\*\** და ა. შ. ოდეს ქვეყანა ჭკუაში ჩავარდება, ბაკლა-ცერცვისა ყვავილსა არცრისა შიში არ უნდა ჰქონდეს გაზაფხულზედ, ანუ იგივე მარხვაში (თქვენ კი ხელჩოლრათომოვარგებულნი და თვალშეცრემლებულნი დასტურ წინ-წინ იწურავდით სასოსა), მრავალთ უმრავლესი წიგნი, რიგი და რიგი, გარეგნულად უცხოდა აყვავებული, დამწყაზრულ-ყვავილოვანი, პეპელათაებრ ფერადოვანი, ნამდვილად კი ძნელმისახვედრი, გულისა გამაწვრილებელი, ძილისა მომგვრელი, თავშესაწყენი და მავნე, ვითარცა პერაკლიტეს აღნაქვსნი, და ბუნდოვან-გაუგებარი, ვითარცა რიცხვნი პითაგორასი (ვინაც, ჰორაციაუსისდა მიხედვით, ბაკლა-ცერცვთა მეფესა წარმოადგენდა), უკლისად დაიღუპება, წარიტყვენება, არცვინ იმა წიგნთაგანსა ხელთ არ აიღებს, არცვინ გადაშლის და არცვინ წაიკითხავს. აი, განგებამ რა დააბედა, და ბედისწერა ესე ან აღსრულდა.

სუყოველი ის წიგნი პარკ-კურჩხიან ბაკლა-ცერცვთ, ანუ მხიარულ და ნაყოფიერ პანტაგრუელურ წიგნთ შეცვალებს, რომელთაც დღეს პირდაპირ დაეძებენ, რამეთუ მომავალი საიუბილეო წელიწადისა წინარე ყოველნი კაცნი იმათი კითხვითა არიან გატაცებულნი, და სწორედ ამისა გამოა, რომ უბნობენ, ქვეყანა ჭკუაში ჩავარდა, გონსა მოეგოო. ასეა თუ ისე, ეს თქვენი გადასაწყვეტი და გადასაჭრელი ამბავი უკვე გადაწყდა და გადაიჭრა. რახან აგრეა, მარჯვე შემთხვევა ესე ხელიდან არ გაუშვათ და ვითარ წესიერ ხალხსა ხამს, ისერიგად მოიქეცით. ერთი-ორჯერ ჩაახველ-ამოახველეთ და ცხრა სასმურ-ჯამფილა უსუნთქებლივ გადაუშვით, მით უმეტეს, ყურძნისა მოსავალი ზღვად გასკდა, მევახშენი კი ზედაზედ თავსა იხრჩობენ: კარგმა ამინდმა თუ კიდევ გასტანა, იცოცხლეთ, გვარიან თოკისა ფულსა დავცინცლავ. მეც ახლა ისეთი აბუქა და გულუხვი, მოიეფე ვინმე მნახეთ, დავდგები და ერთთავად მუქთად მივართმევ შიშთვილსა, ანუ სარჩობელ თოკსა, როცა კი მავანი და მავანი იმათგანი იზრახავს, აზირ მე თვითონ ჩამოვიხრჩო თავი, რაღა სიკვდილისა მოხელესა ვისმე მივცე ფულიო.

იმისთვის, რათა თქვენც ეზიაროთ სიბრძნესა, ან რომ იდგამს ფესვ-ბორჯსა და მეუფდება, ხოლო ადრინდელი სისულელისგან იჯმნათ, თუ ხათრი გაქვთ, ხანსა ნულა დაზმით, მიადექით და ყოველგან პირწმინდად

\* უგუნურობისა ნაირგვარობა უთვალავია (ლათ.).

\*\* გაზაფხულსა მოსდევს უგუნურობა. (ლათ.).



ნარხოცეთ ოქროს ბარკლიანი ძველი სიბრძნისმეტყველისა სიმბოლო,<sup>1</sup> რომლისა შემწეობითაც აგიკრძალათ მან ბაკლა-ცერცვისა სამტყლადად, ანუ საჭმელად ხმარება, რამეთუ ყოველთა ქველთა პურისმტეთ დამტკიცებულად და დადგინებულად მიაჩნიათ, რომ იმავე მიზნით აგიკრძალათ, რა მიზნითაც ვეჟილ სენიორ დე კამლოტიერის ძმისწულს<sup>2</sup>; ჩვენი მკურნალი, ცხონებული ამერი, სნეულთ კაკბისა ფრთისა, ტყის ქათმის კურტუმისა და ინაგა-მტრედის კისრისა ჭამასა უკრძალავდა, ეშმაკურად ეუბნებოდა: *Ala mala, eroppium dubium, collum bonum pelle remota,*<sup>3</sup> და რაც რამ კარგი ნაჭერი იყო, თავისად ინარჩუნებდა, ზაპილო-სნეულთ კი ძვალთდა აღრღნევიანებდა.

დასახელებული სიბრძნისმეტყველისა მაგალითსა ვიეთნი მოწესე მიმდევარნიც გამოუჩნდნენ: თქვეს და აკრძალეს ბაკლა-ცერცვი, ანუ სუყოველი პანტაგრუელური წიგნი, და, რახან ბაძვაა, ბაძვა იყოსო, არცა კიდევ ფილოქსენესა და გნატონ სიცილიელსა ჩამოუვარდებოდნენ: ეს იმათი ბერმონაზვნური გემოთმოყვარებისა და სამკუჭაობის მამამთავარნი, პურობა-ნადიმა და მსხდარნი, მაზა-მაზა საკბილოსა ეგრევე ზედანერწყვებდნენ, ემანდ (ღმერთმა დაგვიფაროს) სხვა ვინმე არ დახარბდეს და არ გადაილოსო. აი, რარიგ სძაგთ ამა ქეციან, ცინგლიან, ჭიან, ლეზვდორბლიან ცრუნმინდანთ ხსენებული სუყოველა გემოკეთილი წიგნი, ცხადადაც სძაგთ და ფარულადაც, თავიანთ ცუდკაცობასა ვერლა მალავენ და, რის სინდისის ქენჯნა, რა სინდისის ქენჯნა, დამდგარან და არც ერთ წიგნსა დაუფურთხებელ-დაუპურჭყებელსა არ უშვებენ. თუმცაღა, ან იმის შესაძლებლობასა არა ვართ მოკლებულნი, ჩვენს გალურ ენაზედ ვიკითხოთ, გინდ ლექსად, გინდ პროზად, არა ერთი და ორი ჩინებული რამ ქმნილება-აღნაქესი, და თუმცა, მოთნეობისა და გოტიკის საუკუნისგან არცათუ ბევრი სინმინდე შემოგვრჩა, მაგრამ ისინი, ერთი ანდაზისა არ იყოს, რჩეობენ, რომ გედებს შორის ბატურად ისისინ-იყიყინონ, ვინემ ესდენ გამორჩეულ მგოსანთა და ენამჭევრთა შორის უტყვ-მუნჯნი გამოჩნდნენ, რჩეობენ აგრეთვე, რომ ამა კეთილშობილი სახიობისა ესდენ ხმატკბილ მონაწილეთა შორის ვინმე ოტროველა-გაგრიისა როლი ითამაშონ, ვინემ უსიტყვო პირთა ბრბოსა შეერიონ, ბუზნი იჭირონ, ყურნი ცქვიტონ, ვითარცა არკადიულმა კარაულმა სიმღერისა ხმის გაგონებაზედ, და ხმაუყოფლად, უჩუმრად, ოდენ ნიშანთა ჩვენებით, გამოხატონ გულისპასუხი, სრულნი თანახმანი ვართ ესევეთარი როლისა თამაშისაო!

რახან ეს აზრი და რწმენა გამიჩნდა, ვიზრახე, რომ არცრა საძრახისი არა იქნება რა, უკეთუ ავიღებ და კვალად მივძრავ-მოვძრავ ჩემსა დიოგენურსა კასრსა, რათა მერმეთ კბილქვეშ არ მომიტანოთ და არ გამიტანგამომიტანოთ, ვითომ არცვის მაგალითსა არა ვბაძავდე.

თვალთაგან არცროდის ვიშორებ, ნიადაგმცა წინ მიდგანან და შევმზერ უამრავ სულ სხვადასხვანაირ კოლინეს, მაროს, დრუეს, სენ-ჟელეს, სალელს, მასუელს<sup>4</sup> და სხვა გალიელ მგოსან-მელექსეთა და ენამჭევრთა გრძელ წყება-მწკრივსა.

შევმზერ და ვხედავ, რომ ამა კაცთ, კარგა ხანს პარნასისა მთაზედ აპოლონის სასწავლებელსა შინა დამოდღვრილთ, ოდეს მხიარულ მუზათა

<sup>1</sup> ფრთა მავნეა, კურტუმი საეჭვოა, კისერი მარგებელია, ოლონდ კანგაცილილიო (ლათ.).



თანა არც ერთსა არ ეკრძალვოდა ჰუნისა წყაროს პეშვ-პეშვ ხაპვა, ან უკლებლივ ხელი გამოუღიათ და ჩვენი სანიადაგო, ყოველდღიურად სამეტყველო ენისა მარად ჟამს საშენებელ შენობასთან ოდენ პაროსის მარმარილო-დრუნგილსა, ალებასტრსა, პორფირსა და ყოვლის უკეთეს სამეფო დუღაბსა ეზიდებიან; ესენი მხოლოდ საგმირო საქმეთ, დიადრე, ლუანდრე, საჩინო საგანთ, ძნელმისახვედრ და მიუნვდომელ ამბავთ აღწერენ, სახელებს კი, ნულა იტყვიან, ისეგვარად ტყლარჭავენ და ღვლარჭნიან. ამათ აღნაქვს-თხზულებათაგან მარტოოდენ ნექტარი დის, მამაზეციერთა უცხო რამ ძღვენი, კუნდიტი, ანუ შუშხუნა ნუნუა-ჭაჭანაური, შაქრითა მგბარი და სურნელებითა შეზავებული, კურთხეულ-კეთილმოქმედი. და პატივი ესე მარტო მამრთ არ ეკუთვნით, ისა მდედრთაც მიიმთხვიეს, და უწინარესად იმას ვგულისხმობ, ვისაც ძარღვთა შიგან საფრანგეთისა სამეფო სახლისა სისხლი უჩქეფს, ვისი სახელისა წარმოთქმაც სხვარიგ არ ეგების, თუ არა უაღრეს პატივსა არ მივაგებთ, ვინც საოცნებელ-განსაცვიფრებლად მოუვლინა ჩვენსა საუკუნესა თავისი სანერი ლერწმისა ნაღვანი, სულ ერთიანად აღმატებულნი გულისა ზრახვანი, სიტყვისა ნატიფნი მიმოხრა-მიმოქცევანი და მწყაზრად ქმნილი ენისა მშვენიებანი." მაშ, აბა, უკეთუ აფალა მოგდევთ, მიჰბაძეთ, კვალში ჩაუდექით, მე მაგათი მიბაძვისა თავი არა მაქვს, ვითარმედ კორინთსა ცხოვრება და მკვიდრობა სუყოველ კაცსა არ უხერხდება. არცა კიდევ სუყოველსა ჰქონდა იმის შეძლება, რომ სოლომონისა ტაძრის ასაგებად თავისი ქისა-თალისიდან დაედო ოქროს შეკელი. და რადგანაც სახუროთმოძღვრო საქმეში მე მაგათ ვერ დავუმხარდამხარდები, რენო დე მონტობანის კვალზედ შედგომა განვიზრახე: ავდგები და ქვითხუროთ თუ კირითხუროთ, ანუ კალატოზთ ავუქავრებ, დავეუმცროსები, მოვემზარეულები, თუმცალა ამხანაგად ვერ გავუხდები, მაგრამ სამაგიეროდ თავიანთ ზემადალფარდოვან აღნაქვსთა ერთ დაუშრომელ მსმენელს კი შემიძენენ.

გატყობთ, ზარხდომილთ სული გეპარებათ, თქვე ავყია და თვალმანკიერნო ზოილნო; მაშ, მიდით, ჩამოეკიდენით სადმე, ჩამოკონწიალდით, ოღონდ სათავისო ხე სუყველამ თავად აირჩიეთ. აქა, ჩემი ჰელიკონისა წინარე, ღვთაებრივ მუზათა თვალწინ, ალგითქვამთ და სიტყვასა არ გადავალ: ვიდრე ცოცხალთაგან გამოვიმარცვლებოდე, თუკი ჩემსა ძალღუმადურ ნუთისოფელსა მრთელად და უვნებლად მოვჭამ, და თანაც სამი ყორნისა სიცოცხლე მიწერია, ვითარ მოჭამეს თავიანთი ნუთისოფელი იუდეველთა წმინდა ბელადმა, მესაკრავე ქსენოფილემ და სიბრძნისმეტყველმა დემონაქტმა, მაშინ ყოველთა ამა ცალმოგვ მენიგნეთა ჯიბრზედ და გულისა გასახეთქად, ათასჯერ დაღეჭილსა და გადაღეჭილსა რომ ქექავენ, ლათინურ ძველმანთ რომ არუფიავებენ და კემსავენ, ჩარჩ-ვაჭრულად რომ ტრიალებენ, ეგების როგორმე გავასალოთ ძველნი, დაობებულნი და აზრდაკარგულნი ლათინურნი სიტყვანიო, თუ კაცი ვარ, არცრას არ მოვერიდები, ქვეყანას შევძრავ, რაერთიც ბინიანი და უდავო საბუთია, სულ ხელთ მოვიგდებ და დასტურეყოფ, ბეჭედსა დავუსვამ, რომ სანიადაგო ჩვენი ენა არამც და არამც არ არის ისერიგად მდარე, აბდაუბდა, ღარიბი და კნინი, ვითარცა მაგათ ჰგონიათ. ამიტომ ერთი რამ საგანგებოდ საქმნელი მადლისა უმორჩილესად მთხოვნელი ვიქნები: ვითარ უწინდელსა დროებაში, ოდეს ფებოსი სახელგანსმენილ მელექსე-მგოსანთ ყველაგვარ სიკეთესა უნაწილებდა, ესოპეს წილად მაინც დარჩა იგავთმწერლისა



ადგილი და სახელო-საურავი, იქნება, რახან მხედავენ, რომ არცრა უფროისად დიდსა რასმე ხარისხსა არ ვებლაუჭები, არ გადამიდვნენ ეგენი და ერთი მცირე სახელო არცა მე დამამუნათონ, მით უმეტეს, თანახმა ვარ, თუნდ სულაც რიპაროგრაფად, ანუ სიბილწისა მთხუპნელ ხურდა მხატვრად დამადგინონ, პირეიკოსის<sup>9</sup> მონაფედ; სარწმუნოდ<sup>10</sup> დამეუარებინან: ვიცი, რა ყოვლადმოწყალენი არიან, რა ყოვლადწყალობარენი, რა ზრდილნი და რა გულჩვილნი, ეგეთ ხალხსა ბევრს ვერა ნახავთ ქვეყანაზედ. ესეგვარ გზასა შემდგარნი, ლოთ-მებრუვენო, ესეგვარ გზასა შემდგარნი, მემთვრალენო, ეგ ზოილნი სრულად მთელს ჭირნახულსა დაადებენ ხელსა, თავიანთად გაიხდიან, რამეთუ ჟამ-ჟამად იდუმლივ თავშეყრილნი სხვათ ჩემთა წიგნთა შინაარსსა უამბობენ, თავად კი, რაც რამ ამა ჩემთა წიგნთა შიგან ღრმა საიდუმლოა, გაისაზრდობენ, გემრიელად მიპყოფენ პირსა, დაძმუნნიან და სუყოველი წიგნისა სახელ-დიდებასა თვითონ დაიჩემებენ, აკი აგრე ექცეოდა ალექსანდრე დიდი სწორუპოვარი სიბრძნისმეტყველის არისტოტელეს ქმნილება-თხზულებათ.

მაშ, აბა, მუცელი მუცელსა ახახუნეთ და ეგრე იყავით, თქვე გაიძვერა კაცნო, თქვე ყიამყრალნო, თქვენა!

ამასთან ერთ რამესა გირჩევთ, სერ-ნადიმთ გადაყოლილნო მოსმურნო: ვითარ თავსა დაიხელთებთ, მოიცლით და დროსა დაიცემთ, სულ შემოიარეთ რაერთიც წიგნისა ქულბაქია და, სადაც კი ჩემთა წიგნთ გადანყდებით, მაშინვე მოინაგრეთ, და არა ოდენ გაჩურჩეთ, არამედ ჩანთქეთ კიდევაც, ჩაიგემრიელეთ, გვამსა შიგან ჩაუშვით როგორაც გულისა გამამაგრებელი რამ ნამლეული, და მიხვდებით, რარიგ რგებენ ისინი ყოველთა ცერცვმჩურჩავთ, ჩემთვის ესდენ საყვარელთ. ან ერთ კობტა, პირთამდე სავსე ბაკლა-ცერცვიან კიშტე-ხელკალათას მოგართმევთ, რომელი ბაკლა-ცერცვიცა, ვით ამას წინათ, კვალად ჩემსა მტილ-ბოსტანში მოვპარკ-მოვკურჩხე, და ყელსა აგინევთ, ისე შემოგეხვენებით: მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ, ხოლო ლეგუტა-მერცხალნი მეორედ რომ მოფრინდებიან, კიდევ უფრორე გემოკეთილ რასმე ელოდეთ.

თ ა ვ ი

ვითარ მივიდა პანტაგრუელი კუნძულ ზარინაზედ, და კიდევ იმისა ჭამო, რა ხმიანობაც იმ გავიგონეთ

ის დღეც, მეორეც, მესამეც ისე დავალამეთ, ხმელეთი არ მოგვიხილავს და არცრა ახალი შეგვიმჩნევია, რამეთუ იქა ადრეც ვიყავით ნავალი. მეოთხე დღესა, პოლუსის შემოვლა რომ დავინწყეთ და ეკვატორსა განვშორდით, როგორც იყო, თვალი მოვატანეთ მშრალსა; ლოცმანმა გვითხრა, ეგატრიფას<sup>1</sup> კუნძულიაო, და ზედდატანებაზედ შორით ზარვა-ზრიალი, ანუ სარეკელთა კვრა მოგვეყურა, ხშირი და უთავბოლო; დიდი გარჩევა არ უნდოდა, ზოგი დედოზარი იყო, ზოგი მანკატა, პატარა, წვრილი, ანუ ზანზალა, ზოგი საშუალო, და ან სუყოველსა ერთად რეკაფდნენ, როგორც რომ გამორჩეულად ბედნიერ დღესა ხდება ხოლმე პარიზსა, ტურსა, ჟარჟოსა, მედონსა შინა და სხვაგან. რაც უფროისად ვუმანძილდებოდით, ზარვა-რეკვისა ხმიერებაც მით უფრო მატულობდა.

სუყოველნი საგონებელში ჩავცვივდით, ერთი ხელობა ვიფიქრეთ კი-



დეც, დოდონეური ეფვან-ზანზალაკნი<sup>2</sup> თუაო, ან ოლიმპიური ჰეპტაფონის პორტიკიამ,<sup>3</sup> ან უსუსტარი რამ ხმაა, ეგვიპტის თებეში მემნონის აკლდამასა ზედა დადგმული კოლოსი რომ გამოსცემსო,<sup>4</sup> ანდა ეგება ის ჟრიაბული და ჟღივჟღავია, უწინდელსა დროში ეოლოსის ერთ-ერთ, სახელდობრ ლიპარის კუნძულზედ რომ ისმოდა მავანი საძვალისა განუშრტვებლადო, გარეშემოო, მაგრამ ადგილმდებარეობისდა მიხედვით აგრე არ გამოდითოდა.

— აქ რალაც სხვა ამბავი უნდა იყოს, — წართქვა პანტაგრუელმა. — მგონი, მაგათ ფუტკრისა ნაყარი, ანუ ყოლი გაჰქცევიათ და, იქნებ როგორადმე უკან დავაბრუნოთო, დგანან და ტაფა-ტაფაკო, ქვაბ-კარდალთ, ტაშტ-ლაგანთ და ყოველთა ღვთაებათა დედამთავრის კიბელას კორიბანტულ წინწილთ არაკუნ-ახმიანებენ. რახან აქა ვართ, მივიდეთ ბარემ, მოვისმინოთ, ყურთ შევატყობინოთ!

კიდევ უფრო რომ მივვახლოვეთ, გაუთავებელ რეკვა-რეკვაში ჩვენთა სასმენელთ გაბმული გალობა მოსწვდა, სხვა ვინ იქნებოდა, დასტურ იქაურ მსახლობელთ ეგალობებოდათ. ამად, სანამ კუნძულ ზარიანსა მივადგებოდით, პანტაგრუელმა იქავ ერთ დაბალ კლდესთან ზარბუნათი მისვლა და იმის ძირას დადგრომა იზრახა, რამეთუ კლდისა შორიახლო მცირე რამ ნალკოტიანი ლაჭყორი ჩანდა.

მისულთ ერთი ვინმე ჩიბაკონა, ანუ სიმაღლეუქონელი, განდეგილი შეგვხვდა, ცოტა მოჩერჩეტო, სახელად საბიძალა, გლატინიელი; მან სარეკელთა კვრისა ამბავი სულ წვლილად, დოსტოლრივ აგვიხსნა და განგვიმარტა, გამასპინძლებით კი დია უცნაურად გაგვიმასპინძლდა. ოთხი დღე ზედიზედ უნდა იმარხულოთო, სხვანაირად კუნძულ ზარიანზედ არ გადაგიშვებენ, ფეხს არ დაგადგმევინებენო, იქ კი ან წელიწადისა ოთხი დროის მარხვა დაიწყოო.

— ვერ გამიგია, რასა უბნობ, — შეესიტყვა პანურგი, — შენ ალბათ ოთხი ქარისა დროზედ გველაპარაკები, მაგისთანა მარხვა, თქმა არ უნდა, მხოლოდ ქარითა გაგვბერავს. ნუთუ მარხვისა გარდაისად სხვა არცრა დროს ტარება არ უწყით? მართალი გითხრა, რალაც ჭკუაში არ მომდის. არცა სასახლისა კარზედ მოვსულვართ, არცა კიდევ გვეგამჩვენებება.

— ჩემი დონატუსი<sup>5</sup> ოდენ სამსა დროს არჩევს: ნამყოსა, ანმყოსა და მყოფადსა, — ჩააკერა ძმა ჟანმა. — მეოთხე დრო კი არაფერ შუაშია, უჯეროა.

— ეგ აორისტია, ბერძენთა და ლათინთა ფრიად სრულქმნილი დრო, ჩვენს არეულ და შფოთიან დროდ გადაქცეული, — ისიბრძნა ეპისტემონმა. — რას იზამ, იმა ერთი ბრმისა არ იყოს, ვნახოთ, რა იქნება.

— საბედისწერო დროა, გაიგეთ, — განუცხადა განდეგილმა. — ვინცა ვინ შემენინაალმდეგება, ვითარ მწვალეებელსა, კოცონი არ ასცდება.

— დიახაც, მამაო! — მიუსაფანლა პანურგმა. — ოლონდ ზღვაზედ როს ვარ, გალუმპვისა უფრო მეშინის, ვინემ დასიცხვისა, დახრჩობაც უფრო მაშინებს, ვინემ დანვა. ბატონი ბრძანდები, ვიმარხულებთ ღვთისა გულისთვის, მაგრამ უკვე იმდენჯერ ნამარხულევი ვარ, მარხვამ ხორცი არღა შემარჩინა და ვაითუ გვამისა მარხვად მივდგე. თანაც კიდევ იმასაც ვიშიშვი, ემანდ მარხვასა შემდგარმა არ გაგაბრაზო, რამეთუ ამა საქმისა გაგებაში არა ვარ, არცა პირისა აკვრა გამომდის, არცა კრიჭისა შეკვრა, აკი სხვათაც ბევრთ უთქვამთ, შენი მარხულობა სად გაგონილაო, და რა



ვენა, უნდა ვერნშუნო. ისე, მე პირადად მარხვა სულაც არ მაფიქრებს, რა, იოლი არ არის თუ ხელსაყრელი? მე უფრორე იმის ფიქრში ვარ, დღეის ნალმართაც არ მოგვინიოს მარხულობამ, შავი დღისთვის კი ვაცმა უცილოდ ცოტა რამ მარაგი მაინც უნდა მოიქონიოს. მაშ, აბა, გვიმარხულია ღვთისა გულისთვის, რახან მშიერ დღესასწაულსა შევესწარით, შინთ უმეტეს, დაყმენდილსა, რათა ხანია არ მიდღესასწაულნი.

— უკეთუ უმარხულობა არ ეგების, რაც მალე დავაღწევთ თავსა ამა საქმესა, ვით უხეირო გზასა, ბევრად უკეთესია, — დაასკვნა პანტაგრუელმა. — ოღონდ ჯერეთ ჩემთა ქალაქდთ უნდა ჩავხედო და დავრწმუნდე, საზღვაო სწავლა სახმელეთოზედ უარესია თუ არა, რამეთუ პლატონი როს სულელ, ხებესტარ და უდებ კაცსა აღწერს, ხომალდზედ გაზრდილ კაცსა ადრის, ჩვენ კი კასრსა შიგან გაზრდილსა და ოდენ ნახვრეტ-ჭვრიტიმალადან მზირალსა შევადრიდით.

ჩვენი მარხვა საშინელი და საზარელი გამოდგა: პირველ დღესა უნდომანდოდ ვიმარხულეთ, მეორე დღესა — ნაილაჯევად, მესამე დღესა — თავგამეტებულად, მეოთხე დღეს კი — მეტი რომ არ იქნება. ესევეთარი იყო ფერიათა სასტი, ანუ ბრძანება.

## თ ა ვ ი II

აქა ამგავი კუნძულ ჯარიანზედ მოსახლე სიტყვინთა,  
შემდგომად ფრინველებად რომ გადაიქცნენ

მარხვას როს მოვრჩით, განდევილმა ნაბარათევი რამ გაგვატანა ვინმე შეტრ ედიტუსთან,<sup>2</sup> კუნძულ ზარიანისა მსახლობელთან; თუმცადა, პანურგმა სახელი გამოუცვალა და ანტიტუსი<sup>3</sup> დაარქვა. ჩინებული მამაბერი გახლდათ, მელოტი, წითური, სახელაჟლაჟა; რადგან ჩვენი მფარველობისა მოქენე-მთხოვნელი განდევილი ატყობინებდა, რომ მარხულნი ვიყავით, რაზედაც ზემოთ ითქვა, მან გულითა მხიარულითა გვიმასპინძლა. ჯერეთ კარგა დაგვანაყრა, მერმეთ კუნძულისა მთელი ასავალ-დასავალი გაგვაცნო და გვაუნყა, უწინ ჩვენი კუნძული სიტყვინთ ეჭირათ, რომელნიცა შემდგომად განგებისა ძალით (ამაქვეყნად რაკილა ყოველიფერი იცვლება) ფრინველებად იქცნენო.

ანლა ვიალლოეთ და მივხვდით, რასა წერდნენ ატეიუს კაპიტონი, პოლუქსი, მარცელუსი,<sup>4</sup> ა. გელიუსი, ათენეოსი, სვიდა, ამონიოსი,<sup>5</sup> კიდევ სხვანი სიტყვინთა და სიცინისტა<sup>6</sup> გამო, და უკვე სარწმუნოდ მოგვეჩვენა ნიქტიმენეს, პროკნეს, იტისის, ალციონეს, ანტიგონეს, ტერევსისა და სხვათა გაფრინველება. ეჭვი უკვე არცადა კიდევ იმაში გვეპარებოდა, ვითარ უნდა გადაქცეულიყვნენ მატაბრიუნისა შვილნი გედებად, ხოლო თრაკიისა პალენეელნი — ჩიტებად, ოდეს ცხრაგზის ჩაყვინთეს ტრიტონისა ტბაში.<sup>7</sup>

მას უკანით მამაბერი არცრა სხვა რამეზედ არ დაგვლაპარაკებია, თვინიერ გალიათა და ფრინველთა. სუყოველი გალია, ანუ ფრინველთა შესამწყვდეველი, დიდროვანი, დიდსასყიდლოვანი, კობტა რამ, უცხოოდ მოხელოვნებული იყო. ფრინველნიც ირაონი, დიდ-დიდნი იყვნენ, მწყაზარნი, უკლებლივ სათნოდ იქცეოდნენ, სულ ჩვენებურ ხალხსა გვაგონებდნენ. ისე



სვამდნენ, ჭამდნენ, ვით ადამისა შვილნი, გარეთაც ისე გადიოდნენ, ვით ადამისა შვილნი. ისე იძინებდნენ და დედამამალობდნენ, ვით ადამისა შვილნი; რალა თავი შეგაბეზროთ, შეხედვისავე თანა, იფიქრებდით, ნამდვილად ადამიანისა შვილნი არიანო; მაგრამ, როგორადაც ედიტუსმა აგვისსნა, ადამისა შვილნი მაინც არ იყვნენ, და არცა საერო ბერი-მონაღვრებდნენ, არცა ქვეყნიურ სამღვდელეობასა. იმა ფრინველთ თაგვანთი ქუმბულნაკრტენითაც ჩაგვაფიქრეს: ერთნი მთლად თეთრნი იყვნენ, მეორენი — მთლად შავნი, მესამენი — მთლად რუხნი, მეოთხენი — ნახევრად თეთრნი, ნახევრად შავნი, მეხუთენი — მთლად წითელნი, მეექვსენი — თეთრ-ცისფერნი,<sup>8</sup> უნდა დამდგარიყავით და გეცქირნათ, ფრთოსანთა უნახავთ გაგხდიდნენ, თვალთ ვერ გააძლებდით. მამაბერი იგი მამალთ აგრე უხმობდა: დასელბიჭაო, ბერაბიჭაო, მღვდელბიჭაო, აბატბიჭაო, ეპისკოპბიჭაო, კარდინბიჭაო და ერთადერთი, უბადლო პაპბიჭა იყო. დედალთაგან მამაბერი ვიეთსა დასელქალას უხმობდა, ვიეთსა — ბერაქალას, მღვდელქალას, აბატქალას, ეპისკოპქალას, კარდინქალას და არცა პაპქალანი იყვნენ ცოტანი. შემდგომ მამაბერმა გვამცნო, ვითარ თაფლისა მოქმედ ბუზთ, მუშაკ ფუტკართ უცვივდებიან მამალნი ფუტკარნი, ანუ ბასტნი და კარუზნი, არცრისა მკეთებელნი, ოდენ ყოვლისა მჭამელნი და ნამხდენელნიო, ზუსტად აგრეთვე ამა ხოხნიკ, ლალ ფრინველთ, უკვე სამასი წელიწადია, სუყოველ მეხუთე თვესა, არცვინ უწყის, რატომ და რისა გულისთვის, თავსა ესხმიან მრავალთ უმრავლესნი ცრუნმინდაბიჭანი, სრულიად კუნძულისა მომყივნებელნი და მსისხავ-გამბინძურებელნი, იმისთანა გონჯნი და საზიზღებელნი, რომ ყველანი გაურბიან მართ ვითა შავ ჭირსაო; კისერი მოგრეხილი აქვთ, ფეხნი—ბაჯუჯა, ანუ ბანჯგვლ-ბუმბულმოსილნი, ჭანგნი და მუცელი ჰარპიებისას მიუგავთ, კურტუმი სტიმფალიდებისას,<sup>9</sup> რაიცა შეეხება ნადგურისცემასა, ნურას უკაცრავად, არ ნადგურდებიანო; ერთს მოკლავ, მაშინვე ოცდაოთხი მოფრინავსო. ჩემდა უნებურად ვინანე, ვაი, რატომ ვინმე მეორე პერკულესი არა ვარ-მეთქი. ძმა ჟანი კი ირგვლივ ხარბად ცქერა-ცქერაში სულ მთლად გამობენტერავდა და გამოთაყვანდა.

თ ა ვ ი III

რისგან არის, რომ კუნძულ ფარინანზედ მართ ოდენ ერთია პაპბიჭა

რისგან არისო, ვკითხეთ მეტრ ედიტუსსა, აქა პაპბიჭა რომ მართ ოდენ ერთია, თუმცალა კი ამა დარბაისელ ფრინველთა სუყოველი ნაირგვარეობა ოუ ნაირსახეობა მრავლად წარმოდგენილიაო. იმთავითვეო, გვითხრა, ციურ მნათობთაგან აგრეა ბედისწერად დადგენილი და განჩინებულიო: დასელბიჭათაგან მღვდელბიჭანი და ბერაბიჭანი ჩნდებიან, ოლონდ, ფუტკართა არ იყოს, დედალ-მამალთა აღურველად, არახორციელი კავშირითაო. მღვდელბიჭათაგან ეპისკოპბიჭანი ჩნდებიან, ეპისკოპბიჭათაგან კობტა კარდინბიჭანიო; მავანი კარდინბიჭა, უკეთუ სიცოცხლე არ მოესწრაფა, ადვილი შესაძლებელია, პაპბიჭად იქცესო, პაპბიჭა კი ჩვეულებრ ოდენ ერთია, ვითარ მართ ოდენ ერთია სკაში დედა ფუტკარი, ხოლო ქვეყნიერებაზედ მართ ოდენ ერთი მზეაო.

ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ პაპბიჭა აღესრულება თუ არა, იმის ადგი-



ლას სხვა ვინმე ჩნდება, კარდინბიჭათა მოდგმისაო, მხოლოდ, როგორაც უკვე გითხარით, უპეპლაოდ, არახორციელი შეწყვილებითაო. აგრე და ამრიგად, ამა მოდგმასა მარადიული მონაცვლეობისა ერთადერთი არსება ჰყავს, რალა იგი და რალა არაბეთისა ფენიქსიო. დაღათუმცა, ორი ათას შვიდას სამოცი თვისა წინათ ბუნებამ ერთყამიერად ორდ, ~~ქაბბიჭა~~ გააჩინა, რა ამბავმაც ჩვენსა კუნძულსა ისეთი რამ დიდი უბედურება დაატეხა, რომლისა მსგავსი არცროდის დასტეხია თავსაო.

ფრინველნი იმხანად სულ ერთმანეთის ძარცვა-რბევაში და წინკნაკორტნაში იყვნენო, გვითხრობდა ედიტუსი, ერთურთსა ეკრტიმლებოდნენ, ნიადაგ უგვანო შულლი ჰქონდათ, და კუნძულსა აშკარად გაუკაცრიელებისა საფრთხე დაემუქრაო. ფრინველთა ერთი ნაწილი ერთ-ერთ პაპბიჭას მიემხრო და მიუდგა, იმას ამოუდგა მხარშიო; მეორე ნაწილი მეორეს მიემხრო და იმას დაუდგა ფარადაო; ხოლო ვიეთნი ფრინველნი მდუმარებდნენ, ვითარცა თევზნიო, ისინი უკვე არლა გალობნენ და არცალა იმათი ზარსარეკელთა ხმა ისმოდა, თითქოს ვილაცას აეკრძალა რეკვაო. დიდი არეული ყამი იდგაო, და თუკი სადმე დედამინისა ზურგზედ ვინმე იმპერატორი, ხელმწიფე, პერცოგი, მარკიზი, გრაფი, ბარონი იყოო, არცა კიდევ მსოფლიოში არა თემი არ დარჩენილა, თავისი კაცი არ გამოეყოო, სუყველა უკლებლივ იმათ საჭირისუფლოდ დაიდრაო, და ერესი ესე თუ განხეთქილება მანამ არ გათავებულა, სანამ ერთ-ერთი პაპბიჭა არ გათავდა, პირიქითა ქვეყნისკენ არ მიიქცაო, და სიმრავლე კვალად ერთამდე არ დავიდაო.

მერმეთ მამაბერსა ახლა ისა გვითხეთ, ამა ფრინველთ აგრე გაუთავებლად რა აგალობებთო. მაგის მიზეზი ის არის, რომ გალიათა ზედან ზარსარეკელნი ჰკიდიათო, გვიპასუხა ედიტუსმა და დასძინა:

— გნებავთ, ან აი ამა ბერაბიჭათ ავაგალობებ, კაპიუშონ-თავსაბურავნი წითელი ღვინისა საწურავ ნარმისა პარკთ, ანუ ყალფალთ ანდა ტყისა ტოროლათა ქოჩორთ რომ მიუგავთ?

— დიახაც კარგს იზამ, — სუყველამ მოვუნონეთ აზრი.

ისიც ადგა, ზარსა ოდენ ექვსჯერ ჩამოჰკრა, და ბერაბიჭანი წამერთ ეუჩბად მოჯარდნენ, აგალობდნენ.

— მე სხვა ზართ თუ ჩამოვკრავ, აგერ ის ჩიტნიც აგალობდებიან, შებოლილ ქაშაყთა ფერისანი რომ არიან? — იცნობისმოყვარევა პანურგმა.

— აბა, რას იზამენ, — მიუგო მამაბერმა.

პანურგმაც ჩამორეკა, და შებოლილნი ჩიტნი უმაღ მოგროვდნენ, შექუჩნდნენ, ერთხმად აგალობდნენ, მაგრამ სუყველას ხრინწიანი და უამური ხმა ჰქონდა. ეგ მჭრინავნი მარტო თევზსა ჭამენო, აგვიხსნა ედიტუსმა, ვითარ ოყარი და თევზიყლაპია ჩვამაო, და ახალმოვლენილ ცრუნმინდაბიჭათა მეხუთე ნაირგვარეობააო. როგორაც აფრიკიდან გზად გამოვლილმა რობერ ვალბრენგმა<sup>5</sup> მამცნო, დასძინა მან წელანდელ თქმულსა, აქა მეექვსე ნაირგვარეობაც უნდა მოფრინდესო, ესრეთ წოდებულნი კაპუცინბიჭანიო, ყოვლის უფრორე მჭმუნვარენი, ყოვლის უფრორე მჭლენი, ხორცდაყრილნი და ყოვლის უფრორე აბეზარნი ყველა იმა ნაირგვარეობიდან



თუ ნაირსახეობიდან, რომელნიც კი ჩვენს კუნძულზედ არიან წარმოდგენილნი.

— აფრიკამ ეგრე იცის, სულ ახალ და ახალ ურჩხულ-ორჩხოლთ აჩენს, წართქვა პანტაგრუელმა.



თ ა ვ ი IV

რისა გამო არიან კუნძულ ზარიანისა ფრინველნი მძლევარნი, ანუ ადგილ-ადგილ მოარულნი

— ის კი აგვიხსენი, კარდინბიჭათგან ვითარ ჩნდება პაპბიჭა, კარდინბიჭანი ვითარ ჩნდებიან ეპისკოპბიჭათგან, ეპისკოპბიჭანი — მღვდელბიჭათგან, მღვდელბიჭანი — დასელბიჭათგან, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — ანდა იმის გაგებასაც ვისურვებდი, საიდან ჩნდებიან თქვენში დასელბიჭანი.

— ეგენი მძლევარნი ფრინველნი არიან, ადგილ-ადგილ მოარულნი, და შორიელი ქვეყნებიდან მოდიან, — მიუგო ედიტუსმა, — ვიეთნი იმა ნამეტნავად დიდი და კალოულენავი, ანუ ლატაკი ქვეყნიდან, რომელსა შიმშილეთსა ეტყვიან, ვიეთნი კიდევ კაცრიელეთად სახელდებული ქვეყნიდან, დასავლეთში რთა. კაცრიელეთელნი დასელბიჭანი არც ერთ წელიწადსა არ აცდენენ, დაჰყრიან თვისთა დედ-მამათ, მეგობართ და ნათესავთ, ააღებენ თავსა და ყოველწლივ გუნდ-გუნდ მოფრინავენ. იქა თავიანთი წესი და რიგი აქვთ: ოდეს რომელსამე დიდგვაროვან ფანია-ოჯახში უზომოდ ბევრი ბლარ-ბალლი ჩნდება, სულ ერთია, გინდ მამრი, გინდ მდედრი, თითოეული თუ საკერძოს, ანუ თავის წილ მემკვიდრეობას გაიტანდა, ვითარ ამას ნდომულობს გონება, თხოულობს ბუნება და ბრძანებს უფალი, ის ფანია-ოჯახი დასტურ დანელდებოდა. სწორედ ამად იშორებენ ნაშინერთ თავიდან წვრილშვილნი, ქუთმათდახვეულნი მშობელნი, თუნდაც ისინი კუნძულ ბოსარის მსახლობელნიც რომ იყვნენ.

— ალბათ ბუშარსა გულისხმობ, შინონისა ახლომდებარესა, — შეუსწორასავით პანურგმა.

— არა, ბოსარზედ ვუბნობ, კუზლარად ხმობილ კუნძულზედ, — შეესიტყვა ედიტუსი, — მუნებურთ თითქმის სუყოველი ბალლი ლურკანი და კუზიანი, ელამი, კოჭლ-ფაუხა, ცალხელა, ნიკრისიანი, გონჯი და კოხინჯხეიბარი ჰყავსთ, ტყუილად ამძიმებინებენ მიწასა.

— ეგ ზნე-ჩვეულება, ეგ წესი და რიგი, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — პირდაპირ ეწინააღმდეგება ვესტალეზად პატარა გოგოთა ხელდასხმისა წესთ, უწინდელსა დროში აგრერიგად რომ იცავდნენ, და რომელნი წესნიც, ლაბეონ ანტისტიუსის 'მონუმობისდა მიხედვით, კრძალავდნენ ამა ხარისხისა ბოძებასა, უკეთუ პატარა გოგოსა თანდაყოლილი ჰქონდა სულიერი რამე ღარღლი თუ ნაკლი, საგრძნობელ ასოთა რამე ზადი ანდა ხორციელი რამ რაღაცა ხინჯი, გინდ სულ მცირე და შეუმჩნეველი.

— საკვირველსა ვარ, — განაგრძობდა ედიტუსი, — ვითარ ატარებენ იმათ მუცლითა ცხრა თვესა იქაურნი დედანი, ოდეს თავიანთ ქერქვეშე ცხრა წელიწადზედ მეტხანსა, ხშირადრე კი შვიდსაც ვერ უძლებენ და ვერ



იტანენ, მერმეთ უკვე ეგრევე ბაღურ სამოსელზედ პერანგსა რასმე გადა-  
 აცმევენ, შელოცვა-შელოცვაში და შესაწყალებელ ლოცვა-ლოცვაში სა-  
 კოჩრესა, ანუ კოსრო-კინკრიხოსა ზედა ცოტაოდენ თმასა შეჩქრიან (ზუ-  
 სტად ისევე, როგორც მეგვიპტელნი იქცეოდნენ: მავანი და მავანი ისიდას  
 ქურუმად რომ უნდა ეკურთხებინათ, ისინიც აკი სელისა ტალაგერსა და  
 საყვინელ-სამართებელსა მოიფარგებდნენ ხოლმე) და ყოველთა თვალნი,  
 სახალხოდ, პითაგორული მეტემფსიქოზისა საშუალებით, არცა წყლავენ  
 და კენწლავენ, არცრასა ვნებენ, ისე აქცევენ ესეგვარ ფრინველებად. ოდენ  
 ერთი რამ ვერ გამიგია და ვერ ამიხსნია, კეთილნი მოყვასნი: რატომ არის,  
 რომა ეს დედალნი, მღვდელქალანი თუ ბერაქალანი ანდა აბატქალანი, ნა-  
 ცვლად სამადლობელ საგალობელთა, რომელთა გალობაც, ვითარ ზო-  
 როასტრმა დაადგინა, ჯერ არს ორმუზდის პატივისცემისა ნიშნად, დგა-  
 ნან და ავად უხამს ჰიმნთ მღერინან, დემონ აპრიმანის შესაფერისთ. და  
 სუყოველნი, ხნიერნი თუ ყმანვილნი, წამისწამ წყევლა-კრულვასა არ აკ-  
 ლებენ, სულ საძირიანად იღებენ თვისთა ნატამალ-სახლიკაცთ და მეგო-  
 ბართ, ანუ მიწყვი გაუყარ, სათანადო მოყვასთ, რომელთაც გააფრინველეს  
 ესენი.

ყოვლისა უმეტესნი ამათგან შიმშილეთისა ქვეყნიდან მოფრინავენ,  
 რომელ ქვეყანასაც თავსა და ბოლოს ვერ უპოვნო: ოდეს იმა კუნძულისა  
 მსახლობელ ასაფილთ<sup>2</sup> ისეთი არცათუ ფარსაგი რამ სიამოვნება დაე-  
 მუქრებათ ხოლმე, როგორც შიმშილია, და კაცმა არ იცის, სარჩოს ნაკ-  
 ლებობისა თუ იმისა გამო, რომ არცა ეხერხებათ და არც უნდათ ხელისა  
 განძრევა, ჩხირისა გადაბრუნება, არცრა კეთილშობილი საქმისა ქმნა ანდა  
 საპატიო რამ ხელობისა მიყოლა, პატიოსანი ხალხის რწმენითა და სიმარ-  
 თლით სამსახური; ოდეს სიყვარულში ბედი არ უღიმით; ოდეს მოწადინე-  
 ბულ ამბავში ხელმოცარულთ სასოება ეკარგვით; ოდეს უბადო, საზიზღარ-  
 სა რასმე დანაშაულსა ჩაიდენენ და საწბილო, სამარცხვინო სასჯელსა  
 თავსა არიდებენ, მეტადრე მაშინ იციან მოწოლა და მოძალება, სუყოველა  
 აქ მოფრინავს მზამზარეულზედ. პირველში კაცსა კაჭკაჭნი გეგონებიან,  
 ისე არიან განლობილ-გაკნაჭულნი, მალე კი ქონსა იკიდებენ და ვირზაზუ-  
 ნებურად სუქდებიან. აქა არცა შიში უწყიან, რა არის, არცა კიდევ საფრ-  
 თხე, უბატონოდ ვერცვინ ახლებს ხელსა, და სხვასა ზედა არავისზედ მო-  
 კიდებულნი, სრულიად თავისუფალნი თავიანთ გემოზედ ლალობენ.

— აქ მოფრინისა მერმე ეს ლამაზ-ლამაზნი ჩიტნი უკან, იმა მხარეში  
 არლა მიფრინავენ, სადაც დაჩეკილნი არიან? — იკითხა პანტაგრუელმა.

— ცოტანილა, — მიუგო ედიტუსმა, — უწინ, უადრე თითო-ოროლა თუ მიი-  
 ქცეოდა, ისიც კარგა ხნისა შემდგომ და უხალისოდ. რაც რომ ციურ მნა-  
 თობთა ზეგავლენისდა კვალობაზედ რალაცა დაბნელებანი მოხდა,<sup>3</sup> ერთ-  
 ბაშად მთელი გუნდი აიყარა, მაგრამ სულაც არა გვწყენია, მადლობა ღმერ-  
 თსა, საკმარნი დარჩნენ, გაფრენისა წინ კი თავიანთი ნაკრტენ-ბუმბული  
 ჭინჭრიანსა და კვრინჩხიანსა მოსდეს.

მართლაც, სად ეყარა, სად არა, ზედდატანებაზედ წავაწყდით იმა ნაკ-  
 რტენ-ბუმბულისა ნაბუარ-ნარჩენთ და თან კიდევ სრულიად იბუდივ ფერ-  
 უმარილისა თავახდილი პატარა ნაფ-ქილუნაც ვიპოვეთ.



თ ა ვ ი V

მითარ არცროდის არა გალოგენ კუნძულ ზარიანზედ  
გაუმადლარნი ფრინველნი



იმას სათქმელი გასრულებული არა ჰქონდა, რომ იქვე ჩვენ იგვრდივ  
ოცდახუთი თუ ოცდაათი ფრთოვანი დაეშვა, რომელთა მსგავსნი ფერისა-  
ნი და ნაკრტენ-ბუმბულიანნი ჯერეთ კუნძულზედ არ მოგვეხილა. ფრინ-  
ველთა ნაკრტენ-ბუმბულსა ფეროვნება ნელი-ნელ, თანთან ეცვლებოდა,  
როგორაც ქამელეონისა, ანუ ისავროს ტყავსა ანდა ტრიპოლიუმისა და  
ტეფერიონის ყვავილსა და სუყოველსა მარცხენა ფრთისა ქვეშე ნიშანი რამ  
ჰქონდა წრისა შუა-შუა გამყოფელ ორ დიამეტრად ანდა სწორი ხაზისა  
მიმართ მეორე შვეულ ხაზად სახედადებული. ნიშანი ესე თითქმის ყველა-  
სი ერთნაირი იყო, ოღონდ სხვადასხვა ფერისა: ზოგისა — თეთრი, ზოგი-  
სა მწვანე, ზოგისა — ნითელი, ზოგისა — იისფერი, ზოგისაც — ცის-  
ფერი.<sup>1</sup>

— ეს რა ქოქ-გასაგისისანი არიან, — და რა გიქვიათ? — ჰკითხა პა-  
ნურგმა.

— ესენი მეტისნი არიან, — მიუგო ედიტუსმა, — სახელად კომან-  
დორთ ვუხმობთ, ესე იგი კუჭა-მუცელპურათ, მუცელახორხოცებულთ, ანუ  
გაუმადლართ, ამათ თქვენში ბევრადბევრნი ქონიერნი დიაცნი მსახუ-  
რებენ.

— ნუ დაგვზარდები, ააგალობე, თუ კაცი ხარ, მოგვასმენინე ერთი,  
რაგვარი ხმა აქვთ, — ვუთხარი მე.

— ესენი არცროდის არა გალობენ, — მომიგო მამაბერმა, — სამაგი-  
ეროდ ორმაგსა მიირთმევენ.

— ამათი დედალნი სადლა არიან? — ვკითხე ისევ მე.

— ამათ დედალნი არა ჰყავთ, — მომიგო პასუხად მან.

— აბა, მაშ, რადლა არიან დაღუდუდებულნი და ცუდი ჭირისგან და-  
ხრულნი? — ჩაურთო პანურგმა.

— ამა ოგურ-ჯიშისა ფრინველთ ხშირადრე სჭირთ ცუდი ჭირი, რამე-  
თუ ფლოტთან კავშირი აქვთ,<sup>2</sup> — ჰრქვა მამაბერმა.

მერმე ზედვე მოაყოლა:

— თქვენ კი, ახალმოსულ გარექვეყნელთ, გარმიანელ კაცთ, ახლოს  
იმად დაგიფრინდნენ, რათა სარწმუნოდ შეეტყოთ, ხომ არ გირევიათ ბი-  
ჭათა კიდევ ერთი უცხო რამ გუთური ჯიშისა ონაფარნი და სასტიკნი  
ფრინველნი, ვითომცდა თქვენკენ შემორჩენილნი, რომელთ თურმე ვერცრა  
საცდურითა იტყუებენ და არცრა ბაზიერისა ხელსამფარე სწამთ. ზოგ-  
ზოგთ იმა ფრინველთ ფერხთ ხიზა-თასმა კი არა ბმიათ, თვალმიმტაცი და  
ძვირფასი ლეკვერთხ-ჩახსაკრავი რტყმიათ<sup>3</sup> რგოლწარწერიანი, ოღონდ წა-  
რწერა იგი: „ვინცა ამაზედ ცუდი იფიქროს, ფურთხი-  
სა ღირსიმც გამხდარა“ არცათუ იშვიათად გასკინტლული  
ჰქონიათ. ზოგ-ზოგთ ნაკრტენ-ბუმბულსა ზედან ბოროტ სულთა ძლევისა  
ნიშანი სმიათ, ზოგ-ზოგთ კიდევ — ცხვრისა ტყავი სხმიათ.<sup>4</sup>

— ეგრეთი ჯიში და ჯილაგი ეგების მართლაც არის, მეტრ ედიტუს,  
მაგრამ ჩვენ არ ვიცით, — გადაუნურა პანურგმა.



— კმარა ენისა ფხანა, — დაასკვნა ედიტუსმა, — ნავედით ყელისა ჩასასველებლად, ცოტა ნავინათლოთ.

— მისაჭმელისა საქმე ვითლა იქნება? — იკითხა პანურგმა.

— სადაც ისმევა, იქა იჭმევა კიდეც, — სიტყვა მოუჭრა ედიტუსმა. — დრო-ჟამზედ უფრორე ძვირად არცრა ფასობს, მაშ, აბა, კეთილ საქმეთ მოვახმაროთ.

უნინარესად მან კარდინბიჭათა დასაბანელ სახლთა შინა წაგვასხა, სად იმდენი ვინუტარეთ, აბანოს უნახავნი გავხდით; ნააბანოევზედ ალიპტნი<sup>5</sup> იხმო, ბლომად მოაღებინა კეთილსურნელოვანნი ნელსაცხებელნი და ჩვენი დაზელა უბრძანა. დალათუმცა, პანტაგრუელმა მიუთხრო, დაუზელავადაც ფარსაგად ჩავლევეთო. მაშინ მამაბერი ერთ კარგა მოზრდილ, ფრიად გულმისავალ, თვალმომნადირებელ სატრაპეზოში შეგვიძღვა და გვითხრა:

— ვუნყი, განდეგილმა საბიძალამ ზედაზედ ოთხი დღე გამარხულათ, აქა კი, პირიქით, ოთხი დღე ზედაზედ სულ სმა-ჭამაში იქნებით.

— ძილითა ცოტას ხო დავიძინებთ? — ჰკითხა პანურგმა.

— ეგ ვისაც ვითარ გენებოთ, — მიუგო ედიტუსმა. — სმა და ძილი ძმანი არიან. სმა დია უხდება ძილსა.

ღმერთო დიდებულო, ტყუილია, იმა პატიოსანმა კაცმა რომ გვიგულუხვა და პური გვაჭამა!

## თ ა ვ ი VI

### რითი საზრდოოგენ კუნძულ ზარინისა ფრინველნი

პანტაგრუელმა მოიწყინა; ეტყობა, ედიტუსისგან ჩვენთვის დათქმული ოთხდღიანი ვადა ჭკუაში არ დაუჯდა, რაიცა ედიტუსსა შეუმჩნეველი არ დარჩენია და მიუთხრო პანტაგრუელსა:

— ხელმწიფო! განა არ მოგეხსენება, მთელი კვირიაკე ზამთრის ნაბუნობისა, ანუ მზის მოქცევისა წინ და მთელი კვირიაკე იმის მერე ზღვაზედ ქარიშხალი არ იცის. ეს იმისგან არის, რომა სუყოველი სტიქიონი კეთილმონყალვა თუტიდასთვის შეწირულ ალკიონად ხმობილ წვრილ ჩიტთა მიმართ, რომელნი ჩიტნიც ბარტყთ სწორედ ამ დროსა ჩეკენ ნაპირზედ. აქ ჩვენში ზღვა შურსა აგებს თავისი ხანგრძელი სიმშვიდისა გამო და ვითარ მოგზაურნი მოგვადგებიან ხოლმე, ოთხი დღე ზედაზედ ავად ბობოქრობს. ჩვენის აზრითა, აგრე იმად იქცევა, რა არი ძალაუნებურად დაყოვნდეთ და ოთხი დღე ზართა რეკვა-ზრიალის შემოსავალსა მოუღხინოთ. ოლონდ არამცა და არამც არ იფიქროთ, დროსა ვკარგავთო. ნება-უნებლივ მაინც უნდა დარჩეთ, უკეთუ არ მოგნატრებიან ხილვა იუნონასი, ნებტუნისა, დორიდასი, ეოლესი და ყოველთა ვეიოვისთა. ან ოდენ ერთი საზრუნავილა დაგრჩენიათ: დადგეთ და გემოზედ ინადიმოთ.

გუნებისად რომ დაუნაყრდით, ძმა ჟანმა ედიტუსსა მიმართა:

— ამა თქვენსა კუნძულზედ გალიათა და ჩიტ-ფრინველთა მეტი არცრა ჩანს. ჩიტ-ფრინველნი კი არცა ხნავენ და არცა თესავენ. მარტო ხტიან, ჟრიკჟრიკებენ და გალობენ. აბა, ეს კოკა უხვებისა საიდანლა გაგჩენიათ, ესდენი სულ გემრიელ-გემრიელი სასმელ-საჭმელი საიდან?



— საიდან, ჩემო ბატონო, და სრულად მთელი ქვეყნიერება გვიგზავნის, — მიუგო ედიტუსმა, — თვინიერ აკვილონის სამეფოს ზოგიერთი მხარისა, რისა გამოც უკვე რათა ხანია რომ მღელვარებენ ~~კამარინისა~~ ჭაობნი.<sup>5</sup>

— ეგ არაფერია, — მიუთხრო ძმა ჟანმა, —

ერქუნული  
ზიზღიერება

შეინანებენ, ნაუ, ნაუ, ძინ,  
შეინანებენ, ძინ, ნაუ, ნაუ!

ჩავლლიოთ, ძმანო!

— თქვენ თავად საიდან ბრძანდებით? — ჰკითხა ედიტუსმა.

— ტურენიდან გახლავართ, — მიუგო პანურგმა.

— რახან დალოცვილი ტურენიდან ბრძანებულხართ, მაშ, არცა ავი და მიჯიგუდა ხალხი იქნებით, — დაასკვნა ედიტუსმა. — რა ვიცი, ტურენიდან ყოველწლივ რაღას არ გვიგზავნიან, რითღა არ გვამარაგებენ, ის კი არა, ერთხელ თქვენებურ კაცთ აქეთ როგორღაც გზად გამოიარეს და იმათგან შევიტყვეთ: ტურენისა პერცოგი ნახევარზედ მშიერია უსარჩობისა გამოო და სულ თვისთა წინამორბედთა ნამეტანი ხელგაშლილობისა, საბოძვარხშირობისა ბარობითაო, ისინი აკი მართლაც არცროდის აკლებდნენ ჩვენთა მაღალყოვლადსამღვდელო ფრინველთ გასასკდომად და გასატყვრომად არცა ხოხობთ, არცა კაკაბთ, ყრუნთ, ინდაურთ, მსუქან ლუდენურ ყვერულთ, ათასგვარ დიდთა თუ მცირე ნადირთ და შიწყივ ესდენ სკდომა-სკდომაში, ტყვრომა-ტყვრომაში, ინთილისა კვრაში ამყოფებდნენ. თან საქმე, ჩამოასხით, ძმანო! აბა, შეხედეთ ერთი ამა ფრთოსნიან თურქანდარასა: ყოველნი რა ჭმეულნი, რა გათხვირულ-გათქვირულნი არიან, სულ შემონირულობათა წყალობაა, და აგრე ტკბილადაც ამად გალობენ. უკეთეს გალობასა ვერც მოისმენთ, უკეთუ ორსა ოქროს კვერთხ-გოგუთსა მოჰკრეს თვალი...

— ეგ ალბათ კვერთხ-გოგუთისა დღესასწაულზედ თუ მოხდება, — ჩააკერა ძმა ჟანმა.

— ...ანდა დედოზართ თუ ჩამოვრეკავ, ამათივე გალიათა გარემრგვალად დაკიდებულთ. დავლიოთ, ძმანო! დღეს რაღაც ჩადის გემო აქვს, თუმცაღა, არცა სხვიმის უჭირს ჩასვლა. დავლიოთ! თქვენი სადღეგრძელო იყოს, სიმრთელე მისურვებია! შიში ნუ გაქვთ, ღვინოც გვეყოფა და არცრა მისატანებელი მოგვაკლდება. ის კი არა, ოდეს ცა გასპილენძდება და გამაფრახდება, დედამინა კი გარკინავდება, სასმელ-საჭმელი იმოდენი გვაქვს, მაშინაც გვეყოფა, სულ ცოტა, შვიდ-რვა წელიწადსა იმაზედ მეტსა გავძლებთ, ვინემ ეგვიპტესა შინა სიყმილი იყო.<sup>1</sup> მაშ, მოდით, სიამტკბილობისა შევსვათ!

— ჯანდაბას! — შესძახა პანურგმა. — აბა, თქვენ უნდა თქვათ, ამასოფლად ვცხოვრობთო!

— იმა სოფლად კიდევ უფრორე უკეთესად ვიცხოვრებთ, — სიტყვა ჩამოართვა ედიტუსმა, — იქა ელისიის მინდორთა შინა ვცხოვრდებით, სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ. დავლიოთ, ძმანო! თქვენი გამარჯვებისა იყოს!

— ეს სულ პირველთა თქვენთა სიტყვინთა ამბავია, — მეც ჩავერთე ლაპარაკში, — ღვთაებრივი და სრულქმნილი სულისა ჩაგონებითა იმათ ისეთი რამ საშუალება მოიღონისძიეს, რომლისა წყალობითაც არა ოდენ



ამასოფლად, არამედ იმა სოფლადაც მოგბოძებიათ სამოთხე, რასაცა, ბუნებრივია, ყოველნი კაცნი მიელტვიან და ცოტა ვინმეს კი არა, მართალი თუ გინდათ, ისა არცვის არ ეძლევა.

ო, ბედნიერნო! ნახევარღმერთნო!  
მონატრული ვარ თქვენი ბედისა!



თ ა ვ ი VII

ამა კანურბი მეტრ ედიტუსს ულასისა და პირის  
აქია-ლათიას უყვება

ყველაყა სამუცლავი, დასასუფრებელ-მისართმევი, სასმელი იყო თუ საჭმელი, კარგად რომ მივირთვიოთ და ვისიამოვნეთ, ედიტუსმა ახლა ერთ უცხოდ მოწყობილ, მოფარდაგულ, მოოქრულ გალიაკ-სენაკსა შინა შეგვიყვანა. მოაღებინა მუნ ბლომად მირობალანი, იგივე ალილეჩა, შეგბობილი მწვანე კოჭა, ანუ ჯანჯაფილი, წყალთანყე დარიჩინზედ დაყენებული ღვინო, აგრეთვე მეორენაირი, იშვიათი რამ გემო-სურნელობისა ჭაჭანაური, და გვირჩია, ლეთეს წყალსაებრ იგემეთ შხამ-სამსალისა საწინააღმდეგო სუყოველი წამალი ესეო, რათამცა დაივიწყოთ და არცრად არ ჩააგდოთ, რაც კი გაჭირვება ზღვაზედ მოგზაურობაში გადაგხდენიათო, კიდევან ამისა, განკარგულება მოახდინა და უკვე ნავთსადგურში შემოსულ ჩვენთა ხომალდთა ზედან ნუზლი ოხრად აატანინა, მოგზაურ კაცთ საზრდო არ მოგჭარბდებათო. მერმეთ დასაძინებლად დავნექით, მაგრამ განუწყვეტელი ზარვა, რეკვისა ხმა არ გვაძინებდა.

შუალამისას ედიტუსმა ყველანი ფეხზედ წამოგვყარა, რა დროს ძილია, ჩავდლიოთო, პირველმა თავად შესვა და იუბნა:

— გამრიელნი სულ იმის მტკიცებაში ხართ, უმეცრება ყოველთა უკეთურებათა დედააო, და მტკიცება თქვენი სამართლიანია, გარნა თანვე უმეცრებასა თქვენივე საკუთარი შეგნებიდან არა სდევნით, უმეცრებაში მყოფობთ, იმასთან ერთად და იმის წყალობითა ეწევით ცხოვრების ჭაპანსა. დიალაც ამად გხრავთ დღენიადაგ ესდენი ბოროტება! მინყივ ჩივით, მინყივ დრტვინავთ და არცროდის არა ხართ გულსავსენი. რასაცა გუუბნებით, ან სრულად ვირწმუნე: უმეცრებამ ისერიგად მიგაჯაჭვათ ქვეშაგებელთ, ვითარცა ოდესლაც ვულკანუსმა მიაჯაჭვა ომისა ღმერთი,<sup>2</sup> და ვერ მიმხვდარხართ, რომ ძილისა დაკლება გმართებთ და არა ამა ჩვენი ღირსადქებული კუნძულის წყალობა-სიკეთისა. აქამდე, სულ ცოტა, სამი ჯერი მაინც უნდა გეჭამათ. მერწმუნეთ, საკუთარ თავზედ გამომიცდია, კუნძულ ზარიანის სურსათ-სანოვაგესა აგრე ადვილად ვერ მოერევით, ხოლო მორევა თუ გინდათ, სისხამზედ უნდა ადგეთ; ეს ჩვენი საზრდო-ხორაგეული რაც რამ მეტი იჭმება, მით უფრო ბარაქიანდება, ბევრდება, გამოზოგილი კი უბარაქოვდება, ცოტავდება. თქვენ-თქვენს სათიბსა დროიანად მოუსვით, ჭილვი, ანუ ნამგალი, ბალახი გახშირდება კიდევ და მეტადაც გაყუათიანდება, არ მოთიბავთ და, სულ რამოდენიმე წელიწადში ხავსი გადაუვლის. დავლიოთ, ძმანო, ერთბაშად დავლიოთ! ჩვენთა ფრინველთაგან ყველაზედ ჭნავნიც კი ან თქვენთვის გალობენ, მაშ, შესვით ამათი სადღეგრძელო, ვალად დამდეთ, მიირთვიოთ, ყელი მოგეტკბურებათ, უკე-



თესად ჩაგენმინდებათ! ჯერეთ თითო დავლით, მერმე მეორეც მივაყოლოთ, მესამეც და ცხრამდის ავიდეთ: non zelus, sed charitas!\*

ახალ ნარიჟრაჟევზედ მან კვალად გაგვალვიძა, პურჩაბუბუჭული შეჭამანდი მოგვართვა. ამის შემდეგ სრულად მთელი დღე ქამისა მეტი არცრა გვიკეთებია. უკვე ველარც ვარჩევდით, რა იყო: სადილი<sup>საუზმე</sup> საუზმე, სამხარი თუ ზარმელი. მხოლოდ და მხოლოდ<sup>იმისთვის</sup> რომ მუხლი გაგვეშალა, კუნძულზედ ცოტა მაინც გავიარ-გამოვიარეთ და ყურთ იქაურ მწყაზარ სირ-ფრინველთა გალობა შევატყობინეთ.

საღამოთი პანურგმა ედიტუსსა მიუთხრო:

— ბატონო ჩემო, ნებასა თუ დამრთავ, ოცდასამჯერ მთვარისა მოქცევის წინანდელ ერთ შესაქცევარ ამბავსა გაიმბობ, შატელროში მომხდარსა.

მავანი და მავანი აზნაურისა ბაგათმთავარი თუ მერმე აპრილისა დილის კისკასზედ ცხენდაცხენ თავისი ბატონისა სალაშქრო ცხენტ აბალახებდა. იქავ შორიახლო, მინდორში, ვინმე კისკისა მწყემს გოგოსა გადაეყარა, რომელი გოგოცა

არ დაგიდევდა არასა,  
ცქვიტად მწყემსავდა ფარასა,

აგრეთვე ვირსა და რამოდენიმე თხასა. მერემემ ხან ესაო, ხან ისაო, იმდენი უჩიჩინა მწყემს გოგოსა, უკან, ცხენისა გავაზედ შემომიჯექი, ნახე ჩვენი საჯინიბო და ჩვენსოფლურად რა მასპინძლობაც ვიცით, გასინჯეო, ბოლოს დაიყოლია. სანამ ისინი ერთმანეთში უბნობდნენ, ცხენმა ვირსა მიაშვირა ჩიჩვირი და ყურში უთხრა (ბარემ აქავე ვიტყვი, მთელი ის წელიწადი ოთხფეხნი ყოველგან ელაპარაკებოდნენ ერთიმეორესა):

— შე საწყალო, ბეჩავო აჩიაო! ძალიან მეცოდები, პირდაპირ გული მეწვის, რომ გიყურებო, ვიცვი, სულ შრომაში ხარ, არც ერთი დღე მოსვენება არა გაქვს, თორემ ეგ საძუე ეგრე გახეხილი არ გექნებოდაო. რას იზამ, ღმერთსა კაცისა მსახურად გაუჩენიხარო. ყოჩალი ვირუკა ჩანხარ, მაგრამ, გატყობ, არცა რიგიანად გბანენ, არცა გიურვებენ, არცა გააზმავენ და არცა კიდევ გაჭმევენო, მართალი თუ გინდა, ძალზედ სასტიკად და უმართლოდ გექცევიანო. მთლად გაბურძგნილი, ქანცგანყვეტილი და დაოსებული ხარ, ოდენ ლერწამსა, კვრინჩხსა და ბირკავას მიმდგარი ნეკრობ, შე საწყალოო. მაშ, აბა, მომყე უკან, ვირუკავ, წამოცუხცუხდი და შენის თვალითა ნახე, ვითარ გვივლიან, ვინცავინ ბუნებასა ომიანობისთვის გავუჩენივართ, და რარიგ გვაჭმევენო. დასტურ შეგშურდება ჩემი კერძი და ულუფაო.

— ბატონი ბრძანდები, უფალო ცხენო, ნება შენი ათავდეს, დიდის სიამოვნებით მოვდივარო, — მიუგო ვირმა.

— მე, ვირო, შენი უფალი ცხენი კი არა ვარ, უფალი ულაყი ვარო.

— მაპატიე, უფალო ულაყო, — თავი შეაცოდა ვირმა, — უბირნი, ბნელნი, სოფლელნი ვართ, რიგიანად ვერ ვმეტყველებთო. რახან ესდენი მაღლი მიყავი და ესდენი პატივი დამდე, შენდა მსახურად მიგულე, ოლონდ დაგიმანძილდები და ისრე აგედევნებო: მათრახისა დანახვაც კი მაშინებს, მთელი ზურგი გადალღეტილი მაქვსო.

\* თავისა დასასჯელად კი არა, გულისა გასახარად (ლათ.).



მწყემსი გოგო გავაზედ შეასკუპდა თუ არა ცხენსა, გულუხვი მასპინ-  
ძლობისა მოლოდინში საღერღელაშლილი ვირიც უკან მიჰყვათ. თავიანთი  
დანიშნულებისა ადგილსა რომ მიუახლოვნენ, მერემემ თვალთ მოატანა  
ვირსა და საჯინიბოს შიგამდეგ ბიჭთ გასძახა, მერულნი მოივარგეთ, არცა-  
ლა კიდევ კეტ-თავხრილნი დააკლოთ, არცერთი გვერდი ~~მერეღელე~~ არ შეარ-  
ჩინოთო. ამისა გამგონე ვირმა თავი ღმერთსა ნეპტუნსა ~~მერეღელე~~ ნაცქა-  
ფად კუდისა ამოძუება იზრახა და თანდათან ნაბიჯშენელებულმა ესეგვა-  
რად დაასკვნა: „ცხენმა მართლად განსაჯა, დიდკაცთა დევნა რა ჩემი საქ-  
მეაო; ბუნებასა მხოლოდ იმისთვის გავუჩენივარ, სანყალ ხალხსა ვემსა-  
ხუროო. ესოპემ ერთ თავის არაკში ესა თვალცხადლივ გამინამდვილაო.  
ნამეტნავად მეტი მოვინდომეო; ან ერთადერთი ოტებალა თუ გამიყვანს  
თავწყალსა და მრთელსა გადამარჩენსო.“ და დაიტიშა ვირი, გაჩორთდა,  
დაოთხდა, გაჭენდა, თან ფრტვინავდა, კუნტრუშ-კუნტრუშ ტლინკთ ის-  
როდა და კარგა მაგრისას აჭახუნებდა, უკნიდან მხიარულობდა.

მწყემსმა გოგომ ვითარ დატიშული ვირი მოიხილა, მერემეს წაუმწვი-  
ტინა, ეგა ჩემი აჩიაა, არ მიწყენინო, თორემ ეხლავე უკან გავბრუნდებოო.  
მაშინ მერემემ იფიქრა, ცხენთ სრულად ერთი კვირიაკე შვრიისა ნატრულთ  
გავხდი, ოლონდაც ეს ვირი თუ აჩია მყავდეს მადლარიო. მაგრამ ვირისა  
მიტყუება არცათუ იოლი გამოდგა. შიგამდეგ ბიჭთ ბევრი უძახეს და უყ-  
ვავეს: „ფშო-ფშოო, ვირო, აქ მო, აქ მოო“, ვირმა კი გაქირი ქნა: „არა, ვერ  
მოვალ, მეკრძალებაო!“ და რაც უფროისად მეტსა ეფერებოდნენ, ვირი  
უარდაუარ ახშირებდა ტლინკვა-ტლინკვასა და პრუნუნგამორეულ ჭაჭუნ-  
ჭახუნსა. ალბათ აგრე დიდხანსა გაგრძელდებოდა, თუ მწყემსი გოგო არ  
ჩარეულიყო და არ ერჩია, ცხავი ან ქვაცხრილა დაუქნიეთო, რაიცა ბიჭთ  
უმალ აასრულეს. ვირი მაშინვე შემობრუნდა და ჩაილაპარაკა: „თანახმა  
ვარ შვრიითაო, ოლონდ არა მერულითაო, გეახლებით სირბილითაო. პატ-  
რონიმც მოჰკვდომია გაქირსაო“. აგრე და ამრიგად, ვირი დანებდათ და  
ერთი საყვარლადაც შემოსძახა, მერედა აკი მოგეხსენებათ, რარიგ სიამოვ-  
ნებს სასმენელსა ამა არკადიულ დიდყურათა შემოძახილი და ძნობა.

მიეახლოვა თუ არა, მიიყვანეს ვირი და სალაშქრო ცხენსა გვერდით  
მიუყენეს ახორში, მერმე მოსდგნენ და ჩამონმინდეს, ჩამოასუფთავეს, და-  
აურვეს, ახალი საგებელი მუცლამდისა მიაწვდინეს, თივა ძლომაზედ დაუ-  
ყარეს, შვრია — თავზედ საყრელად; ბიჭთ, როცა იმისთვის შვრიის გაცხა-  
ვებასა მიჰყვეს ხელი, ვირმა ყურნი ააპარტყუნა, რითაც ანიშნა, გაუცხავე-  
ბელსაც კარგად გეახლებით, ეგ მეტისმეტი პატივიაო.

გულუხვ ტრაპეზობასა რომ მორჩნენ, ცხენმა ჰკითხა ვირსა:

— ჰა, სანყალო ვირუკავ, როგორ არის საქმე? კარგად გივლიან თუ  
არა აქაო? შენ კი გაქირსა იყავო. ან, ძმაოსან, რასლა იტყვიო?

— იმა ლელვსა ვფიცავ, ჩემმა ერთმა პეპრის პეპერამ რომ მიირთვა  
და ფილემონი სიცილითა გაგუდა, აქა პირდაპირ ვნეტარებ, უფალო ულა-  
ყოო, — მიუგო ვირმა. — ოლონდ მარტო ჭამაში რა ყრიაო. ხანდახან  
უფალნი ულაყნი ალბათ ხრდალ სახედართ შეაჯდებით ხოლმე და ამუტ-  
რუკიანებთ, აბა, სხვანაირად როგორ იქნებითო?

— რა გამუტრუკიანებაზედ მელაპარაკები, ვიროო? — კითხვა შეუქ-  
ცია ცხენმა. — ხო არ გაგიყებულხარო? მე რა, ვირი მნახეო?

— აჰ, აჰ! — დასულწუხდა ვირი. — ერთი ხეპრე, ოდორგელა სახედა-



რი ვარ, ცხენთა სამეფო კარის ენასა ვერ ვაგებ, რა ვქნაო. უფალნი ულაც-  
ნი ხო თქვენის გუნებისად ულაცობთ და ჭაკთ აკვიციანებთ-მეთქი, უნდა  
მეკითხაო.

— გაკრინტდი, ვიროო! — უთხრა ცხენმა. — ბიჭო არ გაგონო ეგ  
ლაპარაკი, თორემ რაც აქ მერულა იპოვება ზედ დაგამტყრფლენ და სულ  
დაგავიწყებენ მაგ შენსა გამუტრუკიანებასაო. აქაურნი ზარბაზნები, შე-  
შინებულნი ვართ: ოდენ წვერისა ოდნავ გამოყოფასლა თუ ვბედავთ, ოდეს  
ჭულვა, ანუ ფსლისა დაქცევა გვინდებაო. დანარჩენ ამბავში მეფურადა  
ვცხოვრობთ, სამოთხე მიგვიქარავსო.

— ჩემი მოსართავისა მზემანო, — განუცხადა ვირმა, — ეგრეთ ცხოვ-  
რებაზედ უარი მითქვამს, არცა შენი საგებელი მწადს, არცა შენი თივა,  
არცა შენი შვრიაო! გაუმარჯოს ბირკავასა, მინდვრად ამოსულსაო, რამე-  
თუ იქა, მინდორში, რაოდენსაცა ინდომებ, იმოდენსა შეაჯდები და იულა-  
ყებო! ცოტა ჭამე, სამაგიეროდ, როცა გინდა, დადექი და ითაფლავეო, სხვა  
ამის მეტი დევიზი არცრა მიცვნიანო, ჩვენი თივაც ეს არის და ჩვენი საზ-  
რდოცაო. ეჰ, უფალო ულაცო, ძმად შეკვეთილო, ნეტავი ერთი ჩვენი თავი  
ბაზრობაზედ გაჩვენა, სად მთელი ჩვენი სოფელ-თემისა კაპიტულია ხოლ-  
მე თავმოყრილიო, სანამ ჩვენთა დიასახლისთ ვაჭრობაში ბედი უპრიანებ-  
დეთ, სანამ ისინი გასასყიდად წამოსხმულ სუყველა ბატ-დერღეტსა და  
ჩრიხვ-ვარისა თუ წრიაპსა გაასაღებდნენ, აბა, იქა ვთაფლაობთ გემრიე-  
ლად თუ ვთაფლაობთო!

ამისი თქმა იყო, და გაიყარნენ. მორჩა და გათავდა.

აქა პანურგმა ხმა გაიქრო და ენა მეტად არღა დაუსველებია. პანტა-  
გრუელმა შეგონება დაუნყო, ბარემ ბოლომდე თქვი სათქმელი, გაასრულე  
ამბავიო, მაგრამ ედიტუსი არ დაეთანხმა.

— კარგისა მთქმელის კარგ გამგონესა ბევრი სიტყვა არ ეჭირვება, —  
წართქვა მან. — ყველაკა ძალიან კარგად გავიგე, რისი თქმაც გნადდა და  
სადაც უკაკუნებ მაგ ვირისა და ცხენის ლათიასა, ლირფი ხარ, უპირის-  
წყლო და უნაშურო. მაგრამ, უწყოდე, ვერცრასა გამოგვრჩები, გეყოფა,  
იმისთანაობაზედ სიტყვა არღა დაძრა.

— ისე გამოგვრჩებით, მზე მალლა იქნება, — შეესიტყვა პანურგი. —  
დიდი ხანი არ არის, აქა ერთი თეთრფრთაბუმბულიანი აბატქალა მოვიხი-  
ლე, სიამოვნება თუ გინდა, იმა ბიჭთმოყვარესა, ანუ პაქალასა ზედ უნ-  
და შეაჯდე და ისე გაუყარო, თორემ მარტო მკლავისა მკლავში გაყრა არც-  
რასა გიზამს. სხვანი გამოჯეკილნი ფრინველნი ჩანან. ის სულ სხვა ჩიტია,  
ანუ სხვაგვარად სახიერია, სხვარიგად პირწყლიანი, მწყაზარი. იმისთანას-  
თან ერთი-ორჯერ თუ შესცოდავ, მართლა ალაღია, მაგრამ ღმერთი მალ-  
ლიდან იყურება, გულში არცრა უშმი არ გამივლია, და თუ რამ გამივლია,  
სულაც მე მომივიდეს, ყაბულსა ვარ.

## თ ა ვ ი VIII

აქა ამბავი, თუ ვითარ ვძლივით დაბრკოლებანი და რის  
ვაივაგლახითა მოვიხილეთ გოლოსა და გოლოს კავიჭა

მესამე დღესაც, როგორაც წინა ორსა, გადაბმულ, წართულ ლხინსა და  
ნადიმში ვიყავით. პანტაგრუელმა სწორედ იმა დღისით აიჩემა, გინდათ, არ



გინდათ, არ ვიცე, პაპბიჭა უნდა მოვიწახულოთო; მაგრამ ედიტუსმა მიუთხრო, პაპბიჭა ეგრე ადვილად არცვის ენახვებაო.

— იმას რა, თავზედ პლუტონის ჩაფხუტი ხურავს, კლანჭ-ბრჭყალზედ გიგესის ერქეფში, ანუ ცერისა ბეჭედი უკეთია<sup>1</sup> თუ გულზედ ქამელეონი ჰკიდია,<sup>2</sup> უჩინმაჩინი რომ გამხდარა? — იკითხა პანტაგრუელმა.

— არა, — მიუგო ედიტუსმა. — მაგრამ ეგრეთია, მხელსაღ თუ ვისმე ზედ იხედიებს და პირისპირად აჭვრეტინებს თავსა. ახში ვნახოთ, ვცდი, იქნებ შევძლო და ვითმე შეგახვედროთ, გახილვოთ.

ამისა თქმისავე თანა მან საქმნელსა მიაშურა, ჩვენ კი ყბორვა და მუცლისა ყორვა განვაგრძეთ. სულ ჟამისა ნაოთხალი თუ იყო გარდასული, რომ ისა უკანვე მოიქცა და გვითხრა, პაპბიჭა ხილული და საჩინოაო, მერმე წაგვასხა და მალულ-უჩუმრად ზედ იმა გალიას მიგვაყენა, სად ფრთაგაშლილი პაპბიჭა ჯდა, ორი ცოტინა, პატარა კარდინბიჭათი<sup>3</sup> და ექვსი ფაშფაშა, ქონმრავალი ეპისკოპბიჭათი გარშემორტყმული. პანურგმა კარგა ხანს უღირღიტა, ჰკვლია იმისი გარეგნობა, მიხრა-მოხრა, შესახედაობა და, ბოლოს, იხმამალლა:

— რა ჩიხა რამ ყოფილა, თვალად სახიჩარი! ქოჩორი სავარცხლიანი ოფოფისას მიუგავს, თავადაც ოფოფიანი ჩანს!

— ხმა იკელი ემანდ, აგრემც არა ხარი — მიუთხრო ედიტუსმა. — მაგას სასმენელნი ასხია, ვითარ დიალაც სამართლიანად ბრძანა მიქაელ მატისკონელმა.<sup>4</sup>

— რა ვქნა, ოფოფიანი ჩანს და! — წართქვა პანურგმა.

— უკეთუ თქვენგან ძვირის ლაპარაკსა მოჰკრა ყური, დალუპულნი ხართ, კეთილნი კაცნი. ხედავთ, გალიასა შიგან რა ოფო, ანუ რა სატბორავ-საგუბარი აქვს? მაგ ოფო-საგუბრიდან ეგრევე დაგატყდებათ თავსა ათასი მეხი, ელვა, მანდედან მოვლენილნი დაგესევინ მიწრიელნი, დაგიბერავენ ქარაშტონი და თვალისა დახამხამებისა უმაღ ქვე-ქვე წახვალთ, ჩაქვესკნელდებით.

— რა ძალა გვადგას, აზირ წავსულიყავით და პური გვეჭამა, გვესუფრიანა, — იჭკუა ძმა ჟანმა.

პანურგი კვალად პაპბიჭასა და იქავ გარეშემო მყოფთ ჰკვლევდა, რომ უცებ, ულუმელად გალიისა დაბლა ბუკნაჭო, ანუ ცხრამუცელა შეამჩნია და აღაღადდა, ხმაყო:

— ღმერთია მოწმე, კაკანათსა შიგან, ილინჭაში ვართ შემოტყუებულნი, გვნახეს სულელნი და თვალნი აგვიხვიეს! აქა ოდენ ვერაგობა, ძმაცვა, გაიძვერობა და თვალთმაქცობაა. აგერა ბუკნაჭოტი, ვიეთნიმე კიოტსა და ზარდიონსაც ეტყვიანი! დავილუპენით, განწირულნი ვართ.

— ღვთისა გულისთვის, ცოტა დაბლა იუბნეთ, ენა ჩაისლაპეთ! — მიუთხრო ედიტუსმა. — ეგა არცრა ბუკნაჭოა, სახელმორჭმული მამალი ბუკიოტია, მოლარეთუხუცესი.

— მიდი ერთი, თუ კაცი ხარ, რამე აგალობებინე მაგ პაპბიჭასა, გაგვაგონე ხმა მაგისი, — უთხრა პანტაგრუელმა.

— ეგა ეგრე ალა-ალა არცა გალობს და არცა მიირთმევს, თავისი დანიშნული დღე და საათი აქვს, — მოუჭრა ედიტუსმა.

— მე სულ სხვა რიკრიკათი ვცხოვრობ, — წართქვა პანურგმა. — ჩემთვის სუყოველი საათი დათქმული და დანიშნულია, წავიდეთ, ერთი გემრიელად შევუბეროთ!



— ან დასტურ მართალსა უბნობ, — წაუსაფანლა ედიტუსმა. — ეგრე თუ განსჯი, არცროდის ერეტიკოსი არ გახდები. მეც შენს ჭკუაზედ ვარ, წავედით!

უკანგამობრუნებულთ გზად ბებერი მწვანეთავიანი ეპისკოპოსი/მოვლანდეთ: ხისა ქვეშე გრილოში ფრთებჩაფართხუნებული ქატიკოსი და ხვრინავდა, იგვრდივად ქორეპისოპოსი, იგივე უსამწყსო ეპისკოპოსი და სამიცი მლალობელი სირახობა ჩიტუნა, ანუ ონოკროტალიუსნი, იგივე პროტონოტარიუსნი, უსხდნენ.<sup>5</sup> იქავ მოახლოვოდ ერთი პენენიკი აბატქალა მხიარულად ჭრინავდა, გალობდა, და ჩვენცა ისე გვეამა, ისე გვეჭაშნიკა ის ხმიანობა, რომ რაოდენიცა ზედ ასო გვასხია, სუყველასა უკლებლივ დიდის სიამოვნებით ყურ-სასმენლად გადავიქცევდით, ოლონდაც იმისი ჭრინვა-გალობისა ერთი ბგერაც არ გამოგვპარვოდა, სხვა რამ უცხოთსა არცრას მოვეცდინეთ, სულ იმისთვის გვესმინა და გვესმინა.

— ამა მშვენიერმა აბატქალამ არლა იცის, რა ქნას, ლამის დადნეს, ეს ხეპრე ეპისკოპოსი კი ხვრინავს, ძილში ხრუტუნებს და ყურსაც არ აპარტყუნებს, მე ამას ვახვრინებ და ვახრუტუნებ ვითარ უნდა, ანვე გალობისა იშტაზედ მოვიყვან, ანაბრე ამის საქმესა, ეშმაკიმც დალახვრავს, აპაანდე! — სიბრაზისა ცეცხლი წაიკიდა პანურგმა.

თქმულსა თან საქმეც მოაყოლა და დაარისხა, დააზარუნა მცირე სარეკელი, გალიისა თავზედ ჩამოკიდებული; მაგრამ რაც რომ ამძლავრებდა იგი ზარუნსა, ეპისკოპოსიცა მით უფრო უმატებდა ხვრინვასა და გალობისა ბაიბურშიც არ იყო.

— უყურე ერთი ამა ბეხრეკ ხატილენია-აჯამსა! — არა ცხრებოდა პანურგი. — კაცი არ მერქვას, თუ არ აგაგალობო.

სად ეგდო, სად არა, მან კარგა მოზრდილი სიპი მოივარგა და პირდაპირ მიტრაში დაუმიზნა მხვრინავსა. მაგრამ ედიტუსმა არ დაანება, შეჰყვირა:

— მაგას ნუ იზამ, კეთილო კაცო! რაერთიც მეფე და ხელმწიფეა ქვეყანაზედ, ნუ დაინდობ, შემუსრე, მოსპე, დახოცე, მოაკვდინე, გინდ ჩუმად მიეპარე, გინდ სანამლავი ჩაუყარე, ვითარ გენებოს, ისე მოიქეცი, ცით ანგელოზნიც დაიფრინე, — პაპბიჭა სუყველა ცოდვასა შეგინდობს, ოლონდ ამა წმინდა ფრინველთ ნურას ერჩი, უკეთუ რადმე გიღირს სიცოცხლე, კეთილმდგომარეობა და კეთილდღეობა როგორაც შენი საკუთარი, ისე სათანადო მოყვასთა და სახლიკაცთა შენთა, მშვენიერ-სულდგმულთა თუ სულამოსულთა, აგრევე შენთა შორიელ მოსადევარ-ნატამალთა, რომელთ მაშინაც მოჰკვეთს კბილსა შენგან ან ნაჭამი ტყემალი. მიდი, ერთი კიდევ შეავლე თვალი ემაგ საგუბარსა.

— მაშ, აბა, გემრიელად მოლხენა გვიჯობს, — დაასკვნა პანურგმა.

— რას ერჩი, საქმეზედ ლაპარაკობს, უფალო ანტიტუსო, — ჩააკერა ძმა ჟანმა. — ამა ეშმაკეულ ფრინველთ რომ ვუყურებთ, ძვირისა თქმა გვინდება, ხოლო თქვენთა ხელადა-სადვინეთ თუ ვცლით, ხელადვე ღვთისა სადიდებელ გუნებაზედ ვდგებით! მაშ, წავედით, გემრიელად მოვულხინოთ! კარგი სიტყვა გვითხრა!

წართვით ღრეობისა შემდეგ მესამე დღესა (ვითარ თავად მოგეხსენებათ) ედიტუსი დაგვემშვიდობა. წამოსვლისას ხიპი, ანუ ცუდა რამ დაშნა ან ხრმალი კი არა, კოხტა პერშული დანა ვაჩუქეთ, რომელმან საჩუქარმაც ისა უფროისად გაახარა, ვინემ არტაქსერქსე ერთმა ტარკოშმა ცივმა



წყალმა, სკვითი გლეხკაცისა მიერ მიწვდილმა. მან ზრდილად მაღლი გვნი-  
რა, ჩვენთა ხომალდთა ზედან ნუზლად ათასგვარი რამ ახალი ხორაგი  
აატანინა, უშურველად გვისაგზლა, ნაგვიგულუხვდა, ბედნიერი მგზავრო-  
ბა, მშვიდობიანი დაბრუნება, სუყოველ ჩვენსა ნარუქ საქმეში ნარმართე-  
ბა მოგვისურვილა და იუპიტერი დაგვაფიცა, აქეთ გზაზედ უწყვეტად შე-  
მოძივლითო, გამოთხოვებისას კი დაგვმოძღვრა:

— აგერ ნახავთ, ძმობილნო, ცისქვეშეთ მრუშნი და მამაძალლნი მეტ-  
ნი არიან, ვინემ კაცურნი კაცნი, დაიხსომეთ, გულში ჩაითხარეთ ჩემი სი-  
ტყვა.

თ ა ვ ი IX

ვითარ გადაკვიდით რკინულ-კავეულისა კუნძულზედ

მუცელგახარებულ-დაზურგულ-დაზეპილთ, ანუ გატიკნილ-გაჭიკნილთ  
და ნაყლაპ-გაჭყეპილთ რაკილა ნარმართებული, კაი, იგივე ზურგისა ქარი  
გვიქროდა, ხანი არლა დაგვიზმია, ბიზან-ანძა ავმართეთ და, სრულად ორი  
დღე არცა დაგვჭირვებია, რკინულ-კავეულისა კუნძულს მივაღექით, უდ-  
აბურსა და უკაცრიელსა. საითაც კი გავიხედეთ და გამოვიხედეთ, ყოველ-  
გან უცხოგვარად დახუნძლულ-დაზორგილნი და აჯონჯლილნი ხენი მო-  
ვიხილეთ, ზოგთ ბარნი ესხა ძინძა-ძინძა, ანუ მრავალთმრავლად, ზოგთ  
თოხნი, ზოგთაც შალთანი, ცელნი, ნამგალნი, ასტამნი, კინჭოტნი, ანუ  
კავ-შამფურნი, ფითხ-აქანდაზნი, ცულ-ნაჯახნი, დანა-ნალდნი, ცუნცულა-  
ნალდუნანი, ტაბარაკ-ხერხნი, შალაშინ-ქუშტარანი, სასხლავნი, დუქარდ-  
მაკრატელნი, გაზ-მარნუხ-ჩქიფ-სიმქაშნი, ნიჩაბნი, ბურლნი, ციბრუტნი.

ბევრი ხე კიდევ ხანჯლისა შვილთ დაეხუნძლათ და დაეკაპანებინათ,  
ბევრი — ხანჯალთ, იგივე საგვერდულ მახვილთ, სატევართ, ციღვთ, დაშ-  
ნათ, მზეველთ, ტაბართ თუ ტაბარძენტ, ჩუგლუგთ, შუბთ, ლახვართ, ბე-  
ბუთ-იატაგანთ, ქარჩთ, სამალისა ქეიბურთ, ჯალინა-ჯაყვა-ლინწთ, სა-  
თულთ, ხიპთ, ქულუნგთ, ტარელთ.

თუ ვისმეს ესევითარი რამ სამჭრელოს, ანუ საოჯახო იარაღისა თუ  
საჭურვლისა მოშოვება უნდოდა, ხისა ერთი შერხევა კმაროდა, და სუ-  
ყოველ მიუცილებელ, საჭირო ნივთსა კურკამძვრალა-ჭანჭურსაებრ ძირ-  
სა ტყაპატყუბი გაშქონდა; მეტსაც გეტყვით: ხეთა ქვეშე ერთნაირი ხშირი  
ბალახი ბიბინებდა, ქარქაშ-კაპარჭა ბალახად ხმობილი, და ჩამოცვივნულ-  
ნი ნივთნი ეგრევე შიგ ეგებოდნენ. ერთი ეგ იყო, დია ფრთხილად უნდა  
ყოფილიყავით, რომელიმე ან თავზედ, ან ფეხზედ, ანდა კიდევ ემანდ სადმე  
არ დაგცემოდათ, რამეთუ პირდაპირ ქარქაშ-კაპარჭთა შიგან ჩასაგებად  
რისინი ჩამოსწვრივ ცვიოდნენ, და ვაითუ ავად დაეშავებინეთ. მავანი და მა-  
ვანი ხისა ქვეშა ისეთ მცენარეთაც ნავაწყდი, რომელთ ბუნ-ტარნი მომა-  
გონეს თუ ოროლ-აკინაკისა, თუ შუბ-სათხედისა, თუ კინენ-გმურისა, თუ  
აფთ-გეონისა, თუ ხაჩაკალ-მერულისა, და ზედ ტოტებამდისინ აზრდილ-  
ნი, იქა ნახულობდნენ სათავიანთოდ ბურნუკ-სათიხარ-ბუნიკთ და სამკ-  
ვეთელთ პირთ, ვის როგორი მოადგებოდა და მოერგებოდა. ხენი, ვითარ-  
ცა უფროს-უხუცესნი, ყოველივე ამასა წინ-წინ უმზადებდნენ, ვინაიდან  
უნყოდნენ, რომ ისინი წამოიზრდებოდნენ და მიაკითხავდნენ, როგორაც  
თქვენ უმზადებთ ხოლმე თქვენთა ძე-ასულთ სამოსელთ, როცა უწყით,







ცი და აღდაჭია. ლოცმანმა, ანუ მხერვალმა, ხომალდისა მატარებელმა, ორი მომცრო რვა-რვა ერთნაირწვერიან-კინჭუხიანი კუბურა ციცაბო დაგვანახვა, რომელთა სითეთრე და სიქათქათე ისეთსა შთაბეჭდილებასა ქმნიდა, კაცი ჰგონებდა, ერთიცა და მეორეც ან ალებასტრისაა, ან ფიფქინა, უმტვერო, სპეტაკ-წიმარო თოვლისააო; თუმცაღა, მხერვალმა დაგვარწმუნა, ეგენი კამათელთაგან ქმნილნი არიანო. ზედგან მათაყოლა, მაგათ შიგან ციხე-დარბაზნია ექვს-ექვს სართულიანიო, სადაც ბინადრად ოცი ქასქანჯიელია, ვის აგრერიგად ეშიშვიან ჩვენში და ყველასა თავ-თავისი სახელწოდება აქვსო: წყვილ კამათელთაგან ყოველთა უფროსთ შაშნი ჰქვიათო, ყოველთა უმრწემესთ — იაქნიო, შუათანანი — ფანჯნი, ჩარნი, ორი სე და ორი დუ არიანო. იქავ სხვა სახელდებანიც შევიტყვეთ: შაში-ბეში, შაში-ჩარი, შაში-სე, შაში-დუ, შაში-იაქი, ფანჯი-ჩარი, ფანჯი-სე და დანარჩენთ არღა ჩამოვთვლი. მაშინღა მივხვდი, ვიალლოე, რომ უფროსერთნი მემორინენი დასტურ ბოროტ სულთ გამოუხმობენ, რამეთუ წყვილ კამათელსა ლოცვა-ვედრებისა ხმაზედ ამღერებენ: „ჰა, დუშაშო, გამიგორდი, შენ გენაცვალე!“ — აგრე უფროსთ, უხუცეს ქასქანჯიელთ მიმართავენ; „ჰა, იაგანო, მაცხოვნე ერთი!“ — აგრე მრწემთ ეაჯებიან; „ჩარი-დუ, მოდი, არ მანყენინო!“ და აგრე სახელ-სახელ თუ თიკუნ-თიკუნ მოუწოდებენ ყოველთა ქასქანჯიელთ. თუმცა ოდენ მოწოდებასა არა სჯერდებიან, თანვე ისეგვარად ირჯებიან, ვითომ ერთმანეთში ძმაბიჭურადა ვართო. საცა სამართალია, უნდა ითქვას, რომ ქასქანჯიელნი ყოველ დაძახილზედ უმაღვე არ მორბიან, ხან აჯანჯლებენ მოსვლასა და საამისო მიზეზიც აკრეფილი აქვთ. სწორედ იმჟამად ისინი შეიძლება რომ სადმე სხვაგან იყვნენ, იმისდა მიხედვით, ვინ უადრე უხმო და მოუწოდა. მაგრამ ესა სულ არ ნიშნავს, რომ ისინი აღლოსა და სმენასა არიან მოკლებულნი. სმენაცა და აღლოც, მერწმუნეთ, ჩინებული აქვთ.

მხერვალმა ისიც გვითხრა, ამა კუბურა ციცაბოთა გარემრგვალად თუ ძირსაო ღელვატეხილობისგან უფროისლა მეტი გემია დანთქმული და უფროისლა მეტი ძეხორციელი თუ ფასდებული ქონება-აფალია დაღუპული, ვინემ ერთბამად შეერთებული სუყველა სირტის,<sup>1</sup> ქარიბდას, სირინოზის, სკილას, სტროფადისა<sup>2</sup> სიახლოვეს და ყველაგვარ ზღვისა უფსკრულ-საღუპელაშიო. ყველაყა ეს თქმული აღალად ვირწმუნე და დავიჯერე, მეტადრე, როს წამომამაგონდა, რომ უწინდელსა დროში მეგვიპტელნი ბრძენკაცნი ნეპტუნსა პირობითად პირველი კუბის იეროგლიფური ნიშნითა სდებდნენ სახესა, აპოლონსა — ერთი ქულითა, დიანას — ორითა, მინერვასა — შვიდითა და ა. შ.

მან კიდევ ისიც გვაუწყა, წმინდა გრაალის ღვთაებრივი და ცოტა ვინმესთვის თუ ცნობილი შუშისა ჭურჭელი აქ არისო. პანურგი ისე გულიანად დაენუკვა ადგილობრივ სინდიკოსთ იმის ნახვასა, რომ ისინი ბოლოსა და ბოლოს თანახმანი გაუხდნენ, სადღესასწაულო გამომჩვენებლობა კი ამა ამბისა გამო სამგზის მეტი შექმნეს, ვიდრე ფლორენციაში იყო იუსტინიანეს პანდექტიების ანდა რომში ვერონიკას ლეჩაქ-კუბასტი-სა<sup>3</sup> ჩვენების დღესა. ჩემს სიცოცხლეში, დანყივ-დაბადებიდან არცროდის მომიხილავს იმოდენი დაფარნა, ბაზმა, ყინულია, კერეონი და ხატი. სულ ბოლოს შემწვარი ბოცვრისა დრუნჩისდამაგვარი რამ გვაჩვენეს. ყოვლის უფრორე ნიშნეული გაუტეხელი ისტიბარი ვნახეთ, წაგებუ-



ლი თამაშისა ქმარი, აგრეთვე იმა ორი კვერცხისა ნაჭუჭი, რომელნი კვერცხნიც ოდესღაც ლედამ დადო, რომელთაც მერმე ის კრუხად აჯდა და საიდანაც გამოიჩვენენ კასტორი და პოლუქსი, მშვენიერი ეღუბნეს ძმანი. ამა ნაჭუჭისა ერთი პანანა ნატეხი სინდიკოსთ პურზედ გადავუცვალეთ. წამოსვლისას კუნძულელ-ჭალაკელთაგან კარგა ბლუჭყადე ქაჩნი და მხიარული ფერისა სარქმელ-ქუდნი შევიძინეთ, მაგრამ მაინცაღმამიანს იმედინად ვერა ვარ, რომ სარფიანად გავყიდით. თუმცაღა, ვინცავეინ ჩვენგან იყიდის, ისინი კიდევ უფროისლა მეტსა წააგებენ.

თ ა ვ ი XI

ვითარ გავიარეთ დილეგაური, სად კატაგანი შინადროვს, სულ ერთიანად ვოგორა, ფუმფულა ციცათა მრცკერცობი

პროკურაციასა გვერდი ავუარეთ, რაკილა იქა უკვე ნამყოფნი ვიყავით, არცა კიდევ განკითხვისა უდაბურ კუნძულზედ შეგვივლია; მერმე დილეგაურად სახელდებული ჭალაკისთვისაც გზისა აქცევა დავაპირეთ, რადგან პანტაგრუელსა მუნ გული არ მისწევდა, გადასვლა არ უნდოდა, და ნეტავი არცა გადასულიყო, რამეთუ ბომბორა ციცათა<sup>1</sup> ერცჰერცოგის კატაბანისა ბრძანებითა უმაღ გვწვდნენ და შეგვიპყრეს მხოლოდ და მხოლოდ იმისა გულისთვის, რაკილა რომელიღაც ჩვენგანსა პროკურაციასა შინა მავანი და მავანი დავაქარი გემრიელად მიეჭვერა, წიხლქვეშ გაეგდო.

ბომბორა ციცანი გულმიუსავალნი, უსასიზღრესნი და უსაშინელესნი ცხოველნი არიან: საზრდოდ ცოტინა, ანუ პატარა ბალღ-ბლართ მიირთმევენ, ჭამით კი მარმარილოს პლაკ-ლორფინოთა ზედან ჭამენ.<sup>2</sup> თავად განსაჯეთ, ჭელტნო, ღვინითა გაბრძნობილნი, რარიგ გადღინულ-გაჭყლეტილნი ცხვირ-საყნოსელნიც უნდა პქონდეთ! ბენვი იმა ციცათ გარედან კი არა, შიგნიდან ეზრდებათ; როგორაც სიმბოლო და დევიზი რამ, თავგადახსნილნი თუ პირმოუხინძავნი აბგა-პარკნი დააქვთ, ოღონდ სუყველასა სხვადასხვანაირად: ვინ საბლარდნელსავით ყელზედ იხვევს, ვის უკან ჰკიდია, ვის — პალვ-მუცელზედ, ვის გვერდზედ, და თითოეულსა ამის რაღაც საიდუმლო მიზეზი ეპოვება. ბრჭყალნი ციცათ გრძელნი, მაგარნი და ბასრნი აქვთ, და ვისაც თავიანთ თათ-ტორთ ჩაავლებენ, მორჩა, იმისი საქმე წასულია. ისინი მიწყვი თავდარქმულნი ვლიან, ერთსა თუ ოთხნაოჭიან-ბაბლიანნი და დაჭრებილი ანდა ოთხი საბიძლითა განყობილი ჩაჩი ახურავს, მეორესა — ფაჩაჩსავით გადაკეცილი აკოსია, მესამესა ჩაჩლაქუდი ფილ-როდინსა მიუგავს, მეოთხესა ვარშამანგი ახვევია, ვერცვის დაუბურვილსა და უკიდაროს ვერა ნახავთ.

იმათ ბუნაგსა შინა რომ ამოვყავით თავი, მავანმა ხელგამოშვერილმა ბულდაჯანამ, რომელსაცა ნახევარტესტონი მივუბოძეთ, გვითხრა:

— ღმერთმა მშვიდობიანად გაგიყვანოთ აქედან, კეთილნი კაცნი! თვალნი გაიფაციცეთ, კარგად დააკვირდით ამა მძლავრ ბურჯთა სახეთ, რომელ ბურჯთაც დამყარებულია საკატაბანოს მართლმსაჯულება. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, პატიოსანი უპოვარი კაცისა სიტყვა: უკეთუ კიდევ ექვს ოლიმპიადასა და ორი ძალლისა ოდენსა იცოცხლებთ, თქვენის თვალითა მოიხილავთ, რომ ეს ბომბორა ციცანი წვეთ სისხლსაც არ დაღვრიან, ისე დაუფუფლებიან მთელ თავის ავლადიდებიანად ევროპასა და სულაც



არ ინაღვლებენ, ჩვენი არმად მონაგარი ჩვენთა ჩამომავალთ ოდესმე ყელზედ დაადგებათო. ამათში სექსტესენცია<sup>1</sup> მეუფებს, რომლისა წყალობითაც ყველაყასა ბოჭავენ, სანსლავენ და ბილწავენ. არცრასა დაგიდგვენ, კაცსა გინდ ჩამოჰკიდებენ, გინდ დანვავენ, გინდ ოთხში ამოიღებენ, გინდ თავსა გააგდებინებენ, გინდ სულსა ამოხდიან, კარგსაც და ავსა<sup>2</sup> გენურწველად აობრებენ და სპობენ. უკეთურებასა ესენი სათნოებისა, სახელისა, არქმევენ, ბოროტებასა სიკეთესა უხმობენ, ღალატსა ერთგულებასა ეძახიან, პარვასა, ანუ ხელმრუდობასა და ხელცივობასა — ხელგაშლილობასა. ამათი დევიზი ტაცება-გლეჯაა, მჭკურველობა, ანუ საფლავთ ძარცვა და მათობაა, ყოველთაგან მოწონებული, თვინიერ მწვალებელთა, და თავი მიწყვი იმითი მოაქვთ, ჩვენსა მორჭმულობასთან და უცოდველობასთან ვერცვისი ვერ მოვაო.

ჩემი თქმულისა სისწორე-სიმართლეში დასარწმუნებლად შორსა წასვლა არ გინდათ, დააკვირდით: ბაგანი, ანუ საზრდელთა დასადებელნი ადგილნი სულ ერთიანად გობა-გეჯათა, იგივე სანაყრეთა დაბლა აქვთ მოწყობილნი.<sup>3</sup> ამა ამბავსა ოდესმე გაიხსენებთ. და, უკეთუ ქვეყნიერებასა ჟამიანობა, სიყმილი, ომიანობა, გრიგალი, მიწისძვრა, რუნუნა-ხანძარი და სხვა ათასი რამ უბედურება დაატყდება თავსა, ნურცრასა ნუ დააბრალებთ, ნურცა ცთომილ ვარსკვლავთა არახელსაყრელ თანამთხვევასა, ნურცა რომის კურიისა ბოროტმოქმედებასა, ნურცა მეფეთა და ცისქვეშე თავადთა მძლავრობასა, ნურცა ღვთისა სათნოთა, მწვალებელთა და ცრუგულთმისანთა მზაკვრობასა, ნურცა მევახშეთა და ყალბი ფულისა მჭრელთა ხრიკონით თუ ნამარდობასა, ნურცა მკურნალთა, ღალატთა და მენამღეთა უმეცრება-უპირისწყლობასა, ნურცა კიდევ მოღალატე ცოლთა, იგივე მომნამღელთა და შვილისა მკვლელთა გარყვნილებასა, ადექით და ყველაყა იმა ზართამხდელ, ენითა გამოუთქმელ, დაუჯერებელ და განუზომელ ბოლმა-ღვარძლსა მიანერეთ, რომელი ბოლმა-ღვარძლიცა ბომბორა ციცათა ბოვ-სახმილთა, ანუ ილეკროთ დასადნობელთა შიგან დღემუდამ ინართობა და იჭედება. კაცთ კი ამა ბოლმა-ღვარძლისა ისევე ცოტა რამ უწყიან, ვით ებრაული კაბალისა. აი რად არის, რომა საძულველ ბომბორა ციცათ, როგორაც ეკუთვნით, ანუ საკადრისად, ვერცა ხელსა ადებენ, ვერცა ამტყუნებენ და ვერცალა სჯიან. მაგრამ ოდესმე თუ გამოააშკარავენ და საქვეყნოდ ამხილებენ, მაშინ არცვინ მოიძებნება იმისთანა მჭევრმეტყველი ვინმე, ვინაც თავის ენამზეობის ხელოვნებასა ამათ მფარველ კალთად გადააფარებდა; არ მოიძებნება არცა იმისთანა მკაცრი, დრაკონული რამ კანონი, ყოველთა ურჩთა დამთრგუნველი, ამათ თუნდ მცირედ მაინც რომ წაადგებოდა და დაიცავდა; არ მოიძებნება არცა კიდევ იმისთანა ვინმე განმგებელი, ვინაც თავის ხელთუფლობასა ბოროტად გამოიყენებდა და ხელსა შეუშლიდა ამათ წინააღმდეგ აღმდგარ ხალხსა, რათა ესენი უკლებლივ სოროსა შიგან შეეყარათ და ცოცხლად ამოებუგათ. განა ერთხელ და ორჯერ მომხდარა, რომ ამათ თავიანთივე ღვიძლზედ ნადებნი შვილნი, ბობორიკა ცინდალ-კნუტნი, და თავიანთივე ნათესავნი, შეძრწუნებულ-ზიზღალძრულნი, გასდგომიან და გადასდგომიან. ჰამილკარისა არ იყოს, რომელმან ძე თვისი ჰანიბალი საჯაროდ დააფიცა, ვიდრემდის იცოცხლებ, რომაელთ არ გაახარებო, ცხონებულმა მამაჩემმაც სიტყვა ჩამომართვა, რომა აქედან, ამა ბალვივაშიდან, ანუ გამამწარებელთა სახლიდან, მანამ არ მოვიცვლი ფეხსა, სანამ ბომბორა ციცათ ცით მეხი არ დაეცემათ







რომელნიცა თავიანთ სუყოველ დიკასტსა<sup>7</sup> და მსაჯულსა სიკვდილისა შე-  
მდგომად ძეგლ-ალაღმასა უდგამდნენ, ვის რა გარჯილობა-ნამსახურობა  
ჰქონდა, იმისდა კვალობაზედ, ზოგს ოქროსასა, ზოგსაც ვერცხლისასა, ან-  
თუ მარმარილოსასა, ოღონდ უცილობლად უხელოსა.

ვითარ წარუუდევით კატაბანსა, ვილაც-ვილაც კაცთ, ტახტთ<sup>8</sup> პარკნი,  
საცალონი და დაგლეჯილ-დაფლეთილნი საბუთნი რომ<sup>9</sup> გმოსასა<sup>10</sup>, განსასჯე-  
ლთა სკამთა ზედან დასხდომა გვიბრძანეს.

— ეშმათა დაყრილნო, ერთსა ადგილას მახათმყრელნო, ძმანო და  
ძმობილნო! არა მიშავს რა, ფეხზედაც კარგად ვიდგები, — მიუთხრო  
პანურგმა, — თორემ ჩემისთანა ახალსანმერთულიანი და მოკლეახალუხი-  
ანი კაცისთვის ეგ თქვენი სკამი ნამეტანი დაბალი იქნება.

— დასხედით! დადეთ ის ერთი ადგილი! დატრაკდით! რაერთხელ უნ-  
და გვათქმევინოთ, — შეუძახეს დამხედურთ. — უკეთუ სიტყვისა გება გა-  
გიჭირდათ, მიწა პირსა გიზამთ და სუყველასა ცოცხლად ჩაგიტანთ.

## თ ა ვ ი XII

### ვითარ გაგვიტავსატმხა კატაბანმა ერთი რამ გამოცანა, ანუ ასახსნელი სიტყვა

ჩვენი დასკამება იყო და ბომბორა ციცათაგან გარშემორტყმული კა-  
ტაბანისა ავად შეძახილი:

— აბა, ჩამოყაჭეთ, ჩამოყაჭეთ, ჩამოყაჭეთ!

— გადაყლურწვა აჯობებდა, გადაყლურწვა! — კბილქვეშ წართქვა პა-  
ნურგმა.

— ქერა ასულმა უკაცოდ იღო  
მუცლად. ტკივილი დაეწყო მალე, —  
ყრმა ეთიოპმა, შავტუხა იყო,  
ვით გველმა, ცალი გამოხრა მხარე  
დედას და თავი გამოყო გარეთ!  
არ აწუხებდა არცარა ჯავრი,  
და გახდა ქვეყნად მავალი მგზავრი, —  
ხან ფრენით მიდგა, ხან გოგვით მოდგა;  
მეცარ-მეცნავმა, დალლილმა სწავლით,  
ნერ მიაკუთვნა ის კაცთა მოდგმას.

აბა, ჰე, ცანით, ცანით, გამოიცანით, ჩამოყაჭეთ, რასა ნიშნავს გამო-  
ცანა ესე, — არა ცხრებოდა კატაბანი.

— ზენაარმან ღმრთისამან, შინ თუ სფინქსი მეყოლებოდა, ანუ ვერე-  
სი თუ ვიქნებოდი,<sup>11</sup> დასტურ მრავალთაგან ერთი შენი წინამორბედი, —  
შევბედე თქმა, — ზენაარმან ღმრთისამან, მაგ გამოცანასაც გამოვიცნო-  
ბდი! მაგრამ იქა არა ვყოფილვარ და, ზენაარმან ღმრთისამან, მაგ საქმი-  
სა არა ვიცი-რა!

— ნუ ატყაჭუნებ, ნუ კი ჭყავი, თუ რამ ოქრო გიჭყავის, ნულა ოხ-  
რობ, მოგვაოხრე ეგ ოქრო, შე ტვინოკრობოკროვ, — კვალად აძრახდა  
კატაბანი, — ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! იქა არა ვყოფილვარო, ეგა ვერ გიხსნის,  
ვერ გიხვამიშნებს, შე ხეპრევ, ჯაჯა-ნამებისგან. ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე, ყური



მიგდე, რა უნდა გითხრა, ჩამოყაჭე: რა ჩვენი წეს-კანონი და რა დედაზარ-  
დლისა აბლაბუდა-ხიბლიხვანჯარა, რომელსა შიგან წვრილნი ბუზნი და  
პეპელანი ებმებიან, იხლართებიან, — ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! ხარაბუზა-  
ბუზანკალნი კი ეგრევე გლეჯენ და გადიან. ამად დიდთა ავაზაკთა და მტარ-  
ვალთ არცა ჩვენა ვდევთ. ეგენი ძნელად მოსანელლებელნი არიან, თქვენს  
გვავენებენ, თორემ არას გვარგებენ. თქვენა ყოვლისა უხუცესი ეშმა მაცი-  
ლი-აგიგებთ ანდერძსა, თქვე ვაი-ალალ-მართალნო და ვაი-უბრალონო!

ნისკარტიანი საღვინისა ძმობილ, მეჭაშნიკე ძმა ყანსა დია არ ეჭაშ-  
ნიკა კატაბანისა უბაჟოდ თუ წარაუგონთ უბნობა-ლაპარაკი და მიუთხრო:

— ჰე-ჰეი, უფალო ჩიხორიანო ეშმავე! რისა გაგებაშიც არ არის, რა  
ქნას, ვითარ აგიხსნას? კატაბანსა გეკატაბანოს, გეცრუოს და გი-  
ლოროს?

— აბა, აბა, აბა, ენასა კბილი დააჭირე, ხმა ჩაისლაპე, გაკრინტდი, ნუ  
ატრაკუნებ, — დაუტატანა კატაბანმა. — რაც რომ ვმეუფებ, ჩემგან არა-  
კითხული ჯერეთ არცვინ ამძრახებია. ვინ აუშვა ეს გადამთხვეული  
რეგვენი და ტოტო, ეს აყირო, ესა?

— ცრუობ, — ისეგვარად ჰრქვა ძმა ყანმა, ტუჩნი არ გაუტოკებია.

— მიდი, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! შენი სიტყვისგებისა ჯერიც მოვა და  
მაშინ გეტირება დედა, შე ლირფო!

— ცრუობ, — ხმაუყოფლად გაუმეორა ძმა ყანმა.

— მიდი, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! შენა აქა თავი აკადემეს ტყეში<sup>1</sup> ხომ  
არა გგონია, სად ჭეშმარიტებისა ტრფიალნი და მაძიებელნი დაქარიქუ-  
რობენ, უსაქმოდ დაყიალებენ? ეგრე არ არის, ძმაოსან, არა, არა. ჩვენში  
სულ სხვა წესი და რიგია: აქა თამამად ისეთ რამეზედ ტრაკატრუკობენ,  
რაიცა არა უწყიან. აბა, ჰე, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! აქა ისეთ რამეში ტყდე-  
ბიან, რისი ქმნა არცა უფიქრიათ. აბა, ჰე, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! აქა, ვითომ  
მცოდინარენი ვართო, ისეთ რამესა განაბჭობენ, არცროდის რომ არ უს-  
წავლიათ. აბა, ჰე, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! აქა, როს რასმე გაგულისჭირებენ  
და გაშმაგებენ, მოთმინების მოკრებასა გიბრძანებენ, გცემენ, გბესტავენ,  
გბერტყავენ, ღდინსა გაგდებინებენ, ტირილსა კი არ განებებენ. აბა, ჰე,  
ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! შენა, გატყობ, არცვისგან უფლებამოსილი არა ხარ,  
აბა, ჰე, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! ციებ-ცხელებასამც გაუციებიხარ და გაუცხე-  
ლებიხარ, აბა, ჰე, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! ბარემ ცოლადამც დაისვამ იმა  
შენსა გამციებელსა და გამცხელებელსა!

— ეაჯო, არქიქაჯო, პანტოქაჯო! — გახმამყივარდა ძმა ყანი. — შენ  
რა, ბერმონაზვნისა გაცოლოსნება მოგპრიანებია? ეჰეე! მაშ, აბა, ნალდ  
ერეტიკოსად გამომიცხადებიხარ!

თ ა ვ ი XIII

ვითარ ხსნის პანურგი კატაბანის  
ჩამოცანასა

სულაკატებულმა კატაბანმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ შენგან თქმუ-  
ლი არც კი გამიგონიაო, და მიუთხრო პანურგსა:

— აბა, ჰე, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! ეგ ენა რა, მუცელში ჩაგივარდა, შე  
ლიზლო?



პანურგმა ამის პასუხად მიუგო:

— ჯანდაბას! ჩანს, მაინც ვილუპებით და, ჯანდაბას, რახან აქა არცა უბრალობას დაგიდევს ვინმე და მიცვალებულთ კი, ჯანიმც გავარდნია, ეშმაკი უურვებს! ჯანდაბას, სუყველას მაგივრად მე ვიხდი, თანახმა ვარ, ოღონდ გარემიგვაქციეთ, გაგვიშვით, მეტის თავი <sup>ქალაქი მაქვს</sup> ~~ქალაქი მაქვს~~, ჯანდაბას!

— გაგვიშვითო? მიდი, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! — შეჰყვირა კატაბანმა. — სამასი წელიწადია, სამასი, აქედან ჯერეთ არცვინ გასულა, ვისაც მარტო ბენვი კი არა, ხშირადრე ტყავიც არ დაეტოვებინოს. აბა, ჰე, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე! კარგად დაუფიქრდი, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე. ვითომ რა, უსამართლოდ მოგექცით? ისედაც ბედასლი კაცი ჩანხარ და კიდევ უფროისად გაუბედურდები, უკეთუ გამოცანა არ გამოგიცვნია, აბა, ჰე, ჩამოყაჭე, ჩამოყაჭე, ჩახვდი, აზრი აართვი, რასა ნიშნავს?

— რას ნიშნავს და, — სიტყვა შეუქცია პანურგმა, — შავი გრძელცხვირა ჭიაჭუა, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია, თეთრი ცერცვისგან იშვაო, დასწყევლის ეშმაკი, თავისივე გამოხრულ-გამოჭმული ჭიჭიტა-ხვრელისა ნყალობითაო, ეშმაკსამც უნაცვალეებია, და ხანად-ხანად დაფრინავს, ხანად-ხანად შინასა ზედა დალოლავსო, დალახვრავს ეშმაკი! პითაგორა კი, სიბრძნისა, ანუ ბერძნულად ფილოსოფიისა ძველთუძველესი ტრფიალი, დასწყევლის ეშმაკი, ამტკიცებდა, მაგ გრძელცხვირა ჭიაჭუამ მეტემფსიქოზი განვლო, დალახვრავს ეშმაკი, და კაცობრივი სულიცა მიისართაო. უკეთუ თქვენცა კაცნი ყოფილიყავით, დაგშამათავთ ეშმაკი, ყოველთა თქვენთა სულნი, ვითარ პითაგორა ჰგონებს, თქვენი ბოროტეული სიკვდილისა შემდგომ ამა გრძელცხვირა ჭიაჭუათა გვამთა შიგან დაივანებდნენ, რამეთუ ამასოფლად მარტოდენ ღრღნით, ხრავთ და ქანქლავთ, იმა გრძელ სოფლად კი

უკვე ეშმაკთა ფერნი  
დახრავთ, ვითარცა გველნი,  
დედათა თქვენთა გვერდებს.

— უფლისა გვამისა მზემან, — წართქვა ძმა ყანმა, — ფრიად მონიაზე და მოსურვილე ვარ, თუკი საკუარნი, ანუ ეს ჩემი დახუჭული თვალი ამა გრძელცხვირა ჭიაჭუათაგან გამოხრულ და გამოჭმულ ცერცვად მექცეოდა.

ამისა თქმა იყო და, პანურგმა მზეგამოხატული ეკიუთი გატენილი სქელი ტყავისა ქისა-თაღისა-ჩახვი შიგ შუა დარბაზში მოისროლა. ბომბორა ციცატ ფულისა ჩხრიალი შეესმათ თუ არა, ბრჭყალ-კლანჭ-კანართა ზედან ბრჭყალ-კლანჭ-კანარნი ერთსულ გაისვეს და გამოისვეს, აიწკრიალეს, ვითარცა უყველო ვიოლინონი, და ერთპირ აღრიალდნენ:

— რაც კარგია, კარგია! თავისა მოქონვაც ჩინებულად სცოდნიათ, ხელის გულისა მოპოხვაც და მოთაფლვაც! რას ერჩით, ან აშკარაა, კეთილწესიერი ხალხი ყოფილა!

— შეგარგოთ, შეგარგოთ, სულ მზეგამოხატული ოქროა! — მიჰბანა პანურგმა.



— ჩვენი სამსჯავრო სახლი, ანუ სააჯო კარი მართლად მიგიხვდათ, — მიუთხრო კატაბანმა, — მოიღეთ, აქეთ მოიღეთ ეგა! თქვენ მიბრძანდით, გზა ხსნილი გაქვთ, კარგნო კაცნო, ნულა აყოვნებთ, დაზმა არღა გგების, მიბრძანდით, — თუმცა შავთ კი გვიყურებთ, მაგრამ არც ისე ეშმაკნი ვართ, — აბა, ჰე, აბა, ჰე, აბა, ჰე!

ბალვივაშ-დილეგიდან ნავსადგურამდის სამსჯავრო და მავან დამხედვართ და მეკარეთ გაგვითავაზეს გზა, რომელთ, რალა დაგიძალოთ, და გულახდილად გვითხრეს, ვინემდე ხომალდთა ზედა ახვიდოდეთ და აფრა-იალქანთ აუშვებდეთ, ჯერეთ კატაბანისა მოგვირგვინე ქალბატონი ციფუნია და სხვა ყოველნი ბომბორა ციცანი ნიჭებულყავითო, თორემ კვალად ბალვივაშ-დილეგსა მიგაბრძანებნო.

— ჯანდაბას, — მიუთხრო ძმა ჟანმა. — ვნახავთ, რა თანხა დაგვრჩა ხაზინასა შინა, და ყოველთ ვენყალობებით, გულსავსედა ვყოფთ.

— ცოტამატა ღვინისა თეთრი ჩვენცა შეგვახვედრეთ, ბედშავთ, — თავი შეახსენეს დამხედვართ და მეკარეთ.

— ბედშავნი არცროდის ივინყებენ ღვინოსა, — წართქვა ძმა ჟანმა. — ჭირშიაც იმის იმედად არიან და ლხინშიაც.

თ ა ვ ი XIV

ვითარ ცხოვრობენ ქრთამიწყლასია, ანუ საცოდავ ძღვენსა ჩვეულნი მომბორა ციცანი

ძმა ჟანსა სათქმელი ჯერეთ გასრულებული არცა ჰქონდა, ნავსაყოფელში სამოცდარვა გაღურა და ფრეგატი შემოვიდა; მივალ ერთი, გავიგებ, რა ახალი ამბავი მოიტანეს და რა ტვირთი მოიყოლესო, იფიქრა ძმა ჟანმა, დატრაკა, დაჰკრა ფეხი და გავარდა, ნავსაყოფელსა მისულსა კი სუყოველი ხომალდი საკლავითა დაყათრული დახვდა; ნახა, მაგრამ რა ნახა: სულ ერთმანეთში იყვნენ არეულნი კურდღელნი, ყვერულნი, მტრედნი, ღორნი, შველნი, ჩრიხვნი, იხვნი, ჭუჭულნი, ბატ-ღერღეტნი და ათასგვარნი გარეულნი ფრინველნი. თვალში მოხვდა აგრეთვე დიბა-ატლასისა და ქამხა-სტავრის არა ერთი და ორი თოფი. მაშინ მან მოგზაურთ ჰკითხა, სად მიგაქვთ და ვისთან მიგაქვთ ესოდენი სარჩო-სამუცლავით. არსადაც არღა მიგვაქვს, ბომბორიკა ციცათ მოვუტანეთო, მიუგეს.

— მერედა, რა სახელსა სდებთ ამა ყველაყასა? — შეჰკითხა ძმა ჟანმა.

— რასა და ქრთამსა, ანუ საცოდავ ძღვენსა, — მიუთხრეს მოგზაურთ.

— ქრთამისა გამომრთმევი ქრთამისგანვე დაილუპებაო, ნათქვამია, და აგრედაც არის, — განსაჯა ძმა ჟანმა. — აწინდელ სულაკატებულ ბომბორა ციცათა მამათ სულ ერთიანად ჩაკვრებილ-შეხრამუნებული ჰყავთ ის კეთილშობილნი აზნაურნი, ვინცავინ, ვითარ ნოდებრივად ეკადრებოდათ, მთელ თავიანთ მოცალეობასა შევარდნითა და მწევარ-მეძებართა თანა ნადირობასა სძღვნიდნენ, რა არი ესეგვარად ვარჯიშ-ვარჯიშ თავი მოსალოდნელი ომიანობისთვისა შეემზადებინათ და გამოენართოთ, ვინათგან ნადირობა სხვა არა არის რა, თუ არა ლაშქრობისა პირველსახე, და



ქსენოფონტი ტყუილად როდი უბნობდა, სუყოველნი ქველნი მხედართუფროსნი ნადირობიდან არიან გამოსულნი, ვითარცა ტროას ცხენიდანაო. მე მეცნიერი, მეცნავი კაცი არ გახლავართ, მაგრამ აგრე მითხრეს და მჯერა. იმა აზნაურთა სულნი, ვითარ კატაბანი ირწმუნება, სიკვდილისა შემდგომ კერატ-ტახთა, ირემთა, შველთა, ყანჩათა, კაკაბთა და სხვა ცხოველთა შიგან დავანებულან, რომელ ცხოველთაც ისენი მთელნი ცხოვრება ესრევარულებოდნენ, ეჟორჟალებოდნენ, და ესარჩლებოდნენ. ბომბორა ციცანი კი ოდენ იმას არა სჯერდებიან, რომ ხსენებულ აზნაურთ პირწმინდად იავარუყვეს და ჩაუნთქეს ციხისციხენი, მინა-წყალნი, სამფლობელონი, ადგილ-მამულნი, სარგო-შემოსავალი და სარფა-მოგება, ან დგანან და მკვდართაც არ ასვენებენ, განსვენებულთა სულსა და სისხლსა ხელყოფენ! ის ჩვენი ჯაჯულა ბულდაჯანა სულელი არცვის გეგონოთ, უაზროდ არ დაუყურადღებვართ, ხო ნახეთ, რა გვითხრა, გულისხმაყავით, იაღლოეთ, მაგათ გეჯა-გობნი, ანუ სანაყრენი, ბაგათა ზედან უკიდიათო.

— ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ აკი გამოასაჯაროვა კიდევ სასტიკი სასტიკი, ანუ ბრძანება, ვინცავინ მონადირე ირემთ, ირემლალთ, ეშვთ, ანუ გარეულ ტახთ, და შველთ დახოცავს, სუყოველას ჩამოვკიდებთ და ჩამოვახრჩობთო, — მოაგონა მოგზაურთ პანურგმა.

— ეგრეა, ეგრე, — ყოველთა მაგივრად კვერი დაუკრა ერთმა მოგზაურმა, — დაღათუმცა, დიდი ხელმწიფე ყოველადმონწყალე და მრავლისა დამთმენია. ბომბორა ციცათ კი, არ დაგავინყდეთ, უჟადადუჟი მოსდგმათ, მხეცურ დაუნდობარნი არიან და ისეგვარად სწყურიათ ქრისტიანული სისხლი, დიდი ხელმწიფისა ურჩობა და გაუგონრობა გვერჩივნოს ბომბორა ციცათათვის ქრთამისა მიტანის და გულისა მოგების დაზმა-დაყოვნებასა, მით უმეტეს, ხვალ კატაბანი ერთ-ერთ თავის ბობორიკა ციცასა ჩათუქესან ხვადსა ვისმე რთავს, ცარიელ ქონსა და ბანჯგვლსა. ძველსა დროებაში მაგათ სუყოველას თივაჭამიათ უხმობდნენ, მაგრამ, მორჩა, თივასა პირსა უკვე არღა აკარებენ. ან სულ სხვა უკანსაყივართ ვეძახით. არ იკითხავთ რასა? რასა და კურდღლიჭამიათ, ჩიბუხაჭამიათ, გნოლიჭამიათ, ხობბიჭამიათ, ჩრიხვიჭამიათ, შველიჭამიათ, ბოცვრიჭამიათ, ლორიჭამიათ, — სხვასა არცრასა გემოთი არ ნახულობენ.

— მაგათი სისხლი კი გაშრა! — შეიძახა ძმა ყანმა. — მერმის წელიწადსა, ნახავთ, ქაქიჭამიად, მჩორეჭამიად, სკორეჭამიად მონათლავენ. სწორსა არა ვუბნობ?

— სწორი ხარ, სწორი! — ერთპირ დაუდასტურეს მოგზაურთ.

— მოდით, ორი რამ საქმე ვქნათ, — შესთავაზა ძმა ყანმა თავისიანთ. — უწინარესად, რაც ამათ მოუტანიათ, ავდექეთ და ჩვენ წარვიტანოთ. მართალი გითხრათ, მომკლა ამდენი დამარილებულისა ჭამამ, ელენთალა მტკივა. მოგზაურთ, თქმა არ უნდა, კარგად გადავუხდით. მეორეც, მივბრუნდეთ კვალად ბალვივაშ-დილეგსა შინა და გაჩენისა დღე ვაწყევლინოთ იმა ეშმაკისა ნაშიერ ბომბორა ციცათ.

— არა, ძმოსან, თოკიც რომ მომაბა, მე იქ მაინც ვერ წამიყვან, — ორივ ხელი გაასავსავა პანურგმა. — რა ვქნა, თვითონ ბუნებისგან ვარ აგრე ცოტა ძაბუნად გაჩენილი.



თ ა ვ ი X V

ვითარ იზრახა ძმა ჟანმა გდღვირისმდენელმა ჯოჯობიძე  
 ციცატა ცივ ძვაზედ, ანუ ცარიელზედ დასხმა

ქერკულესი

— ჩემსა ანაფორასა ვფიცავ, აბა, რა მოგზაურობაა <sup>ქერკულესი</sup> მოგზაურობა? — შესძახა ძმა ჟანმა. — დასტურ ქაქიანთა და ხიხიანთა მოგზაურობასა თუ დაარქმევდა კაცი, ვითარმედ ოდენ ჰაერსა ვნამლავთ, ვაჭაჭუნებთ, ვსკორავთ, ბუზთ ვითვლით. უფლისა მზემან, მე სულ სხვა კაცი ვარ: რა ვქნა, რაღაც საგმირო საქმე დამში თუ არ მოვიყვანე, ვერ ვიძინებ. მე რა, მარტო იმის გულისთვის მიახლეთ თანა, რომ ჟამი გენირვინებინათ და თავი გეაღსარებებინათ? ძელი ქეშმარიტისა მადლმან, ვინცავინ ან არა წამომყვება, იმა ბილწთა და თავლაფიანთ განსანმენდელ-სალხინებელში მოხვედრისა მოლოდინი ნულა ექნებათ, სუყველასა ზღვისა უფსკრულში გადაუდახებ, თანაც კიდევ თავდაყირასა, და საკანონოსა ისრე მოვახდევინებ. რა იყო მაინც, რამ გახადა ჰერკულესი ეგზომ მარად სახელგანსმენილი? იმან ხომ არა, რაკი მთელ ქვეყანასა იყო მოდებული და ხალხთ მძლავრთა თვითნებობასა, ათასგვარ ცთომილებასა, განსაცდელსა და ხიფათსა არიდებდა? ისა არ ინდობდა არცა თულ-ავაზაკ-მეფურმუცეთ, არცა ურჩხულთ, არცა ფრიად გესლოვან ასპიტ-გველთ და ყველაგვარ მავნე ცხოველთ შეხვედრისავე თანა სრიმლსა ავლებდა. მაშ, ვითომ ჩვენც რად არ გავიმაგალითოთ ჰერკულესისა ამბავი და ყოველგან ისეგვარადვე არ მოვიქცეთ, სადაც კი გასავლელი გზა გვიძევს? იმან განგმირა სტიმფალიდნი, ზედვე მიაყოლა ლერნეს ჰიდრა, კაკე, ანტიოსი, კენტავრნი, ანუ ცხენკაცნი. მე თავად უსწავლელი კაცი გახლავართ, მაგრამ აგრე უბნობენ ყოველნი მეცნიერნი. რაღას ვუყურებთ, ავდგეთ და იმისი მიყოლა-ბაძვითა აწვე დავერიოთ ბომბორა ციცათ, დავცხოთ და ბღღვირი ვადინოთ, ეგენი ეშმაკთა უარესნი ზრიან, ვაკმართ ქვეყანასა ამას მტარვალთაგან ჩაგვრა და ძალადობა! მაჰმადისა სულაც არა მწამს რა, მაგრამ იმისთანა ბელავარი, ძალუმი ვინმე რომ მქნა, არცა რამეს დაგეკითხებოდით და არცა კიდევ შენვენასა გთხოვდით. აბა, ჰე, აბა, ჰე, აქეთ-იქით ნულა იყურებით! წავედით? მერწმუნეთ, მაგათ იოლად მოვუვლით, დედასა ვუტირებთ, ეგენი კი ყველაყასა აიტანენ, ეჭვიც არ მეპარება, მოთმინება მაგათი მოგონილია: წელან ჩვენგან აკი იმოდენი ლაფისა დასხმა აიტანეს, რატო ათ ლორსაც არ ეყოფოდა სანგორელად, ანუ საგორაოდ და სანებივროდ. მომყევით!

— უკადრისი სიტყვა და თავლაფდასხმა მაგათ სულაც არ აწუხებთ, — ჩავაკერე ჩემის მხრივ, — მაგათ სხვა არცრა ახსოვთ, ოღონდაც ქისაში ფული უჩხრიალებდეთ, თუნდაც ავად მოყვითლული, ქაქიანი. ჰერკულესისა არ იყოს, ეგების მართლა აგვებუტულავებინა, აგვეკლო და შეგვეურვებინა ეგენი, მაგრამ ვაი რომ ევრისტევის ბრძანებანი გვაკლია. ან ერთი რამ მენიაზება: სხვა არა მინდა რა, იუპიტერი სულ ორიოდ საათსა ისევე დაზმიდეს მაგათთან, ვითარ ოდესღაც სემელესთან დახანდა, სახელოვანი ბაკქოსისა დედასთან.

— მამაზეციერმა თავისი აღუწერელი კეთილმონღეობისა ღირსნი გავხადა და გვიხსნა მაგათ ბრჭყალ-კლანჭთაგან, — წართქვა პანურგმა, — მე დამეხსენით, იქ მიბრუნებულსა, ტყუილია, ვერღა მიხილავთ: კვალად



თვალწინ მიტრიალებს, რაც რამ მანდ ოხრობასა შევესწარი და გული სა-  
გულედან ლამის ამომვარდეს. გაქაჯიანებით კი მანდ სამი მიზეზისა გამო  
გავქაჯიანდი: ჯერ ერთი, იმად რომ გავქაჯიანდი, მეორეც, იმად რომ გავ-  
ქაჯიანდი და მესამეც, იმად რომ გავქაჯიანდი. ისმინე რომელსაც გიქვია,  
ის ყური მომაპყარ, ძმაო ჟან, ისხლიტესა ნუ მათხოვ, შენ მრუშო გეგეროვ,  
შენა! მუდამ ჟამსა და ნიადაგმცა, როცა კი ჯანდაბამდის გზასა გაიფიან-  
დაზებ შინოსის, ეაკეს, რადამანთისისა და დიტუსის სამსჯავროს წინაშე  
წარსდგომად, შენს განუყრელ ამხანაგად მიგულე, შენთან ერთად ერთის  
ნუთითა უკან არ დავიხევ, თვალსაც არ დავახამხამებ, ისე გამოგყვები  
აქერონტის, სტიქსის, კოკიტოსის წიალ გასასვლელად, ისე დავლევ ერთ  
კარახანა ლეთეს წყალსა და ქარონსაც ორივესას გადავუხდი, შენსასაც და  
ჩემსასაც, ოდეს თავის ნავსა შიგან ჩავგესხამს და გაღმა გაგვიყვანს, მაგ-  
რამ ბალვივაშ-დილეგსა მიუცილებლად მიბრუნება თუ გნადს და თანაც  
კიდევ არა მარტოსა, ჩემი იმედი ნუ გექნება, მე იქ წამომსვლელი არა ვარ  
და სიტყვა ჩემი ისევე მტკიცეა, ვითარცა რვალისა კედელი. უკეთუ არ გა-  
მაიძულებულეებენ და ძალისძალ არ წამათრევენ, მე ჩემდათავად, სანამ  
პირში სული მიდგას, გზასა იქითკენ იმაზედ უფრო ახლო მანძილზედ არ  
დავიდებ, ვიდრე კალპე აბილას რომ შორავს.<sup>2</sup> განა ოდისევესი მახვილისა  
გულისთვის უკან მიიქცა ციკლოპისა ქერეთ-მღვიმესა? თავსა დავდებ, არ  
მიბრუნებულა. მაგ ბალვივაშ-დილეგსა შინა არცრა დამრჩენია რა და არ-  
ცა მივიქცევი, არ მივტრიალდები.

— ვაი, შე, ორივხელაკანკალებულო, წვეთდაცემულო, ლომგულო  
ძმაო! — შეუძახა ძმა ჟანმა. — ერთხელ კიდევ ვცდი, ეგების როგორადმე  
მოვილაპარაკოთ, თუმცაღა, დიდად არა მჯერა შენისთანა ვირეშმაკა მო-  
დავე კაცისა დათათბირება და დაყოლიება. რა იყო, რა ეშმაკმა გასროლინა  
ის ფულიანი ქისა? ჩვენ რა, თავზედ გადაგვდის? აზირ ერთი-ორი გალე-  
ული ტესტონი მიგეგდო, არა ჯობდა?

— რამ მასროლინა და იმან მასროლინა, — მიუგო პანურგმა, — რომ  
კატაბანი წამსა და წარამარად პირსა უხსნიდა თავის მოხინძულ ხავერ-  
დისა ტოპრაკსა და ჩვენდა გასაგონად უბნობდა: „ჩამოყაჭეთ, ჩამოყაჭეთ,  
ჩამოყაჭეთო!“ მეც ვიფიქრე, ესენი აქედან ჩვენი გამშვებნი არ არიან, სა-  
ნამ, ჯანაბას ამათი თავი, არ ჩავუყაჭავთ, არ ჩავუყრით, არ ჩავუჩხრია-  
ლებთ, სხვა რამეს კი არა, ჯანიმც გავარდეთ, ოქროსა-მეთქი, რამეთუ ის ხა-  
ვერდისა ტოპრაკი ტესტონისა და წვრილი ფულის, ანუ ბეჩულისა საკრძა-  
ლავი კილობანაკი კი არა, მზეგამოხატული ეკიუს შესაკრებელ-დასატევნე-  
ლია. გაიგე თუ ვერა, შე კოკროჭინა, შე კუბაჭია მრუშო, შენა? შენცა ჩე-  
მსა ტაფაში რომ დაიწვი და ჩემი დღე დაგადგება, მერმე შენცა სხვარიგად  
აჭიკჭიკდები. რალა ბევრი გავაჭიაყელავო, რახან წასვლა გვიბრძანეს,  
ჩვენცა ავდგეთ და გზასა ბარაქა დავაყაროთ.

სამსჯავრო სახლისა დამხედვარნი და მებჭე-მეკარენი კვალად ნავსად-  
გურში იდგნენ და ჩვენგან კვალად სანიჭარ-საბოძვარსა რასმე ელოდნენ;  
რაკი დაგვინახეს, რომ უკვე გასვლასა ვეპირებოდით, მისცვივდნენ ძმა  
ჟანსა და პირდაპირ მიუთხრეს, სანამ სამსჯავრო სახლისა კაცთ კუთვნი-  
ლსა არ გადაგვიხდით, აქედან ფეხსა არ მოგაცვლევინებთო.

— წმინდა მეკვარჭყაპისა თუ მეტუტუე-მექალთხვრელეს მადლმან, —  
შეჰყვირა ძმა ჟანმა, — ისევე აქა ყრიხართ, თქვე ნაფიცნო ვირისთავნო,  
თქვენა? მაინცადამაინც ახირზედ უნდა მომიყვანოთ, მოთმინება უნდა და-



მაკარგვინოთ? უფლისა გვაძსა ვფიცავ, აწვე მოგართმევთ, რა ნუნუას ფულსაც ითხოვთ!

ამის თქმისავე თანა ამოიწვავდა მან მახვილი თვისი, დააგდო ხომალდი, გადავიდა ძირსა და ის იყო უნდა დაეცხო, სული გაეფრთხოებინა, რომ დამფრთხალ დამხედვარ-მეკარეთ მუხლთ შიგან ქარი ჩაჩაყვინებდა კუდამოძუებულთ თვალი ვერც შევასწარიტ, ვინ საით მოკურცხლა ოთხამოლებულმა.

გარნა ჩვენსა განსაცდელსა ამაზედ არ გადაუვლია, რამეთუ ჩვენთა ზღვიერთაგან, ანუ მეზღვაურთაგან, ვიეთნიმე, ზოგ-ზოგნი, ვინცავინ პანტაგრუელსა გაშვებული ჰყავდა, სანამ კატაბანისგან მოვბრუნდებოდით, იქავ ნავსადგურისა მოახლოვოდ ფუნდუკსა, ანუ ყოველთა შემწყნარებელთა ადგილსა, შესულიყვნენ და ხასიათზედ მოსასვლელად მცირედ მოეღხინათ, წაესუფრიანებინათ. არ ვიცი, ჩვენთა ზღვისა კაცთ ყველაყა სრულად გარდახდილი ჰქონდათ თუ არა, მაგრამ ერთმა ფუნდუკელმა დედაკაცმა ვითარ თვალი მოჰკრა ძმა ჟანსა, ფიცხლად მიეჭრა და გულამოვარდნილმა შესჩივლა სამ მოწმესთან ერთად, რომელთაგან ერთი მსაჯული მამასახლისი გამოდგა, მავანი ბომბორა ციცას მსიძავი სიძე, და ორნიც ამბისა შემსწრენი იყვნენ. უსმინა ძმა ჟანმა, უსმინა ხან დედაკაცისა ჩივილსა, ხან მოწმე-მხილველთა გადაკრულ-გადმოკრულსა, ვერღა მოითმინა და ჰკითხა:

— ვითომ რისი თქმა გინდათ, თქვე ჩაჩხაკუდა ეშმაკთ მოციქულნო, ჩვენთა მეზღვაურთ რა, პირისა გემო აქვთ და პირისწყალი არა? მე ვგრე არა მგონია, სრულიად სხვა აზრისა ვარ, საბუთიც ზედა მკიდია.

და საბუთად ძმა ჟანმა მახვილი იშიშვლა. ერიჰაა, ეს კაცი აღარა ხუმრობსო, იაზრეს იქაველთ და გაეშვნენ, ჩორთზედ გადავიდნენ; დედაკაცი კი ადგილიდან არ დაძრულა და კვლავ შეაგონებდა ძმა ჟანსა, შენთა მეზღვაურთ უნამუსო ხალხად არამც და არამც არა ვრაცხ, ოღონდ იმად ვემდური, ნასვამ-ნაჭამთ ქვეშაგები გამაშლევინეს, მოისვენეს და საფასური კი არ გადამიხადესო, თანაც ბევრს კი არა, სულ რაღაც ხუთ ტურულ სუსა ვითხოვო.

— მეტი სიიაფე ტყუილია, — განსაჯა ძმა ჟანმა, — მართლა უმადური ხალხი ყოფილა! მაგ ფასად ლოგინში ვინ ჩაგანვენს? ნუ ჯავრობ, ფულსა ეხლავ გადაგიხდი, ოღონდ ჯერეთ მაჩვენე, ვნახო ერთი, რა ლოგინია.

დედაკაცმა ძმა ჟანი ფუნდუკსა მიიყვანა, აჩვენა ლოგინი, რომელსა სუყოველი ღირსებულება შეუქო, და ისევ განუმეორა, სულ ხუთი სუ მინდა, მეტსა არა ვთხოულობ, მეძვირე არა ვარო. ძმა ჟანმა ჯერეთ ის ხუთი სუ გადაუხადა დედაკაცსა, მერმე ადგა და ზედ შუაზედ ჩაჭრა, ჩააქარაბაკა ტაბასტო-ყუვი, ანუ ბუმბულისა ლეიბი, და თხისურ-ყურთუკისა ბალიში, ბუმბული კი ელევენიდან, მალალი, კამაროსანი ლანძვ-სარკმლიდან ქარსა გაატანა. დედაკაცი მყის გარეთ გავარდა, ხალხნო, მიშველეთო, ყარაულო, სადა ხარო, უყვიროდა და თან ბუმბულსა სდევდა ასაგროვებლად. ძმა ჟანსა ყურიც არ უთხოვებია დედაკაცისა წიოკისთვის და, ვინათგან ბუმბულსა ჰაერი ცუფქარასაებრ, ანუ მშრალ თოვლსაებრ დაებურა, უჩინრად აიტანა ხომალდზედ საბან-გობანი და ორიც ზენარი, აიტანა და ყველაკა მეზღვაურთ გადასცა. მერმე მივიდა და პანტაგრუელსა აუნყა, ლოგინი აქა შეუდარებლივ მეტად იაფია, ვინემ შინონისა მხარეშიო, შინონი



ტყუილად ქებულა პოტილეური ბატითაო, რამეთუ ლოგინში დედაკაცმა სულ ხუთი სუ ითხოვა, შინონში კი ამისთანასა თორმეტ ფრანკზედ ნაკლებ არ მოგცემენო.

ძმა ჟანისა და ყოველთა სხვათა ხომალდზედ ასვლისავე თანა პანტაგრუელმა დაძვრა ბრძანა, მაგრამ მალიად ისეთი გიჟი ხარბობით გამოვარდა, გზასა ავცდით, ცოტას განყდა, ისევ ბომბორა ციცაბო არ მივბდექით და ხეტიალ-ხეტიალში ერთ დია სახიფათო სალუბელა ადგილას აღმოვჩნდით, სად ზღვა ნამეტნავად ღრმა, შიშისა მგვრელი იყო და საიდანაც, ფოკანდა-ნაქვისა გადასახედიდან, იუნგამ კატაბანისა უნმინდურ ბუნაგსა კიდევ მიანვდინა თვალი, რაიცა მაშინვე ჩამოიძახა; ელდაცემულ პანურგსა შიშისა კრთოლა შეუდგა და ნამერთ შეეხმინა:

— უფროსო კობტა ბიჭო! ქარაშოტი კია და ტალლა ტალლაზედ გადადის, მაგრამ პირსა ვერ იბრუნებ? რალა გვინდა იქა, მოყვასო, ჩემი ქისა-თალისისა გარდაისად, რა დაგვრჩენია იმა ოხერ ქვეყანაში?

ბოლოსა და ბოლოს ქარმა სხვა კუნძულსა მიაყენა ისინი, მაგრამ ერთბაშად ნავსაყუდზედ დადგრომა ვერ გაბედეს და ნავსადგურიდან მთელ ერთ მილზედ გაჩერდნენ, ზედ ციცაბოვანისა პირისპირად.

## თ ა ვ ი XVI

*ვითარ მივიდა პანტაგრუელი ნაკნა-კანტალა და ჭელცივ-ხელმრუდი აპედეფტიებისა კუნძულზედ, აკრეტივე იმა ოხროვა-საშინელეპათა და ორჩხოლთა გამო, იმ რომ მოიხილეს*

ლუზანი ჩაუშვეს თუ არა და ხომალდი შედგა, წყალსა ზედან კანჯო ჩადგეს. ქველმა პანტაგრუელმა ღმერთსა ლოცვა აღუვლინა, მადლი შესწირა, რახან გადაარჩინა ისინი, რახან დია საშინელი განსაცდელისგან იხსნა, რახან უხვაიშნა, და მერმე ყოველთა თვისთა თანამეგზავეთა თანა კანჯოში ჩაჯდა, რათა ხმელზედ გადასულიყო, იქ გადასვლა კი სიძნელესა რასმე არ წარმოადგენდა: ზღვა დამშვიდებული, დაოხებული იყო, ქარი არლა ქროდა, და ციცაბოვანთან მალიად მიცურდნენ.

ოდეს ფეხი მშრალსა დაადგეს, კუნძულისა ადგილმდებარეობისა და ჭიუხ-ქარაფთა უცნაური მოხაზულობისა ცქერითა გართულმა ეპისტემონმა რამოდენიმე ჭალაკელი შეამჩნია. პირველ კაცსა, ვისაც მან მიმართა, კანჩურა-კუნტულა მენამული დურა-საკუხი ესხა, ნახევრად ატლასისა, ნახევრად ნატის სახელოებიანი სკლატის ახალუხი ემოსა და კოკარდიანი ქუდი ებურა; გარეგნულად წუნსა ვერ დასდებდით, რიგიანად გამოიყურებოდა, ვითარ შემდგომ შევიტყვეთ, სახინჯრად ბოლოჭას ეძახდნენ. ეპისტემონმა ჰკითხა, ამა ველთა და უცნაურ კლდეთ რამე თუ გიქვიათო, ბოლოჭამ კი უპასუხა, კლდოვანი ადგილი ესე პროკურაციისა კოლონიასა და რეესტრად სახელდებულიაო, ზოგნი სამოსს მუროს, მემთვრალეთა შესაკრებელსა უხმობენ, ხოლო კლდეთა მიმართულეებითა თუ ვივლით და მცირე რამ წყალსა გავფონავთ, აპედეფტიებისა კუნძულზედ მივალთო.

— ექსტრავაგანტნი გვფარვიდნენ! — შეჰყვირა ძმა ჟანმა. — აქა რა გაცხოვრებთ, კეთილო ხალხო? რასა სვამთ და რითი სვამთ? არცრა ჭურ-



ჭელი არ გიჩანთ, თვინიერ პერგამენტისა გრაგნილთა, სამელნეთა და სანერ ფრთათა.

— ჩვენ ოდენ ამითი ვცხოვრობთ, — მიუგო ბოლოჭამ. — გისაც კი ჩვენსა კუნძულზედ რაიმ საქმე აქვს, მიუცვილებლად ჩემსა ხელში უნდა გაიაროს.

პანტაგრუელი

— ვითომ რადაო? — დაეკითხა პანურგი. — შენ რა დადგენილებას ვარსამი, რომ სუყველა შენ უნდა გაგეკრეჭინოს?

— ეგრეა, — მიუგო ბოლოჭამ. — ოლონდ ქისა-ჩახვთა მრისველ-მკრეჭელი გახლავარ.

— მამაზეციერსა ვფიცავ, — მიუთხრო პანურგმა, — ჩემგან ერთ გახვრეტილ თეთრსაც ვერ მოიშოვებ. ისე, მოწყალეო ხელმწიფევ, ერთი სათხოვარი მექნება: შეგვახვედრე ის აპედეფტნი, სხვა არა იყოს რა, მნიგნობართა, ანუ მეცარ-მეცნავთა ქვეყნიდან მოვსულვართ, თუმცაღა, მართალი გითხრა, ჩემთვის არცრა უსწავლებიათ.

ამა ლაპარაკ-ლაპარაკში ფონი, იგივ თავთხელი, ციმციმ განვლეს და აპედეფტებისა კუნძულზედ მივიდნენ. პანტაგრუელი ნამეტნავად გააკვირვა აქაურ საცხოვრისთა და სამყოფელ-სადგომთა მოწყობილობამ: ხალხი აქა უზარმაზარ სასაწინებლოში ცხოვრობს, რომელსა ზედა ასასვლელად დაახლოებით ორმოცდაათი კიბისა ფეხ-ხარისხი უნდა ავლო და, სანამ მთავარ დატიხრულ საწინახელში ჩახვიდოდე (ბარემ აქვე უნდა ითქვას, რომ საწინახელ-ნავ-საწინებ-საქაჯავთ იქა მცირეთაც ნახავ და დიდ-დიდროვანთაც, დაფარულ-დამალულთაც, საშუალოთაც და ყველაგვარ სხვათაც), გრძელი პერისტილი<sup>2</sup> უნდა გაიარო, სად ათასნაირი ტანჯვა-ნამებისა იარაღი რამ მოგხვდება თვალში: ეს სახრჩობელაო, ეს შიშთვილიო, ეს ჩიმბურიო, გაზ-მარწუხიო, მანგანაო, ჯაჯიო, ხაჯალურიო, ქახრაკიო — სუყველა უნებური შიშ-ფახადისა მომგვრელი.

რაკი დაინახა, რომ იქ გავლისას პანტაგრუელი დია დაგულისყურდა და, ცოტა არ იყოს, გაშტერდა კიდეც, ბოლოჭამ მიუთხრო:

— წინ წავდგეთ, ბატონო, ეგ ყველაყა წვრილმანია!

— კარგი წვრილმანია, ღვთისა მადლმან! — იხმამალლა ძმა ჟანმა. — ჩემი თბილი საბიძლისა სამშვინველ-სულსა ვფიცავ, მე და პანურგსა შიშისგან გვაბაბანებს, დანა პირთ არ გვიხსნის. მაგ ოხრობა-საშინელებათა ყურებასა ისევ ჩაცეცხვლა მირჩევნია.

— წამობრძანდით, — წართქვა ბოლოჭამ.

შემდეგ მან ერთ ფარიზ, ანუ მოფარებულ ადგილას მიყუჟულ-მიკუნჭულ ნავ-საწინახელთან მიგვიყვანა, რომელსა ამა კუნძულისა ენაზედ პითიასად<sup>3</sup> იხსენიებდნენ. ნუ მკითხავთ, ვითარ მოილხინეს აქა მეტრმა ჟანმა და პანურგმა, რამეთუ ტაბლასა ზედა არცა მალვაზია აკლდათ, არცა კიდეც მილანური კუპატი, შემწვარ-შებრანულნი ინდაურნი, ყვერულნი, სავათნი და სხვა მაზა-მაზა საკბილო-სამუცლავი, სულ უცხოოდ შეკმაზულ-შემზადებული. მეკუჭნავისა მორბედმა ბიჭმა ვითარ შეამჩნია, იქავ ბურენტან ჩამწკრივებულ ბოთლთაგან განზედ მდგარ ერთ ბოთლსა ძმა ჟანი თვალთ უჟუჟუნებსო, პანტაგრუელსა უთხრა:

— ბატონო, ვხედავ ერთი შენი კაცთაგანი დია შესტრფის აემაგ ბოთლსა. გეხვენები, ხელი არ ახლებინო, ეგა უფალ მებატონე-მეუფროსეთათვის განკუთვნილია.

— რაო? — დაეკითხა პანურგი. — თქვენ რა, უუფროსონი არა ხართ,



უბატონონი? მე კი მეგონა, სუყველანი თანასწორნი იყავით და საწნახელში ჩასასვლელად ფეხთ ერთნაირად იბანდით.

იმავე წამსა ბოლოჭამ მცირე რამ ფარული კიბითა მავან სუნაქსა მიგვიყვანა და იქიდან დაგვანახვა ერთ დიდროვან საწნახელში თათბირად მსხდარნი უფალნი მეუფროსენი, თან გაგვაფრთხილა, უმადგანს სწამხავად საგანგებო რამ ნებართვისა ქალაღდი უნდაო, მაგრამ ერთი სარკმელია, საიდანაც ეგენი მშვენივრად ჩანან, თქვენ კი თვალსა ვერ მოგატანენო.

სარკმელსა რომ დავეახლოვეთ, დიდროვან საწნახელში ოცი-ოცდახუთი ტროლა, იგივე მხარბეჭგადგმული მოყმე ვინმე შევნიშნეთ, მწვანე ტაბლასა უსხდნენ, რალაცასა ბჭობდნენ და თვალმოთომარედ აქეთ-იქით იცქირებოდნენ, გრძელნი ხელნი წეროთა ფეხთ მიუგავდათ, ფრჩხილნი კი, სულ ცოტა, ორ ფუტზედ მაინც წამოზრდოდათ, რამეთუ იქა ფრჩხილთა დაჭრა ეკრძალვით, და ისეგვარად ჰქონდათ მოღუნულნი, კაცი იატაგანთ ანდა სააბორდაჟო კავთ დაადრიდა. სად იყო, სად არა, ზედდატანებაზედ ვეებერთელა ყურძნისა მტევანი მოართვეს, ექსტრა ორ დინარულ ვაზსა მოწყვეტილი, რომელ ვაზსაც ხშირადრე აჰყავს მცოდარნი კაცი დასასჯელად თხემ ადგილსა, ანუ ეშაფოტზედ. მტევანი იგი ხელთ იგდეს თუ არა, წამერთ მცირე წბერ-საქაჯავში ჩაუძახეს და მალიად მარცვალი არ დარჩენილა, რომ ოქროვან წვნად არ დაწურულიყო, მერმეთ ოდენ კლერტ-ბურძღენილა ამოიღეს, ცარიელი ყურძნისა ღერო. ვითარ ბოლოჭამ გვითხრა, ესევეთარი კუმსი მტევანი იშვიათი ყოფილა, მაგრამ არც ერთი საწნახელი, არცა წბერ-საწნახეხი თუ საქაჯავი თურმე ტყუილად არცროდის უცდებოდათ.

— ვაზი ბლომად ვიდგათ, ძმობილო? — დაეკითხა პანურგი.

— ბლომად, — მიუგო ბოლოჭამ. — აგერა, ხედავ იმა მტევანსა, საწნახისა შიგან რომ აგდებენ? ეგა ვენახისა საათისთავოსია.<sup>5</sup> დიდი ხანი არ არის, ერთხელ უკვე ნაწნახარია, მაგრამ მაგის წვენსა ხუცესის ხელადისა ხელი დაჰყვა, და ეს ამბავი უფალ მეუფროსეთ ხელსა არ აძლევს.

— მაშ, აბა მეორედ რალადა წნეხენ?

— ეგა წბერი, საქაჯავი. ესენი ჭაჭასაც წვენსა აღენენ, ქაჯავენ, მეტი ხეირისა ნახვა უნდათ.

— ღმერთო დიდებულო! — შესძახა ძმა ჟანმა. — თქვენ კიდევ ამათ ეძახით უმეცართა და უბირთ? დასტურ ეშმაკთა ნათესავნი ჩანან! ესენი, გენაცვალე და შენ შემოგიარე, კედელსაც კი წვენსა გამოადენენ!

— აკი აღენენ კიდევ, — დაჰკრა კვერი ბოლოჭამ. — ამათი დაუჭყლელ-დაუნურავი თუ დაუნნეხელ-დაუქაჯავი არცრა ციხე-დარბაზია, არცრა მტილ-ბალნარი და არცრა ტყე-მალნარი, ყველასა სასმელ ოქროსა აღენენ, სხვანაირსა არა სასმელსა არ აჭაჭანებენ.

— ვენახისა ღვინო თუ დაძვირდა, ბაბილოს ნაჭაჭარსაც კარგად გააჭაჭანებენ, — ჩააკერა ეპისტემონმა.

— არა, ბატონო, უსურვაზისა ნაჭაჭარსა ვაზისა ჭაჭანაურში ნუ აურევ, — თავისაზედ იდგა ბოლოჭა. — აქა ჭაჭანაურსა, იგივე სასმელ ოქროსა, უცეცხლოდ ამოდუღებულსა, ბოთლობრივ სვამენ, გაუგონარ ოდენობასა. ბევრიც რო გინდოდეს, სუყველას სახელი არც მოგაგონდება კაცსა, აქა იმდენნაირი ვაზია. აბა, ცოტა აქეთ მოდექით და იმა ვენახსა გახედეთ: სულ ცოტა, რატო ათასი ძირი სხვადასხვაგვარი ვაზი არ იქნება და სუყველა უკვე მოსართვლელია, სასაწნახლედ მტევანდამძიმებული. მანდა



ზოგი ზიარულად სახელდებული ვაზია, ზოგიც კერძოულად, ბევრია ციხურა, სესხურა, საჩუქარა, ხეირა, კარისპირა, დორანა, გასავალა, ფოსტურა, შენირულა, სასახლურა.

— ავერის მსხვილი რა ვაზია, რომლისა გარემრგვნილად წვრილ-წვრილნი, წიდნა ვაზნი ჩანან?

— ეგა დანაზოგურაა, ზოგი ზოგილსაც ეტყვის, მაგის უკეთეს ყურძენსა სრულად ჩვენსა ქვეყანაში ვერა ნახავ, — მიუგო ბოლოჭამ. — მაგას რო მოისთვლიან და დაწურავენ, ჩვენთა მეუფროსე კაცთ, სუყველას უკლებლივ, მთელი ნახევარი წელიწადი მაგისი სუნი სდით.

ვითარ მეუფროსენი გაიკრიფნენ, პანტაგრუელმა ბოლოჭას დიდროვან საწნახელში ჩვენი ჩაყვანა სთხოვა, რომელი თხოვნაცა მან უმალ აუსრულა. ოდეს საწნახელსა შიგან ჩავედით, ყოველთა ენათა მცოდინარემ, ანუ სადუნმა ეპისტემონმა პანტაგრუელსა საწნახლისა ამა თუ იმ ნაწილთა სახელწოდებათა ახსნა-განმარტება დაუწყო. თავად საწნახელი, ვეება და ლამაზი, როგორაც ბოლოჭამ გვითხრა, ჯვრისა ძელისგან იყო დამზადებული, და სუყოველ ნაწილსა ადგილობრივ ენაზედ ეწერა თავ-თავისი სახელწოდება, საწნახლისა ხრახნსა დახლი ერქვა; გეჯასა — ხარჯი; ქანჩსა — საბრძანისი; ღარსა — ნარჩენი გადასახადი; ხორგა-დოლურასა — ფასგადაუხდელნი თამასუქნი; დგუშთ — დაბრუნებულნი სესხნი; წყვილ მილსა — გადახდევიწებულნი თანხანი; მერეტაფა-როფთ — სალდო; კოტა-სახელურთ — საბეგრონუსხა-სიანი; ტაბლაისანა-გირაგსა — ქვითარნი; გიდელთ — დამტკიცებულნი ფასდადებანი; გოდორთ — გადახდისა ბრძანებანი; ტაგანთ — რწმუნებანი; ძაბრსა — საბოლოო ანგარიშსწორება.

— ძეხვთა დედოფალ-მეფასა ვფიცავ, — წართქვა პანურგმა, — ეგვიპტისა იეროგლიფთ მიუქარავთ ამა ქაჯურ ენასთან, ანუ ვილოკავთ, ნამდვილი დომხალია, ჩმახი! ისე, კაცმა რომ თქვას, ვითომ უმეცართა და უბირთ რად ეძახიან ამათ, ძმობილო?

— იმად ეძახიან, რომ ეგენი ნასწავლნი არ არიან და არცა კიდევ არ უნდა იყვნენ, — მიუგო ბოლოჭამ. — მეუფროსეთა განკარგულებისდა თანახმად, აქა ოდენ უმეცრება უნდა სუფევდეს, არცვის არცრისა უფლება არა აქვს, ყველა ერთსა და იმასვე უნდა იმეორებდეს: აგრე ბრძანეს უფალ მეუფროსეთ; აგრე ნებავთ უფალ მეუფროსეთ; აგრე გვეგანკარგულებიან უფალნი მეუფროსენი.

— ეგენი, ჩანს, მეზვრენი არიან. ვენახისა ხელიც იციან და წიდნა ვაზსაც ისთვლიან, ახალშენსა, — ჩაურთო პანტაგრუელმა.

— აბა როგორ? — გაეპასუხა ბოლოჭა, — ახალშენსა, ანუ ახალჩაყრილ ვენახსა, ჩვენში ბაგასა ვეტყვით. წიდნა ვაზსა ყოველ თვესა ვკრეფთ, ჩვენებურად — ვწველით, თქვენ კი წელიწადში ერთხელ იცით რთველი.

წინ კიდევ ბევრი მცირე საწნახლისა და საწნახ-საქაჯავის მოხილვა გველოდა; დიდროვანი საწნახლიდან რომ გადმოვედით, ერთი პატარა ტაბლა შევამჩნიეთ, რომლისა გარშემო ხუთიოდ უმეცარი კაცი იჯდა, სუყველა გაზინზლული და ისეგვარად გაბრაზებული, როგორაც სახედართ იციან, ოდეს კუდთა ქვეშე ზანზალაკთ დაჰკიდებენ ხოლმე. იდგნენ ისინი



და თავიანთ მცირე სანახ-საქაჯავში უკვე მრავალგზის გაქაჯულ ქაქასა კიდევ ქაჯავდნენ, ემანდ ღმერთი არ გაგვინყრეს და ჟღინთი რამ არ გაგვიყვესო; ადგილობრივ ენასა ზედა ამა კაცთ ინსპექტორთ ეძახდნენ.

— ამათნაირ უჯმაჯურ ღირფთ ჩემს სიცოცხლეში რა არ შეგხვედრივარ, — იგულახდილა ძმა ჟანმა.

დიდროვანი სანახლისა შემდეგ უამრავი პატარა ნავ-სანახელი მოვიხილეთ, რომელთა შიგან მერთვლეთა ტევა არ იყო, და მოწყობილობა-სამარჯვთ, რითაც ისინი ყურძენსა სულ მარცვალ-მარცვალ არჩევდნენ და ასუფთავებდნენ, საანგარიშო მუხლნი ერქვა; ბოლოს, ერთ დაბალჭერიან სენაკსა შინა შევედით, სად ვეებერთელა ორთავიანი დოგი შემოგვხვდა, მგლისა მუცლიანი და ლამბალური მინრიელისა ჭანგ-კლანჭიანი; დოგსა მას, რომელიცა თვალში ამოჰყვაოდათ და გულში ჩაჰქროდათ, საჯარიმო რძესა ასმევდნენ და უფალ მებატონე-მეუფროსეთა განკარგულებისდა თანახმად, ნიადაგ თავსა ევლებოდნენ, ჭირსა სჭამდნენ, ეჟორჟალებოდნენ, რამეთუ თითოეულსა ამა მეუფროსეთაგან იგი უფროისად აღალიანებდა, ასარფიანებდა, ვინემ ისინი მავანი მდიდარი ადგილ-მამულისგან ღალიანდებოდნენ და სარფიანდებოდნენ, სახელად კი ხსენებულ ნაგაზსა უმეცართა ენაზედ ორმაგ ჯარიმასა ეძახდნენ. ნაგაზისა მამა აქავ იყო, შვილისგან არცა ბალნისა ფერი განასხვავებდა, არცა დინგი, მაგრამ თავი ორი კი არა, ოთხი ება, ორი მამრისა, ორი მდედრისა და სახელადაც ოთხმაგი ჯარიმა ერქვა; აქაურ მხეცთაგან ის ყოვლის უფროისად სისხლმოწყურებული და ყოვლის უფროისად საშიში რამ იყო, უკეთუ სათვალავში არ ჩავალთ გალიასა შიგან გამომწყვდეულ პაპასა, რომლისთვისაც სახელად ვადაგასული თამასუქი დაუნათლებინათ.

ძმა ჟანსა სავინიცობოდ მიწყვიც ცარიელი ჰქონდა ოცი წყრთა ნანლავნი: კაცნი ვართ, რა ვიცი, სად მომიწევს მოსაქმე-ვექილთა ყაურმისა ჭამაო, და თანდათან ბრაზი მოერია, გადაეკიდა, შეუჩნდა პანტაგრუელსა, ცოტა სადილ-ხადილზეც იფიქრე და ბოლოჭაც მოიპატიჟეო; ამაობაში უკანა კარითა დავაგდეთ სანახელი და იქავ ერთ შეჯაჭვულ-შებორკილ ბერიკაცსა გადავანყდით, უმეცარსა თუ სწავლულსა, ეშმაკმა უწყის, ვილაც ქალაბიჭა, ჰერმოფროდიტი იყო, სათვალისა გამო სახე არცა უჩანდა, ვითა კუსა ბაკნისა გამო, და სხვა რამ არცრასა საჭმელად არა რაცხდა, გარდაისად იმისა, რაიცა ადგილობრივ კილოკავზედ შემონმებად იწოდება. ვინ არის პროტონოტარიუსი ესეო, ჰკითხა ბოლოჭას პანტაგრუელმა, სადაურია, რა ჰქვიაო. ეგაო, გვითხრა ბოლოჭამ, ათადან-ბაბადან აქამყოფობს უფალ მეუფროსეთა სამწუხაროდაო, რომელ მეუფროსეთაც შეჯაჭვულ-შებორკილი ჰყავთ და რომელნიცა შიმშილითა სულსა ხდიანო, სახელად კი რევიზორიაო.

— პაპისა წმინდა კუტუ-კვერცხთ ვფიცავ, — წართქვა ძმა ჟანმა, — ესა სხვისჭკუა, სხვისა დაკრულზედ მაშუშპრალი კაცია. ვერ გამიგია, აგრე რა აშინებთ უფალ უმეცართ ამა თინთლაოზისა. აბა, ერთი კარგად დაჰკვლიე, ძმაო პანურგ, მგონი, კატაბანსა უნდა ჰგავდეს, ღმერთმანი, და რა უმეცარნიც არ უნდა იყვნენ, ეს ამბავი აქაურთ სხვაზედ უკეთესად იცინან. ამათ ადგილას ავდგებოდი, ავიღებდი გველთევზას ტყავისა მათრახსა და საიდანაც გამომძვრალა, ისევ იქ შევაძვრენდი.



— ჩემი აღმოსავლური სათვალისა მზემან, ძმაო ჟან, მოყვასო კაცო, მართალი ბრძანდები, — მიუგო პანურგმა, — შეხედავ თუ არა, ზედვე ეტყობა ამა ძალღიშვილ ცრურევიზორსა, რომ ესა სუყველა აქტურს სანყალ უმეცარზედ ბევრად უფრო უმეცარი და ბოროტი ვინმეა. ის სანყალნი უმეცარნი საქმესა მაინც არ აჯანჯლებენ. დაუკრეფავ სუყველაში თუ შევლენ, მოისტვლიანებენ და გამოვლენ, არცრასა სასამართლოში დაიბიან და არცვის კიდევ აბუჩად არ იგდებენ. წარმომიდგენია, რა დღეში არიან, ალბათ გულზედ სკდებიან ამათი შემხედვარე ბომბორა ციცანი, რომელთაც დაუკრეფავში შესვლა, იცოცხლე, უყვართ, მაგრამ გამოსვლისა რა მოგახსენო!

თ ა ვ ი XVII

ვითარ გავიარეთ კუნძული კოლოტი, და კიდევ იმაზედ,  
 ვითარ კინაღამ დაგვეღუპა, ანუ კინაღამ კარჭიკისა  
 ჩოხა ჩაიცივა პანურგმა

მალე დაბერილ აფქიო-აფრათ მივანდეთ თავი და კუნძულ კოლოტისკენ დავიძარით, გზა-გზა ყველამ ჩვენ-ჩვენი თავგადასავალი ვუამბეთ პანტაგრუელსა, ვის რა გადაგვხედოდა. ჩვენმა ნაუბარმა დია ავ გუნებაზედ დააყენა პანტაგრუელი და, ეგება ცოტა გული გადავაყოლოო, დადგა და ამა ამბისა გამო რამოდენიმე ელეგიაც კი შეთხზა. დანიშნულებისა ადგილსა რომ მივიჩინეთ, მცირედ შევისვენეთ, მტკნარი ნყალი და შეშა დავიმარაგეთ. კუნძულელთ, ვინც კი მოვიხილეთ, ვერც ერთსა ვერ შევატყუეთ ვერცა ჩაფურა-სალვინისა და ვერცა მუცელპურობისა თუ მუცელლორობისა მტრობა; სუყველანი ფაშენიერნი იყვნენ, კოლოტნი, ქონში ჭუპჭუპებდნენ. და ერთი კიდევ, რაც სხვაგან არსად შეგვიმჩნევია, ის იყო, რომა იდგნენ და კანსა ისერავდნენ, იშაშრავდნენ, რა არი ქონი გამოედინათ, გამოეშვათ, ზუსტად ისევე, როგორაც ჩვენთან ტურენში სალუქ-მწყაზარნი კაცნი შარვალთ თავთან იჭრიან ხოლმე, რათა ცალწვერა აბრეშუმისა თავთა გამოიშვან, გამოირღვიონ, და ისინი, კუნძულელნი, ამასა სჩადიოდნენ, ვითარ თავად გვითხრეს, არა საყოყლიაო-საყოყლოჩინოდ და თავმოსანონებლად, არამედ უბრალოდ იმისა გამო, ვითომ სხვანაირად კანი ვერ გაუძლებსო. მუცელდასერილ-დაშაშრულნი და ქონგადმოდენილ-გამოშვებულნი კი ისინი უეცრივ იყრიდნენ ტანსა, უფროისად მალაღნი ხდებოდნენ, აკი მეზაღვნიც იმაღ სხლავენ ბაყილა ხეთ, ანუ ახალ-ნორჩ ხეხილსა, რათა მალიად შეაყრევინონ ტანი.

ნავსადგურისა შორიახლო ერთი პატარა დუქანი იდგა, შეხედულად ფრიად თვალწარმტყვევებელი და ლამაზი, იქავ კარგა ბლომად ბრბო მოგროვილიყო, ყველაგვარი სქესისა, ასაკისა და მდგომარეობის სულ კოლოტ-კოლოტი ერი ირეოდა, რამაც გვაფიქრებინა, ალბათ ტაძრობა ან დღეობა, ლხინი რამ თუ იმართებო. ნამდვილად კი თურმე მიკიტან-მედუქნისა გატყვრომისა დღე იყო და სწორედ ამად მოეყარათ ხანდაუზმელად თავი ახლობელთ თუ შორებელთ, ანუ შვიდ თაობა გარდასულ ნათესავთ, მოყვარე-თვისტომთ. პირველად ვერ მივხვდით, რა გატყვრომისა დღეზედ იყო ლაპარაკი, და გულში აზრიკვალად გავივლეთ, ბედნიერ დღესა რასმე თუ გულისხმობენო; განა არ მოგეხსენებათ, ჩვენსა ცხოვრებაში ხან ნათ-



ლობაა, ხან ნიშნობაა, ხან ჯვრისწერაა, ხან ხატობაა, ხანაც თემობაა, ხან რადღეა და ხან რა, მაგრამ ვითარ შევიტყვეთ, აქა სულ სხვა ამბავი იყო. რა ამბავი და, თურმე ზემორებსენებული დუქნისა პატრონსა, დიდ ლაზლანდარა ვინმესა, დიდ დარდიმანდ-ლოქაფსა, ლიონურ ხაჭომცხვარ-ღვეზელ-ფხლოვანთა დიდ მთქვლფტანვ-მსანსლავსა, დიდ ლაყბიერსა, რუიაკელი მიკიტნისა არ იყოს, სანოვანტუდაგებული ტაბლისა გიფსა, ზედაზედ ათი წელიწადი ყბაგაუჩერებელი ღმურძვლა-ყბორვისგან და ღლევისგან ჩაგოდრებულ-ჩასორსლებულ-ჩაკურატებულსა, ან სიცოცხლისა დამღევსა, ადგილობრივი წეს-ჩვეულებისდა თანახმად, გატყვრომისა დღე დასდგომოდა. სხვა გზა არა აქვსო, უბნობდნენ კოლოტელნი, რამეთუ ვერცა მუცლისა აპკი და ვერცაღა ესდენ დასერილ-დაშაშრული კანი ველარ უფარავს და ველარცა უმაგრებს ნაჭყაპურტ-ნანლავთ და ბოლოსა და ბოლოს სულ ძირსა უცვივა, ვითარცა კასრსა უფარდება ხოლმე ძირიო.

— მერედა, თქვე კაი ხალხო! — აძრახდა პანურგი. — რა დიდი გამოცნობა ამას უნდა, ვერ ადექით და მუცელზედ კარგა სქელი ქამარ-ზოსტერი ანდა ხისა თალა, თუ არადა, სულაც რკინისა სალტე ვერ შემოუჭირეთ? მაშინ აგრე ადვილად არღა დასცვიოდა ფაშვ-ფუში და არცა კიდევ აგრე მალიად გასკდებოდა.

პანურგსა ბოლო სიტყვა ჯერეთ გასრულებული არა ჰქონდა, რომ რაღაცამ დაიჭექა, და იმისთანა გულისა გამგმირავი ხმა გაისმა, ყურთწამლები, თითქოს უდანდარი ძალუმი მუხა-ლაპრი შუაზედ გადაიპოო. ეგ ხმაო, უმაღ აგვიხსნეს, გატყვრომისა მოჰყვაო, მედუქნისა სიკვდილისწინა გასროლა-დაქუხება იყოო.

ამა ამბავმა ერთი ღირსად პატივდებული შატელიერელი აბატი მომაგონა, რომელი აბატიცა არცროდის იქცევდა თავსა თვისთა მოახლე ქალთა თანა, nisi in pontificalibus;\* ახლობელნი და სათანადო მოყვასნი არღა უსვენებდნენ, შეუჩნდნენ, წამოდო, დააგდე ამ სიბერეში ეგ შენი სააბატოო, მაგრამ აბატი იგი არ ეპუებოდა და ერთხელაც პირდაპირ უთხრა: სანამ დავწვებოდეო, შესამოსელსა არაფრისა გულისთვის არ განვიმოსავ, არ ვიძარცვაო, და უკანასკნელი ხმა, რომელსაცა ჩემი მაღალღირსება გამოსცემსო, უბრალო ხმა კი არა, აბატური გასროლა-დაქუხება იქნებო.

### თ ა ვ ი XVIII

#### ვითარ გავვერიყა სომალდი მერეჩედ და ვითარ გვიხვავიშნეს კვინტიდან მომავალ მგზავრთ

ღუზა-გვარლ-ბაგირნი ავუშვით და აფრა-აფქიონი მსუბუქ ზეფირსა მივანდეთ. ჯერეთ ოცდაორი მილი თუ გვექნებოდა გავლილი, რომ ულუმელად ქარბორბალა, იგივ ბორბონია ქარი ამოვარდა, დაღათუმცა, ხან ბუღინთ ვეცით, ხან ფოკ-ანძისა იალქანთ და ერთხანსა გავუძალიანდით, მაგრად დავუდექით, ამა ჩვენი გაძალიანება-გამაგრებისა თუ გამკლავების ერთადერთი აზრი კი ის იყო, არ გვეურჩა, დავყოლოდით ლოცმანსა, რომელიცა გვარწმუნებდა, ვინათგან პირქართ სისუსტე ახასიათებთო, ვინათ-

\* უკეთუ მოძღვრისა ტანთსაცმელი არ ემოსა (ლათ.).



გან ისინი ერთმანეთსა თავშესაქცევად ებრძვიანო და თანაც კიდევ იმი-  
ტომ, რაკი ცა მოწმენდილია და ზღვა მშვიდიაო, მართალია, უსაკუთრესად  
კარგსა რასმე არ უნდა მოველოდეთ, მაგრამ არცა კიდევ უსაკუთრესად  
ცუდი რამისა შიში გვმართებსო; დასამტკიცებლად ამისა მან დროულად  
ჩათვალა იმა ერთი ფილოსოფოსის თქმულისა დამონება, რომელიცნილო-  
სოფოსიცა გვიჩვენდა, გამაგრდით და დაითმინეთო, ესე იგი მოილოდინ-  
ნეთო. გარნა ქარბორბალამ ისე დიდხანს არა და არ მოიტეხინა, რომ ლო-  
ცმანმა ჩვენსა დაჟინებულ თხოვნასა ყური ათხოვა და ამა დაუმცხრალ  
ბორბონია ქართან შებმა სცადა, რათა კვალად წინ ევლო, მიმართულება  
არ შეეცვალა. მართლაც: ბიზანთა ზუდან იალქან-აფქიონი ააშვებინა, სა-  
ჭე-ხერვალი პირდაპირ კომპასის, ანუ ფურუსულას ისრისდა კვალად გაა-  
მიმართულა, მარჯვედ მოივარგა იჩქითად მოვარდნილი სასტიკი ქარკონ-  
ტი და ეგრევე დაუძვრა ღურღუმ-სალუპელასა, მაგრამ ვაის გაყრილნი ვუის  
შევეყარენით: თითქოს ქარიბდისგან თავდაღწეულნი სკილას გადავანყდით,  
რამეთუ ორი მილი გავიარეთ თუ არა, ისეთ ვრაქია-მეჩეჩხედ გავირიყე-  
ნით, როგორც რომ წმ. მათეს სრუტეშია.

ძლიერი ქარი გემსართავთა შიგან წიოდა, ზუზუნებდა, სუყველას და-  
რდი შემოგვანვა, დავზაფრიანდით, და ოდენ ძმა ჟანი არ იმჩნევდა სანალ-  
ვლებელსა, ჟამისად ერთ ვისმე ამხნევებდა და ანუგეშებდა, ჟამისად —  
მეორესა, გვეგულთმისნებოდა, მალიად ცა გვიხსნისო, და გვარწმუნებდა,  
ქანდარისა თავზედ კასტორი მოვიხილეო.<sup>2</sup>

— ოჰ, ერთი არა მინდა რა, მშრალზედ დაედგმევინებინა ღმერთსა  
ჩვენთვისა ქლიკი, — დუდღუნებდა პანურგი. — თანაც კიდევ ორას-ორასი  
ათასი ეკიუ გვდებოდა ჯიბეში თითოეულსა, ვინცა კი თავგამოდებული  
ზღვაოსანი ხალხი ვართ! ავდგებოდი მაშინა და ესეგვარი შემთხვევისდა  
აღსანიშნავად ვაცბოტსა მოგინველიდით, წყალსაც დაგინაყავდით. ყური  
მიგდეთ, იმაზედაც თანახმა ვარ, სრულად მთელი ცხოვრება უცოლოდ  
დავრჩე, ოჯახმწუნად დავზამპაპდე და დავბერძალდე, ოღონდ ნაპირზედ  
გადამიყვანეთ და ერთი ცხენი მომგვარეთ, უმოახლეობას ავიტან, თავსა  
მოვიმოახლევებ, არცრასა გავიჭირებ. პლავტუსი მართალსა ბრძანებს, ყო-  
ველთა ჩვენთა ჯვართა, ანუ შებეზრებათა, წყენათა და უსიამოვნებათა  
რიცხვი ჩვენთა მოახლეთა რიცხვსა შეეფარდებო, თუნდაც რომ ის მო-  
ახლენი ენასა იყვნენ მოკლებულნიო, თავიანთ ყოვლის უფროისად საშიშ  
და დამღუპველ ასოსაო, რომლისა გულისთვისაც, და არა სხვა რამისა გა-  
მომ, გამოიგონეს კაცთ იმათთვის ტანჯვა, წამება და გენაო, თუმცალა ჩვე-  
ნსა დროში ჩვენი მამულისა საზღვართა გარეთ სამართლისა დოქტორნი,  
ყოვლის უფრო გამგანიერებელ-გამფართოებელი თვალსაზრისითა თუ  
ვიტყვით, ალოგიკურად, ანუ უგუნურად, განმარტავენ ამა ადგილსა.

აქა ერთი მძიმედ დაჯორგილ-დაყათრული ხომალდი პირდაპირ ზედ  
მოგვადგა, რომელსაცა უთვალავი დაფ-დალაბანდ-დოლი ედო და მგზავრ-  
თა შორის ბევრი პატივისაცემი კაცი შევიცანი, ერთ-ერთი ჩემი ძველი მე-  
გობარი ანრი კოტირალი<sup>3</sup> იყო; იმას ქამარზედ, ვითარცა დიაცთ, სავარდ-  
კრიალოსანი ეკიდა, აგრეთვე კარგა მოზრდილი, იგივე უდანდარი ვირისა  
საოხრო ლართი ეკონნიალა, მარცხენა ხელში ვილაც ქეციანის გაზინზლულ-  
გათხუპნული, ძველი, ტურტლიანი ჩაჩი ეჭირა, მარჯვენაში კი — ხვიტი,  
ანუ მურკი. მიცნო თუ არა, მან სიხარულისგან შეჰყვირა და მითხრა:

— აბა, რა მაქვს, თუ იცი?<sup>4</sup> (აქა ვირისა საოხრო დამანახ-



ვა), ნამდვილი ალგამანია,<sup>5</sup> ეს სადოქტორო ქუდი ჩვენი ერთადერთი ელექსირია, ეს კი (ხვრტი მიჩვენა) — Lunaria major.\* უკან მობრუნებულთ ფილოსოფიურ ქვასაც დაგახვედრებთ.

— სადაურნი ხართ? — დავევითხე, — სად მიხვალთ? რა მიგაქვთ? ან უკვე უწყით თუ არა ზღვისა ასავალ-დასავალი?

— კვინტელნი<sup>6</sup> ვართ, ტურენს მივდივართ. ალქიმის<sup>7</sup> მოგვსაქვს. პროგორაც ჩვენი ხუთი თითი, ისერიგად ვუწყით.

— გემბანზედ ვინა გყავთ, რა ხალხია-მეთქი? — ვკითხე.

— ვინა და, სულ მომღერალ-მუტრიბნი, მძნობელნი, მენოვაგენი, ანუ ქამათა ზედა სახიობითა მსმელნი, სიტყვისამოქმედნი, იგივ პოეტნი, ვარსკვლავთმრიცხველნი, მალექსებელნი, გეომანტნი, ალქიმიკოსნი, მესაათენი, — მიპასუხა. — სუყოველნი კვინტელნი არიან, მფარველობისა ნერილნი მოაქვთ, ჩინებულნი, ვრცელნი, წვლილად ჩამონიკნიკებულნი.

მან სათქმელისა გასრულება ვერც კი მოასწრო, რომ პანურგმა გულმოსულმა შეუძახა:

— თქვე კაი ხალხო, ვიცო, ყველაყა გეხერხებათ, თუგინდ კარგ ამინდსა ქმნით და თუგინდ ბლარ-ბალღთ, მაშ, ჩვენსა ხომალდსა ცხვირში ხელსა რად არ ნაავლებთ და ვგრევე წყალში არ უკრავთ თავსა?

— დიახაც ჩემსა გულში ზიხარ, ან სწორედ ეგ ვიფიქრე, — მიუგო ანრი კოტირალმა. — ეხლავ, ამნუთასვე დედასა ვუტირებ მაგ თქვენსა ავად შემსკუპებელ ვრაქიასა თუ მეჩქისა.

და მართლაც: მყის მოახდინა განკარგულება, რომლისდა თანახმად, ნამერთ ცალი ძირი გააგდებინეს შვიდი მილიონ ხუთას ოცდათორმეტ ათას რვაას ათ ცალ დიდროვან დოლ-დაფ-დალაბანდსა, ძირგაგდებინებულნი მხარე სუყველასა შკანციისკენ, ანუ შუაგემბანისკენ მიუქციეს და კარგა ბლომად ბაგირ-ჭაპან-გვარლი გადაუჭირ-გადმოუჭირეს, მაგრად შეკრეს, დაშარტეს, ჩვენსა ხომალდსა ცხვირი თავიანთ კიჩოსა მიუბჯინეს და ლუზისა ბიტენგთ მიამაგრეს. მერმეთ ერთი მარჯვე განევადა გახდა სამყოფინარი და ვრაქიასა, ანუ მეჩქისა, იგივ თავთხელსა, ციმციმ დავუსხლტით, ჩვენი ხომალდი ისევ წყალში აღმოჩნდა და ყველაყა ისე მარდად მოხდა, თვინიერ კმაყოფილებისა, სხვა არცრა გვიგვრძნია რა, რამეთუ დაფ-დოლ-დალაბანდთა ყრუდ ცემისა ხმა, ქვიშა-ხრეშისა მცირედ ხრამახრუშსა და ზღვიერ კაცთა გამამხნევებელ სიმღერასა შერთული, სმენისთვის არცათუ ნაკლებად საამოვნად გვეჩვენა, ვიდრე ცათა შინა მიმოქცეულ მთიებთა სახიობა-მუსიკა, რომელიცა პლატონსა ვითომდაც ღამ-ღამ ძილში ჩაესმოდა ხოლმე.

ვინათგან ვალში დარჩენა არ გვინდოდა, ნიშნად მადლიერებისა ჩვენთა ხელისა აღმპყრობელთ და მეხვაიშნეთ დიდძალი ძეხვეული ვუნილადეთ, დოლ-დაფ-დალაბანდთა შიგან ბლომად სოსის-კუპატი ჩავუყარეთ და გემბანზედ სამოცდაორი ბურწინი ღვინო გადავუგორეთ, მაგრამ ზედდატანებაზედ იმათ ხომალდსა ორი უშველებელი ფიზეტერი დაესხა და იმოდენი წყალი მიაქივლა, რაოდენიცა მდინარე ვიენშიც არ მოგროვდება შინონიდან მოკიდებული ვიდრე სომიურამდის, და წყალმა მან სულ დაუფსო, დაუპილთუმა ცალძირგავარდნილნი დოლ-დაფ-დალაბანდნი, და-

\* დიდი ლუნარია (ლათ.) — ჯვაროსანთა ოჯახის მცენარე. იყენებდნენ ალქიმიაში.



ულტო სუყველა ქანდარა და დალუმბა სუყოველნი, საყელოში ჩანურნურებულმა შარვლისა ძაფიც არ შეარჩინა არც ერთსა მშრალი. ამისა შემხედვარე პანურგმა დია გაიხარა, ზედაფრენა შეუდგა და ხარხარისგან ისეთ დღეში ჩაიგდო ელენთა, ტკივილი მერმე მთელი ორი საათი არლა დაჰყუჩებია, ძლივს მოიმტკივნა.

— ღვინო უნდა დამელევიინებინა და წყალმა არ მოუხსნოქუქუქუქუბნობდა იგი. — მტკნარ წყალსა ესენი არა კადრულობენ, ოდენ ხელთ იბანენ, ეს საუცხოო მარილიანი წყალი კი გებურისა<sup>1</sup> სამზარეულოში ბორაკად, გვარჯილად და ამიაკისა მარილად გამოადგებათ.

რალა თავი შეგაბეზროთ, დიდხანს დალაპარაკებისა შესაძლებლობა არ მოგვცემია, რამეთუ კვალად ამოტყდა ქარბორბალა და პირველსავე დაქროლაზედ უმაღ ხელიდან გამოგვტაცა, წაგვართვა ხერვალისა მართვის თავისუფლება, და მაშინ ლოცმანმა არცა თვითონ გაიტეხა გული, ჩვენც შეგვაგულიანა, საქმესა მე მივხედავ, თქვენ გემრიელი პური მიირთვითო, უკეთუ კვინტისა სამეფოში მშვიდობიანად მისვლა გინდათ, მომხდურ ქარბორბალასა უნდა გვერდი ავუქციოთ და დინებასა მივყვითო.

თ ა ვ ი XIX

ვითარ მოვიხილეთ კვინტესენციისა სამეფო,  
ენტელექიადი სახელდებულნი

მთელი ნახევარდღე-ღამე საზრიანად ვუქციეთ გვერდი ქარბორბალასა, მხოლოდლა მესამე დღესა დავატყეთ ჰაერსა გამჭვირვალობა და მშვიდობიანად შევედით მატეოტექნიისა<sup>2</sup> ნავსაყუდელსა შინა, კვინტესენციისა სრა-სასახლისა შორიახლოდ. ნავსაყუდელში თვალთ გვეცა, რომ არსენალსა მრავალთ უმრავლესი მშვილდოსანი და მოსაგრე იცავდა. წინაპირველად, ცოტა არ იყოს, შევფახადიანდით და არცათუ უმიზუზოდ, რამეთუ იარაღი აგვყარეს და კადნიერად დაგველაპარაკნენ:

— საიდან მოჩაქჩაქებთ, ჩაუქნო?

— საიდან და ტურენიდან, ძმანო, — მიუგო პანურგმა. — მაშასადამე, საფრანგეთიდან, და ერთი სული გვაქვს, სანამ დიდ ქალბატონ კვინტესენციას მუხლსა მოვუყრიდეთ და ღირსადქებულ ენტელექიისა სამეფოსა მოვიწახულებდეთ.

— ვითარ თქვი? — კითხვა შეუქციეს დამხდურთ. — ენტელექიას უბნობ თუ ენდელექიას?<sup>3</sup>

— საყვარელნო ძმანო! — მიმართა პანურგმა. — ჩვენა, უბრალო, ობროდი ხალხი ვართ, ტლანქსა ენასა ჩვენსა ნუ დაგვიწუნებთ, სამაგიეროდ გული გვაქვს სუყველასა წმინდა და ალალი.

— ტყუილად კი არ გვიკითხავს, რა აბედენებს თუ განასხვავებს ამა ორ სიტყვასა, — განაგრძობდნენ ისინი. — ტურენელნი ჩვენთან ბევრნი ყოფილან, სულ დარჩეულნი, ერთმანეთსა დამჯობინებულნი გორსალა-ოჩოპინტრენი და სიტყვასა ამასა ისინი სწორად წარმოთქვამდნენ, სხვა მხარეთაგან კი, ვითარცა შოტლანდიელნი, გაბლენძილნი და ქეზმოდებულნი კაცნი ჩამოდოდნენ და ჯერეთ წესიერად მოსულნიც არ იყვნენ ხოლმე, რომ კრტიმლობასა, ანუ უგვან შულლსა გვიწყებდნენ და განა არ მოგეხსენებათ, ბალანგარ ხალხსა გინდა წინ დაუბი ვირი, გინდა უკან, მაინც ვერცრასა შეასმენინებ, ვირსაც შეალონებ და ამაოდ გაითხელებ ტვინსაც!



იქა, თქვენსა ქვეყანაში, სუყოველნი იმდენად მოცლილნი ხართ, დრო თავ-ზედ საყრელადა გაქვთ, და ვითომ უწყით კი ვინმემ, რაოდენ უამსა ხარჯ-ავთ თუ ფლანგავთ ჩვენსა დიდ დედა-ბატონ დედოფალზედ ათასი რამ სისუ-ლელისა წერაში, უბნობასა და დავაში? აკი თავად თქვენსა მოწონებულ ცი-ცერონსაც აგრე დაემართა, რა მიზეზითაც ხელი დააკლდა უფროსსა ხელ-მწიფოსა, ზედვე უნდა მივათვალო დიოგენე ლაერტიელსაც, თქვედთრე გა-ზაც, არგიროპულოც, ბესარიონიც, პოლიტიანოც, ბიუდეც, ლასკარისიც, აგრეთვე ბევრი სხვა გოგრაბზიანი ბრძენკაციც, რომელთა რიცხვი არცათუ ისერიგად დიდი იქნებოდა, უკვე ჩვენსა დროებაში თუ არ მიემატებოდნენ სკალიგერი, ბიგო, შამბრიე, ფრანსუა ფლერი და კიდევ თითო-ოროლა მა-ვანი და მავანი ლაგამწაყრილი ზერდაგი. სუყველასა ცეცხლიმც გასჩენია ყელში და ყანყრატოში! სუყველასა აგრემც...

— ეშმაკთ ექლესება ეს მამაოხრიშვილი! — ჩაიბურტყუნა პანურგმა.

— ... თქვენა აქა იმათი სისულელისა და უსაქციელობის დასაცავად სულაც არა ხართ მოსულნი, ესეგვარი რამ აზრადაც არ გაგივლიათ, და ამად მეტსა აღარც გაგიბამთ იმათზედ ლაპარაკსა. არისტოტელე, ყველა-გვარი სიბრძნისმეტყველებისა და მსაძირკვლებელი და ნიმუში, ჩვენი დიდი დედა-ბატონის, ანუ ხელმწიფა-დედოფლისა მომნათლავია და აკი დია მარჯვედ ანთუ სხარტად დასდო კიდევ უტყუარ სახელად ენტელექია — დიახაც ენტელექია. მიგვიფურთხებია და ზედაც მიგვიფუნებია, ვინაც იმას სხვა სახელსა დაარქმევს. იმისთვის სხვა სახელისა დამრქმევი თავის დე-დისასა მიირთმევს. კეთილი ყოფილიყოს თქვენი ფეხ-ჭლიკი, მობრძან-დით!

მერმეთ ადგნენ და სუყველანი გულში ჩაგვიკრეს, მიგვირქვეს, ჩაგ-ვიხუტეს, რამაც ფრიად აღგვატყინა და აღგვაფრთოვანა. პანურგმა ყურ-ში ჩამჩურჩულა:

— შა, რას იტყვი, ძმაო, ამა ალყა-გარემოცვამ ხომ არ შეგაკ-რთო?

— არცა უმაგისობაა — მიფუგე.

— მე კი უფროისად შევშინდი, — იგულახდილა მან, — ვიდრე ეფრე-მისა მოლაშქრენი, ოდეს გალაადელთ ხოცვა და წყალში ჩახრჩობა დაუ-წყეს მხოლოდ იმისა გულისთვის, რომ შიბოლეთისა ნაცვლად სი-ბოლეთსა უბნობდნენ. განა არ მოგეხსენება, სრულიად ბოსესა შინა არცვინ მოიძებნება ისეთი კაცი, ვინცა ერთ ურემ თივასა მაკმარებდა ყი-ტანელისა დასაცობად.

შემდგომ ჯართმყვანებელმა მდუმარედ და გამჩვენედ წაგვასხა ხელ-მწიფა-დედოფლისა სრა-სასახლეში. გზად პანტაგრუელმა დალაპარაკება მოუხდომა, მაგრამ ჯართმყვანებელი ყერა და ვერ ასწვდა ყურამდე და, კიბე მომიტანეთო, ბრძანა, ანდა ოჩოფეხიო.

— თქმა არ უნდა — წართქვა მან ბოლოს. — ჩვენი ხელმწიფა-დე-დოფალი თუკი მოინებებდა, სიმაღლეში უცილოდ გავსწორდებოდით. ბე-ვრი არცრა უნდა რა, ოდენ ინდომოს.

სრა-სასახლისა პირველ ტალან-დერეფანში აურაცხელ ზაპილო-სნე-ულსა მოვატანეთ თვალი. სნეულნი, სენისა მქონებელნი, სნეულებათა მრავალგვარობისა კვალობაზედ განელაგებინათ: კეთროვანთათვის სულ ცალკე ადგილი მიეჩინათ, მონამლულთ სხვა ადგილი ეჭირათ, შავჭირიანთ კიდევ ცალკე, ცუდჭირშეყრილნი კი პირველ რიგისად იყვნენ და ა. შ.



თ ა ვ ი XX

ვიტარ აკურნებინებდა კონსტანსცია  
სნება-სატკივართ სახიოვა-მუსიკასა



ქრისტეშული

მეორე ტალან-დერეფანში ჯართმყვანებელმა ერთი ახალგაზრდა ქრისტეშული-დილოსანი გვანახვა (შენ ახალგაზრდა უთხარი, ათას რვაასი წლისა მაინც იქნებოდა),<sup>1</sup> ხატკეთილი, ტურფა, უცხოდ შემოსილი იყო, გარსა სეფექალნი და სეფეკაცი ეხვივნენ.

— ან მაგასთან უბნობისა დრო არ არის, — გვითხრა ჯართმყვანებელმა. — თქვენა ოდენ თვალი ადევნეთ მაგის სუყოველ მოქმედებასა. თქვენთან იქა, თქვენთა სამეფოთა შინა, ვიეთნი მეფენი<sup>2</sup> წაოცნებარ ხერხსა რასმე ივარგებენ და ისე კურნავენ ზოგ-ზოგ სნებასა, მაგალითადრე: სურავანდსა, ბნედასა, ხანგამოშვებულ ციებ-ცბელებასა, დაადებენ ხელსა და გათავდა, დასნებოვნებულნი ფეხზეა, სხვა არცრა ხერხსა იყენებენ. ჩვენი ხელმწიფა-დედოფალი კი ისე არჩენს სუყოველი საღმობისგან, ახლოს არ ეკარება მოავადესა. მხოლოდ ამა თუ იმ სიმღერასა ასმენინებს, გააჩნია სატკივარსა.

აქა მან ორგანთ მიგვაყენა, რომელთა ხმანიც სასწაულთ ახდენდნენ. სუყოველი განსაცვიფრებლად უჩვეულო მოწყობილობისა იყო: ჩხირთ-ნაირნი მილნი სინამაქის ხისა, იგივე ფუთფუთასი ჰქონდათ, მუსიკალური ყუთი — ოდალაჯისა, გვაიაკის ხისა, ფირფიტანი — რევანდისა, სატერფულ-პედალნი — ტურბიტისა, კლავიატურა — სკამონიისა.<sup>3</sup>

სანამ ჩვენ ერთ-ერთ უებრო, აქამდე არნახულ ორგანსა ვჩხრეკდით, აბსტრაქტორთ, სპოდიზატორთ, მასიტერთ, პრეგუსტთ, ტაბაქიმთ, ხახამიმთ, ნეემანიმთ, რაბრებანთ, ნირეინთ, როზენთ, ნუდიბიმთ, ნეარიმთ, სალანიმთ, ფერაშიმთ, ქასინიმთ, სარიმთ, შოტრიმთ, აბოტთ, ამილიმთ, აქაშდარპნინთ, მებინთ, გიბორიმთ<sup>4</sup> და დედოფლისა სხვა ფარეშ-მსახურთ კეთრშეყრილნი შემოიყვანეს; ხელმწიფა-დედოფალმა რაცაღა სიმღერა დაუკრა, კეთრშეყრილნი უმაღ და სრულიად განიკურნენ. მერმეთ მოწამლულნი შემოიყვანეს. დედოფალმა ახლა სხვა სიმღერა დაუკრა, მოწამლულთ მყის სუდარანი დახიეს, მოქედურდნენ, მოიხედეს, მოსინათდნენ, მოწამელისა აღარცრა ეტყობოდათ. ხელად გამოჯანსაღდნენ ბრმანიც, ყრუნიც, მუნჯნიც და დამბლადაცემულნიც. ყოველივე ამან, ბუნებრივია, შეგვაძრწოლა: ყველანი პირქვე დავემხენით იმა სამკურნალო ძალისგან ალტაცებულ-ალგზნებულნი და თავბრუდახვეულნი, რომელ ძალასაც ჩვენთა თვალთა წინ აფრქვევდა დიდი დედა-ბატონი, და არც ერთსა სიტყვისა დაძვრის თავი არღა გვექონდა. აგრე დამხობილნი მანამ ვეყარენით ძირსა, სანამ ხელმწიფა-დედოფალმან მან ხელთპყრობილი თუთრთა ვარდთა უცხო თაიგული არ შეახო პანტაგრუელსა, გონსა არ მოგვიყვანა და ფეხზედ წამოდგომა არ გვაიძულა. მერმეთ ჩვენდა გასაგონად სულ აბრეშუმისა სიტყვანი ამოუშვა პირიდან, პარისატოდა რომ იტყოდა, ჩემსა შვილს კიროსს ეკადრებოდაო,<sup>5</sup> იმგვარნი სიტყვანი, ანდა, აბრეშუმისა თუ არა, სულაც აღისფერი თავთისა, მერდინისა თუ ქალაღაიის სიტყვანი გაგვაგონა:

— თქვენთა პიროვნებათა ცირკუმფერენციისგან<sup>6</sup> გამოსხივებული კეთილშობილება სრულ წარმოდგენასა მიქმნის თქვენთა სულთა შიგან ჩა-



ბუდეებულ სათნოებაზედ; თქვენი ერთგულებისა და გულითადიარობის კრძალულ განცხადებათა თაფლმდინარი სიტკბოს მგრძნობელი სულ ადვილად ვრწმუნდები, რომ თითოეული თქვენგანისა გული თავისუფალია როგორაც მავნე და მალაღფარდოვანი ცრუსიბრძნისგან, ისე სარწმუნოებისა სანინაალმდეგო თვითრჯულ აზრთგან და არც ერთსა არ აქლია მადლი მრავალგვარი იშვიათი უცხოური სწავლისა, ამასთანავე განსათლებული მდაბიო ხალხისა ზნე-ჩვეულება ამჟამად ისეთია, კაცსა იქნებ დიდი სწრაფვაც ჰქონდეს ზემორეხსენებულ სწავლათა მიმართ, მაგრამ არცათუ აგრე ადვილად მისწვდება და მოუსინჯავს კბილსა. აი რად არის, რომა ერთ დროსა კერძობა-პირადობაზედ ხელაღებულ-ამაღლებული, ან თავსა ვერლა ვიმაგრებ და გაცვეთილ-გახუნებულ სიტყვათ მივმართავ: მობრძანდით, ძვირფასნო, უძვირფასესნო, უძვირფასესთ-უძვირფასესნო სტუმარნო!

— მე სწავლული კაცი არა ვარ, — ყურში მითხრა პანურგმა. — თუგინდ, შენ უპასუხე.

მაგრამ მე არცრა ვუპასუხე, არა უპასუხა რა არცა პანტაგრუელმა; ყველანი კვლავინდებურად ვდუმდით.

მაშინ ისევ ხელმწიფა-დედოფალი აძრახდა:

— დუმილი თქვენი ესე იმის მაჩვენებელია, რომ არა ოდენ პითაგორული სკოლისა გამოჩეკილნი ხართ, სად ძველთაგან დაუდვია სათავე თანთან გამრავლებულსა ჩემთა მამა-პაპათა მოდგმასა, არამედ ჯერეთ კიდევ ეგვიპტეში, ამაღლებული სიბრძნისმეტყველებისა ამა აკვანსა შინა, მრავალი და მრავალი მთვარისა მოქცევისა უნინ ფრჩხილთ იქამდით და თავსა თითითა იფხანდით. პითაგორულ სკოლაში დუმილი ცოდნისა სიმბოლოს წარმოადგენდა. მეგვიპტელთაც აგრეთვე განადიდეს და გააღვთაებრივეს დუმილი, პიერაპოლისის მღვდელმთავარნი კი დიდ ღმერთსა ხმაგაკმენდილნი, უჩუმრად და მდუმრად უზორვიდნენ. არა, სულაც არ ვეპირები თქვენ მიმართ უმადურობისა გამოჩენასა, პირიქით, ჩემის აზრისა თქვენთვის თვალსაჩინოდ ექსცენტრიცირება მნადს, თუნდაც ჩემგან უკვე არსგანყენებულისა.

სათქმელი გაასრულა თუ არა, მან ახლა თვისთა მსახურ-ფარეშთ მიმართა ბრძანებისა კილოთი:

— ტაბაქიმნო, პანაცეა მოიღეთ!

ამა სიტყვათა წარმოთქმა იყო, და ტაბაქიმთ ბოდიში მოხადეს თავიანთ ხელმწიფა-დედოფალსა, მიუტევეთ, რომ თქვენთან ერთად ვერ ისადილებს, რამეთუ სადილად არცრასა მიირთმევსო, მხოლოდ ზოგიერთ რამ კატეგორიას, სექაბოტს, ამენიმს, დიმიონს, აბსტრაქციას, ქირქურინს, ქალომინს, მეორეულ ინტენციას, ქარადოტს, ანტითეზას, მეტემფსიქოზს და ტრანსცენდენტურ პროლეპსისთ თუ შეექცევაო.

მერმეთ ერთ პატარა, მღელვარებააკრულ სენაკსა შინა შეგვიყვანეს. უბნობენ, კუნძულ კრეტაზედ რომ თხამ გამოზარდა, იუპიტერი დგას და იმა თხისა მოთრიმლულ ტყავზედაო, რომელსაც ტიტანთა წინააღმდეგ ბრძოლაში საბლუჯიან ფარ-დარაკადაც იყენებდაო (რისთვისაც ეგიოქოსი ეწოდა), ყველაყას წვლილად ინერს, რაც კი რამ ქვეყნიერებაზედ ხდებაო. ჩემსა პატიოსნებასა ვფიცავ, ლოთ-მებრუვენო ძმანო, ერთ ტყავზედ კი არა, ათვრამეტი თხისა ტყავსა ზედაც ვერ ჩამოითვლება ჩვენთვის იქ მორთმეული სუყველა ნუგბარი და მაზა-მაზა სასმელ-საჭმელი, თუნდაც რომ



სულ მთლად ისეთივე წვრილ-წვრილნი ასონი მოგვევარგებინა და ისეგვარად ჩამოგვენიკნიკებინა, როგორადაც ის ილიადა იყო ასოთდასხმული, რომელსა ციცერონი კითხულობდა და ირწმუნებოდა, ის ხელნაწერი ერთ ფოროსა კაკლისა ნაჭუჭში ჩაეტეოდო. ჩემდათავად ვიტყოდი, ასი ენა, ასი პირი, რკინის ყანყრატო რომც მქონოდა და, ჰლატუნისა წარ იყოს, კაფიაგამომეტყველიც ვყოფილიყავი, ოთხი წიგნიც მსჯელობდა იმის ნახევრის ერთი მესამედისა აღსაწერად, რითაც იქ გვიმასპინძლდებოდნენ. პანტაგრულმა კი მითხრა, ჩემის ქუჩითაო, ხელმწიფა-დედოფლისა მიმართვასა ტაბაქიმთა მიმართ: „პანაცეა მოიღეთო!“ ამათთან სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და დიდ სადილ-ხადილსა, ანუ ნადიმსა და პურობა-დარბაზობასა აღნიშნავსო. ლუკულუსიც აკი აგრე იქცეოდა, ოდეს მეგობარნი ხან იჩქითად დაადგებოდნენ ხოლმე თავსაო, მეტადრე თუ ციცერონსა ანდა პორტენსიუსს მოიხილავდა, იმსაათში შესძახებდა: „ნავედით აპოლონთანაო!“

თავი XXI

მითარ ატარებდა დედოფალი დრო-ჟამსა  
სადილისა შემდგომ

ტრაპეზობისა გასრულებისავე თანა ერთმა ხახამიმთაგანმა დედოფალ-ბატონისა დარბაზსა მიგვიყვანა, და იქ მოვიხილეთ, ჩვეულებრ სეფენულთაგან და სეფექალთაგან გარშემორტყმული, დანაყრებისა შემდგომ ხელმწიფა-დედოფალი ვითარ აცხავებდა, ანიავებდა, არკვევდა და ატარებდა თავის დრო-ჟამსა თეთრ-ცისფერ ქიჭნაუხტ-აბრეშუმისა დიდ ლამაზ ცხავსა შიგან. მერმეთ, მოდით, ძველი დროება ავალორძინოთო, დადგნენ და იშუშპრეს

კორდაკსი,  
ემელია,  
სიციინია,  
იამბიკოური,  
სპარსული,  
ფრიგიული,  
ნიკატიზმი,  
თრაკიული

კალაბრიზმი,  
მოლოსკური,  
კერნოფორი,  
მონგასი,  
თერმანსტია,  
ფლორალია,  
პირიქსუ

და კიდევ ბევრი სხვა ციკვა და მისთანანი.

მას უკან ხელმწიფა-დედოფალმა ნება გვცა და სრა-სასახლე ძირის-ძირობამდის ვჩხრიკეთ, იქა იმდენი ნარუქი, საუცხოო და უჩვეულო რამ ვნახეთ, როს ვიგონებ, ჯერეთ კიდევ ან ვარ აღტაცებული. ყოვლისა უფროისად მაინც კარისკაცთა ოსტატობა-ხელოვნებამ აღგვაფრთოვანა: აბსტრაქტორთ, ფერაზონთ, ნედიბიმთ, სპოდინზატორთ და სხვათ პირდაპირ გვითხრეს, დაუფარავად, დედოფალ-ბატონსა ოდენ შეუძლებლისა ქმნა ხელწიფება და უკურნებელ მიბინარებულ-სნიულთ არჩენსო, ჩვენ კი, თანამდგომ-დამხმარე-შემწენი, სხვა ავადობათა კურნებასა ვართ მიჩენილნიო.



სხვისა ნათქვამსა არ გეუბნებით, თავად მოვიხილე, მავანი ნორჩი ფერაშიმი ვითარ ყოჩაღად ართმევდა თავსა ვენერულ სნეულებათ, თანაც უკვე დია გართულებულთ, რუხანულ შემთხვევათა მსგავსთ: ~~კუდჭირშეყ-~~ რილთა კბილისებრ მალას ოდენ სამგზის ახებდა კოხუნჯისა თუ ხისა ჯა- დაგოს ნამუსრსა.

ერქუნული

თავადვე მოვიხილე, ვითარ თვალდათვალ კურნავდნენ კუდჭირებდა მე- ორე კაცი ვინმე ჰიდროპიკთ, ტიმპანისტთ, ასციტიკთ და ჰიპოზარგიკთ: ცხრაჯერ ზედაზედ, ხელაუღებლად, ურტყამდა სნეულთ მუცელსა ზედა ორღესულ ტენედოსკურ ჩუგლუგსა.

მესამე კაცი ვინმე მყისიერად არჩენდა ყველაგვარ ხაშმ-ცხროსა: სნე- ულთ ქამარზედ მარცხენა მხრიდან ნამლად ჰკიდებდა მელისა კუდსა, რომელიცა ბერძნულად იწოდება alopex.

მეოთხე კაცი ვინმე კბილისა ტკივილსა მხოლოდ იმითი აყურებდა, ანუ მოამტკივნებდა, რომ სამგზის ავლებდა მტკივანი კბილისა ფესვსა ანწლისა ძმარსა, მერმეთ კი კბილმტკივანსა ნახევარი საათი კბილისა მზეზედ გაშ- რობასა ურჩევდა.

მეხუთე კაცი ვინმე სუყოველნაირ ნიკრისისა ქარსა არჩენდა, მწვავე- სა, ქრონიკულსა, მემკვიდრეობრივად ატეხილსა და კეთილშეძენილსა: სნეულსა ოდენ პირსა აკუმვინებდა და თვალთ ახელინებდა.

მოვიხილე, ვითარ უნამლა და მოარჩინა სიტყვისმკერვალმა, ანუ სიტყ- ვითა მკურნალმა მეექვსე კაცმა ვინმემ სულ რამდენიმე საათში ცხრა პა- ტიოსანი აზნაური წმ. ფრანცისკის სენისგან: სუყველანი ყველაგვარი ვა- ლისგან განათავისუფლა და თითოეულსა ყელზედ თოკი დაჰკიდა, რომელ- სა ათი ათასი მზეგამოხატული ეკიუთი გატენილი ქისა-თალისა ჰქონდა ჩამობმული.

მეშვიდე კაცი ვინმე რალაც სასწაულებრივ ხელსაწყოსა იხვაიშნებდა, ფანჯრიდან, ანუ კანკელ-ლანძვიდან, იგივე არდაბაგიდან, სახლ-კართ ყრი- და და ესეგვარად ანიავებდა.

მერვე კაცი ვინმე ყველაგვარ დაუძლურებასა შველოდა: სისხლნაკლუ- ლობასა, სიმჭლევესა, სიგამხდრესა, ამასთან არცრა სიავ-მაზამართ-აბა- ზანასა მიმართავდა, არცრა რძე-წველასა, არცრა ცხელსაფენსა, არცრა სა- ლბუნსა, არცრა იაღლავაშსა, არცრა სხვა რამ საშუალებასა, მარტო ებ იყო, სამი თვე ბერად აღკვეცილი ჰყავდა დასნებოვნებულ-მიბინარებული და გვარწმუნებდა, უკეთუ გამონაზვნებულნი ამა ხანში ფიტ-ხორცსა არ მოიკიდებენო, მაშასადამე, როგორაც საექიმო ხელოვნება, ისე თავად ბუ- ნება ესევითარ შემთხვევაში უძლურიაო.

და კიდევ ერთ მკურნალსა ვისმე ეხვივნენ გარსა მრავალთ უმრავლეს- ნი დიაცნი ორ წყებად: ერთ წყებასა შეადგენდნენ პირთოვლა ცირა-დი- აცნი, ალიკვალნი მზეთუნახავნი, მზისდარნი, პირიმზენი, ვითარ მეჩვენა, ყველაგვარი სამსახურისთვის მზანი, მეორე წყებასა — ბერდიაცნი, უკბი- ლონი, თვალეზჩანირპლულნი, დამჭკნარ-დაჯორჯებულნი, ჩხინკორა-გონ- ჯნი, ფეხზედ ბატკანგამობმულნი. პანტაგრუელსა აუხსნეს, მკურნალი ესე აღნობს და აახალგაზრდავებს ბერდიაცთაო, რომელთაც სულ ესეგვარ ცირებად აქცევს თავისი ხელოვნებისა წყალობითაო, ამასთანავე ეს მზეთუ- ნახავნი ცირანიც ბერდიაცნი იყვნენ, მაგრამ ამა მკურნალმა სწორედ დღეს გადაადნო, სრულად დაუბრუნა ძველი ეშხი, გარეგნობა, სინატიფე და აღ- ნაგობა, რითაც კი თხუთმეტ-თექვსმეტი წლისანი გამოირჩეოდნენო, ყვე-



ლაცა აღუდგინა, მართ ოდენ ქუსლთ ვერა მოუხერხარაო, ქუსლნი ან კიდევ უფროისად დაუმოკლდათ, ვიდრე პატარა გოგობაში ჰქონდათო. დიახაც ამად არის, რომ კვალად გაახალგაზრდავებულნი, ვითარ მამრთ გადაეყრებიან, უჩვეულო მორჩილებასა იჩენენ, დროსა არღა კარგავენ და აგრევე ზურგზედ ეცემიანო.

ბერდიაცნი წარმოუდგენელი მოწინებითა და კრძალვით ელოდნენ თავ-თავიანთ რიგსა თუ ჯერსა, მკურნალსა დოგა-დოგა ადგნენ, მართალია, მთლად წინანდებურ ტურფათ ვერღა გაგვხდი, მაგრამ მაინც ერთი სული გვაქვს, სანამ ბებრულ სიგონჯესა დაგვხსნიდეთ. ექიმსა ამა საქმეში ხელი დია განაფული ჰქონდა და შემოსავალსა არ ემდუროდა. პანტაგრუელმა იკითხა, ამა გადადნობისა ხერხითა ბერიკაცთაც ხომ არ აჭაბუკებსო; არაო, მიუთხრეს, დალათუმცა, მამრსა გადადნობილ მდედრთან შეგმანვა, ანუ თანაცხოვრება აჯეილებსო, რამეთუ იმა დიაცისგან ცუდი ჭირისა მეხუთე ნაირგვარობა ემართება, ესრეთ წოდებული გაყვლეფა, ბერძნულად თუ ვიტყვით, ო ფ ი ა ზ ი ს ი,<sup>1</sup> რომლისა დროსაც კაცნი თმასაც იცვლიან და კანსაც ისევე, როგორაც რომ გველნი იცვლიან ყოველწლივ პერანგ-ჭარსაო. და მაშინ, მსგავსად არაბეთისა ფენიქსისა, მამრსა კვალად სიჭაბუკე უბრუნდებაო. აი, თურმე სად ყოფილა ჭეშმარიტი წყარო სიჭაბუკისა. ლარი და ხაზი არ უნდა, ამა წყაროს წყალობაა, მიხრწნილი, დაპამპალებული, იგივე პარეხი მოხუცი რომ ყმანვილდება, ხალისიანი და მხნე ხდება, ვითარ ეს დაემართა, უკეთუ ევრიპიდეს ვერწმუნებით, იოლაესა, ანდა წყალობითა ვენერასი, ჯავარსრულ ფაონსა, აგრერიგად რომ ეტროფოდა საფო, ტიფონსა — ავრორას გულმოდგინეობისა შედეგად, ესონსა — მედეასგან წყალობაქმნილსა, აგრეთვე იასონსა, ფერეკიდეს და სიმონიდეს თუ დავიმოწმებთ, მედეასგანვე სახეცვლილსა და გაჭაბუკებულსა, ესქილეს თანახმად, ეგევე მოუვიდათ დარდიმანდი ბახუსის, ანუ ბაკქოსის დედამძუძეთ, და არა მარტო თვითონ, არამედ თავიანთ ქმართა თანა.

თ ა ვ ი XXII

ვითარ ილევდნენ კვინტელნი მსახურნი ათასგვარ საქმარსა და კიდევ შესახებ იმისა, ვითარ გვინწყალოვა ხელმწიფადელოფალმა ავსტრატორთა სახელო

მერმე მოვიხილე, ვითარ უხეხავდნენ ხსენებულ მსახურთაგან ბევრნი კალანჩხა-კალათისა ძირითა ეთიოპთ ოდენ მუცელსა, სხვასა არცრასა, რისა გამოც ისინი სულ ცოტა ხანში სპეტაკდებოდნენ, ქათქათადებოდნენ და ფიფქინდებოდნენ.

სხვათ ერთსა ულელში სამი წყვილი მელა შეებათ, ზღვისპირ ქვიშნარსა ხნავდნენ და, ერთი მარცვალნი რა არის, ერთ მარცვალსაც არა ხაფრავდნენ.

მესამენი კრამიტსა რეცხავდნენ და ფერ-ჩინსა აცლიდნენ.

მეოთხენი ხანიერ ნაყავდნენ მარმარილოს ფილში ზუმფარასა, რომელსაცა თქვენში ვიეთნი სპონდიოსა ეტყვიან, ვიეთნი მჭადაქვასა, თირსა ან მინქაფასა, ესეგვარად ხდიდნენ წყალსა და შედგენილობასა უცვლიდნენ.



მეხუთენი ვირთ რისავდნენ და უცხო რამ მატყლ-რისვსა კანძ-კანძ აგროვებდნენ.

მეექვსენი კვრინჩხზედ ყურძენსა კრეფდნენ, ბირკავაზედ კი ლელვსა.

მეშვიდენი ვაცბოტსა წველიდნენ და ფანია-სახლისა გასაძლოლად დია სასარგებლოდ ცხრილში ღვრიდნენ.

მერვენი ვირთ თავსა ბანდნენ და დაბანისა შემდეგ ნაცარწმენდილსა არ აქცევდნენ.

მეცხრენი ბადე-სათხეველითა ქარსა იჭერდნენ, ქართან ერთად კი ვე-ებერთელა ფერხმრავალა-კიბორჩხალთ.

მოვიხილე, ქართაგან ვითარ სანთად ფუკავდა ჩამღრძვალ ვირსა ჭა-ბუკი ვინმე სპოდინზატორი და მერმე წყრთასა ხუთ სუდ ასალებდა.

სხვა მავანი და მავანი სექაბოტთ აღპობდა. თქმა არ უნდა, უფროისად გემრიელ რასმე ჯერისა თავსა ვერცრას ინატრებდა კაცი!

პანურგსა უმაღ ზიდება დაეწყო, ვითარ თვალი ჰკრა მავან აქაშდარ-პნინსა, რომელსა სრულად ერთ ვარცლ თუ მაზმაროთ კაცისა ფსელში კა-რგა გვარიანი ოდენობის ქრისტიათულ სკორესა არეული ცხენისა ჩონჩო-რიკი ჩაელპო. ფუ, რას არ იზამს სულელი, ხატილენია კაცი! ამა გამობ-დილ სითხესაო, აგვიხსნა მან მსახურმან, მეფეთ ვასმევო, აგრეთვე დიდ-დიდ თავადთაცაო და მოკლე წუთისოფელსა, სულ ცოტა, ერთით ანდა ორი ტუაზით მაინც ვუგრძელეზო.

ვიეთნი იდგნენ და ძეხვთ მარგილსა უჟაპუნებდნენ.

ვიეთნი გველთევზათ ბოლოდან ქერცლიდნენ და ქილავდნენ, ისინი კი მაშინლა იწყებდნენ გნიასსა, მელენურ გველთევზათაგან განსხვაგვებით, ოდეს უკვე გაქერცლილ-გაქილულნი იყვნენ.

ვიეთნი არცრისგან რალაც დიდსა და უდანდარსა ქმნიდნენ, დიდ-უდა-ნდარსა კი არცრად ხდიდნენ.

ვიეთნი ცეცხლსა დანაზედ აგებდნენ, ფატრავდნენ, წყალსა კი საცერ-საცერ და ცხავ-ცხავ ეზიდებოდნენ.

ვიეთნი მთვარესა თუჯისგან ამზადებდნენ, რძისაგან კი — ღრუ-ბელთ.

მოვიხილეთ, ვითარ ილხენდნენ თორმეტნი მსახურნი ხეთა ჩრდილ-ქვეშ, ყველასა ლამაზი, კარგა მოზრდილი დელფიკურთა ეპყრა, სამფერხი ფიალი საგრძნებო, ღვინოსა ოთხნაირსა იხმევდნენ, ცივსა, სასწაულებრი-ვად გემოიერსა, და გვითხრეს, რარიგადაც აქაური წესია, სწორედ ჩვენ მოგვყავს უქეიფოდ ქმნილი ტაროსი ქეიფზედ და დასტურ ესეგვარადვე აყენებდნენ საქეიფო ამინდსა ძველ დროში ატლანტი და პერკულესიო.

ვიეთნი ფეხსა ისე შლიდნენ, საბანი როგორაც სწვდებოდათ, რაიცა თვალისთვისაც საამოვნოდ მეჩვენა და საერთოდ სასარგებლოდაც.

ვიეთნი მარხულობდნენ და ამაღ არცა გარეთ გადიოდნენ ხშირ-ხშირ, უკნიდან აგრერიგად ვერ მხიარულობდნენ.

ვიეთნი იდგნენ და ერთ თვალუნვდენ-ვრცელ ყვავილნარსა შინა რწყილთა ნახტომთ გულმოდგინედ ზომავდნენ. თანაც ირწმუნებოდნენ, სა-ქმე ესე ფრიად უცილობელი რამ არის, რათა კაცმან სამეფონი მართოს, მრავალი ომი გარდაიხადოს, სახელმწიფოთა შიგან წესი და რიგი არ მო-



შალოსო, და ამა თავიანთი აზრისა დასტურად სოკრატეს იმონებდნენ, რომელმან ფილოსოფია პირველმან დაუშვა ციდან დედამინაზედ, უქმი ლათაიურ-შესაქცევი რამიდან სასარგებლო და სარგოიან საქმედ აქცია და, როგორაც კვინტესენციალი არისტოფანე უბნობს, 'მეცნიერებისთვის შეძლენილი დროისა ნახევარსა რწყილთა ნახტომთა გაზომვასა უნდობდებლად'.

მოვიხილე, ვითარ იდგა კოშკზედ გუშაგ-მეციხოვნედ ბრძოლ-გნებლობი, ეგენიო, გვითხრეს, მთვარესა მგელთაგან იცავენო.

ბალისა კიდეში ოთხსა მავანსა კაცსა გადავეყარე, ისინი რალაცაზედ ცხარედ დაობდნენ და ბევრი აღარა უკლდათ რა, რომ თმაში სწვდომოდნენ ერთმანეთსა. დავისა მიზეზი რა ვიკითხე, მითხრეს, ოთხი დღეა, რაც რომ სამ ფრიად საძნელო მეტაფიზიკურ პრობლემასა განიხილავენ, რომელთა გადანყვეტისა სანაცვლოდ ოქროს ზოდთ მოელიანო. პირველი პრობლემა დაუკოდავი ვირისა ჩრდილსა ეხებოდა; მეორე — ფარნისა ბოლსა; მესამე — თხისურსა: მატყლად ჩაითვლება თუ არაო. გარდა ამისა, ვითარ ჩვენთვის გახდა ცნობილი, ისინი არცრა შეუძლებლად არ მიიჩნევენ, უკეთუ ორი სანინაალმდეგო აზრი ერთჟამიერად ქეშმარიტია როგორაც მოდუსის, ფორმის, ფიგურისდა კვალად, ისე დროსა შიგან. პარიზელნი სოფისტნი კი თვალისა უმაღლ სხვა რჯულზედ მოიქცევიან, ვიდრე ამა დებულებასა აღიარებდნენ.

ჯერეთ კიდევ ვიდექით და გულდაგულ ვჩხრეკდით იქაურ კაცთა უჩვეულო საქმიანობასა, რომ კაშკაშა ჰესპერეს<sup>2</sup> შუქზედ თავის ამალიანად მობრძანდა ხელმწიფა-დედოფალი, რომლისა დანახვისავე თანა ცახცახმა აგვიტანა და თვალთ დაგვიბნელდა. ჩვენი ესეგვარი შეცბუნება სულაც არ გამოჰპარვია ხელმწიფა-დედოფალსა და მაშინვე აგრე მოგვმართა:

— კაცისა აზრსა განცვიფრებისა უფსკრულთა შიგან ახეტილებს არა შედეგთა უზენაესობა, რომელ შედეგთაც დია მჭიდრო კავშირი აქვთ სხვადასხვა ბუნებურ მიზეზთან და რომელ კავშირსაც კაცნი თვალსაჩინად ერწმუნებიან ხელფუნჩ ოსტატთა სხარტაზრიანობისა გამო, — არა, კაცთ აოცებთ და აცბუნებთ სიახლე გამოცდილება-ჭირნახულობისა, რომელი სიახლეცა ეზემოქმედებათ გრძნობათა ზედა, თვითონ მოქმედებისა სიმარტივის ხარისხზედ კი კაცთ სჯა არა ძალუძთ, უკეთუ ბეჯითად შესწავლა შეთავსებული არა აქვთ წარმოდგენათა სიცხადესთან. მაშ, მოერიენით საკუთარ თავსა და სძლიეთ ყველაგვარი შიში, ვითარ ჩანს, რომელილაც ჩემი მსახურისა ნაქნართ რომ უჭმევია. ყველაყასა, რაც კი რამ ჩემი სახლისა ქერქვეშ არს, თქვენისა ნებისად უყურეთ, უსმინეთ, უკირკიტეთ და თან-თან მოიგდებინებთ უმეცრებისა უღელსა. ესეგვარია სურვილი ჩემი და, რათა დარწმუნდეთ ამა სურვილისა სწრფობაში, აგრეთვე თქვენთა გულთა შიგან ამოკითხული ცოდნისნადილისა მიმართ ჩემსა პატივისცემაში, ან სუყოველი თქვენგანისთვის აბსტრაქტორისა სახელო მინყალობებია. ვინემ გაემგზავრებოდეთ, გებერი, ჩემი პირველი ტაბაქიმი, სიათ შეადგენს და უკლებლივ აღგნუსხავთ.

ჩვენ მდუმარედ და თავმდაბლად მოვახსენეთ მაღლი ხელმწიფა-დედოფალსა და ესოდენ საჩინო საურავისა აღსრულება აღვუთქვით.



ვითარ მოართვის ხელმწიფა-დედოფალსა ვახუშტი  
და ვითარ მიირთმევდა იგი



სათქმელი რა გაასრულა, ხელმწიფა-დედოფალმა ვახუშტი  
მიმართა:

— საყლაპავი მილი, საზოგადო ელჩი ესე, როგორაც ქვედა, ისე ზედა ყოველთა ჩვენთა ასოთა დამკურებელი, თავ-პირსა გვაჭამს ყველაყა იმის შესავსებად, რაიცა კი რამ ხსენებულ ჩვენთა ასოთაგან წაწყმედილ-დაკარგულა ბუნებური სითბოსა და დასაბამიერი სინოტივის უსუსტრად მოქმედებისა გამო, ხოლო დაკარგულ-წაწყმედილისა ასანაზღაურებლად თითოეულ ასოსა საჭირო საზრდოთი გვამაწივრებინებს. სპოდიზატორნო, ქასინიმნო, ნეემანიმნო და ფერაშიმნო! ყოველთ ისლა დაგრჩენიათ, ცქაფად დააგოთ ტაბლანი და არცრა ნებადართული ნოყიერი სამუცლავი არა დააკლოთ. თქვენ კი, ქველნო პრეგუსტნო და საყვარელნო მასიტერნო, რომელთაც სხარტაზრიანობა გულმოდგინებასთან და თავგამოდებასთან შეგიხამებიათ, ვუნცი, მათრახსა არცროდის დაირტყამთ: ბრძანებისა გაცემასა ვერც ვასწრებ, საქმნელი უკვე ნაქმნარი გაქვთ, მიწყვი მღვიძარებთ, ფხიზლად გიჭირავთ თავი. მე ოდენ გახსენებთ თქვენ-თქვენსა მოვალეობასა, თანადებასა.

ამისა თქმა იყო, და ხელმწიფა-დედოფალი რამოდენიმე დედოფალ-სეფექალთან ერთად მცირე ხანსა გავიდა, გვითხრეს, სააბაზანებლად გაბრძანდაო, რაც ძველთათვის ისევე ჩვეულებრივი იყო, ვით აწ ქამისა წინ ხელთ ვიბანთ. ტაბლანი წამერთ მიადგეს ერთმანეთსა და სუყველას ცალცალკე დიდსასყიდლოვანი სუფრა გადააფარეს. ტრაპეზობისა წესისა და რიგის თანახმად, ხელმწიფა-დედოფალი არცრასა მიირთმევდა, გარდაისად ციური ამბროზიისა, და სასმელსაც არცრასა იხმევდა, გარდაისად ღვთაებრივი ნექტრისა. სამაგიეროდ სეფეთ, სეფექალთ, ანუ ზეპურ დედათ და ჩვენცა სულ ნაირ-ნაირი, ერთმანეთზედ უკეთესი და უკეთესი გემოიანი საკბილო-სასუსნავი მოგვართვეს, როგორიც რომ თავად აპიცვიუსს არ დაესიზმრებოდა.

ტრაპეზისა ბოლოს, ემანდ ვინმე მომყმარი და გულნაკლული არ დაგვრჩესო, ათასი რამერუმეთი თავმოდგმული ერთი იმხელა და იმოდენა პინაკი მოიღეს, ზედ ალბათ ძლივს თუ დაეხურებოდა ის ოქროს ლანგარი, პითიუს ბითინელმა რომ შესძღვნა დარიოს მეფესა. ამა ათას რამერუმეში ბლომად იყო მრავალგვარი შეჭამანდი, ტაბუცუნი, ანუ ზეთ-ძმრიანი სალათა, ფრიკასე, რაგუ, შემწვარი თხისა ხორცი, შემწვარი ძროხისა ხორცი, ხაშლამა, მწვადი, მსხვილ-მსხვილად დაჭრილი ტარეხი, შაშხი, უებრო მყავეშუვე, ღვეზელი, ნაზუქი, ქადა, მავრული ფრიკადელი, კეცეული, ყველეული, კრემი, ყელე, ფალვარდად ნოდებული ხილფაფა და ხილხულსა ხომ ნულა იტყვიოთ. ისე ჩანდა, ყველაყა უცხოოდ გემრიელი უნდა ყოფილიყო, ერთი წაგორება კი წამიგორდა თვალი, მაგრამ უკვე ისე ვიყავი, არცრის ქამისა თავი არა მქონდა. ოღონდ ისიც უნდა დავძინო, ხსენებულ რამერუმეთა შიგან ცომში შემწვარი პაშტეტიც შევამჩნიე, მართლა იშვიათი რამ, ქოთანში იყო. ქოთნისა ძირზედ კი, ჩვეულებრივი ქალაღდისა თუ ტაროკის მომღერალ-მოთამაშეთათვის და მემორინეთათვის, დიდძალი



ლუეტი, ბანქო და ჭადრაკი ენყო მზეგამოხატული ეკიუთი მოყელყელა-  
ვებულ რამოდენიმე ჯამთა თანა.

ხოლო გასეირნებისა გიჟ მოყვარულთ პინაკტვეშ ძვირფასად დარახ-  
ტული ბევრი ჯორი, ანუ კერძოვირი ელოდა, სულ ოქროქსოვილ სასაღიანი  
და ხავერდისა ყაჯრიანი, კიდევ ბევრივ თოხარიკი, ზოგსაქსოვილსა  
უნაგირი ედგა, ვაჟური, ზოგსაქსოვილსა სადედაკაცო, ქალური, ზოგსაქსოვილსა  
არცრა ოქსინოგადაკრულ ხირაულ-ტახტრევანთ, იქვე იდგა არა ერთი და  
ორი ფერარული ეტლი.

მაგრამ არაფერსა ამას ისე არ გავუკვირვებდნენ, როგორაც ხელმწი-  
ფა-დედოფლისა ჭამამ გამხადა სახტად: ის მამაცხონებული არცრასა ლე-  
ჭავდა, იმად კი არა, რომ კბილნი არ ესხდნენ კარგნი და მაგარნი, ანდა  
იმად კი არა, რომ მორთმეულ საზრდელ-საჭმელსა ლეჭვა არ უნდოდა, არა,  
ზნე-ჩვეულებად მოსდგამდა აგრე. საჭმელსა წინაპირველად პრეგუსტნი  
სინჯავდნენ გემოთი, მერმე მასიტერნი იგემოვნებდნენ და მოხდენილად  
ლეჭავდნენ, ხახა სუყველასა პირისფერი ატლასის სარჩულიანი ჰქონდა,  
ოქროთი მიმოძარღვული, კბილნი კი ქათქათა სპილოს ძვლისა, და რაც  
რამ დასაღეჭი იყო, კარგად რომ დაღეჭავდნენ, უმალ ოქროს ძაბრსა რას-  
მე მოივარგებდნენ და პირდაპირ ხელმწიფა-დედოფლისა კუჭსა შიგან უშ-  
ვებდნენ უკვე კარგად დაღეჭილ-დაფქულ საჭმელ-საზრდელსა, ამოობაში  
კიდევ ისიც შევიტყვეთ, რომ თურმე იმის მაგივრად ვინმე სხვა სკორავ-  
და, სხვა გადიოდა ხოლმე კუჭში, ვისაც დაავალებდა.

#### თავი XXIV

##### ვითარ გაიმართა ხელმწიფა-დედოფლისა თანდასწრებით მსიარული ბალ-ტურნირი

ვახშმისა გასრულებისთანავე ხელმწიფა-დედოფლისა თანდასწრე-  
ბით ბალ-ტურნირი გაიმართა, არა მარტო ყურადღებისა, არამედ გასა-  
უკუნოებისა ღირსი. თავდაპირველად დარბაზისა იატაკსა ზედა უშველე-  
ბელი ხავერდისა ნოხი დააფინეს ჭადრაკისა დაფისნაირი, ანუ უჯრა-უჯრა  
დაყოფილი და თითოეული თეთრი ანდა ყვითელი უჯრა სამი წყრთა სი-  
განისა და სიგრძისა იყო. მერმეთ დარბაზსა შემოვიდა ოცდათორმეტი მო-  
ნაწილე ყმანვილკაცი და ყმანვილქალი, რომელთაგან თექვსმეტსა ოქრო-  
ქსოვილი ფანცი-ფარჩა ემოსა, ესენი იყვნენ რვა ყმანვილი ნიმფა, ისეგ-  
ვარად მორთულ-მოკაზმული, როგორაც ძველთ დიანას კერძობა-ამალა  
წარმოედგინათ, მეფე, დედოფალი, ორი როქის სპისა გუშაგი, ორი რაინ-  
დი და ორიც მოისარი. დანარჩენნი თექვსმეტნიც იგივე წყობისად მოდგ-  
ნენ ვერცხლქსოვილ ფანცი-ფარჩაში გამოკანკლულნი. ნოხზედ ყოველნი შემ-  
დეგნაირად განლაგდნენ. მეფეთ იქით-აქეთ ბოლო ორი სირა-მწკრივისა  
მეოთხე უჯრანი დაიჭირეს: ოქროქსოვილიანმა მეფემ — თეთრი უჯრა,  
ვერცხლქსოვილიანმა — ყვითელი. დედოფალნი იგვრდივ ამოუდგნენ მე-  
ფე-ბატონთ: ოქროქსოვილიანი ყვითელ უჯრაზედ დადგა, ვერცხლქსოვი-  
ლიანი — თეთრზედ; მეფეთა და დედოფალთა იგვრდივ, ვითარცა ქეშიკნი,  
ანუ თანამცურვალნი თუ გვამისა მცველნი, მოისარნი დადგნენ; მოისარ-  
თა ახლოსად — რაინდნი; რაინდთა ახლოსად — ორნი გუშაგნი. შემ-  
დეგი სირა-მწკრივი, იქითაც და აქეთა ფრთაზეც, რვა-რვა ნიმფამ დაი-



ჭირა. ნიმფათა ორ მწკრივს შუა ცარიელ უჯრათა ოთხი მწკრივილა რჩებოდა.

ორსავე გუნდსა თავ-თავისი მძნობელ-მესაკრავეთა დასტა მყავდა, რომელ მძნობელ-მესაკრავეთაც უცხო ფერთა ტალავარნი ეცვათ. ერთ დასტასა ნარინჯისფერი დამასკოური ჭიჭნაური შვენოდა, მეორესა თეთრი; ისინი რვა-რვანი იყვნენ, და სულ სხვადასხვაგვარსა კეთილშენწყობილად ახმიანებდნენ, ყურთასმენისა წარმტყვევებულად აყდერებდნენ, ბალ-ტურნირისა მდინარებისდა კვალად ცვლიდნენ ტონსა, ტემპსა და ტაქტსა, რასაც ყოველთა მხილველთა გაკვირვება-გაოცება სდევდა, რამეთუ არცა აგრერიგად იოლი ჩანდა ნაირი და ნაირი, ათასგვარი ძვრა-მოძრაობისა აყოლა: რონინისა, გოგვისა თუ გოგმანისა, ხუსხუსისა, კინკილისა, ხტუნვისა თუ ხტომისა, ბუქნისა, ჟამ-ჟამად ვითომცდა უკან დახევისა, ერთბაშად კი შეტევა-მიხტომისა, ხან რა ილეთისა და ხან რა ფანდისა.

ვგონებ, ჩვენსა წარმოდგენაზედ უფროის ძლიერ თვითონ ბალ-მეჯლისისა მონაწილენი ზემოქმედებდნენ. ისინი ისე ციმციმ ანადირებინებდნენ ყურთ თავიანთი იერიშისა თუ უკუქცევისა შესატყვის ძნობა-ჟღერასა, რომ მძნობელ-მესაკრავენი სხვა ტონზედ გადადიოდნენ თუ არა, სუყოველნი შესაფერის ადგილთ იჭერდნენ, თუმცა კი მანამდე სრულიად განსხვავებულ სამასა რასმე როკავდნენ. აქაური წესისა და რიგის თანახმად, ნიმფანი, რომელთაც წინა მწკრივნი უჭირავთ და ბრძოლასა იწყებენ, მოწინააღმდეგესა პირდაპირ ეგრევე უტევენ, უჯრიდან უჯრაზედ, თვნიერ პირველი სვლისა, ოდეს ორი უჯრისა გავლის ნება აქვთ; დანარჩენ ფიგურათაგან განსხვავებით ნიმფანი უკან არცროდის იხევენ. უკეთუ რომელიმესა ბუდი უპრიანებს თუ გაუღიმებს და იმა მწკრივსა მიატანს, საიდანაც მოწინააღმდეგისა მეფე თამაშსა იწყებს, მაშინ ამისთანა ნიმფასა თავისი მეფე გაადედოფლებს, და ის უკვე დედოფალსავეთ დანავარდობს, იმის ყველაგვარ უპირატესობასა იძენს, წარტყვევნით კი ნიმფა მოწინააღმდეგესა ოდენ გვერდულად, ქირმიშად და ოდენ თავისა წინ წარტყვევნის. გარნა არცა ნიმფათ და არცვის სხვათ უფლება არა აქვთ, რომ მოწინააღმდეგესა გამოდევნებულთ დაუცველ-დაუფარავად და საფრთხეში დააგდონ თავიანთი მეფე. მეფენი ვლიან და მოწინააღმდეგეთ წარტყვევნიან თავიანთ გარშემო, საითაც უნდათ, ოღონდ თითო უჯრაზედ მოძრაობენ, — თეთრიდან მეზობელ ყვითელზედ და პირუკუ — თვნიერ პირველი სვლისა; იმა შემთხვევაში, უკეთუ მეფისა მწკრივსა ზედა აღარცერთი ფიგურაა, გარდაისად როქისა სპის გუშაგთა, მეფესა ხელუწიფება, რომ გუშაგი თავის ადგილას დააყენოს, თვითონ კი გვერდზედ მიუდგეს და მფარველად დაიგულოს. დედოფალნი, ანუ ქალმეფენი, უფრორე ლაღად ვლიან და წარტყვევნიან, ვინემ ყველა სხვა დანარჩენი ფიგურა, ესე იგი ყველა გზა ხსნილი აქვთ: თუ ნებავთ, პირდაპირ ხაზსა გაჰყვებიან, რა სიშორეზეც სურთ, ოღონდ ის ხაზი თავისიანთ არ უნდა ეკავოთ, და ამგვარადვე თითოეული თავისი ფერისა დიაგონალს, ქეშა ხაზსა გასდევს და გამოსდევს. მოისარნი წინაც ვლიან და უკანაც, შორსაც და ახლოსაც. თავ-თავიანთი დიაგონალის ფერსა არცროდის იცვლიან. რაინდნი პირდაპირ ხაზსა ზედა ერთ უჯრასა გადადიან და ისე იგდებენ ხელთ მოპირდაპირესა: სულ ერთია, ეს უჯრა გინდ თავისიანთ ეჭიროთ, და გინდ მოწინააღმდეგეთ, მერმეთ მეორე უჯრაზედ ან მარჯულ-მარჯვნივ შებრუ-



ნდებიან, ან მარცხულ-მარცხნივ, უჯრის ფერსა იცვლიან, და რაინდთა ნახტომი ესე უსაკუთრესად საშიშია მტრისა გუნდისთვის, რომელსაცა გამორჩეული ყურადღება მართებს, რამეთუ რაინდთ ჯიქურ წარტყვევნა არა სჩვევიათ. როქისა სპის გუშაგნი მხოლოდ პირდაპირ, დოსტოლრიც ვლიან და წარტყვევნიან — მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან ვითარცა მეფენი, მაგრამ მეფეთაგან განსხვავებულად, რა სიშორეზედაც უნდათ, იმ სიშორეზედ გაუტევენ, თუ ხაზი ცარიელია.

ორივე გუნდისა საბოლოო მიზანი ის იყო, ვითარმედ გამოეჭირათ მოწინააღმდეგისა მეფე, ალყაში მოემწყვდიათ და თავი არღა დაეღწევი-ნებინათ. ოდეს გამოჭერილ მეფესა გასაქცევი გზა აღარსაითა პქონდა და ვერცა კიდევ თვისთა კაცთაგან ხელსა აღუპყრობდა ვინმე, ბრძოლა წყდებოდა და ალყაში მოქცეული მეფე აგებდა, იარაღსა ყრიდა. მაგრამ მეფე-ბატონი ესეგვარი განსაცდელისგან რომ დაეცვათ, სუყოველნი თანამოსა-გრენი მეფისა, მამაცნიცა და დიაცნიც, მზად იყვნენ იმის გულისთვის თავისა გასაწირად, და სახიობა-მუსიკისა ხმაზედ ოქროქსოვილმოსილნი და ვერცხლქსოვილმოსილნი ერთმანეთსა წარსატყვევნად არ ინდობდნენ. როს ვინმე მოწინააღმდეგესა წარტყვევნიდა, თან თავსა უკრავდა, მარჯვენა ხელზედ ხელსა უთათუნებდა, ბრძოლისა ველიდან გაჰყავდა და იმის ადგილას თავად დგებოდა. უკეთუ მეფე საფრთხეში იყო ჩავარდნილი, მოწინააღმდეგისა გუნდისგან იმის წარტყვევნა არ ეგებოდა, ვინაიდან მკაცრად იყო ნაბრძანები: ვინცა მეფესა საფრთხესა შეუქმნიდა ანდა თავად მიუხტებოდა, მდაბლად თაყვანი უნდა ეცა და საშიშროებისა გამო ესე-გვარად გაეფრთხილებინა: „გფარვიდეს უფალი!“ — რათა მეფისა მსახურთ თავიანთი მბრძანებელი დაეცვათ და დაეფარათ ანდა თვითონ მეფესა მოენაცვლებინა ადგილი, თუ, საუბედუროდ, შველა უკვე აღარცვის შეეძლო. მოკლედ, მოწინააღმდეგე მეფესა ტყვედ ვერ იყვანდა, ოლონდ მარცხენა მუხლზედ დაუჩოქებდა და წარიტყოდა: „გამარჯვება გვითქვამს!“ და ტურნირიც მთავრდებოდა.

თ ა ვ ი XXV

ვითარ საბროვს ვალ-მეჯლისისა ოცდათორმეტი მონაწილე

როგორც კი ორივე მხარემ თავ-თავისი ადგილი დაიჭირა, მძნობელ-მუსიკოსთ საომარი და კარგა გვარიანად მრისხანე მარში დასცხეს, თითქოსდა საიერიშოდ მომწოდებელი. გუნდნი შეიძრნენ და იმა წუთისა მოლოდინში, ოდეს თავ-თავიანთი საბრძოლო ბანაკისა გარეთ მოწინააღმდეგესა უნდა შებმოდნენ, სალაშქროდ განემზადნენ. ვერცხლქსოვილმოსილთა მძნობელ-მუსიკოსნი უეცრივ დადუმდნენ, მხოლოდღა ოქროქსოვილ-მოსილთა საკრავნი ხმიანებდნენ, რამაც დაგვასკვნევინა, რომ იერიშსა ოქროქსოვილმოსილნი წამოიწყებდნენ, და მართლა აგრეც მოხდა, რამეთუ მძნობელ-მუსიკოსთ ხმოვანებასა მალიად სხვა რამ კილო გამოური-ეს, და მოვიხილეთ, ვითარმედ დედოფლისა წინარე მდგარი ნიმფა მეფისა მხარეს მარცხნივ ზურგისკენ შეტრიალდა, თითქოსდა ბრძოლაში ჩართვის ნებართვასა სთხოვსო, მერმეთ კი მთელ თავის გუნდსა დაუკრა თავი. შემდგომად მან დია კრძალულად გადადგა ფეხი ორ უჯრაზედ და მიურე-



ვერანსა მოპირდაპირე გუნდსა, ვისაც შეტევას უპირებდა. ამ დროს ოქროქსოვილმოსილნი მძნობელ-მუსიკოსნი მიჩუმდნენ, და ახლა ვერცხლქსოვილმოსილნი ახმიანდნენ. ბარემ აქვე გეტყვით: ნიმფამ თავის მეფესა და მთელ თავის გუნდსა თავი იმის ნიშნად დაუკრა, ნურცა თქვენ იქნებით გულხელდაკრეფილნიო; ისინიც მაშინვე გამოეპასუხნენ, მარცხნივ ზურგისკენ შეტრიალდნენ და სუყველამ დაუკრა თავი ნიმფასა; თვინიერ დედოფლისა, რომელიცა მარჯვნივ შებრუნდა თავისი მეფისკენ, და ამა წესსა და რიგსა სუყოველნი მონაწილენი იცავდნენ: ბალ-მეჯლისისა მთელ განმავლობაში ერთიცა და მეორე მხარეც სწორედ აგრე უკრავდნენ თავსა ერთურთსა.

ვერცხლქსოვილმოსილ მძნობელ-მუსიკოსთა მუსიკისა ხმაზედ თავისიანთ გამოეყო ვერცხლქსოვილმოსილი ნიმფა, თავისი დედოფლისა წინარე მდგარი, მოხდენილად დაუკრა თავი მეფესა და მთელ თავის გუნდსა. ვალში არც ისინი დარჩენილან, თავიანთ მხრივ, ოქროქსოვილმოსილთა დარად და მსგავსად, ახლა იმათ დაუკრეს თავი, ოლონდ მარჯვნივ შებრუნდნენ, დედოფალმა კი თავის მეფისკენ მარცხნივ ქნა პირი; ვერცხლქსოვილმოსილმა ნიმფამაც ორ უჯრაზედ გადადგა ფეხი, მიურევერანსა თავის მოწინააღმდეგესა და ცხვირწინ წაემჭვიტა, პირდაპირ ზედ მიადგა, კაცი იფიქრებდა, ცოტაც და ერთმანეთსა დაეტაკებოდა, მაგრამ ნიმფათ ოდენ გვერდულად, ანუ ქირმიშად კვლისა უფლება აქვთ. დანარჩენ დობილთაც მსწრაფლ მიბაძეს იმათ მაგალითსა; ოქროქსოვილმოსილნიც და ვერცხლქსოვილმოსილნიც სოლთაებრ ამოძრავდნენ, და ისე ჩანდა, რომ ბრძოლასა იწყებდნენ: ოქროქსოვილმოსილმა ნიმფამ, ბრძოლისა ველზედ პირველმა გამოსულმა, ხელში დასცხო ვერცხლქსოვილმოსილ ნიმფასა, იქავ მარცხნივ აღმაცერად მდგარსა, ბრძოლისა ველი დააგდებინა და თვითონ დაიჭირა იმისი ადგილი; დაღათუმცა, ბევრ დროსა არ გაუვლია, ახალი კილო გაისმა თუ არა, ახლა თვითონ იმას დასცხო ვერცხლქსოვილმოსილმა მოისარმა. მაშინ მოისარსა შეუტია კიდევ ერთმა ოქროქსოვილმოსილმა ნიმფამ; აქ ბრძოლისა ველზედ ვერცხლქსოვილმოსილი რაინდი გამოვიდა, ოქროქსოვილმოსილი დედოფალი კი წინ დაუდგა თავის მეფესა.

ამისა შემდგომ ვერცხლქსოვილმოსილმა მეფემ ოქროქსოვილმოსილ დედოფლისა მხრივ თავდასხმისა საშიშროება იგრძნო, მდგომარეობა გამოიცვალა და თავისი მარჯვენა გუშაგისა ადგილი დაიჭირა, რომელი ადგილიცა, როგორადაც ჩანს, ფრიად გამაგრებული და კარგად დაცული დაიგულა.

ორთა რაინდთ, მარცხენა მხარესა მდგომთ, ოქროქსოვილმოსილმაც და ვერცხლქსოვილმოსილმაც, წინ გაიწიეს და მტრისა ბანაკიდან რამოდენიმე ნიმფა წარტყვევნეს, ვითარმედ არც ერთსა უკან დახევისა შესაძლებლობა არა ჰქონდა; ამ საქმეში თავი მეტად გამოიჩინა ოქროქსოვილმოსილმა რაინდმა; თავისი ბრძოლისა უმთავრეს აზრსა ის სწორედ ნიმფათა წარტყვევნაში ხედავდა. ვერცხლქსოვილმოსილმა რაინდმა უფროისად მნიშვნელოვანი საქმე იზრახა: თავისი ნამდვილი ჩანაფიქრი დამალა, რამოდენიმე ოქროქსოვილმოსილი ნიმფა განზრახ არ წარტყვევნა, წინ გაუტია და იმდენი ქნა, პირდაპირ თავისი მტრისა წინარე ამოყო თავი, თაყვანი სცა ოქროქსოვილმოსილ მეფესა და ჰრქვა: „გფარვიდეს უფალი!“ ესა, არც მეტი, არცა ნაკლები, გაფრთხილება იყო: ოქროქსოვილმოსილთ



თავიანთი მეფისა შველა მართებდათ, და ყოველთ ჟრუანტელმა დაუარა, — თავიანთი მეფისა მიშველება სულაც ძნელად არ უჩნდათ, მაგრამ საქმის იყო, მეფისა გადარჩენა მარჯვენა გუშაგისა უცილობელ დაკარგვად უჯდებოდათ. მაშინ ოქროქსოვილმოსილმა მეფემ მარცხნივ დაიხია უკან, ვერცხლქსოვილმოსილმა რაინდმა კი ოქროქსოვილმოსილს დაუჭირა ნარტყვევნი, რაიცა დიდი დანაკლისი იყო ოქროქსოვილმოსილს დაუჭირეს. ცალა, ოქროქსოვილმოსილთ შურისა გება გარდანყვიტეს და ალყაში მოიმწყვდიეს რაინდი. თავისა დაძვრენისა ყველა გზა მოუჭრეს. მან ბევრი იფხაკუნა, რალა არ იღონა გადასარჩენად, თანამოსაგრეთაც ბევრ ეშმაკურ ხერხსა მიმართეს, ეგების ვითმე დავიცვათო, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს ოქროქსოვილმოსილმა დედოფალმა მაინც ნარტყვევნი.

რაკილა ერთ-ერთი თავიანთი მთავარი ბურჯი დაკარგეს, ოქროქსოვილმოსილნი ძალ-ღონეს იკრებენ, რა არი შური აგონ მტერსა; მართალია, ამასთან საჭირო წინდახედულობას არ იჩენენ, გარნა არცა მცირედ აზარალებენ მოწინააღმდეგის ლაშქარსა. ვერცხლქსოვილმოსილნი თვალისა ასახვევად და სამაგიეროს გადახდისა მოლოდინში ოქროქსოვილმოსილ დედოფალსა ერთ-ერთ თავიანთ ნიმიფასა სძლვნიან და ესეგვარად მახესა უგებენ: ნიმიფისა ძლვნად აყვანისა შემდეგ მოისარმა კინალამ არ ნარტყვევნი დედოფალი. ოქროქსოვილმოსილი რაინდი განიზრახავს ვერცხლქსოვილმოსილი მეფისა და დედოფლის ხელში ჩაგდებასა და მიუთხრობს: „გამარჯვება გვითქვამს!“ სად იყო, სად არა, მხსნელად ვერცხლქსოვილმოსილი მოისარი მოევილინებათ; მოისარსა ოქროქსოვილმოსილი ნიმიფა ერევა, რომელ ნიმიფასაც, თავის მხრივ, ვერცხლქსოვილმოსილი ნიმიფა იყვანს. ბრძოლა სულ უფრო და უფრო ფიცხლდება. მისაშველებლად გამოჩნდნენ გუშაგნი. სასტიკი შეხლა-შემოხლაა. ენიო! ჯერეთ კიდევ ორჭოფობს. ვერცხლქსოვილმოსილნი უკვე არაერთხელ მიადგნენ მეფისა განლაგებასა, მაგრამ მიწყვი უკუაქცევდნენ. სხვათა თანა ოქროქსოვილმოსილი დედოფალიც გმირულად იქცევა: ვერცხლქსოვილმოსილ მოისარსა ერთი სვლისა მსხვერპლად იხდის, მერმეთ ისეთნაირად შემოუვლის, გუშაგსაც ატყვევებს. დატყვევება შენ ჩემი ნახეო, გარდამეტად ცეცხლდება ვერცხლქსოვილმოსილი დედოფალი, წინ გაიჭრება და ბოლო ოქროქსოვილმოსილ გუშაგსა და რამოდენიმე ნიმიფასა ნარტყვევნის.

ხანიერ ჭიდილშია ორივ დედოფალი, ისინი ხანისად ერთმანეთისა უეცრივ ხელში ჩაგდებასა ცდილობენ, ხანისად თავიანთ გადარჩენასაც და მეფეთა ხსნასაც, ბოლოსა და ბოლოს ოქროქსოვილმოსილი დედოფალი ნარტყვევნის ვერცხლქსოვილმოსილსა, მაგრამ იმავ წამსა თვითონაც ვერცხლქსოვილმოსილი მოისრისა მსხვერპლი ხდება. ამისა შემდგომ ოქროქსოვილმოსილი მეფისად ოდენ სამი ნიმიფა, მოისარი და გუშაგილა რჩებიან, ხოლო ვერცხლქსოვილმოსილისად — სამი ნიმიფა და მარჯვენა რაინდი, რისა გამოც ორივ გუნდი ან უფროის ფრთხილად იბრძვის, ერთი მხარეცა და მეორეც სიმძაფრესა ერიდება.

ორივ მეფე, როგორაც ჩანს, ძალზედ გულმოკლულია, ორივენი წუხან თვისთა საყვარელ თანამეგვირგვინეთა დაკარგვასა და ან არცრა შეძლებასა იშურებენ, არცრა მცდელობასა აკლებენ, რათა თავიანთ დარჩენილ ნიმიფათაგან რომელიმენი გაიხალთანამეგვირგვინონ, რომელთაც ყველა სადედოფლო ღირსებასა უბოძებენ, კვალად გვერდზედ ამოიყენებენ და მთელის გულითა შეიყვარებენ; მეფენი პირმტკიცედ აღუთქვამენ



ნიმფათ, სხვათ არცვის, მხოლოდ თქვენ შეგიერთავთო, ოღონდაც იყოჩაღეთ და ბოლო სირა-მწკრივამდის მიატანეთ, საიდანაც მტრისა გუნდის მეფემ თამაში დაიწყო. ოქროქსოვილმოსილნი ნიმფანი პირველნი იწყებენ წინსვლასა, ერთ-ერთი დედოფლდება, თავზედ გვირგვინსა ადგამენ და ზიზია ტალავარსა აცმევენ.

ერქუნსული

ვერცხლქსოვილმოსილნი ნიმფანიც წინ მიიწევენ, მტრის მწკრივისა ღავლაა საჭირო, და ერთ-ერთი გადედოფლდება, მაგრამ გუშაგსა თვალი წამიერ არ მოუშორებია, და ნიმფა ჩერდება.

ტახტზედ ახალასულ დედოფალსა ძალისა, სიმამაცისა და საგრობის უნარისა გამოჩენა სწადს, ბრძოლისა ველზედ არაერთ გმირობასა სჩადის. ამოობაში ვერცხლქსოვილმოსილი რაინდი ოქროქსოვილმოსილ გუშაგსა წარტყვევნის, საზღვრისა დამცველსა, რისა შედეგადაც გამსვლელმა ნიმფამ პირველსა მწკრივსა მიატანა, ან უკვე ვერცხლქსოვილმოსილთაც ჰყავთ თავიანთი დედოფალი, და ტახტზედ ასულსა ამასაც უკვე ქველური საქმისა ქმნა სწყურია. ბრძოლა ახალ ძალასა იკრებს. ორივე მხარე ყველაგვარ ეშმაკობასა მიმართავს, იერიშსა იერიში მოსდევს, საფრთხესა — საფრთხე; ბოლოს ვერცხლქსოვილმოსილი დედოფალი ოქროქსოვილმოსილი მეფისა საფარ-სადგომთან მიიპარება და ეუბნება: „გფარვიდეს უფალი!“ მეფისა გადარჩენა მხოლოდ ახალ დედოფალსა ძალუძს. ის არცა დაფიქრდება, ისე გაიჭრება იმის ხელისა აღსაპყრობლად. მაშინ ვერცხლქსოვილმოსილი რაინდი, აქამდე მი და მო მოარული, თავის დედოფალსა მიაშურებს, და ორივენი ისეთ საშინელ დღეში აგდებენ ოქროქსოვილმოსილ მეფესა, რომ იმას თავისი თავის გადასარჩენად თავისი დედოფლისა განირვა უხდება. თუმცა ვერცხლქსოვილმოსილი რაინდისა წარტყვევნას მაინც ახერხებს. ოქროქსოვილმოსილი მოისარი კი ორ გადარჩენილ ნიმფასთან ერთად თავისი მეფისა დასაცავ-დასაფარავად ნემსისა ყუნწში ძვრება, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს ყველანი ტყვედ ცვივიან, ოქროქსოვილმოსილი მეფე თავისწინა რჩება, მარტოდმარტო. აქა ვერცხლქსოვილმოსილთა მთელი გუნდი მდაბლად თავსა უხრის და მიუთხრობს: „გამარჯვება გვითქვამს!“ — რამეთუ ძლევა ვერცხლქსოვილმოსილ მეფესა რჩება. ამისა თქმისავე თანა მძნობელ-მუსიკოსთა ორივე დასტა რაღაც ძლევისა მარშის მაგვარსა რასმე უკრავს, და პირველი ბალ-მეჯლისი ისე მხიარულად დამთავრდა, იმოდენი კეთილშობილება და იმოდენი მომხიბვლელობა იყო შერწყმული თითოეული, კაცადკაცადი მოთამაშისა ნატიფ მიხრა-მოხრაში, რომ სუყოველნი აღფრთოვანებულნი და აღტაცებულნი დავრჩით, და არცათუ უსაფუძვლოდ გვეჩვენებოდა, თითქოსდა ოლიმპისა მეცხრე ცაზედ ვიყავით ასულნი, იქა ვნეტარებდით და ვტკბებოდით თავდავიწყებულნი.

პირველი ტურნირისა გასრულებისთანავე ორივე გუნდი პირვანდელ მდგომარეობასა დაუბრუნდა და, წელანდელი საგრობისდა კვალად, ისევ განახლდა ბრძოლა, ოღონდ მუსიკა ამჯერად ნახევარტაქტით უფრორე სწრაფად უკრავდა, და თვითონ ბრძოლაც ამჯერად სრულიად სხვა ხასიათისა იყო. მაგალითადრე, თავად მოვიხილე, ოქროქსოვილმოსილი დედოფალი, თავიანთი ლაშქრისა დამარცხებისა გამო ერთგვარად გულმოსული და მუსიკისა ხმათაგან გამხნევებული, მოისართან და რაინდთან ერთად ერთ-ერთი პირველი გაიჭრა ბრძოლისა ველზედ და, ცოტას განყდა, ხელთ არ ჩაიგდო ვერცხლქსოვილმოსილი მეფე, ჯერაც თავისი საფარ-



სადგომიდან ფეხუცვლელ-დაუძვრელი, და რომელსაცა მხედარნი იცავდნენ. აქაოდა ჩანაფიქრსა მიმიხვდნენო, იგი ჯიქურ შეიჭრა მტრისა ლაშქრისა განლაგებაში და იმოდენი ვერცხლქსოვილმოსილი ნიმიფა თუ მხედარი დახოცა, ნამდვილად გული მოგიკვდებოდა მხილველსა, კაცი იფიქრებდა, ახალმოვლენილი ამორძალი პენტესილეა თუ მძვინვარებს შერშენთა ბანაკშიო; დაღათუმცა, ხოცვა-ჟლეტა ესა ხანიერ არ გაგროძელქსოულა, რამეთუ ვერცხლქსოვილმოსილთ, დაღუპულ თავისიანთ ფარულად რომ დასტიროდნენ და მწუხარებასა არ იმჩნევდნენ, მახე დაურწყეს ოქროქსოვილმოსილ დედოფალსა: მოხეტიალე რაინდმა შორ კუთხეში მტრისა მეფასკენ თვალდამუქრებულად მდგარი მოისარი იხვაიშნა, წარტყვევნა თანამესარეცლე მეფისა იგი და ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ოპერაცია ციმციმ გასრულდა. საკვლაოდ ოქროქსოვილმოსილი დედოფალი უფროისად ფრთხილად მოიქცევა, თავის მეფესთან უფროისლა ახლორე იდგომება, აგრე შორეულად არღა გაუტევეს, ხოლო საჭირო თუკი გახდება, ლაშქრად მიმავალი შეუდარებლივ მეტად საიმედო ამაღა-მხლებელთ გაიყოლებს. გამარჯვება, ვითარცა წელან, ისევ ვერცხლქსოვილმოსილთ დარჩათ.

ორივ გუნდი კვალად წინანდლებრ დაენყო მესამე, და უკანასკნელი, ბალ-მეჯლისისთვის, ოლონდ მომეჩვენა, რომ სახე სუყველას გაცილებით მხიარული, გამოხედვა კი გადამეტებით გაბედული გახდომოდა. მუსიკა ამხელად ერთ კვინტზედ უფრორე მალიად უკრავდა რალაც მეომრულ კილოთ, ოდესღაც მარსიასგან გამოგონილ ფრიგიულ ყაიდაზედ. წამერთ სუყოველნი დატრიალდნენ, დაბზრიალდნენ და თვალისა სეირად საცქერელ ბრძოლაში ჩაებნენ, და ბრძოლა ესე იმოდენად ფიცხელი გამოდგა, მონაწილენი ერთი ტაქტისა ხანგრძლივობაში ოთხ-ოთხ სვლასა ასწრებდნენ, სვლისა დროს არცვის ავიწყდებოდა ზემორეალწერილი შემთხვევისა და შესაფერი წრისებრ შებრუნ-შემობრუნება და თავისა დაკვრა, სვლა კი ან ნახტომსა წარმოადგენდა, ან ბუქნასა, ხანაც, მავანი მონაწილისა შემყურე, ჰგონებდი, რალა ესა და რალა საბელზედ მოთამაშე მუშაითიო, იმდაგვარად ინარჩუნებდა წონასწორობასა, თანაც კიდევ ყოველი ეს ძვრა თუ შიმოქცევა წამისწამ მონაცვლეობდა, ერთი ცვლიდა მეორესა. მონაწილენი თავსა დაუკრავდნენ თუ არა ერთურთსა, აცალფეხებულნი იწყებდნენ ტრიალსა, და ჩვენდა უნებურად ჩიკორთ ვადრიდით, რომელ ჩიკორთაც ბალღნი შოლტ-მათრახთ აბზრიალებინებენ, და ისინიც ისე ციმციმ ბზრიალებენ, იტყვი, ერთ ადგილზედ გაქვავებულთ ჩასძინებიათო; მართლაც, უკეთუ ზედა რომელიმე ფერისა წერტილსა მიაჩერდები, წერტილად კი არა, უკვე უწყვეტელ ხაზად მოგეჩვენება, ვითარ სწორად შეამჩნია ნიკოლოზ კუზანელმა<sup>2</sup> სხვა დიდთა საკითხთა გამო მსჯელობისა დროსა.

ტაშისკვრა, ანუ ნებისა ნებზედ ცემისა ხმა, როგორაც ერთი, ისე მეორე მხრიდან, თნევა-მონონებისა შეძახილთ ერწყმოდა. ეჭვი სულაც არ მეპარება, რომ კუშტი კატონი, აგელასტი, ანუ გაუცინარი წინაპარი ჩვენი კრასი, კაცთმოძულე ტიმონ ათენელი და აგრეთვე პერაკლიტე, კაცური ბუნებისა განუყრელ თვისებად შერაცხილი სიცილისა მოძაგე-უგულეებლმყოფელი, მაშინვე მოეშვებოდნენ, მორჩებოდნენ პირქუშობასა, უკეთუ ყურთ შეატყობინებდნენ აქა აჟღერებული გულწამტანი მუსიკისა ტკბილად მოსასმენ ხმათ და მოიხილავდნენ ამა ყმაწვილთ, დედოფალთ და ნიმიფათ, აგრე ცქვიტად და ნაირგვარად რომ ტოკავდნენ, მიმოირხეოდ-



ნენ, ხტოდნენ, ხტუნავდნენ, ბუქნავდნენ, ზანუქაობდნენ, ქივქივებდნენ, უსულიანად მიმოიგრიხებოდნენ, ასკინკილაობდნენ, ტრიალებდნენ და ბზრიალებდნენ, თანაც კიდევ ფეხთ ისე ხერხიანად ხმარობდნენ, ისე მარჯვედ შლიდნენ, არცვინ არავის ხელსა არ უშლიდა. რაც რომ უფროის ცოტანი რჩებოდნენ მეომარნი ბრძოლისა ველზედ, მით შეუდარებელივ მეტად საგულისყურო ხდებოდა სუყოველი ეშმაკობა და სწრაფი ურემელთა წყალობითაც ისინი ერთმანეთსა ხელთ იგდებდნენ. მეტსაც, ანუ ზომაზედ ჭარბსაც გეტყვით: უკეთუ ზებუნებური სახილველი ესე სულსა და გონებასა გვიფორიაქებდა, მთელს ჩვენსა არსებასა თავზარსა სცემდა, მით უფროის გვალღვებდა და გულთ გვიძრწუნებდა მუსიკისა მრავალხმიანი ჟღერა, და ან უკვე არცალა დაუჯერებლად მეჩვენებოდა, ერთხელ ალექსანდრე დიდთან ერთად მშვიდობიანად პურისა მჭამელმა ისმენემ მსგავს მოდულაცუიას რომ წამოახტუნებინა სუფრიდან პურისმტე იგი და ესეგვარად შიშაღძრულ-დაფეთებულსა იარალი ააღებინა. მესამე ტურნირში ოქროქსოვილმოსილ მეფესა ხვდა ძლევა.

როკვა-შუშპრისა ჟამსა დედოფალი შეუმჩნევლად გაქრა, და მეტად თვალი არღა მოგვიკრავს. მსახურთ ჩქარა-ჩქარა გებერთან წაგვიყვანეს და დედოფლის ბრძანებისა აღსასრულელებლად სიათა შიგან აღგვნუსხეს. მას უკან, მეტეოტექნიას წავსაყუდეღსა მისულთ, რათა ზურგისა ქარი ხელიდან არ გაგვეშვა, ხომალდსა მივაშურეთ, სხვანაირად ამა წარმართებული, ანუ კაი ქარისთვის მთვარისა მესამე ფაზისის ბოლომდისინ უნდა გვეცადა.

## თ ა ვ ი XXVI

### ვითარ გადაგვიდით კუნძულ ჰოდოსზედ, სად გზანი ვლიან

ორი დღისა უკან თვალწინ გადაგვეშალა კუნძული ჰოდოსი, და მუნ ფრიად ღირსშესანიშნავი რამ მოვიხილეთ. უკეთუ სწორია არისტოტელეს აზრი, გასულიერებული არსებისა განმასხვავებელ თვისება-თავისებურებასა თავისით ძვრისა უნარი წარმოადგენსო, მაშინ გზანი ამა კუნძულზედ გასულიერებულნი არსებანი ყოფილან. გზანი იქა, მართლაც, ვლიან, ვითარცა ცოცხალნი, და ზოგნი ვარსკვლავთაებრ ცთომილნი არიან, ზოგნი გამავალნი, ზოგთაც გასაყართ თუ მებოძირთ ან ჯვარედინთ, ანდა გარდიგარდმო გარდაკვეთილთ შეხვდებით, ბევრიც მიკლაკნილ-მოკლაკნილია, მიხვეული და მოხვეული, ბევრიც მერდევანი, ანუ ოღროჩოღრო, არცა უშარაგზობაა, არცა უგზატკეცილობა და უგზოუკვლობა. შევამჩნიე, მოგზაურნი ხშირადრე ეკითხებიან ადგილობრივ მსახლობელთ:

„ეს გზა საით მიდისო? აგერ ისაო?“

და პასუხად ესმით:

„ამა და ამ სამწყსოსკენაო... ამა და ამ ქალაქისკენაო... ამა და ამ მდინარისკენაო“.

მოგზაურნიც ირჩევენ საჭირო გზა-სავალსა და სულ ადვილად აღწევენ თავიანთი დანიშნულებისა ადგილსა, როგორაც რომ წავსა მჯდომარე ლიონიდან რონას დაუყვე და ავინიონამდე ან არლიმდე მიხვიდე. გარნა ყველასთვის ცნობილია. რომ ქვეყნად არცა რამ არის სრულქმნილი და



არცა სადმე სრული ნეტარებაა, ამად, ვითარ შევიტყვეთ, აქაც არიან იმი-  
სთანა მოდგომისა კაცნი, რომელთაც, თვინიერ გზათა დადარაჯებისა თუ  
ქვაფენილთა ზერგნა-ტკეპნისა, სხვა არცრა ახსოვთ, და სანყალნი გზანიც  
ისე უფრთხიან და გაურბიან ყოველთა მოდარაჯე კაცთ, ვითარცა თულ-  
ყაჩად-ავაზაკთ. ეს თულნი მოდარილ-მოდარაჯე კაცნი კუჩქანქანდ-  
საგდებულში გააბამენ ხოლმე გამავალ გზათ, როგორადც მტრნი მტკეპლთ,  
ხანაც ფაცერკოდში იმწყვდევენ, როგორაც რომ ჩიბუხა ჩიტთ. ერთ-ერთი  
ესეგვარი მცოდველი კაცი მართლმსაჯულებამ ჩემ თვალნი შეიპყრო, რა-  
მეთუ მცდარად, კეთილგონიერებისა წინააღმდეგ, მონაფისა საგზაური,  
ანუ ყოვლისა უფროის გრძელი გზად სავალი აერჩია, მეორესა კი, საპი-  
რისპიროდ, აზმა-ქებასა ასხამდნენ, რაკი ყოვლისა უფროის მოკლე, ანუ  
ომისა გზასა დასდგომოდა და მიტომაც მიზანსა პირველი სწეოდა.

ამისა გამო კარპალიმმა მყის გადაუქარაგმა ეპისტემონსა, ერთხელ  
ხონჯარგადიანი დაგინახე, მესერთან მიმდგარიყავ, ხონჯარშეხსნილი  
ფსამდიო და ან არლა მიკვირს, ქველ პანტაგრუელსა დილ-დილ პირველი  
რომ მიუხვალ ხოლმე, რამეთუ მოკლეთი ვლიო.

კუნძულსა ამასა ზედა ბურჟისა დიდი შარაგზა შევიცანი, შევამჩნიე,  
კუსებრ დაჯანჯალებს,<sup>2</sup> და ისიც დაგინახე, რარიგ ააჩქარა ფეხი, ოდეს  
მეფორნეთ გადაეყარა: შიშნეულობდა, რომ ისინი ცხენტ გადააჯეგინებ-  
დნენ და ჯაგვა-ფორანთ გაატანინებდნენ, როგორაც ტულიამ გაატანინა  
ეტლსა მამა თვისი, სერვიუს ტულიუსი, რომისა მეექვსე მეფე.

ვიცანი აგრეთვე პერონადან სენ-კანტენში მიმავალი ძველი გზა, და  
არცათუ გაცუდებული მეჩვენა.

იქავ ფერატისა გზაც მეცნო, ძველთაძველი, კვლავცა უწყინარი,  
კლდე-კლდე დაკიდებული, ვითარცა წავარნა, ანუ კლდისა ბილიკი, და  
ხანაც მთასა ზედა ასასვლელად ბაბრ დათვსაებრ მბლუნავ-მიმბობლავი.  
შორიდან რომ შევხედე ამა გზასა, ჩემდა უნებურად გავიფიქრე, დასტურ  
ეგრე ხატავენ წმინდა იერონიმესა, ოლონდ უკეთუ ლომსა დათვითა შევ-  
ცვლით-მეთქი: გზა ესე ზუსტად ისევე დაპამპალეზულ-დაჩაჩანაკებულია  
და აქა-იქ გამორეული თითო-ოროლა მყინვარიც იმდაგვარად მოუჩანს,  
როგორაც გრძელი თეთრი გაბურძგნილი წვერი; ზედან ბლომად ფიჭვისა  
კრიალოსან-სავარდი ეკიდა, სულ მსხვილ-მსხვილი ერთიმეორეზედ უშნოდ  
გამოჩორკნილ-გამოკოპიტებული, და თითქოს კი არ იდგა ანდა კი არ იწ-  
ვა, არამედ დაჩოქილი მიხობავდა და გულში დიდ-დიდ წვეტიან ქვა-ლოდთ  
იცემდა. ვმზერდით და უკლებლივ ყველა ჩვენგანში შიშისა და სიბრაღუ-  
ლის ერთად შერეულ გრძნობასა აღძრავდა. ზედდატანებაზედ, სად იყო,  
სად არა, ერთმა ადგილობრივმა ბაკალავრმა გვერდზედ გაგვიხმო, გატ-  
კეცილი თეთრი, ადგილ-ადგილ ნამჯამოფენილი გზა გვიჩვენა<sup>3</sup> და გვი-  
თხრა:

— ან უკვე ვერლა უარყოფთ თალეს მილეტელელისა აზრსა, წყალი  
ყველაფრისა დასაბამიაო, და ვერცა კიდევ ჰომეროსისა ნასიბრძნსა, სა-  
თავე ყველაფერსა ოკეანეში უძევსო. გზა ეგე წყლიდან გამოსულია და  
წყალსავე დაუბრუნდება: ორიოდ თვისა წინათ აქა ნავსა მსხდარნი და-  
ცურავდნენ, ანკი ნაწყლევზედ ჯაგვა-ფორანთ დაატარებენ.

— მაგით ვერ გაგვაკვირვებ! — მიუთხრო პანტაგრუელმა. — ჩვენსა  
მხარეში ყოველწლივ ხუთასი მაგისტანა ცვალებისა მონშენი ვხდებით,  
ხანისად შეუდარებლივ მეტისაც.



მერმეთ მან კარგა ხანსა ჩხრიკა ამა მოარულ გზათა ასავალ-დასავალი და, ბოლოს, ვარაუდად, აზრიკვალად გვითხრა, ფილოლაესა და არისტარქეს თავიანთი ფილოსოფიურნი დანყობილობანი სადმე სხვაგან კი არა, სწორედ აქა აქვთ შექმნილიო, სელეგვეც სწორედ აქ არის მისული იმა დასკვნამდე, რომ თვისთა პოლუსთა გარეშემო დედამინა ბრუნუნ და არა ცაო,<sup>1</sup> როგორაც ჩვეულებრივ ქეშმარიტებასა წინაუკმრ ვგონებთო? დასტურ, თუ ლუარასა დაუყვებით, მოგვეჩვენება, რომ ნაპირზედ ხენი რბიანო, სინამდვილეში კი ისინი უძრავად დგანან, ჩვენ მიგვაქანებს ნავიო.

ხომალდთა ზედან ასასვლელად მიბრუნებულთ მოვიხილეთ, რომ ნაპირისა მახლობლად ურმისა თვალზედ უნდა დაეკრათ გზათა მოდარაჯე ვინმე სამი კაცი, რომელთაც თვითონვე შეეყოთ თავი თავიანთ მიერ დარწყმულ მახესა შიგან, და ნელ ცეცხლზედ ბრანავდნენ ერთ დიდ უნამუსობისა ავანჩავანსა, ვისაცა ტკეპნა-ზერგნისა ჟამსა ნეკნი ჩაემტვრია ქვაფენილი გზისთვის; ის ქვაფენილი გზაო, გვითხრეს, უბრალო ზოგად სავალი კი არა, ეგვიპტეში რომ დიდი მინადენი წყალია, ნილოსიო, იმის ოფოსაგუბართა და ონჯარ-კაშხალთა გზააო.

## თ ა ვ ი XXVII

მითარ გავიარეთ ჩიჩლათანთა, ანუ ხისა ქერქის ქალამანთა<sup>1</sup>  
კუნძული, და აგრეთვე ძმათა ავაჯათა ორდენისა შესახებ

მერმეთ ჩიჩლათანთა, ანუ ხისა ქერქის ქალამანთა კუნძულსა ზედა მივშრომდით, რომელ ქალამანთაც რიგიან ხამლ-ფეხსაცმელთან საერთო არცრა აქვთ რა; კუნძულისა მეფე კი, ბენია მესამე, მართლა რიგიანად შეგვხვდა, მოგვეფერა, წაგვაქეიფა და ახალი მონასტრისა მოსახილველად წაგვიყვანა. მონასტერი, ანუ სამზრუნველო იგი მრავლად გამრჯელ, მომწირნე მეფესა ძმათა ავაჯათათვის დაეარსებინა, დაუფუძნებინა და აეშენებინა. ძმანი ავაჯანი მან თვისთა ბერმონაზონთ უწოდა და იქავე გვითარგმანა, მატერიკზედ ბევრი ცხოვრობს სახიერი მადონას თვინიერი მსახური და თაყვანისმცემელიო,<sup>2</sup> item\* ბევრნი არიან ჩინებულნი და ღირსადპატივცემულნი ძმანი მინორიტნიო, პაპისა ბულათა მებემოლენიო, ძმანი მინიმალურნი, ანუ უმრწემესნიო,<sup>3</sup> შებოლილქაშაყელნიო, ძმანი მერვედელნიო, მაგრამ ბერმონაზვნისთვის ავაჯაზედ უფროისლა მოკლე სახელისა მოგონება შეუძლებელი რამ არისო.<sup>4</sup> თანახმად დადგენილებათა და გასაჯაროებული კვინტური სიგელ-გუჯრისა, რომელი სიგელ-გუჯარიცა ადგილობრივ მსახლობელ ხალხთან პარმონიულად შეხამებულია, ძმათა ავაჯათ ისერიგად ეცვათ და ემოსათ, ვითარცა მეერდობანე-მესახურავე ოსტატთ, ოლონდ ერთი განსხვავება ის იყო, მაგალითად თუ ვიტყვით, რომ ანჟუელ მეერდობანე-მესახურავე ოსტატთ მუხლნი აქვთ დალიანდაგებულნი, ესენი კი მუცელდატენილნი იყვნენ, — ბარემ იმასაც დავძენ, რომ მუცელთა დამტენელნი აქა დიდსა პატივში არიან. საბიძალთ ძმანი ავაჯანი ფეხსაცმლისნაირთ ატარებდნენ, თანაც თითო ორ-ორსა, ერთსა წინ, მეორესა უკან, და ამა ორსაბიძლიანობასა თითქოსდა რალაცა სახარბიელო და საზარელ საიდუმლოთა გამოხატვა ევალებოდა. ფეხთ

\* აგრეთვე (ლათ.).



სუყველას ნიჭარასაებრ მრგვალი ჩიჩლათანი ეცვა, რამეთუ ისინი ქვიშისა ზღვისა<sup>ა</sup> მსახლობელთ ბაძავდნენ; წვერსა არცვინ არ იჩერებდა, სულ გაპარსულნი ვლიდნენ, ფეხსაცმლისა ლანჩა-ძირნი მილურსმულნი ჰქონდათ, და ნიშნად იმისა, სულაც არ გვეფორტუნავებაო, იდგნენ და იპარსავდნენ ანდა პირდაპირ იგლეჯდნენ ღორისა ჯაჭრისა და ჰაჭვარ ბალანსა კეფაზედ, კინკრიხოდან მეჭებამდისინ, წინ კი, საფეხქვეშისა მტკატთაგან მოკიდებული, გაბანჯგვლულიყვნენ. თავიანთ ჭკუაში ესეგვარად აბუჩალაკებდნენ ფორტუნასა და თავი ისე ეჭირათ, ვითომ ამბქვეყნიური კეთილდღეობა-სვიანობა ფეხებზედაც არა გვეკიდიაო. რის ფორტუნა, რა ფორტუნაო, იძახდნენ, წავიდეს, სადაც უნდა იქ იფორტუნაოს გამოფორტუნებულშაო, დაუძინებელ მტრად სახავდნენ და იმის ჯიბრზედ მიწყვი თან დაჰქონდათ, ოღონდ იმასავით ხელთ კი არ ეპყრათ, ქამარსა ზედა ეკიდათ, კრიალოსნისა დარად, ბასრი საყვინელ-სამართებელი, რომელსაცა დღეში ორჯერ და ღამეში სამჯერ ლესავდნენ, პირსა უნამწამებდნენ.

თითოეულსა ფეხთ მრგვალი რამ ბირთვი მიემაგრებინა, რამეთუ, მოგეხსენებათ, ესევეთარი ბირთვი აქვს ფეხთა ქვეშე ფორტუნასა. კაპიუშონი წინ ეკერათ და არა უკან, რისა გამოც სახენი არ უჩანდათ, და ამად, ვისაც კი თვალსა დაადგამდნენ, სუყველას დასცინოდნენ, გინდ თვითონ ფორტუნასა და გინდ ვისაც ეფორტუნავებოდა; რაღა თავი შეგაბეზროთ, სწორედ რომ ისე იქცეოდნენ, ვითარცა ჩვენთა ზეპურ ცირაქალთ, ანუ სეფექალთ სჩვევიათ, ოდეს ესრეთ წოდებული „ცხვირ-პირი დამალე“ აქვთ აფარებული, თქვენებურად ნახევარნილაბი თუ პირბადე, რომელსაცა ხალხი „სიყვარულად“ მოიხსენიებდა, იმიტომ რომ სიყვარული ბევრ შენაცოდვარსა მალავს და ჩქმალავს. რაიცა შეეხება ბერმონაზონთა კეფასა, მიწყვი დაუბურველი ჰქონდათ, ვითა ჩვენ სახე, და ამიტომ რარიგადაც მოეპრიანებოდათ, იმრიგად ვლიდნენ: თუ უნდოდათ, წინ მუცელთ წამოაგდებდნენ, თუ უნდოდათ, გავა-კურტუმთ წამოაგდებდნენ წინა. უკეთუ გავა-კურტუმწინწამოგდებულთ მოატანდით თვალსა, ბუნებრივ სიარულად ჩაუთვლიდით, რამეთუ მრგვალნი ფეხსამოსნი ეცვათ, საბიძალიც სათანადო ადგილას შვენოდათ, სახისებრ სუფთად გაპარსულ კეფაზედ კი, როგორაც რომ ქოქოსისა კაკალსა მიხატული, ორი თვალი და პირი უჩანდათ. როს მუცელწინწამოგდებულნი ვლიდნენ, სუყველა იმას ჰგონებდა, დიალაც კუკუმალულობანას თამაშობენო. მოკლედ, უნდა დამდგარიყავით და გექცირნათ!

ცხოვრებისა წესსა ესეგვარსა მისდევდნენ: დედამინასა კაშკაშა მთიები, ანუ ცისკრისა ვარსკვლავი დახედავდა თუ არა, ერთიმეორესა მზრუნველად, როგორაც ძმა ძმასა, დეზებიან ჩექმა-მოგვთ აცმევდნენ, მერმეთ დაწვებოდნენ და ეგრევე დეზებგანყობილ ჩექმებიანთ ეძინათ, თუ არადა, მაინც ხვრინავდნენ ცხვირთან ზედან სათვალენამოსკუპებულნი.

ამა წეს-ჩვეულებამ ძალზედ გაგვაკვირვა, მაგრამ აგვიხსნეს და გულსავსედა გვეყვეს: ვინაიდან და რადგანაც განკითხვისა ჟამი კაცთ მძინარეთ მოგვისწრებსო, იმის საჩვენებლად, რომ ფორტუნისა ნებიერნი, ანუ გაფორტუნებულნი არა ვართ და არცა კიდევც თავად განკითხვას ვეშიშვითო, აგრე დეზებგანყობილ ჩექმებიანთ გვძინავს და სალპინგისა თუ ბუკსაყვირისა პირველივე ხმისა გაგონებაზედ კეს-წამსა არ დავაყოვნებთ, წამოვცვივით და წინ-წინ შეკაზმულ ცხენთ მოვახტებითო.

ოდეს შუადღისა, ანუ დღისა განზოგების ზარი ჩამოჰკრავდა (უნდა



უნყოდეთ, რომ სუყოველი ზარი იქა, საჟამო-საათისა, ეკლესიისა თუ სა-  
ტრაპეზოსი, პონტანოს ანდერძისდა კვალად იყო გამართული; სულ საუ-  
კეთესო გერმა-თხისურ-თივთიკი ჰქონდათ გამოკრული, ჩამოსაქვრელ ენა-  
თა მაგივრად კი მელიათა კუდნი ეკიდათ), უკვე მოშუადღევებულზედ-მე-  
თქი, ისინი უკლებლივ იღვიძებდნენ და ფეხთ იხდიდნენ, ცისაჲ-ფფსმოდა,  
ფსამდა, ვისაც ესკალატ-ესკორებოდა, სკორავდა, ვისაც ცნებნისა გაბო-  
ტოტიანებოდა, იდგა და იხოცავდა. მკაცრი და უშელავათო წესდებისა  
აღსასრულებლად ყველანი იძულებულ-ვალდებულნი იყვნენ, რომ რაც  
შეიძლება ბევრი და ხანგრძლივ ემთქნარებინათ, რამეთუ საუზმედ მთქნა-  
რებასა მიირთმევდნენ. სახილველი ესე ფრიად თვალსასეიროდ მეჩვენა.  
მერმეთ დეზებიან ჩექმა-მოგვთ საჯინიბოში დაჰყრიდნენ და მონასტრისა  
ტალანსა მიაშურებდნენ, საგულდაგულოდ იბანდნენ ხელთ და ირეცხავ-  
დნენ პირთ, მას უკან კი გრძელ მერხზედ ჩამოსხდებოდნენ და კბილთ მა-  
ნამ იწმენდნენ თუ იხეხავდნენ, სანამ წინამძღვარი მუჭაში არ ჩაისტვენ-  
და და არ ანიშნებდა, გეყოფათო, მაშინ ისინი პირთ დაალებდნენ, უფრო  
სწორად, განახვნიდეს, ანუ დააფჩენდნენ, და დაიწყებდნენ მთქნარებასა,  
ხან ნახევარ საათსა ამთქნარებდნენ, ხან მეტსა, ხანაც ნაკლებსა, გააჩნია,  
რარიგ გაახანგრძლივებდა წინამძღვარი საუზმესა ამა თუ იმ ბედნიერი  
დღისა შესაბამად, საუზმისა შემდეგ კი გასამჩვენებლად, ანუ საზეიმოდ  
ვიდოდნენ წინ ორბავრაცწამძღვარებულნი, რომელთაგან ერთზედ სათ-  
ნოება იყო სახიერად გამოსახული, ხოლო მეორეზედ ფორტუნა. სულ თა-  
ვში მიმავალ ავაჯასა ფორტუნიანი ბავრაცი ეჭირა; იმას ვინცა მისდევდა,  
სათნოებიანი ბავრაცი და უსუპი, იგივ სასხურებელი, ეპყრა, მერკურისა  
წყალში<sup>6</sup> ამოვლებული, რომელი წყლისა აღწერასაც ოვიდიუსის ფასტუ-  
ბსა (წგნ. V.) შინა ვნახულობთ, ამა თავისი უსუპითა ავაჯა იგი თითქოს  
უცაცხანებდა, ფეხსა აჩქარებინებდა წინმავალ ფორტუნიან ავაჯასა.

— ესე ვითარი წესი და რიგი ციცერონისა და აკადემიკოსთა სჯასა  
უპირისპირდება, — წართქვა პანურგმა. — ვითარ ისინი ამტკიცებენ, წინ  
სათნოება უნდა ვლიდეს, უკან კი ფორტუნა.

დაღათუმცა, აგვიხსნეს, ავაჯათა მიზანი დიახაც ფორტუნას წინ წა-  
გდება და შეფუცხუნებააო, მაშასადამე, სწორად იქცევიანო.

გასამჩვენებლად, ანუ საზეიმოდ მავალნი ნახევარხმაზედ და დია ხმა-  
შენყობილად რომელიღაც ანტიფონთ იმღერდნენ, რაიცა პატლენურსა  
მივამგვანე და არ მეჩემა, მაგრამ კარგა ხანსა რომ ვუსმინე და დავაყუ-  
რადლებე, თვალთ არ დავუჯერე: ის ჩემი ყველაყისანი ოდენ ყურთ ამღე-  
რებდნენ. მერე ახლა, რარიგ აკაკანებდნენ, რა ტკბილად ერწყმოდა მომ-  
ღერალთა ხმა ზართა რეკვისა ხმასა! რის დისჰარმონია, რა დისჰარმონია.  
ამა ამბისა შემყურე პანტაგრუელმა ძალზედ კვიმატად, მოსწრებულად  
შენიშნა ერთი რამ.

— შეამჩნიეთ, ჩახვდით ავაჯთა ეშმაკობასა? — გვკითხა მან თანამ-  
ყოლთ. — თავდაპირველად ეგენი ეკლესიის ერთი კარიდან გამოვიდნენ,  
მერმე კი მეორეში შევიდნენ. თავი აარიდეს იქ შესვლასა, საიდანაც გამო-  
ვიდნენ. პატიოსნებისა მადლმან, ეშმაკნი ჩანან, თანაც კიდევ უბრალო  
ეშმაკნი კი არა, ვირეშმაკანი, ეშმაკისა ერთნი, ეშმაკისა მუშანი, ეშმაკი-  
სა ფეხნი, მაგათი ხელდამრეველი და მჯობნელი, ალბათ ჯერეთ არ დაბა-  
დებულა.



— ეგ კვიმატობა თუ ეშმაკობა დასესხებულია ოკულტური ფილოსოფიისგან, რისაცა არცრა გამეგება რა, — ჩაურთო ძმა ჟანმა.

— დიალაც საშიში მაგითია, რომ ფრიად გაუგებარა რამ არის, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — გინდ გასაგები, გინდ განჭვრეტილი, გინდ გამოცნობილი ეშმაკობა თუ კვიმატობა ყოველგვარ აზრსა და უკვე ეშმაკობა არღა ეთქმის, სისულელე ჰქვია. პატრიარქისა მშემან, ეგენი, ეშმაკად დაბადებულნი, სხვა ათასგვარი ეშმაკობისა ცხრა თოკშიც არიან გამოვლილნი.

გასამჩვენებელ-საზეიმო სვლასა რომ მორჩნენ, როგორაც გასეირნებისა და სასარგებლო რამ გავარჯიშებისა შემდგომ, ავაჯათ სატრაპეზოსა მიაშურეს, ტაბლათა ქვეშე ჩაჩოქილნი შეძვრნენ და ფარანთა, ანუ ლიფლიფათა ზედან გულდაღმა დაწვნენ. ამ დროს, სად იყო, სად არა, ერთი ჩაგოდრებულ-ჩასორსლებული ჩიჩლათანიანი კაცი ვინმე მოვიდა და არცათუ დიდად მანერი საუბრე მოუღო: ჯერეთ ყველსა მოუღბინეს, ბოლოს მდოგვი და ღორისა ქადა, ანუ ველისა ყრდელი დააყოლეს. მარციალისს თუ დავუჯერებთ, ესეგვარი წეს-ჩვეულება მოსდგამდა ძველ ხალხსა. მერმეთ სუყველას თითო ლამბაქი მდოგვი ჩამოურიგეს, რაიცა უკვე ნასადილევსა უნდა მიერთვათ.

ტაბლა ამდაგვარ-ესევითარი იცოდნენ: შვიდეულის პირველ დღესა, ანუ კვირასა, ძეხვეულსა მიაძლებოდნენ, სისხლიანსა, გულღვიძლისასა თუ ჯიგრისასა, სოსის-კუპატსა, ქონჩატენილ ხბოს ხორცსა, ღორისა ღვიძლსა და მწყერთ (თავისთავად იგულისხმება ყველი მადისა აღსაძვრელად და მდოგვი ბოლოს დასაყოლებლად). შვიდეულის მეორე დღესა, ორშაბათსა, ქონიან ბარდასა მიირთმევდნენ, ვრცელკომენტარდართულსა, რა არი ჩმუჩნა-ჩმუჩნაში და ყბორვა-ყბორვაში სტრიქონსა და სტრიქონს შუა ეკითხათ. შვიდეულის მესამე დღესა, სამშაბათსა, ბლომად სეფისკვერსა, ანუ დიდებულთა კვერსა, შაფართხელასა, იგივე ნაცარში მცხვარსა ხმიადსა, ხაჭომცხვარ-ღვეზელსა, ქადასა, ნაზუქსა შეექცეოდნენ, შვიდეულის მეოთხე დღესა, ოთხშაბათს, სოფლურ საჭმელთ ეტანებოდნენ, სახელდობრ: ცხვრისა თავსა, ხბოს თავსა და მაჩვისა, ანუ თოფიხალთის თავსა, რომელი თოფიხალთაცა აქა ბევრი იცის. შვიდეულის მეხუთე დღესა, ხუთშაბათსა, შვიდნაირი შეჭამანდისა ჭამა უყვარდათ, შიგადაშიგ კი უცვლელ-უცვალებელ მდოგვსა აშუშხინებდნენ პირთ. შვიდეულის მეექვსე დღესა, პარასკევსა, არცრასა ეკარებოდნენ, თვინიერ ცირცელისა, ისიც, ფერზედვე ეტყობოდა, ძალიან მწიფე არ უნდა ყოფილიყო. შვიდეულის, ანუ კვირიაკეს მეშვიდე დღესა, შაბათსა, იდგნენ და ძვალთ ღრღნიდნენ, რისა გამოც არცა გუნება-განწყობილება უფუჭდებოდათ და არცა კიდევ ჯანისა სიმრთელესა უჩიოდნენ, რამეთუ კუჭ-ნაწლავი შაბათობითაც ჩინებულად უთხრინინებდათ და უმხიარულებდათ. ღვინოსა ანტიფორტუნულსა იხმევდნენ, აგრე უმხობდნენ ისინი ერთგვარ ადგილობრივ სასმელსა. როს სმასა ან ჭამასა ეპირებოდნენ, კაპიუშონთ გულზედ ჩამოიწვედნენ და გაიხელსახოცებდნენ.

ნასადილევსა გულმოდგინედ ულოცვიდნენ ღმერთსა და უცილობლად ავაჯიან ხმაზედ, მომალლოდ, გრძლად. დღის დანარჩენ დროსა განკითხვისა მოლოდინში კეთილ საქმეთათვის იყენებდნენ: კვირაობით სულ მუშტსა სცემდნენ ერთმანეთსა; ორშაბათობით ერთიმეორესა ცხვირზედ წკიპურტსა ჰკრავდნენ; სამშაბათობით კანრავდნენ და ხამსავდნენ, პორტყნიდნენ



ერთურთსა; ოთხშაბათობით ერთმანეთისა გაბრიყვებაში იყვნენ; ხუთ-შაბათობით ცხვირში თითსა უყოფდნენ ერთიმეორესა; პარასკეობით ერთურთსა უღიჭინებდნენ და უხიციანებდნენ; შაბათობით იდგნენ და შოლტავდნენ ერთმანეთსა.

აგრე ათენ-ალამებდნენ ისინი მონასტერსა შინა. ხოლო მონასტერისა განკარგულებისდა კვალად მცირე ხანსა თუ სადმე წავიდნენ-წამოვიდნენ, საშინელი რამ სასჯელისა მუქარაადევნებულთ სასტიკად ეკრძალებოდათ ზღვაზედ ან მდინარეზედ ყოფნისას თევზისა არა მარტო ჭამა, გემოთი გასინჯვაც კი, ხოლო ხმელეთზედ ყოფნისას — ხორცისა გაკარება, რა არი ყველანი თვალსაჩინად დარწმუნებულიყვნენ, რომ არცა ნაყროვანებასა მონებდნენ, არცა ავხორცობასა და ისეგვარადვე შეურყეველნი იყვნენ, ვითარცა მარპესისა კლდე.<sup>7</sup> ისინი სოფელ-ქვეყანაში გასულნიც შესატყვის და შესაფერის ანტიფონთ აყოლებდნენ სუყოველ თავიანთ მოქმედებასა და, ვითარ უკვე გაუწყეთ, მიწყვი ყურთ ამღერებდნენ. ოდეს მზე მეოთხე ციდან, ანუ კოჭიმელიდან ოკეანისკენ ჩასასვლელად იზამდა პირსა, ჩვეულებრ, როგორაც მონასტერსა შინა, ერთმანეთსა დეზებიან ჩექმამოგვთ აცმევდნენ, სათვალეთ წამოისკუპებდნენ და დასაძილქუშებლად წვებოდნენ. შუალამისას, იგივე ლამისა განზოგებისას, ჩიჩლათანინი ვინმე დაადგებოდათ თავზედ, ისინიც უმაღ წამოიშლებოდნენ და ყაიშზედ, ანუ პირისა ასანყობ ტყავზედ საყვინელ-სამართებელთ დაუნყებდნენ პირვა-ლესვასა, ხოლო გასამჩნევებელ-საზეიმო სვლასა ვითარ მორჩებოდნენ, ტაბლათა ქვეშე შეძვრებოდნენ და ზემორეალწერილ წესისამებრ იღმურძლებოდნენ.

უცქირა ძმა ჟანმა ბღღვირისმდენელმა ამა მაკვარანცხ და შემაქცევარ ავაჯა ძმათ, კარგა ხანსა უცქირა, წესდებისა არსიც მიუჩხრიკ-მოუჩხრიკა და ერთობ გულმოსულმა იხმამალლა:

— აი, თქვე გაპარსულნო ვირთხანო, თქვე მართლა ვირნო და თხანო! არა მინდა რა, პრიაპე გააჩინა ერთი ღმერთმა აქა,<sup>8</sup> როგორაც კანიდიას ღამეული კუდიანობის ჟამსა ტაბაკელაზედ აჩენს ხოლმე, მაგ გადგმულ გავა-კურტუმთ, იცოცხლეთ, კარგ დღეში ჩაგიყრიდათ, ავაჯიან სიმღერა-გალობაში გახურებულთ სულ დაგაგრილებდათ და კვინტილასაც უშურველად ამოგცხებდათ, ცხრა მთასა გადაგარბენინებდათ. თქმა არ უნდა, ანტიქტონთა და ანტიპოდთა მიწა-წყალზედა ვართ. გერმანიაში მონასტერთ აქცევენ და ბერმონაზონთ კრეჭენ, ახახილებენ, აქ კი მონასტერთ აგებენ, რამეთუ აქა ყველაყა თავდაყირაა.

თ ა ვ ი XXVIII

ვითარ ჰკითხავდა პანურგი ერთ-ერთ ძმა ავაჯასა,  
და რარიბ მოკლე-მოკლედ უპასუხებდა იგი

რაც რამ ხანი ჩიჩლათანთა კუნძულზედ დავყავით, პანურგი საგულდაგულოდ აკვირდებოდა ამა სწორუპოვარ ავაჯათა ფიზიონომიასა, ანუ გამომეტყველებასა; ბოლოს, ერთ-ერთსა, შებოლილ ეშმაკსაებრ გამხმარსა, სახელოზედ წაეტანა და ჰკითხა:



Fraier\* ავაჯაო, ავაჯაო, ავაჯუნაო, სადა გყავს ნანდაური, გული-  
სა მურაზი, სწორფერი?

რაზედაც ავაჯამ პასუხად მიუგო:

— დაბლა.

პანურბი — ბევრი გყავთ ისინი?

პვაჰა — ცოტანი.

პანურბი — მაინც რამდენი?

პვაჰა — ოცნი.

პანურბი — თქვენ რამდენისა ყოლა გინდოდათ?

პვაჰა — ასისა.

პანურბი — სადა მალავთ იმა კაი დედმამიშვილთ?

პვაჰა — იქა.

პანურბი — არა მგონია, სუყველანი ერთი კბილისანი იყვნენ. რა ტა-  
ნისანი არიან?

პვაჰა — წერწეტნი.

პანურბი — სახენი რა ფერისა აქვთ?

პვაჰა — ქათქათა-ფიფქინა.

პანურბი — თმა?

პვაჰა — ქერა.

პანურბი — თვალნი?

პვაჰა — შავნი.

პანურბი — გულ-მკერდი რარიგი აქვთ?

პვაჰა — ათქვირებული.

პანურბი — პირისახე?

პვაჰა — თვალწარმტაცი.

პანურბი — წარბნი?

პვაჰა — ხშირნი.

პანურბი — სიტურფე?

პვაჰა — დიდმშვენიერი.

პანურბი — გამოსხედვა?

პვაჰა — ალალი.

პანურბი — ქლიკ-ფეხნი?

პვაჰა — ჩამოთლილნი.

პანურბი — ქუსლნი?

პვაჰა — მოკლენი.

პანურბი — ქვედატანი?

პვაჰა — ჩინებული.

პანურბი — ხელნი?

პვაჰა — გრძელნი.

პანურბი — ხელთ რასა აფარვინებენ?

პვაჰა — თათმანთ.

პანურბი — ბეჭედნი რაგვარნი უკეთიათ?

პვაჰა — ოქროსი.

პანურბი — უმეტესად რასა აცმევთ?

პვაჰა — სკლატ-მაუდსა.



\* ძმა (ლათ.).





- პანსურბი — რაგვარსა?  
 ავაჟა — ახალსა.  
 პანსურბი — რა ფერისასა?  
 ავაჟა — ღია მწვანესა.  
 პანსურბი — სამზეურ ქუდთ რა ფერსა იხურავენ?  
 ავაჟა — ცისა ფერსა.  
 პანსურბი — ხამლ-ფეხსაცმელსა?  
 ავაჟა — ყავისა ფერსა.  
 პანსურბი — სკლატ-მაუდსა კი აცმევთ, მაგრამ რაგვარსა?  
 ავაჟა — ხარისხეულსა.  
 პანსურბი — ხამლ-ფეხსაცმელი რისა აცვიათ?  
 ავაჟა — ტყავისა.  
 პანსურბი — რანაირისა?  
 ავაჟა — უვარგისისა.  
 პანსურბი — სიარული რაგვარი აქვთ?  
 ავაჟა — ჩქარი.  
 პანსურბი — ან სამზარეულოზედ გადავიდეთ, თქვენთა ნანდაურ-სწო-  
 რფერთა სამზარეულოსა ვგულისხმობ. ნუ ვიჩქარებთ, ყველაყა წვლილად  
 განვიხრიკოთ. სამზარეულოში რა აქვთ?  
 ავაჟა — ცეცხლი.  
 პანსურბი — რას უკეთებენ?  
 ავაჟა — შეშასა.  
 პანსურბი — როგორსა?  
 ავაჟა — ხმელსა.  
 პანსურბი — სანვაე ხედ რომელსა ამჯობინებთ?  
 ავაჟა — ურთხელსა.  
 პანსურბი — ფიჩხსა და ჩინჩხვარსა?  
 ავაჟა — მურყნისასა.  
 პანსურბი — სადგომისა გასათბობად რასლა იყენებთ?  
 ავაჟა — ფიჭვსა.  
 პანსურბი — კიდევ რასა?  
 ავაჟა — ცაცხვსა.  
 პანსურბი — ზოგი რამ შესახებ თქვენთა ქალბატონთა უკვე ვიცო. კვე-  
 ბაზედ რასლა იტყვით, ვითარ კვებავთ და ასაზრდოებთ?  
 ავაჟა — კარგად.  
 პანსურბი — რასა მიირთმევენ?  
 ავაჟა — პურსა.  
 პანსურბი — როგორსა?  
 ავაჟა — შავსა.  
 პანსურბი — კიდევ რასა?  
 ავაჟა — ხორცსა.  
 პანსურბი — სახელდობრ როგორსა?  
 ავაჟა — შემწვარსა.  
 პანსურბი — შეჭამანდსა არ ეტანებიან?  
 ავაჟა — არა.  
 პანსურბი — ღვეზელსა?  
 ავაჟა — ძალიან.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

- პანურბი — მეც მიყვარს. თევზსა თუ მიირთმევენ?  
 ავაჟა — დიას.  
 პანურბი — რომელსა? კიდევ რასა?  
 ავაჟა — კვერცხსა.  
 პანურბი — კვერცხნი როგორი უყვართ?  
 ავაჟა — მოხარშული.  
 პანურბი — რარიგად მოხარშული?  
 ავაჟა — მაგრად.  
 პანურბი — სულ ეს არი იმათი საჭმელი?  
 ავაჟა — არა.  
 პანურბი — მაშ, კიდევ რასა აჭმევთ?  
 ავაჟა — ძროხისა ხორცსა.  
 პანურბი — კიდევ რასა?  
 ავაჟა — ღორისა ხორცსა.  
 პანურბი — კიდევ რასა?  
 ავაჟა — დედალ ბატთ.  
 პანურბი — მაგისა გარდა?  
 ავაჟა — მამალ ბატთ.  
 პანურბი — Item?\*
- ავაჟა — მამლაყინნათ.  
 პანურბი — სანებლად რასა ახმარებინებთ?  
 ავაჟა — მარილსა.  
 პანურბი — ტკბილსა რასა აყოლებინებთ?  
 ავაჟა — ამბოხსა, დაუმყავებელ მაჭარსა.  
 პანურბი — სადილისა ბოლოსა?  
 ავაჟა — ბრინჯსა.  
 პანურბი — კიდევ რასა?  
 ავაჟა — რძესა.  
 პანურბი — კიდევ რასა?  
 ავაჟა — ბარდასა.  
 პანურბი — სახელდობრ რაგვარ ბარდასა?  
 ავაჟა — მწვანესა.  
 პანურბი — ბარდასა რასა ატანენ?  
 ავაჟა — ქონსა.  
 პანურბი — ხილსა რომელსა ახილებინებთ?  
 ავაჟა — გემოიანსა.  
 პანურბი — ესე იგი?  
 ავაჟა — უმსა.  
 პანურბი — კიდევ?  
 ავაჟა — თხილსა.  
 პანურბი — სმა ვითარ იციან?  
 ავაჟა — დაცლამდე.  
 პანურბი — რასა იხმევენ?  
 ავაჟა — ღვინოსა.  
 პანურბი — რომელსა?

\* კიდევ (ლათ.).





პაპა — თეთრსა.

პანსური — ზამთარში?

პაპა — შემრგოსა, ახტაშირასა.

პანსური — გაზაფხულზედ?

პაპა — ძელგსა.

პანსური — ზაფხულში?

პაპა — ცივ-ცივსა.

პანსური — შემოდგომაზედ, რთვლობაში?

პაპა — ახალ ღვინოსა, პირისა მაჭიდარსა.

— ჩემი ანაფორისა მზემან, — შეჰყვირა ძმა ჟანმა, — მაგ თქვენთა მოავაჯე კახპათ მაგდენი ჭამისა თავი თუ აქვთ, გავა-კურტუმთ ალბათ ძლივს დაათრევენ.

— ბოდში მითქვამს, დამამთავრებინე, — მიუთხრო პანურგმა.

პანსური — როდის და რომელ საათზედ წვებიან დასაძინებლად?

პაპა — ღამე.

პანსური — როდისლა დგებიან?

პაპა — დღე.

— ამისთანა საყვარელ ავაჯასა წლეულსა არცვის შევეყრივარ, — წართქვა პანურგმა, — ღმერთსა ვთხოვ, აგრეთვე წმინდა ნეტარ ავაჯასა და წმინდა სანატრელ ქალწულ ავაჯანასა, ვითარმედ პარიზისა სასამართლო პალატისა თავმჯდომარედ მაჩვენონ ამისი თავი. ღმერთმანი, ტყუილია, ხალხო, ამასა კაცი ვერ აჯობებდა ვერცა საქმისა გახიხებაში, ვერცა გარჩევისა დაჩქარებაში, ვერცა დავიდარაბისა შეწყვეტაში, ვერცა საქალაქდეთა გადანყოფა-გადმონყოფაში, ვერცა დავთართა ფურცვლაში, ვერცა კიდევ მოსმენილისა ჩანერაში! ანლა სხვა საარსებო-საჭირბოროტო საკითხთა ზედა მოვიდეთ და მშვიდად გამოვწვლილოთ სათქმელი, ვახსენოთ, ვინცავინ თქვენი მოწყალებისა დაიაა.

პანსური — ვითარი მისადგომი აქვთ?

პაპა — განიერი.

პანსური — წინკარი?

პაპა — გრილი.

პანსური — იქით და იქით?

პაპა — ხალვათია.

პანსური — არა, ტაროსი ვითარი დგას-მეთქი?

პაპა — თბილი.

პანსური — თავსაბურველი რარიგი აქვთ?

პაპა — მატყლისა.

პანსური — რა ფერისა?

პაპა — წითური.

პანსური — ბერდიაცთ?

პაპა — ჭალარა.

პანსური — ამოკვრა-ამორტყმასა თუ ახერხებენ?

პაპა — ადვილად.

პანსური — ფეხთ თუ პლაკვავენ?

პაპა — ხშირადრე.

პანსური — ცელქნი არიან?

პაპა — ნამეტნავად.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

- პანურბი — საჭურველნი რამხელანი გაქვთ.  
 ავაჟა — დიდროვანი.  
 პანურბი — თავი რარიგი აქვთ?  
 ავაჟა — მრგვალი.  
 პანურბი — წვერი რა ჩინისა უჩანთ?  
 ავაჟა — მუქნითელი.  
 პანურბი — ოდეს საქნარსა იზამენ, მერმე რა მოსდით?  
 ავაჟა — იჩლუტებიან.  
 პანურბი — სანულო კვერცხნი რარიგნი გაქვთ?  
 ავაჟა — წონამძიმენი.  
 პანურბი — სად აბინავებთ?  
 ავაჟა — ახლოისრე.  
 პანურბი — საქმისა მერმე რა მოსდით?  
 ავაჟა — კნინდებიან.  
 პანურბი — თქვენივე აღთქმისა პატივსაცემად მიპასუხე: როს ცი-  
 რათა თანა ყინტრაობისა ნდომა მოგივლით ხოლმე, სარწყავად რასა იყე-  
 ნებთ?  
 ავაჟა — წუასა რასმე.  
 პანურბი — რას გეუბნებიან, უკეთუ ზურგშექცეულნი წვანან?  
 ავაჟა — სიტყვასა.  
 პანურბი — თქვენ კი სიამოვნებთ ზედ მიმდგარნი, მაგრამ ისინი მიდ-  
 გომილებასა არ უფროთხიან?  
 ავაჟა — უეჭველად.  
 პანურბი — ბაღლთ თუ გიჩენენ?  
 ავაჟა — არცროდის.  
 პანურბი — ერთად ვითარ გძინავთ?  
 ავაჟა — ტიტველთ.  
 პანურბი — იმავე აღთქმისა გულისთვის მიპასუხე: სულ ცოტა, დღე-  
 ში ჩვეულებრივ რამდენჯერ ახერხებ?  
 ავაჟა — ექვსჯერ.  
 პანურბი — ლამეში?  
 ავაჟა — ათჯერ.  
 — ჯანდაბას ამისი თავი და ტანი, — ჩაურთო ძმა ჟანმა, — თექვსმე-  
 ტისა წაჭარბება უჭირს, მორცხვი აშიკ-მაშიკია.  
 პანურბი — შენ რა, ვითომ ამდენისა თავი გაქვს, ძმაო ჟან? არა,  
 ნამგალავ, ამასა ვერ აჯობებ. სხვანიც მაგდენჯერვე ახერხებენ?  
 ავაჟა — ყველანი.  
 პანურბი — ყოვლის უფროისად მოყინტრავე ვინა გყავთ?  
 ავაჟა — მე.  
 პანურბი — შენმა სასროლმა რა, მტყუნება არ იცის?  
 ავაჟა — არცროდის.  
 პანურბი — ვერა გამიგია რა. უკეთუ ნაყოფისა მშობელსა თესლსა  
 წინადღეს სულ დახარჯავთ და გამოიღვეთ, ხვალისა დღისთვის რაღა დაგ-  
 რჩებათ?  
 ავაჟა — კიდევ უფროისად მეტი.  
 პანურბი — ან მე გავგიჟდი, ან ესენი ინდურ ბალახსა იყენებენ, თე-  
 ოფრასტესგან ესდენ შექებულსა. უკეთუ ბუნებრივად, რა ვიცი, კაცნი



ვართ, ანდა სხვა რამ მიზეზისა გამო ცელქობა-ცელქობაში ეგ საოხრო ადრეკილა-მორი დაგეჩლუტათ და დაგივარდათ, მაშინ რასლა შერებით?

პაპა — ვმჭმუნვარებთ.

პანურბი — თქვენთა ნანდაურთ რალა მოსდით?

პაპა — გვიჯანყდებიან.

პანურბი — უკეთე სრულად მთელი დღე ვერცრასა ხდებით?

პაპა — უარდაუარ იქცევიან.

პანურბი — სამაგიეროსა რასა სძლვნით?

პაპა — ყბედობასა.

პანურბი — ისინი რასლა მოგაგებენ?

პაპა — კრულვა-ქოქოლასა.

პანურბი — ეგ რაო? რა ხმა მომწვდა?

პაპა — გამეკუა.

პანურბი — ვითარ?

პაპა — ბოხად.

პანურბი — ოდეს სჯით, სასჯელად რა იცით?

პაპა — ზიზლი.

პანურბი — მერე მანდედან რა გამოდის?

პაპა — სისხლი.

პანურბი — საბოლოოდ მაინც რა გინდათ?

პაპა — სიხარული.

პანურბი — ყოვლის უფროისლა რა გალალებთ?

პაპა — სიყვარული.

პანურბი — იმავე აღთქმისა გულისთვის მიპასუხე: როდის გაქვთ უმეტესი მჩუმარება?

პაპა — აგვისტოში, იგივე ქველთობაში.

პანურბი — ყოვლისა უმეტესი გაგანია?

პაპა — მარტში, იგივე მირკანში.

პანურბი — მთელი დანარჩენი დრო ვითარ ხართ?

პაპა — მხნედ.

აქა პანურბმა გაიცინა და წართქვა:

— ვაი, შე რა გითხარი, ძმაო ავაჯავს ნახეთ, რა სხარტად, მოკლედ და სიტყვამცირედ მიპასუხებდა? ფრიად ენადაცული ვინმეა. ესა, მგონი, ერთი თხილის გულსა ცხრად ანამცეცებს.

— ეშმაკმაც დალახვროს, თუ ესა თავის ცირა-გოგოთ სულ სხვაგვარად არ ეჭუკჭუკებოდეს, — ჩაურთო ძმა ჟანმა, — იმათ მარაქაში აღბათ ძალიანაც ენამრავალია. შენა თქვი, ერთი თხილის გულსაო, მგონი, ცხრად ანამცეცებსო, მე კი გრიგოლ ღვთისმეტყველისა სახელსა ვფიცავ, ჭედილისა ბეჭსა ორ ლუკმაზედ მეტსა არ გამოიყვანს, ერთი კვარტი ღვინო კი ერთი ყლუპი თუ გამოუვა. შეხეთ ერთი, რა გადამლრძვალ ვინმეა.

— ეს უწესო მონესენი ყოველგან მუცელალორებულ-აქორებულნი არიან, — აძრახდა ეპისტემონი. — ის კი არა, გვარწმუნებენ კიდევცა, თვინიერ საკუთარი სიცოცხლისა, ამაქვეყნად არცრა გაგვაჩნიაო. ეშმაკმა დალახვროს, მაშ, აბა, მეფენი და დიდ-დიდნი ხელმწიფენი ამათზედ მდიდარნი რითილა არიან?



## თ ა ვ ი XXIX

ვითარ არ იჭაუნიაკა ეპისტემონმა დიდმარხვისა  
დადგენილებანი



— განა არ იყურადღებეთ, — განაგრძობდა ეპისტემონმა, — რომ ქეციანი შლუ ავაჯა ესე მარტსა, ანუ მირკანსა გარყენილებინსა თვედ მი-  
ინნეს?

— მართალსა ბრძანებ, — მიუგო პანტაგრუელმა, — ოლონდ მარტში მინყივ მარხვა უნნეს, მარხვა კი დადგენილია ხორციისა დასაუძღურებელ-  
დასაძაბუნებლად, ავხორციული ჟინისა ჩასაკლავად და ტრფიალებისა ცე-  
ცხლისა გასანელებლად.

— ან თავად განსაჯეთ, — მიუთხრო ეპისტემონმა, — მართალი იყო თუ არა პაპი, მარხვისა პირველი დამდგინებელი, უკეთუ ავაჯად სახელ-  
დებული ეს დაღრეცილი ჩიჩლათანი თავად აღიარებს, დიალაც მარხვისა ჟამსა ვცურავ სიძვა-გარყენილებისა წუნნუხ-წუმპეშიო, რასაცა თავიანთ  
საქმისა ყოველნი კეთილად აღმსრულებელნი და კაცთკითხულნი მკურ-  
ნალნი იმითი ხსნიან, რომ წელიწადისა არცერთ სხვა დროსა არ იჭ-  
მევა ვნებათა ღელვისა თუ ხორციელი ლტოლვისა აღმძვრელი იმოდენი  
საზრდელ-საჭმელი, რაოდენიცა მარხვაში. მართლაც, სულ მარხულთა  
გვამთა შიგან ჩადის, თუკი რამ ცერცვია, ბარდაა, ლობიოა, მუხუდოა,  
ხახვია, თხილ-კაკალია, ხამანწკაა, ქაშაყია, მწნილეულ-მჭავეულია, მწნი-  
ლისა წვენია; რაც კი ამძუენებელ-ამხურებელი და აღმგზნებ-ამხურუ-  
შებელი ხე და ბალახი თუ მცენარეა, არცრა აკლია სამარხვო სალათა-ტა-  
ბუცუნსა: არცა მინდვრისა მდოგვი, არცა დედოფლისა ყვავილი, არცა ტა-  
რხუნა, წიწმატი, მაშა-სალათა, ყვავისმხალა, სვია, ლელვი, ბრინჯი, ყურ-  
ძენი.

— ეგების არცა დამეთანხმო, — ჰრქვა პანტაგრუელმა, — მაგრამ,  
ვგონებ, კეთილმა პაპმა, დიდმარხვისა დამდგინებელმა, შენგან ჩამოთვ-  
ლილი საჭმელ-საზრდელისა ხმევა, კაცთა მოდგმისა განგრძობისთვის ხელ-  
შესაწყობად, სწორედ მაშინ ჩათვალა სათანადოდ და საჭიროდ, ოდეს ბუ-  
ნებური სითბო იძვრის შუაგული გვამიდან, სად ზამთრისა ყინვა-სიცი-  
ვისგან იყო დამყოვრებულ-დახანებული, და ყოველთა ასოთ მოედება ხო-  
ლმე, ვითარცა ლოპო ხესა, ეს აზრი კი ტუარის ეკლესიისა წიგნთ გამიჩი-  
ნეს, ვისისამე დაბადებისა მაჩვენებელთ, რომელთა შიგან აღნუსხულ ოქ-  
ტომბერ-ნოემბერში, ანუ ღვინობისთვე-გიორგობისთვეში თუ ჭინკობის-  
თვეში შობილთა ოდენობა ბევრად აჭარბებს დანარჩენი ათი თვისა გან-  
მავლობაში შობილ ყრმათა ოდენობასა; უკეთუ უკან კარგად გადავთვ-  
ლით, გამოვა, რომა ღვინობისთვისა და გიორგობისთვის თუ ჭინკობის-  
თვის ყრმანი შექმნილნი, მუცლადღებულნი და ჩასახულნი არიან მარხ-  
ვაში.

— ფრიად სასიამოვნოდ უბნობ, — აძრახდა ძმა ჟანი, — მაგრამ ჟა-  
მბესა შინა ერთი ვინმე სამრევლო მღვდელი' ესოდენ მრავალ ფეხმძიმობა-  
მიდგომილებასა სამარხვო საჭმელთ კი არ მიაწერდა, არამედ ათას ოხერ  
კუზლარა მეხარკე-ჭამპურასა, მავან და მავან ფაჩვნიერ მქადაგებელსა და  
ვინმე შარვალჩასვრილ აღმსარებელსა, რომელთა სიტყვასაც მარხვა ძა-  
ლასა მატებს, ისინიც დგანან და შიშისა ზარსა ატეხენ სიძვას აყოლილ  
ცოლოსანთ, ანუ დალატისა მოქმედ ქმართ, ცოტაც და ლუციფერი ყელ-





ში გწვდებათო, რამეთუ იმის კლანჭთ სულ რაღაც სამი ტუაზი გაშორებ-  
თო. დამფრთხალნი ქმარნიც უმალ თავსა ანებებენ მხევალ გოგოთა ბლლა-  
რძუნსა და თავიანთ ცოლთ უბრუნდებიან. მე ჩემი ვთქვი.

— ვითარ გენებოთ, ისერიგად განმარტეთ დიდმარხვისა დადგინება,  
სუყოველ კაცსა თავისი აზრი აქვს, — წართქვა ეპისტოლით, — მაგრამ  
უკვე კარზედ მომდგარი მარხვისა მოშლასა მკურნალებს — არცა მემენ, კარ-  
გად ვიცი, თვითონ იმათგან მაქვს გაგონილი. უმარხვოდ ვერცაღა თავ-  
წყალსა გავლენ და ვერცაღა ფონსა, ვერცარასა მოირენენ და ვერცარასა  
მოიღვანებენ, ვინათგან ზაპილო-სნეულნი და მოავადენი არღა იქნებიან.  
ყოველგვარ ავადობასა დიახაც მარხვა აჩენს, ისა სუყოველი სნება-სატ-  
კივრისა ნამდვილი კერაა, უტყუარი ბუდე და წყაროა. ნურცა იმას იგულ-  
მავინყებთ, რომ მარხვისგან არა ოდენ ხორცი ლპება, არამედ სულიცა  
შმაგდება. მარხვაში, ანუ იგივე ხორცისა უჭმელობისა ჟამსა, სათაელ-  
ეშმაკნი ნემსისა ყუნწში ძვრებიან, პირმოთენნი ძალაუფლებასა იგდებენ  
ხელთ, ღვთისა სათნოთ კი გაუთავებელი დღესასწაული უდგათ, არ აკ-  
ლიათ არცა ზემყრელო-თავყრილობისა გამო მჯდომარება, არცა შეგონე-  
ბა თუ სანუგეშო რამ სიტყვა, შენდობა, აღსარებისა თქმა თუ განდობა,  
არცა კიდევ გაშოლტვა, შეჩვენება. სრულიადაც არ მინდა იმის თქმა,  
არიმასპნი<sup>2</sup> გვჯობიან-მეთქი, უბრალოდ სიტყვამ მოიტანა.

— ჰა, რას იტყვი, მსიძავო სიძევ, მოავაჯე ავაჯავ, — აძრახდა პანურ-  
გი, — ხოა სარწმუნოებისგან განდგომილი, მწვალებელი?

ავაჯა — თქმა არ უნდა.

პანურგი — დაინვას თუ არა?

ავაჯა — დაინვას, დაიმუმლოს.

პანურგი — მალიად?

ავაჯა — ანვე.

პანურგი — შეუგობლად?

ავაჯა — ეგრევე.

პანურგი — მაინც?

ავაჯა — ცოცხლივ.

პანურგი — მერე რა მოუვა?

ავაჯა — სული ამოუვა.

პანურგი — ჩანს, განყენინა, არა?

ავაჯა — მერე როგორ!

პანურგი — ვინ არი, ვითარ ჰგონებ?

ავაჯა — უმჭკუა.

პანურგი — უმჭკუა თუ დამთხვეული?

ავაჯა — უარესი.

პანურგი — შენი ნება რომ იყოს, რად გადააქცევდი?

ავაჯა — ნავლად და ავლად.

პანურგი — სხვანიც ბევრნი დაგიწვავს?

ავაჯა — ბევრნი.

პანურგი — ისინიც მწვალებელნი იყვნენ?

ავაჯა — ამისნაირნი არა.

პანურგი — რამე რომ იყოს, კიდევ დაბუგავდი ვინმეს?

ავაჯა — აბა, რას ვიზამდი!

პანურგი — იქნებ ზოგნი დაგენდო?



პვაჟა — არამც.

პანურბი — სულ ერთმანეთსა მიაყოლებდი?

პვაჟა — სულ.

— ვერ გამიგია, რას ენახარშები, რა თავი გაუყადრე ამა უნმინდურ გუდამშიერ ბერსა, — მიუთხრო ეპისტემონმა. — კიდეც კარგად უნდა გიცნობ, თორემ ნამდვილ აზრი შემეცვლებოდა შენზედ. *სიზღიერება*

— ეგ არლა მითხრა, — იხმამალლა პანურგმა. — ამან ისე მომანონა თავი, ღმერთმანი, გარგანტუას მივგვრიდი. ცოტაც დამაცადეთ, ვინმე ბედულიმოზედ გავცოლიანდები და ის ჩემი დედაკაცი ამასა თავსა შეაქცევინებს.

— არა ოდენ შეაქცევინებს, აკოტრიალებინებს კიდეცა, — წაუძმარა ეპისტემონმა.

— ვაი, შე სანყალო პანურგო, — სიცილ-სიცილში მიუჭირმძიმა ძმა ჟანმა, — დიახაც შენგან გაქმრიანებულისგან გახდე გარქიანებული.

თ ა ვ ი X X X

ვითარ მოვიხილეთ ატლასისა ძვეხანა

აქაოდა ძმათა ავაჯათა ახალ რჯულ-სარწმუნოებასა გავეცანითო, გულსავსენი მივცურავდით ორ დღესა, მესამე დღესა კი ლოცმანმან ჩვენმან კუნძულსა რასმე დაადგა თვალი, ფრიზისა კუნძულად სახელდებულსა, რამეთუ გზანი აქა ფრიზისნია. ამა კუნძულზეა ატლასის ქვეყანა, რომლისა გამორჩეული სიყვარული სამეფო კარისა პაჟთ გულში აქვთ ჩავარდნილი; არცა ერთ ხესა და ბალახსა, რაც კი აქა ხარობს, არცროდის არცა ყვავილი სცვივა და არცა ფოთოლი, ვითარმედ ხენიცა და ბალახნიც სულ აბრეშუმის შტოფისანი და სახიანი ხავერდისანია; ხოლო ცხოველნი და ფრინველნი ორხოვისანი არიან.

აქა უამრავი იმისთანა ცხოველი, ფრინველი და ხე მოვიხილეთ, როგორც რომ ჩვენშია, შეხედულადაც, სიდიდე-სიპატარავითაც, ფერთაც, ოღონდ ჩვენებურთაგან ის განასხვავებდათ თუ აბედენებდათ, რომ ისინი არცრასა ჭამდნენ, არცა გალობდნენ და არცა ისუსხებოდნენ. ბევრნი იქა იმისთანა რამენიც ვნახეთ, მსგავსნი ადრე არცროდის რომ არ გვინახავს, სახელდობრ, ნაირ-ნაირი სიდიდისა სპილონი — ჩემი თვალი მეტადრე ექვსმა ხარსპილომ და ექვსმაც ფურსპილომ შეიჩერა, რომელნიცა გამზრდელსა რომისა თეატრში გამოჰყავდა გერმანიკუსის, რომის იმპერატორის ტიბერიუსის ძმისწულის, ჟამსა: ისინი იყვნენ სპილონი სწავლულნი, მესაკრავე-მძნობელნი, ფილოსოფოსნი, მროკველნი, მაშუშპრალნი, მაოცარნი, ტაბლასთან დარბაისლურად ისხდნენ და მჩუმარედ პურობდნენ, ვითა წმინდა მამანი სატრაპეზოსა შინა. ყოველთა ოთხფეხთა შორის ამა უგონიერეს და უდიდეს ცხოველთ ცხვირ-დინგზედ წაზრდილი აქვთ ორი წყრთა სიგრძის ჩიჩვირი, ხორთუმად წოდებული, რომლითაც იხმევენ წყალსა, ძირიდან აულებელსა და აუთავთავებელს არ უშვებენ არცრა ინდის ხურმასა, არცრა ქლიავსა და პაპასხილსა, არცრანაირ საჭმელ-საზრდელსა, ვინცა და რაცა მოსაგერიებელია, იგერიებენ კიდეცა და, როგორაც ხელითა, კარგადაც ირტყმევიანებიათ, კაცნი მალლა ჰაერში აჰყავთ, და ისინი როს დაბლა ცვივიან, სიცილისგან ლამის გაიგუდონ. ყურნი დიდი-დიდნი ასხიათ, ძალზედ ლამაზნი, ხელისა სანიავებელთა



მსგავსნი. ფერხთა ზედან შესახსრებანიცა აქვთ და სახსარნიც, სრბოლა გამწვევი იციან, ბარაქიანი, ვინცავინ საწინააღმდეგოსა ამტკიცებს, სპილონი ალბათ ოდენ სურათად დახატულნი უნახავს. ხორთუბქვეშე ზემორე ყბიდან ჩამოშვეებული ორი შუანი, იგივე ეშვნი, უჩანთ, ზემოკერძოდ ადრეკილნი, რომელთ იუბა რქათ უწოდებს, პავსანიცა უბნობს, რქანიასო და არა კბილნი, ფილოსტრატე, პირიქით, კბილნიასო და არა რქანი, ჩემთვის კი სულ ერთია, ოღონდაც თქვენ გაიცხადეთ, რომ ორივე ნამდვილი სპილოს ძვალია, თითო სამი-ოთხი წყრთა სიგრძისაა და, ვითარ უკვე გითხარით, ზემორე ყბიდან ჩამოშვეულია და არა ქვემორედგან, უკეთუ საპირისპიროს მტკიცებელთ ერწმუნებით, თავსა ხათაბალაში ჩაიგდებთ, გინდაც რომ ელიანე მოიშველიოთ, უპირველესი ცრუპენტელა. სწორედაც აქა, და არა კიდევ სხვაგან სადმე, უთვალყურა პლინიუსმა, ვითარ როკავდნენ ზარაზინთა ანუ დიდ-დიდ ეყვანთა ჟღარაჟღურსა აყოლილნი სპილონი ლხინისა ტაბლის თავზემოდან გაბმულ ბაგირზედ და პურისმტეთაგან თუ მოერთჯამეთაგან არცვის ნამოსდებიან.

აქა მოვიხილე, ოდესღაც ჰანს კლერბერგმა<sup>1</sup> რომ მარტორქა მიჩვენა, იმის ზედნაკუნად მსგავსი, რომელსაცა ერთხელ ლიმოყსა შინა ჩემგან ნახული კერატისგან ოდენ ნიკველ-დინგზედ ამომჯდარი ერთი წყრთა სიგრძისა ჩანგალა რქა გამოარჩევდა, და აი დიალაც ეს რქა აბედვინებს მარტორქასა სპილოზედ თავდასხმასა: ეტაკება და შიგ მუცელში წყლავს, მუცელი კი სპილოს ყოვლად ნაზი და მალალი ადგილია, და ისიც უსულოდ ეცემა ძირსა.

აქა მოვიხილე ოცდათორმეტი მარტოკბილა: ესა გასაოცრად ვერაგი ცხოველია, გარეგნულად ძალიან ჰგავს ჯიშის ცხენსა, მაგრამ თავი ირმისას მიუგავს, ფერხნი სპილოსასა, კუდი ტახისასა. შუბლზედ ექვსი-შვიდი ფუტის სიგრძისა ყურჭი წვერწვეტა რქა ამოზრდია, რომელიცა ჩვეულებრ ისე ჰკიდია, ვითა მამალ ინდაურსა ჯიჯახვი; ოდეს მარტოკბილა ბრძოლაში ჩაბმას ანდა თავის შველასა ეპირება, რქა იგი მალლა აენწევა ხოლმე, აედრიკება, უღუნველი და სწორი. თავად ვნახე, ათასგვარ მხეც-ნადირთაგან გარშემორტყმული ერთ-ერთი მარტოკბილა ვითარ წმენდდა და ასუფთავებდა თავის რქითა წყარობინულსა. ამა ამბისა გამო პანურგმა მამცნო, ეს ჩემი ადრეკილა მაგ მარტოკბილას რქასა მაგონებსო. სრულიადაც არა სიგრძითაო. ზოგი რამ თავისებურება-თვისებითაო: ემაგ რქისა არ იყოს, ამასაც დია ემარჯვება კვარტყაპთა, ანუ ლაყვა-გუბეთა და რუ-ფშათა წყლისა წმენდა ჭუჭყისა და სახადისგანაო, და, ვითარცა მარტოკბილას ნაკვალევზედ მხეც-ნადირნი უშიშრად სვამდნენო, ამა ჩემისას ნავალზედაც თამამად ეგების ქცევაო. არცავინ შანკრსა აიკიდებს, არცავინ ათაშანგსა და სუსუნატსაო, აღარცრა პირდაქცეულ მსხმოსა, ანუ დიდსა მუნუქსა გადაეყრება, აღარცრა წყლულსა რასმე ანდა სხვა ათას ოხრობასაო, ვინათგან მეფიტისურ ორმოსა შიგან თუკი რალაცა გადასადები ჭირია მოხვედრილი, ეს ჩემი ლომგული რქა-ადრეკილა ეგრევე ამონმენდს და ამოასუფთავებსო.

— ცოლსა რომ მოიყვან, შესაბამ ცდასა შენსა ცოლზედ მოვახდენთ, — მიუთხრო ძმა ყანმა, — შენი დიდად სასარგებლო რჩევა-დარიგებისთვის ჩვენგანაც ხომ გეკუთვნის სამაგიერო,



— ჩინებულია, — მიუსაფანლა პანურგმა. — მოახდენტ და იმნუთას მუცელშიგან სუყველას სასნაულმოქმედი რამ აბი აღმოგაჩნდებათ, პირდაპირ ცაში მამაზეციერთან აღმავლენელი, კეისრისა მომაკვდინებელი ოცი ხანჯლისა დარტყმისგან შემზადებულ-შეზავებული.

— მაგ აბ-ქაშთაჯსა განა ერთი ჯამი კარგი ცივი ღვინო<sup>1</sup> არ მაჯრებებდა? — იკითხა ძმა ჟანმა.

აქა მოვიხილე ოქროს საწმისი, იაზონის მიერ მონაგრებული. ვინცა ამტკიცებს, ეგა საწმისი კი არა, ოქროს ვაშლიაო, რამეთუ სიტყვასა *λεπ* ვაშლსა ც ნიშნავს და ცხვარსა ც, ვგონებ, ატლასისა ქვეყანა უყურადღებოდ და უგულისყუროდ მოუვლია.

აქა მოვიხილე ქამელეონი, ანუ ისავრო, ზუსტად ისეთი, როგორსაც არისტოტელე აღწერს და როგორცა ერთხელ შარლ მარემ მანახვა, საბელგანსმენილმა მკურნალმა, მდინარე რონაზედ გაშენებული დიდებული ქალაქის ლიონისა მსახლობელმა, და ქამელეონი ესე, ვითარცა იგი, მხოლოდ და მხოლოდ ჰაერითა საზრდოობდა.

აქა მოვიხილე სამი ჰიდრა, ზედგამოჭრილად ისეთივენი, რანაირნიც მანამდეც მენახა, სამივენი შვიდ-შვიდთავა ჭაჭუა-გველნი იყვნენ.

აქა მოვიხილე თოთხმეტი ფენიქსი. ზოგ-ზოგი მათქვამისგან, იგივე ავტორისგან ვიცი, წამიკითხავს, რომ სრულად მთელ საუკუნესა სულ ერთი ფენიქსი უწევს; თუმცადა, ჩემის მოკლე ჭკუითა. ვინცა ამასა ამტკიცებს, თვითონ ლაქტანციუს ფირმიანეც რომ იყოს, იმის თვალისა დამკვრელი არცსად არ არის, თუ არა ორხოვისა ქვეყანაში.

აქა მოვიხილე აპულეიუსის ოქროს ვირისა ტყავი.

აქა მოვიხილე სამას ცხრა ვარხვი; ექვსი ათას თექვსმეტი სელევკიდი, სულ მწყობრ მწყრივად ვლიდნენ და პურისა ყანაში მხტუნავ კუტკალიათ ახრამუნებდნენ. მოვიხილე კინამოლგნი, არგატილნი, კაპრიმულგნი, ტინუნკულნი, პროტონოტარიუსნი, იგივე ხახადიდნი ონოკროტალიუსნი, სტიმფალიდნი, ჰარპიები, ჯიქნი, დორკადნი, კემადნი, კინოკეფალნი, სატირნი, კარტაზონნი, ტარანდნი, დომბა-ზუბრნი, მონოპნი, პეგასნი, კეპნი, ნეადნი, პრესტერნი, კერკოპიტეკნი, ბიზონნი, მუზიმონნი, ბიტურნი, ოფირნი, სტრიგნი,<sup>2</sup> გრიფნი, ანუ ლომ-არწივნი.

აქა მოვიხილე ცხენზედ ამხედრებული მარხვისა შუაგული (რომლისა უზანგ-ავჟანდუკნი აგვისტოს შუაგულსა და მარტის შუაგულსა ეჭირათ), არა ერთი და ორი მგელკაცი, კენტავრი, ვეფხვი, ლეოპარდი, აფთარი, ანუ უზაბარი, ყირაფი, ორიგი.<sup>3</sup>

აქა მოვიხილე ერთი პატარა თევზი, ლორწოიანა, ბერძნულად ექენეისი, დიდ ხომალდსა, იგივე ოლეჭკანდერსა უტორლიალებდა, და ხომალდი იგი ადგილიდან ვერ იძვროდა. დაღათუმცა, შუა ზღვაში სუყველა აფრიალქანი ქარისგან დაჰბერვოდა; სრულად დარწმუნებული ვარ, ისა ტირან პერიანდრეს ხომალდი იყო, ქარიან ამინდში ერთმა ლიფსიტა თევზმა რომ შეაყენა, რომელი თევზიცა სადმე სხვაგან კი არა, სწორედ ატლასისა ქვეყანაში მოიხილა მუციანემ. ძმა ჟანმა ჩაიარაკა, სამსჯავრო-სასამართლოთა შინა ყველაგვარ თევზსა, დიდსაცა და პატარასაც, ღარიბსაცა და მდიდარსაც, დიდგვარსაცა და უაზნოსაც, ხ რ ი კ-ხ ი მ ა ნ კ ლ ო ბ ი თ ა იჭერენო.

აქა მოვიხილე არა ერთი ფასკუნჯი, ანუ ყანჩი, ტურა, იგივე გარეული



ძალდი, ფოცხვერი, იგივე ვარშაყი, ანუ კილდონი, კეფი, რომელსაც წინა ქლიკ-ფერხნი ხელთა მაგივრობასა უწევენ, უკანა ფერხნი კი იმისთვისვე ადგებათ, რისთვისაც ფერხთ იყენებენ კაცნი; ვნახე კროკუტნი, ეალნი, ჰიპოპოტამისა სიდიდისანი, კუდი სპილოს კუდისნაირი აბიათ, ყბანი ტახისანი აქვთ და მოძრავნი რქანი ვირისა ყურთ მიუგაგდეთ კუკროკუტთა<sup>4</sup> ამბავსა თუ მკითხავთ, ისინი ფრიად მკვირცხლნი ობსტრუქციონისა, მირბალეური ვირისა სიდიდისანი; კისერი, მკერდი და კუდი ლომისა აქვთ, ფერხნი ირმისა, პირი ერთი ყურიდან მეორემდის მოჭხევიათ, ორად ორი კბილიდან ერთი ზედა ყბაზედ უზით, მეორე ქვედაზედ; მეტყველებითა ადამიანის ხმითა მეტყველებენ, ოლონდ დაუნანვერებლად.

ბევრსა ჰგონია, შავარდნისა ბუდისთვის ჯერეთ თვალი არცვის დაუკრავსო, მე კი, ღმერთი, რჯული, აქა ათთერთმეტი მოვიხილე, კარგად მახსოვს.

აქა მოვიხილე აფთნი, რომელთ ოდენ მარცხენა ხელითა თუ იხმარ, იმნაირნი მეტად არცსად მინახავს.

აქა მოვიხილე მანტიკორნი, ფრიად თავისებურნი ცხოველნი: ტანი ლომისა აქვთ, ბენვი წითური, სახე და ყურნი კაცისა, კბილნი კი სამწყებად ჩაწიკნიკებულნი, თანაც ისინი ისერიგად ეჭდობათ, ვითარ ჩვენ თითნი გადავაჭდოთ; კუდზედ ქაცვი რამ აბიათ, და მორიელისებრ ინესტრებიან, ხმა დია საამოვნოდ უფლერთ.

აქა მოვიხილე კატობლებნი, მცირე ტანისა ნადირნი, რომელთ იმოდენად დიდი თავი აქვთ. ძლივსა სწევენ ძირიდან მალლა, თვალთა შიგან კი გესლი უსხიათ, და თუ ვინმემ ჩახედა, სიკვდილი ზედა აქვს, თითქოსდა ბასილისკოს შეეხედოს.

აქა მოვიხილე ორზურგა ცხოველნი, დია ფიცხნი მეჩვენნენ, და გავათ ისე მარდად იქნევდნენ, სუყველა მამზაკუნა-ბოლოქანქარა შემირცხვენია.

აქა მოვიხილე მენველნი კიბონი, რომელთა მსგავსნი ჯერეთ არცსად მინახავს, მწყობრად ვლიდნენ, თვალსა ვერ მოსწყვეტდით.

### თ ა ვ ი XXXI

ვითარ შევხვდით ატლასისა გრძელ ქვეყანაში ვინმე ყურმოკრულასა, რომელსაცა მოხმეთა სასწავლებელი კმონდა

ცოტა უფროისად შორსა შევყეთ ატლასისა გრძელ ქვეყანასა და მოვიხილეთ, მაგრამ რა მოვიხილეთ: ხმელთაშუა ზღვა ძირისძირობამდის გაპობილიყო ზუსტად ისევე, როგორაც რომ არაბეთისა უდაბნოში ერიტრეის ზღვა<sup>1</sup> გაიპო და გზა დაუგდო იუდეველთ, ეგვიპტიდან გამოსულთ. მუნ დანახვისავე თანა ვიცანი ტრიტონი, ვებერთელა ნიჟარასა ბუქსაებრ სცემდა, ახმიანებდა, იქავე იყვნენ გლავკე, პროტევსი, ნერევსი, უამრავი სხვა ღმერთი და ზღვისა ორჩხოლი. მოვიხილეთ აგრეთვე აურაცხელად ბევრნი ყოველნი წყლიერნი — მაშუშპრალნი, მოფოფინენი, მოფართხალენ-მოფართქალენი, ერთურთსა შებმულნი, მქანქვლელნი, მფშვინავ-მქშინავნი, მბჭობელნი, მონადირენი, მახისა დამრწყმელნი, მოზავენნი, მოვაჭრენი, მოკუნტრუშენი და მლალობელნი.



უახლოეს კუთხე-კუნჭულში გზამართალსა მოყოლილი ხელფარნი-ანი არისტოტელე მოვიხილეთ, თვალად იმა განდეგილსა ჰგავდა, ჩვეუ-ლებრ წმ. ქრისტეფორეს იგვრდივ რომ ხატავენ: სულ რაღაცისა კვალსა ეძებდა, რაღაცასა ფიქრობდა და იწერდა. უკან, ვითარცა მსტოვარ-აე-მაგნი, ბევრი სხვა ფილოსოფოსი ედგა: აპიანე, პელიოდორე, პეტრეოსი, პორფირიოსი, პანკრატე არკადიელი, ნუმენიოსი, პოსეიდონიონი, ოვიდი-უსი, ოპიანე, ოლიმპიოსი, სელეგკე, ლეონიდე, აგათოკლე, თეოფრასტე, დამოსტრატე, მუციანე, ნიმფოდორე, ელიანე და კიდევ ხუთი ასეული უქმი ვინმე, მსგავსი ქრისიპესი ანდა არისტარქე სოლელისა, რომელიცა ორმოცდათვრამეტი წელიწადი მხოლოდ იმას იქმოდა, რომ იდგა და ფუტკართა ცხოვრებასა აკვირდებოდა. ამა ზღვა ხალხში კარგად გავარ-ჩიე პიერ ჟილი,<sup>3</sup> — ხელთ ალთაფი თუ ქოჩახი რამ, ანუ საშარდე ჭურჭე-ლი ეჭირა და ფიქრიანად ჩასცქეროდა აქაურ უცხოგვარ თევზთა ფსელსა.

პანტაგრუელმა ხანიერ სინჯა, ათვალიერა ატლასისა გრძელი ქვეყანა და ბოლოს ბრძანა:

— ჩემი მზერა აქა მყოვარ ვასაზრდოე, მაგრამ ამან სულაც ვერ გა-მაძლო. დაყმედილსა კუჭი მიხმება.

— ჩვენცა ავდგეთ და რამე ნავიჭამოთ, — ვუთხარი. — გავსინჯოთ ეს ანაკამპსეროტი,<sup>4</sup> მაინც თავზედ დაგვეყურებს, ფუ, მურტალი რამე კია!

მუნთქვესვე მივწვდი და რამოდენიმე ალელეჩა, ხმელი რამ ხილი ჩა-მოვწყვიტე, ორხოვისა ბოლოში ჩამოკონწიალებული, მაგრამ ვერცალა დავ-ლეჭე და ვერცალა გადავყლაპე, — ვინცა კი გემოთი გასინჯავდა, სუყვე-ლა დაფიცებულად იტყოდა, ესა ნამდვილ დაგრეხილ-დაძახული აბრეშუ-შია, სრულიად უგემოო. ვიეთნი ალბათ იმასაც იფიქრებდნენ, ელაგაბალ-სა სტუმრისა პატივისცემის წესი ალიკვალად აქაურთაგან გადაუღიაო: წვეულ კაცთ, განა არ მოგეხსენებათ, იგი ხანიერ ნერწყვსა აყლაპვინებდა, აშიშმილებდა და თანაც სულ ერთსა და იმავეს ეუბნებოდა, ცოტაც და მოგართმევთ მაძლარსა, უხვსა, მეფურ სასამელ-საჭმელსაო, ბოლოსა და ბოლოს კი ცვილისგან, დრუნგილისგან, ანუ მარმარილოსგან, თიხისგან, მოქარგულ ქსოვილთაგან და სახიან სუფრათაგან შემზადებულ ჯერსა სთავაზობდა.

სანოვაგისა ძებნა-ძიებაში გართულთ უეცრივ ხათხათი და გნიასი რამ შემოგვესმა, თითქოსდა მოსარეცხე დიაცნი თეთრეულსა ტაბუცთ უტყაპუნებდნენ ან არადა ტულუზასა შინა ბაზაკლისა ნისტვილი ღრიტი-ნებდა. დიდხანსა არლა გვიფიქრია, თავაბლუჩილნი მივყევით ამა გნიას-ხმაურსა, ბევრი არ გვივლია, ცოტა ვიარეთ და მოვიხილეთ ერთი კუზ-ლარა ბერიკაცი, გონჯი და დუხჭირი. ბერიკაცსა მას ყურმოკრუ-ლასა უხმობდნენ, პირი ყურთამდე ჰქონდა მოხეული, პირსა შიგან შვიდი ენა ულავლავებდა, და თითოეული ენა იგი შვიდ ნაწილად იყო დასერილი. არცვინ უწყის ვითარ ახერხებდა, მაგრამ ბერიკაცი ერთყამი-ერად შვიდივე ენითა უბნობდა ათასნაირ რამერუმეზედ და სულ სხვადა-სხვა კილოკავსა ზედა; თავსა და სრულად მთელ ტანზედ იმას იმოდენივე ყური ესხა, რამოდენიცა არგუსსა თვალი აქვს, თანაც კიდევ ბრმა იყო და ორივე ფეხითა დადუნებულ-დადამბლავებული.

ბერიკაცისა გარშემო მრავალთ უმრავლესნი მამაკაცნი და დედაკაცნი



მოვიხილე, სუყველანი სმენად ქცეულიყვნენ და გაფაციცებულნი უგდებდნენ იმას ყურსა. ზოგ-ზოგნი გულმისავალნი გარეგნობისანი ჩანდნენ, მეტადრე ერთი მომივიდა თვალში, — ხელთ მსოფლიოს რუკა ეძყრა, აფორიზმთ, ანუ სხარტად გამოთქმულ ბრძნულ აზრთ იშველიებდა და მსმენელთ მოკლედ, სიტყვამცირედ განუმარტავდა, რაც რამ იმა რუკაზედ იყო აღნიშნული, მსმენელნი კი სულ რამოდენიმე საათში ყოველმხრივ განათლებულნი, სწავლულნი ხდებოდნენ და ვრცლად, დახვეწილად ბჭობდნენ მრავალ ისეთგვარ რამეზედ, რისა მეთადისა გასაცნობად კაცსა მთელი სიცოცხლეც არ ეყოფოდა, და სულ ზეპირად სჯიდნენ, არცრაში იყურებოდნენ. სჯიდნენ ეგვიპტურ პირამიდებზედ, ბაბილონზედ, ტროგლოდიტებზედ, გიმანტოპოდებზედ, ბლემიებზედ,<sup>5</sup> პიგმეებზედ, კანიბალებზედ, ჰიპერბორეის მთებზედ, ეგიპანებზედ,<sup>6</sup> ათას ეშმაკსა თუ მამაძაღლზედ, და სულ ყურმოკრულად.

იქა მოვიხილე, უკეთუ არ მეშლება, ჰეროდოტე, პლინიუსი, სოლინე, ბეროზე, ფილოსტრატე, სტრაბონი და კიდევ ძველთა კაცთაგან ზოგ-ზოგნი, მერმეთ ახლა დიდი იაკობიტი ალბერტი, პეტრე აღმსარებელი, პაპი პიუს II, ვოლტერა, უკეთილშობილესი პაოლო ჯოვიო, ჟაკ კარტიე, ჰაიტონ სომეხი, ვენეციელი მარკო პოლო, ლოდოვიკო რომანო, პედრო ალვარესი და კიდევ ვინ უწყის რაოდენი უახლესი ჟამთააღმწერელი. ისინი, ორხოვასა ამოფარებულნი, უჩუმრად წერდნენ უცხოგვარ წიგნთ და სულ ყურმოკრულად.

ხავერდისა ორხოვისა უკან, რომელ ორხოვასა ზედან პიტნისა ფოთოლნი ამოქარგათ, ყურმოკრულას იგვრდივ კარგა ბლომად პერშელი და მანსელი სტუდენტი მოვიხილე, სუყველანი სამაგალითონი და ჯერეთ კიდევ საკმაოდ დღემოუჭმელნი; როს შევეკითხეთ, რომელ ფაკულტეტზედ ხართო, გვიარაკეს, რომ თურმე ყმანვილკაცობიდან სწავლობდნენ მონმეობასა, უკვე სრულყოფილად იყვნენ დაუფლებულნი და საგაზრდილოსა რომ დაუბრუნდებოდნენ, მონმისა პატიოსან შრომასა მიჰყოფდნენ ხელსა, და ვინცავინ მეტსა მისცემდა, ქვეყანაზედ ყველას ყველაფერსა დაუმონმებდნენ, და სულ ყურმოკრულად. თქვენ რაც გინდათ, ის იფიქრეთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ წარბი არც შეუხრიათ, ისე გვაზიარეს სიყმილისგან დაყმედილნი, გულაყვინცილებულნი თავიანთი წილი პურის ყუისა ყუათსა და სველი ფარჩი-სალვინეც მოგვაყუდებინეს. მერმეთ მეგობრულად გაგვენდნენ, როგორც იტყვიან, სული მუჭაში ჩაგვბერეს და ისე გაგვაფრთხილეს, უკეთუ ვინმე დიდი კაცისა კარზედ წარმართება, ანუ წინაობა გსურთ, ყველა ღონე უნდა იღონოთ და სიმართლე ვითარმე დამალოთო.

თ ა ვ ი XXXII

ვითარ გადაგვეხალა თვალწინ ფარანეთისა, ანუ ლიფლიფეთისა ქვეყანა

ატლასისა ქვეყანა რომ დავაგდეთ, სად ბედითად დაგვხვდნენ და ბედითად გვიმასპინძლეს, მთელი სამი დღე მივცურავდით, ხოლო მეოთხე



დღესა ალიონზედ ფარანეთსა დავუმანძილდით. დამანძილებულთ ზღვა-სა ზედა რაცალა მოფოფინარნი სინათლენი მოვიხილეთ. თავდაპირველად კინალამ ვიფიქრე. ესა ლიფლიფისა შუქი არ უნდა იყოს, ენაცეცხლოვან თევზთა შუქურია ანდა სულაც ლამპირიდნი, სხვანაირად იგივე ტიცი-ნდელანი ანათებენ-მეთქი: ჩემსა სამშობლოში ისინი ჩვეულებურ ქსადამო ყამსა კიაფობენ ხოლმე, ოდეს მუხლნაყარი ქრთილი, შემოდგომისა ანათესი თავქერი, თავთავსა ივსებს. დაღათუმცა, ლოცმანმა აგვიხსნა, ეგა ალა-ალაგ მოკიაფე სადარაჯო ცეცხლიაო, ნავსაყუდლისა შესავალსა ასინათებს და გზისა საჩვენებლად თანა სდევს ზოგ-ზოგ უცხო გემთ, როგორაც, მაგალითადრე, აქა ადგილობრივ კრებაზედ მომავალ კეთილ კორდელიერთა და იაკობელთა გემთაო. ამისა გაგონებაზედ გულსა შემოგვეყარა, ემანდ კვალად ქარიშხალი არ ამოგვივარდესო, მაგრამ ლოცმანმავე დაგვამშვიდა, დაგვაშოშმინა, გული დაგვიამინა.

თ ა ვ ი XXXIII

ვითარ გადავედით ლიპნობიელთა ნავსაყუდელში და რარიბ შევედით ლიფლიფით-ფარანეთსა შინა

ამასობაში ფარანეთისა ნავსაყუდელში შევედით. იქა, ერთ მაღალ კოშკზედ, პანტაგრუელმა ლა-როშელის ფარანი<sup>1</sup> იცნო, და ფარანმა მან კარგა გვარიანად მოგვანათა. მოვიხილეთ აგრეთვე ფაროსის ფარანი, ნავ-პლიოსის<sup>2</sup> ფარანი და ათენის აკროპოლისისა ფარანი, პალადასთვის შეხვეწილ-შეძღვნილი. ნავსაყუდლისა ახლოისრე, ანუ მარჯვეში, აქა ერთი პატარა სოფელია ლიპნობიელთა,<sup>3</sup> ისინი ფარან-ლიფლიფათა ხარჯზედ ცხოვრობენ (ვითარცა ჩვენში გემთმოყვარე ძმანი ცხოვრობენ მოლოზანთა, ანუ მოწესე დედაკაცთა ხარჯზედ). სუყოველნი უკლებლივ კეთილწესიერნი და ცოდნისმოყვარენი არიან. აქა ოდესმე ფარანიანობდა თვით დემოსთენე.<sup>4</sup> ნავსადგურიდან თავად სრა-სასახლემდის სამი შუქურა მიგვაცილებდა, ნავსაყუდელსა შინა საყარაულო სამსახურად მდგარი. სამივეს წოპწოპა ალბანური ქუდი ეხურა, და სულ წვლილად ჩავუწიგნეთ ჩვენი მოგზაურობისა საბოლოო მიზანი, ისიც ვუთხარით, ფარანეთისა დედოფალსა წინ გასაძლოლად ფარანი ვინმე უნდა გამოვთხოვოთ, რათა თან ვიახლოთ და ბოცა-ბოთლისკენ მიმავალთ გზა გავანათებინოთ; ეგა, რასაცა თხოულობთ, სულ ადვილი საქმეაო, გვითხრეს და თანვე დააყოლეს, სწორედ რომ კარგ დროსა ჩამობრძანდით, რამეთუ აწ აქა ადგილობრივი კრებაა და ამოსარჩევსაც იოლად ამოვარჩევთო.

სრა-სასახლეში მივედით თუ არა, ორმა საპატიო ფარანმა, სახელდობრივ კი არისტოფანეს ფარანმა და კლეანთეს ფარანმა, დედოფლისა წინაშე წარგვადგინა, და პანურგმა ფარანულსა ენაზედ აუხსნა, რა მიზნითაც ვმოგზაურობდით. დედოფალი გულითადიერად შეგვხვდა და მწუხრისა საჭმელზედ მიგვიწვია, ერთად ვივახშმით, ეტიქსაც უფროისლა ადვილად ავარჩევთო. ამა მიპატიყებამ ნამეტნავად გაგვახარა და გაფაციცებულნი ვიყავით, რა არი შეუმჩნეველი არცრა გამოგვპარვოდა; არცა



ფარანთა მიხრა-მოხრა, არცა ჩაცმულობა, თავისა დაჭერისა უნარი, თავად ტრაპეზობისა წესი და რიგი.

დედოფალსა მთისა ბროლისა კაბა ემოსა, რომელი ბროლიცა გადა-  
მასკოებული და მთლივ მოთვალულ-მოოჭვილი იყო, სულ მსხვილ-  
მსხვილი ალმასი ეყარა. რომელთამე დიდგვაროვან ფარანთა სტრახისა  
ტალავარი ეცვათ, რომელთამე გამჭირვალე ფენგიტისა და მონსტრისა შვე-  
ნოდათ, დანარჩენთაგან სუყოველნი რქისა, ქარტისა და მუშამბისა ტანთ-  
საცმელში იყვნენ გამონყობილნი. ფოლორც-შუკისა ფარანთაც აგრეთვე  
თავიანთი წოდებისა და გვარის სიძველისდა კვალად ემოსათ. ყოვლის  
უფრორე წარჩინებულთა შორის, ჩემდა გასაკვირად, ერთი უბრალო თი-  
ხისა ფარანი შევამჩნიე, ღუმლისა კვანია-კოჭობისა მსგავსი; ეგაო, მითხ-  
რეს, სწორედ ის ფარანიაო, ეპიტეტესიო, რომელშიაც ადამპაპის დროსა  
სამი ათას დრაქმასა იძლეოდნენო.<sup>7</sup>

თვალი ვერა და ვერ მოვწყვიტე მარციალისის ფარნის, სახელად პო-  
ლიმიქსის,<sup>8</sup> სამოსელსა, და ჩემი მზერა კიდევ უფროისლა მეტად მიიპყრო  
თარან იკოსიმიქსის<sup>9</sup> ჩაცმულობამ, რომელი ფარანიცა კრიციას ასულმა  
კანოპემ ოდესღაც ღმერთებსა შესწირა.

კარგა ხანსა ვათვალერე ფარანი პენსილე,<sup>10</sup> ძველსა ჟამსა თებუდან  
აპოლონ პალატინელისა ტაძარში წაღებული და შემდგომად ალექსანდრე  
დიდისგან ეოლიდის ქალაქ კიმეში გადატანილი.

ჩემი ყურადღება კიდევ ერთმა ფარანმა მიიქცია: თავი ისე საგულის-  
ხმოდ ეჭირა. თითქოს მანონებდა თავის ალისფერი აბრეშუმის კოხტა ქო-  
ჩორსა. ეგაო, მითხრეს, ბარტოლეაო, სამართლისა ფარანიაო.

თვალში კიდევ ორი ფარანი მომხვდა, ორივეს რალაც საგულისხმოდ  
ოყნანი ერჭო ქამართა შიგან, როგორაც ამიხსნეს, ერთ-ერთი დიდი ლუ-  
მინარიუმი იყო, მეორე კი მცირე ლუმინარიუმი, სააფთიაქო.<sup>11</sup>

ვახშმობა რომ მოიწია, დედოფალი ტაბლისა თავში დაბრძანდა, და-  
ნარჩენთ თავიანთი ხარისხისა და წოდებისდა შესაბამად დაიკავეს ად-  
გილნი. სანამ პურსა გატეხდნენ, სუყველას დიდ-დიდნი ქონისა კელაპტარ-  
ნი ჩამოურიგეს, თვინიერ დედოფლისა, რომელსაცა მსხვილი და ლიტაო  
თეთრი ცვილისა კერეონი მოართვეს, მოვარდისფროწვერიანი; გამონაკ-  
ლისსა წარმოადგენდნენ აგრეთვე დიდგვარნი ფარან-ლიფლიფანი, ერთი-  
ცა მირბალეელი ფარანი, რომელ ფარანსაც ნიგვზისა სანთელი შეახვედ-  
რეს, და კიდევ ქვემოპუატუელი ფარანი, ვისაც ჩემ თვალნი დააჭერინეს  
ხელთ უცხოდ დაჭრელებული სანთელი; ერთმა ღმერთმა უწყის, რაგვარ  
სინათლესა აჩენინებდნენ ზიარად ეს ორნი თავიანთ გრძელ-გრძელ ჩლა-  
პატრუქთ, ანუ სანთლიგულთ. გამონაკლისსა წარმოადგენდა აგრეთვე ბევ-  
რი ახალ-უხალი ფარანი, სუყველა ერთი დღემოჭმული ფარნისა ხელ-  
ქვეითი. სხვა ფარანთაგან განსხვავებით ისინი არ ანათებდნენ, მაგრამ, ვი-  
თარ მეჩვენა, ტანისამოსი ნამეტანი ყინჩი ფერისანი შეერჩიათ.

ნავახშმევსა მოსასვენებლად წავედით. დილისა კისკასზედ კი, ავზებე-  
ურდით თუ არა, დედოფლისა ნებისამებრ მეგზურ-ეტიკად ერთ-ერთი  
ღირსეული ვინმე ფარანი ავირჩიეთ და გავუდექით, ვემწყემსეთ გზასა.



თ ა ვ ი XXXIV

ვითარ მივასლოვით გოცა-გოთლისა ორაკულსა,  
ანუ გაზირ-მისანსა



ქველი ფარანი ჩვენი გზასა გვისინათებდა და გულგანძრვებულნი მიგვიძლოდა, ბევრი გვაკეცვინა სავალი თუ ცოტა, ბოლოს, როგორც იყო, მივიწიენით, მივშრომდით ნანინატრ კუნძულ-ჭალაკსა ზედა, სად ბოცა-გოთლისა ორაკული, ანუ გაზირ-მისანი ბინადრობდა. მშრალზედ გადავედით თუ არა, აცალფებულნი პანურგი დაციბრუტდა, შეხტა, შეკუნტრუშდა და პანტაგრუელსა გაედრახა:

— მოვიძიეთ და ეგ არი, რამაც ესდენ ხათაბალასა და დავიდარაბას გადაგვკიდა.

მერმეთ მან თავი დია ზრდილად მიანდო ფარანსა, ვით თავის ჭირისუფალსა. ფარანმა, სასო არ წარიკვეთოთო, დაგვმოძღვრა, და ნურცრა წელში გაგცრით, რაც რამ გინდ გამოგეცხადოთო.

ღვთაებრივი ბოცა-გოთლისა ტაძრისკენ მიმავალთ გზად ერთი სიგრძე-სიგანეზედ კარგა ფართოდ გაზიდული, დელეუარი ვენახი უნდა გავვევლო, რომელ ვენახშიაც ყველაგვარი ვაზი ხარობდა: ეს ფალერნულიო, ეს მალვაზიურიო, მუსკატიო, ტაბიურიო, ბონურიო, მირვოსულიო, ორლენურიო, პიკარდიულიო, არბოასულიო, კუსიურიო, ანჟურიო, გრავულიო, კორსიკულიო, ვერონულიო, ნერაკულიო და ყველასა რა ჩამოთვლის. ვენახი, ანუ საყურძნე ესე. ოდესღაც კეთილ ბახუს-ბაკქოსსა ჩაეყარა. და შიგან იმისთანა ღვთისა მადლი თუ თვალი ტრიალებდა, თამამი ვაზი წელიწადი-თორმეტი თვე არცა ფოთოლსა იღევდა. არცა ყვავილსა და არცა ნაყოფსა, როგორაც რომ ფოთოლხლისა ხენი სან-რემოში. მოსხივცისკარე ფარანმა ჩვენმა, აწვე სამ-სამი ბიმბილი, ანუ ყურძნისა მარცვალი შეჭამეთ, პირი გაისველეთო, ხამლთა შიგან ფოთოლნი ჩაიფინეთო და მარცხენა ხელში სუყველამ რქა-ყლორტი დაიჭირეთო, ბრძანა. ვენახსაყურძნისა ბოლოში ანტიკური რამ თაღისა, იგივე ცადაქნილისა ქვეშე გავიარეთ, რომელ თაღზედაც მოსმურ-მოლხინარი კაცისა ნადავლ-ალაფი იყო საგულდაგულოდ გამოკვეთილი, საკუთრივ კი: ერთ ფრიად გრძელ რიგად ეწყო არა ერთი და ორი ქამალალო-მათარა, ტიკჭორა, ბოთლი, ჭიჭლა, ფარჩი, კუტალი, საგუბელა, როფი, ხელადა, ჩაფი და ანტიკური ჭურჭელი, საჩრდილობელ საჩეხზედ დამაგრებული; მეორე რიგად გალაგალა ეყარა ნიორი, ხახვი, ჭკვალი, ბლომად ჩანდა ღორისა შაშხი, ფელიკი, ხიზილალა, შებოლილი ხარისა ენა, მოთალი და სხვა საუზმეული, ვაზისა რქაზედ კოხტად ჯაგან-ჯაგან და ღარადელად ასხმული; მესამე რიგსა შეადგენდა სულ ნაირგვარი სასმურ-სასმისი: რაგინდარა ფეხიანი და უფეხო სირჩა, ბადიმი, რაგინდარა ფილჯამი, ფიალა, თასი, კათხა, კარახანა, ჩოლრათო, აზარფეშა, თხლაშო თუ წრუტო, კულა და სხვა მრავალი მსგავსი ბაკქოსური არტილერია. თაღისა გარე მხარესა, ზოოფორისა ქვეშე, ესეგვარი რამ ლექსი იყო მიწერილი:



ვერცვინ აგიშლის ბალანსა,  
თუკი იახლებ ფარანსა.



— ჩვენ რომ ფარანი ვიახლეთ, იმისთანა შუქიანსა და საკვირველსა, ტყუილია, მთელსა ფარანეთში ვერ იპოვნის კაცი, — ნარტქვა პანტაგრუელმა.

ზედ თალიდანვე იწყებოდა მართლა არნახული, კარგა გრძლად გაჭიმული თალარი, იგივე ტალავერი თუ მყოდოლი, ანუ ხეივნად გაშენებული ვაზნარისა დერეფანი, შუაგი, საიდანაც თვალჭრელად, მარჩხად გამოიციქირებოდა ხუთასნაირი ფერისა და ხუთასნაირივე სიმსხო-მოყვანილობისა მტევან-მარცვალი, შექმნილი არა ბუნებისგან, არამედ სახნავ-სათესად მიწისა შემუშავების სწავლა-ხელოვნებისგან; და სულ ერთმანეთში ირეოდა: ნაყვითლო, ნალურჯო, ნაბლისფერი, ცისფერი, თეთრი, ყუყა-შავი, მწვანე, სოსანი, ჭროლა, თითა-შუშუშა, გრძელმტევანა, მრგვალყურძენა, თავსამკუთხა, თავკვერცხა, თავგვირგვინა, თავკომბალა, ულვაშა, წვერა. ფანჩატურ-თალარისა ბოლო სამი ნაირსახეობისა სულ მთლად მსხმოიარე ანტიკურ ხასხასა მწვანე სურო-ფათალოს დაეფარა, აქა მოტყინარე-ბრწყინვალე ფარანმა ამა სურო-ფათალოსგან ალბანურ თავსარქმელთა თხზვა-დანვნა და დახურვა გვიბრძანა, და ჩვენცა წამერთ აღვასრულეთ, არა დაყოვნებულვართ.

— წინანდელსა დროში ეგევითარი მყოდოლ-თალარისა ქვეშე იუპიტერისა ვერც ერთი უზენაესი ქურუმი ვერ გაბედავდა გავლასა, — ნარტქვა პანტაგრუელმა.

— მაგის მიზეზი მისტიკური თვითება-თვისებისაა, — განმარტა ჩვენმა შუქმოიეფე ფარანმა. — უკეთუ იმა ქურუმთაგანი აქა გაივლიდა ვინძე, მაშინ ყურძენი, რომელ არს ღვინო, თავზემთ მოექცეოდა, და მხილველნი უთუოდ იფიქრებდნენ, ეგა ღვინისა ნებისა მყოფელი, ანუ მონა და მორჩილი ყოფილაო, ქურუმთ კი, აგრეთვე ღვთაებრივისა ჭვრეტად დამდგარ ყოველთა კაცთ, მართებთ, რომ სულისა სიმშვიდესა ინარჩუნებდნენ და თავსა არიდებდნენ გრძნობათა ყველაგვარ აშლასა, რაიცა არცრისა ყინში ისე ძალუმ არა ვლინდება, როგორაც თრობისაში. ამგვარადვე და ამნაირადვე, ამა თალარისა ქვეშე გავლილნი ვერცა თქვენ შეაღებდით ღვთაებრივი ბოცა-ბოთლისა ტაძრისა კარსა, უკეთუ ხამლთა შიგან ვაზისა ფოთოლნი არ გექნებოდათ ჩაფენილნი. ეს კი დარბაისელ ქურუმ ქალ ბაკბუკისა თვალში საჩინო რამ საბუთი იქნება სრულიად საპირისპიროსი, უკიდურესად საწინააღმდეგოსი, ანუ იმისა, რომ ღვინო გძაგთ, თქვენგან ის თრგუნვილია და გმორჩილებთ.

— ჩემდა საუბედუროდ, მე სწავლული კაცი არ გახლავარ, — მიუთხრო ძმა ფანმა, — გარნა ჩემსა კონდაკში ამოვიკითხე, რომ აპოკალიფსსა შინა აღწერილია ერთი ფრიად საკვირველი ხილვა: ქალი, რომლისა ფეხქვეშაც მთვარეა. ვითარ ბიგომ<sup>2</sup> ამიხსნა, ხსენებული ქალი უცხო რამ განაგის-გასაგისისაა და შექმნილია არა როგორაც სხვა ქალნი, რომელთაც, პირიქით, მთვარე თავზედ ადგათ, რისა გამოც სამთვარიო სჭირთ, ტვინი ცისადცისად გვემული აქვთ; ამიტომაც, არც ერთი შენი სიტყვა, ჩემო საყვარელო უფალო ფარანო, ჩემში ეჭვსა არ იწვევს და სრულად მეჯერება შენგან გამოსიტყვავებული სუყოველი აზრი.



თ ა ვ ი XXXV

ვითარ ჩავედით მიწისა ქვეშე, რათა გოცა-გოთლისა ტაძრისი  
შევისულიყავით, და რად არის შინონი დედამიწისა ზურგზედ  
პირველი ქალაქი

ეჩიუნსული  
შინგლირეთქა

მივყევით მობათქაშებულ კამაროვან ტალანსა, რომლისა გარეთა ბე-  
დასლი მხატვრობაც ქალთა შუშპარსა და სატირთ, იგივ თხაკაცთ ასა-  
ხავდა, ვირზედ შემომჯდარ, ახარხარებულ ბერიკაც სილენეს ადევნებულთ,  
და მიწისა ქვეშე ლაკვა-დარღალასა, ანუ ნაგებსა ჯურღმულ-დარანსა  
რასმე ჩავედით.

აქა პანტაგრულსა მივუთხრე:

— ამა გადასასვლელმა დედამიწისა ზურგზედ პირველი ქალაქისა  
ერთი მოფერწერებულ-მოხატული მარანი მომაგონა: იქაც ალი-კვალად  
ეგეთივე მხატვრობაა და ისიც სრულიად ანქმნილია, ახალთახალი.

— სად არის ეგა? — დამეკითხა პანტაგრული. — რომელსა ეძახი  
დედამიწისა ზურგზედ პირველსა ქალაქსა?

— შინონსა, იგივ კენონსა. ტურენში რომ არის, ჩემო ბატონო, —  
მივუგე მე.

— შინონი ვიცი, — წართქვა პანტაგრულმა. — ეგ მოფერწერებულ-  
მოხატული მარანიც ვიცი; მანდ არა ერთხელ და არა ორჯერ დამიღვევია  
ცივი ღვინო, და სულაც ცილსა არ ვიდებ, რომა შინონი ოდინდელი ქალა-  
ქია, რასაცა გერბიც ადასტურებს მაგისი:

სწორი არა ჰყავს შინონსა,  
მცირესაც თვალსაჩინოსა,  
ძველსა არ კარგავს იერსა,  
მაღლით დაჰყურებს ვიენსა.

მაგრამ რად არის დედამიწისა ზურგზედ პირველი? სად არის ამაზედ  
თქმული? რა მოსაზრება გაუბნებს?

— საღმრთო წერილსა შინა თქმულია, ქალაქისა პირველი აღმშენე-  
ბელი კენი იყო. — მივუგე მე. — მაშასადამე, არცარა დაუფერებელია,  
უკეთუ თავისა აღშენებულ პირველსა ქალაქსა თავისი თავის პატივსა-  
ცემად კენონსა დაარქმევდა, მერმეთ კი უკვე სხვათაც მიბაძეს, და ვი-  
ნაც კი შემდგომად სადმე ქალაქი დააარსა თუ აღაშენა, სუყველამ თა-  
ვისი სახელი დასდო თავის დაარსებულ-აღშენებულსა: ათენამ (მინერვას  
ბერძნული საწოდებელია) — ათენსა, ალექსანდრემ — ალექსანდრიასა,  
კონსტანტინემ — კონსტანტინოპოლსა, პომპეუსმა — კილიკიის პომპეი-  
ოპოლსა, ადრიანემ — ადრიანოპოლსა. აგრეთვე ქანაანმა — ქანაანელთ,  
საბამ — საბეიელთ, ასურმა — ასურელთ. ესეგვარივე წარმოშობისაა  
პტოლემეაიდა, კეისარია, ტიბერიუმი და იუდეის შეროდიუმი.

ჯერეთ ისევ ამა უბნობაში ვიყავით, რომ ჩვენკენ ლიტრიანი ჩაფი  
ანუ ბორჩხულა წამოვიდა (ფარანმა ჩვენმა ურჩხულა უნოდა), ბოცა-  
ბოთლისა გუბერნატორი, რომელსა ტაძრისა მცველნი ახლდნენ, სულ  
ერთიანად ფრანგულნი შუშანი. რაკი გული დაიჯერა და დაინამდვილა,  
სუყველასა ხელთ ტირსი უჭირავსო (ვითარ უკვე ითქვა), ხოლო თავზედ



სურო-ფათალოს გვირგვინი ადგასო, და რაკილა ჩვენი სახელმობხვეჭილი ფარანიც ეცნო, ბორჩხულამ მან ეგრევე დაუბრკოლებლად გაგვბტარა და ბრძანა, რომ პრინცესა ბაკბუკთან მივეყვანეთ, ბოცა-ბოთლისა სუფექალთან და სუყოველი მისტერიისა ჟამსა უზენაეს ქურუმთან, რაცა ლანდზედ აღსრულდა, ჰაიარად.

ქართული  
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი XXXVI

პითარ ჩავყევით ტეტრაქტიდულ ხარისხ-საფენურთ,  
და პანურგისა შიშნეულოგისა გამო

მას უკან მარმარილოს კიბესა ერთ საქცევზედ ჩავყევით, იქ უკვე ბაქანი დაგვხვდა; მერმე მარცხულ გავუხვიეთ და კიდევ ორ საქცევსა ჩავყევით, იქ კიდევ ერთი ბაქანი დაგვხვდა; მერმე კიდევ სამ საქცევსა ჩავყევით. ოღონდ საპირისპირო მხარესა, და კვალად ბაქანზედ ჩავედით. კიდევ ოთხი საქცევი ჩავათავეთ და ისევ ბაქანზედ მოვხვდით.

ბოლოს პანურგმა იკითხა:

— აქ არის?

— რაერთი საქცევი დაითვალეთ? — კითხვასა კითხვა შეუნაცვლა ჩვენმა მოსხივცისკარე ფარანმა.

— ჯერეთ ერთი, მერმეთ ორი, მერმეთ სამი, მერმეთ ოთხი, — მიუგო პანტაგრუელმა.

— სულ რაერთია? — დაეკითხა ფარანი.

— ათი, — მიუგო პანტაგრუელმა.

— ეგ, რაც გამოგივიდათ, ადექით და პითაგორულ ტეტრაქტიდაზედ, ანუ პირველი ოთხი რიცხვისა ჯამზედ გადაამრავლეთ, — მიუთხრო ფარანმა.

— ეგ იქნება ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი, — მიუგო პანტაგრუელმა.

— სულ? — დაეკითხა ფარანი.

— ასი, — მიუგო პანტაგრუელმა.

— მაგას მიუმატეთ პირველი კუბი, ესე იგი რვა. — მიუთხრო ფარანმა, — ვითარ ეს საბედისწერო რიცხვი ჩამთავრდება, ტაძრისა კარიბჭესთან ვიქნებით. ნამდვილი თუ გინდათ, სწორედ ეს არის უტყუარი პლატონისეული ფსიქოგონია,<sup>2</sup> აკადემიკოსთაგან აზმაალვლენილი, ოღონდ უხეიროდ გაგებული: ნახევარი ხსენებული ფსიქოგონიისა შედგება ერთი-ანისგან, ორი მომდევნო მარტივი რიცხვისგან, ორი კვადრატული და ორიც კუბური რიცხვისგან.

მიწისა ქვეშე ამა რიცხვულ ხარისხ-საფენურთ რომ ჩავდევდით, ძალიან გამოგვადგნენ, ჯერეთ ერთი, ფეხნი, რამეთუ უიმათოდ ბურწინკასრთ დავემსგავსებოდით, მარანში სადმე ჩაგორებულთ, მეორეც, ჩვენი შუქმონავანი ფარანი, რამეთუ ხელთ სხვა სინათლისა წყარო არცრა გაგვაჩნდა, თითქოსდა ჰიბერნიაში წმ. პატრიკისა მღვიმეში ვიყავით<sup>3</sup> ანდა ბეოტიაში ტროფონიოსის ხნარცვსა შიგან.<sup>4</sup>

აღბათ სამოცდამეთვრამეტე საქცევზედ ვიქნებოდით ჩაშავებულ-ჩაქვესკნელებულნი, რომ პანურგმა პირი მოსხივცისკარე ფარანსა მიაპყრო და შეჰყვირა:



— სასწაულმოქმედო წინამძღოლო ჩვენო, გულამოვარდნილი გააჯები: უკან გაგვაბრუნე! ზვარაკისა მადლმან, შიშისგან აღარა ვარ. ჯანდაბას ჩემი თავი, დავრჩე და დავრჩე უცოლო, ოჯახმწუნო, რა ვქნა. ჯერეთ ისედაც ბევრ ვაისა და უის გადაგყარეთ, რისთვისაც უფალი შეგენევით განკითხვისა დღესა და არცა კიდევ მე დაგრჩებით ვალში, როგორც კი ამა ტროგლოდიტურ მღვიმესა დავუძვრები. გავბრუნდეთ, ხათრი გამინიე! კარგა გვარიან ეჭვში ვარ, ესა, ღმერთმანი, ტენარონისა კონცხია, სად ჯოჯოხეთსა შიგან ჩადიან. კაცობა შემირცხვეს, უკვე ცერბერისა ყეფა თუ არ მესმოდეს. აბა, ერთი შენაც მიუგდე ყური: ეგების სულაც მეჩვენება, მაგრამ, მგონი, ის უნდა იყეფებოდეს, მაგისტვის არცროდის შემივლია კეთილად თვალი, რამეთუ ყოვლის უფროისლა საშინელი კბილისა ტკივილიც ვერ შეედრება ფეხში წამწვდარი ძაღლისა ნაკბენსა. უკეთუ ტროფონიოსისა ხნარცვსა შიგან ვართ, მაშ. ლემურთ და ავსულთ ცოცხლად შევუჭამივართ და ეგ არი, ვითარ ოდესლაც სახეთქისა უქონლობისა გამო მაგათ დემეტრიოსს ერთ-ერთი მეაფთე შეუჭამეს. ძმაო ჟან, აქა ხარ? სიკეთე ქმენ, ჩემო ლენდერავ, არ მომშორდე, თორემ ფახადი გამათავებს. შენი მახვილი ხომ თანა გაქვს? მე არცა იარაღი რამ წამომიღია და არცა აბჯარ-აბგარი. გავბრუნდეთ!

— აქა ვარ, აქა ვარ, ნუ შიშნეულობ, — შეეხმიანა ძმა ჟანი. — ქეროთი მიჭერიხარ, თვრამეტი ეშმაკიც ვერ გამომგლეჯს ხელთაგან შენსა თავსა, რა ბედენაა, უკეთუ უიარალოდ ვარ! ოდეს ქველი გული ქველ მარჯვენასთან ქავშირსა შეკრავს, მაშინ იარაღიც გაჩნდება: სულაც რომ არსად იყოს, ციდან ჩამოვარდება. როგორაც რომ კროს ველ-მინდორზედ, მარიანისა ხნარცვთა შორიახლო, პროვანსში ოდესლაც უნინ შერკულესისა საშველად ქვისა ნვიმა მოვიდა (ის ქვანი დღესაც იქა ყრია), არადა ნეპტუნისა შვილთ ვერცრით შეებმოდა, ქვასა თუ არ დაჰკრებდა. არა, მაინც სად ჩავდივართ: პატარა ბაღთა ლიმბთა შიგან (გული მეუბნება, ისინი სუყველასა თავზედ გვიზამენ) თუ ქვესკნელში, ეშმაკთა სანახავად? ჯვრისა მადლმან, ვერცა ერთი ეშმაკი კისერმოუგრებელი ვერ გადამირჩება, რამეთუ ხამლთა შიგან ვაზისა ფოთოლნი მიფენია! სულ გაჩენისა დღესა ვანყვევლინებ! გარნა სად ეშმაკში არიან? ოდენ რქანი უჩანთ, თავსა ნაბამნი, რანითაც შიშსა მგვრიან. დაღათუმცა, რქანი მერმე ნახეთ ცოლიანი პანურგისა, და დიალაც ისინი დამიცავენ ყველაგვარი ბოროტისგან. ვითარ ჟამთა მჭვრეტსა და გულთმისანსა, ან უკვე თვალწინ მიდგას ის რქაბნული პანურგი, მეორე აქტეონი. რქანაყარი, რქაფინალა, რქაბუდიანი.

— ფრთხილად, frater! — მიუთხრო პანურგმა. — იცოდე, ერთ მშვენიერ დღესა მონაზონთ სულ ზედიზედ დაგაოჯახებენ და შენა ციებ-ცხელებასა შეგრთავენ. სხვა არა მინდა რა, ოღონდ ერთი მრთელი და უჭირველ-უვნებელი ამიყვანა ამა ჯურღმულიდან, მარტო იმიტომ დაგანვენ ციებ-ცხელებასთან და დაგაგრილებინებ, რა არი გარქაკუანდე და გარქაცუანდე. ისე, კაცმან რომ თქვას, კარგი კახპა ვინმეა ეგ ციებაა თუ ცხელება. უკეთუ მახსოვრობა არ მატყუებს, კატაბანი აკი გირიგებდა კიდევ, რისა გულისთვისაც მწვალელებისა სახელი დასდე.

აქა ჩვენმა კაშკაშა ფარანმა გაგვარჩუნა, პირზედ კლიტე დაგვადო და გვითხრა, — ადგილსა ამასა პატივდებად უბნობისა შეწყვეტა და ენაზედ კბენა პფერობსო, თანაც კიდევ მტკიცედ შეგვპირდა, ვინათგან ხამლთა



შიგან ვაზისა ფოთოლნი გიფენიათ, აქედან ფეხსა ისე არ მოიცვლით, ღვთაებრივი ბოცა-ბოთლისა სიტყვა არ გაიგონოთ.

— მაშ, აბა, წინ გაგვიწევია! — შეჰყვირა პანურგმა. — დედა/ვუტი-  
როთ მარღვიელ-ეშმაკთ! ორჯერ სიკვდილი არ იქნება. სხვისი არ ვიცი, მე კი ბრძოლისთვის ვინახავდი თავსა. წინ! წინ! სიდედლე! რა საჭადრი-  
სია! ჩემი სიმამაცე ბარე ორ ვაჟკაცსა ეყოფა. გული თუ შიფანცქალებს, სიცივისა და დახუთული ჰაერისა ბრალია, შიშისგან ან ციებ-ცხელების-  
გან არ გეგონოთ. ნავედით! ნავედით! სულ ბდღვირი ვადინოთ, თავთხლე გადავადინოთ! ტყუილად კი არ მეძახიან გილიომ უშიშარსა!

თ ა ვ ი XXXVII

ვითარ თავისით სასწაულგრივად განიხვნა  
ტაძრისა, იგივე საუფლო სახლისა კარი!

სად კიბე თავდებოდა. ზედ იმა ადგილას იასპის კობტა ბჭე იდგა, დო-  
რიული სტილისა და გემოვნებისდა კვალად თანაშეზომილ-თანაზომიერი,  
რომლისა საჩინო პირსა ზედა ოფაზისა, იგივე წმინდა, შეურეველი ოქროს  
ასოთა დასხმით ესეგვარი რამ შეგონება ეწერა: 'εν οὐκ ἀλήθεια, ანუ:  
ქ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ღ ვ ი ნ ო შ ი ა. ტაძარსა მძიმე ორსაგდულიანი კარი  
ება, ორფრთიანი, ვგონებ, კორინთული რვალ-ბრინჯაოსი, სულ ერთიანად  
ნაძერწი, კნინსამკაულიანი, რომელნი სამკაულნიც ერთობ ოსტატურად  
მოემინანქრებინათ, ვითარცა მქანდაკებლობისა წესია, საგდული საგდულ-  
სა კი, ანუ ფრთა ფრთასა. ისე მჭიდროდ იყო მიჯრილ-მიჯიფთული და  
მორგებული, აღარცრა წელთი თუ ურდული ეჭირვებოდა. აღარცრა ასა-  
ყარ-ჩამოსაყარი საკვალთი, აღარცრა სხვა საკვეტი რამე. ორთავ საგდულ-  
ფრთასა ოდენ ინდური ალმასი, ანუ დიამანტი ეკიდა ეგვიპტური ცერც-  
ვისაოდენი; ალმასი იგი ბოლოებგამწვეტებულ ოქროს თალა-სალტეში  
იყო ჩასმული და მართკუთხა ექვსნახნაგოვანსა წარმოადგენდა, რომელ-  
საცა გარშემო პაშტა გალა-გალად დანნული ნიორი ჩამოჰკონწიალებდა.

აქა ჩვენი ქველი ფარანი შედგა, ბოდიშობასა მოჰყვა და დაგვეუარა,  
მეტსა ვერღა გამოგყვებითო; ან უზენაეს ქურუმქალ ბაკბუკსა უნდა მი-  
გნდოთო, რამეთუ ტაძარში შესვლა მე იმა სხვათა და სხვათა მიზეზთა გა-  
მომეკრძალვის, უბრალო სიკვდილისა შვილთაგან რომელთა არცოდნა  
უფროისლა ეგების, ვინემ ცოდნაო. თან გვირჩია, რაც გინდ მოხდეს, თავ-  
გზასა ნუ დაკარგავთ, ნურცრასა შეუშინდებით და ნურცა თავზარსა და-  
იცემთო, გაყვანითაც აქედან უკან ისევ უზენაესი ქურუმქალი გაგიყვან-  
თო; მერმეთ ადგა, ფრთა-საგდულთ შეყრისა ადგილას დაკიდებული ალ-  
მასი ჩამოხსნა და ვერცხლისა მოთხეში ჩადო, რომელი მოთხეცა, ანუ  
გვადრუც-კოლოფი, საგანგებოდ ამისთვის მარჯვენა მხარესა იყო ჩამობ-  
მული. მას უკან ზღურბლიდან, იგივე ქუსლისა დასადგმელი ადგილიდან,  
ალისფერი ჭიჭნაურისა ზონარი ამოაძრო, ტუაზნახვერიანი სიგრძისა,  
ნიორჩამოკანკურებული, მიაბა ორ ოქროს რგოლსა. აქეთ-იქით, ორსავ  
გვერდზედ საგანგებოდ ამისთვის დამაგრებულსა, და განზედ გადგა.

ანაზდად, კაციშვილსა ხელი არ უხლია, ერთი ფრთა-საგდულიც შეი-  
ლო, მეორეცა და არცრა ჭრიალი, არცრა ჭკრთიალ-ღრჭიალი, არცრა ჯა-



ხუნი არა გაგვიგია რა, ჩვეულებრ რვალ-ბრინჯაოს მძიმე და ქვედამ-ზიდველი კარისა განხმასა რომ უნდა მოჰყოლოდა. ის კი არა და, ტაძრისა კამაროვან ჭერქვეშე ყურთათვის ამო, ნარნარი ჟღერა რამ გაისმა, და პანტაგრუელი უმალ ჩახვდა ამა ხმისა წარმომქმნელ მიზეზსა, რამეთუ ფრთა-საგდულთა და ზღურბლ-დირესა შუა ორ კოეფრქვეშე ლილქსა, მოგრძო და მრგვალ სხეულსა, მოატანა თვალი: იმისდგ უკლებსდ კეთილთარ განხმულნი ფრთა-საგდულნი თავ-თავიანთ მხარესა კედლისკენ იძვროდნენ, ის ლილვნიც ამა ფრთა-საგდულთა გამუდმებული სრიალისგან გაგლუვებულ-გაბდღვინებულ მკვირვ ოფიტსა<sup>2</sup> ზედა მიგორავდნენ და სასმენელთ ერთგვარ ჟღერისა ხმაზედ ესაღბუნებოდნენ.

მოკლედ, მართლა ძალზედ გასახტებული დავრჩი, ოდეს არცვინ შეჰხებია, კარი თავისით ვითარ განიხვნა-მეთქი. და რათა უჩვეულო ამბავი ესე ამომეცნო, როგორც კი ტაძარში მოვხვდით, დავდექი და ხანისად ფრთა-საგდულთ ვულირლიტ-ვუკირკიტე, ხანისად კედელსა; ერთი სული მქონდა, არღა ვიცოდი, რა მექნა, სანამ რამენაირად გავიგებდი, რა ძალამ ანდა რა იარაღმა განახვნა ფრთა-საგდულნი, და ის იყო ფიქრმა გამკრა, ალბათ ჩვენმა თავაზიანმა ფარანმა თუ მოივარგა ეთი ოპისა დ ხმობილი იგი ბალახი, რომელიცა ყველაგვარ ცხრაკლიტულსა ალებს-მეთქი, რომ ფრთა-საგდულთა შეყრისა ადგილას, შიდა ღარ-კილოში, თხელი რამ ფოლადისა ფირფიტელა-პეტალი შევამჩნიე, კორინთულ მაფრახ-ბრინჯაოში ჩაყენებული.

კიდევ ინდური ანდამატისა, იგივე მაგნიტისა, ორი ფილა მოვიხილე, ერთიცა და მეორეც ფართო, ნახევარხელისგულის, ანუ ნახევარტაშის სისქისა, ცისფერი, გლუვი, ორივე მთელ სისქეზედ ტაძრისა კედელში იყო ჩადგმული, ზედ იმა ალაგას, სად კედელსა ყუნწ-ყურთამდის განხმული კარები ებჯინებოდა.

აშკარად ჩანდა, რომ ბუნებისა უჩვეულო, იდუმალ ნებას აყოლილ ფოლადისა ფირფიტელა-პეტალთ ანდამატ-მაგნიტისა მიმზიდველი ძალა ამოძრავებდა; დაღათუმცა, ანდამატსავე დამორჩილებულნი ფრთა-საგდულნი მხოლოდ დიამანტ-ალმასისა დაშორებისა მერმე იძვროდნენ, რამეთუ ალმასისა სიახლოვე აქარწყლებს და აარარავებს ფოლადზედ მაგნიტ-ანდამატისა ზემოქმედებასა, და საჭირო იყო აგრეთვე იმა ორი პაშტა გალა ნივრისა დაშორება. ჩვენმა ხოხნიკმა, გულმხიარულმა ფარანმა რომ ჩამოხსნა და ზონარსა მიაბა, რამეთუ ნიორი ადალაბრებს და აბლაგვებს, ანუ ლუგსა ხდის მაგნიტსა და მიმზიდველსა ძალასა უკარგავს.

ხსენებულ ფილათაგან ერთ-ერთზედ, სახელდობრ მარჯვენაზედ, ძველებურ ლათინურ ასოთა დასხმით კოხტად იყო გამოკვეთილი ექვსტერფიანი იამბი:

Ducunt volentem fata, nolentem trahunt.

ბედი დამყოლსა წინ უძღვის, გაძალებულს კი მიათრევს.<sup>3</sup>

ხოლო მარცხენა ფილაზედ იონიური ასომთავრულითა ლამაზად გამოეყვანათ ესეგვარი ნასიბრძნი:

ΠΡΟΣ ΤΕΛΟΣ ΑΥΤΩΝ ΠΑΝΤΑΚ ΥΝΕΙΤΑΙ  
ყველა ესწრაფვის თავის მიზანსა.



აქა უარაკო, იგივე საოცარი მოზაიკისა, ანუ დოკომიზ-  
საროთისა გამო, რითაც დაშვებულნი იყო ტაძრისა იატაკი

ჩავიკითხე, ჩავთვალე ორივე ნასიბრძნი ესე, თვალთშეშებული დიდმ-  
შვენიერ ტაძარსა, ანუ უფლისა სახლსა, ავხედ-დავხედე და ჩემდა უნე-  
ბურად მზერა ვერღა მოვწყვიტე იატაკისა წარმტაც სახიანობასა, რომელ-  
თანაც, საცა სამართალია, ვერცრა სხვა ხელოვნებისა აღნაქვისი ვერ მო-  
ვა, სადმე ცისა ქვეშე ოდესმე ქმნილი, გინდ სულას ჟამინდელ პრენესტე-  
ში ფორტუნას ტაძრისა იატაკი თქვი, იგივე ფსკერი თუ ქვანაგი, გინდ  
ასაროტის ბერძნული ტაძარი, პერგამონსა შინა სოსისტრატესგან აგებუ-  
ლი. ხსენებული იატაკისა სახიანობა მოზაიკასა, ანუ დოკომიზ-საროთსა წა-  
რმოადგენდა, სულ ბუნებური ფეროვნებისა დათლილ პატიოსან თვალთა,  
სპეკალთა და აღრალთა ოთხკუთხა კენჭთაგან შეწყობილსა: აქ იყო წითე-  
ლი იასპი, ეშმას ქვა თუ ამარტა, თვალისა საამებლად დანიწკლული,  
ოფიტი, ძონი, ლიკოფტალმი, რომელსა უხვად ეყარა ოქროს ნაპერწკალი,  
ატომსაებრ ცეცხლთ უმცირესი, აქატი თუ სათი, ალაგ-ალაგ დაბინდულ  
რძისფრად ათინათინებული, ძალზედ ღია ფერისა ქალცედონი, მწვანე ია-  
სპი, წითელ-ყვითლად დაძარღვული, და სუყოველი ჩამოთვლილი ძვირფა-  
სი ქვისა კენჭი ერთმანეთისთვის ქეშად შეწყობთ და შეეხამებინათ.

ბჭისა იატაკი, ანუ დოკომიზ-საროთი, ზედან გამონატული სურათისა  
შესატყვისად ბუნებრივი ფეროვნებისა კენჭთაგან შეწყობილი, მხილველ-  
ზედ იმდაგვარად ზემოქმედებდა, უეჭვოდ იფიქრებდი, ვილაცის ხელსა ეს  
რაერთი ვაზისა ნასხლავი დაუყრია ძირსაო. თანაც ისე ჩანდა, ვითომცდა  
ერთ ალაგას ბევრი ეყარა, მეორე ალაგას კი ცოტა, და ტაძრისა ბინდბუნ-  
დში ხანისად ლოკოკინა-ლოფორთქინათ მოვკრავდით თვალსა, რქა-ლერნ-  
თა ზედან მცოცავ-მოფუთფუთეთ, ხანისად ვაზისა ფოთოლთა შიგან  
მძრომელ ხვლიკთ, ანუ მსვენთ, აქა-იქ ჯერეთ ისევ მკვახე თუ ოდნავ შე-  
თვალული მტევანი გაკრთებოდა, აქა-იქ უკვე დამკრახული კუმსად შეკ-  
რული, თქმა არ უნდა, ყველაყა უაღრესად ხელგამომავალი ოსტატისა ნა-  
ხელავი იყო და, ზევქის პერაკლეელის მხატვრობისა არ იყოს, სულ ად-  
ვილად შეეძლო შოშიათა თუ შროშანთა და სხვა მცირე სირ-ჭივჭავთა  
ცდუნება-წაცდუნა; ის კი არადა, ამა დოკომიზ-საროთმა ჩვენც მოგვიქცია  
მხარი და თავ-გზა აგვიბნია, რამეთუ სადაც მხატვარსა ნასხლავი ბლო-  
მად დაეყარა, ემანდ არ წამოვედოთო, ფეხთ მალლა-მალლა ვწევდით, თი-  
თქოსდა ოღროჩოღრო, ხირხატი რამ ადგილი უნდა გაგვევლო. მერმეთ  
ახლა ტაძრისა კამარა-კონქთ და კედელთ მოვავლე თვალი: სულ მთლად,  
ერთი ბოლოდან მეორემდის, მარმარილოთი და ძონით შეემკოთ, ისეთივე  
საუცხოო დოკომიზ-საროთით მოეხელოვნებინათ, შემოსასვლელიდან ხელ-  
მარცხნივ კი საგრობისა რამ ამსახველი მართლა უჩვეულოდ ნაოსტატარი  
სურათი იწყებოდა, რომელ საგრობაშიაც ქველმა ბაკქოს-ბახუსმა ინდო-  
ელთ სძლია, და ბრძოლა იგი აგრე იყო ხატდადებული.



თ ა ვ ი XXXIX

ვითარ იყო ხატდადებული ტაძრისა მოზაიკურ, ანუ  
 დოკომიზიან-საროთიან კედელთა ზედან საბროვბ,  
 რომელსიაც მაკქოს-ბახუსმა ინდოელთ სმქლინულნი  
 ზიზღილითქა

პირველში არა ერთი და ორი ხანძარგაჩენილი ქალაქი, სოფელი, ციხე-დარბაზი, ციხესიმაგრე, მინდორი და ტყე იყო ხატდადებული, გამომეტყველად ჩანდნენ აგრეთვე გაცეცხლებულნი, თმაგანენილნი დიაცნი, ისინი პირთაგან ცეცხლსა ყრიდნენ და სულ ლუკმა-ლუკმა გლეჯდნენ ბოროლა-კვებულთ, ვერძთ და ნერბთ, რომელთა ხორცსაც ეგრევე უმად ცეცხლავდნენ. ეს ალბათ იმას აღნიშნავდა, რომ ინდოეთში შეჭრილმა ბაკქოს-ბახუსმა ყველაყა ცეცხლსა და მახვილსა მოაძოვებინა.

ინდოელთ, მომხდურისა მიმართ ზიზღისგან ძოდგინდავლილთ, წინააღმდეგობისა გაუნწელობა იზრახეს, რამეთუ მსტოვარ-აეშაგთაგან, ანუ მტრისა ლაშქრისა მომხილავთაგან, ნიშანდობლივ შეიტყვეს, ბაკქოს-ბახუსისა მხედრობა მეომართ წამლად არ ითვლისო, და შედგება ოდენ ერთი დაგლახაკებულ-დაბეჩავებული, ღრეული, იგივე სიმთვრალე განიადაგებული ბერიკაცისგან, მეფუნდუკე და მაშუშპრალ, დედიშობილა სოფელელ ყმანვილკაცთაგან, რომელთ რქა-პოჩნი ვაცთ მიუგავთო, და უამრავი ღლეული დედაკაცისგანო. რაღა ბევრი გავაჭიაყელავო, ინდოელთ ერთპირ დაადგინეს, მაგათ თავდაცემასა ნურცა წინააღმდეგებით და ნურცა კიდევ შეიარაღებულ წინააღმდეგობასა გავუწევთო, ვინათგან მაგათი ძლევა სახელსა კი არ მოგვიხვეჭს და კი არ აგვამაღლებს, არამედ შეგვარცხვენს, თავლაფსა დაგვასხამს და მოგვაყივნებსო. ბაკქოს-ბახუსი სანთად იყენებდა ინდოელთა ზიზღსა. ჯიქურ მიიწევდა წინა, ყველაყასა ცეცხლსა აპარტახებინებდა (ბარემ აქავე მოგაგონებთ, რომ ცეცხლიცა და ელვაც ბახუსისა საგვარეულო საჭურველია: ამაქვეყნად მოსავლინებლად დაძრულსა იუპიტერმა ელვა მიაგება, ცეცხლი შეახვედრა და დედამისი სემელეც თავის სახლ-კარიანად ცეცხლ-ელვასავე დაამუმლინ-დაანთქმევინა) და გარეშემო არემარესა სისხლსა აწვიმებდა, რამეთუ ზნე სჭირს ესევეთარი: მშვიდობიანობისა ჟამსა სისხლსა გვმატებს, ომიანობისა ჟამსა კი გვხაპავს. მაგალითად გამოდგებოდა კუნძულ სამოსისა ველ-მინდორი, ესრეთ წოდებული პ ა ნ ე მ ა, რაიცა ს ი ს ხ ლ ი თ ა გ ა ჟ ღ ე ნ თ ი ლ თ, დაჟიფვივებულთ ნიშნავს: სწორედ ამა ველ-მინდორზედ მოატანა ბაკქოს-ბახუსმა ამორძალთ, ეფესიელთაგან ოტებულთ, და სუყოველნი სისხლისა გამოშვებითა მოაკვდინა. ამაღ იყო ველ-მინდორი ესე სულ მთლად სისხლითა მორწყული და შეღებილი. ან თვითონ არისტოტელეზედაც უკეთესად იაღლოებთ და ჩახვდებით (რომელიცა თავის პრობლემათა შინა უბნობს ამა ამბისა გამო), რად ეკერათ პირზედ უწინდელსა დროში ესეგვარი ანდაზა: „ომიანობისა ჟამსა პიტნასა არცა რგავენ და არცა ჭამენო“. საქმე ის არის, ვითარმედ ომში მეომარნი უყადადუყისა, ანუ მხეცური დაუნდობლობისა გზასა არიან შემდგარნი, ერთმანეთსა უწყალოდ ჩეხენ და უკეთუ დაკოდილ-დანყლულსა ამა დღესა ხელთ პიტნა ეჭირა ანდა უბედურმა ჭამა კიდევცა, ტყუილია, იმას სისხლსა ვერღა შეუჩერებ, თუ არა დიდი ვაივაგლახისა ფასად.

შემდეგ დოკომიზ-საროთი ბაკქოს-ბახუსისა სალაშქრო სვლასა ასა-



ხავდა: იგი მდიდრულსა ეტლში იჯდა, რომელ ეტლშიაც სამი წყვილი ახალგაზრდა ჯიქი იყო ერთად შებმული; სახე ბაღლისას მიუგავდა, რითაც თითქოს იმის თქმა სურდა, კეთილნი ლოთ-მებრუვენი არცროდის ვბერდებითო, თანაც ვარდისფრად უღაყლაყებდა, ვითარცა ქერუბიმსა, და ლაპ-ნიკაპზედ არცრა გინგლი თუ ბენვისა ნასახი არ უჩვენებდა. შუბლსა ზედა ორი ჩანგალა რქა წამოზრდოდა, თავზედ უცხოდ მცენარეჲსა ყუთრქნისა მტევან-ფოთოლთა გვირგვინი და ალისფერი მიტრა, ფეხთ მოოქრული ყელმოკლე წულანი ეცვა.

იგვრდივ არცვინ მამრი მეომარი არ ედგა; მთელ იმის თარაჯასა, ანუ მცველ ზარმსა და ლაშქარ-მხედრობასა შეადგენდნენ ბასარიდები, ევანტები, ევგიადები, ედონიდები, ტრიეტერიდები, ოგიგიები, მიმალონები, მენადები, თიადები და ბაკქიდები,<sup>2</sup> გალოთებულნი, პირგამეხებულნი, ბორგნეულნი დიაცნი, რომელთაგან ვიეთსა ცოცხალი გველი შემოეხვია ტანზედ, ვიეთსა ცოცხალი დრაკონი, სუყოველნი თმაგაშლილნი იყვნენ და შიგან ვაზისა რქა-ყლორტნი ჩაენნათ, ტანთ ირმისა და თხისა ტყავი ემოსათ, ხელთ ჩუგლუგნი, ტირსნი, სათხედნი და აფთნი ეპყრათ; ხოლო თავიანთ მსუბუქ ფარ-დარაკთ, ოდნავი შეხებისასაც კი წკრიალი და ჟღრიალი რომ გაჰქონდათ, საჭიროებისდა კვალად ვითარცა დაირა-ებანთ და ტიმპანონთ, ისერიგად ხმარობდნენ. იმათი რიცხოვნობა სამოცდაცხრამეტი ათას ორას ოცდაშვიდსა აღწევდა.

მენინავე სპა-ლაშქარი სილენესა ეხელქვეითებოდა, რომელსაცა ბაკქოს-ბახუსი უსაზღვროდ, უზომურად ენდობოდა და რომლისა სიქველესა, სულგრძელობასა, სიმამაცესა და კეთილგონიერებასა არაერთხელ შესწრებოდა. ეს იყო ერთი ტანმორჩილი, ჩაფასკვერა, პარეხი, ანუ გადამლრძვალნი ბერიკაცი, კანკალატანილი, მოკუზული, დაყვიფირებულ-გაფიფვინებული, პალვიანი, დიდპანტურაყურებიანი, ცხვირკეხიანი, ხშირწარბებმოჭმუხნული; ბერიკაცი იგი წყვილგამოუსხმელ, დაუკოდავ კარაულზედ ამხედრებულყო; ხელთ კვერთხი ეჭირა, იგივე ტოკვეცი, რომელიცა საბრჯენადაც უნდოდა და იმისთვისაც, თუ დაქვეითდებოდა, მარჯვედ მოევარგებინა სარტყმელად; ტანთ ქალისა კაბა ეცვა, ფერად ყვითელი. იმის კერძობა-ამალასა სულ ერთიანად სოფლელნი ყმანვილკაცნი შეადგენდნენ, რქაბმულნი, ვითარცა ვაცნი, მძვინვარე-გაბასრებულნი, ვითარცა ლომნი, ტანტარა-დედიშობილანი, და ყოველნი განუწყვეტილად მღეროდნენ, უხამს საროკავთ როკავდნენ; ისინი ტიტირნი<sup>3</sup> და სატირნი იყვნენ. იმათი რიცხოვნობა ოთხმოცდახუთი ათას ას ოცდაცამეტსა აღწევდა.

მეუკანავე სპა-ლაშქარი პანსა ეხელქვეითებოდა, რომელიცა თხისფეხება შემზარად საფრთხობელას წარმოადგენდა, ბარკალ-ბარძაყნი დაფანჩვოდა, შუბლზედ სწორნი, ცადაქნილნი რქანი ასხდნენ, ცხვირ-პირი ჯიგრისფერი ჰქონდა, დაბანჯგვლული, სწორუპოვარი მხნე ვინმე იყო, უშიშარი, შეუპოვარი, ფრიად ფიცხი, მარცხენა ხელში ფლეიტა ეჭირა, მარჯვენაში სამფარჩხი, ანუ სამწყერაო ჯოხი; იმისი მხედრობაც აგრეთვე სატირთაგან, ჰემიპანთაგან, ეგიპანთაგან, სილვანთაგან,<sup>4</sup> ფავნთაგან, ფატუათაგან,<sup>5</sup> ლემურთაგან,<sup>6</sup> ლართაგან, ოჩოპინტრეთაგან და ფუძისა ანგელოზთაგან შედგებოდა, რომელთა რიცხოვნობაც სამოცდათვრამეტი ათას ას თოთხმეტსა უწევდა.

პირიდან სუყველასა ერთი და იგივე სიტყვა უქუხდა: ე ვ ო ე!



თ ა ვ ი X L

ვითარ ასახავდა დოკომიზ-საროთი ინდოელთა ზედა კეთილი  
ბაკქოს-ბახუსისა თავდაცემასა და მიხდომა-შეტევას

შემდეგ ხატდადებული იყო ინდოელთა ზედა კეთილი ბაკქოს-ბახუსისა თავდაცემა და მიხდომა-შეტევა. თვალში მომხვდა, რომ მენინავე ლაშქრისა წინამძღოლი სილენე ოფლად იღვრებოდა და მათრახსა უჭერდა თავის კარაულსა; ჩიჩვირდაშვებული კარაული შიშისა მომგვრელად კრეჭდა კბილთ, ტყუპ-ტყუპ ტლინკთ ყრიდა, მხედარსა იგდებინებდა, კარგა გვარიანად აბრახაბრუხებდა, ერთობ კოტავდა, თითქოსდა კუდქვეშე კოტიზი შესძრომოდა.

სატირთ—ვიეთი კაპიტანი იყო, ვიეთი სერჟანტი და ვიეთიც კაპრალი—ხელთ მწყემსურნი ნესტვნი ეპყრათ, სალაშქროსა უკრავდნენ და მხედრობისა წინ მკვირცხლად ირჯებოდნენ, ვითომ ვაცნი ვართო, ისეგვარად ხტოდნენ, შეიკუნტრუშებდნენ, გაიკუნტრუშებდნენ, გამოიკუნტრუშებდნენ, ფუნდრუკ-ხუნტრუცებდნენ, ხანისად წიხლთ ისროდნენ, ხანისად იკუკებდნენ, ბუქნასა უვლიდნენ, ზედვე აკუკუნ-აჭაჭუნებდნენ და მსაგრობელთ ბრძოლისა ცეცხლსა უღვივებდნენ. გარეშემო ოდენ ერთი ევოე გუგუნებდა. პირველნი მენადნი დაეცნენ ინდოელთ, არემარესა ველურმა ყიყინამ და ტიმპანონ-ფართა საზარელმა ზრიალმა გადაუარა; სურათზედ თვალცხადლივ ჩანდა, ვითარ ირყეოდა ამა ზრიალისგან ცისა გუმბათი, და, მართალი თუ გინდათ, შემდგომად ამისა აღარცვინ არ უნდა გაგაკვირვოთ არცა აპელესისა, არცა არისტიდე თებელისა და არცა სხვა ვინმეს ხელოვნებამ, ვინცავინ ჭექა-ქუხილისა, ციაგ-ციალისა, ელვისა, ქარისა, აგრეთვე სიტყვათა, ზნეთა და გრძნობათა მხატვარი, ანუ ხატისა თუ სახისა დამდებელი ყოფილა, დამფერწერებელი.

შემდეგ წარმოჩენილი იყო, ვითარ ეუნყა ინდოელთა სალაშქრო ბანაკსა ბაკქოს-ბახუსისგან ქვეყნის აოხრებისა ამბავი. ინდოელთ წინ სპილონი წაიძლოლეს, ზურგთა ზედან კოშკ-გოდოლშედგმულნი, რომელთა შიგან მრავალნი მოსაგრენი ისხდნენ, დალათუმცა, ბაკქოს-ბახუსისა ქურუმქალთა წივილ-კივილისგან თავზარდაცემულ, გაგიჟებულ-გავეშებულ სპილოთ პირი იბრუნეს, დაიტიშნენ და ეგრევე ზედ გადაუარეს უკან ადევნებულ თავიანთ ჯარსა. აქა კვალად მოიხილავდით სილენესა, ხან ერთ გვერდში სჩხვლევდა ქუსლსა თავის კარაულსა, ხან მეორეში, ძველებურად ტოკვეცსა, ანუ მოკლე კეტსა უჟაპუნებდა მტერსა, თავის გუნებისად ნავარდობდა, ეტყობოდა, არცა კარაული უტეხდა ხათრსა, პირგანხმული, ვითომცდა აყროყინებული, კვალდაკვალ რომ მისდევდა სპილოთ, და იმისი საბრძოლო დიდი ყვირილი ესე, სულაც არა იმაზედ ნაკლებ ძალუმი, რომელმან უწინდელსა დროებაში, ბაკქანალიისა ჟამსა, ნიმფა ლოტიდა გამოაღვიძა, როს ავად გაპრიაპებულმა პრიაპემ მძინარისა მიპრიაპება მოიპრიანა, კვეთება-შეტევისა ნიშანი გახდა.

იქავე მოიხილავდით პანსა, მენადთა გარშემო აკუნტრუშებული დაგრეხილ ჭლიკ-ფეხთ აცოდვილებდა და ყოველთ საბრძოლველად აზართიანებდა. შემდეგ მოიხილავდით, ვითარ წარტყვევნიდა ყმანვილი სატირი ჩვიდმეტ მეფესა, ერთ-ერთ ქურუმქალსა კი ორმოცდაორი მხედართუფროსი შეეპყრო მტრისა, ზედ ჭაჭუა-გველნი შემოეხლართა და მიათრევდა,



პატარა ფავნი, მტევებარ-დამსხმელ მოლაშქრეთათვის დაგდებინებულ თორმეტ დროშასა მიაცუნცულებდა, ხოლო თავად კეთილი ბაკქოს-ბახუსი სრულ სამშვიდობოში წინ და უკან დაატარებდა თავის ეტლს, ბაგელიმად გაჰპობოდა, გულნიშატიანობდა, ხან სუყველასა ერთად ადღეგრძელებდა, ხანაც ცალ-ცალკე. უკანასკნელ, სიმბოლურად იყო გამოსახული კეთილი ბაკქოს-ბახუსისა ნადავლ-ნაალაფევი და ძლევა

ძლევაშემოსილ ხრაპ-მემთვრალეთა უფლისა ეტლსა მთლად სურო ჰქონდა შემოხვეული, მერას მთაზედ მიგნებულ-პოვნილი და დაგლეჯილი, იშვიათი რამ მცენარე, მეტადრე ინდოეთსა შინა, ხოლო, ვითარ ცნობილია, იშვიათობა ყველაკასა დია ფასსა სდებს. ამა ამბავში შემდგომ ბაკქოს-ბახუსსა ალექსანდრე დიდმა წაჰბაძა თავისი ინდური ძლევაშემოსილებისა ჟამსა. ბაკქოს-ბახუსისა ეტლში სპილონი იყვნენ შებმულნი. ამა ამბავში შემდგომ პომპეუს დიდმა წაჰბაძა, ოდეს ძლევაშემოსილი და მრე ბრუნდებოდა აფრიკიდან რომში. ეტლში გამოჭიმულ ბაკქოს-ბახუსსა ხელთ ჯამფილა ეჭირა და ღვინოსა ღლევადა. ამა ამბავში შემდგომ გაიუს მარიუსმა წაჰბაძა, ოდეს ექს-ან-პროვანსში კიმერნი დაამარცხა, გაახმალკისერკიდებულა. ბაკქოს-ბახუსის სუყველა მეომარსა თავზედ უკლებლივ სუროს გვირგვინი ედგა; სუროთი შემოენნა კაცადკაცადსა თავისი ტირსი, ფარი თუ ტიმპანონი. სილენეს კარაულსაც ის ეფარა, ვითარცა ასალი.

ეტლისა მარცხულ და მარჯულ წარტყევილნი ინდოელნი მეფენი ვლიდნენ, რომელთ შესაბორკილებლად მსხვილნი ოქროს ჯაჭვნი ეხვიათ; ბაკქოს-ბახუსისა სრულად მთელ მხედრობასა უჩვეულო, მართლაცდა საარაკო ზედაფრენა შესდგომოდა, თვლა არა ჰქონდა ნადავლსა და ალაფსა, ფერკულთ<sup>1</sup>, ანუ ხირაულთ თუ ტახტრევან-საკაცეთ, საგალობელი ხმა ცასა სწვდებოდა, ხანისად ეპინიკი<sup>2</sup> ისმოდა, ხანისად დითირამბი.

სულ ბოლოში ეგვიპტე იყო ხატდადებული ნილოსიანად, სად მობლომებულიყვნენ ნიანგნი, იგივე ხვითქნი თუ ვიგრნი, აგრეთვე კერკოპიტეკნი, იბისნი, თვალსა მოატანდი მრავალსა ყაპუზუნა-მაიმუნსა, ტროპილსა,<sup>3</sup> იქნემონსა, ჰიპოპოტამსა და ბევრსაც სხვა ცხოველსა, რომელიც რომ იქ იცის, ბაკქოს-ბახუსი კი სადაც გამოჩნდებოდა, ყოველგან თან დაჰყავდა ორი ხარი, რომელთაგან ერთსა ოქროს ასოთა დასხმით ეწერა: Apis, ხოლო მეორესა: Osiris, და ყოველთა იმათ მხილველთ დალდალანი გაჰქონდათ, მით რომ ბაკქოს-ბახუსისა ჩასვლამდე ეგვიპტეში არცა ვისმესა ხარი ენახა, არცა ძროხა.

### თ ა ვ ი XLI

რაბვარ გასაოცებელ ძორკანდელსა, ანუ საკიდარ ხომლსა  
გაესინათეპინა და გაემფიანეპინა ტაძარი, იგივე სახლი საუფლო

ვიდრე ბოცა-ბოთლისა აღწერასა მივყოფდე ხელსა, ჯერეთ წვლილად გაგაცნობთ გასაოცებელი ქორკანდელისა, ანუ საკიდარი ხომლისა მონყობილობასა, რომელი ქორკანდელ-ხომლიცა სრულად მთელ ტაძარსა ჰფენდა შუქსა და, თუმცა ტაძარი იგი მიწისქვეშა იყო, შიგან იმისთანა კაშკაშა ნათელი იდგა, როგორცა რომ შუადლისას იცის, ოდეს დედამინასა ცხრათვალა მზე დაჰნათის, არცრისგან დაბინდულ-დაჩრდილული.

კამარასა შუაგულში მუჭისა სიმსხო ხალასი ოქროს რგოლი ჰქონდა



მამაგრებული, რგოლზედ კი თითქმის იმავე სისქისა სამი დია ოსტატურად მოხელოვნებული ჯაჭვი იყო ჩამობმული, ისინი სამკუთხედსა ქმნიდნენ, და ზედან მრგვალი ურიოშო ოქროს ზოდი ეკიდა, ფინად წოდებული, რომლისა დიამეტრიც არანაკლებ ორ წყრთასა და ნახევარ ხელიაგულსა თუ ტაშსა. ანუ ოთხი თითის დადებასა უთანაბრდებოდა. ~~ჟმქ~~ ~~წოდ~~ ~~ფინსა~~ ოთხი ჩუბუტო, იგივე მცირე ფოსო ჰქონად დაღრმობილი, ~~და~~ ~~თითქმის~~ ში მჭიდროდ იყო ჩასმული ბირთვი რამ, შიგან ქრუვი, განხვრეტილი, ვითა სტვირი, ზემოდან კი დაუხშველი, ანუ თვალად ზედგამოჭრილი ბაზმა-კანდელი, რომლისა სიმრგვალისა სივრცე თუ გარშემოწერილობა, სულ ცოტა, ორ ტაშსა მაინც უტოლდებოდა, და სუყველა ძვირფასი ქვისა იყო: ერთი ამეთვისტოსი, მეორე ლიბიური ლალისა. მესამე ოპალისა, მეოთხე ტოპაზისა. ოთხსავე ამა ბაზმა-კანდელში სულ ხუთნახადი არაყი, იგივე იყი ესხა, დაუშრეტელი და უღევი. ვითარცა ის ზეთი, ოდესღაც კალიმაქემ ათენისა აკროპოლისში პალადას ოქროს ლამპარსა შიგან რომ ჩაასხა.<sup>1</sup> ხოლო ბაზმა-კანდელთა ჩლა-პატრუქნი, იგივე სანთლიგულნი, ნაწილობრივ მთის ქანსელისა იყო (ვითა ძველთუძველეს ყამსა იუპიტერამონისა ტაძარში, რასაცა დასტურსა სცემს კლეომბროტე, ფრიად ცნობისწადილიანი სიბრძნისმეტყველი კაცი), ნაწილობრივ კარპაზიული სელისა,<sup>2</sup> ამა ორივე სახეობისა სელსა კი ცეცხლი იმზომ ვერა ნთქავს, რაზომც განაახლებს.

სულ ცოტა ორფუტნახევრისა დაბლა სამივე ჯაჭვი, ან უკვე ახალ სამკუთხედად ქმნილი, გაყრილი იყო წმინდა, საკუთარი ბროლისა დიდ მრგვალ ლამპრისა სამ ყურში, რომელ ლამპარსაც წყრთანახევრიანი დიამეტრი და ზემოდან ორი ტაშისოდენა ყელი ჰქონდა; ამა ყელისა შუაში ჩადგმული იყო ესეგვარივე ბროლისა მაშრაფა, კვახისა ანდა ალთაფისა, იგივე საშარდე ჭურჭლისა მსგავსი; მაშრაფა იგი დიდი ლამპრისა ძირსა უწევდა და იმოდენ არაყსა იტევდა, რომ ქანსელისა პატრუქის ალსა დიდი ლამპრისა შიგ შუაგულში გაჰქონდა პარპალი, რისა გამოც კაცი ჰგონებდა, ამა ლამპრისა სრულად მთელი სფერული გვამგადგმულობა იწვის და ანთიან, რამეთუ ცეცხლი იმის ცქიტ ადგილას, ანუ სიმრგვალისა შუა წერტილში ლუდლუდებდა.

ლამპარსა მას ვერცა მიაშტერდებოდი, ვერცა მიაჩერდებოდი, ვერცა თვალსა გაუსწორებდი, ვითა მზესა, რამეთუ ყველაგვარ ჭვრეტა-შემზერასა აძნელებდა და აბრკოლებდა როგორაც მასალისა ჭვირობა-გამჭვირვალობა, ისე თვით მოწყობილობა და გამართულობა ამა გამოგონებისა, რომლისა შუქმფინარებასა ოდენ ერთი ახსნა ახლდა: ოთხი მცირე ბაზმა-კანდელისა ანარეკლი ნაირფერადი ბზინვა-ელვარება (ბზინვა კი ძვირფას ქვათა, სპეკალთა თვისებაა) ზემოდან ეცემოდა დიდსა ლამპარსა, ხოლო ამავე ოთხი ბაზმა-კანდელისა მოციმციმე ჭვირ-ციალი ტაძრისა სუყოველ კუთხე-კუნჭულსა ატანდა, ოდეს ეს მიმოცრილი და ფრქვეული შაქი მარმარილოს გლუვ, ანუ უმქისო გინა უროკო, ზედაპირსა ეფინებოდა, რომელი მარმარილოთიც მოპერანგებული იყო ტაძარი შიგან, მაშინ ისეთნაირ ფერთ მოატანდი თვალსა, რანაირ ფერთაც ცისარტყელა თუ ცისამშვილდი აჩენს ხოლმე ცაში, როცა კაშკაშა მზე მწვიმარე ღრუბელთ ეხება.

მართლაცდა საკვირველი რამ გამოგონება იყო, მაგრამ უფროისად



გამაოგნა და გამასახტა მოქანდაკისა ნახელავმან, რომელ მქანდაკებელსაც ბროლისა ლამპრისა ზედაპირზედ გარემრგვლად მოენახტა და ამოეჭრა-გამოეყვანა ჯოხისა ცხენთა თუ კუდა აჩუათა ზედან აღმჯდარ ტინტრაქა ყმანვილთა მხიარული და სალალობო შეხლა-შემოხლა, შიხტალი; ყმანვილთ ხელთ ლელ-ლერწმისა ლახვარნი და ჯაგან-ჯახან-ასხმულ ყურძნისა მტევანთაგან თხზულ-წნულნი ფარ-დარაკ-ვეშაკნი უწყრძთ. თანაც კიდევ იმათი ძალვა-ჭიდილი თუ რქაგრეხილობა ხელოვნებასა ისე მარჯვედ და სანთიანად გამოესახა, უკეთესად ალბათ თვითონ ბუნებაც რომ ვერ ხელიწიფებდა. ვერ იზამდა, ხოლო ნახტ-ჩუქურთმასა შიგან რადგანაც ცისარტყელასებრ ნაირფერად მოთინათინე, საცქერლად სანიაზო ჭვირი, ანუ იგივე შუქი სჭვირდა და კრთოდა, ის მსაგრობელნი, მოლაშქრე ყმანვილნი ამოჭრილ-ამოკვეთილნი კი არა, ზედაპირსა ზედა ამოზიდულნი ჩანდნენ, ანდა სულაც არაბესკთა რამ მსგავსთ მოაგონებდნენ კაცსა, ერთობილი მასალისგან გამოძერწილთ.

თ ა ვ ი XLI

ვიტარ გვიჩვენა უზენაესმა ქურუმმა ჰაკბუკმა  
ტაძარსა შიგან უცხო რამ შადრევანი

სანამ ბებლ-გრძნეულ ტაძარსა და ღირსსახსოვარ ქორკანდელ-ხომლსა შევეფრფინავდით, თავი ქურუმი ქალი ბაკბუკიც შემოგვესწრო, თავის ამაღა-კერძობისა წრეში მოქცეული, პირმხიარული და გაცინებული, ერთი აგვხედ-დაგვხედა, დაგვეკვლია და, ზემორეალწერილი იქაური წესისა და რიგისდა თანახმად ჭურვილ-მოყველა ფრებულნი რა მოგვიხილა, უმაღლ ტაძრისა შუობას მიგვიყვანა, სად ხსენებული ქორკანდელ-ხომლისა ქვეშე უცხოდ სათვალო შადრევანი ჩქეფდა, იმისთანა ძვირფასი მასალისგან ქმნილი და იმისთანად ნაოსტატარი, რომ არცრა უფროისად იშვიათი და უფროისად გრძნეულ-მსახვრალი რამ სიზმარადაც არა ზმანებია დედალოსსა.

ლიმბი, ანუ ბალიში, პლინთი და სამი ტაშისა უმეტესი სიმაღლისა, შვიდკუთხა მოყვანილობის ლიბო-ძირი შადრევანსა სულ ერთიანად წმინდა, ქათქათა ალებასტრისა ჰქონდა, გარედან თანაბრად დაყოფილი თუ სტილობატთაგან, თუ არულეტთაგან, თუ ხვეულ-გრეხილ ხაზთაგან, თუ დორიულ ჩუქურთმათაგან. შადრევანი იგი შიგან წუნდაუდებლად მრგვალი იყო. თითოეულ ქვაკუთხედსა ზედა გვამგადგმული, იგივე მუცლიანი სვეტი იდგა, შუა წერტილიდან ამოზიდული სპილოს ძვლის ცოკოლისა ანდა რიკულისა მსგავსი, ანუ portri, როგორაც ანმყოფნი ხუროთმოძღვარნი უხმობენ, და ესეგვარი სვეტი სულ შვიდი მოეხელოვნებინათ, კუთხეთა რიცხვისდა კვალად. სუყოველი სვეტისა სიგრძე, ძირიდან არქიტრავამდე თუ სამერხულამდე, ლამის შვიდ ტაშსა ედრებოდა და ზუსტად შეეფარდებოდა გარეშემოწერილობისა შუაგულში, ესე იგი ცქიტ ადგილას, გამავალ დიამეტრსა.

სვეტნი ისეთნაირად განერიგებინათ, რომ თუ წინამდგომარეთ ერთი რომელიმეს უკანიდან შევმზერდით, მაშინ, რა მოცულობისაც გინდ ყო-



ფილიყო ეს სვეტი, ჩვენი თვალთახედვისა პირამიდული კონუსი ხსენებულ შუაგულსა, იგივე ცქიტ ადგილსა, ებჯინებოდა.

პირველი სვეტი, ანუ ტაძარსა შესულთ პირველში რომელიცა მოვიხილეთ, ნაზი ცისფერი საფირონისა იყო.

მეორე, იაგუნდისა (ზედან სხვადასხვა ადგილას ბერძნულნი სახეანი A და I დაენუსხათ), ზუსტად იმეორებდა იმა ყვავილისა ფერსა, რომელ ყვავილადაც გაჯავრებული, ბორბოქშემდგარი აიაქსისა სისხლი იქცა.<sup>1</sup>

მესამე, ანაჰიტური აღმასისა, ისეგვარად ციალ-კიალებდა და ციაგებდა, ვითარცა ელვა.

მეოთხე, ლალ-ბალახშისა, მამრული ლალისა,<sup>2</sup> ამეთვისტოსნაირისა, მენამულ-იისფრად კრთოდა და ციმციმებდა, ვითარცა ამეთვისტო.

მეხუთე ზურმუხტისა, ანუ ქვაკაპოეტისა, იგივე ქვამწვანისა იყო, რომელი ქვამწვანეცა ხუთასჯერ უფროისად თვალწარმტაცი ჩანდა, ვინემ ეგვიპტისა ლაბირინთში სერაპისისა ზურმუხტი, და უფროისად კაშკაშებდა, უფროისად ბრწყინავდა, ვინემ ისინი, მეფე ჰერმიას აკლდამისა ახლოსად მწოლიარე მარმარილოს ლომსა თვალთა შიგან რომ ჰქონდა ჩასმულნი.

მეექვსე აქატ-აყიყისა იყო, რომელი აქატ-აყიყიცა უფროისად მხიარული ფერისა და უფროისად მრავლის მქონიარე ელფერისა გახლდათ, ვინემ ისა, აგრერიგად რომ ეძვირფასებოდა პიროსსა, ემპირის მეფესა.

მეშვიდე მჭვირვალე სელენიტისა იყო, ბივრილსაებრ თეთრისა, რომელსაცა ჰიმეტოსური თაფლისა ფერი დაჰკრავდა, სვეტსა შიგან კი მთვარე ჩანდა ისეთივე სახისა და ისევე აცურებული, მართ ვითა ცაზე: ჟამად ბადრი, პირბაკმული, ჟამად დაბნელებული, ჟამად ახალი, ჟამად ძველი.

უნინდელნი ქალდეველნი და მაგ-მოგვნი ზემორეჩამოთვლილ ქვათა და ცისა მნათობთა ფანია-ოჯახსა შორის მჭიდრო რამ კავშირსა ამყარებდნენ. და იმად, რათა კავშირი ესე ყოველთათვის და თითოეულისთვის, იგივე კაცადკაცადისთვის გასაგები ყოფილიყო, პირველი, ანუ საფირონისა სვეტის კაპიტელისა თავზედ წელგამართულად იდგა სატურნისა სახება, ძვირფასი დახალისებული ბრპენისგან ქმნილი; ხელთ სატურნსა ცელი ეჭირა, წოდგელი, ფერხთით წერო ედგა, წერო ოქროსი, დია ოსტატურად მომინანქრებული, რომლისა ფერიც ზუზივ ედრებოდა სატურნისა ფრინველის შეფერილობაზედ წარმოდგენასა.

მეორესა ზედა, ანუ იაგუნდისა სვეტზედ, მარცხნივ, იუპიტერი იდგა, იუპიტერისა კალისგან ქმნილი, და გულზედ მირქმული ჰყავდა არწივი, ოქროსი და მომინანქრებული, ერთსა შეხედავდი თუ არა, თავისი ბუნებური შეფერილობისააო, იტყოდი.

მესამესა ზედა, ხალასი ოქროს ფებოსი იდგა და მარჯვენა ხელში თეთრი მამალი ეჭირა.

მეოთხესა ზედა კორინთული რვალისა მარსი იდგა, ფერხთით ლომითურთ.

მეხუთესა ზედა ფერხთით მტრედითურთ ვენერა იდგა, იმა ბრინჯაო-მაფრახისგან ჩამოსხმული, რომლისნაირიც არისტონიდემ ათამანტისა ალაღმისთვის აირჩია, თეთრისა და წითელი ფერის შეხამება კი არისტონიდეს იმად დაეჭირვა, რა არი შეკდემა-სირცხვილისა გრძნობა გადმო-



ეცა, რომელმა გრძნობამაც შეიპყრო ათამანტი, ოდეს ძე თვისი ლეარქე სასიკვდილოდ გაიმეტა და კლდეზედ გადაგდებულსა შემზერდა.<sup>3</sup>

მეექვსესა ზედა მერკური იდგა, შესქელებულ-შედედებულ<sup>4</sup> მაგრამ ხელდამდგმო, ადვილდასაყალიბებელი სინდიყ-ხინდაკისგან, ანუ ვერცხლისწყლისგან ქმნილი, ფერხთით ყარყატიურთ.

მეშვიდესა ზედა ვერცხლისა მთვარე იდგა, მწევარე<sup>5</sup> დადღესურთ.

სუყოველი ალაღმა ესე თითოეული სვეტისა ერთ მესამედზედ ოდნავ მაღალი თუ იქნებოდა და ისე უზადოდ შეესრულებინათ შემსრულებელთ მათემატიკოსთა ნახაზობისდა კვალობაზედ, რომ კანონიც კი პოლიკლიტესი,<sup>4</sup> რომლისა გამოც უბნობდნენ, ხელოვნებითა ხელოვნებასა ქმნისო, არცრად გამოჩნდებოდა, უკეთუ ამა ალაღმა-ნაქანდაკართ შევუდრიდით.

სვეტთა ფუძე-ძირნი თუ კაპიტელნი, არქიტრავნი, ზოოფორნი და ლავგარდან-კარნიზნი, ყველაჲ ფრიგიული ნამუშავევი იყო, ერთობილი, უფროისად ხალასი და ურიოშო ოქროსი, ვინემ ის ოქროა, ლეზსა მონპელიეს ახლოისად რომ მიაქვს, განგსა ინდოეთში, პოსა იტალიაში, ჰებრსა საფრანგეთში, ტახოსა ესპანეთში და პაკტოლსა ლიდიაში.

სუყოველა თალი სვეტსა და სვეტს შუა იმავ სპეკალისა იყო, იმავ ძვირფასი ქვისა თუ პატროსანი თვლისა, რისაც იყო უახლოესი სვეტი; საფირონისა თალი ებჯინებოდა იაგუნდისა სვეტსა, იაგუნდისა — ალმასისასა და აგრე შემდეგ თანმიმდევრულად.

თალთა და კაპიტელთა თავზედ შიდა მხრიდან გუმბათი დაედგათ, შადრევანსა ჭერისა ბანად რომ ემაგივრებოდა; გუმბათი იგი მნათობთა წყებისა უკან იწყებოდა შვიდკუთხედის მოყვანილობისა, თანისთან კი საფერული მოყვანილობისა ხდებოდა, და იმისთანა კამკამა, გამჭვირვალე და გლუვი, იმისთანა ერთობილი და ერთსახე ბროლისგან იყო შემზადებული. კაცი ზედ ვერცრა ხაოსა თუ ტაოსა, ვერცრა ბუსუს-ბოჭკოსა თუ ჩინჩლსა თუ დამუხვილ თალხსა ადგილსა რასმე უპოვნიდა, ტყუილია, ნსგავსი რამ თვითონ ქსენოკრატესაც არა მოუხილავს რა. გუმბათისა ზედაპირსა ზედან რიგისრიგად განლაგებულ ნატიფ, უცხოოდ ქმნილ კუკნა ფიგურა-კუკთ და ასოთ მოატანდით თვალსა: ამა საქმისა კეთილად მოქმედთ არ გამოჩინოდათ არცა ზოდიაქოს თორმეტი ნიშანი, არცა თორმეტი თვე, თავ-თავის თვითება-თვისებინად, არცა ორივ ნაბუნობა, არცა ორივ ბუნობა, არცა ეკლიპტიკისა ხაზი და არცა უმეტესად საჩინო უძრავნი ვარსკვლავნი სამხრეთ პოლუსისა გარეშემო თუ კიდევ სადმე სხვაგან ჩენილნი, და ყოველივესა ამასა იმზომ ამალლებული ხელოვნებისა ბეჭედი აჩნდა, იმზომ გამოარჩევდა კვალი დიდი რუდუნებისა, ერთი თალია ვიფიქრე კიდევ, ეგების სულაც ნეხეფსო მეფის ანდა რაოდენობისა სწავლის ძველისძველი მეცნავის პეტოსირისის ნამუშავევია-მეთქი.

ხსენებული გუმბათის კუნწუხ-წვეტსა ზედა, რომელი კუნწუხ-წვეტიცა შადრევნის შუაგულსა, ანუ ცქიტ ადგილსა შეესაბამებოდა, სამი წმინდა წყლისა მარგალიტი აეტანათ, სამივ კურცხლის მოყვანილობისა, და ისინი ერთად ციდაზედ უმეტესი სიდიდის ყვავილსა ქმნიდნენ, შროშანსა. ყვავილისა ჯამიდან სირაქლემას კვერცხისოდენა წითელი ლალი გამოჩნდა, გაშვიდნახნაგებული (ბუნებასა უყვარს ესე რიცხვი), მართლა საკვირველი, საოცარი რამ, და თვალი შევავლეთ თუ არა, კინალამ დაგვა-



ბრმავა, რამეთუ ვერცა მზისა შუქი აჭარბებდა თავის სხივმფრქვეველი ბრწყინვალეებითა და ვერცა ელვასა დაემჯობინებინა თავისი სიკაშკაშისა ძალა. ლაპარაკი არ უნდა, იმა ლალისა წინაშე ინდოელი მოგვის იარაქსის პანტარბაც<sup>1</sup> დაივსებოდა და დაიშრიტებოდა, ვითარცა შუადღისას ვარსკვლავთ დაევესებათ ხოლმე ნათელი წინაშე მჭიქსუნეთფილ-უხვავენი და პირუთვნელნი ფასისა დამდებნი კი დასტურებდნენ, რომ ზემორეალწერილნი შადრევანი და ხომლ-კანდელ-ლამპარნი სუყოველ საკვირველება-საოცრებასა და სიმდიდრე-სამკვიდრებელსა ჩრდილავენ, რასაც კი თვისსა წიაღსა შინა იფარავენ აზია, აფრიკა და ევროპა ერთად შეერთებულნი.

დადგეს ან ეგვიპტისა დედოფალი კლეოპატრა და ახარბოს ქვეყანასა თავისი ყურთა შიგან გაყრილი ორი მარგალიტი, რომელთაგან ერთი, ასი ათას სესტერციად შეფასებული, ტრიუმვირ ანტონიუსის ძღვენი, ძმარ-ში გახსნა და გადაყლაპა.

დადგეს და იყოყლიაოს, რამდენიც უნდა, იმდენი აფარფაროს ლოლია პაულინამ თავისი ჭავლიანი მურასა კაბა, სულ ზურმუხტ-მარგალიტითა მოთვალული და თვალისა მომჭრელი, აღმტაცი მსახლობელთა რომისა, რომელი ქალაქიცა მიწყივ სრულიად მთელი ქვეყნისა ძღვევაშემოსილ ავაზაკთა საკუჭნაოდ და ათასი რისამე საწყობად მიითვლებოდა.

წყალი სამთა მილთაგან, იგივე რუსხმულთაგან, ჩქეფდა, სამივე მილ-რუსხმული ნამდვილ მარგალიტთაგან იყო მოხელოვნებული და სამსა ზემორეალწერილ ტოლგვერდა ქვაკუთხედსა ზედან დამაგრებული, ისინი ლოკოკინასდამაგვარ ორმაგ სპირალსა ქმნიდნენ. კარგა ხანსა ვულირ-ლიტეთ, ვჩხრიკეთ და როდესაც თვალი ახლა სხვაგან გაგვექცა, ბაკბუკმა ანაზდად წყლისა ჩუხჩუხისთვის ყურისა მიგდება მოგვინება. და მართლაც უცხოოდ საამოვნო რამ ხმა მოგვეხმა, ცოტა არ იყოს, ყრუ და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, თითქოსდა შორეული, საცალას ცხრა მთას იქით მიწიდან ამომდინარი, მაგრამ ალბათ გულსა აგრერიგად მალამოდ ვერ დაედებოდა, მკაფიო და ახლოიდან გაგონილი ხმა რომ ყოფილიყო. მოკლედ, სული ჩვენი, თვალთა ჩვენთა სარკმელ-ჭვრიტინათაგან ზემოალწერილი სილამაზისა და სიტურფის ხილება-ჭვრეტითა დამტკბარი, მსგავსადვე ტკბებოდა. როს ჩვენთა ხასმენელთაგან ამა ჰარმონიასა, ანუ წყობილხმოვანებასა ისმენდა.

ბოლოდ ბაკბუკმა ჩვენდა გასაგონად აღალო პირი:

— ვინაც კი ფილოსოფოსი გყავთ, სუყველა უარყოფს, რომ მოძრაობისა ქმნა მარტოოდენ ფიგურათა ძალასა შეუძლია. დაღათუმცა, ყურად იღეთ. რასაცა გეტყვით. და წინაუკმო ირწმუნებთ. ჩემი ნათქვამისა დასტურად აგერ ეს ჩვენი ორმაგი ლოკოკინასდამაგვარი კუკ-ფიგურაც იკმარებს, რომელიცა ურთიერთმოქმედებაშია თითოეულ შიდა ნალუნში სარქველთა ხუთმაგ სისტემასთან (როგორაც ღრუ ვენა იმა ადგილას, სადაც ის გულისა მარჯვენა პარკუჭსა ერთვის) და აჩქეფებს ამა წმინდა შადრევანსა, ზედვე ჰარმონიასა შობს, და ჰარმონია ესე თქვენთა ზღვათაც სწვდება.

მერმეთ ნაფათა, რუბ-თასთა, ჯამფილათა, ოქროს, ვერცხლის, ბროლისა და ფაიფურის ფეხიან სასმისთა მორთმევა ბრძანა, შადრევნიდან აღმომჩქეფარე წყლისა დაღვეა ზრდილად მოგვისურვილა, და ჩვენცა თავ-



პატიჟი არ გაგვიდვია, წამსვე თანახმანი გავუხდით და წამერთ მადლობისა სიტყვაც მივართვით. პირდაპირ უნდა გითხრათ, არცვინ ჩვენგანი არ ვეკუთვნით იმა გვარისა ჭივჭავთ, ბოლოზედ ხელი თუ არ მოუთათუნეს, ისე ნისკარტსა რომ არცრასა აკარებენ, ანდა კიდევ იმა ჯიშისა ბოჩოლახბოთ, რომელთაც ვერცრასა შეაჭმევ და ვერცა დაარწყულდებ, — ჩინ-ნინ სახრე თუ არ გადაუჭირე, ვისაც ჩვენი პატივისცემა უნდა, — სულა დაგვაღვეინებს, კაცურად დაგვაღვეინოს, წაფასა დაგვანაფოს, არცვის არ დავეუარებით. მას უკან ბაკბუკმა გვკითხა, ვითარ გეამათ და გეჭაშნიკათ ნახმეურიო. ჩინებული ცივი წყაროს წყალიაო, მივუგეთ და თანვე დავძინეთ, რომ უფროისად ანკარა და ვერცხლისფერი იყო, ვინემ არგრონდის წყალი ეტოლიაში, პენეოსისა თესალიაში, აქსიოსისა მაკედონიაში და კიდნისა კილიკიაში, რომელი კიდნიცა პაპანაქება ზაფხულში იმისთანად საამო, კამკამა და გრილი ეჩვენა ალექსანდრე მაკედონელსა, წყალში ერთი შეცურებისა ნეტარება არჩია და სძლია იმის შიშსა, ვაითუ სულაც გასატკივრებულყო ამა წამიერი ტკბობისა ფასად.

— ეეჰ! — შესძახა ბაკბუკმა. — აი რასა ნიშნავს, კაცი თავის თავს რომ არ უვლის და არცა იმა მოძრაობათა გაგებაშია, რომელთაც ენისა კუნთნი აჩენენ, ოდეს სითხე დაბლა ჩადის, მაგრამ არა სასულედან ფილტვთა შიგან, ვითარ ჰგონებდნენ მორჭმულნი პლატონი, პლუტარქე, მაკრობიუსი და სხვანი, არამედ საყლაპავი მილიდან ფაშვსა შიგან. რარიგ დავიჯერო. გამრიელნო კაცნო, ყრონტნი სუყოველთ მობათქაშებულნი, მოკირწყლულნი და მოკალულნი გაქვთ, ვით ოდესლაც პითილესა, სხვაფერ თეტიასად ხმობილსა, და ვერც დააჭაშნიკეთ, ვერცა აზრი აართვით, თუ რა გემოსია ღვთაებრივი სასმელი ესე? რაც რამ ჩეკი თუ საფხეკსადრესი და ასტამი მომეძევება, სულ აქ მომიტათ მალე, კარგად უწყით, რასაცა გითხრობთ, — მიუბრუნდა ბაკბუკი თავის მხევალ-პირისფარეშთ. — ამათ სუყოველასა სასანი უნდა გავუკლანძ-ჩავუფხიკო, ჩავუქლესო და ჩავუქლესო, სხვანაირად არა გამოვა რა.

შემდგომ მოიტანეს და მოიტანეს, თვლა არა ჰქონდა თვალსადგამ, დიდრონ-დიდრონ ღორისა ბარკალთ, თვალსადგამ, დიდრონ-დიდრონ შებოლილ ხარისა ენათ, ათასნაირ მფავემფუვესა, შეჭმისავე თანა რომ მოგნათლავდა კაცსა, ტვინისა ძეხვეულსა, ხიზილალასა, სულ ახალ-ახალ ნანადირევისა კუპატსა, ათასი მუცელიც არ ეყოფოდა იმ ყრონტსანმენდსა და სამუცლავსა, პირწმინდად თვალისა გამხარებელსა და, რაკი დაგვინახა, რომ ლამის ნერწყვმა დაგვახრჩო, თვალწყალი წაგვივიდა, ბაკბუკმა ჩვენს ხერხზედ მიგვიშვა, დადექით და ძმუძნეთო, ჩვენცა დავდექით და მანამ ვძმუძნეთ, ვჩმუჩნეთ, ვყბორეთ, ვტორეთ თუ ვღმურძლეთ, სანამ ფაშვ-კუჭ-ქეშელნი არ გადმოვიბრუნეთ და ახლა მტანჯველმა წყურვილმა არ შეგვაწუხა გაყეყილ-გაზეზილ-გასისინებულნი. მაშინ ბაკბუკმა წართქვა:

— ოდესლაც ერთმა მეცნავმა და ქველმა იუდეველმა ბელადმა, უდაბნოსა შინა შიმშილისგან დაყმენდილ თავის ხალხსა რომ წინამძლოლობდა, ცასა მანანა მოაწვიმინა. და მომყმარ კაცთა წარმოდგენამ მანანა იგი იმა გემოსი გახადა, რა გემოსაც ისინი ადრე ხორცეულსა ატანდნენ. თქვენც ადექით, იხმიეთ საოცარი სასმელი ესე და დასტურ იმა ღვინისა



გემოსა ჩაატანთ, რომელ ღვინოსაც წარმოიდგენთ. მიეძალენით გონებისა გამომხატველობასა და ჩაღლიეთ.

თქმა და ქმნა ერთი იყო, და პანურგმა ეგრევე შეჰყვირა:

— ღმერთი, რჯული, ნამდვილი ბონური ღვინოა! ას ვქვსი ვშმაკისა ლუკმაც მქნა, თუ ესეგვარი გემოიერი ღვინო ოდესმე დამეღოფსეუფისაც ხანიერ სურს დაჭაშნიკება-გემება. სულ ცოტა, სამი წყრთაქსიერძესა ყარყარა ყელი უნდა ჰქონდეს, რაგვარსაც ფილოქსენე ნატრობდა, ანდა ყელი წეროსი, როგორცა მელანთეს სწადდა.

— პატიოსან ფარანულ სიტყვასა ვუბნობ, ესა გრავული ჭაჭანაურია, მათრობელა, შუშხუნა, — წართქვა ძმა ჟანმა, — ღვთისა გულისთვის, ნუ დამიძალავ, მითხარი, გენაცვა, რარიგ აყენებთ.

— მე კი ვგონებ, მირვოულია, — განაცხადა პანტაგრუელმა. — სანამ უიხმევდი, სწორედ ის ღვინო წარმოვიდგინე. ოღონდ ერთი კია: მეტი-მეტი ცივია, ყინტორისა, ანუ წყაროს ყინულისა უცივესია, ესეგვარი ცივი არცა ნონაკრისისა და დირკის წყალია, არცა კორინთოს კანტოპორის წყალი, რომელმან წყალმაც, ვისაც კი დაუღვევია, გაუყინავი არცვის კუჭი დაურჩინა და არცრა კიდევ სხვა მომწელებელი რამ ასო.

— კიდევ მიირთვიოთ, კიდევ, კიდევ. — უბნობდა ბაკბუკი. — მიწყევრასაც კი რასმე ახალსა წარმოიდგენთ, სასმელსა ამასა სწორედ ის გემო ექნება, რა გემოსაც ჩაუთქვამთ. ამას იქით ნულა იტყვიოთ, ვითარმედ უფლისთვის შეუძლებელი რამე არს ქვეყანაზედ.

— ეგა არცროდის გვითქვამს-მეთქი, — სიტყვა შევუქციე, — ჩვენა სულ იმის მტკიცებაში ვართ, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა.

### თ ა ვ ი X L I I I

#### ვითარ მორთო და მოპრანჭა ბაკბუკმა პანურგი, რათა ბოცა-ბოთლისა სიტყვა გაეგონებინა

ოდეს ამ უბნობასა და სმა-ღღევასა მორჩნენ, ბაკბუკმა იკითხა:

— რომელ თქვენგანსა სწადს ღვთაებრივი ბოცა-ბოთლისა სიტყვისა გაგონება?

— მე, — მიუგო პანურგმა, — შენსა მონა-მორჩილ ძაბრუკასა.

— მოყვასო კაცო, — მიუთხრო ბაკბუკმა, — მართ ოდენ ერთსა გირჩევ: ახლოისრე მისულმან ორაკულსა ცალი ყური მიაპყარ და ისრე უსმინე.

— განა არა, ჩვენში ცალყურასაც კარგად მიირთმევენ.

მერმეთ ბაკბუკმა ხირლა რამ მოაცვა პანურგსა, ლამაზი თეთრი თავსაბურავი დაჭხურა, ჰიპოკრატეს სახელო<sup>1</sup> ჩამოაკონწილა, რომელსა ბოლოში ფოჩისა წილ სამი ქინძისთავი შვენოდა, ხელთათმანთა მაგივრად ორი ძველებური საბიძალი მიუბოძა, წელზედ ერთმანეთსა გადაბმულნი გუდა-სტვირნი შემოარტყა, ხსენებული შადრევნისა წყლითა სამჯერ ჩამოჰბანა პირი, სახეში ერთი მუჭა პიპკი თუ ხლარჩი, ანუ სამინდო, წმინდად გაცრილი ზანდურისა ფქვილი შეაყარა, ჰიპოკრატეს სახელოში მარჯვნივ სამი ფრთა გაურჭო მამლისა და შადრევნისა გარემრგვლად ცხრაჯერ შემოვლა აიძულა, სამჯერ შეახტუნ-შემოახტუნა, შეაკუნტრუშა



და შვიდჯერ ძირსა დაატრაკვინა. თავად კი ამაობაში იდგა და ჩხიბავდა, სახრავდა, ხან ერთსა რასმე შელოცვასა ბუტბუტებდა ეტრუსკულსა ენაზედ, ხან მეორესა და წინ მავალი ერთ-ერთი თავისი მისტაგორგანგან<sup>2</sup> მიმარჯვებულ წიგნში ჩაიციქირებოდა, რაცალას კითხულობდა.

მოკლედ, გინდ ნუმა პომპილიუსი თქვით, რომისა ქეორე მუჟე, გინდ ეტრუსკულ ქალაქ ცერას მცხოვრებნი, გინდ წმინდა მუდვეტის წინამძღოლი, ტყუილია, არცვის იმოდენი ცერემონიობა არ დაუჭირვებია, რაოდენისა მხილველიც მე იმა დღესა გავხდი, ანდა გინდ აპისისა მემფისელნი ქურუმნი თქვით, ეგვიპტეში რომ არიან, გინდ რამნუზიას რამნუსისა ევბელნი,<sup>3</sup> გინდ იუპიტერ-ამონისა ქურუმნი და გინდ ფერონიას ქურუმნი,<sup>4</sup> სულ ერთია, არცვის იმდენგზის მღვდელმსახურება არ აღუსრულებია, რასაცა მე იქ შევესწარი.

ვითარ თავის გემოზედ მორთო და მოპრანჭა, ბაკბუკმა ჩვენგან მარჯვნივ ოქროს კარშიგან გაიყვანა პანურგი, და ორივენი იქავ, ტაძრისა შორიახლო, მრგვალ სამლოცველოში შევიდნენ: სამლოცველო იგი მთლივ გამჭვირვალე ქვისა იყო, ბროლბაკმული; მართალია, არცრა სარკმელი და არცრა სხვა რამ სანათური არ დაეტანებინათ, მაგრამ სამლოცველოსა თავისი გამჭვირვალობისა გამო შუქი აკლდა კი არა, სულ ბდღვრიალი გაჰქონდა, რამეთუ მზისა ჩახჩახი მთავარ ტაძარსა აფარებული კლდისა ნაპრალიდან ქარბად ატანდა, და რახან სასინათლო არსაიდან არ უჩანდა, კაცი იფიქრებდა, შუქი გარედან კი არ შემოდის, ნამდვილად აქვე, შიგან ჩნდებაო. ამგებთ სამლოცველო ისევე სახეკეთილად და თვალმიმტაცად აეგოთ, მართ ვითა წმინდა ტაძარი რავენაში ანდა ეგვიპტეში, კუნძულ ქემნისზედ. არცა იმის თქმა იქნება ზედმეტი, თუ ვიტყვით, რომ მრგვალი სამლოცველო ესე აღნაგი, ანუ ნაგებ-ნაშენი იყო დია თანაშეზომილად, და ნაგებობისა განივი კედელთა სიმაღლესა უტოლდებოდა.

სამლოცველოს საშუალ სარაჯსა, იგივე შადრევნიან სარნა-აუზსა მოიხილავდით, მთლად ხარისხეული ალებასტრისგან ქმნილსა, შვიდნახნაგოვანსა, უჩვეულოდ ნატიფ რამ ნახელავსა, სარქველთა განლაგებისდა მხრივ საგანგებოდ მოწყობილსა, და სარნა-აუზში პირთამდის იმისთანა წიმარო, კამკამა წყალი ლივლივებდა, როგორც რომ სტიქია ესე დასაბამსა იყო, კეთილად დაბადებული ღვთისგან პირველსა დღესა, წყალშიგან კი ნახევრად ჩადგმული ბოცა-ბოთლი ჩანდა, უზადო წმინდა ბროლში შეხვეულ-შესუდრული და თვალად კვერცხისა მინაგვარი, ოლონდ ძირში ცოტა უფროისლა განიერი, ვინემ ოვალური მოყვანილობა უნდა იყოს.

#### თ ა ვ ი XLIV

ვითარ მიიყვანა უზენაესმა ჟურუმთალმა ბაკბუკმა  
პანურგი ღვთაებრივ ბოცა-ბოთლთან

აქა სათნოჩენილმა ბაკბუკმა ჯერეთ მუხლნი დააყრევინა და სარნა-სარაჯისა კიდე ამთხვევინა პანურგსა, მერმეთ ფეხზედ წამოაყენა და სარნა-სარაჯისა გარეშემო სამი ითიმბი<sup>1</sup> აშუშპრა. შემდგომად მან წინათვე გამზადებულ ორ სკამსა შუა დასვა პანურგი, პირდაპირ ქვანაგსა ზედა. მას უკან თავისი ტიბიკონი გადაშალა ბაკბუკმა, პირი მარცხენა ყურთან



მიუტანა, ჩაფუჩუნება დაუნყო პანურგსა და მეზვრეთა ქვემორე სამღერელი დაამღერებინა:



ო,

ბოთლო-ბოცავ,  
სიცოცხლის მუშავ,  
გამომყე სმაში,  
დაგჟურავ როცა,  
და გამხდი ბრუჟად,  
მიმისნე მაშინ.

ნუმც დაგტყობია ნალველი ხმაში,  
ოდენ ფარსაგი, ვარგი მინდომე,  
წავალ შევუტევ ავად ინდოეთს;  
შენგან კაცურსა მხნეობას ვიძენ,  
ჩემდა სალხენად მიწყვი იდროვე,  
და რაც ბახუსმა წუთისოფლის გიბოძა სიბრძნე,  
რაც წარმავალი ცხოვრებისგან ავ-კარგი იმცნე,  
არ დამიმალო არაფერი, მწარეც კი არცრა.  
როს ერთხელ ნოემ მოგიყუდა, ხელთ გიპყრო დაცლად,  
დაიბაზმურა, კინილა ჭკუა დაკარგა კაცმა.

არცროს ვისურვებ აქედან გაცლას,  
შენთან დავრჩები ავდარშიც, დარშიც,  
თუ ხმას არ გამცემ, გრძნეულო შუშავ,  
თუ არ მაღირხე მაგ ტუჩის კოცნა.

ო, ბოთლო-ბოცავ,  
სიცოცხლის მუშავ,  
გამომყე სმაში,  
დაგჟურავ როცა,  
და გამხდი ბრუჟად,  
მიმისნე მაშინ.

სიმღერა რომ ჩათავდა, ბაკბუკმა რაცალა ჩაავდო სარნა-სარაჯსა შიგან, და წყალმა მყის კოჭი დაიგდო, ბუყბუყ-ჩუხჩუხი იწყო, ვითარცა დიდრონ ბურგელიურ ქოთან-კავლონში კვერთხთა, ანუ საგვემელ ჯობთა დღესასწაულისა ჟამსა. პანურგი მდუმრიად უსმენდა ცალყურაცქვეტილი, ბაკბუკი კვლავ იგვრდივ ედგა დამუხლებული, და უცაბედად წმინდა ბოცა-ბოთლი იგი აზუილ-აზრიალდა და აშხუილდა, როგორაც რომ ფუტკრისა გუნდი, არისტეოსისგან შემოდებული წესისდა კვალად წასაკლავებული და გამოშიგნული ზვარაკ-მოზვრისა გვამ-ტანიდან ამოფრენილი, ანდა არბალეტიდან, ანუ სამალიდან სრეული ისარი, ან ულუმელად წამოშენილი ზაფხულისა თავსხმა-ნავერლვენა. და მაშინ ყოველთ ერთადერთი სიტყვა გავიგონეთ: ტ რ ი ნ კ!

— ღმერთმანი, ჩაიმჩხვრა, თუ არადა, გაიბზარა მაინც! — შეჰყვირა პანურგმა. — აგრე ჩვენში ბროლისა ბოთლნი უბნობენ, ოდეს ცეცხლი ხეთქავს.

ამისა თქმა იყო, და ბაკბუკი ზენამოდგა, აღერსიანად გამოსდო პანურგსა მკლავი მკლავში და მიუთხრო:



— მადლი შესწირე ზეცასა, მოყვასო კაცო, რამეთუ ღვთაებრივმან ბოცა-ბოთლმან მსწრაფლ გაგაგონა სიტყვა თვისი, მერე ახლა რარიგ ნი-შატიანი, რარიგ ბრძნული, რარიგ უტყუარი; რა ხანია ვემსახურები მა-გის ყოვლადწმინდა ორაკულსა და მსგავსი არა გამიგია, რა წამოდექი, ერთად წავიდეთ და ჩავხედოთ შესაბამ თავსა, რომლისე გულსუფთა შინა ახსნილი და გაცხადებულია მშვენიერი სიტყვა ესე. *სიზღორობა*

— წამოვალ, აბა, რას ვიზამ, ჭკუა კი არ გამომლევია! — შეუძახა პანურგმა. — მითხარი, ღვთისა გულისთვის, სად არი ეგ წიგნი? ეგ თავი სად არი? რაც რომ მალე ვნახავთ მაგ სამხიარულო გლოსასა, მეც ეგ მინდა.

### თ ა ვ ი XLV

#### ვითარ გადმოთარგმნა და განმარტა ბაკბუკმა ბოცა-ბოთლისა სიტყვა

ბაკბუკმა კვალად რაცალა ჩააგდო სარნა-სარაჯსა შიგან, რამაც წა-მერთ ჩაანელა კოჭზედ წამოდულებული წყალი, კვარჩხალსა ქაფი დაა-ტეხინა. მერმეთ ბაკბუკმა პანურგი მთავარ ტაძარში გაიყვანა, რომლის საშუალ უკვდავებისა წყარო ჩუხჩუხებდა. იქ მან თვალსა და ხელს შუა სქელი წიგნი გააჩინა, ნახევარდუიმის ანდა ს ე ნ ტ ე ნ ც ი ა თ ა წიგნის მეოთხედი სისქის ვერცხლის ყდასა შიგან ჩასმული, წყალში ჩაუშვა და წართქვა:

— თქვენებურნი ბრძენსიტყველნი, მქადაგებელნი და სწავლულნი კარგ სიტყვათ ყურთაგან მიგართმევიანებენ, ჩვენ კი ჩვენთა სწავლა-შე-გონებათ პირდაპირ პირთაგან ვიჭმევიანებით. ამადაც არ გეუბნები, ნაი-კითხე თავი ესე-მეთქი, ნახე გლოსა ესე-მეთქი, მე გეუბნები, გასინჯე თა-ვი ესე-მეთქი, იგემე გლოსა ესე-მეთქი. ოდესღაც ერთმა ძველმა იუდე-ველმა წინასწარმეტყველმან მთელი ერთი წიგნი შეჭამა და თხემიდან ვი-დრე ტერფამდის სწავლული გახდა,<sup>1</sup> შენ კი, ოდეს ამა წიგნსა იხმევ, თხე-მიდან ვიდრე ღვიძლამდის სწავლული გახდები. აბა, შე, დააღე ყბა!

ვითარ პანურგმა ხახა გამოაჩინა, ბაკბუკმა თავისი ვერცხლისა წიგ-ნი მოივარგა; ჩვენა ვგონებდით, მართლა წიგნიაო, რამეთუ თვალად კონ-დაკსა ჰგავდა, ნამდვილად კი წყურვილისა მოსაკლავი კონდაკი, ანუ ალი-კვალი ფალერნული ღვინისა ბოთლი, ჭიქისა ჭურჭელი იყო, და ბაკ-ბუკმა სულმოუთქმელად დაცლა მოუსურვილნება პანურგსა.

— მაგარი თავია, ამისი უკეთესი გლოსა ტყუილია! — იხმამალლა პა-ნურგმა. — სულ ეს არი, რისი თქმაც დალოცვილსა ბოცა-ბოთლსა ეწ-ადა?

— სულ ეგ არი, — მიუგო ბაკბუკმა, — რამეთუ სიტყვა ტ რ ი ნ კ ყოველთა ორაკულთა გზიანი სიტყვაა, სუყველა ხალხისთვის გაცხადე-ბულია და „ჩ ა ლ ლ ი ე!“-ს ნიშნავს. თქვენში აკი უბნობთ, სიტყვა „ს ა კ“-ი სუყველა ენაზედ ერთნაირად ჟღერს და სუყველა ხალხი თანაბრად იყე-ნებსო. მართლაც, ესოპეს ერთ-ერთ იგავსა შინა თქმულია,<sup>2</sup> სუყოველი კაცი ქვეყანაზედ აბგიანი, მახალ-მანდიკგადაკიდებული იბადებო, სიკ-ვდილისა შვილთა ხვედრი ჭირთა დათმენა და სამონყალოდ ცხოვრებააო, ცისა ქვეშე არცვინ იმისთანა მძლეთა მძლე მეფეა, ვინაც მეორე კაცსა არ



დაისაჭიროებსო; არცვინ იმისთანა ამაყი თუ ყიფი უპოვარია, ვისაც მდი-  
დარი და პოვნიერი კაცი არ დაეჭიროებაო, გინდაც თვითონ ფილროფო-  
სი ჰიპია იყოს, ღია ფხიანი და ხელგამომავალიო. დაღათუმცა, ცაცთათ-  
ვის კიდევ უფრორე ძნელია უსასმელობისა ატანა, ვინემ უაბგოდ თუ  
უმახალმანდიკოდ გაძლება. აქა იმის თქმა მნადს, რომ არა წიკმღმწანი-  
ჭი და უნარი, არამედ სმისა ნიჭი და უნარია განმასხვაველნი ხეცხება  
კაცისა, ცარიელ სმაზედ არ გესიტყვაპასუხებით, სმა ხვასტაგმაც იცის,  
ოლონდ დასანაფებელი და დასარწყულებელი ნახოს, მე სათავითაო ჩა-  
ცივებულ ღვინოსა ვგულისხმობ, თქვე ღვინოზედ დაძეძებულნო! ერთსა  
გეტყვით და დაიხსომეთ, მოყვასნო კაცნო: ღვინოსა იმად ვსვამთ, რათა  
გავღმერთდეთ, ღვინო ცისა ნებისად, სარწმუნოდ, ბინიან-საბუთიანად  
მქადაგებელი და მომავალ საქმეთა შეუმცდარი წინასწარმცნობელია და  
მენცარია, გონებისა ამხედველება უწყის. თქვენქვეყნელნი აკადემიკოსნი,  
ოდეს ამტკიცებენ, სიტყვა ღვინო, ბერძნულად οἶνος, სიტყვა vis-  
ისგან წარმოდგებაო, რაიცა ძალასა და შემძლებლობასა ნიშნავს, მხო-  
ლოდ ადასტურებენ და აბეჯითებენ ჩემსა აზრსა, რამეთუ ღვინოსა ად-  
ვილად შეუვა ხელი, რომ სული ქეშმარიტებასა, ცოდნასა და სიბრძნისმო-  
ყვარებასა აზიაროს. თურომ იყურადლებეთ, რა აწერია იონურ ასოთა  
დასხმით ტაძრისა ბჭესა, მაშ, ჩახვდებოდით და გულისხმასა მოხვიდო-  
დით, ვითარმედ ქეშმარიტება დამარხულია ღვინოში, ღვთაებრივი ბოცა-  
ბოთლი სწორედ ღვინისა წინაშე გაგზავნით, და აწ თავად დარწმუნ-  
დით, რაზომც მართალია.

— ამა პატივდებული ქურუმქალისა უკეთესად ვერცვინ იტყვის, —  
წართქვა პანტაგრუელმა, — მეცა აკი ამასვე გეუბნებოდით, ოდეს პირ-  
ველად ჭაჭანაურზედ ჩამომიგდეთ სიტყვა. მაშ, აბა, ტ რ ი ნ კ ა ნეტავი რა-  
სა გითხრობთ ეგ ბაკქოსურად ზედაფრენაშემდგარი გული?

— რასა და, ვტრინკოთ, სულ წყვილ-წყვილად ვტლინკოთ, დავლიოთ,  
დასალევი გამოვათაოთ, და ნიშნად ამისა, ვითარ ძველად იცოდნენ, სა-  
ცერი გამოვკიდოთ, — გაეპასუხა პანურგი. —

კეთილო ბახუს! როს ვიგრძნობ ნაღველს,  
ღვინოს ტრინკს ვუზამ, ჩავცეცხლავ, ჩავლღევ.  
ჰა, ჰა, ჰა, ვუწყი, არ არის შორსა,  
წამოვაყენებ ამ ჩემსა მორსა,  
რომელს სხვა ქვეყნად ვერ შეედრება!  
მერე მიყურონ ქრელმა დედლებმა,  
არა მჩვევია ფუჭად ლამობა,  
შუბლს მანერია მამალს მამობა.  
შინ მიქცეული ვიპოვნი სწორსა,  
დავინწერ ჯვარსა, დავინწვენ ცოლსა,  
ავმხედრდები და ძირს არ ჩამოვალ,  
არცრას დავიკლებ, რაც საამოა,  
მოსახნავს მოვხნავ, მოსარწყავს მოვრწყავ,  
არ ჩავუდგები შუაში ორ წყალს.  
ტკბილად ვაჟღერებ ცოლ-ქმრობის ქნარსა,



თვალს დავუყენებ სუყველა ქმარსა!  
ცხადად ვიხილავ, რაც ფიქრში შენდა,  
ჰე, ჰიმენეოს, დიდება შენდა!  
კაცურად გეტყვი, ძმაო ჟან, ერთსა  
და დავიფიცებ მაღალსა ღმერთსა, —  
არცრა გვექონია სხვა რამ მიზანი,  
და ვნახეთ კიდევ ნაღდი მისანი,  
ვის უხვად ახლავს გრძნებისა ძალი.



თ ა ვ ი XLVI

ვითარ გაიღმესნენ პანურბი და სხვანი  
კომეტური გორგვისა ჟამსა

— შენ რა, გასულელდი თუ თვალი გკრა ვინმემ, გაგთვალა და გაგ-  
ლალა? — დაეკითხა ძმა ჟანი, — უყურეთ ერთი, უყურეთ, პირიდან დუჟი  
სდის! გესმით, გეყურებათ, რარიგ წყობილსიტყვაობს? დასტურ ეშმაკე-  
ულია, ეშმაკისგან გვემული, თვალნიც ვითარ გადააბრიალა, რალა ესა და  
რალა უსულადოდ ჩამღრძვალთხა. განა არ უჯობდა, გვერდზედ მიმ-  
დგარიყო, გაგვეცლოდა? სადმე თვალმოფარებულ, ფარიზ ადგილას მო-  
ესაქმებინა? ძაღლისა ბალახი რამ ეჭამა, ფაშვი გაეწმინდა? ან სამონას-  
ტრო წესისა და რიგისდა კვალად ხელი იდაყვამდის ჩაეყო, ცოტა ელენ-  
თისთვის შვება მიეცა? ანდა ძაღლისა ნაკბენზედ სულაც ძაღლისავე ბა-  
ლანი დაედო?

აქა ძმა ჟანსა პანტაგრუელი ჩაერთო:

— მგონი, ბახუსმა დაადგა თვალი,  
ლექსის ხალისზედ მოვიდა მთვრალი,  
და გაეღვიძა გარიტმვის ჟინი:

ვინც ასწრებს სისხამს,  
ისხამს და ისხამს,  
ვითარცა ისხარს,  
ვერ ძღება ღვინით,  
არ იკლებს მისხალს,  
ტაბლასა სისხავს,  
პურისმტეთ რისხავს,  
ემღვრევა ტვინი,  
მღერის ან ტირის,  
ბეზრდება ლხინი,  
ედრება გიჟ ხარს;

გარნა თუ ღლეულს წვავს ტრფობის ალი  
და სასოდ უჩანს ქარახსის ძირი,  
მაშინ იმ კაცზედ არ ითქმის ძვირი.

— ეჰე! შენც გაიღექსე? — შეჰყვირა ძმა ჟანმა. — ჯვრისა მადლმან,  
სუყოველნი შევთვერით და შევზარხოშდით. ნეტავი ერთი გარგანტუას



დაანახვა ღვინისგან წაგვრილი ჩვენი თავი! ღმერთმანი, არღა ვუნცი, მეც გავიღექსო თუ არა. უმეცარი კაცი კი ვარ, მაგრამ, თქვენი არ იყოს, მეც რაღაც ღექსისა ჭია შემძრომია! იოანე ნათლისმცემელსა ვენაცვალე, ჩემგან არცვისზედ უარესი მელექსე არ გამოვა, თავსა დავედებ უკეთუ ვერ გაამეთ, ნუ დამძრახავთ.

შინჯლირთუქა

როგორცა ერთხელ წყალი  
ანუნუავე, ღმერთო,  
მიფარნე უკანალი,  
რათა კაცთათვის ვენტო.

იმის უკან კვალად პანურგი აძრახდა:

— შისანს აქაურს ამფერ და ამფერ!  
თვითონ პითიას დელფოურ სამფერხს  
უფრო ბრძნული რამ არ უთქვამს არცროს,  
ამ მადლიანმა მთავარი გვამცნო,  
ნაქნარსა ვხედავ მართლა ხერხიანს,  
ბოცა კი არა, ის სამფერხია;  
გამოუცვლია ოღონდ ადგილი,  
აქ დაუდვია ბინა ნამდვილი.  
და თუ პლუტარქე არ ატლინკავდა,  
მობრძანდებოდა ჩასატრინკავად,  
ძველს გადაწყვეტდა დავასა მაშინ, —  
თუ რატომ არის, ვით თევზი ზღვაში,  
სამფერხი იგი დელფოში ყუმად,  
და ჩავხვდებოდით ყოველნი უმაღ:  
იქ ღველფი ანლა აღარა ღველფობს,  
სამფერხმა ზურგი აქცია დელფოს,  
აქ გადმოსახლდა, ამ ტაძარს უფლობს,  
ათენეოსი დიახაც უბნობს:  
ვინც აპოლონთან დამდგარა ლოცვად,  
მოსჩვენებია სამფერხი ბოცად.  
ჯერეთ არავის, ცხადია უკვე,  
არ უმისნია ამაზედ უკეთ.  
ძმაილავ ჟანო! ვერიდოთ შფოთსა,  
ფრთხილადა ვკითხოთ ამ ღვთიურ ბოთლსა,  
ტრისმეგისტეულს, რა გველის ხვალით,  
ეგების შენაც დაგწეროთ ჯვარი,  
სულ სხვა გექნება პენი ცოლიანს,  
რა ვუყოთ, თუკი სხვასაც სწოლია!  
ან იქნებ სულაც დაგყაროს გული  
და შეინახოს ცოლ-ქმრობის რჯული.  
მაგრამ ბოცა რომ არ შეგხვდეს მწყრალად,  
სიტყვა მოგიგოს მშვიდად და წყნარად,  
სარაჯსა შიგან ჩაყარე ფქვილი.



პასუხად ძმა ჟანმა გაბრაზებულ გულზედ შეუქცია სიტყვა:

— უჭირო კაცსა არ მინდა ჭირი,  
 წმინდა ბენუას ფოსტალსა ვფიცავ,  
 ქვეყანამ იცის, რაც ვარ და ვინც ვარ.  
 ვიდრე დიაცმა ღერ-ღერად მგლიჯოს,  
 წვერ-ულვაშისა გაკრეჭა მიჯობს,  
 არ მირჩევნია ანჩხლის ყოლასა,  
 სულ შეველიო ანაფორასა?  
 არა, არა ვარ თავისა მტერი,  
 ნურც დამხურვია თავზედან ჭერი.  
 რათა წამისად მლანძლოს, მაგმინოს,  
 ცოლს ლალი თავი დავალაგმინო?  
 ვერც ალექსანდრეს გავწევ გმირობას,  
 ვერც პომპეუსის მხარგაშლილობას!  
 უწინამც მიწას უქნია პირი!



აქა პანურგმა ხირდა და სრულიად თავისი მისტიკური შესამოსელი გაიღელა და ესეგვარად მიუგო ძმა ჟანსა:

— ეჰ, ზინზლიანო, შენა და გმირი?!  
 ხარ შავეთისა შავი ეკალი,  
 მე ნუ მედრები, მე ვარ სპეკალი  
 და დავამშვენებ თავად სამოთხეს,  
 იქაც მოვიცლი შენთვის სამ-ოთხ დღეს,  
 სწორედ იქიდან მაგ ქაჩალ თავსა  
 სულ აგიყროლებ, დაგმართებ ავსა.  
 ვერც შენ გადურჩე სანუთროს ცოცხსა,  
 აქვე იხილავ ჯოჯოხეთს ცოცხლად.  
 მაგრამ იქნება ისედაც მოხდეს, —  
 მალე პირდაპირ ქვესკნელში მოხვდე,  
 იქ პროზერპინა შემოგხვდეს წინა,  
 არცროს უარსა არ გეტყვის ვინაც,  
 და უცაბედად გაგეხსნას მადა,  
 შენც მოაჯექი, მოასწრებ სადაც.  
 არ გაუნბილო იმედი ქალღმერთს,  
 ყოველი საქმე მით გაიწალმე.  
 ალბათ ქვესკნელშიც ვლი დუქან-დუქან,  
 არც იქ დაიკლებ სულ მსუქან-მსუქანს.  
 რა, არ შეგფერის განალა ბერსა,  
 ეპურისმტეო თვით ლუციფერსა?  
 ვერვინ გახწავლის თავის გატანას,  
 უწყი, შეეკრა ვითარ სატანას.

— ეშმაკიმც დაგლახვრავს, შე იმთავიდან რეგვენო და ნებესტარო! —  
 მიუთხრო ძმა ჟანმა. — მოშაირობაზედ უარი მითქვამს, ესდენი სიტყვი-  
 სა გამოჩინებისგან ენალა მებმის. ამა ჩვენსა კაფიაობასა ისა სჯობს, აქა  
 სუყველასა ნაცვალ მივაგოთ და მადლი გარდავუხადოთ.



თ ა ვ ი XLVII

ვითარ დავუთავებთ გაცხადებულ გამოგვიდოგაგულთ  
გოცა-გოთლისა ორაკული



— არავითარიმე მადლისა გარდახდაზედ არცა იფიქროსთ მეუ-  
თხრო ბაკბუკმა, — უკეთუ გულსავსედ დარჩით, სხვა რამ ჯილდო არა  
გვინდა რა. აქა, მინისა ქვეშე, შუაგულისა ახლომახლო, უმაღლეს სიკე-  
თესა აღებასა და გამორთმევაში კი არა ვხედავთ, არამედ გაღება-გაცე-  
მასა და გაბოძებაში, და თავსა ნეტარად მაშინ კი არა ვრაცხთ, ოდეს  
სხვათაგან ვიღებთ და სხვათ ვართმევთ ბევრსა, როგორაც ალბათ თქვენ-  
ში იციან, არამედ მხოლოდ მაშინ, ოდეს გავცემთ და ბევრსა სხვათ ვაძ-  
ლევთ. სათხოვრად ერთსა გთხოვთ: აუყველამ დანუსხეთ აგერ აქა, ამა  
ტიბიკონსა შინა, თქვენ-თქვენი სახელ-გვარი და თქვენ-თქვენი ქვეყნისა  
საწოდებელი, ვიცოდეთ, ვინანი ხართ, საიდანა ხართ.

ამისა თქმისავე თანა მან დიდი ლამაზი წიგნი გადაშალა, ხოლო სად  
იყო, სად არა, ბაკბუკისა ერთ-ერთმა მისტაგოგმა უცებ ხელთ იქროს  
სტილი მოივარგა და ჩვენსა კარნახ-კარნახში, ვითომ ვწერო, ხსენებულ  
წიგნში რამოდენიმე ხაზი გაავლო, დაღათუმცა, არცრა დანერილი არ  
დაჩენილა.

მაშინ ბაკბუკმა სამი თასუხა, ანუ სარწყული კოლოტი მოიძია, თა-  
ვის არნახულ წყაროსა მიუდგა, სამივენი პირთამდის დაავსო, დაანინინა,  
წერმეთ ხელიდან ხელში მოგვიბოძა და ყოველთა ჩვენთა გასაგონად  
იდიდსიტყვა:

— ან წადით, პირი გზასა მიაპყარით, მოყვასნო ჩემნო, და ყოველთ  
ის ინტელექტუალური სფერო გფარვიდეთ, რომლისა ცენტრი, ანუ ცქიტტი.  
ყოველგან არის, გარესკნელი კი, ანუ სიმრგვალისა სივრცე, არსად, და  
რომელსა ღმერთად ვღებთ სახელსა, რამეთუ მხოლოდ ღმერთი არს ყო-  
ველთა შემცველი და გარეშემოუნერელი. ოდეს შინ მიიქცევით, ერსა და  
ბერსა შეატყობინეთ, მინისა ქვეშე, სად ესოდენი ხანი იქვევით, აურაცხე-  
ლი რამ საუნჯე-განძეულია-თქო, ოდენ საკვირველი და გაუგონარი-თქო.  
ცერერა, რომელმაც აზიარა კაცნი სახნავ-სათესად მინისა დამუშავების  
ხელოვნებასა, რის აღმოჩენისა გულისთვისაც, სრულად მთელი ქვეყნი-  
ერება სდებს პატივსა, და, მოაყვანინა რა მარცვლეული. კაცთა მოდგმა  
იმისთანა უშში და მძიმე რამ საჭმლისგან იხსნა, როგორიცა რომ რკოა,  
ტყუილად როდი წუხდა და ჭმუნავდა აგრერიგად, ოდეს ასული ნაჰგვა-  
რეს და ჩვენსა მინისქვეშა ქვეყანაში ჩამოიყვანეს. რამეთუ, თქმა არ უნ-  
და, წინათვე ჭვრეტდა, ასული ჩემი მინისა ქვეშე უფროისად მეტ სიკე-  
თესა და ყველაგვარ ფარსაგსა რასმე მოიხილავს, ვინემ მე თავად შემიქმნია  
მინისა ზედაო.

რა მოუვიდა, რა ღმერთი გაუწყრა თქვენსა ხელში ელვისა გამოხმო-  
ბისა და ციური ცეცხლისა მიწაზედ ჩამოტანის ხელოვნებასა, ოდესღაც  
ბრძენი პრომეთესგან გამოგონებულსა? ნამდვილად დაგიკარგავთ და ეგ  
არი; თქვენი ნახევარსფეროდან ის ან წარტყვენილია, გამქრალია, აქ კი,  
მინისა ქვეშე, უწინდებურად ვიყენებთ. ამოდ გიკვირთ, ვითარ იავარ



წვავენ და ბუგავენ ელვა და ეთეროვანი ცეცხლი თქვენთა ქალაქთ, ანუ თქვენთა თანამრავლობასა თუ თანასახლობასა, და ვერ გულისხმაგიყვით, ვისგან არი, რისგან არი, ვისი პეიტრობაა და საიდან ჩნდება განსაცდელი ესე, თქვენთვისა ფრიად თავზარდამცემი, ხოლო ჩვენთვისა ჩვეული და სარგოც კი. თქვენთა, ფილოსოფოსთ ნუნუნი უყვართ, ძველთა კაცთაგან ყველაყა უკვე აღწერილია, ან არცაღა დარჩენილა ჩვენდა აღმოსაჩენადო, გარნა აშკარად ეშლებათ. რასაც რომ ცად მზერთ და ფენომენტ უხმობთ, რასაც რომ თქვენთა სახილველად ხდის დედამინისა ზედაპირი, რასაც რომ ზღვანი და მდინარენი გულშიგან იფარავენ, იმასთან ვერცრა მოვა, რასაც რომ მინისა წიაღი შეიცავს.

დასტურ ამად მინისქვეშეთისა თუ ქვესკნელის მეუფისა სახელსა თითქმის სუყველა ენაზედ სიმდიდრისა გამომხატველი სიტყვა აღნიშნავს. ოდეს ყოვლისმპყრობელი ღვთისა საძიებლად განუული შრომა და ღვაწლი კეთილად გასრულდება (რომელ ღმერთსაც მეგვიპტელნი ოდესლაც იდუმალსა, მალულსა, დაფარულსა უწოდებდნენ და ესეგვარად სახელდებულსა გამოჩენა-გამოცხადებასა შესთხოვდნენ), მაშინ ღმერთი კეთილადვე შეისმენს ყოველთა კაცთა ყელგამონეულ ნუკვა-ვედრებასა, თავისა თავსაც უკეთ შეაცნობინებს მნუკველ-მავედრებელთ და თვისთა აღნაქვს-აღნაგთაც, ანუ ქმნილებათ, თავკაცად კი მაღლცხებულ ფარანსა წარუმძღვარებს, რამეთუ იმისთვის, რომ ღმრთისმეცნიერებისკენ და სიბრძნისკენ მიმავალი გზა მშვიდობიანად და უჭირველად გაევიდნენ, ყოველნი ფილოსოფოსნი და ძველნი ბრძენკაცნი ორსა რასმე მიიჩნევდნენ საჭიროდ: ეტიკად, ანუ გზისა მცოდნეთ, ღმერთი უნდა ჰყოლოდათ, თანამეგზავედ კი — კაცი ვინმე.

ესრეთ, სპარსელმა ზოროასტრმა, თავის იდუმალ სიბრძნისმეტყველებასა რომ ქმნიდა, თანამავლად არიმასპი წაიყვანა: მეგვიპტელმა პერმესტრისმეგისტემ ესკულაპი აირჩია; თრაკიელმა ორფევსმა — მუსეოსი; ტროელმა აგლაოფემემ — პითაგორა; ათენელმა პლატონმა ჯერეთ დიონი აირჩია, სიცილიის სირაკუსეს მკვიდრი, ხოლო როცა ის აღესრულა — ქსენოკრატე; აპოლონიოსმა — დამიდე. და ოდეს თქვენქვეყნელნი ფილოსოფოსნი, რომელთაც ღმერთი უეტიკებთ და რომელიმე შუქიანი ფარანი ეახლებათ, გულმოდგინე ძიებასა და კვლევასა მიჰყოფენ ხელსა, ვითარ ადამის შვილსა სჩვევია (დიახაც ეს თვითება-თვისება აქვთ უზურში პეროდოტესა და პომეროსსა, როს კაცთ აღფესტებსა. ანუ მჩხრეკელთა და გამომგონებელთ უწოდებენ), მაშინდა მოვლენ გულისხმასა, თუ რაოდენ მართალი იყო დიდად ჭკვიანი თალესი, რომელმან მეგვიპტისა მეფისა ამასისის კითხვასა, რა არს ქვეყანაზედ ყოვლისა უფროისად გონიერიო, მიუგო, რა და, დრო-ჟამიო, რამეთუ ოდენ დრო-ჟამი ცხადყოფდა მიწყვი და კვალად ცდახყოფს, გააცხადებს ყოველსავე დაფარულ-დამალულსა, და სწორედ ამად უხმობდნენ ძველნი კაცნი სატურნსა, ესე იგი დრო-ჟამსა, ჭეშმარიტებისა მამასა, ხოლო ჭეშმარიტებასა — დრო-ჟამისა ასულსა. აგრე და ამრიგად, შეისმენენ და შეიგნებენ ფილოსოფოსნი, რომ სრულად მთელი იმათი სწავლა-ცოდნა, როგორაც იმათივე წინამორბედთა სწავლა-ცოდნა, ოდენ იმის კნინ ნაწილსა შეადგენს, რაიცა არს და რაიცა იმათ ჯერეთ არ უწყიან.



ამა სამთა თასუხათაგან, ან რომ გადმოგეცით, მიქინსა, ანუ შესმენა-გაგებასა და შემეცნებასა ამოხაპავთ, რამეთუ ტყუილად არა თქმულა: „ლომი ბრჭყალებზედ იცნობაო“. მაგათ შიგან ჩასხმული წყლისა გათხელებისდა კვალად, რა გათხელებასაც ციურ სხეულთა სითბოს და მარილიანი ზღვისა სიმხურვალის, აგრეთვე ელემენტთა ბუნებურ ფარდაქმნისა ზედმოქმედება ახდენს. მანდ ფრიად კეთილშეზავებულ წყალსა გაჩნდება, და ის იქნება თქვენად გაჩენილი კეთილი, გრილი, მაღლიანი, ბარაქიანი ქარი, რადგან ქარი სხვა არა არის რა, თუ არა მზისა და ვარსკვლავთა მიერ დედამიწისა ზურგიდან ატაცებული ხვატისა და სიხმელის აორთქლება და შეტოკებულ-შერხეულ ჰაერსა შინა ძვრა. ამა ქარსა აყოლილნი, უკეთუ სადმე ჩამოხდომასა არ ინებებთ, ტალმონდუაში რომ ოლონისა ნავსაყუდელია, ეგრევე იქ წიაღმიხვალთ, ოლონდაც გულიდან არცროდის გადაგვარდეთ და არ შეეშვათ არც ერთ ემაგ ოქროს ქვესაბერსა, სამივ თასუხასა სტვირსაებრ რომ უკეთია, და წამისწამ ბერეთ იალქან-აფრანი. მაშინ ქარი სულ ბოლომდის გაგყვებათ, სანამ არ გაასრულებთ თქვენსა არხეინ მოგზაურობასა, საამოვნოსა და უხიფათოსა, არზან-ქარიშხალთაგან დაცულ-დაფარულსა. ქარიშხლისა ნუ გეშინით და არცა იფიქროთ, ვითომ ქარიშხალსა ქარი აჩენდეს, არა, პირიქით არის, ქარსა თვითონ ქარიშხალი აჩენს, ზღვისა უფსკრულიდან ამოვარდნილი.

არცა კიდევ ის იფიქროთ, წვიმა ცისა გასამაგრებელ ძალთა სისუსტისა და საავდროდ ჩამოწოლილ ღრუბელთა სიმძიმისა გამო ჩნდებოდეს; წვიმასა ძირსა ქვესკნელისა წიაღი ჩამოადენს, როგორაც რომ მზისა შარავანდედსა მიწათაგან და წყალთაგან უჩუმრად ცვარ-ცვარ ააქვს წვიმა ჰაერში, და ამასა აკი ადასტურებს კიდევ მეუფე წინასწარმეტყველი, რომელიცა იგალობდა და წარიტყოდა, უფსკრულსა გასძახის უფსკრულიო.<sup>2</sup>

სამთა თასუხათაგან ორში ის წყალი ასხია, რომელზედაც უკვე გეუბნეთ, მესამე კი ინდოელ ბრძენთა, ანუ ბრამინთა კასრად წოდებულ ქაშია ამოვსებული.

თვინიერ ამისა, ყოველნი დარწმუნდებით, რომ თქვენთა ხომალდთა ზედან არცრა ნუზლისა ატანინება არ დამვიწყნია, რაც კი რამ უკან გზაში გამოგადგებოდათ და დაგეჭირვებოდათ. ვინემ თქვენ აქა ქვეობდით. ჯეროვნად მოგაყველაფრეთ.

მაშ, აბა, უდარდელად დაემწყემსეთ გზასა, მოყვასნო ჩემნო, მიართვით ავთრათი ესე მეფესა თქვენსა გარგანტუასა და მოგვიკითხეთ, თავიც დაუკარით ჩვენგან და დიპლიპიტოც, მოვიკითხავთ აგრეთვე ყოველთა სეფენულთ და ყოველთა კაცთ, ვინაც კი იმის დოვლათსვიან კარზეა.

სათქმელისა გასრულებისავე თანა უზენაესმა ქურუმქალმა დაგრაგნილი და დაბეჭდილი მოკითხვისა წიგნი გადმოგვცა; ჩვენც წამერთ პირისა ქარი გავშალეთ და მაღლი შევწირეთ; მერმეთ მან ტაძრის მომიჯნავე გამჭირვალე სამლოცველოსა შინა გაგვიყვანა და გვითხრა, ან რაოდენიცა გენებოთ, იმოდენი მკითხეთო, თუნდაც რომ თქვენგან წარმოთქმულ კითხვათა სიმრავლემ ორჯერ ოლიმპზედ მაღალი მთა დააყენოსო.

და როს გზასა დამწყემსებულთ ერთ მუხლად გავიარეთ ეს კურთხეული კუთხე-ქვეყანა, პურადი, გულგაშლილი, ისეგვარადვე ზომიერად თბილ-გრილ ჰაეროვანი, მართ ვით თესალიის ტემპეაა, უფრორე ფარსაგ-ჰავიანი, ვიდრე ეგვიპტისა ის ნაწილი, ლიბიისკენ რომ არის მიქცეული.



უფრორე წყალუხვი და აყვავებული, ვიდრე თემისკირა, უფრორე ნაყოფიერი, ვიდრე ტავროსის მთისა ის ნაწილი, აკვილონისკენ რომ არის მიქცეული, ვიდრე ჰიპერბორეოსის ხერთვისი იუდეას ზღვაში და ვიდრე კალიგია კასპიის მთასა ზედა, ისეგვარადვე კეთილად ფშვიერი/ მშვიდობიანი და მიმყუდროებელი, მართ ვით ტურენი, სავალისა და მღვდელს ნავსაყუდელსა შინა ჩვენთა ხომალდთ მოვატანეთ თვალწინა

ქველი პანაგრუელის საგმრო მექმეობისა და სიტყვაბრძნობის მეხუთე წიგნისა დასასრული.

### მეხუთე წიგნის კომენტარები

1562 წელს, რაბლეს გარდაცვალების ცხრა წლის შემდეგ, გამოქვეყნდა ნაწყვეტი მეხუთე წიგნიდან სათაურით „კუნძული ზარიანი“, რომელიც 16 თავს შეიცავდა. 1564 წელს წიგნი მთლიანად დაიბეჭდა. გამოცემის ადგილი მითითებული არ არის. 1565 წელს მეხუთე წიგნი ერთდროულად ორ გამოცემად გამოვიდა: ერთი ლიონში, ჟან მარტენის სტამბაში დაბეჭდილი, მეორე — გამოცემის ადგილის მიუთითებლად.

საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნის ერთ-ერთი დანუსხვილი ხელნაწერი, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება. ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტები არაერთნაირია.

### მეტრ ფრანსუა რაბლეს პირველსათქმელი

არა ერთი და ორი მეცნიერის აზრია, ამ პირველსათქმელის რაღაც ნაწილი რაბლეს კალამს არ ეკუთვნისო.

1. უფალი ტაიფელი — უფალი ეშმა (გერ.).
2. ჰერლიბერლი — ალიაქოთი (ინგ.). ეს სიტყვა საფრანგეთში შეუტანიათ დაქირავებულ შოტლანდიელ მშვილდოსანთ.
3. პორაციუსისდა მიხედვით — რაბლე შემდეგ სტრიქონთ გვიარაკებს:
 

ო, როს ვიხილავ ჩემს ტაბლაზედ კვლავ ბაკლა-ცერცვსა,  
პითაგორეულს, და მხალეულს ცხიმ-საკაზმიანს.

(„სატირები“, II, 6, 63-64).

პითაგორა ყველას იმ საბაბით უკრძალავდა ბაკლა-ცერცვისა ჭამას, რომ ვითომც ბაკლა-ცერცვში, როგორც ზოგ-ზოგ ცხოველში, გარდაცვლილ კაცთა სულნი იდებდნენ ბინას.

4. ...ოქროს ბარკლიანი ძველი სიბრძნისმეტყველის... — იგულისხმება პითაგორა, რომელსაც გადმოცემით, ერთი ბარძაყი ოქროსი ჰქონია.
5. კოლინე — იგივე კოლენია (კნინობითად). ჟაკ კოლენი (გარდ. 1547 წ.), ფრანცისკ I მწიგნობართუხუცესი, თარგმნიდა ძველი ენებიდან, ლექსებს წერდა ფრანგულად და ლათინურად. დრუე — ალბათ ანტუან ეროე (გარდ. 1568 წ.), XVI საუკუნეში ცნობილი პოეტი. სენ-ჟელიე — როგორც პირველი წიგნის LVIII თავის კომენტარშია ნათქვამი, პოეტი (1491-1558), რომლის კალამსაც ეკუთვნის „წინასწარმეტყველებრივი გამოცანა“ (რამდენიმე ტაეპის გარდა). საღელი — როგორც მეორე წიგნის ერთ-ერთი კომენტარი მიუთითებს, კლემან მაროს სკოლის ფრანგი პოეტი, სახელად პიუგი (1504-1553).



**მასუელი** — ეგების კლოდ მასუო, რაბლეს ერთ-ერთი ლათინური თხზულების მთარგმნელი.

6. ...**ვინაც საოცნებელ-განსაცვიფრებლად მოუვლინა ჩვენსა საუკუნესა თავისი საწერი ლერწმისა ნაღვაწი...** — იგულისხმება დედოფალი მარგარიტა ნავარელი (1492-1549), თვალსაჩინო ფრანგი მწერალი. *მარგარიტა ნავარელი*

7. **რენო დე მონტობანი** — ერთ-ერთი თქმულების გმირი, ჰუმბერტის უამს სინანულისა და მორჩილების ნიშნად კირითხუროთ ეხმარებოდა კელნის ტაძრის აშენებაში.

8. ...**იუდეველთა წმინდა ბელადმა, მესაკრავე ქსენოფილემ და სიბრძნის-მეტყველება დემონაქტმა...** — **იუდეველთა წმინდა ბელადი** — მოსე, რომელიც, ბიბლიის გადმოცემით, ას ოცი წლისა მიიცვალა. პლინიუს უფროსი გვამცნობს, რომ ვინმე მუსიკოსმა **ქსენოფილემ** ას ორმოცდაათი წელიწადი იცოცხლა. **დემონაქტი** — ბერძენი ფილოსოფოსი-სტოეელი (ძვ. წ. აღ. I ს.) — ღრმად მოხუცებული გარდაცვლილა, ბოლომდის შეუწარჩუნებია სიმრთელეც და სიმხნევეც.

9. **პირეიკოსი** — ძველი ბერძენი მხატვარი, ჟანრულ ფერწერის ოსტატი, თავის სურათებზედ ბოსტნეულს გამოხატავდა.

თ ა ვ ი I

1. **ტრიფა** — ტკობა (ბერძ.).

2. **დოდონეური ეჟვან-ზანზალაკნი** — დოდონეში ზევსის ტაძრის გარშემო ხეებზე ეკიდა ბრინჯაოს ჭურჭელი, რომელსაც აჩხარუნებდა ქარისაგან შერხეული მავთული.

3. ...**ოლიმპიური ჰებტაფონის პორტიკი...** — ძველ ბერძნულ ქალაქ ოლიმპიაში იყო პორტიკი, რომელიც ისეთნაირად აეგოთ, რომ ეჭო მრავალგზის იმეორებდა რაგინდარა ხმას, თუ ის ხმა პორტიკის სვეტნარის ქვეშ გაისმოდა. „ჰებტაფონი“ — ბერძნულად „შვიდხმიანს“ ნიშნავს.

4. ...**მემნონის აკლდამასა ზედა დადგმული კოლოსი რომ გამოსცემსო** — მემნონის კოლოსი — ბერძენთაგან აგრე ერქვა ეგვიპტის მეფის ამენჰოტეპ III ქანდაკებას, რომელიც დღესაც დგას ეგვიპტეში ძველი თებეს მახლობლად.

5. **დონატუსი** — რომაელი ფილოლოგის ელიუს დონატუსის (IV ს.) მიერ დაწერილი ლათინური ენის გრამატიკა.

თ ა ვ ი II

1. **სიტციინები** — მუსიკოსნი, დასაფლავებაზედ მავალნი (ლათ.).

2. **ელიტუსი** — მნათე, კანდელაკი, სანთელთ მნე (ლათ.).

3. **ანტიტუსი** — შუა საუკუნეებში მეცნიერი პედანტის საზოგადო სახელი.

4. **ატეიუს კაპიტონი** — ძვ. წ. აღ. I საუკუნის რომაელი იურისტი, რომლის არც ერთ თხზულებას არ მოუღწევია ჩვენამდის. **პოლუქსი** — იულიუს პოლუქსი — ბერძენი რიტორი, ანუ სიტყვისმეცნიერი, როგორც ძველები იტყოდნენ, და გრამატიკოსი (ჩვ. წ. აღ. II ს.). **მარცელუსი** — ჩვ. წ. აღ. II ს. რომაელი იურისტი, რომლის წრომებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

5. **ამონიოსი** — ახალი წ. აღ. ერთ-ერთი პირველი საუკუნის ბერძენი გრამატიკოსი.

6. **სიცინისტები** — ბერძნულ დრამაში სატირთა ცეკვა-როკვის მონაწილენი.



7. ...ნიქტიმენეს, პროკნეს... და სხვათა გაფრინველება... — რაბღე ჩამოთელის ძველბერძნული ანდრეზების (მითების) და შუა საუკუნეების ლეგენდების გაფრინველებულ გმირებს.

8. ...ერთნი მთლად თეთრნი იყვნენ, მეორენი მთლად შავნი... შეექვსენი თეთრ-ცისფერნი... — ამგვარ ფერთა ტანთსაცმელი ეცვათ ყბვედესხვედ ქარის-ხის მღვდელმსახურთ.

9. სტიმფალიდები — ბერძნულ მითოლოგიაში მტაცებელნი ფრინველნი, რომელნიც კაცთ ჭამდნენ, თავიანთი მყრალი სკინტლით ისინი წამლავდნენ და შხამავდნენ საკვებს. ჰერაკლეს ერთ-ერთი გმირობა ისიც იყო, რომ ეს ფრინველნი მოსრა.

### თ ა ვ ი III

1. ...ისეთი რამ დიდი უბედურება... — იგულისხმება დიდი სქიზმა (ანდა დიდი განხეთქილება), რომელიც ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა (1378-1429), და ამ ხნის მანძილზე კათოლიკურ ეკლესიაში უმაღლეს ძალაუფლებას იჩემებდა ერთბაშად ორი, ხან სამი პაპიც კი.

2. ...ის ჩიტნიც აგალობდებიან, შებოლილ ქაშაყთა ფერისანი რომ არიან... — ესე იგი ფრანცისკელნი ბერნი.

3. რობერ ვალბრენგი — ჟან-ფრანსუა დე ლა როკი, სენიორ დე რობევალი, მონაწილეობდა ჟაკ კარტიეს კანადურ ექსპედიციებში. ერთი ხანობა კანადის ვიცე-მეფეც იყო, ქორიკოზი.

### თ ა ვ ი IV

1. ლაბეონ ანტისტიუსი — მარკუს ანტისტიუს ლაბეონი, გამოჩენილი რომაელი იურისტი (ძვ. წ. აღ. I ს.—ჩვ. წ. აღ. I ს.).

2. ასაფიელნი — ერთად თავშეყრილნი (წარმომდგარია ებრაული სიტყვისაგან — „ასაფ“, რაც შეყრას, მოგროვებას ნიშნავს).

3. რაც რომ... რაცაღა დაბნელებანი მოხდა — ესე იგი რეფორმაციის დაწყების შემდეგ.

### თ ა ვ ი V

1. ნიშანი ესე თითქმის ყველასი ერთნაირი იყო, ოღონდ სხვადასხვა ფერისა: ზოგისა თეთრი... ზოგისაც — ცისფერი. — ლაპარაკია სხვადასხვა ემბლემაიან (ბერძნულ ან ლათინურ ჯვრიან) მებრძოლ სამონაზვნო ორდენტა ნაირნაირ ფერის ტანთსაცმელზე: აგრე, მაგალითად, მალტის ორდენის ბერმონაზონთ თეთრი ანაფორები ემოსათ, წმ. ანტონის ორდენის ბერმონაზონთ — ცისფერი და ა. შ.

2. რამეთუ ფლოტთან კავშირი აქვთ. — XVI ს. ერთმანეთს დატაკებულ სამონაზვნო ორდენტა საბრძოლო ასპარეზი იყო ხმელთაშუა ზღვა. ისინი, ვით კორსარნი, ანუ ზღვის ყაჩაღნი, ისე იბრძოდნენ ერთმანეთში, ყოველგვარი ზნეობა დავიწყებული ჰქონდათ.

3. თვალმომტაცი და ძვირფასი ლეკვერთხ-ჩახსაკრავი. — იგულისხმება ლეკვერთხ-ჩახსაკრავის ორდენი, რომელსაც დევიზად ეწერა: „თავი შეურცხვეს, ვინაც ამაზედ ცუდი იფიქროს“.

4. ზოგ-ზოგთ... ბოროტ სულთა ძლევისა ნიშანი სმიათ, ზოგ-ზოგთ კიდევ ცხვრისა ტყუი სხმიათ. — ეს წმ. მიქაელის (მთავარანგელოზი შუბით ეშმაკისა განმგმირავი) ორდენისა და ოქროს საწმისის ორდენის ნიშნებია.



5. ალიპტნი — რომელთა მექისე თუ მეაბანოვე-მემწიკვლე მონანი, ბანე-ზისა შემდეგ ათასგვარ ზეთსა და ნელსაცხებელს იყენებდნენ დასაზელად.

თ ა ვ ი VI



1. ალკიონი (ან გალციონი) — სულხან-საბა ორბელიანის „საქარბელონიკონა-ში“ ასეა განმარტებული: „ალკუნი (ალკვიონი). ამას მწყურის რდენსა ფრინველსა იტყვიან ზღვათა შორის, შვიდ დღე კვერცხთა სჩეკს და შვიდ დღე ბარტყს დაზრდისო“.

2. დორიდა — ზღვის ქალღმერთი, ოკეანის ასული (ბერძ. მით.).

3. თვინიერ აკვილონის სამეფოს ზოგიერთი მხარისა, რისა გამოც უკვე რათა ხანია რომ მღელვარებენ კამარინისა ქაობნი. — აკვილონის (ჩრდილოეთის ქარის) სამეფო — ქვეყნები იტალიის ჩრდილოეთით (ინგლისი, არაერთი გერმანული სახელმწიფო), რომელთაც კავშირი გაწვევითეს რომის კურთხასთან, აკვილონი აქ რეფორმაციის სიმბოლოა, რომელმაც ამოძრავა „კათოლიკური ქაობი“.

4. ...ვინემ ეგვიპტესა შინა სიყმილი იყო. — სიყმილი ეგვიპტეში, რაზედაც ძველი აღთქმა („დაბადება“, იგივე „წიგნი შესაქმისა“, XVI თავი) მოგვითხრობს, შვიდი წელიწადი გრძელდებოდა.

თ ა ვ ი VII

1. მირობალანი — კეთილსურნელოვანი რკო (ბერძნ.). აგრე ერქვა ხმელ ხილს, ინდოეთიდან შემოჰქონდათ.

2. ...ვითარცა ოდესღაც ვულკანუსმა მიაჯაჰვა ომისა ღმერთი... — აქ სიტყვა გადაკრულია „ოდისეაში“ ჩართულ ცნობილ „ნოველაზე“, (VIII, 267-366), რომელიც მოგვითხრობს, თუ რა მარჯვედ შეიპყრო ჰეფესტოსმა (ვულკანუსმა) ზადით თავისი მოღალატე ცოლი აფროდიტე, ოდეს ის სატრფოს (არესს) იყო ჩახუტებული.

3. ესოპემ ერთ თავის არაკში ესა თვალცხადლივ გამინამდვილაო. — ალბათ ის იგავია ნაგულისხმევი, რომელშიც ვირი ძაღლსა ბაძავს და თავის პატრონსა ელაქუცება, ექლესება, მაგრამ წყალობისა რამ ნაცვლად პატრონი ორმაგ ულუფა მუშტუკუნსა წაჰკრავს.

თ ა ვ ი VIII

1. ...გიგესის ერქეფში, ანუ ცერისა ბეჭედი... — გიგესი (ძვ. წ. აღ. VIII-VII ს. ს.) — ლიდის მეფე. თქმულების მიხედვით იგი მწყემსი იყო და ერთხელ გამოქვაბულში ჯადოსნური ბეჭედი იპოვა, რომელი ბეჭედიც თავის მფლობელს უჩინმაჩინსა ხდიდა; სწორედ ამ ბეჭედმა ჩააგდებინა ხელში ლიდის ტახტი (იხ. ჰეროდოტე, 1, 8-13).

2. ...თუ გულზედ ქამელეონი ჰკიდია... — ძველ ბერძენთ სწამდათ, თითქოს ქამელეონის ფერფლი, კუტალში თუ ძელთაგან თლილ სხვა ქურჭელში დაცული, ადამიანს აუჩინმაჩინებდა.

3. ...ორი ცოტინა, პატარა კარდინბიჭათი... — ასკანიო სფორცა და ალესანდრო ფარნეზე, პაპი პავლე III ძმისწულები, ერთსაცა და მეორესაც 1534 წელს „დაასხნეს ხელნი“ კარდინალად, ისინი ჯერეთ სულ თექვსმეტი წლისანი იყვნენ. რაბლე ერთ-ერთ თავის წერილში „კარდინალუკებს“ უწოდებს.



4. მიქაელ მატისკონელი — საფიქრებელია, რომ შარლ ემარია, მასონელი ეპისკოპოსი, რომელსაც რაბლემ რომში შეხვედრია (1535-1536).

5. ონოკროტალიუსი — ვარხვნი. პროტონოტარიუსი — პაპის უფროსი საქმისმწარმოებელი, მწერალთუხუცესი.



ქართული  
საქმიანობა

თ ა ვ ი X

1. სირტები — ორი მეჩვიდმეტი ყურე აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე.
2. სტროფადები — ორი ქალაქი იონიის ზღვაში; გადმოცემით, პარპიების ადგილ-სამყოფელი, ქარიშხალთა და გრიგალთა ღვთაებებისა.
3. ...ვერონიკას ლეჩაქ-კუბასტი. — ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით წმ. ვერონიკამ ვოლგოთას შემდგარ ქრისტეს ტილოს კუბასტი მიაწოდა. ქრისტემ პირზედ ოფლი მოიწმინდა და კუბასტზე სახე აღებეჭდა.

თ ა ვ ი XI

1. ბომბორა ციცანი — მოსამართლე-ბჭენი; ნართაულად ნახსენებია ყარყუმის ბეწვის ქობა, რომელიც შემოვლებული ჰქონდა მოსამართლის მოსახამს.
2. ...ჭამით კი მარმარილოს პლაკ-ლორფინოთა ზედან ჭამენ. — პარიზის სასამართლოს სხდომათა დარბაზში მარმარილოს მაგიდა იდგა.
3. სექსტესენცია — მეექვსე არსი (ლათ.), ანუ რაღაც იდუმალი და გონებისთვის მიუწვდომელი (შუა საუკუნეების ალქიმიკოსნი და ფილოსოფოსნი განასხვავებდნენ საგანთა ხუთ არსს). რაბლემ ჩვეულ ხუმრობას მიმართავს.
4. ...დააკვირდით: ბაგანი, ანუ საზრდელთა დასადებელნი ადგილნი, სულ ერთიანად გობ-გეჯათა, იგივე სანაურეთა დაბლა აქვთ მოწყობილნი, — ბაგა—სასამართლოს მდივნის მაგიდა, ათასი საქმით დაზვიანული. სანაურე — მოსამართლის სკამი, მაღალზედ იდგა.
5. ავერნი — ტბა იტალიაში, რომლის მეზობლად, გადმოცემის მიხედვით, იყო შესასვლელი აჩრდილთა სამეფოში; აქ: აჩრდილთა, ლანდთა სამეფო.
6. ...სათვალთა დედაბრისა ხატი ჩანდა, დედაბერსა მარჯვენა ხელში ნამგლისა ჩალითა-ბუდე ეჭირა, მარცხენაში კი — სასწორი. — სამართლიანი სასჯელის, ნაცვალგების ქალღმერთის ნემესიდას საპირისპიროდ 'ბომბორა ციცათა' „მართლმსაჯულების“ ქალღმერთი არა მარტო ბრმა არ არის, არამედ სათვალთაც შეიარაღებულია, რათა უკეთესად დაინახოს; ბასრი, სწორი მახვილი, სამართლიანი სასჯელის სიმბოლო, შეცვლილია ცარიელი და თანაც მოგრეხილი ნამგლის ჩალითა-ბუდით.
7. დიკასტი — მოსამართლე (ბერძნ.).

თ ა ვ ი XII

1. ...ვით გველმა, ცალი გამოხრა მხარე დედას და თავი გამოყო გარეთ... — ძველ ბერძენთ და რომაელთ სწამდათ, რომ გველის წიწილი დედას მუცელს გამოსჭამდა და ისე მოევიწინებოდა ქვეყანას („დედის მკვლელობის ფასად ჩნდებოდა“). მხამიან გველთაგან რადგანაც ზოგი ცოცხალშობია, ალბათ ამიტომ ჰქონდათ ეს რწმენა ძველებს.
2. ...შინ თუ სფინქსი მეყოლებოდა, ანუ ვერესი თუ ვიქნებოდი... — პროცესზე, რომელიც ციცერონმა იმის გამო გაუმართა სიცილიის ქორიკოზს — ვე-



რესს, რომ მან მექრთამეობითა და ძარცვა-გლეჯით ბოლოსა და ბოლოს ყუაზე გაიყვანა მინდობილი მხარე, პორტენსიუსმა, ვერესის მოსარჩლემ, ციცერონის გადაკრული სიტყვის პასუხად თქვა: „გამოცანების გამოცნობა შიჭირსო“ — „მაგას ნულა ამბობ, როცა შინ სფინქსი გყავსო!“ — შეუძახა ციცერონმა. ციცერონი იმ სპილოს ძვლის სფინქსს გულისხმობდა, ვერესმა კი ვიქტილს რომ შესძღვნა.

3. აკადემეს ტყე — კორომი ათენის მახლობლად, ატიკის გმირის აკადემეს სახელზე გაშენებული; ამ კორომში იყო პლატონის სკოლა — აკადემია.

თ ა ვ ი x v

1. ...სხვა არა მინდა რა, იუპიტერი სულ ორიოდ საათსა ისევე დაწმიდეს მაგათთან, ვითარ ოდესღაც სემელესთან დახანდა... — იუპიტერი (ზევსი) თვითონ სემელემ მიიწვია (ზევსის ეჭვიანმა მეუღლემ ჰერამ, რომელიც ერთხელ მოხუცი ძიძის სახით გამოეცხადა სემელეს, ჩააგონა ზევსის დაძახება) და ისიც მთელი თავისი ღვთაებრივი სიდიადით, ელვითა და ჭექა-ქუხილით ესტუმრა თავის სატრფოს. ამ ესტუმრობის შედეგად სემელეს სახლიც ჩაიბუგა და თავადაც ცეცხლში ჩაიწვა.

2. ...გზასა იქითკენ იმაზედ უფრო ახლო მანძილზედ არ დავიდებ, ვიდრე კალპე აბილას რომ შორავს... — კალპე და აბილა — ორი კლდე, გიბრალტარის ყურის ორსავე მხარეს; ძველი ხალხი „ჰერკულესის სვეტებს“ უწოდებდა.

3. ...შინონი ტუუილად ქებულა პოტილეური ბატითაო... — პოტილე (პონტილი) — სოფელი შინონის ახლოს.

თ ა ვ ი x v i

1. აპედეფტები — უმეცარნი (ბერძნ.). აპედეფტების კუნძული — იგულისხმება სახაზინო პალატა, რომელიც საფრანგეთის სამეფოში ფინანსებს განაგებდა.

2. პერისტილი — სვეტნარით გარშემორტყმული შიდა ეზო ან მოედანი; თვით სვეტნარი, რომელიც გარს ერტყმის ასეთ მოედანს ან ეზოს (ბერძ.).

3. პითიასი — ქვევრისნაირი (ბერძ.).

4. ...რომელ ვაზსაც ხშირადრე აჰყავს მცოდარნი კაცნი დასასჯელად თხემ ადგილსა, ანუ ეშაფოტზედ... — აქ ნართაულად ნახსენებია ჟან პონშეს საქმე, ექსტრაორდინარული სამხედრო ხაზინადრისა, რომელსაც მექრთამეობისა და ხაზინის გაძარცვისთვის ჩამოხრჩობა და მთელი ქონების კონფისკაცია მიესაჯა (1535 წ.).

5. ვენახის საათისთავო — კულუხი, ანუ ღვინის ღალა, რომელსაც მეფეს უხდიდა სამღვდელთა.

6. ...ლამბალური მიწრიელისა ჯანგ-კლანკიანი... — ლამბალი — დაბაი ბრეტანში, სადაც თამაშდებოდა მთელ საფრანგეთში ცნობილ მისტერიები.

თ ა ვ ი x v i i i

1. ...მან დროულად ჩათვალა იმა ერთი ფილოსოფოსის თქმულისა დამოწმება... — აქ ნაგულისხმებია ბერძენი ფილოსოფოსი-სტოელის ეპიქტეტეს (ახ. წ. აღ. I-II ს.) აფორიზმი: „დაითმინე და თავი დაიჭირე“.



2. ქანდარისა თავზედ კასტორი მოვიხილო, ე. ი. კასტორის ვარსკვლავი. კასტორი ძველებს ზღვაოსანთა მფარველად მიაჩნდათ.

3. ანრი კოტირალი — პაინრის კორნელიუს ნეტესგაიმელი (1486-1535). მესამე წიგნში გამოყვანილია პერ ტრიბას სახელით (XXV ს.).

4. აბა რა მაქვს, თუ იცი? — ამ სიტყვებს პატლენი შინაწილში უყვამს, სკლავ-მაუდით ხელდამშვენებული რომ მივა, რომელი სკლავ-მაუდის მფარველად დასტყუა („მეტრი პიერ პატლენი“. 352).

5. ალგამანი — ამალგამა, რომელიმე ლითონთან, ილუკროსთან სინდიცის შენაერთი. (არაბ.).

6. კვინტა — კვინტესენცია.

7. გებერი (აბუ მუსა ჯაფარ ალ სოფი) — VIII საუკუნის დამლევის და IX საუკუნის დასაწყისის ცნობილი არაბი ალქიმიკოსი. ალქიმიას „გებერისა სამზარეულო“ აგრიბა ნეტესგაიმელმა უწოდა.

### თ ა ვ ი XIX

1. ენტელექია. — ეს ტერმინი ფილოსოფიაში არისტოტელემ შემოიტანა, აღნიშნავს თავისუფალ, თვითკმარ საქმიან საწყისს, რომელიც მიზანს თავის თავში შეიცავს. შუა საუკუნეების ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველნი (ისევე, როგორც ალორძინების ხანის ფილოსოფოსნი) გაუთავებლად კამათობდნენ ამ ტერმინის გამო, რათა რაც შეიძლება ზუსტად განემარტათ.

2. მატეოტექნია — უმაქნისი მეცნიერება (ბერძნ.).

3. ენდელექია — უწყვეტობა, უცვლელობა (ბერძ.), ესეც აგრეთვე ბერძნული ფილოსოფიის ტერმინია. ამ სიტყვას (როგორც ამავე სიტყვით აღნიშნულ ცნებას) არცთუ იშვიათად უკვე ძველ დროში ურევდნენ „ენტელექიაში“.

4. თევდორე გაზაც, არგიროპულოც, ბესარიონიც... — თევდორე გაზა (1398-1478) — ბერძენი ღვთისმეტყველი, მთარგმნელი და გრამატიკოსი, თითქმის ორმოცდაათი წელიწადი იცხოვრა იტალიაში. იოანე არგიროპულო (გარდ. 1473 წ.) — ბერძენი სწავლული, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ იტალიაში გაიქცა. უმთავრესად არისტოტელეს თარგმნიდა ლათინურად. ბესარიონი (1389-1472) — კონსტანტინოპოლის პატრიარქი. დარჩა ბევრი საღვთისმეტყველო და ფილოლოგიური შრომა, ლათინურად თარგმნა არისტოტელეს „მეტაფიზიკა“.

5. ...მხოლოდ იმისა გულისხმობს, რომ „შიბოლეთისა“ ნაცვლად „სიბოლეთისა“ უბნობდნენ... — „შიბოლეთი“ — ებრაულად თავთავია. ამ სიტყვის წარმოთქმის მიხედვით ძველი ისრაელის ერთ-ერთი მხარის მცხოვრებნი შინაომის დროს თავიანთ მტრებს ამოიცნობდნენ ხოლმე და ხოცავდნენ („მსაჯულნი“, XII, 6).

### თ ა ვ ი XX

1. ...ათას რვაასი წლისა მაინც იქნებოდა... — ენტელექია არისტოტელეს პირმშობა.

2. ვიეთნი მეფენი — ინგლისისა და საფრანგეთის მეფენი. შუა საუკუნეებში სწამდათ, რომ მეფის ხელის შეხებით სწეული იკურნებოდა.

3. ...ჩხირთნაირნი მიღნი სინამაქის ხისა... მუსიკალური ყუთი ოდალაჯისა... — სინამაქის ხე, რევანდი, ტურბიტე, სკამონია... — საფალარათო, ანუ, რო-



გორც ხალხში იტყვიან, „უკან გასამხიარულებელი“, სასაქმებელი საშუალება-  
ნია.

4. **აბსტრაქტორნი** — არსის გამომხდელი (სიტყვა წარმოქმნილია ლათინური ფესვიდან); **სპოდისატორნი** — ლითონურ სუბსტანციათა დაბლაგველი (სიტყვა წარმოქმნილია ბერძნული ფესვიდან); **მასიტერნი** — მკვამისმწველავნი (ბერძ.); **პრეგუსტნი** — დამკაშნიკებელნი, მსახურნი, რომელნიც კერძოებზე გამოთი უნდა გაესინჯათ, სანამ სუფრაზედ მიიტანდნენ (ლათ.); **ტაბაქიმნი** — მზარეულნი (ებრაულ.); **ხახამიმნი** — ბრძენკაცნი (ებრაულ.); **ნეემანიმნი** — ეჭვიანები (ებრაულ.); **რაბრებანები** — ჩინებულნი (ებრაულ.); **ნირეინები** — სახელგანთქმულები (ებრაულ.); **როზენები** — მბრძანებელნი (ებრაულ.); **ნედიბიმნი** — კეთილშობილნი (ებრაულ.); **ნეარიმნი** — მსახურნი (ებრაულ.); **სალანიმნი** — ქორიკოზნი, ნაცვალნი (ებრაულ.); **ფერაშიმნი** — მხედარნი (ებრაულ.); **ქასინიმნი** — მძლავრნი (ებრაულ.); **სარიმნი** — თავადნი (ებრაულ.); **შოტრიმნი** — ჩაფარნი (ებრაულ.); **აბოტნი** — მოძღვარნი (ებრაულ.); **ამილიმნი** — ხელქვეითნი (ებრაულ.); **აქაშდარპინები** — სატრაპნი (არამეულ-ებრაულ.); **მებინები** — მცოდნენი (ებრაულ.); **გიბორიმნი** — ჩხუბისთავნი (ებრაულ.).

5. ...**პარისატიდა რომ იტყოდა...** — შეად. მეოთხე წიგნის XXXII თავს.

6. **ცირკუმფერენცია** — გარშემოწერილობა (ლათ.).

7. **მხოლოდ ზოგიერთ რამ კატეგორიას, ხეჭაბოტს...** მეორეულ ინტენციას, **ქარადოტს...** — **ხეჭაბოტი** — აბსტრაქცია (ებრაულ.); **ამენიმი** — ჭეშმარიტება (ებრაულ.); **დიმიონი** — ხატი, ხატება, სახე (ებრაულ.); **ქირქურინი** — ზმანება (ებრაულ-არამეული); **ქალომინი** — სიზმარი (ებრაულ.); **ქარადოტი** — კოშმარი, საშინელება (ებრაულ.).

8. **ეგიოქოსი** — ფარჩაბლუჯული (ბერძ.). სიტყვა **ეგიდა** პირდაპირი გაგებით „თხის ტყავსა“ ნიშნავს.

### თ ა ვ ი XXI

1. ...**ძველი დროება ავალორძინოთო...** — ქვემოჩამოთვლილ ძველ ბერძნულ და რომაულ ცეკვათა შესახებ არავითარი ცნობები არ შემორჩენილა.

2. **ჰიდროპიკნი, ტიმპანისტნი, ასციტიკნი, ჰიპოზარგიკნი** — წყალმანკით დაავადებულნი.

3. **წმ. ფრანცისკის ხენი** — სიღარიბე.

4. **ოფიაზისი** — წარმოდგება ბერძნული „ოფის“-ისგან (გველი).

### თ ა ვ ი XXII

1. ...**როგორაც კვინტესენციალი არისტოფანე უბნობს...** — რაბლეს მხედველობაში აქვს არისტოფანეს კომედია — „ღრუბლები“, სადაც სოკრატე გამოყვანილია ალოღლეტიად და უვიცად.

2. **პესპერე** — მწუხრის ვარსკვლავი (ბერძ.).

### თ ა ვ ი XXIII

1. **აპიციუსი** — მარკუს გაბიუს აპიციუსი (ახ. წ. აღ. I ს.), ცნობილი გემოთმოყვარე და პურმარილიანი რომაელი.

2. **ლუეტი** — სათამაშო ქაღალდის ერთ-ერთი სახეობა.



თ ა ვ ი X X I V

1. მხიარული ბალ-ტურნირი... — საჭადრაკო ბალ-ტურნირის აღწერა (თავები XXIV-XXV) რაბლემ გადმოიღო იტალიელი ფრანჩესკო კოლონას „პოლიფილის ჰიპნეროტომაქიიდან“ (ზმანებისა და ეროტის ბრძოლა). ქართულიც 1499 წელს გამოიცა.

შ ი ზ — ი ი რ თ ე ე ა ა

თ ა ვ ი X X V

1. ენიო — ბერძენთა ომის ქალღმერთი.
2. ნიკოლოზ კუზანელი — ალორძინების ეპოქის გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი და სწავლული (1401-1464).

თ ა ვ ი X X V I

1. ჰოდოსი — გზა (ბერძ.).
2. ...შევამჩნიე, კუსებრ დაჯანჯალებს... — ეს გზა ჯერ კიდევ რომის მბრძანებლობის დროს იყო გაყვანილი და უკვე გზა აღარ ეთქმოდა.
3. გატყეცილი თეთრი... გზა — გაყინული მდინარე.
4. ფილოლაესა და არისტარქეს თავიანთი ფილოსოფიური დაწყობილობანი... სწორედ აქა აქვთ შექმნილიო... სელევკეც სწორედ აქ არის მისული იმა დასკვნამდე... — ფილოლაე ტარენტელი (ძვ. წ. აღ. V ს.), ფილოსოფოს-პითაგორელი, რომელიც მზის გარშემო დედამიწის ბრუნვას აღიარებდა. არისტარქე სამოსელი (ძვ. წ. აღ. III ს.) ალექსანდრიელი მათემატიკოსი და ასტრონომი, და სელევკე (ახ. წ. აღ. I ს.), იზიარებდნენ ფილოლაეს თვალსაზრისს.

თ ა ვ ი X X V I I

1. ჩიჩლათანი, ანუ ხისა ქერქისა ქალამანი — ეს იყო გლეხთა და ბერმონაზონთა ფეხსამოსი.
2. ...მატერიკზედ ბევრი ცხოვრობს სახიერი მადონას თვინიერი მსახური და თაყვანისმცემელიო... — იგულისხმება სერვიტების (ყოვლადწმინდა მარიამის მსახურთა) ორდენი, დაარსებული 1232 წელს.
3. ...ძმანი მინიმალურნი, ანუ უმრწემესნი... — „ყოვლის უმრწემეს ძმათა“ ორდენი.
4. ...ძმანი მერვედელნიო, მაგრამ ბერმონაზვნისთვის ავაჯაზედ უფროისლა მოკლე სახელისა მოგონება შეუძლებელი რამ არისო... — „ძმანი მერვედელნი“ რაბლეს გამოგონილი არიან. ფრანგული სიტყვა fredon (ავაჯი — ხმა მომადლო, გრძელი, როგორც საბა განმარტავს) აღნიშნავს „რაკრაკს“, კრიმანჭულს.
5. ქვიშის ზღვა — მზარე არაბეთის ნახევარკუნძულზე.
6. ...მერკურისა წყალი — აიაზმა, ნაკურთხი წყალი, რომლის საშუალებითაც „სიბილწე უნდა ჩამოერეცხათ“ როგორც ადამიანისთვის, ისე უსულო საგანთათვის.
7. მარპესისა კლდე — მარპესი — მთა კუნძულ პაროსზე, სადაც ცნობილი პაროსული მარმარილოს საბადო იყო.
8. ...არა მინდა რა, პრიაპე გააჩინა ერთი ღმერთმა აქა... — პორაციუსი „სატირებში“ (1, 8) ბალში დადგმული ხის პრიაპეს პირით გვიყვება ორი ქალატურის, ანუ კუდიანი ქალის — კანიდიასა და საგანეს ამბავს. ის კუდიანი ქალები პრიაპეს ფეხთით უდგნენ და სახრავდნენ, აჯადოებდნენ, მაგიური ცერემონია უკვე მთავრდებოდა, რომ ხის აღალმა უცაბედად გასკდა:







5. ბლემიები — ისეთივე ზღაპრული ტომია, როგორიც ტროგლოდიტები და გიმანტოპოდები არიან.

6. ეგიპანები — თხისფეხება პანები, იგივენი არიან, რაც სატირები (ბერძ.).

თ ა ვ ი X X X I I I



ეროვნული

1. ლა-როშელის ფარანი — აგრე ერქვა ციხესიმაგრე ლა-როშელში ერთ კოშკს, რომელიც შუქურას მაგივრობას ეწეოდა.

2. ნავბლიოსი — კუნძულ ვებეას მეფე, რომელმაც იძისთვის, რომ ბერძენთაგან ტროასთან მოკლული ძისა გამო შური ეძია, თავისი კუნძულის კლდეებზე ყველგან ცეცხლი დაანთო. ვებეას გვერდის ჩავლით შინ მიმავალი ბერძენები ამ ამბავმა დააბნია და ისინი გზასაცდენილნი დაიღუპნენ.

3. ლიპნობიელნი — ლამპის შუქზე მცხოვრებნი, მეღამურნი, ლამის მთველნი (ბერძ.).

4. აქა ოდესმე ფარანიანობდა თვით დემოსთენე — ბერძენი ორატორი დემოსთენე ხშირად დამღამობით მუშაობდა. ამიტომ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე ამბობდნენ, ლამპის ზეთის სუნი დაჰკრავსო.

5. არისტოფანეს ფარანი და კლეანთეს ფარანი — ალექსანდრიელი გრამატიკოსის არისტოფანე ბიზანტიელისა (ძვ. წ. აღ. III ს.) და ათენელი ფილოსოფოს-სტოელის კლეანთეს (ძვ. წ. აღ. III ს.) შრომისმოყვარეობა ძველ ხალხში გაანდაზებული იყო, მეცნიერებას მიჩიჩინებულ ადამიანებზე ამბობდნენ, ეგენი არისტოფანეს ანდა კლეანთეს ლამპის შუქზე შრომობენო.

6. ფენგიტი — ქარსის სახეობა (ბერძ.).

7. ...ეგაო, მითხრეს, სწორედ ის ფარანიანო, ეპიქტეტესიო, რომელშიაც ადამიანის დროსა სამი ათას დრაქმასა იძლეოდნენო... — ერთმა უბირმა იმ აზრით იყიდა სტოელი ეპიქტეტეს სანათი, იქნებ ამ ფილოსოფოსმა თავისი სიბრძნეც ზედ გამოაყოლოსო.

8. პოლიმიქსი — მრავალპატრუქიანი (ბერძ.). მარკიალისის ერთ-ერთ ეპიგრამას (XIV, 41) „მრავალპატრუქიანი ლამპა“ ჰქვია.

9. იკოსიმიქსი — ოცპატრუქიანი (ბერძ.). ამ სანათზედ ლაპარაკია კალიმაქეს ერთ-ერთ ეპიგრამაში.

10. პენსილე — საყიდარი, დასაკიდი (ლათ.).

11. ...ერთ-ერთი დიდი ლუმინარიუმი იყო, მეორე კი მცირე ლუმინარიუმი, სააფთიაქო... — „დიდი ლუმინარიუმი“ და „ლუმინარიუმი აფთიაქართათვის“ — სახელწოდებანია ფარმაცოპეას ორი სახელმძღვანელოსი, ერთიცა და მეორეც ხშირად იცემოდა XVI საუკუნეში. სიტყვა „ლუმინარიუმი“ წარმოქმნილია ლათინური „ლუმინ“-ისგან, რაც შუქს, სანათურს ნიშნავს.

თ ა ვ ი X X X I V

1. ზოოფორი — ცხოველებისა და მცენარეულობის ამსახველი სკულპტურული ზოლი (ფრიზი) — ბერძ.

2. ბიგო გიიომი (დაიბ. 1502 წ.) — პოეტი და ფილოსოფოსი, წერდა ლათინურად და ფრანგულად.

თ ა ვ ი X X X V

1. ...სწორი არა პყავს შინონსა, მცირესაც თვალსაჩინოსა... — ქალაქ შინონის დევიზი, გერბზე უწერია.



თ ა ვ ი X X X V I

1. **ტეტრადა** — ოთხიანი (ბერძ.). პითაგორელნი ყველაზე სრულტყმნილ რიცხვად მიიჩნევდნენ ოთხიანს.

2. **...სწორედ ეს არის უტყუარი პლატონისეული ფსიქოგონია...** — ფსიქოგონია — სულის წარმოშობა (ბერძ.). დიალოგში „ტიმოსი“ (35) პლატონი აგრე გადმოგვცემს „სამყაროს სულის“ შექმნის ისტორიას: „თავდაპირველად, ქაოსიდან მან (ღმერთმა) გამოყო რაღაც ერთი ნაწილი (1), შემდეგ მეორე ნაწილი, ორჯერ უფრო დიდი (2); შემდეგ მესამე, პირველზე სამჯერ უფრო დიდი (3); მეოთხე, მეორეზე ორჯერ უფრო დიდი (4); მეხუთე, მესამეზე სამჯერ უფრო დიდი (9); მეექვსე, პირველზე რვაჯერ უფრო დიდი (8); მეშვიდე, პირველზე ოცდაშვიდჯერ უფრო დიდი (27)“. ამ რიცხვთა ჯამი უდრის 54-ს — 108-ის ნახევარს.

3. **...თითქოსდა ჰიბერნიაში წმ. პატრიკისა მღვიმეში ვიყავით...** — წმ. პატრიკის მღვიმე ჰიბერნიაში (ირლანდიის ძველი სახელწოდებაა) სალხინებელში ერთ-ერთ ჩასასვლელად ითვლებოდა.

4. **...ანდა ბეოტიაში ტროფონიოსის ხნარცვა შიგან...** — ტროფონიოსის ხნარცვი — ტროფონიოსის, აპოლონის ძის ორაკული (ბერძნ. მით.). ვინც ღმერთსა თავისი ბედ-იღბლის წინასწარმეტყველებისთვის მიმართავდა, მიწისქვეშ სადმე ჯურღმულში უნდა ჩასულიყო.

5. **...ვითარ ოდესღაც... მაგათ დემეტრიოსს ერთ-ერთი მეაფთე შეუჭამეს..** — ათენის მთავრის, დემეტრიოს ფალერონელის (ძვ. წ. აღ. IV ს.) ერთ-ერთი ქეშიკი ისე ჩაეშვა ტროფონიოსის დარანში, რომ წინასწარ არცრა წესი და რიგი არ შეუსრულებია. იქაური საყდრის გაძარცვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ დარანშივე დაიღუპა, უკან ვეღარ დაბრუნდა (პავსანია, IX, 39, 12).

6. **...პატარა ბაღლთა ლიმბთა შიგან...** — ლიმბი — სარტყელი (ლათ.). ლიმბთ კათოლიკე თეოლოგნი სალხინებლის იმ წრეთ უხმობდნენ, სად არაქრისტიან წმინდანთა სულები და ჯერ კიდევ მოუნათლავად გარდაცვლილნი ყრმანი იღებდნენ ბინას.

თ ა ვ ი X X X V I I

1. **ვითარ ... განიხვნა ტაძრისა კარი...** — ბოტა-ბოთლისა ტაძრისა ქვემორე აღწერაში რაბლემ ბევრი რამ გამოიყენა ფრანჩესკო კოლონას ზემორე ხსენებული წიგნიდან „პოლიფილის ჰიპნეროტომაქია“.

2. **ოფიტი** — მარმარილოს ერთ-ერთი ნაირსახეობა.

3. **...გაძალებულს კი მიათრევს...** — ბერძენი ფილოსოფოს-სტოელის კლემანთეს (ძვ. წ. აღ. III ს.) გამოხატქვამი, ლათინურად სენეკას მიერ თარგმნილი.

თ ა ვ ი X X X I X

1. XXXIX და XL თავებში რაბლე გადმოსცემს ლუკიანეს დიალოგის — „ლიონისეს“ შესავალს.

2. **ბახარიდები, ევანტები... ბაქიდეები** — სხვადასხვა სახელწოდება ბაკქოსის ქალებისა (ბაქქანტებისა), რომელიც ბერძენ და რომაელ ავტორებთან გვხვდება.

3. **ტიტირი** — აგრე ერქვა ერთ-ერთ ბერძნულ კილოკავზე სატირს.

4. **ჰეპიმანები, ეგიპანები** — იგივენი, რაც სატირებია. **სილვანები** — ტყისა და მინდვრის ღვთაებანი (რომაული მით.).



5. ფატუები — იგივენი, რაც ფავნები.
6. ლემურები — გარდაცვლილთა სულები (რომ. მით.).

თ ა 3 0 x L



1. **ფერკულნი** — ხირაულ-ტახტრევან-საკაცენი, რომელნიც გამარჯვების ნიშნად გამართული საზეიმო (ტრიუმფული) სვლის მონაწილეთ მიქობდათ (ლათ.). ამ ხირაულ-ტახტრევან-საკაცეებზე აღმართავდნენ ხოლმე ღმერთების გამოსახულებათ, ათავსებდნენ სამხედრო ნადავლსა და მისთანათ.

2. **ეპინიკი** — გამარჯვების სიმღერა (ბერძ.).

3. **ტროპილნი** — პატარა, წიპრანა ჩიტები, რომელნიც (როგორც რაბლეს ამოეკითხა ძველ ავტორებთან) ნიანგს ხახაში უფრინდებიან და კბილებში ჩარჩენილ საჭმლის ნარჩენთ უჩიჩქნიან.

თ ა 3 0 x L I

1. ...**ვითარცა ის ზეთი, ოდესღაც კალიმაქემ ათენისა აკროპოლისში პალადას ოქროს ლამპარსა შიგან რომ ჩაასხა...** — კალიმაქე — ბერძენი მოქანდაკე (ძვ. წ. აღ. V ს.). როგორც პავსანიას წერს, მან ისეთი ლამპარი გამოიგონა, რომ წელიწადში მხოლოდ ერთხელ უნდოდა ზეთის ჩასხმა.

2. ...**კარპაზიული სელისა...** — კარპაზია — ძველი ქალაქი კუნძულ კვიპროსზე; კარპაზიის მახლობლად აზბესტს, ანუ ქანსელს იღებდნენ.

თ ა 3 0 x L I I

1. ...**გაჯავრებული, ბორბოქშემდგარი აიაქსისა სისხლი იქცა...** — ერთ-ერთი მითის მიხედვით თავმოკლული აიაქს ტელამონიადეს სისხლი ღმერთებმა სუმბულად აქციეს. სურათზე, რომელსაც სუმბულის ფოთლებზე ძარღვები კმნიან, ძველი ხალხები ზედავდნენ ასოებს — AI. ყვავილის ლეგენდა რაბლეს მოსახელე მინერალზე გადააქვს. დედანში ნახმარი სიტყვა გ ი ა ც ი ნ ტ ი სუმბულსაც ნიშნავს და იაგუნდსაც.

2. ...**მამრული ლალისა...** — უფრო მეტად მზინავ და მბრწყინავ ქვებს პლინიუსი „მამრულს“ უწოდებს, ნაკლებად ბრწყინვალეს — „მდედრულს“. რაც კი რამ ამ თავში ძვირფას ქვებზეა თქმული, რაბლეს მიერ დასესხებულია პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიიდან“.

3. ...**რომელმა გრძნობამაც შეიპყრო ათამანტი, ოდეს ძე თვისი ლეარქე სასიკვდილოდ გაიმეტა...** — ჰკუთარეულმა ათამანტმა შვილი მოკლა. ამ ათამანტის ალაღმა რომ უნდა ჩამოესხა, ბერძენი მოქანდაკე არისტონიდე ბრინჯაოს რკინას ურევდა, რა არი ათამანტის სახისთვის წაწითალო ფერი დაეკრა.

4. ...**კანონიკ კი პოლიკლიტესი...** — იგულისხმება ალაღმა „დორიფორი“ („შუბოსანი“), ეს ალაღმა ბერძენი მოქანდაკის პოლიკლიტეს (ძვ. წ. აღ. V ს.) თეორიული პრინციპების განხორციელებად ითვლებოდა, რომელი პრინციპებიც გადმოცემული ჰქონდა „კანონად“ სახელდებულ ჩვენამდე მოუღწეველ თხზულებაში.

5. **პანტარბა** — თვალისმომჭრელად მოელვარე ძვირფასი ქვა, სპეკალი, წითელი ფერისა. ამ ქვას ახსენებს ბერძენი მწერალი ფლავიოს ფილოსტრატე, (ახ. წ. აღ. II-III ს. ს.), ავტორი თხზულებისა „ცხოვრება აპოლონიოს ტიანელისა“.



6. პითილე — ათენოსი („ბრძენთა ნადიმი“, I, 6) მოგვითხრობს, რომ ვინმე პითილემ, რათა გემოვნება დაეკარგა, ენაზე რაღაც საგანგებოდ შემზადებული მალამო წაისვა. იგივე ავტორი (I, 5-6) ახსენებს ფილოქსენესა და მელანთეს, რომელთა შესახებაც რაბლე ცოტა ქვემოთ ლაპარაკობს.

7. ნონაკრისი, დირკა, კანტოპორია — წყაროებია საბერძნეთის სხვადასხვა მხარეში.

თ ა ვ ი XLIII

1. ჰიპოკრატეს სახელო — ძაბრისებური ფილტრი, დამზადებული ქსოვილისგან, რომელსაც აფთიაქარნი ხმარობდნენ.

2. მისტაგოგი — საიდუმლოს მაზიარებელი (ბერძ.).

3. ... რამნუზიას რამნუსისა ევბეელნი... — რამნუსი — სოფელი ატიკაში, სადაც იყო სამართლიანი, სასჯელისა და ნაცვალგების ქალღმერთის ნემესიდას, ოვიდიუსის მიხედვით, იგივე რამნუზიას, ტადარი (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, III, 406, XIV, 695).

4. ფერონია — ძველი იტალიური ღვთაება, განთავისუფლებულ მონათა მფარველი.

თ ა ვ ი XLIV

1. ითიმბი — ბაკქოსური ცეკვის სახეობა (ბერძ.).

2. ... არისტეოსისგან შემოღებული წებისდა კვალად... — ვერგილიუსის „გეორგიკებში“ (IV, 317-558) მოთხრობილია მწყემს არისტეოსის ამბავი, რომელ მწყემსსაც ფუტკარი გაექცა. დედის, ნიმფა კირენეს, რჩევით მან ოთხი მოზვერი და ოთხიც ხბო წაასაკლავა და აგრე დახოცილნი ტყეში დატოვა, მეცხრე დღე იქ იმათგან ფუტკარი ამოფრინდა.

თ ა ვ ი XLV

1. ...ოდესღაც ერთმა ძველმა იუდეველმა წინასწარმეტყველმან მთელი ერთი წიგნი შექამა... — იგულისხმება ეზეკიელი, რომლისთვისაც, როგორც თვითონვე ამბობს (III, 3), ღმერთს გრაგნილი გადაუცია და, შექამეო, უთქვამს, იმასაც შეუქამია და თაფლივით ეტკბილა თურმე პირში.

2. ... მართლაც ეხოპეს ერთ-ერთ იგავსა შინა თქმულია... — იგულისხმება ხურჯინის, ანუ შახალის იგავი, რომელი შახალ-ხურჯინიც თითოეულ ჩვენგანსა გვევლია: წინა თვალში სხვათა უკეთურებანია, უკანაში — ჩვენი საკუთარი.

თ ა ვ ი XLVI

1. ტრისმეგისტეული — სამგზის უდიდესიებული (ბერძ.).

თ ა ვ ი XLVII

1. ... მიწისქვეშეთისა თუ ქვესკნელის მეუფისა სახელსა... სიმდიდრისა გამოხატველი სიტყვა აღნიშნავს — ბერძნების ქვესკნელის ღმერთი, არის პლუტონი, ხოლო „პლუტოს“ ბერძნულად სიმდიდრეს ნიშნავს. რომაელთა მიწისქვეშა სამეფოს ღმერთის სახელიც — დიტუსი სიმდიდრის აღმნიშვნელია.

2. ... უფსკრულსა ვასძახის უფსკრული — ფსალმუნი XLI (XLII), 8.





სპარსელი ლირიკოსები

საადი შირაზელი  
(XII—XIII ს.ს.)



სპარსულიდან  
თარგმნა ნომადი ბართაია

●  
თუ სასახლეში კარავის იცნობ,  
ნუ მიადგები სასახლის კარებს.

თორემ ან ძალლი, ან კარისკაცი,  
უმალვე, როგორც შეგავლებს  
თვალებს —

ერთი ფეხებში გეცემა, ხოლო  
მეორე გისვრის კინწისკვრით  
გარეთ.

●  
ვნახე, შუადლით, უღმობელ  
მტარვალს  
ძილისთვის ტკბილად მიეცა თავი.

ვთქვი, რომ ეს კაცი კარგია მაშინ,  
როცა მკვდარივით მძინარე არის.

ის ვინც კარგია მძინარე მხოლოდ,  
უმჯობესია, რომ იყოს მკვდარი.

●  
გამიგონია, კაცი მორწმუნე  
არ მიაყენებს მტერსაც კი წყენას.

ნეტა, როდისღა გეშველოს უნდა,  
თუ გესლავს მოკვრებს დღეს შენი  
ენა.

●  
იმ სახლს, რომელსაც მეზობელი  
ჰყავს შენისთანა,  
ათი დირემი თუ ექნება მხოლოდღა  
ფასი.

მაგრამ იმედი ვიქონიოთ, მოკვდები  
როცა,  
ის ეღირება, უსათუოდ, ასი ათასი.

●  
თუკი დასჭირდა მეგობარს შენსას,  
გაყიდე მამის ეზო და კარი.

მეგობრის ქვაბის ასადულებლად  
შენი ავეჯი ალალი არის.

სიკეთე უყავ ავის მოსურნეს,  
ძალღს პირს შეუკრავს პატარა  
ძვალი.

●  
საჭმელი უნდა იმიტომ ჭამო,  
რომ იარსებო, ბოლოს და ბოლოს,  
შენ კი გგონია, არსებობ მისთვის,  
ამოიყორო მუცელი მხოლოდ.

●  
კაცი საწყალი და უქონელი  
მსუბუქად მივა სიკვდილის კართან.

მაგრამ მდიდარი იკითხო უნდა,  
როს გაეცლება წყალობის კალთა...

●  
ბატონისათვის ესა ჰგავს ბორკილს,  
ხოლო მონისთვის ბორკილის აყრას.

●  
ვისაც ხალხი პატიოსან,  
მართალ კაცად იცნობს,

მან რაც უნდა ტყუილი თქვას,  
აპატიონ ვინძლო.

მაგრამ კაცად თუ არ ვარგა,  
არის ცრუპენტელა,

მაშინ მისი აღარავის  
მართალიც არ ჯერა.



უკვე რამდენი გავიდა წელი,  
რაც არ გინახავს საფლავი მამის.

რაც შენ მიაგე სიკეთე მშობელს,  
შვილი მოგაგებს, დადგება ქვამი.



ეროვნული

ნუ მოეპყრობი კეთილად ბოროტს,  
ეს ბოროტების ჩადენა არის.

იქ, სადაც მგლებს დიდხანს ჯალად,  
სულ ერთიანად გაწყდება ცხვარი.

სიტყვა, თუნდ იყოს საამო და დამპყრობი გულის,  
იმსახურებდეს მოწონებას, ყველასგან ქებას,

ერთხელ ნათქვამი აღარა ჰხამს გაიმეორო,  
ზედმეტი ჰალვა უსათუოდ მოგიტანს ვნებას.

მიცვალებული რომ გაცოცხლდეს, დაბრუნდეს  
სახლში,  
ნახე, თუ როგორ დაეთუთქოთ მემკვიდრეთ გული.

სიკვდილზე უფრო საშინელი იქნება მათთვის  
განაწილება ქონების და გაყოფა ფულის.

აღარ მიხვიდე მეგობართან მწუხარე სახით,  
არ გაუფუჭდეს ხასიათი მას შენი ნახვით.

მეგობარს მუდამ ეახელი ღიმილის მჩენი,  
რომ გაუხარდეს მას ორწილად დანახვა შენი.

თუ ვინმე მოვა, ღამე ძალით ჩაგიქრობს სანთელს,  
გამოასალმე ყველას თვალწინ იგი დღის ნათელს.

თუკი გეწვია პირმცინარი, ღამაში სატრფო,  
გულში ჩაიკარ, თვით ჩააქრე სანთელი ამ დროს.

თუმცა ახალგაზრდები თვალწარმტაცნი არიან,  
არ არიან ერთგულნი, მათი ნდობა ძნელია.

ბულბულთაგან ნუ ეძებ ერთგულებას, ძვირფასო,  
ყველა ვარდი მათთვის ხომ ერთნაირად მწველია.



ათასი ცუდი ჩაიდინოს დერვიშმა თუნდაც,  
ამის შესახებ მეგობრებშიც არარა ისმის.



ქართული  
ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ მეფემ გაიხუმრა, საკმარისია,  
უმალ ქვეყანას მიმოივრებს ნათქვამი მისი.

მოდო, მიაბზე, ფარვიშმა რა გამოსტაცა საწუთროს,  
წადი, იკითხე, ხოსროვმა თან გაიყოლა აბა რა!..

თუ ერთმა განძი დატოვა, სხვას ჩააბარა უკლებლივ,  
მეორემ კიდევ სამეფო ვილაცას გადააბარა.

ქვეყანა უნდა გონიერად მართოს ხელმწიფემ,  
არა ხამს იყოს უდარდელი, ნიადაგ მთვრალი.

მეფე მწყემსია, ძილი მისი ავნებს ქვეყანას,  
და თუ მწყემსია, ფხიზლად უნდა ეჭიროს თავი.

წყლის მოსატანად მდინარეზე წავიდა კაცი,  
მაგრამ მდინარემ საცოდავი წაიღო თანა.

ბადეს თუმც უხვად მოჰყვებოდა ყოველთვის თევზი,  
ხედავ, ამჯერად თევზმა ბადე თან წაიტანა.

შენ, ჰე, რომელიც სხვას ასწავლი, არიგებ ვითომ,  
რასაც ქადაგებ, შეისმინო ის უნდა თვითონ.

თუ თვით არ იცი, როგორ უნდა გეჭიროს თავი,  
მაშინ სხვის ნაკლზე ხმა გაკმინდე, დასუჭე თვალი.

სახე გიჩანსო, მოპთასები ჰკიცხავდა მეძავს,  
თვითონ კი უკან გარღვეული შარვალი ეცვა.

უმჯობესია, მოთმინებით დალიო სული,  
ვიდრე უღირსის წყალობისკენ გეჭიროს თვალი.

უმჯობესია, უდაბნოში მოკვდე წყურვილით,  
ვიდრე ბინძურის გამოწვდილი დალიო წყალი.



●  
 ძაღლები ნახე, როს საჭმელი არაფერი აქვთ,  
 რარიგ არიან, ერთმანეთი ან როგორ უყვართ.



მაგრამ უკანალს დააგლეჯენ ერთიმეორეს,  
 საკმარისია, გადაუგდო მათ ერთი ლუკმა.

ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

●  
 ხელმწიფემ სისხლი საკუთარი თუ არ დაღვარა,  
 სამეფო მისი დაიცლება სისხლისგან მაშინ.

უნდა ყოველთვის ერთი მაინც მოიკლას მგელი,  
 რომ მის ღრიალზე დანარჩენნი შექვრნენ ბუნაკში.

●  
 როდესაც უწყი, ჩამოვარდნა აღარ ავცდება,  
 მაგ სიმაღლეზე წამოჯდომა აბა რას გარგებს.

არ გირჩევნია, ნება-ნება იარო ფეხით,  
 ვიდრე ამხედრდე ბედაურზე და ჩამოვარდე.

●  
 უცხო მხარეში, უდაბნოში, მთაში თუ ბარად,  
 ყველგან დიდებულს გაუმლიან მდიდარ კაცს კარავს.

მაგრამ უქონელს, უცხოეთზე არაფერი ვთქვათ,  
 სამშობლოშიაც კაციშვილი არ დაიფარავს.

●  
 ერთ ხალიჩაზე მოისვენებს დერვიში ათი  
 და არ ატყდება დავა მათ შორის.

მაგრამ იცოდე, რომ ვერაფრით ვერ მოისვენებს  
 ერთ სამეფოში ხელმწიფე ორი.

●  
 თუ აღარ ძაღვიძს მოაშორო დარდიანს სევდა,  
 იმას უფრორე დაალონებს შეხვედრა შენთან.

ათასი ტკბილი შარბათი და ნუგბარი ხილი  
 მოწამლულს ისე არ აამებს, ვით სიტყვა ტკბილი.

დერვიშმა ერთხელ თუ გაბედა კაკუნი კარზე,  
 კარი ბევრია ქვეყანაზე და ივლის ასე.

გულით მოგენდოს, არ მიენდო, ძვირფასო, მასაც,  
 ვინც ერთს გაანდო სატკივარი, გაანდობს სხვასაც.



ოზარ ხაიამი  
(1041—1123)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საზრუნავს ჩვენსას აღარ უჩანს თავი და ბოღუღუღიძეობა  
გვაკლდება შვება, გვემატება ტკივილი მხოლოდ.  
დიდება უფალს, არასოდეს დარდი და ურვა  
არა გვექონია არავისგან ჩვენ სამათხოვრო.

ბედისწერასთან კაციშვილი ვერაფერს გახდა,  
ვერ გაძღა მიწა, საოცნებო მისი ვერ ახდა,  
თავი ნუ მოგაქვს, რომ არსებობ, სულ მალე მტერი  
თავს დაგადგება შესამუსრად, დარჩები სახტად.

ფრთხილად იყავ, საწუთრო რახან არის მზაკვარი,  
ეცადე, ბედისწერით არ დაგებნეს გზა-კვალი.  
ეს საწუთრო ასეა, პირში ჰალვას ჩაგიდებს,  
მაგრამ შხამსაც გაურევს, სიტკბო მისცეს სხვაგვარი.

სანამდე გინდა წარბშეკრულმა იარო ასე,  
არას გიშველის, დადიოდე ნაღველით სავსე.  
ბედს რომ მიენდო, გონივრული იქნება, რადგან  
აღარაფერი გეკითხება ამ ქვეყანაზე.

ამქვეყნად ვერვინ მოეფერა ვარდისლაწვიანს,  
სანამ ეკალმა მწუხარება მას არ აწვნია.  
ხედავ სავარცხელს, სანამ ასად არ დაისერა,  
სატრფოს ზილფები მას არავინ დაავარცხნია.

ჩემთვის ფარული არ ყოფილა არასდროს ცოდნა,  
ასე მეგონა, საიდუმლო დამრჩა სულ ცოტა.  
სამოცდათორმეტს მივალწიე ამ რწმენით წელს და  
ბოლოსლა მივხვდი, წარმოდგენა არაფრის მქონდა.

ოი, საწუთროვ, მწუხარებამ გული დალახვრა,  
შვების პერანგი დამიფლითა, ვღირვარ არაფრად.  
ქარი, რომელიც ჩემკენ ქროდა, ცეცხლად იქცა და  
წყალი, რომელსაც დავეწაფე, იქცა ტალახად.



ყური მივდე, მეგობარო, აი, გეტყვი ამას:  
 საწუთროზე უფიქრია მრავალ შენისთანას.  
 მოიძიე სადმე კუთხე, შეუმჩნევლად, შენთვის  
 მიუჩიდი და უთვალთვალე წუთისოფლის თბილისში.



სარდაფში შეველ, რომ დამსხმოდა ღვინისგან რეტი,  
 ვნახე ზარხოშად, დოქით მხარზე, მოხუცი ერთი.  
 ვუთხარი ასე, არ გრცხვენია, ეს რა გიქნია?  
 შენც დალიეო, შეგინდობსო მალალი ღმერთი.

ფრინველი ვნახე წამომჯდარი ციხეზე თუსის,  
 ფეხქვეშ მოეგდო თავის ქალა ქეიქაუსის,  
 ეუბნებოდა სინანულით: „აფსუს, რა იქნა  
 შენი დოლის ხმა, ბუკის ხმა და განგება უფლის“...

არა ხამს გულში მწუხარებამ დაიდოს ბინა,  
 სამხიარულო შენ დაიდე წიგნები წინა.  
 დალიე ღვინო, აისრულე წადილი გულის,  
 ამქვეყნად დიდხანს არ დაგარჩენს, ვინც გაგაჩინა.

რომ გამომიდგა — საწუთროა სიკვდილის ცელით,  
 გაფუჭდა საქმე, არაფერი აწ აღარ მშველის.  
 სულმაც აიკრა წასასვლელად გუდა-ნაბადი,  
 რას ველოდოო, მექცევას როს თავზე ჭერი.

ღმერთო, სად არის ეგ შენი დიდსულოვნება, სიკეთე,  
 სამოთხის ბადის კარები ნეტა რად გადაგვიკეტე.  
 ვინც არა სცოდავს, მითხარი, რად უნდა იმას  
 შენდობა,  
 თუ მართლა მწყალობელი ხარ, ლოთებს და  
 შფოთებს მიხედე.

როდესაც ვინმე თავს წამოჰყოფს, იტყვის —  
 ეს მე ვარ!  
 ოქრო და ვერცხლით იამაყებს, იტყვის — ეს მე ვარ!  
 როცა მთლიანად მისი საქმე აეწყო თითქოს,  
 მოვა სიკვდილი, მიამიტად იტყვის — ეს მე ვარ!



●  
 ვიცი, რას ნიშნავს რაობა და არარაობა,  
 ვიცი ქვესკნელი და ზესკნელი, მათი სხვაობა...  
 და, ამავე დროს, ისიც ვიცი, რომ თრობის უფროდღეული  
 არის ამქვეყნად ყველაფერი საცოდაობა. ზიზღის იქონიება

●  
 როცა ერთად დასხდებით მეგობრები ძველი,  
 ერთმანეთით დატკბებით და იამებთ ლხენით,  
 როცა ჩამოარიგებს მერიქიფე ღვინოს,  
 მოიგონეთ ბეჩავი მეგობარი თქვენი.

●  
 ღვინოა მხოლოდ, ბოროტების სენისგან გვარჩენს,  
 საიდუმლოთა ამოხსნაში ის არის მარჯვე.  
 ღვინო რომ ეშმაკს დაელია, თუნდ ერთი წვეთი,  
 მუხლს მოიყრიდა ადამის წინ ასიათასჯერ.

●  
 იმხიარულე, სხვანაირად სიცოცხლე არ ღირს,  
 კვლავ ძველებურად იტრიალებს, ძმაო, ცის ჩარხი.  
 ხვალ ის აგური, გამომწვარი შენი თიხისგან,  
 კედელს შეერწყმის, უსათუოდ, ვილაცის სახლის.

●  
 ნახე, ნიავმა ვით მოიგდო ვარდები ხელში,  
 ბუღბუღმა ყელი მოიღერა ვარდების ეშხით.  
 ვარდების ჩრდილში დაივანე, რადგან ყვავილი  
 ბევრჯერ დატკნება, გავერევით ჩვენც მიწის  
 მტვერში.

●  
 ავადა ვარ, დავკარგე უკვე მოსვენება,  
 უსმელობა სიცოცხლეს ჩემსას ემუქრება;  
 საოცარი ის არის, ავადმყოფობისას  
 ღვინის გარდა რასაც ვსვამ, მოაქვს მხოლოდ ვნება.

●  
 ავი და კარგი, ერთნაირად გვარგუნა ბედმა,  
 ტანჯვა და ლხენა თავიდანვე ჩვენ დაგვებედა.  
 ნუ მივარდები ყველაფერზე სამყაროს, რადგან  
 თუ დაფიქრდები, უმწუკოა ის ჩვენზე მეტად.



ვინც კი გულში გაივლო ერთი პწკარი გონების,  
 უქმად არ დაუკარგავს თუნდაც წამი ცხოვრების.  
 ან სიცოცხლე თავისი ღვთის ვედრებით გალენი  
 ან ღვინო სვა, ცხოვრება განვლო სულის ცხოვრების



რადგან არაფრად არ სჭირდება გონება არვის,  
 რადგან ბურთი და მოედანი დღეს ბრიყვის არის,  
 მომეცი იგი, განმაშორებს რაიც გონებას,  
 იქნებ საწუთრომ მოწყალების მომხედოს თვალით.

შეხედე, როგორ დაგვმხოვია ცარგვალნი რისხვით,  
 მისგან ვერც ერთი გონიერი თავს ველარ იხსნის.  
 აი, მე მესმის მეგობრობა დოქის და ჯამის,  
 მათ ბაგეთ შორის მიმოქცევა ნიადაგ სისხლის.

ამ ქვეყანაზე ოდითგანვე გზა მიდის ორი,  
 ნაწილი რწმენის გზას ადგას და ნაწილი გონის.  
 ვაითუ ერთხელ ხმა გაისმას მოულოდნელად:  
 „ეი, უვიცნო, არც ერთი გზა არ არის სწორი!“

ხვალინდელ დღეზე ნუ შეგაკრთობს დარდი და  
 სევდა,  
 ამ თვითგვემაში სანუგეშოს ნეტავ რას ხედავ.  
 ილაღე, ძმაო, დასაწყისში რადგანაც საქმის  
 მგონი, არავის არ ჰქონია თათბირი შენთან.

მარადისია ეს სამყარო, ჩვენ არ ვართ მყარი,  
 სვი ღვინო ამო, გვერდით გყავდეს ლამაზი ქალი.  
 თუკი მოვკვდები, მეგობარო, სამყარო მაშინ  
 ვინდა ყოფილა მარადისი, ვინდ წარმავეალი.

ხაიამ, ღვინით თუ ხარ მთვრალი, ბედს ნუ ემდური,  
 თუ გვერდით გიზის კოსტა ქალი, ბედს ნუ ემდური.  
 წარმოიდგინე ეს რაობა არარაობად,  
 სული რომ გიდგას, გაიხარე, ბედს ნუ ემდური.



სამყაროს რწმენა და მიზანი — ჩვენა ვართ მხოლოდ,  
 გონიერების წყაროს წყალი — ჩვენა ვართ მხოლოდ.  
 ეს წრე დიადი, სამყაროსი, ბეჭედი და უძვირფასესი მისი თვალი — ჩვენა ვართ მხოლოდ.

**საყანი შირვანელი**  
 (1120—1199)

ბევრ ქვაზე გადავიანკარე, როგორც მდინარემ,  
 ბევრი წავლექე ნარ-ეკალი, როგორც მდინარემ.  
 როგორც მდინარემ, მშობლიური დავტოვე მხარე  
 და ვერ ვიქციე პირი უკან, როგორც მდინარემ.

თუ აივსება, დაიცლება უმაღვე ისევ,  
 ფიალასა ჰგავს ეს საწუთრო წესით და რიგით.  
 სადრედინი კი სიცოცხლისგან რომ დაიცალა,  
 არა მგონია, კვლავ სიცოცხლით აივსოს იგი.

ღმერთო, საყანი, შენი მორჩილი,  
 პატიებას გთხოვს და შეიწყნარე.

ნუ იტყვი რამეს შენს დიდ სიბრძნეზე,  
 მის სიბრიყვეზეც ნუ იტყვი რამეს.

თვის სიბრძნესა თუ სიბრიყვეს სხვისას  
 კაცი კეთილი იფიწყებს მალე.

გველის პერანგი გიმოსავს სხეულს,  
 და ხალხში გველის პერანგით დახვალ.  
 მოძმე თუ შეგხვდა, ნატვრისთვალს ესვრი,  
 მტერი თუ შეგხვდა — სამსალის ლახვარს.

ნუ გაუწყრები ამ სამყაროს, მისმინე, ძმაო,  
 როგორიც არის, კმაყოფილი იყავი იმით.  
 ღამე თუ იგი შენ გასხურებს ვარსკვლავთა წვიმას,  
 ქვეყნიერების მანათობელს გიგზავნის დღისით.

ვაი, როგორ მოკვდა გული, დამრჩა მზერა წყლიანი,  
 ვის დაინდობს ეს საწუთრო, ანუ ბედის ტრიალი?!  
 ყველაფერი, რაც გავსინჯე წუთისოფლის სუფრაზე,  
 ან მთლად უმარილო იყო, ან მთლად მარილიანი.



●  
ნუ გაიკვირვებ, ჩემო ხაყანი,  
თუკი პატარა გახდება დიდი.

პატარა კაცი დიდი თუ გახდა,  
იყავი მასთან კრძალვით და რიდით.

როს ხედ იქცევა პატარა ნერგი,  
სიდიდეს მისას უარყოფ რითი.

ვით შეიძლება არ გწამდეს კაცის,  
თუ იგი უფლის წყალობით მიდის.

ხარი თუ ბლავის, ღვთის ნებით  
მხოლოდ,  
ვილაცის ნებით არ ბლავის იგი.

●  
ოი, ხაყანი, იგლოვო უნდა,  
კაცი არ არის დღეს შენებრ ცოდვა;

მტკერზე მეტი ჩანს შენს ირგვლივ  
მტერი,  
მეგობარი კი — ოქროზე ცოტა.



უარყოფენ

●  
ო, რა უდროოდ გმტკერებენ მტერი,  
ო, რა უდროოდ მეცვალა ფერი.  
უძვირფასესი მეგობართ შორის  
უსასტიკესი გამიხდა მტერი.

●  
რა იყო ჩემი ახალგაზრდობა,  
ანდა ცხოვრება რა იყო ჩემი.  
როგორ გამიწყრა წუთისოფელი,  
რა ნაღვლიანად განვლიე დღენი.

ახლობელთაგან არავინ დამრჩა,  
ყველას უდროოდ მოედო ბოლო  
და გაიღია სიცოცხლე ესე  
სამგლოვიარო ლექსების წერით.

●  
კაცი შეგხედავს, გველი ხარ სუფთა,  
თუმცა ყოველთვის მიირთმევ შაქარს.

ხაყანი თუთიყუშია, მაგრამ  
ნაღველს მიირთმევს ახალს და ახალს.

ვის დავაბრალო ყოველი ესე,  
თუ არა ბედს და საწუთროს მზაკვარს.

შაქარს მიირთმევს ნიადაგ იგი,  
ვინც უნდა ჭამდეს თიხას და ნაცარს.

### გოგონას სიკვდილზე

ჩემმა ჭკიანმა, შორსმჭვრეტელმა პაწია ცირამ  
ნახა — სიცოცხლე ამათა, არა ღირს ჩირად.

და საჩუქარმა, ნაბოძებმა იღუმალეებით,  
არ დააყოვნა, არ დაიდო სოფელში ბინა.

წმინდანად იყო მოვლენილი ამქვეყნად იგი,  
უწმინდურება მცირე ხნითაც ვერ მოითმინა.

ნახა მწუხარე, ღარიბული სადგომი ჩემი,  
წავიდა ჩუმად, დათუთქული დამტოვა შინა.

ნახა ღაია მან თავისი, სუდარით ჩადრის,  
ესეც კმარაო, გაიფიქრა, ოჯახში ჭირად.



## ცოლის სიკვდილზე

გადახმა ბალი, არეს მორთულს აწ ველარ ვხედავ,  
ტანჯული სული უსაშველომ შეიპყრო სევდამ.

ალარ მომიწევს არასოდეს აწ შენთან უფუნა  
ალარაფერი გულს არ ატკობს, დავდივარ ობლად.

შენი ალერსი ჩემთვის იყო სიცოცხლის წყარო,  
ახლა ცეცხლი მწვავს მწუხარების, ვით გავიხარო.

შენმა სურნელმა გამიცოცხლა საბრალოს გული,  
სურნელი იგი სამუდამოდ ჩანს დაკარგული.

მაცოცხლებელი იმ სურნელის გარეშე რა ვარ,  
მივმართო ვიღას, ჩემი სული განკურნოს რაღამ.

სიმძიმის ჩემსას ალარ უჩანს თავი და ბოლო,  
დრო გადის, მაგრამ შემატება ტკივილი მხოლოდ.

ჩაუჩუბულხარ ჩემს თვალებში, ვითარცა მტრედი,  
და არაფერი ალარა ჩანს იმ მტრედის მეტი.

უგონოდ ქმნილი ამაქვეყნად ეული დავალ,  
სხვა არ მინახავს მიწის პირზე შენს მეტი აღვა.

არ ვიცი, ზეცას უბედურმა ავხედო რაზე,  
როცა შენს მეტი არ მეგულვის ამაქვეყნად სხვა მზე.

რაღად ვთესავდი ტანჯულ გულში სიამის მარცვალს,  
თუკი თავთავი საოცნებო არა და არ ჩანს.

გულის სარკეში ჩავიხედავ, გიხილო რათა,  
გულის სარკეში ალარა ჩანს რამე შენს გარდა.

ვიდრე იმაქვეყნად არ მომიწევს შეხვედრა შენთან,  
რამ მანუგეშოს, განმიქარვოს რაიღამ სევდა?

სასოწარკვეთილს, უსასოოდ ცრემლის მდის ღვარი,  
ცრემლი კი არა, წამლეკავი ეს წარღვნა არის.

ოდეს დადგება სანატრელი დღე აღსასრულის,  
მხოლოდ და მხოლოდ შენ იქნები ნუგეში სულის.

რად მეუბნები, დავუბრუნდე ცხოვრებას ისევ,  
უშენოდ, აბა, რაღას მქონდეს აქ სიხალისე.

არა, უშენოდ დამშვიდებას აწ ალარ ველი,  
არამცთუ ცხადში, სიზმარშიაც გაქრა ყოველი.

რას ეკითხები, რაღასა სთხოვ სნეულ ხაყანის,  
კაცი არ არის უბედურის მისებრ მნახავი.



ისეთ დღეშია, საცოდავი, შთენილი ობლად,  
რომ კაცი მტერსაც არ უსურვებს მის დღეში  
ყოფნას.

თავრიზის მიწას არ ჰქონია საფლავი დღემდის  
ასე მწუხარე, ასე ცხელის დამდენი ცრემლის

**ჯეჯელ ედ-დინ რუმი**  
(1207—1273)

●  
მომხედე, შენმა სიყვარულმა ხელად მაქცია,  
ქალაქი ვიყავ, უკაცრიელ ველად მაქცია.

შენზე ოცნებამ განმაშორა სახლსა და ნივთებს,  
დარდების თანამოსახლედ და მხევლად მაქცია.

ნუ იტყვი იმას, დავრდომილი ვიყავი ვითარ,  
შენმა დანახვამ რაინდად და ქველად მაქცია.

შენმა არსებამ, საჩინო ვყავ როდესაც ჩემში,  
მოყვასთა შორის უცხოელად გარდამაქცია.

მე სიყვარულზე დღე და ღამე ზღაპრების თხრობამ  
თვითონ ზღაპრად და სიყვარულის ენად მაქცია.

●  
მთელ სამყაროში ავირჩიე ღვთაებად შენ და  
შენ თუ მტანჯავდი, ქვეყანაზე ვინ მომარჩენდა.

როგორც კალამი ხელთ გიბყრია შენ გული ჩემი,  
ტანჯვა და ლხენა ერთნაირად ვიგებე შენგან.

მე რას ვინდომებ, არ გწადია, ძვირფასო, რაიც,  
რასაც მანიშნებ, იმის გარდა რაღას შევხედავ.

ხან ვარდი მათრობს, ხან ეკალი მიმწარებს ყოფას,  
ჩემს არსებაში მათ ახარებ ორივეს ერთად.

თუ გნებავს ვიყო სხვანაირი, უფალი შენ ხარ,  
მე ხომ ისა ვარ, შენმა ხელმა რაც გაიმეტა.

იმ ქვევრში, სადაც საცოდავი შელებე გული,  
რაღას გავხდები სიძულვილით ან მტრობით შენთან.

ჩემთვის საწყისი იყავი და ხარ დასასრული,  
შენ ხარ იმედი ერთადერთი ამ ბოლო დღეთა.

როს მემალეები, მე დავდივარ ურწმუნოთ შორის,  
გამოჩნდები და მე ვეკუთვნი მართლმორწმუნეთა.

ო, იმის გარდა, რაც მომეცია, რა გამაჩნია,  
რას მიჩხრეკ ჯიბეს, ნეტა რაღას დაეძებ ჩემთან.





ვინ ვნახე წუხელ, მეზმანა რაი,  
 დღეს მთელი დღეა მთვრალი ვარ რითა?  
 აღმოვხდი გონის ბორკილებიდან,  
 დავეხეტები მეჯნუნივითა.

იქნებ ღვიძილში ვიხილე რამე,  
 რადგან არ ვუწყვი მე დღე და ღამე,  
 იქნებ მეზმანა სახება შენი,  
 ვისთვისაც მიწყვივ ღალადვეო მინდა.

ჰე, კერბო ჩემო, ამ გვამსა შინა  
 შენა ხარ სული და გიდევს ბინა.  
 მე ბედად ჩემდა არ მივის ხორცი  
 და აღარ ვწუხვარ მის სიმძიმითა.

ოდეს მიბრძანე: „დახიე ფარდა!“  
 მივედ და ფარდა დავხიე უმაღ.  
 ოდეს მიბრძანე: „დაფშვენე ჯამი!“  
 მყის აგისრულე რაიც მოგიინდა.

ოდეს მიბრძანე: „მოშორდი მოყვასთ!“  
 მოვშორდი ყველას და შენთან მოველ.  
 მაგრამ როგორც კი შეგავლე თვალი,  
 უმაღ თვალები გადამეზინდა.

ო, სული ჩემი შენ შეიერთე,  
 რომ აღტაცებით შემოვკრა ტაში,  
 თი, რამდენი სამყარო მოსჩანს  
 მაგ შენთა თმათა ყოველ ბეწვიდან.

გადმოაფრქვიე სილფები შენი,  
 რომ განვეცალო ქვეყანას ამას,  
 მეშვიდე ცამდე აღვხევი, მაგრამ  
 აბა, უშენოდ აქ რაღა მინდა.

ნუთუ ვერ ჰპოვე სიყვარულის მცირედი განცდა,  
 ნუ ერიდები საკრებულოს რიოშთა კაცთა.

შენ ფრინველი ხარ და საკენკის მოგივლის ჟინი,  
 მახის გარეშე ვერ იშოვი სოფელში მარცვალს.

დაეხსენ ნამუსს და მოიშვი ავართ შორის,  
 მიჯნურთ წინაშე სამარცხვინო არსებობს არც რა.

თუ დაგაყოვნებს სათნოება, მოჰკალი იგი  
 და სისხლი მისი მიაფრქვიე ქარსა და ნაცარს.

ეგ სიკეკლუცე ბუღბუღების არის თვისება,  
 მოაშთვე იგი, ჩვენ საერთო რაი გვაქვს მასთან.



ჰე, საყვარელო, ამ ქარცეცხლში გარდიქეც ღვინოდ,  
ქარცეცხლიც იქცეს მალე ღვინის მდინარის  
მსგავსად.



იუწყე გზიდან ჩამავალო სარდაფსა შინა,  
რომ ამ სამყაროს შენ გაყიდი ფიალის ფასად.

ძმავ, მიმასწავლე მე ქალაქი მაწანწალათა,  
თუ კარი დამხვდა დაკეტილი, გადავალ ბანსა.

●  
ისევ და ისევ, ჩემი სხეული  
საყვარელ სატროფოს სურნელით მათრობს.  
ისევ და ისევ, საკუთარ თავთან  
ჩახუტებული ვბრუვდები მარტო.

ტროფობის წალკოტში გავედი წუხელ,  
ოდეს მომედო კვლავ ცეცხლის ალი,  
თვალთაგან წამსკდა მდინარე ცრემლის  
უთავბოლო და უმისამართო.

ო, შენი ბაგის ყოველი ვარდი  
პირმოცინარი და შლილი ტურფად,  
გამოჰქცეოდა სიკვდილის მახვილს,  
თავშესაფარი ებოვა სანდო.

ყოველი ხე და მალახის ღერო  
თავაშვებული ცეკვაავდა წუხელ,  
მაგრამ მდაბიოთ ამის დანახვა  
ო, არ შეეძლოთ, ძვირფასო ამ დროს.

უცებ გამოჩნდა წალკოტში სარო,  
საიდან? როგორ? არავინ უწყის.  
სახტად დატოვა ყოველი ირგვლივ  
მან, ვინაც ასე უზომოდ მათრობს.

ცეცხლივით სახე, ცეცხლივით ღვინო  
და ცეცხლისფერი კარგია ტროფობა,  
მაგრამ რად გინდა, კვლავ თუ გაქრები  
ისევ, როგორც გამოჩნდი, კარგო.

ო, ამ ღვთაებრივ ერთობის არსში  
აღარ ეტევა არსება მისი,  
მას უთვალავი სამყარო უნდა,  
ერთი სამყარო არ ყოფნის მარტო.

რომ დაითვალო, ასი ათასი  
უპყრია ხელში მას ტკბილი ვაშლი.  
თუ მოისურვებ, მას ყველას ერთში  
მოაქცევს შენი ხელების ჯადო.



თუ გსურს გაიგო სიტყვები ჩემი,  
 გულში ჩამხედე, გაიგებ ისე,  
 სრულიად სადა ფერი აქვს სახეს,  
 ღმერთი რომელსაც ტრფობისგან აღნობს.



ქართული  
 ენციკლოპედია

ეჰე, შამს ედ-დინ, ვით მეფეთ მეფე  
 ხიხარ მორჭმული ტახტრევანს ზედა,  
 ჩამწკრივებულან ლექსები ჩემი  
 შენ წინ, ვითარცა მონები სანდო.

გავყიდე ფლასი, მაწანწალა ვარ ხარაბათის,  
 არა მაქვს ხემსი, და სტუმარი ვარ ხარაბათის.

სახესაჩინო ჩანგოსანო, ჩამოჰკარ სიმებს,  
 შენ — ლოცვა, მე კი სალოცავი ვარ ხარაბათის.

მე ვერ მიხილავ, შენ, მოცულო სხეულის ნაყშით,  
 მე ვერ მიხილავ, ოდეს სული ვარ ხარაბათის.

არა ვარ კაცი უძლები და არ ვილწვი ჭამად,  
 არ მინებს სუფრა, თვითონ სუფრა ვარ ხარაბათის.

ამ ნანგრევებში სიყვარულმა მარგუნა შვება,  
 სვებედნიერი ახლა მეფე ვარ ხარაბათის.

სადაც წავედი, მეინახე გავხდი იმის და,  
 ვბრუნავ და ვბრუნავ, ბედისწერა ვარ ხარაბათის.

ირწმუნე, ამის საბუთია უბრწყინვალესი  
 არსება ჩემი, როს ჩვენება ვარ ხარაბათის.

თუმცა განმიქრა, რაც გამაჩნდა ოქრო და ვერცხლი,  
 ფასდაუდები მაინც განძი ვარ ხარაბათის.

ჰე, მერიქიფევე, შენ სანთელო ნანგრევთა ჩემთა,  
 მიხილე, თვითონ სალოცავი ვარ ხარაბათის.

ნუ ფიქრობ, ეშმამ გადამავდო ამ ნანგრევებში,  
 რა არის ეშმა, თვითონ ეშმა ვარ ხარაბათის.

როდესაც ვდუმვარ, ხარაბათის ქვევრი ვარ სავსე,  
 ოდეს ხმას ვიღებ, მე გუშაგი ვარ ხარაბათის.

ეს სიმარტოვე ათას სულზე უფრო ტკბილია,  
 თავისუფლება — სამყაროზე უფრო ტკბილია.  
 ღმერთთან იგრძენი, თუნდაც წამით, არსება შენი,  
 სხვა ყველაფერი, ქვეყანაზე, მოგონილია.



ო, არა ღვინით და ჰაშიშით, მთვრალი ვარ შენით,  
 მეჯნური ვარ და ყველაფერი კიდევაც მშვენივ.  
 ამუდარჩას აადუღებს ეს ცეცხლი ათასს, ერეკნული  
 თვითონ სამყაროს განაცვიფრებს ტრიალი ჩემი. მეზღინი

მან გამაჩინა, მან მომაპყრო წყალობის თვალი,  
 მან შემიკერა ეს სამოსი ძარღვით და ტყავით,  
 ტანი ძონძია, ხოლო გული არის დერვიში,  
 ის შეიხია, სამყარო კი ხანავა არის.

ხარ სათნოების უსამანო ზღვა მოციმციმე,  
 შენ მოლოდინით არც არავის გულს არ უმძიმებ.  
 შენგან არავინ არასოდეს არაფერს ითხოვს,  
 მზისგან არავინ არასოდეს არ ითხოვს სხივებს.







თარგმანი ზაურ კიციანი

6

ყველანი სამზარეულოში გავედით.

— ღმერთო, დიდებულო, — თქვა ბუნმა, — ცხენზე გაცვალე პატრონის ავტომობილი? — ორჯერ გაიმეორა ეს სიტყვები, რადგან ნედი მინის კბილს თვალს არ აცილებდა, უფრო სწორად, ელოდებოდა, კვლავ როდის გამოჩნდებოდა. შეიძლება მისს რებამ ჰკითხა რაღაც, ან იქნებ მინიმ თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა, მხოლოდ ეს მახსოვს, გაალო თუ არა მინიმ პირი, უეცრად გაიელვა ოქროს სამზარეულოს ელექტრონათურის შუქზე, თითქოსდა ამ კბილს მოეკრიბა, ერთად შეეკრა ნათურის სხივები და ახლა ცხენის თვალივით ბრდღვიალებდა ირგვლივ შემობურვილ ბინდში. იმასაც რა დამავიწყებს, თუ როგორ მოაჯადოვა მან ნედი და ნამით ბასილისკოსავით ადგილზევე გააქვავა. სწორედ ასე მომივიდა მეც, როცა პირველად მინის კბილი დავინახე. ხოდა, ნედის ამბავი სულაც არ გამიკვირდა, თუმცა ჩემზე უფრო იყო რეტდასხმული; მერე რა რომ თერთმეტი წლისა ვიყავი, მაინც ბუნდოვნად მივხვდი რაღაცას. ჩვენ შორის დიდი განსხვავება იყო არა მარტო იმიტომ, რომ სხვადასხვა ფერისანი ვიყავით, არამედ ასაკითაც, და ნედივით გული ვერ ამიჩქროლდებოდა. რასაც მე ვგრძნობდი, ეს იყო გაოცება და აღტაცება. თანაც ეს მე არ მეხებოდა. სქესთა ოდინდელ ჭიდილში კარგად აღჭურვილი კაცის წინაშე ღირსეული მოწინააღმდეგე იდგა, ხოლო ოდინდელი რასობრივი კავშირისას უმაღლესი ქურუმი ქალი, ვისთვისაც შეიძლებოდა სიცოცხლის განირვაც — თუკი ასეთი ერთგულების უნარით იქნებოდი დაჯილდოვებული; მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, ნედს სურდა (ყოველ შემთხვევაში ჰქონდა იქედი) მინისთან სულ სხვანაირად გაეტარებინა დრო. ასე რომ, ბუნს შეკითხვის ორჯერ გამეორება მოუხდა, ვიდრე ნედი გაიგონებდა, უფრო სწორად, ყურს ათხოვებდა.

— ჩემზე კარგად მოგეხსენება, — უთხრა ნედმა, — პატრონს სულაც არ უნდა ავტომობილი. იძულებული იყო და იმიტომ იყიდა, პოლკოვნიკ სარტორისის გამო, რათა ჭკუა ესწავლებინა. პატრონს რაც უყვარს, ეს ცხენია, ცხენი-მეთქი და არა ის თქვენი სახელოვანი ჯაგლაგთაგანი, შენ კი პატონ მორის რომ გყავთ საჯინიბოში. სწორედ ცხენი. ხოდა, მეც ასე-



თი მოვიყვანე. ამ ბედაურს რომ შეხედავს, მყის მეტყვის: შენი დიდი მადლობელი ვარო. კიდევ კარგი, დროზე მივუსწარი, თორემ რას დამანებებდნენ...

თავი სიზმარში მეგონა, ღამის კოშმარულ სიზმარში; იცო, რომ გძინავს, რომ საკმარისია შეეხო რამე რეალურს, ცხადს, შეუცვლელს და გაგელვიძება; ბუნსა და მე იმ წუთას ერთი და იგივე აზრში გაგვიფიქვით თავში. პირველი მე დავიძარი, რადგანაც პატარა უფრო სწრაფია. ნედმა შეგვაჩერა, მაშინვე მიხვდა, ორივემ რაც გავიფიქრეთ. სანახავი იქ აღარაფერია, ასე გამოგვიცხადა, იმ კაცმა უკვე წაიყვანაო. ბუნი გაშეშდა, გამძვინვარებული მომაჩერდა. ორივეს ერთნაირად დაგვეცა თავზარი, არა და არ გვეჯერა. ჯიბეები რომ მოვიქექე, მანქანის გასაღები ადგილზე იყო. — თავი დაანებე, — თქვა ნედმა, — ის კაცი მაგ საქმის დიდოსტატია. ეგ სულაც არ სჭირდებოდა, ასე მითხრა, ვიცი, სადაც უნდა შევეყო ხელი, ერთს გადავატრიალებო და მორჩა. ხოდა, გადაატრიალა, ასე იყო სწორედ. საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არც დავიჯერებდი. თავი დიდად არ შეუწუხებია. აღვირიც მომცა, შენი იყოსო ამ ცხენთან ერთად...

ჩვენ — ბუნი და მე — არ გავქცეულვართ, თუმცა კი მისს რებასა და მისს კორისთან ერთად სადარბაზოს კართან სულმოუთქმელად მივედით. მანქანა აღარსად იყო. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე მისს რება და მისს კორი; სიტყვაც კი არ დაუძრავთ, არც გაოცებულნი იყვნენ და არც თავზარდაცემულნი, მხოლოდ გვიმზერდნენ, გვისმენდნენ ხმის ამოუღებლად და არც არაფერი გამოპარვიათ; თითქოსდა სულ სხვა არსებანი იყვნენ, ხოლო ჩვენ, ბუნი, მე, ნედი, ბაბუას ავტომობილი და ის ცხენი (ვისიც არ უნდა ყოფილიყო) სულ სხვა სამყაროს ბინადარნი, და ჩვენი საქციელი თავშესაქცევილა იყო მათთვის; მაშინ გამახსენდა, სწორედ ასეთი სახე პქონდა ხოლმე დედასაც. როდესაც მე, ჩემს ძმებსა და მეზობელ ბიჭებს შემოგვცქეროდა თამაშით გართულებს ნირშეუცვლელად, აუმღვრევლად და თანაგრძნობით, სახეგანათებული, კეთილმოსურნე, ვიდრე ველარ ვიყოფდით ბურთსა და მოედანს და საჭირო არ გახდებოდა ჩვენი აბობოქრებული სისხლის დაშოშმინება.

სამზარეულოში გავედით, სადაც ნედი და მინი დავტოვეთ. ნედის ხმა მოგვესმა:

— ... მაქვს მე ფული, ჩემო ღამაზო, და თუ არა მაქვს, ვიშოვნე. ჯერ ის ცხენი დავაბინავო, ვაჭამო, ხოდა, მე და შენ კი მოვნახავთ მერე ადგილს, სადაც ეს შენი კბილი შუქს დააფრქვევს რამე მის შესაფერისს, ვთქვათ, ერთ თეფშ წვერას ან ღორის ხორცს, თუკი ღორის ხორცი იქნება მისი მოსაწონი...

— კარგი, კარგი, — უთხრა ბუნმა, — ნედი და ცხენი ახსენი. ის კაცი სად ცხოვრობს?

— ვინ კაცი? — მიუგო ნედმა, — შენ იმასთან რა ხელი გაქვს?

— პატრონის მანქანა რომ დამიბრუნოს, მერე ან ციხეში ჩაგსვამ, ან უკან, ჯეფერსონში დაგაბრუნებ პატრონის გულის გასახარად.

— რად არ გაჩერდები და ყურს არ დამიგდე. — თქვა ნედმა, — ის კაცი სადაც ცხოვრობს, მე კარვად ვიცი, აბა ვაჭრობა ამ საღამოს ვინ გამართა და ცხენი ვინ წამოიყვანა? იმ კაცს თავი დაანებე, ახლა მასთან რა გინდა? დოღის მერელა მოგვიხდება მისი ნახვა. ეს უბრალო ცხენი არ



გეგონოს, დოღის ცხენია. იმ პასემელ კაცს ცხენი მზად ჰყავს, ჩვენსას რომ შეეჯიბროს, როგორც კი მივიყვანთ. ამ ქალბატონებმა თუკი არ იციან, პასემი სადაცაა, ვეტყვი, იქაა, სადაც ჯეფერსონისკენ მიმავალი რკინიგზა გადაჭრის-მეთქი მემფისისას და, თუკი ჩვენსავით ავტომობილით არ იმგზავრებთ, გადაჯდომაა საჭირო...

— კარგი, — უთხრა ბუნმა, — ის პარსემელი კაცი <sup>ერქონსული</sup>

— უფრო სწორად, პარშემელი, — თქვა მისს რებამ.

— სწორია, — დაუდასტურა ნედმა, — სადაც მეძებარი ძაღლების შეეჯიბრებას მართავენ. არა უშავს ადგილია... ცხენი გამოიყვანა უკვე ამ ჩვენის წინააღმდეგ სამ წრეზე, ორმოცდაათ-ორმოცდაათ დოლარს ჩამოდიოდა. გამარჯვებულს რჩება მთელი ფული, მაგრამ ას ორმოცდაათი დოლარი რა არის. ჩვენ კი ავტომობილია ამოგება გვინდა.

— რაო? — მიაძახა ბუნმა, — რას მიედ-მოედები, ამ ცხენს დოღზე ვინ გაგაყვანინებს, ვინ რას მოგაგებინებს, ის კაცი მანქანას როგორ დაგიბრუნებს, როცა უკვე ცხენში გაცვალა?

— იმიტომ, რომ იმ კაცს არ სჯერა, თუ ეს ცხენი სარბენად გამოდგება. შენ როგორ გგონია, ამ ცხენს ტყუილად ხომ არ გამიცვლიდა იმ რაღაც ავტომობილში? რად არ დაიტოვა ეს ცხენი და რად არ მოიგო ავტომობილი, თუკი მოისურვებდა ერთიც ჰყოლოდა და მეორეც, ორივე ერთად, ცხენიცა და ავტომობილიც?

— ჯანი გამვარდეს, თუ რამე მესმოდეს, — თქვა ბუნმა.

— ხომ გეუბნები, ეს ცხენი უკვე ორჯერ დამარცხდა იმ პასემელი კაცის ცხენთან, რადგანაც არავინ იცის, როგორ უნდა აიძულოს გაჭენდეს. ასე რომ, იმ კაცს სჯერა, ორგზის წაგებულ ცხენი ვერც მესამედ გაიმარჯვებსო. ხოდა, ჩვენ ახლა უნდა ავდგეთ და ეს ცხენი გავიყვანოთ დოღზე პატრონის ავტომობილის დასაბრუნებლად. ძალიანაც გაუხარდება, რალა თქმა უნდა, ასეთი ნაძლევი, ავტომობილი ხომ უკვე მყავს და ახლა ცხენსაც უკან დავიბრუნებო. თავისი ჭკუით რას კარგავს; როცა ცხენი ფინიშთან მივა, წამოიყვანს. გამოაბამს ავტომობილს და გასწევს მემფისს...

პირველად ახლა ამოთქვა მისს რებამ:

— ღმერთო დიდებულო!

... — რას იფიქრებს, ჩემს ხელში რა ბედაური შეიქმნება. კარგი გარიგება იყო სწორედ. ან მე ვარ მთლად უტვინო ან ის კაცი იმდენადაა დარწმუნებული, რომ ზეგ პასემში ჩამოვა და ბედსა სცდის. და თუკი ეს ქალბატონები ფულს ვერ მოგიგროვებენ, რომ იმ კაცმა აღარ მოისურვოს იმ ავტომობილზე ფულის ჩამოსვლა ჩვენი ცხენის წინააღმდეგ. სჯობს პატრონი პრისტს სულაც არ დაენახო. სწორედაც ვერ გავბედავდი სახლში მხოლოდ ავტომობილით დაბრუნებას. შეიძლება ამ ცხენმა გადაგარჩინოს. დავინახე თუ არა, მაშინვე გამახსენდა...

— ხი-ხი-ხიო, — იბლავლა ბუნმა გაცოფებით, — შენ პატრონის მანქანა ამ ბეხრეც ცხენში გაცვალე, ფეხის მოცვლა რომ არ შეუძლია, და ახლა გინდა ეს ცხენიც იმ კაცს მისცე, თუკი შევძლებთ საკმაო ფულის მოგროვებას ვითომდა მის საცდუნებლად...

— დამამთავრებინე მაინც, — უთხრა ნედმა. ბუნი შეჩერდა. — დამამთავრებინებ თუ არა?

— დაამთავრე მაშინ, — მიაძახა ბუნმა, — ოღონდაც მალე თქვი...



— ...მაშინვე ჩემი ჯორი გამახსენდა, — თქვა ნედმა. გაჩუმდნენ ორივენი, ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ. ცოტა ხნის მერე ნედმა წარმოთქვა ჩუმად, თითქოსდა ოცნებამორეულმა, — იმ ჯორს არ იცნობდნენ ეს ქალბატონები, რა თქმა უნდა, ასეთი ნორჩები, თანაც იოკნაპატოფას ოლქიდან ასე შორს მცხოვრებნი. რა ცუდია, პატრონი და ბატონი მორი აქ რომ არ არიან, თორემ მოყვებოდნენ მის ამბავს.

ამ ამბის მოყოლა მეც შემეძლო, რადგანაც ჩვენი საგვარეულო ლეგენდების გმირი იყო ის ჯორი. ყმანვილები იყვნენ მაშინ მამა და ნედი, უიდრე ბაბუა მაკ-კასლინებიდან წამოვიდოდა და ჯეფერსონელი ბანკირი გახდებოდა. ერთ დღეს, როდესაც მაკ-კასლინების ნათესავი (ბიძია ზაკის მამა) სახლში არ იყო, ნედმა ფერმაში წაიყვანა წმინდა სისხლის საუკეთესო საეტლე ფაშატი და ვირს შეაჯვარა. გამოხდა ხანი და, როცა ამის გამო გამოწვეული ქარიშხალი ჩანყნარდა და გაჩნდა ჯორი, ბიძია მაკ-კასლინმა ნედის ნაეშმაკარი მასვე აყიდვინა და ყოველ კვირას ხელფასიდან ათ ცენტს უქვითავდა. გავიდა სამი წელი, ვინემ ნედი ამ ჯალს გაისტუმრებდა. ამ დროისთვის კი ის ჯორი მთელი თხუთმეტი-ოცი წლის ირგვლივ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა შეჯიბრებებში, მერე კი ორმოცი-ორმოცდაათი მილის ირგვლივაც არავისთვის არ დაუთმნია პირველობა.

ძალიან გვიან ხარ დაბადებული და არ იცნობ ჯორებს. ამიტომ ვერც ჩახვდები, რა განსაცვიფრებელი და საარაკოა ეს ამბავი და რა ლეგენდარული ხდება იმ არემიდამოში ჯორი, რომელიც დამორჩილდება მხედრის ნებას და თუნდაც ერთხელ გაირბენს ნახევარ მილს, ხოლო რომელიც ამას მრავალგზის ჩაიდენს, არნახულ მოვლენად იქცევა სწორედ. რადგანაც ცხენისგან განსხვავებით ჯორი იმდენად ჭკვიანია, რომ თავს არ მოიკლავს და სირბილს არ დაიწყებს მთელი ერთი მილის წრეზე დიდების მოსაპოვებლად. ერთი სიტყვით, ჯორებს ჭკუით მხოლოდ ვირთხები სჯობიან. შემდეგ მოდიან კატები, ძაღლები და სულ ბოლოს ცხენები, რა თქმა უნდა, თუ დამეთანხმები და გაიზიარებ ამ ჩემს მოსაზრებას, რომ ჭკუა გარემოებათა ძლევა, გარესამყაროს გათავისება-შეგუება და ამავე დროს პიროვნების თავისუფლების შენარჩუნებაც.

მაგრამ პირველ ადგილზე, რასაკვირველია, მაინც ვირთხაა. ცხოვრობს შენს სახლში, თავი არ შეუწუხებია, როგორ იყიდე, როგორ ააშენე ან რამდენი გიჯდება მისი შენახვა; ჭამს იმას, რასაც შენ, მაგრამ სულაც არ აწუხებს, მოწეული გაქვს თავად, ნაყიდი თუ საიდანღაც ჩამოტანილი. ვერა და ვერ დააღწევ მას თავს; კიდევ კარგი, მიდრეკილებით კანიბალია, თორემ მთელ დედამიწას მოედებოდა. კატა მესამე ადგილზეა. თითქოსდა ისიც ვირთხასავით ყოჩაღია. მაგრამ უფრო სუსტი და უგერგილო; ისიც არ კერავს, არ მკის, წურბელასავით ცხოვრობს შენსას, არც აქვს შენი სიყვარული; როდესმე ალბათ ისიც მოკვდება, შეწყვეტს არსებობას, მიწის პირისგან აღიგვება (ვგულისხმობ ე. წ. შინაურ კატებს), მაგრამ ჯერ არა, კარგა ხნის მერე (არსებობს ერთი ასეთი გადმოცემა, მგონი, ჩინური, ლიტერატურული წარმომავლობისა: თითქოსდა დიდი ხნის წინათ კატების მეუფება იყო დედამიწაზე. გამოხდა ხანი და მოკვდავთა ყველა უბედურების — შიმშილობის, ჭირიანობის, ომიანობის, უსამართლობის, სირეგვნის, საწყაულის აღუვსებლობის — ერთი სიტყვით, რაც ცივილიზაციას მოაქვს, — დაძლევის შემდგომ კონგრესი მოიწვიეს,



მოუხმეს ბრძენთაბრძენ კატა-ფილოსოფოსებს, იქნებ ნახოთო რამე გამოსავალი; დიდი ხნის სჯა-ბაასის შემდგომ მათ განაცხადეს, მოგვარება ამ პრობლემისა შეუძლებელია, რომ სხვა გზა არ არის ამ ერთის გარდა — მთელი ძალაუფლება მათზე უფრო მდაბალგანვითარების მქონეთ უნდა გადასცენ, იმათ, რომლებიც იმდენად არიან ოპტიმისტები, სჯერათ, დავძლევთო სიცოცხლის ძნელ ამოცანას, და ამავე დროს იმდენად სწრაფნიც, რომ ვერა და ვერ შეიცვლიან ამ რწმენას; სწორედ ამიტომ ცხოვრობს შენთან კატა, სრულიად შენზე დამოკიდებული, შენსას ჭამს, შენს ჭერქვეშაა, მაგრამ შენი გულისთვის თათსაც არ გაანძრევს და არც უყვარხარ. რალა გავაგრძელო და კატა შენ მიმართ ის არის, რაც არის).

მეოთხე ადგილზე ძაღლია, მამაცი, ერთგული, არ გიღალატებს, თუმცა ისიც შენი შესანახია. მისი სისუსტე ის არის (კატას თუ შევუდარებთ), რომ შენი სამსახური სწადია სულითა და გულით, და შეიძლება მაიმუნიობა და ოინბაზობაც დაიწყოს, ოღონდაც გასიამოვნოს. მისი ჯილდო კი თავზე ერთი ხელის გადასმაა, თუმცა მაინც ისიც შენს წურბელად რჩება. კიდევ ერთი სისუსტე სჭირს: შენი მოწონება რომ დაიმსახუროს, ფეხქვეშ გეგება, გელაქუცება, ოღონდ გაგართოს, პანლურის ამოკვრის შემდეგაც კუდს გიქიციანებს, განსაცდელის ჭამს თავს შემოგწირავს, შეუძლია შენს საფლავზე შენზე დარდით სულიც დალიოს. სულ ბოლო ადგილზე, ჩემი აზრით, ცხენია, მხოლოდ ერთჯერად შეუძლია რალაც გაისაზრისოს. მთელი სიცოცხლე მფრთხალი და შიშნეულია, ბავშვსაც კი შეუძლია მისი მოთაფვლა და რამდენიც უნდა და როგორც უნდა, ისე აჭენოს, ახტუნოს და ბოლოს კისერიც მოატეხინოს. ჩვილივით თუ არ მოუვლი, შეიძლება იმდენი ჭამოს, ფეხები გაფშვიკოს. თუნდაც სულ მთლად წყალწალეებული ვირთხის ჭკუა რომ ჰქონოდა, მხედარი თავად გახდებოდა უთუოდ.

ჯორი მეორე ადგილზეა. მეორეზე მხოლოდ იმიტომ, რომ შეგიძლია აიძულო შენთვის იმუშავოს, თუმცა თავისივე მკაცრად დადგენილ საზღვრებში. სულაც არ უყვარს ბევრი ჭამა. ფურგონისა და გუთნის თრევას კი აიძულებ, მაგრამ დოღს სწორედ არ გაგიმართავს, ვერც რამეზე გადაახტუნებ, თუკი არ დარწმუნდება, შევძლებო გადახტომას, არც შევა სადმე, თუ არ იცის, იქ რა ხდება. შეუძლია ათი წელიწადი შენთვის თავდაუზოგავად იმუშავოს მხოლოდ იმიტომ, როცა შემთხვევა მიეცემა, წიხლი გკრას. ერთი სიტყვით, არ გრძნობს არა მოვალეობას წინაპრებისა თუ შთამომავლობის წინაშე და გამარჯვებულია არა მარტო სიცოცხლეზე, სიკვდილზეც და უკვდავებასთან წილნაყარი ასე ხდება; თუნდაც დღეს აღიგავოს პირისაგან მიწისა, იმავე ბიოლოგიური კომბინაციის მეშვეობით შეიძლება აღდგეს ათასი წლის შემდეგაც ისეთივე უცვლელი, შეუვალი იმ საზღვრებში, თავად რომ დააწესა და დაამკვიდრა, ისევე ისეთივე თავისუფალი, ისეთივე მოუდრეკელი, სწორედ ამიტომაც იყო წედის ჯორი განუმეორებელი არსება. დააყენე ათიოდე ჯორი სარბენ ბილიკზე და დაიძახე, აბა მიდითო, ყველა ისე გაქანდება სულ სხვადასხვა მხარეს, როგორც ტბორის ზედაპირზე წყლის ხოჭოები; ხოლო რომელიც სრულიად შემთხვევით სარბენი ბილიკიდან არ გადაუხვევს, გამარჯვებული ის რჩება ხოლმე.



მაგრამ ნედის ჯორი ასეთი არ იყო. მამას ჰქონდა ნათქვამი, ცხენით გაჭენდებოდაო, ოღონდ ამ ოთხფეხისგან განსხვავებით არც არასდროს კარგავდა ჭკუას და სიჩქარის მოსამატებლად არც აახივდილოდ გასწირავდა თავს; თითქოსდა რაღაც სამუშაოს შესასრულებლად იყო გამოსული სარბიელზე, თავისი ძალა და შესაძლებლობა უკარგოდ ჰქონდა წონილ-დანონილი, ისე გაჰქუსლავდა, როგორც ნედის მათთან მსახიობებდა (ან ყვირილი, ან სხვა რამ ნიშანი) სიჩქარის შეუცვლელად. თანაბარზომიერად, არ გაჩერდებოდა მანამ, სანამ ფინიშის ხაზს არ გადაკვეთდა ან თავად ნედი არ მოისურვებდა. მამაც კი, ვინც ნედის გრუმი თუ არა, მისი თანაშემწე თუ წარმომადგენელი მაინც გახლდათ, არ იცოდა, როგორ ახერხებდა ეს კაცი ამას. ცხადია, ლეგენდა ხსენებული ჯორისა სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა და იზრდებოდა (საჯინბო ამით კიდევ მოგებული რჩებოდა); მაინც ისეთი რა ჯადო ჰქონდა მიკვლევული ან გამოგონილი ნედს, რომ მისი ჯორი ისე დარბოდა, როგორც აქამდე ჯორთაგან არავის არ ურბენია. მაგრამ ისინი, უფრო სწორად, ჩვენ, ვერა და ვერ მივხვდით ამ საიდუმლოს; ესლა ვიცოდით, რომ მის გარდა ამ ჯორის მხედარი არც არავინ ყოფილა მაშინაც კი, როდესაც ნედმა წლები მოიყარა და დამძიმდა; იმ ჯორმა ისე გაფშიკა ფეხები, ერთხელაც არ დამარცხებულა ოცდაორი წლის მანძილზე; ხოდა, მისი საფლავი (ედმონდსებიდან ბევრი უთუოდ გიჩვენებდა) ახლაცაა მაკ-კასლინების მამულში.

ბუნმა იცოდა, რასაც ნედი გულისხმობდა, თავის მხრივ ნედმაც იცოდა, რომ ბუნმა ეს იცოდა, ხოდა, ერთმანეთს უმზერდნენ ერთხანს.

— მაგრამ ეს ხომ ჯორი არაა, — თქვა ბუნმა. — ცხენია.

— ეს ცხენიც სწორედ იმ ჭკუისაა, ის ჯორი რომ იყო, — მიუგო ნედმა, — შეიძლება მთლად მასავით არა, მაგრამ ცოტათი მაინც.

ისინი კვლავ ერთმანეთს უმზერდნენ. მერე ბუნმა უთხრა, აბა წავიდეთ და ვნახოთო.

მინიმ ლამპა აანთო, ბუნს მისცა და ყველანი უკანა კიბით ეზოში ჩავედით: მინი, მისს კორი და მისს რებაც. სწორედ ახლა გამოანათა მთვარემ და ძლივს შევძელით რაღაცის დანახვა; ეზოს კუთხეში აკაციის ხეზე ის ცხენი იყო მიბმული. ჩვენს დანახვაზე თვალები გამოაკვესა და მერე განზე გაიხედა. გაისმა ფრუტუნის და ჩლიქების ბაკუნის.

— ქალბატონები აქ დადექით, თუ შეიძლება, — თქვა ნედმა, — ხალხმრავლობას არ არის შეჩვეული. — შევჩერდით. ბუნმა მალლა ასწია ლამპა. ცხენმა ისევ გამოაკვესა თვალი ცივად და მფრთხალად. ნედი მიუახლოვდა და გავაზე გადაუსვა ხელი, რაღაც უთხრა, მერე ხელი აღვირზე წაავლო. ლამპამ არ დააბრმავოსო, — მიუბრუნდა ბუნს, — ისე დაიჭირე, რომ ამ ქალბატონებმა შეძლონ ცხენის დანახვა, თუკი მოისურვებენ. ცხენო, რომ გეუბნებით, ცხენს ვგულისხმობ სწორედ და არა იმ ჯაგლაგებს, ცხენებს რომ ეძახიან ჯეფერსონში.

— მორჩი ლაპარაკს და აქეთ გამოიყვანე, რომ დავინახო, — უთხრა ბუნმა.

— მერედა ვინ გიშლის, — მიუგო ნედმა, — ოღონდ ლამპა მალლა ასწიე. — მაგრამ ცხენი მაინც ცოტათი აქეთ გამოიყვანა. კარგად მახსოვს: ნაბლა იაბო იყო, სამი წლისა, თექვსმეტობდნე მტკაველი სიმადლის,



გრძელი კისერი ჰქონდა, დაქანებული მხრები, დაკუნთული უკანა ფეხები, ყველაფერი იმას მოწმობდა, კარგი მორბენალი უნდა ყოფილიყო (ნედის თქმით, ნედ მაკ-კასლინთან ერთად). თუმცა მხოლოდ თერთმეტი წლისა ვიყავ, მეც სწორედ იმან გამიელვა თავში, რამაც თურმე ბუნსაც, როგორც მალე გაირკვა. ცხენს შეხედა, მერე ნედს, მაგრამ ხმამაღალი არა, ჩურჩული აღმოხდა:

— და ეს ცხენი...

— დაიცა, — მისს კორიმ თქვა და იყუჩა. მაშინლა შევამჩნიე ოტისი. კიდევ ერთი რამ სჭირდა, მას მხოლოდ მაშინ დაინახავდით, როცა უკვე გვიანი იყო. მაგრამ მისი უკუღმართობა მარტო ამით არ შემოიფარგლებოდა.

— ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა. — თქვა მისს რებამ. ხომ გითხარი, რა გასაოცარნი არიან-მეთქი ქალები. — გასწი აქედან, ოტის, — უთხრა მას.

— სახლში შედი, ოტის — თქვა მისს კორიმ.

— წავალ კიდევ, — უთხრა ოტისმა, — წავიდეთ, ლუციუს.

— არა, — თქვა მისს კორიმ, — ეს დარჩება. შენ უნდა წახვიდე. შენს ოთახში ადი.

— ჯერ ადრეა, — მიუგო ოტისმა, — ახლა არ მეძინება.

— ნულარ გამამეორებინებ, — უთხრა მისს რებამ.

სანამ ოტისი სახლში არ შევიდა, ბუნს სიტყვა არ დაუძრავს. ჩვენც ჩუმად ვიყავით. ბუნს მალლა ეჭირა ლამპა, სინათლე მისსა და ნედის სახეს სცემდა, მერე ორივემ, მან და ნედმა, ცხარედ არა, დინჯად თქვეს.

— ნაპარავი ცხენია, — ჩაიჩურჩულა ჯერ ბუნმა.

— იმ ავტომობილს კი რალას დაარქმევ? — ჩურჩულითვე თქვა ნედმა.

აკი ვთქვი, გასაოცარი ხალხია-მეთქი ქალები; მისს რებამ ბუნსავით და ნედივით ხმადაბლა, ოღონდ უფრო ცოცხლად თქვა, ახლავე უნდა წავიყვანოთო ქალაქიდან.

— მეც ამიტომ მოვიყვანე აქ, — თქვა ნედმა, — ვივარაუდებ თუ არა, პასემის გზას დავადგებით.

— იცი კი, პასემი რა შორსაა ან საითაა? — ჰკითხა ბუნმა.

— მერედა რა? — უთხრა ნედმა, — პატრონი რომ წავიდა უამავტომობილოდ, შენ თუ იფიქრე, რა შორსაა ჯეფერსონიდან მემფისი?

მისს რება მიტრიალდა;

— სახლში შევიდეთ, — თქვა, მერე ნედს უთხრა, — ქუჩიდან არ დაინახავს ვინმე მაგ ცხენს?

— არავინ, — მიუგო ნედმა, — ამდენი ჭკუა კი მაქვს. ამის დარდი ნუ გაქვთ.

ცხენი ისევ ხეზე მიაბა და ყველანი მისს რებას გავყევით უკანა კიბისკენ.

— სამზარეულოში შევიდეთ, — თქვა მან, — ხალხი დაიწყებს უკვე მოსვლას. — სამზარეულოში მინის უთხრა, ჩემს ოთახში დაჯექი, იქ ისმის, როდესაც კარზე აკაკუნებენო, გასაღები დამიბრუნე თუ შენ გაქვს? კარგი. ნისიად ნურაფერს ნუ მისცემ, ხურდა მანამ მიეცი, სანამ



ბოთლს გახსნიდა. ახლა ნახე, სახლში ვინაა. ვინმე თუ იკითხავს მისს კორის, უთხარი, ჩიკაგოელი მეგობარი ჰყავს-თქო სტუმრად.

— თუკი ვინმე არ დაიჯერებს, უთხარი სახლს შემოუაროს და უკანა კარზე დააკაკუნოს, — თქვა ბუნმა.

— ღვთის გულისთვის, — მიუგო მისს რებამ, — შენ რა უნდა დავიდარაბა გინდა? თუ არ გსურს სტუმრები ჰყავდეს, ~~ბმტლად წრად~~ არ გამოისყიდი და მხოლოდ ექვს თვეში ერთხელ ქირაობ?

— კარგი, კარგი, — თქვა ბუნმა.

— აბა ერთი ნახე, ამ სახლში ვინ სადაა, — უთხრა მისს რებამ ნინის.

— ის სადაცაა, ვიცი. თავად მოვნახავ, — თქვა მისს კორიმ.

— ხოდა, სადაცაა იქ იყოს, — მიუგო მისს რებამ. — იმ ცხენებთან დღეს უკვე იმდენი ითამაშა, ყელში ამომივიდა.

მისს კორი გავიდა. მისს რებამ თავად დაკეტა კარი, მერე ნედს შეხედა.

— მაშ, ნახვალ პარშემს და ამ ცხენს ნაიყვან?

— დიახ, — მიუგო ნედმა.

— პარშემამდე რამდენია, თუ იცი?

— მერედა რა? — მიუგო ნედმა. — პასემამდე რა მანძილია, რად მინდა ამის ცოდნა. მე თავად პასემი მჭირდება. სულაც აღარ ნაიყვან იქ, თუ ძალიან შორსაა. მე მეგონა, რადგანაც საქმიანი ქალი ბრძანდებით...

— საიდან მოიტანე? — უთხრა მისს რებამ. — მე ამ დაწესებულების პატრონი ვარ. ხოლო თუ ვინმეს ერიდება, პირდაპირ თქვას და სადაც უნდა იქ წავიდეს.

— მე ვიფიქრე, თუ თქვენა რომელიმე ქალბატონს ისეთი ნაცნობი ჰყავს, — უთხრა ნედმა, — ვინც ცხენს მათხოვებს, ან საჯდომს ან თუნდაც დროგისას, გინდაც ჯორი იყოს, იმაზეც არ ვიტყვი უარს. ლუციუსი თუ უნდა კვიცზე შეჯდეს და ისე წავიდეს პასემს. მაგრამ ზეგ ერთი მილის კი არა, ბარე სამი მილის გარბენა მოგვიხდება. ორგზის მაინც, ჩვენ წინ არავინ არ უნდა გავუშვათ. ქვეყანა რომ დაიქცეს, პასემში უნდა ჩაიყვანოთ როგორმე.

— კარგი, — მიუგო მისს რებამ. — შენ და ის ცხენი პარშემში ჩახვალთ. მაგრამ მთავარია იქ დოლი გაიმართოს.

— კაცს ცხენი ჰყავდეს და სადმე დოლიც იქნება, — თქვა ნედმა, — კოლონდ კი სტარტზე დადგნენ ორივენი, მეტი რა უნდა?

— მერედა მიიყვან სტარტამდე?

— აბა, არა! — მიუგო ნედმა.

— გააჭენებ კიდევაც?

— აბა არა! — თქვა ნედმა.

— საიდან იცი?

— ჯორი გამიჭენებია, — უთხრა ნედმა.

— რაო, ჯორიო? — მისს რებამ ჰკითხა. მისს კორი შემოვიდა და კარი მოიხურა. — კარგად მიხურე, — გასძახა მისს რებამ. მერე ნედს მიუბრუნდა: — კარგი, აბა ახლა იმ დოლზე მომიყევი.

მაშინ კი შეხედა ნედმა, მთელი თხუთმეტი წამი თვალი არ მოუცი-



ლებია და მერე არც თავხედურად, არც ჭირვეულ-იქედნურად, როგორც ბუნს ელაპარაკებოდა, და არც მამაშვილურად, როგორც მე, ისე თქვა:

— ვატყობ, ჭკვიანურად გინდათ ლაპარაკი.

— ვნახოთ, — მიუგო მისს რებამ.

— კარგი, — უთხრა ნედმა, — არის ერთი კაცი, მდიდარი, თეთრი, სახელს არ გეტყვით, მაგრამ სად ცხოვრობს, ვიცი; ამ ჩვენი ცხენისნაირს ათ მილზე კი არა, ოც მილზეც ვერაად ნახავთ. ოღონდ იმ კაცსაც ჰყავს ბედაური, ხოდა, მან უკვე აჯობა ჩვენსას, ორჯერ დაამარცხა. იმ პასემელმა რაშმა პირველად არც ისე მაგრად მოუგო ამას. ხოდა, ამ ჩვენი ცხენის პატრონი, ისევე მდიდარი თეთრია, ორჯერ მეტ ფულს ჩამოვიდა, მაგრამ მეორედაც წააგო. ისე რომ, ეს ცხენი ზეგ პასემში რომ გამოჩნდება და დოღზე გავიყვანო, ის პასემელი მდიდარი თეთრი კაცი, ცხადია, თავისას გამოიყვანს. იქნებ შერცხვეს კიდევაც, მაგრამ ფულის ასე ტყუილად მოხვეჭაზე უარს მაინც არ იტყვის.

— მესმის, — უთხრა მისს რებამ, — განაგრძე.

— უკვე ვთქვი, რაც უნდა მეთქვა, — მიუგო ნედმა, — მე შემძლია მოვაგებინო ამ ცხენს, ამას კი ვერავინ შეძლებს ჩემ გარდა. ხოდა, თუ თქვენც, ქალბატონები, თუნდაც ცოტას ჩამოხვალთ, ჩვენ — მე, ლუციუსი და ბატონი ჰოგანბეკი როგორმე შევძლებთ შემოგიერთდეთ.

— იმასაც ხომ არ გულისხმობთ, ვისაც ახლა ის ავტომობილი ჰყავს? — ჰკითხა მისს რებამ, — მგონი, არც იმან იცის, შენ თუ ამ ცხენს მოაგებინებ.

— ეგ მართალია, — მიუგო ნედმა.

— კი მაგრამ, თუ ასეა, რატომ არ უნდა თავის შეწუხება და შენი და იმ ცხენის პარშემს გაგზავნა, თუკი ორივე ერთად მისი იქნება, ცხენიცა და ავტომობილიც დოღზე გამარჯვების მერე? — ერთხანს ორივე ჩუმად იყო, ერთმანეთს უმზერდნენ. — აბა თქვი, — დასძინა მისს რებამ. — ნურაფერს დამიმალავ. შენ რა გქვია?

— ნედ უილიამ მაკ-კასლინ ჯეფერსონ მისისიპი, — უთხრა ნედმა.

— მერე? — თქვა მისს რებამ.

— მან შეიძლება ვერც შეძლოს ამდენი ფულის დადება, — განაცხადა ნედმა.

— დასწყევლოს ღმერთმა. — წამოიძახა ბუნმა. — ჩვენ კი შეგვიძლია?

— ჩუმად იყავი, — უთხრა მისს რებამ ბუნს. მერე ნედს მიუბრუნდა, — აკი თქვი, მდიდარიო?

— ვისაც გავუცვალე, ის-მეთქი, — მიუგო ნედმა.

— მაშ იმ მდიდრისგან მან იყიდა ეს ცხენი?

— ცხენი იმას ჰყავდა-მეთქი, — უთხრა ნედმა.

— ქალაქი თუ ან სხვა ამდაგვარი მოგცა. როცა გაუცვალე?

— ცხენი ახლა მე მყავს-მეთქი, — თქვა ნედმა.

— შენ წერა-კითხვა არ იცი, — უთხრა მისს რებამ. — ხომ ასეა?

— ცხენი ახლა მე მყავს-მეთქი, — გაიმეორა ნედმა. მისს რება თვალს არ აცილებდა.

— კარგი, შენ გყავს. პარშემს შენ ჩაიყვან. შენ იცი ის ხერხი და დოღს მოაგებინებ. ის ხერხი თუ იცი, იმ ავტომობილს პარშემში რომ ჩაგაყვანინებს?



— თავად განსაჯეთ, — უთხრა ნედმა, — განსჯა რომ შეგიძლიათ, ვხედავ. ბევრს მიხვდით, იმათზე უფრო მეტსაც, აქ რომ არიან. ცოტათი კიდევ ტვინს თუ ძაღას დაატანთ, იმასაც მიხვდებით, ხალხი, ვინაც მე ცხენი გაფუცვალე...

— ხალხიო? — ჩაეკითხა მისს რება, — აკი თქვი, კაციო? მაგრამ ნედი არ შეჩერებულა.

— ...სწორედ ჩვენს დღეში არიან ჩავარდნილნი, ადრე თუ გვიან ისინიც ხომ სახლში უნდა დაბრუნდნენ.

— გინდაც მათი სახელები ნედ უილიამ მაკ-კასლინი ან ბუნ ჰოგანბეკი იყოს, გინდაც ისინი, რომლებსაც შენ ცხენი გაფუცვალე, შინ ვერ დაბრუნდებიან მარტო ცხენით ან მარტო ავტომობილით. ორივეთი უნდა დაბრუნდნენ, ხომ ასეა? — თქვა მისს რებამ.

— ასეა, — უთხრა ნედმა, — მთელი ორი საათი განა ამას არ გეუბნებით.

მისს რება თვალს არ აცილებდა. მერე ამოიოხრა.

— ხოდა, წაიყვან ამ ცხენს პარშემს და დასავლეთ ტენესის მთელი ფარაონები დაუნყებენ მას ძებნას მემფისისკენ მიმავალ გზებზე...

— რება! — შესძახა მისს კორიმ.

— ...ხვალ დილიდან, გათენებისთანავე.

— მართალია, — ნედმა თქვა, — ახლა უკვე გვიანია ვისიმე დაჭერა, მაგრამ რომ გიყურებთ, მიხარია. თქვენი იმედი უნდა შექონდეს კაცს. აბა ახლა თქვენ თქვით... — ქალი კვლავ მას უმზერდა, ორჯერ ამოიხვნეშა და მისს კორის ისე უთხრა, ნედისთვის არც მოუცვილებია თვალი:

— ის კაცი, მუხრუჭების კონდუქტორი...

— ვინ კაცი? — ჩაეკითხა მისს კორი.

— შენ იცი, ვინც არის. იმის ბიძა თუ ბიძაშვილი...

— სულაც არ არის ის მუხრუჭების კონდუქტორი, — უთხრა მისს კორიმ, — გამყოლი კონდუქტორია მემფის-ნიუ-იორკის ექსპრესზე, თუმცა კი ფორმა მემუხრუჭისა აცვია.

— კარგი, — მიუგო მისს რებამ, — გამყოლი იყოს, — მერე ბუნს მიუბრუნდა, — ისა და კორი... — და წამით ნედს გახედა. — ახლობლებია. ისე კი მომწონს ეს შენი სიტყვა. დედამისის ბიძაა თუ კიდევ რაღაც, ვიცე-პრეზიდენტი უნდა იყოს სარკინიგზო ხაზისა, პარშემში რომ გადის...

— მისი ბიძა ამ ხაზის უფროსია, — თქვა მისს კორიმ.

— სარკინიგზო ხაზის უფროსი, — თქვა მისს რებამ, — მაგრამ ეს მაშინ, თუკი იქაა. სადაც მუშაობს, და არა ამ ხაზის სხვა ქალაქში, სადაც დოლს მართავენ, მისი დისშვილი კი დაორხილიბული მუშაობს, სამსახურში წინ წაწავა უნდა, მაღლა-მაღლა მიძარება სულ დაბლიდან, პირში ვარცხლის კოვზით დაბადებოლა, მაგრამ ქვეყნის სალაპარაკო მაინც არ უნდა გახდეს. ხომ გისმის, რასაც გეუბნები?

— სატვირთო ვაგონი... — თქვა ბუნმა.

— მართალია, — მიუგო მისს რებამ, — მაშინ ხვალ უკვე პარშემს ჩავლენ დილითვე და ჩვენ თვალში აღარ შეგვეჩხირებიან.

— მაგ სატვირთო ვაგონსაც ფული უნდა, — უთხრა ბუნმა, — თან თიღამდე სადღაც უნდა ვიყოს დამალულები, მერე დოღზეც ას ორმოცდაათი უნდა ჩავიდეთ, მე კი თხუთმეტი-ოთხი ოღლარიღა მაქვს, — მერე



ნამოდგა და ნედს უთხრა: — ნადი, ცხენი ახსენი. ავტომობილში რომ გაგიცვალა, ის კაცი სად ცხოვრობს?

— დაჯექი, — მისს რებამ უთხრა, — ღმერთო დიდებულ, ჯეფერსონში დაბრუნებისას კარგი სერი გელის, შენ კი რალაცა ხურდა ფულებს ითვლი ჯიბეში. — მერე ნედს გახედა, — რაო, რა შექვეყნე მქვეიანო?

ნედმა გაუმეორა:

— იმ ჯორის ამბავს, თუ გნებავთ, ბუნ ჰოგანბეკი გატყვიით.

— იქნებ ბატონის დაძახება გესწავლებინა მისთვის, — უთხრა მისს რებამ ბუნს.

— ვეძახი კიდევაც, — თქვა ნედმა, — ბატონ ბუნ ჰოგანბეკს. ხოდა, იმ ჯორზე ჰკითხეთ.

— ამაღამ სემი თუა ქალაქში? — მიუბრუნდა მისს რება მისს კორის.

— კი, ქალაქშია, — მიუგო მისს კორიმ.

— თუ შეგიძლია მოძებნო?

— კი, შემიძლია, — უთხრა მისს კორიმ.

მისს რება ახლა ბუნს მიუბრუნდა:

— შენ კი ნადი, სადმე გაისეირნე ერთი-ორი საათით მაინც, ან სულაც ბერდი უოტსისას გადადი. თუ ასე გაგჭირვებია. ოღონდ, ღვთის გულისთვის, არ დალიო. იცოდე, თუ გიფიქრია, კორი რას სჭამს, რას სვამს, ბინის ფულს საიდან იხდის, როცა შენ მისისიპის ჭანჭრობებში დაძვრები და ავტომობილებსა და ბაღებს იპარავ? ციდან ჩამოსდის?

— არსადაც არ წავალ, — მიუგო ბუნმა. მერე კი ნედს თვალები დაუბრიალა, — რას დგახარ, ნადი და ის ცხენი ახსენი.

— ჩემთან რად უნდა მოვიდეს, — თქვა მისს კორიმ, — ტელეფონით დავურეკავ. — ეს არ იყო კეკლუცურად ნათქვამი, არც გაპრანჭულად, უფრო აუმღვრევლად, საამისოდ მეტად ტანდიდი იყო, მაგრამ აუმღვრელობისთვის სწორედაც შესაფერისი.

— დარწმუნებული ხარ? — ჩაეკითხა მისს რება.

— დიახ, — მიუგო მისს კორიმ.

— მაშინ მიდი და დაურეკე, — უთხრა მისს რებამ.

— აქ მოდი, — თქვა ბუნმა. მისს კორი შეჩერდა. — აქ მოდი-მეთქი, გეუბნები. — ის მოუახლოვდა, ბუნის შორიახლოს დადგა, უეცრად შევამჩნიე, ბუნს კი არა, მე მიყურებდა. ამიტომ იყო, რომ ბუნი არც წამომდგარა, ისე სტაცა განვდილი ხელი და თავისკენ მიიზიდა. ქალმა გაიბრძოლა, მაგრამ რადგანაც ასეთი ტანდიდი იყო, დააგვიანდა. თან მე თვალს არ მაცილებდა.

— ხელი გამიშვი, — უთხრა, — ტელეფონზე უნდა დავრეკო.

— მოასწრებ, — მიუგო ბუნმა, — ჯერ კიდევ ბევრი დრო გაქვს, — და ისევ თავისკენ გამოსწია. ხოდა, მაშინ ქალი, ვითომცდა არც არაფერიო, სასონარკვეთილის სიმხნევით შიუცადა უშიშარი და მშვიდი გამოჩენილიყო. სწორედ ისე, როგორც შეიძლება ვაშლი გაუნოდო (ან კიდევ სხვა რამ დროის მოსაგებად) ხარს. რომელიც სულ უეცრად ღობის აქეთ, შენს მხარეზე აღმოჩნდა; მერე ბუნისკენ სწრაფად დაიხარა და ზედ კინკრინოზე აკოცა თუ ჩაუნისკარტა, ამავე დროს თავის დაღწევასაც ლამობდა. მაგრამ ახლაც დააგვიანა, ბუნმა მოასწრო და ჩვენ თვალწინ ხელი ქვემოთ რბილზე წაატანა. მისს კორიმ უკან გაიწია და ისევ მე შე-



მომხედა საწყალობლად და იმედმიხდილად, თვალეში სირცხვილი თუ სიმძიმისილი გაუკრთა. მერე ნელ-ნელა სახე წამოუნითლდა. ხოდა, პირველად რომ ვნახე, სულაც აღარ ჩანდა ისეთი შეუხედავი. თუმცა სულ მალე გადაუარა სინითლემ და ისევ ლედიდ იქცა. ასე რომ, უკვე ლედივით ცდილობდა დასხლტომას. მაგრამ რადგანაც ასე ტანდიდი და თანაც ლონიერი იყო, თუნდაც ბუნივით ახოვანი და ლონიერი კაცის ცხელით დიდხანს ვერ დაიჭერდა, თავი მალე გაინთავისუფლა.

— როგორ არა გრცხვენია, — თქვა ასე.

— ერთი წუთიც ვერ მოგიტმენია, სანამ ტელეფონზე დარეკავს, — უთხრა მისს რებამ ბუნს, — თუ იმის უმნიკვლოების დარდი გაქვს, ისეთ ადგილზე რად არ მოაწყობ, სადაც უმნიკვლობასაც დაიცავს და არც შიმშილით გაუხმება კუჭი. — მერე მისს კორის, მიუბრუნდა, — მიდი და დაურეკე, ცხრა საათია უკვე.

მართლაც გვიანი იყო იმისთვის, რაც უნდა გაგვეკეთებინა. სახლი გამოღვიძებას იწყებდა, „ზანზარი“ გაუდიოდა, როგორც ახლა ამბობთ ხოლმე, მაგრამ ზომიერად. მუსიკა არ იყო, არც სუფრის ღრიანცელი; ბატონ ბინფორდის სული მეუფებდა კვლავაც ამ ნიმფებით დასახლებულ მღვიბეებში. მხოლოდ იმ ორმა ქალმა იცოდა მისი არყოფნის ამბავი, ხოლო მოსულთ ჯერ კიდევ არ მოეკითხათ; ზარის ხმა გვესმოდა და მინის ხმადაბალი მისალმება სადარბაზოს კართან, მერე ფეხის ხმაც ნიმფებისა, რომლებიც კიბეზე ჩამოდიოდნენ; გადაატრიალებდა მისს კორი კარის სახელურს, გადიოდა და ისევ შემოდიოდა. ისმოდა ჭიქების წკარუნი, სტუმრების ბუბუნი, დიასახლისთა წიკვინი. მერე მინი შემობრუნდა. როგორც ჩანს, კარისკაცობა უნდა გაეწიათ იმ ქალებს, რომლებიც დაკავებულნი არ იყვნენ, სწორედ ისევე, როგორც მდივან გოგოებს მისაღებ ოთახში საგანგებო შემთხვევის დროს.

როგორც ხედავ, ბავშვი მართლაცდა მამაა მამრისა და დედა მდედრისა. იქ, ჯეფერსონში, მე მეგონა, რომ მიზეზი ბინიერებისა, უკეთურობის წინაშე ჩემი სისუსტისა ჩემი პატარა ასაკი და გულუბრყვილობა იყო. ვერ გამოვდექი ღირსეული მებრძოლი ამ განსაცდელის ჟამს და ამიტომ არც ვიყავი ამ სახელის ტარების ღირსი. თუმცა ჩემს დამარცხებას სამი საათი დასჭირდა იმ წუთიდან, როდესაც ბაბუა ლესეპის სიკვდილის ამბავი გავიგე, და დასრულდა მატარებლის სადგურიდან გასვლისთანავე. მაშინ მივხვდი, ბუნი ოთხი დღე მაინც იქნებოდა ავტომობილის გასაღების პატრონი. მაგრამ აქ იყვნენ მისს რება და მისს კორი, დაბრძენებულნი თუ არა, ცხოვრების დავიდარაბით გამობრძმედილები უკეთურობასთან (თუ სიკეთესთან), მის მზაკვრობა-ხრიკებთან ყოველდღიურ ბრძოლაში. მაგრამ ახლა ესენიც შეჭირვებულნი იყვნენ, რადგანაც ამ ოცდაათი-ოდე წუთის წინ სულაც არ იცოდნენ ნედისა და მით უმეტეს ცხენის არსებობის ამბავი. თანაც ვილაც სრულიად უცნობი კაცის გახსენებაც მოუხდათ, ვისი გულის მოგებასაც მისს კორი ახლა სხვა ოთახში ასე მშვიდად აპირებდა ტელეფონით.

უკვე ორი წუთი იყო გასული, როცა მინიმ ლამპა აიღო და სახლის უკანა კიბისკენ წავიდა; შევამჩნიე, აღარც ნედი იყო ოთახში. მინიო, გასძახა მისს რებამ უკანა კარს, — იმ წინილისგან თუ დარჩა რამე...



— დიახ, ქალბატონო, — მიუგო მინიმ. — თეფშზეა უკვე იმ თეფშს კი ახლა ის კაცი უზის. — მერე ნედის ხმა გავიგონე, თუმცა რა თქვა, ვერ გავარჩიე. მინის ნათქვამი კი გარკვეულად მოგვესმა: — მადაზე თუ უჩემოდ ვერ მოხვალ, შიმშილით სული ამოგძვრება დილაზე. — ნედმა რა უთხრა, ვერ გავიგონეთ. მისს კორის უკვე ოთხი წუთი შეაგვიანდა. ბუნი წამოვარდა. — დასწყევლოს ღმერთმა! — დასძახა: *მეცხეა!*

— ტელეფონზე ეჭვიანობ? — თქვა მისს რებამ. — იმ გუტაპერჩის მილის ყურის მიდებით იმ გოგოს რას უზამს, ერთი მითხარი? — მერე მინის ხმა გავიგონეთ. მჭახე, ანაზღეული ტკაცუნის და სულ მალე მინის ფეხის ხმა. შემოვიდა, მალი-მალ სუნთქავდა, თუმცა არც ისე.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მისს რებამ.

— არც არაფერი, — უთხრა მინიმ, — როგორც ყველა, ისიც ისეა. ისიც უნდა და ესეც, მაგრამ რომელი უფრო მეტად, ვერ მიმხვდარა.

— ერთი ბოთლი ლუდი მიეცი, თუკი იქ მიბრუნების არ შეგეშინდება.

— რისი უნდა შემეშინდეს, — მიუგო მინიმ. — ასე არიან ეგენი მუდამ, როცა ყინი მოუვლით ხოლმე. ეს კარგად ვიცი. არა და არ მოგასვენებენ, ძილი თუ უშველით, მეტი არაფერი.

— მართალი ხარ, — უთხრა ბუნმა, — სულ კი ამ შენი კბილის ბრაღია. ოხრები ხართ დედაკაცები. თქვენგან მოსვენება გვაქვს დაკარგული.

— ვითომ რატომ? — თქვა მისს რებამ.

— კარგად იცი, რატომაც, — მიუგო ბუნმა. — თქვენი დამშვიდება არ იქნება. სულ წრიალებთ, ვერ ისვენებთ, მამაკაცებს სულ კრიჭაში უდგებართ. ერთი ამ გოგოს შეხედე, ვერ მოისვენა, ვიდრე რის ვაივაგლახით ოქროს კბილის ფული არ მოაგროვა. ხოდა, სწორედ ამ ოქროს კბილმა შუაგულ სახეზე ჭკუიდან შეშალა ბრიყვი სოფლელი ზანგის კაცი...

— ...ხოლო ხუთი წუთით ტელეფონზე საუბარმა კი ცოფები აყრევინა ვილაც საბრალო სოფლელ შარახვეტიას, რომელმაც ჯერ ავტომობილი მოიპარა და მერე ცხენი. შენისთანა ვინმე არასდროს არ მინახავს, ასე ძალიან რომ სჭირდებოდეს დაქორწინება.

— კი იქნებოდა კარგი, — გამოსძახა მინიმ კარიდან. — ჭკუაზე მოიყვანს. ორჯერ ვცადე და ვიცი, რაც არის...

ამ დროს მის კორი შემოვიდა.

— ყველაფერი კარგადაა, — თქვა აუმღვრევლად. და თუ სილამაზე აკლდა, იგივე შეიძლება ეთქვა კაცს ფაიფურის პატრუქმოკიდებულ ლამპაზე. — ისიც მოვა. გიშველითო, მითხრა. ის...

— მე ვერა, — თქვა ბუნმა, — იმ ნაბიჭვარმა მე რა უნდა მიშველოს.

— მაშინ გასწი აქედან. — უთხრა მისს რებამ. — სჯობს იქ წახვიდე. საიდანაც მოსულხარ. მისისიპიში კი როგორ დაბრუნდები. ფეხით თუ ცხენით? კარგი, კარგი, დაჯექი. ჩვენთან ერთად დაუცადე. აბა გვითხარი, — მიუბრუნდა მისს კორის.

— ვაგონების მემუხრუჭე კი არა, გამყოლი კონდუქტორია! თუმცა ჩვეულებრივი კონდუქტორის ფორმა აცვია. გიშველითო, შემპირდა. — მთელ ქვეყნიერებას უყვარს შეყვარებულები, მგონი. შექსპირს აქვს ასე ნათქვამი, მასზე დიდი მესაიდუმლე კი ვინ იყო კაცის გულისა? რა სამწუხაროა, ცხენების ამბავი კარგად რომ არ იცოდა. თორემ უთუოდ დასძენდა, ნაპარავი ბედაურებიც უყვარსო მთელ ქვეყნიერებას. მისს კო-



რი რომ გვიამბობდა, ოტისიც იქ იყო, თუმცა როდის შემოვიდა, ვერ დავინახე, სახეზე ისევ ისეთივე მავნე გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ამჯერად მიზეზი ეს არ იყო, გვიან რომ შევამჩნიე მისი ანაზღაურებული გამოტყვერობა. — პასემამდე მაინც უნდა ვიყიდოთ ერთი ბილეთი, — თქვა მისს კორიმ.

— პარშემამდე, — თქვა მისს რებამ.

— კარგი, კარგი, — უთხრა მისს კორიმ, — ...საბარგოში ჩავაბარებთ, ისე, თითქოს სკივრი იყოს; სემი ბილეთს მოიტანს და საბარგოს ქვითარსაც, ყველაფერს კარგად მოვაგვარებთ. ცარიელი ვაგონი სათადარიგო ხაზზე იქნება — სემი გვეტყვის, სადაც — ხოდა, როგორმე ის ცხენი შიგ უნდა შევიყვანოთ; ფიცრებსა და ლურსმნებს სემი მოიტანს. თქვა, მეტის გაკეთებას ვერ შევძლებო ასე ცოტა ხანში, ბიძამისსაც ყველაფერს ვერ ეტყვის, ვაითუ მოსულა მოინდომოსო. სემის სიტყვით საშიშია მხოლოდ აქედან იმ ვაგონამდე ცხენის მიყვანა. და კიდევ არ შეიძლება, რომ... — ნედს შეხედა და შეჩერდა.

— ნედ უილიამ მაკ-კასლინ ჯეფერსონ მისისიპი, — უთხრა ნედმა.

— ...ნედმა ის ცხენი უკანა ქუჩებით გვიან ღამით რომ წაიყვანოს, პირველივე შემხვედრი პოლიციელი გააჩერებს. ცხენს ის, სემი, ბუნი და მე წავიყვანთ სადგურში, ყურადღებას არავინ არ მოგვაქცევს. ჰო, კიდევ ის, რომ სამგზავრო მატარებლის...

— ქრისტე ღმერთო, — თქვა მისს რებამ, — ვილაც კახპა, რკინიგზის კონდუქტორი და ერთიც წყლის ცისტერნის ოდენა მისისიპელი ჭაობის ღირთხა კვირა ღამეს საჯირითო ცხენს გაუძღვებიან მემფისის ერთი ბოლოდან მეორემდე და ვითომ არავინ არ მიაქცევს ყურადღებას?

— კარგით, გაჩუმდით, — უთხრა მისს კორიმ.

— რად უნდა გავჩუმდე? — ჰკითხა მისს რებამ.

— ვითომ არ იცით. ასე ლაპარაკი ამ...

— ოჰო, — თქვა მისს რებამ, — იცი, რას გეტყვი, ბუნთან ერთად მისისიპიდან მეგობრული ვიზიტით რომ ჩამოსულიყო, კი დავინდობდი მის ყურებს. მაგრამ თუკი ეს სახლი რაღაც შტაბ-ბინად უნდა მიქციონ მოპარული ავტომობილისა და ცხენისათვის, სხვებივით ამანაც მოითმინოს. რაო, რა თქვი, სამგზავრო მატარებელიო?

— დიახ. დილის ოთხ საათზე ვაშინგტონს მიმავალ სამგზავრო მატარებელს მიაბამს იმ სატვირთო ვაგონს და დილა-ბნელზე ჩვენ უკვე პანემში ვიქნებით.

— პარშემში-მეთქი, დასწყევლოს ღმერთმა, — თქვა მისს რებამ, — ჩვენო?

— განა თქვენც არ მოდიხართ? — ჰკითხა მისს კორიმ.

7

ასეც მოხდა. სემისთვის ცხენი ხომ უნდა გვეჩვენებინა. სამზარეულოდან უკანა კარით გავედით. სემს ცხენის ყაჯარი მოჰქონდა. რკინიგზელის ფორმა ეცვა. ბუნივით ტანმალალი იყო თითქმის.

ხოდა, ჩვენ — ანუ ყველამ. — კიდევ ერთხელ მოვიყარეთ თავი უკანა ეზოში. ნედს ლამპა მოემარჯვებინა, თუმცა ცხენისთვის კი არა, უფრო



სემის ბრინჯაოსფოლაქებიანი ქურთუკისა და არშიაზე ოქროსასოებიანი ქუდისთვის მიენათებინა. კი მეშინოდა, ვაითუ ნედი გაბრაზდეს და სემს ცხენი არ დაანებოს-მეთქი, მაგრამ შევცდი.

— ვინ? მე? — ნედმა თქვა, — რად მინდა? ოღონდ პოლიციელი ნუ იქნება, ვინც ამ ცხენს პასემში წაიყვანს.

სემი აქ იყო და შეიძლება ბუნს დავიდარაბა აქტება. სემმა ცხენი ჩაათვალიერა.

— კარგი ცხენია, — თქვა, — დიდებული ბედაური უნდა იყოს სწორედ.

— მართლა? — ბუნმა თქვა. — ზურგზე არც სასტვენნი აქვს, არც ზარი და არც ფარანი კინკრიხოზე, ნეტა როგორ მიხვდი, რაც არის?

— ვითომ რისი თქმა გინდა? — ჰკითხა სემმა.

— არც არაფრის. — მიუგო ბუნმა. — რაც გაიგონე, იმისი. შენი საქმე რკინის ცხენია. სჯობს სადგურზე წახვიდე და ჩვენ აღარ დაგველოდო.

— ჰაი, შე ნაბიჭ... — თქვა მისს რებამ და მერე განაგრძო. — ნუთუ ვერ ხედავ, შენი დახმარება უნდა ამ კაცს? თავს იკლავს, სახლში რომ დაბრუნდები, პირველივე პირუტყვი, ვისაც ნახავ, შერიფი არ იყოს. ხოდა, ეს კაცი ერთადერთია, ვისაც ამ წყეული ცხენის წაყვანა შეუძლია. ბოდიში მოუხადე.

— კარგი, კარგი, — მიუგო ბუნმა, — დავივიწყოთ.

— შენ ამაა ეძახი ბოდიშს? — უთხრა მისს რებამ.

— რა გინდა? — თქვა ბუნმა. — ოთხზე დავდგე და მივუშვირო...

— გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი. — თქვა მისს კორიმ.

— ერთი შენც კიდევ, — თქვა ბუნმა, — მე და მისს რებას შენი წყალობით ერთ დღეში, რაც წესიერი ინგლისური სიტყვები ვიცოდით, ყველა დაავინწყდა.

— მართალია, — თქვა მისს რებამ. — შენ რომ არკანზასიდან ჩამოიყვანე, მაგარი ვილაცაა, როგორც კი მიბრუნდები, ერთ ხელს საყინულეში ჩაკრავს ლუდის ამოსაღებად, მეორეს კი აქეთ-იქით აფათურებს და რაც მოხვდება, ყველაფერს იჯიბავს. ახლა კი ბუნ ჰოგანბეკმა ისეთი ჩამოიყვანა, მისი შიშით პირი ვერ გამიღია.

— სულაც არა. — უთხრა მისს კორიმ, — ოტისი უკითხავად არაფერს არ იღებს! ხომ ასეა, ოტის?

— მართალია, — თქვა მისს რებამ, — აბა ერთი ჰკითხე, თავად გეტყვის.

— ქალბატონებო, ქალბატონებო! — თქვა სემმა, — მიგვყავს ამაღამ ეს ცხენი პარშემს-თუ არა?

როგორც იყო, გზას გავუდექით. მისს კორიმ ოტისაა და მე გადმოგვხედა.

— ახლა ლოგინში უნდა იყვნენ ესენი. — თქვა.

— სწორია, — მიუგო მისს რებამ. — სადმე არკანზასსა ან მისისიპიში თუ კიდევ უფრო შორს, ჩემი ნება რომ იყოს. მაგრამ ახლა უკვე გვიანაა, თუ ერთს წავიყვანთ, მეორე ლოგინში როგორ უნდა გავაჩეროთ. ბუნის ბიჭს კი მაინც კავშირი აქვს ამ ცხენტან.



მისს რება აღარ წამოვიდა, რადგან ვერავინ შეცვლიდა მასა და მინია. მთელ სახლს უკვე ზრიალი გაჰქონდა, მაგრამ ზომიერების ფარგლებში, კვირის შესაფერისად, შაბათ საღამოს უკანასკნელი აბობრქრების შეძდეგ ადგილი დაეთმო ჩვეულებრივ ყოველდღიურ შრომას პურისა და თავშესაფრისთვის.

ხოდა, ნედმა და ბუნმა ცხენს ყაჯარი გადააფარეს. მერე მზისქიტიდან ჩვენ — ნედი, ოტისი და მე — ვუმზერდით ბუნსა და სემს, ქმრებს ერთი ქალისას, (მეგობრები ვერ იყვნენ. მაგრამ ხანმოკლე ზავი კი ჩამოეგდოთ) და მისს კორის მათ შორის, შუაგზაზე, ერთი ფარნიდან მეორემდე როგორ ბიჰყავდათ ცხენი. კვირადღის საღამო იყო, ასე, თერთმეტის დასაწყისი, სიმშვიდე სუფევდა მეორე და მესამე ქუჩებზე სადგურის მიმართულებით. აქა-იქ სინათლე ენთო, ისიც მხოლოდ პანსიონებში (ახლა კი ვიყავი თუ ყოვლისმცოდნე არა, გამოცდილი მაინც და მიას რებას სახლის მსგავსის ცნობა უკვე შემეძლო, თუკი დავინახავდი), კაფეები კი ჩაბნელებული იყო. კაფეები რომ იყო, არ ვიცოდი, მაგრამ ნედმა გვითხრა ოტისსა და მე, ეს კაფეებია და ყველა დაკეტილი არიასო, თუმცა ღია უნდა ყოფილიყო თუ დაკეტილი, არ ვიცოდი, მე ხომ მემფისში (ანუ კატალპა-სტრიტზე) ექვსი საათიც კი არ ვყოფილვარ. გვერდით დედ-მამა არ მყავდა, ვინც ამიხსნიდა, მაგრამ რალაც-რალაცებს უკვე ჩემითაც ვხვდებოდით.

— ცისფერ კანონს\* ეძახიან ამას, — თქვა ნედმა.

— რა ცისფერი კანონი? — ვკითხე.

— აბა რა ვიცი, — მითხრა ნედმა, — შაბათ საღამოს მერე ჯიბე-დაცარიელებული ხალხი მათი გულისთვის ნავთს არ დახარჯავს.

— კაფეებშია ასე, — თქვა ოტისმა, — მაგრამ ამით არც არავინ ზარალობს. კვირადღეს რასაც ვერ გაყიდიან, კარგად შეინახავენ და ორშაბათ დილას შეიძლება იგივე ხალხს მიყიდონ. მაგრამ თიხასატლაშუნოსულ სხვა რამეა. საღამოს რასაც გაყიდი, მეორე დღეს თავიდან დაატრიალებ და იმავე თიხასატლაშუნოსს ისევ გაყიდი. ამით ვის რა დააკლდება. ცისფერი კანონი თუ თიხასატლაშუნოსაც მიუმარჯვეს, პოლიცია მყის შეაჩერებს.

— თიხასატლაშუნო კი რაღაა? — ვკითხე.

— ცოდნით ლამის თავი გაგისკდეს, მგონი, — უთხრა ოტისს ნედმა, — არკანზასში იმიტომაც ველარ ეტევი. სხვა შენისთანა ყოვლისმცოდნე ბიჭები ოცდაერთი წლის ასაკში ტეხასშიაც ვერ დაეტევიან...

— ტ... — თქვა ოტისმა.

თიხასატლაშუნო კი რაღაა-მეთქი, — ისევ ვიკითხე.

— სჯობს ტვინი გაანძრიო და იქნებ ამ ცხენს რამე აჭამო, — ხმას აუწია ნედმა, — პასუხამდე რომ როგორმე ჩავიყვანოთ, რაც მთავარია, ვაგონში შევტენოთ. ხომ ხედავ, რკინიგზის ბატონ-პატრონი ეს კონდუქტორი ისე მიფანტ-მოფანტავს ვაგონებს, ჯიბიდან ხელებს არც ამოიღებს. მაგრამ აბა ერთი ჰკითხე, არ უფიქრია, რა ვაჭამო? ან იქნებ ერთი ვედრო საპნიანი წყალიც იშოვნოს და იქნებ დეიდაშენმა. — ოტისს მიუბ-

\* The blue law, ანუ პურიტანული კანონი, რომლის მიხედვითაც აშშ-ში XIX ს. და XX ს. დასაწყისში აკრძალული იყო კვირადღეს თეატრალური წარმოდგენები, ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა და ა. შ.



რუნდა ახლა, — სადაც თვალს მიგაფაროს და პირი კარგად გამოგაბანინოს!

— ტ... — თქვა ოტისმა.

— ან იქნებ სადმე ჯოხი ნახოს და გირტყას, — უთხრა ნედმა.

— ტ... — ოტისმა თქვა ისევ. უეცრად პოლიციელი გამოტყვრა საიდანღაც. მგონი, ოტისმა ჯერ კიდევ მანამ დაინახა პოლიციელი, სანამ მან ცხენი. — ბიჭოს! — დასძინა ისევ ოტისმა. თურმე მისს კორის იცნობდა ის პოლიციელი და, როგორც ჩანს, სემსაც.

— ცხენი სად მიგყავთ, — იკითხა მან, — ხომ არ მოგიპარავთ?

— დავიქირავეთ, — უთხრა სემმა. ისინი არც კი შეჩერებულან. — ეკლესიაში ვიყავით ლოცვაზე ამაღამ და ახლა უკან უნდა დავაბრუნოთ. — გზა განვაგრძეთ, ოტისმა ისევ ამოთქვა, ბიჭოსო.

— პირველად ვხედავ, — დასძინა მერე, — პოლიციელს ისე დაელაპარაკონ, არაფერი მისცენ. მინისა და მისს რებას ყოველთვის ერთი ბოთლი ლუდი აქვთ ხოლმე მომარჯვებული ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის ზღურბლს გადმოაბიჯებდეს, თუმცა მისს რება მოსვლამდეც ლანძღავს მას და წასვლის მერეც. გასულ ზაფხულსაც აქ რომ ვიყავი, შევამჩნიე, ყოველდღე რომ მიხვიდე კორტ-სკვერში, სადაც ერთი იტალიელი ხილითა და კაკლით ვაჭრობს, შემობრძანდება პოლიციელი და წამის უმაღესად ააცლის ხოლმე ვაშლს ან ერთ მუჭა კაკალს.

ჩემზე უფრო პატარა ტანისა იყო და ლამის მორბოდა, რათა არ ჩამოგვრჩენოდა. ისიც შევამჩნიე, ჩემზე დაბალი რომ იყო, ეს მაშინ უფრო ჩანდა, როცა მოძუნძულებდა. რაღაც უცნაურობა კი სჭირდა. თავად შენს თავზე ასე ფიქრობ ხოლმე, **მომავალ წელს სიმაღლე კიდევ უფრო მოშემატებაო**; ჩვეულებრივი ამბავია და ამიტომ გარდაუვალიც. სულაც აღარა აქვს რამე მნიშვნელობა, რომ ვერც წარმოიდგენ, მერე როგორი სანახავი იქნები, რას დაემსგავსები. ყოველი ბავშვი ასე იზრდება, უნდა თუ არა. მაგრამ ოტისი კი ისე გამოიყურებოდა, თითქმის სამი წლის წინათ მიეტანებინა იმისთვის, რასაც შენ მომავალ წელს მიატან, მერე კი დაპატარაება დაეწყოს.

— ხოდა, ასე ვფიქრობდი, — განაგრძო მან, — პოლიციელობას რა აჯობს-მეთქი. მაგრამ მერე მივხვდი, დიდი არაფერი არაა.

— დიდი არაფერი რა არაა? — ჰკითხა ნედმა.

— ლუდი, ვაშლები და კაკლები, — მიუგო ოტისმა, — სულ ლუდზე, ვაშლსა და კაკლებზე შენი მტერი იყოს, — მერე ისევ დასძინა სამგზის, ბიჭოსო, — ისე კი ფარა უნდა იყოს ამ ქალაქში.

— ფარაო? — თქვა ნედმა, — რატომაც არ უნდა იყოს? ფარაცა ისევე სჭირდებათ, როგორც ჯორები.

— ფარა-მეთქი, — თქვა ოტისმა, — ხელის ჭუჭყზე, ნაღდ ფულზე გეუბნებით. არკანზასში რა მინდოდა, ამდენი დრო როგორ დავკარგე, სანამ მემფისის შესახებ გავიგებდი. ის კბილი რამდენი ეღირება მაინც? თუ, ვთქვათ, მინი შევა ბანკში, დახლზე დადებს და იტყვის, გადამიხურდავეთო?

— დიახ, დიახ, — ნედმა თქვა, — ერთი შენისთანა ბიჭი იყო ჯეფერსონში, სულ ფული ეკერა პირზე იმასაც. ხოდა, თუ იცი, ახლა სად არის?

— სად და მემფისში, თუ ჭკუა ჰქონდა, — მიუგო ოტისმა.



— ასე შორს არ წამოსულა, — უთხრა ნედმა. — იმდენი იარა, ვიდრე პასემის საოლქო ციხეში არ ჩააყუდეს. თუ ჭკუით არ იქნები, შენც ქარი იქით წაგიღებს სწორედ.

— მაგრამ ხვალ არ იქნება ეს ამბავი, — თქვა ოტისმა, — და არც ზეგ. ბიჭოს, ვიგინდარა პოლიციელსაც ქუჩაში ისე ვერ ჩაუვლდებოდა რომ ბოთლი ლუდი, ვაშლი ან ერთი მუჭა კაკალი არ შეატენონ, ~~მომცეს~~ კი მოუთხოვია. ნუხელ ოთხმოცდახუთი ცენტი მომცეს. პიპანოლას რომ დაატრიალებდი. იმ ნაბიჭვარმა კი ყველა წამართვა მაშინვე. სულ ტყუილად შემეძლო მეტრიალებინა პიპანოლა, რომ სულ შემთხვევით ყური მოვკარი. მოდი, გადავუხადოთო ამისთვის. ერთი წამითაც რომ დამეგვიანებინა. რას გავიგონებდი. მაშინ რომ იქ არ ვყოფილიყავი, პირველივე გამვლელს შემოიყვანდნენ და დაატრიალებინებდნენ. თუ გესმის? ხანდახან ამაზე რომ ვფიქრობ, ყველაფერს ძინდა თავი დავანებო.

— თავი დაანებო? — ჩაეკითხა ნედი. — თავი რას უნდა დაანებო?

— თავი დავანებო და მორჩა, — თქვა ოტისმა. — როცა კი ვფიქრობ, იმდენი ხანი ტყუილად როგორ ვეგდე არკანზასის იმ ჩვენს გაუბედურებულ ფერმაში და არ ვიცოდი, მდინარის აქეთ, გამოღმა მემფისი იყო, თუმცა კი შეიძლებოდა ოთხი ან ხუთი წლის ასაკშივე გამეგო, ლამის ყველაფერს თავი დავანებო. მაგრამ, მგონი, ამას არ ვიზამ. ფონს მაინც გავალ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს ცხენი რამდენს მოგახვეჭინებთ?

— შენ ამ ცხენის დარდი ნუ გაქვს, — მიუგო ნედმა. — სჯობს იმაზე იმტვიროთ თავი, იმ ქუჩასა და სახლს როგორ უნდა მიაგნო, თუ ამაღამ ლოგინში დაძინებას აპირებ, — ერთხანს იყურა და მერე ნახევრად იისკენ მიტრიალდა. — გზა თუ იცი?

— იქ რა მინდა, — თქვა ოტისმა, — ვიცი, ვერაფერს ვერ გამოვრჩები. სულ გვითვალთვალებენ. არკანზასში კი სულ სხვანაირად იყო. კორი დეიდა ფიტი დეიდასთან რომ ცხოვრობდა, იქ საჭვრეტელი მქონდა მოწყობილი. ავტომობილში როცა ცხენი გაუცვალეთ, გეგონათ, სულ ცოტა ასიანს მაინც... — ნედი ახლა მთლიანად მიტრიალდა მისკენ. ოტისი გვერდზე გახტა, ნედს შეაგინა, შე შავდრუნჩაო; მე კი რაც თავი მახსოვდა, იმთავითვე ვიცოდი, მამა და ბაბუაც მუდამ ამას მასწავლიდნენ, ჯენტლმენს არ ეკადრება ვისიმე რასისა თუ რელიგიის აუგად ხსენებაო.

— წავიდეთ, — ვთქვი მე, — უკვე კარგა დიდზე ჩამოვრჩით. — მართლაც რომ კვარტალი უკვე გაველოთ და ის იყო კუთხეში უნდა შეეხვიათ. ჩვენ ძუნძულით გავიქეცით, ნედიც მოგვყვა. კიდევ კარგი სადგური იქვე იყო. სემი ზეთით გასვრილ ფარნიან კაცს ელაპარაკებოდა. მეისრე უნდა ყოფილიყო, ერთი სიტყვით, რკინიგზელი ვილაც.

— გესმის, რას გეუბნები, — თქვა ნედმა. — როგორ გგონია, პოლიცია ფარნიან კაცს გამოაგზავნიდა, გზა უჩვენეო იმათ?

ხომ გესმის, რაზეც გეუბნები: აშქვეყნად (ნაპარავ ცხენზე ვამბობ) სიკეთის მსახურნი თანადგომის გარეშე, მარტოდმარტონი იბრძვიან განქიქების გამყინავ ვაკუმში მოქცეულნი, მაგრამ უკეთურობის მსახურება თუ დააპირეს. უამრავი მოხალისე გამოუჩნდებაო მშველელად. სემი უმტკიცებდა მისს კორის, სჯობდა სადგურში ოტისსა და ჩემთან დაეცადა, ვიდრე სატვირთო ვაგონს არ ნახავდა და ცხენს არ შეიყვანდა. ბუნსაც სულითა და გულით ჩვენ გვითვალდა მცველად, ვითარცა გოლიათური აღნაგობის კაცს. შე-



საფერისს ასაკითა და სქესითაც; ასე ჩანდა, ნდობით გვეკიდებოდა ორ-  
ქმრიანობის სემის ნახევარი და განწყობილიც იყო თანამშრომლობისათ-  
ვის. მაგრამ მისს კორიმ უარყო ეს წინადადება. ხოდა, ყველანი გავტრი-  
ალდით და იმ ფარნიან კაცს გავყევით. გავიარეთ ქიშკარი, შევაბიჯეთ  
სატვირთო პლატფორმებისა და ლიანდაგების წიაღში; ~~ქვედა სუკვე~~ ნედს  
მოუხდა ჩვენი წინამძღოლობა. ცხენი სადავით წამოტყვანდა, ~~თხენი~~ ამშვი-  
ლებდა. ამიაკგაჯერებული მხურვალე ოხშივარი მოგვწვდა (შეშინებული  
ცხენის სუნი თუ იცი?), ნედი ეჩურჩულებოდა ამ ოთხფეხს და ეს ორივე —  
მისი ბუტბუტი და სუნი — შესქელებულ-შედედებულიყო სატვირთო და  
სამგზავრო ვაგონების ნათურების სინათლისა და საისრე წერტილთა  
შუქნიშნების მწვანე-წითელ ციმციმში; ასე იყო, სანამ სამგზავრო უბანი  
არ ჩამოვიტოვეთ და ხრეშმოყრილ სავალზე არ გავედით დიდ ჩაბნელე-  
ბულ საწყობსა და მის წინ მდებარე სატვირთო პლატფორმისკენ. ის სატ-  
ვირთო ვაგონიც დავინახეთ. მასა და პლატფორმის ბოლოს შორის მთვა-  
რით განათებული ოცდახუთფუტიანი სივრცე ჩანდა (მთვარე დაგვნათოდა,  
ქუჩისა და სადგურის ნათურები აქ აღარ იყო), რომელსაც დოლის ცხე-  
ნიც ვერ გადაეფლებოდა, მით უმეტეს, სამი წლის ბედაური (ნედის სიტყ-  
ვით) ვერ შეძლებდა ამას. სემმა ჩუმად შეუკურთხა სადგურის ყველა  
რკინიგზელს, მეისრეებს, დეპოს მუშებს, მოლარეებსა თუ სხვა დანარ-  
ჩენთ.

— ნავალ და თხას მოვიყვან, — თქვა ფარნიანმა კაცმა.

— თხას რას ვაქნევთ, — თქვა ნედმა, — გინდაც საუკეთესო მხტომე-  
ლი იყოს. ჩვენ ან ეს პლატფორმა უნდა მოვწიოთ ან ის ვაგონი.

— სამანევრო პატარა ორთქლმავალს ეძახიან ასე, — აუხსნა სემმა  
ნედს. — არ ნახვიდე, — მიუბრუნდა ის ფარნიან კაცს. — ასეც ვიცოდი,  
რომ სამანევრო ჯგუფისთვის ოცდახუთფუტიანი მანძილი არც არაფერია.  
ანორედ ამიტომაც გთხოვე, ჯიხურის გასაღები წამოიღე-მეთქი. ძალაყი-  
ნებიც გვინდა. იქნებ ბატონი ბუნი მოგეშველოს.

— სჯობს თავად შენ მიეშველო, — უთხრა ბუნმა, — შენ ხომ რკინი-  
გზელი ხარ, მე კი აქ ვინ ვარ.

— სჯობს ეს ბიჭები სახლში წაიყვანო და დააძინო, რაკილა ასე მორ-  
ცხვობ, — თქვა მისს კორიმ.

— სჯობს თავად წაიყვანო, — მიუგო ბუნმა, — ამ შენმა ძველმა  
მეგობარმა ხომ გითხრა, შენ აქ არაფერი გესაქმებაო.

— ძალაყინების მოსატანად თავად წავყვები, — უთხრა მისს კორიმ  
სემს, — შენ კი ამ ბიჭებს მიხედე.

— კარგი, კარგი, — თქვა ბუნმა, — ღვთის გულისთვის, შევუდგებით  
თუ არა საქმეს? კიდევ ოთხი-ხუთი საათი და მატარებელი ჩამოდგება,  
ჩვენ კი აქ ვყბედობთ. სად არის ის ჯიხური, ძამიკო? — ხოდა, წავიდნენ  
ის და ფარნიანი კაცი. დავრჩით მარტოდ ჩვენ და მთვარე. იმ ცხენს ახლა  
სულაც აღარ ასდიოდა სუნი და ვხედავდი, ნედთან მიმდგარი თავით სერ-  
თუკზე ეხახუნებოდა გოშიასავით. სემი კი თურმე იმას ფიქრობდა, რასაც  
ჩე, როცა ის პლატფორმა დავინახე.

— საწყობის უკან საბიჯელა უნდა იყოს, — თქვა მან, — ნეტა თუ  
გაუვლია ასეთ საბიჯელაზე? მოდი, იქით გავიყვანოთ და ვუჩვენოთ. ჩა-  
ბოდგება ის ვაგონი და ყველანი სულაც ხელით ავიყვანთ...



— დარდი ნუ გაქვთ, — მიუგო ნედმა, — ოღონდ კი ის ვაგონი იქ დადგეს, სადაც საჭიროა, ათფუტიან თხრილს რომ აღარ გადავახტუნოთ. თქვენსავით ერთი სული აქვს ამ ცხენსაც მემფისიდან გავიდეს.

სულ მეშინოდა, ვაითუ სემმა თქვას, თან ეს ბიჭიც წააყვანეო. არადა, მინდოდა მენახა, როგორ დაძრავდნენ ვაგონს, არ მჯეროდა, ამას თუ შეძლებდნენ. ვიდექით და ველოდით. თუმცა დიდხანს არა; ბუნმა და სემმა ფარნიანი კაცი უკან დაბრუნდნენ და ორი ძალაყინი მოიტანეს. რვა ფუტის სიგრძის იქნებოდა თითოეული. ხოდა, ვიდექი და ვუყურებდი (მისს კორიც და ოტისიც), რას აკეთებდნენ. იმ კაცმა ფარანი დადო, საბიჯელათი ვაგონის სახურაზე ავიდა, მუხრუჭი აუშვა, ხოლო სემმა და ბუნმა ძალაყინები შეყვეს უკანა ბორბლებსა და ლიანდაგს შორის. ხოდა, თითქოსდა ტუმბოს ეჯაჯგურებოდნენ. აწვებოდნენ და წინ აგდებდნენ. მე მაინც არა მჯეროდა; მუქად მბზინავი ოთხუკთხა მაღალი ვაგონი მთვარის შუქზე შავი კედელივით აღმართულიყო ჩვენ წინ მთვარის სხივებით გარშემოვლებული, რომლის თავზეც ერთი მოგრძო ლანდი ატრიალებდა სამუხრუჭე რგოლს, ხოლო დაბლა ორნი, უფრო მომცრონი და წელში მოხრილნი თითქოსდა ლიანდაგზე მიდუღებულ ვაგონს ვერცხლისფრად მოელვარე კეტებს ბორბლებქვეშ სჩრიდნენ, თუმცა კი ისე ჩანდა, ვერა ძალა ვერ დაძრავდა და გააგორებდა მას, ბუნი და სემი კი მხოლოდ რაღაც პანტომიმას თამაშობენო, მონინებით ვილაცას თავს უხრიან და მთვარის ნათელით მოჩარჩოებულ იმ აყალყებულ ლანდიდან ნელ-ნელა უკან-უკან იხევენო. მაგრამ უეცრად ვაგონი დაჰყვა მათ ნებას, მოძრაობის უნარი მოიპოვა და სემმა და ბუნმა კეტები დაყარეს; ბუნი ახლა უკვე მსუბუქად აწვებოდა ვაგონს, ვითარცა ჩვილის ეტლს, ვიდრე იქ არ დადგა, სადაც საჭირო იყო, ანუ ბაქანს არ გაუსწორდა და სემმა არ თქვა, კმარაო. ზემოთ მდგარმა კაცმა კვლავ დაატრიალა სამუხრუჭე რგოლი. ცხენი როგორმე ვაგონში უნდა შეგვეყვანა, რაც იგივე იყო, რომ გვეთქვა, ალიასკაზე ჩამოვედით, მეტი რაღა დაგვრჩენია, ოქროს საბადოსაც უნდა მივაგნოთო. მერე იმ ფარდულს შემოვუარეთ, სადაც ბაქნიდან საბიჯელა კიბე ეშვებოდა გარდიგარდმო მიმაგრებული ფიცრებით. მაშინ ბაქნებს იმ სიმალლისას აშენებდნენ, რომ ურმები, ურიკები, საზიდრები აეგორ-ჩამოეგორებინათ, საბიჯელა საკმაოდ მკვიდრი ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ ხუთი ფუტი სიგანისა და უმოაჯირო.

— ვიცი, ამას ნანახი აქვს ეგ საბიჯელა, — თქვა ნედმა, — ესმის, რომ გვინდა ზედ ავიდეს, მაგრამ თავად თუ სურს, ჯერ ვერ მიმხვდარა. კარგი იქნებოდა, კიდევ დაგვდოს პატივი ბატონმა ვაგონის კაცმა და ბარემ წკნელიც მოგვინახოს.

— მერედა მანდ არ გაქვს. — ბუნმა მიუგო, მხედველობაში მე ვყავდი, ანუ ჩემი ერთი ოინთაგანი — ენისა და კიდევ პირის, ყელისა და ხახის მეშვეობით მკვეთრ ხმას გამოვცემდი, გასაოცარს და მაღალს, მათრახის გატყლაშუნებას რომ ჰგავდა. დედამ ამიკრძალა ბოლოს, ეზოშიც არ მაძლევდა ამის უფლებას, სახლში კი, მით უმეტეს, რას დამანებებდა. ბებიას ერთხელ ისე შეეშინდა, კინალამ სკამიდან გადმოვარდა და შეიკურთხა კიდევ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ იყო. წელიწადი გავიდა მას შემდეგ და, მგონია, დავიწყებულა კი მქონდა.

— მართლა, — თქვა ნედმა, — კი გვაქვს. — მერე მითხრა, გრძელი წკნელი მოიტანე, იმ ბურქებში უნდა იყოსო. კვიდო იზრდებოდა იქვე ახ-



ლოს, კერძო მდელი თუ ბალი უნდა ყოფილიყო აქ უნინ, ვიდრე არ და-  
 ინყო პროგრესის, ინდუსტრიის, კომერციის, რკინიგზის ხანა. წკნელი მოვ-  
 ტეხე და უკან გამოვბრუნდი. ნედი ცხენს გამოუძღვა, თავით კიბე-საბი-  
 ჯელასკენ მიატრიალა. — აბა ახლა, ბატონო ბუნ და ბატონო ვაგონის კა-  
 ცო, ორთავე ისეთი ბრგე ხართ, აქედან და იქიდან ამოუდევით კარიბჭის  
 ბოძებით. — ასეც ქნეს. ნედი უკვე იმ საბიჯელას ნახევარზე იყო გა-  
 სული ხელში აღვირით და ცხენისკენ მიბრუნებული მის დაყოლიებას  
 ცდილობდა. — ადი, ადი მაგ ქათმის ქანდარაზე, სადაც გელოდება დი-  
 დება და პასემი, ტენესი, სწორედ იქ იქნები განთიადის ხანს. — მერე  
 დაბლა ჩამოვიდა, ცხენი სწრაფად მოატრიალა და თან მითხრა, — წკნელი  
 უკვე დაინახა, უკნიდან მოუარე, ნუ დაჰკრავ და ნურც გაატკაცუნებ, ვიდ-  
 რე არ გეტყვი. — ასეც მოვიქეცი. ჩვენ სამივემ — ნედმა, ცხენმა და მეც —  
 საბიჯელას საპირისპირო მხარეს გავსწიეთ, დაახლოებით ოცი იარდი გა-  
 ვიარეთ და მაშინ ნედმა შეუჩერებლივ, მკვეთრად შემოატრიალა ცხე-  
 ნი, მეც გავყევი, სულ მალე ცხენმა ოც ნახევარზე საბიჯელას კიდე დაინა-  
 ხა, აქეთ-იქიდან ბუნი და სემი რომ ამოდგომოდნენ, ხოდა, დაინახა თუ  
 არა, შედგა. ტკაცო, დაიძახა ნედმა, მე ენა გავატკაცუნე. კარგა მაგრა;  
 ცხენი შეხტა, ნედი საბიჯელასკენ მიიწევდა, ახლა უფრო ჩქარა. — ამჯე-  
 რად რომ გეტყვი, ტკაცო, ისევ გაატკაცუნე, იმავე წამს წკნელი ოდნავ შე-  
 ახე, ნუ კი დაჰკრავ, კუდის სიახლოვეს შეახე. — ნედმა უკვე ჩაუარა ბუნ-  
 სა და სემს, საბიჯელაზე დადგა. ცხენი საფიქრალს მისცემოდა: ფეხი არ  
 მოეცვალა ადგილიდან თუ გვერდზე გამხტარიყო (არჩევანი უნდა გაეკე-  
 თებინა. ბუნს დასჯახებოდა თუ სემს), ან უბრალოდ ყველას ზედ გადავ-  
 ლებოდა და გაჭენებულიყო. ცხადლივ ჩანდა, დიდი გასაჭირი დადგომოდა  
 და ნედსაც სწორედ ამისი იმედი ჰქონდა: შიშატანილი, აფორიაქებული  
 მისი ტვინი ერთ აზრს თუ მოერეოდა, მეორის გაელვებისას დომხალივით  
 აელუფხებოდა ყველაფერი თავში. ტკაცო, დაიძახა ნედმა. მეც გა-  
 ვატკაცუნე და წკნელიც შევახე, ნედმა რომ მითხრა, ისე. ცხენი საბიჯე-  
 ლაზე შევარდა წინა ფეხებით, უკანა ფეხი ბუნის მხარეს დაუსხლტა და  
 ვიდრე ნედი დაიყვირებდა, ბუნმა დაასწრო, ორივე ხელი სტაცა ფეხში და  
 უკანვე, საბიჯელაზე შეუგდო, თან მთელი სიმძიმით მიაწვა; ცხენი გაი-  
 რინდა. საბიჯელაზე ოთხივე ფეხით მდგომარეს კანკალი მორეოდა.  
 ნედმა დაიძახა: — ახლა კი წკნელი მყესების გასწვრივ მიაბჯინე, იცოდეს,  
 ვილაც უდგას უკან და ველარ გადმოვარდება.

— ხოდა, უკან აღარ დავახევივინებთ, ამისი თქმა გინდა, — თქვა სემ-  
 მა, — ჩვენ ახლა უფრო ძალაყინი გვჭირდება. ნადი და მოიტანე, ჩარლი.

— მართალი ხარ, — მიუგო ნედმა, — ძალაყინი დაგვჭირდება, მაგ-  
 რამ ამ წუთას წკნელიც საკმარისი იქნება, შენ ჯერ პატარა ხარ, — მი-  
 თხრა, — სჯობს ბუნსა და ვაგონის კაცს მისცე. მყესებზე მიაჭირეთ,  
 თითქოს მისაყრდენი იყოს, ისე. — ასეც ქნეს. წკნელს ბოლოებში ხელი  
 ჩასჭიდეს და მიაბჯინეს. — ახლა კი წინ უბიძგეთ. როცა გეტყვი, ტკაცო,  
 უფრო მაგრად გაატკაცუნე, ასე ეგონოს, ძლიერ დამკრავენო. — მაგრამ  
 სულაც აღარ დასჭირდა გატკაცუნება. ნედმა ასე უთხრა ცხენს: — მიდი,  
 ვაჟო, პასენს გავწიოთ! — ბედაურმა წინ გადააბიჯა, წკნელით აწვებოდ-  
 ნენ ბუნი და სემი. და ჰა, ისიც წინა ფეხებით მკვიდრ ბაქანზე შედგა. კი-  
 დევ ერთი გაბრძოლება და საბიჯელას ყურისწამლები გაჭრიალების შემ-



დეგ ხათქახუთქი მოილო ბაქანმა, თითქოსდა ფიცრის ხიდს დაჰკრაო ცხენმა ფლოქვები.

— ნკნელითა და ტკაცუნით ვერაფერს ვერ გავხდებით, ვაგონში ვერ შევიყვანთ, — თქვა სემმა.

— ძალაყინით შევაგდებთ, — განაცხადა ნედმა, — ჯერ კიდევ არ მოგიტანიათ? — ძალაყინი უკვე აქ იყო. — აბა ერთი მოხტენის ჩემს მის ქანდარა.

— დაიცა, — თქვა სემმა, — ეგ რისთვის?

— ვაგონში მაგით თუ შევიყვანთ, — თქვა ნედმა. — უკვე შეჩვეულია. გაიარა და იცის, მეორე ბოლოში არა დაუშავედება რა.

— მაგრამ ვაგონის შიგნით რა არის, არ იცის, ჯერ შეუჩვეველია მის სუნს, — მიუგო სემმა, — ამის შიში მაქვს. — ნედის აზრი ჭკუაში დაგვიჯდა, თანაც ამდენი დავიდარაბის მერე ვერც გავჩერდებოდით. თუნდაც ნედს ეთქვა, საწყობის კედელი გაანგრეთ, ცხენი კუთხე-კუთხე რომ არ შემოვატაროთო. ხოდა, ბუნმა და იმ რკინიგზელმა ის საბიჯელა ბაქანს მოაცილეს.

— ეშმაკმა წაიღოს, — თქვა სემმა, — ცოტა ჩუმად არ შეიძლება?

— აბა, თქვენ აქ რატომ ხართ? — თქვა ბუნმა, — ტყუილად ხომ არ დაგიბნევიათ ეგ სპილენძის ღილები, რად გინდათ, თუ აქ არ გამოგადგათ. — ამ საქმემ ყველანი მოგვიხმო, მისს კორიც; საბიჯელა ბაქანზე ამოვართრეთ და ვაგონის შავბნელი ხახისკენ ხიდივით გავდეთ. მერე ნედმა ცხენი წამოიყვანა და, რაც ანუხებდა, მაშინ მივხვდით. ბედაურისთვის სრულიად უცნობი იყო ცარიელი ვაგონის სუნი. მაგრამ ჩვენგან, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით, შიგნით ყველაფერს ხედავდა; მახსოვს, ასე გავიფიქრე, ეს საბიჯელა რომ მოვგლიჯეთ, გათენებამდეც ვერ შევძლებთ ამის ბაქნიდან ჩამოშვებას-მეთქი. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. უფრო სწორად, ვერც მივხვდი, რა მოხდა, ვერც ვერავინ მიხვდა. ნედი ცხენს წინ გაუძღვა. ენა გაუჩერებლივ ნელა ეწეოდა ალვირზე და ან უკვე ხიდად გადაქცეულ საბიჯელაზე შეაყენა, მაშინ კი აღარც ვიცო, რა გავიფიქრე. სულ რამდენიმე წამის წინ დარწმუნებული ვიყავი, მემფისის მთელი მოსახლეობა არ იკმარებდა იმ ცხენის შავად მზირალ ხახაში შესათრევად; მეორე წამს კი ვიფიქრე, ვაითუ ვაგონის კართან მისული დაფეთდეს და ისევე ისკუპოს, როგორც მაშინ, საბიჯელაზე-მეთქი; მაგრამ ცხენმა ფეხი ასწია და ისევ ბაქანზე დადგა, მერე ისა და ნედი, ცოცხალ სურათებში რომ მინახავს. ისე მიაჩერდნენ ერთმანეთს. ნედმა სული მოითქვა, — აბა, სუყველანი უკანა კედელთან მიდექით, — გვითხრა. ჩვენ მივდექით. რა უნდოდა, არ ვიცოდი. მხოლოდ ვხედავდი, ერთ ხელში სადავე მოემარჯვებინა. მეორე ცხენს დრუნჩზე მოუთათუნა. მერე უკან დაიხია და ვაგონში გაუჩინარდა. დაიჭიმა სადავე და შიგნიდან მისი ხმა გავიგონეთ: — შემოდი, ვაჟო, აჰა, აილე.

დასწყევლოს ღმერთმა, ჩაილაპარაკა სემმა; რადგანაც უცებ გასრულდა ყველაფერი. მცირეოდნავ გაიტკაცუნა გადებულმა ხიდმა, გამოქვაბულისებრ სიბნელეში ფლოქვებმა გაიგრუხუნა და მორჩა. ფარანი შევიტანეთ, ცივად გამოანათა ცხენის თვალმა და გაქრა; ნედთან ერთად იდგა კუთხეში.

— ნელან რომ ამბობდით, ის ფიცრები და ლურსმნები სად არის? —



ჰკითხა ნედმა სემს. — შემოიტანეთ ის ქანდარა, ხოდა, კედელიც მზად იქნება.

— ჯანდაბას, — დასძინა სემმა, — იქნებ გავჩერდეთ.

— ხვალ დილით ხალხი რომ მოვა აქ და აღარ დახვდებათ ამხელა სატვირთო ვაგონი, — ნედმა თქვა, — ქანდარა ვისდა გაახსენდება.

ხოდა, ჩვენ ყველამ, გარდა ნედისა, ის კიბე-საბიჯელა ვაგონში შევათრიეთ, მისს კორიც მოგვეხმარა. და სანამ ბუნი, სემი და ის რკინიგზელი (სემს უკვე გამზადებული ჰქონდა ფიცრებიცა და ლურსმნებიც) ცხენს ბაგას დაუდგამდნენ ვაგონის კუთხეში, კიბისთვის ხელი არ გაგვიშვია. ნედმა პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ სემმა მოიტანა ვედრო წყალი, გეჯით ქერი და ერთი შეკვრა თივაც მოაყოლა. ჩვენ ყველანი მოშორებით ვიდექით. გვესმოდა, რა მშვიდად ახრამუნებდა ცხენი თივას თავი ამ წუთას პასემს ჰგონიაო, ნედმა თქვა.

— ყველას ერთი სული გაქვთ, ზეგ დილით პირველმა გადაკვეთოს ფინიში, — თქვა სემმა. — ახლა რა დროა? — მერე ასე ჩაილაპარაკა, — შუალამეა ზუსტად. ცოტა უნდა წავიძინოთ, სანამ მატარებელი გავიდოდეს ოთხ საათზე, — მერე ბუნს მიუბრუნდა: — შენ და ნედი ცხენთან დარჩენას მოისურვებთ. ამიტომაც მოვიტანე უფრო მეტი თივა. შეგიძლიათ დაწვეთ და დაიძინოთ. მე კი კორისა და ბიჭებს სახლში წავიყვან და მერე სუყველანი აქ შევხვდებით ერთმანეთს საათის...

— კარგი ერთი, — თქვა ბუნმა, მაგრამ უხეშად კი არა, უფრო პირქუშად. — შენი ნებაა, თუ გინდა ოთხ საათზე მოდი, თუკი არ დაგეძინება. იქნებ შევხვდეთ კიდევ ერთმანეთს. მერე კორის მიუბრუნდა: — აბა, წავიდეთ.

— ხოდა, შენ გინდა პატრონის ავტომობილთან, უფრო სწორად, პატრონის ცხენთან, ამ ცხენთან, ვისიც უნდა იყოს, სულ ერთია, მხოლოდ ეს ზანგი დატოვო? — თქვა სემმა.

— მერედა რა, — მიუგო ბუნმა, — ამ ცხენზე უკვე რკინიგზა ზრუნავს. ბარგის ქვითარი მაქვს და ვინ რას მეტყვის. იქნებ სულაც ქალებსა და ბიჭბუჭებზე შთაბეჭდილების მოსახდენად გაქვს ნათხოვარი რკინიგზელის ფორმა თუ კაცი ხარ, ამ ქვითრით შენს უფროსებზე მოახდინე შთაბეჭდილება, იქნებ დაეიდარაბას გადავრჩეთ.

— ბუნ! — თქვა მისს კორიმ, — სახლში არავის წაყოლა არ მინდა! წამოდი, ლუციუს, და შენც, ოტის!

— კარგი, კარგი, — თქვა სემმა, — უნდა გვახსოვდეს, ბუნი ხუთი თუ ექვსი თვე მონასავით შრომობდა ბამბის მინდორში თუ სადღაც სხვაგან და ახლა წამდვილად ეკუთვნის ერთი ღამის გათევა კატალპა-სტრიტზე. სუყველანი წადით. მატარებელთან გნახავთ.

— მადლობა მაინც გადაუხადე, — მისს კორიმ უთხრა ბუნს.

— კი ბატონო, — მიუგო ბუნმა, — მაგრამ ვის? ცხენს?

— თუნდაც ნედს, — თქვა სემმა. მერე ნედს მიუბრუნდა, — გინდა აქ დავრჩე შენთან ერთად?

— არა, ჩვენ ორნიც კარგად ვიქნებით, — უთხრა ნედმა, — თუ თქვენც წახვალთ. შეიძლება ცოტა წავიძინოთ კიდევ, ერთსა ვნანობ, დროზე არ გამახსენდა...



— მე გამახსენდა, — თქვა სემმა, — სად არის ის კალათა, ჩარლი? —  
 ხოდა, იმ რკინიგზელმა, მეისრე იყო თუ რაც იყო, კალათა გამოიტანა  
 იმავე კუთხიდან, სადაც ის ფიცრები, ლურსმნები და ქერი უყარა. კა-  
 ლათაში იყო კარგა დიდი პური და შაშხი, ერთი ბოთლი წყალი და ნახევარ  
 ლიტრზე მეტი ვისკი. — აი, ჩემო ბატონო. საუზმეზეც გეყოფხვალა.

— ვხედავ, — ნედმა თქვა, — შენ რა გქვია, თეთრო გაცრედილი?

— სემ კოლდუელი, — მიუგო სემმა.

— სემ კოლდუელი, — თქვა ნედმა, — ახლა გამკრა თავში, სემ კოლ-  
 დუელი ჩინებული სახელია. ცხენის ბიზნესს სწორედაც მოუხდება. კიდევ  
 ცოტაც და იმას ვისურვებ, რომ მე და შენ ხშირად ვიყოთ ერთად. დიდი  
 მადლობა.

— რისი მადლობა, — მიუგო სემმა. ხოდა, ჩვენ ღამე მშვიდობისა  
 ვუსურვეთ სემს, ნედსა და ჩარლის (ყველამ. გარდა ბუნისა და ოტისისა).  
 და მისს რებასთან წამოვედით. ქუჩები იყო ჩუმი და დაცარიელებული.  
 მთელი მემფისი კვირის ბოლოს დაღლილ-დაქანცულიყო, ცოტა მაინც  
 უნდა დაესვენა, დაეძინა და ისე შეეშროდა ორშაბათ დილას. წყნარად, ხმის  
 ამოუღებლად მივდიოდით ერთი ფარნიდან მეორემდე, ზემოდან შუქგამ-  
 ქრალი სარკმლები ჩამოგვეყურებდა. თავს წამოგვედგომოდა ჩაბნელებუ-  
 ლი კედლები; მაგრამ სადღაც მკრთალი შუქი გაკრთა ფანჯარაში და  
 არცთუ დიდი ხნის წინ შეძენილმა გამოცდილებამ მამცნო, მისს რებას  
 სახლის მეტოქე დაწესებულება უნდა ყოფილიყო. მერე მისს რებას სარ-  
 კმლის ფარდაშიც გაიღვა სუსტმა სინათლემ იმის მაცნედ და მაუწყებ-  
 ლად, რომ გაიღია ბობოქარი კვირა. შეიძლება მინიც დასაძინებლად იყო  
 წააული. ან შინ, ან. არ ვიცო, სადმე სხვაგან, სადაც მოსასვენებლად მი-  
 დიოდა ხოლმე მას შემდეგ. რაც მისს რებასთან ერთად საღამოს ჰიმნს  
 უმღერებდა თავის ხელობას. იქნება ამიტომაც თავად მისს რებამ  
 გაგვიღო სადარბაზო კარი, თან ჯინის მძაფრი სუნი შემოგვაფრქვია.  
 თავადაც ჯინივით იყო, გოროზი და ლამაზი. სხვა კაბა ჩაეცვა, ძალზე  
 გულამოჭრილი. იმხანად სახეს არ იღებავდნენ მანდილოსნები, ხოდა,  
 ახლა პირველად ვხედავდი შელებილ სახეს. ბრილიანტებიც უფრო მეტი  
 ჰქონდა ასხმული, ისეთივე დიდრონი და მოყვითალო, როგორც ის ორი,  
 არა, ორი კი არა, ხუთი ბრილიანტი, აქ ჩამოსვლისთანავე რომ ვნახე.  
 თუმცა მინისაც არ ეძინა. მისს რებას ოთახის კართან დამდგარიყო დაღ-  
 ლილ-დაქანცული.

— როგორაა საქმე? — იკითხა მისს რებამ და კარი დაკეტა.

— კარგად. — მიუგო მისს კორიმ. — რატომ არ გძინავთ? მინი, შენი  
 ბრალია. იცოდე. წაიყვანე და დააწვინე.

— ერთი საათის წინ უნდა გეთქვა, — უთხრა მინიმ. — კარგი იქნება,  
 ორი საათის მერეც არ მოგიხდეს იგივეს თქმა. შენ მაშინ, ორი წლის წი-  
 ნათ, აქ არ იყავი, თორემ ამას არ მეტყოდი.

— წავიდეთ, დავიძინოთ, — თქვა მისს კორიმ, — ოთხშაბათს პასე-  
 შიდან რომ დავბრუნდებით...

— ღმერთმა დასწყევლოს. პარშემიდან-მეთქი, — მიამახა მისს რებამ.

— კარგი, — უთხრა მის კორიმ, — ... ოთხშაბათს პარშემიდან რომ  
 დავბრუნდებით, მინი გაიგებს, სად არის ის კაცი, და მოვნახავთ.

— კი ბატონო, — თქვა მისს რებამ, — და თუ ჭკუაც მეყო, იმავე



თხრილში უნდა ჩავფლა თავის წერაქვ-ნიჩბიანად. დალევა ხომ არ გინდა? — შკითხა ბუნს. — არ ვიცი, მინის ქრისტელმერთის ეშინია თუ რესპუბლიკელი გახდა, წვეთს აღარ სვამს.

— ვილაც ხომ უნდა იყოს აქ ფხიზელი, — მიუგო მინიმ, — ამისთვის რესპუბლიკელობა სულაც არ არის საჭირო. ესღაა საჭირო, დალლილ-დაქანცულს ძვალ-რბილი ძირს ჩამოგდიოდეს, რომ დაგეძინოს.

— ყველამ უნად დავიძინოთ. — თქვა მისს კორიმ, — მატარებელი ოთხზე გადის, ახლა კი უკვე ორი დაიწყო. წავიდეთ.

— წადით. დაიძინეთ, — მისს რებამ თქვა, — რად არ მიდიხართ? — ყველანი კიბეზე ავედით. მერე ოტისი და მე უფრო მაღლა ავეყვევით, იმან იცოდა სხვენის გზა. სხვენზე სხვა არაფერი იყო, გარდა სკივრების, ყუთებისა და სანოლების სანაცვლოდ ზედ იატაკზე დაგებულ ლეიბებისა. ლამის პერანგი შექონდა ოტისს (პერანგს ჯერაც ემჩნეოდა იმდროინდელი ნაკეცები, როცა მალაზიის თაროზე იდო საგულდაგულოდ დაკეცილი და მისს კორიმ იყიდა). მაგრამ მანაც ჩემსავე მხოლოდ შარვალი და ფეხსაცმელი გაიხადა, შუქი ჩააქრო და დაწვა. სხვენის ერთადერთ სარკმელში მთვარე იჭვრიტებოდა და ირგვლივ ყველაფერს ვხედავდი, თვით ოტისის გამომეტყველებასაც; არა, ნამდვილად რაღაც სჭირდა ამ ბიჭს. დალლილ-დაქანცული ვიყავი და აქ რომ ამოვდიოდი. ასე მეგონა, ზეზეულად დამეძინება-მეთქი. მაგრამ ვგრძნობდი, ჩემ გვერდით რომ თვალებ-დაჭყეტილი იწვა. თითქოს ცხოვრებაში არც არასდროს დაუძინია და არც კი იცოდა, ძილი რა იყო. და უკვებ თითქოს მეც რაღაც დამემართა, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, სახელდობრ რა, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ რაღაც დამემართა, რასაც სულ მალე გავიგებდი და იმ წუთსავე ზიზღი ამიტანდა. ანაზდად ფიქრმა გამიელვა თავში, მემფისში რამ ჩამომიყვანა-მეთქი, სახლში მინდოდა. ოტისმა კვლავ თქვა, ბიჭოს, რა მაგარიას!

— ფარაზე გეუბნები, აქ რომ ტრიალებს, — ასე მითხრა, — მთელ შაერში მაგის სუნი დგას. განა სამართალია, რომ მხოლოდ ქალებს შეუძლიათ ამ თიხასამტლაშუნოზე ფულის გაკეთება, კაცებს კი ისღა დარჩენიათ. პირი დაალონ და უყურონ, ცხვირწინ როდის აუფრიალდებათ, შეიძლება ცოტაოდენს მაშინ გამოჰკრან ხელი... — და ისევ ის სიტყვა წარმოთქვა, ორჯერ რომ ვკითხე, რა არის-მეთქი. მაგრამ ახლა აღარაფერი მიკითხავს, არ მინდოდა. გაჭიმული და დაძაბული ვინექი, ჩემსა და ოტისის ფეხებზე ირიბად ეცემოდა მთვარის შუქით ნახაზი სარკმლის ჩარჩოს ჩრდილი. ვცდილობდი, ყური არ დამეგდო მისთვის, მაგრამ ძალაუნებურად მაინც ყურს ვუგდებდი. — იმ ოთახთაგან ერთ-ერთი სწორედ ჩვენ ქვეშაა; შაბათობით საქმეს რა გამოუღევთ, ხოდა, იქიდან ხმები ამოდის, თუმცა რად გინდა, ბურღიც რომ ვიშოვო და იატაკი ჩავხვრიტო საჭვრეტლად, ის ზანგის გოგო და მისს რება არ დამანებებენ აქ ვინმეს ამოყვანას და ფულის გაკეთებას. თუკი მაინც მოვახერხებ რამეს, მაშინვე წამართმევენ, სწორედ ისე, როგორც იმ ნაბიჭვარმა წამართვა დღეს პიპანოლაზე ნაშოვნის ფული. მაგრამ აი იმ სახლში რომ ვყოფილიყავი, დეიდა ფიტისას, როდესაც იქ ბი მუშაობდა... — უცებ შეჩერდა, ერთხანს ხმა აღარ ამოუღია, მერე ისევ დასძინა, ბიჭოსო!



— ბი? — ჩავეკითხე მე. მაგრამ დავაგვიანე, თუმცა კი არ დავაგვიანე, თავადაც მივხვდი.

— რამდენი წლისა ხარ? — მკითხა მან.

— თერთმეტისა.

— ჩემზე ერთი წლითა ხარ უფროსი, — ასე მითხრა მან. — რომ აქ არ რჩები, ხვალ მიდიხარ, ერთი კვირაც რომ ყოფილიყავი. კი მოვახერხებდით იატაკის გახვრეტას.

რისთვის-მეთქი? ვკითხე. შენც ხედავ, შეიძლებოდა სულაც არ მეკითხა, იმიტომ, რომ ერთი რამ მინდოდა მხოლოდ, სახლში დაბრუნება, დედასთან ყოფნა. იმიტომ, რომ ადამიანი მზად უნდა იყოს გამოცდილების, ცოდნის მისაღებად, ვინმე ვიგინდარამ, გარუნარმა სიბნელეში თავში კეტე რომ არ დაჰკრას მოულოდნელად. ნუ დაგაფიქრებდა, მხოლოდ თერთმეტისა ვიყავი. ამქვეყნად ბევრია ისეთი გარემოება თუ ვითარება, რომელიც არ უნდა იყოს, მაგრამ არის და ამას ვერსად წაუხვალ, ვერსად გაექცევი, თუნდაც საშუალება გქონდეს არჩევანისა, მაინც არ ისურვებდი მათგან გაქცევას, რადგანაც ეს ყოველივე ნაწილია ცხოვრების მდინარეებისა, რადგან შენ ცოცხალი ხარ და თანაზიარი ამ ცხოვრებისა, მაგრამ ყოველივე ნაზად. მიუმძლავრებლად უნდა მოგეახლოს, მე კი ამ ცოცხალ ხანში ძალზე ბევრი რამ ვნახე, ბევრ რამესაც სხვათა დაუხმარებლად მივხვდი და არ ვიცოდი, სად წამელო ეს ცოდნა. რადგან ჩემს სულში ჯერ არ არსებობდა ისეთი საცავი, სადაც ყველაფერს უმტკივნეულოდ, გულმშვიდად შევიინახავდი. იგი პირაღმა იწვა ჩემსავით, გაუნძრევლად, თვალეზღაჭყეტილი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მითვალთვალებდა.

— დიდად განათლებული არ უნდა იყო, ხომ? — მითხრა. — რაო, რაო მქვი? საიდან ვარო?

— მისისიპიდან, — მე მივუგე.

— ტ... — ასე თქვა. — სულაც არ არის გასაკვირი, შენ რა უნდა იცოდე.

— კარგი. — ვუთხარი მე. — ბი მისს კორია.

— მეც ვარ რა, ფულს ვკარგავ, — თქვა. — მაგრამ იქნებ ორივემ აქედან ხეირიც ვნახოთ. აბა, ერთი ყური დამიგდე. ევერბი კორინთიაა ამ ქალის სახელი. ბებია მისსაც ასე ეძახდნენ. სწორედაც ვერ იმუშავებ ასეთი სახელით, თუნდაც კიბლიტში, მაგრამ იქ უკვე ყველამ იცოდა და კიდევაც შეეჩვივნენ, სხვანი კი ისე ჩქარობდნენ. იმის დარდი აღარ მქონდათ, გინდა უსახელო ყოფილიყო სულაც. მაგრამ აქ შემფისია, ასეთ სახლში კი, ვიცი, ყოველი შემფისელი გოგო გულით ცდილობს მოხვედრას, ოღონდ კი ადგილი განთავისუფლდეს, ხოდა, დედა რომ მოუკვდა, დეიდა ფიტიმ წაიყვანა და, წამოიზარდა თუ არა, ეს საქმიანობა დაწყებინა. მაგრამ იქ, კიბლიტში, სახელი რა ხელს შეუშლიდა. მერე კი გაიგო, შემფისში უფრო მეტი ფულს იშოვნოდა და აქ ჩამოვიდა, სადაც არც არავინ იცოდა მისი წამდვილი სახელი. ხოდა, კორი დაირქვა. როცა კი ჩამოვდივარ, გასულ ზაფხულსაც ასე იყო და ახლაც ასეა. ხუთ ცენტს მაძლევს დღეში, ოღონდ უნას კბილი დავაჭირო. გესმის? მე კი შენთან დავფქვი ყველაფერი. კი აჯობებდა მასთან მივსულიყავი და მეთქვა. დღეში ხუთ ცენტად ვცდილობ არაფერი წამომცდეს, მაგრამ დღეში ათ ცენტად ორჯერ უფრო მე-



ტად ვეცდებოდით-მეთქი. მაგრამ არა უშავს, ხვალ ვეტიყვი, რომ, რაც მე ვიცი. უკვე შენც იცი, და იქნებ ჩვენ ორივემ...

— ის დეიდა ფიტი ვინლაა? — ვკითხე.

— აბა, რა ვიცი, — თქვა, — იმას ყველა დეიდა ფიტის ეძახდა. შეიძლება კი იყო რაღაც ამ გოგოსი. ვერ გეტყვი. ცხოვრებდა ფაფხისთვის ქალაქის განაპირას, ვიდრე ბის წაიყვანდა დედამისის მსოფლიოს მერე, და როგორც კი წამოიზარდა, დიდხანს ლოდინი არც დასჭირვებია, რადგანაც ბი ისედაც დიდი გოგო იყო მაშინაც კი. სანამ ათის, თერთმეტის, თორმეტისა თუ. რა ვიცი, კიდევ რამდენის გახდებოდა და დაიწყებდა...

— დაიწყებდა, რას? — ვკითხე მე. გესმის? უნდა მეკითხა, შორს შევტოპე და ველარ გავჩერდებოდი. სწორედ ისევე. როგორც წინა დღეს ჯეფერსონში. მაგრამ წინა დღეს იყო თუ გასულ წელს, ან სხვა დროსა და წამს. სხვა სიცოცხლეში? ან იქნებ სხვა ლუციუს პრისტი იყო ამ ამბების მონაწილე? — ის თიხასამტლაშუნო რაღაა?

რაღაც ზიზღნარევი. უნდო, მაგრამ ამავე დროს მოკრძალებული, თითქმის მოწინებული გაოცებითაც კი მითხრა:

— სახლის უკანა კედელში, სადაც ფიცრიდან როკი იყო ამოვარდნილი, საჭვრეტელი გავაკეთე და ზედ თუნუქის ნაჭერი ავაფარე, რომლის განევ-გამონევაც მხოლოდ მე შემეძლო; დეიდა ფიტი კი სახლის წინ ყარაულად იდგა და ფულს იღებდა. შენი სიმაღლის ბიჭები ყუთზე დგებოდნენ და ხუთ ცენტს მიხდიდნენ. ვიდრე დეიდა ფიტიმ არ გამომიჭირა, როდესაც დიდების მოყვანა დავიწყე ათ ცენტად, შიგნით შესვლაში კი ორნოცდაათი ცენტი უნდა გადაეხადათ. ხოდა, კინალამ თვალები არ გამომკანრა.

წამოვდექი და დავარტყი, მისდა გასაოცრად (და ჩემდა გასაოცრადაც). თუმცა რომ დამერტყა, დავიხარე. ხელი ვტაცე და ფეხზე წამოვაგდე. ბოქსისა არა გამეგებოდა რა, არც ჩხუბისა, მაგრამ ცხადლივ ვიცოდი, რაც მინდოდა: ცხვირ-პირის დანაყვა არ იკმარებდა. უნდა მომესპო, გამენადგურებინა. წამით სინდისის ქენჯნამ შემანუხა (საიდან გამოტყვრა საასპარეზოდ გასულ ძველ იტონელთა ეს სულისკვეთება?) ჩემი სიმაღლისა რად არ არის-მეთქი, მაგრამ ეს მხოლოდ წამით იყო; მე ვჩეჩქვავდი, ვბეგვავდი. წიხლს ვურტყამდი არა მხოლოდ უმნიფარ ათი წლის ბიჭს, არამედ ოტისსა და მაჭანკალს ერთად. ვურტყამდი ამ ეშმაკის ნაშიერს, ვისაც ქალის საიდუმლო შეებლალა, და კუდიან დედაბერსაც, ვისაც მისი უმანკოება გაეთელა, ანუ ერთ სისხლად და ხორცად ქცეულ ორ არსებას. ვინც გველივით უნდა გასრისო; საერთო გორგალს ძარღვებისას, რომელიც უნდა აბურდო და დაგლიჯო; უფრო მეტიც, გამეტებით ვურტყამდი არა მარტო ამ ორს, არამედ ყველას, ვინც წილნაყარი იყო ქალის შებილწვაში; მხოლოდ მაჭანკლებს არ ვუსწორდებოდი, სადაგილ გულქვა მოზარდებსაც და პირუტყვებად ქცეულ, ნამუსდაკარგულ მამაკაცებსაც. რომლებიც ორიოდ ცენტის ფასად სიამოვნებით უთვალთვალდებდნენ უსუსურთა დამცირებას, და არც არავინ იყო გულშემატკივარი, მოსარჩლი, შურისმაძიებელი. ოტისი ლეიბზე დაენარცხა, მაგრამ მაშინვე წამოიწია, მუხლებზე დადგა და იქვე დაგდებულ შარვალს მისწვდა. ვერ მივხვდი, რა უნდოდა (თუმცა ჩემთვის სულ ერთი იყო ყველაფერი); ვერც მაშინ მივხვდი, როცა ხელი ზეაღმართა, მოიქნია. ცოტა



ხნის მერე დაინახე მის მუჭში ჯაყვა, მაგრამ არც ამჯერად ავლელ-  
 ვებულვარ; თითქოს ამან სიმაღლეში გაგვათანაბრა კიდეც და carte blan-  
 lice\* მომცა. დანა გამოვტაცე, როგორ, არც კი ვიცი. ხელი გავიჭერი, მაგ-  
 რამ არაფერი მიგრძვნია, და როცა დანა მოვისროლე და ისევ გავარტყი,  
 სისხლი დაინახე მის სახეზე და მისი მეგონა.

მერე ბუნმა იატაკს ამაგლიჯა, ვტიროდი და მისი ხელიდან ედასხლ-  
 ტომას ვცდილობდი. ფეხშიშველი იყო, შარვალიღა ეცვა. მისს კორიც  
 მოსულიყო, კიმონომოსხმული, წელქვემოთ სცემდა ჩამოშლილი თმა.  
 ოტისი კედელს მიკვროდა, არ ტიროდა, სამაგიეროდ ნედს რომ აგინა,  
 მეც ისე მაგინებდა ახლა.

— რა ჯანდაბა დაგემართა! — თქვა ბუნმა.

— ხელი გაუჭრია, — მისს კორიმ თქვა და გაჩუმდა, მერე ოტისს  
 გახედა. — ჩემს ოთახში შედი, — უთხრა. — გასწი, — ისიც გავიდა.  
 ბუნმა ლეიბზე დამაწვინა. — მანახე, — მისს კორიმ მითხრა. ახლალა  
 მივხვდი, საიდანაც გაჩნდა სისხლი — თითების ძირში მთელი ხელისგუ-  
 ლი დანას გაესერა; ხელი ვტაცე, როგორც ჩანს. მაგრამ ოტისმა აღარ  
 დაშანება, გასწია. სისხლი ისევ მდიოდა, უფრო სწორად, მაშინ წამომი-  
 ვიდა, როცა მისს კორიმ თითები გამაშლევინა.

— რა გაჩხუბებთ? — თქვა ბუნმა.

— არც არაფერი, — მე მივუგე და ხელი გავწიე.

— არ გახსნა, სანამ არ დავბრუნდები. — მითხრა მისს კორიმ და  
 გავიდა. მალე დაბრუნდა, ტაშკით წყალი, პირსახოცი, ბოთლი და კიდეც  
 რაღაც შემოიტანა, მამაკაცის პერანგის ნაგლეჯი უნდა ყოფილიყო. სის-  
 ხლი მომბანა და ბოთლი გახსნა. გეტკინებო, ასე თქვა და არც შემცდა-  
 რა, მერე პერანგს მოგრძო ნაჭერი მოახია და ხელი შემიხვია.

— რად იჩხუბეს, მაინც არ ამბობს, — თქვა ბუნმა, — კი მაქვს იმე-  
 დი, ის დაიწყებდა და არა შენ; ორჯერ უფრო დაბალია შენზე, თუმცა ერ-  
 თი წლით უფროსი კია და რა გასაკვირია, რომ დანა დააძრო...

— ჩემზე პატარაა, — მივუგე მე, — ათისაა.

— თორმეტის ვარო, ასე აქვს ნათქვამი. — მითხრა ბუნმა, მაშინ კი  
 მივხვდი, რად ბადებდა უსიამოვნო გრძნობას მნახველში.

— თორმეტისო?! — თქვა მისს კორიმ, — თხუთმეტისა განდება ამ  
 ორშაბათს. — შემომხედა, — გინდა რომ...

— აქ არ შემოვიდეს, — მე ვუთხარი, — დაღლილი ვარ და მეძინება.

— ოტისის დარდი ნუ გაქვს. — თქვა, — ხვალ დილას სახლში  
 გავისტუმრებ. ცხრა საათზე გადის მატარებელი. მინის გავაყოლებ სად-  
 გურში, ვეტყვი, ჩასვას და თვალი არ მოაცილოს, ვიდრე არ დაიძვრება.

— სწორია, — დაუდასტურა ბუნმა, — თუ უნდა, თან ჩემი ჩანთა  
 წაიღოს შიგ ზრდილობისა და მოკრძალების ჩალაგება არ დაავიწყდეს,  
 შენ ხომ აქ, მემფისში...

— გაჩუმდი, — უთხრა მისს კორიმ.

— ...ზრდილობისა და მოკრძალების სასწავლებლად ჩამოიყვანე, შე-  
 იძლება ისწავლა კიდეც; თორემ, ვინ იცის, რამდენი წელი უნდა ეწან-

\* საშუალება თავისუფალ მოქმედებისა (ფრანგ.).



ნალა არკანზასის საროსკიპოებში და ვერც შესაფერისი სიმაღლისას გადაყროდა ვინმეს, რომ დანა გაეყარა...

— გაჩუმდი, გაჩუმდი! — უთხრა მისს კორიმ.

— კარგი, კარგი. — თქვა ბუნმა, — მაგრამ ლუციუსმა ბოდიშს ხომ მაინც უნდა გაიგოს, სადაც იყო, იმ ადგილს რა ჰქვია, რომ მერე დაიტრაბახოს... — შუქი ჩააქრეს და გავიდნენ, მე ასე მეგონა, რომ გავიდნენ, მაგრამ შუქი რომ აინთო, ბუნი ისევ ოთახში იყო.

— იქნებ მითხრა, რა მოხდა?

— არაფერიც არ მომხდარა, — მივუგე მე. თავს წამომდგომოდა ეს გოლიათი კაცი, წელამდე ტიტველი, ხელი სინათლის ჩამრთველზე ედო ისევ.

— თერთმეტი წლისა უკვე დანით დაჭრეს ჩხუბში, თანაც სად, საროსკიპოში. — თავზე დამყურებდა, თვალს არ მაცილებდა. — ნეტავი ოცდაათი წლის წინათ შენ მყოლოდი ჭკუის დამრიგებლად თერთმეტი წლის ბიჭს, ბრძენკაცი ვიქნებოდი ახლა სწორედ. ღამე მშვიდობისა.

ღამე მშვიდობისა-მეთქი, მე ვუთხარი. შუქი ჩააქრო. ერთხანს მეძინა; ამჯერად მისს კორი შემოსულიყო, ჩემს ლეიბთან იყო დაჩოქილი, სახეზე ჩრდილი ადგა. ხოლო მის თმას მთვარის მკრთალი შუქი მოვლებოდა. ტიროდა, ამსიდიდე გოგოს ტირილი არ მოუხდებოდა, მხოლოდ უხმოდ ქვითინებდა.

— ყველაფერი ვათქმევინე, — ჩაილაპარაკა, — ვიცი, ჩემი გულისტვის იჩხუბე. ადრეც უჩხუბიათ მთვრალ კაცებს ჩემი გულისტვის, მაგრამ შენ პირველი ხარ, რომელმაც დამიცავი. ისე კი, სულაც არა ვარ ამას შეჩვეული. იცოდე. ხოდა, რა ვქნა, არ ვიცი. მაგრამ ამას კი შევძლებ: პირობას მოგცემ, არკანზასში დამნაშავე მე ვიყავი. მორჩა, გათავდა, მეტს აღარ შევცოდავ.

ხედავ, ზოგჯერ ბევრს გაიგებ სულ ცოტა ხანში. სიბნელეში გადაეშვები თავით, მაგრამ იმედი გაქვს, რაღაც თუ ვიღაც სწორი გზიდან არ გადაგახვევინებს. ასე რომ, სიღარიბე და უკეთურობა არ არიან მხოლოდ თავიანთ ერთგულთა მწე და მშველელი.

— თქვენ მაშინ უდანაშაულო იყავით, — მე მივუგე.

— არა, დამნაშავე ვიყავი, განსჯა და არჩევანი ხომ ჩემი ნებაა. არამეთქი, ამის თქმა და ნამდვილი სამუშაოს შოვნა ხომ შემიძლია. მორჩა, გათავდა, მეტს აღარ ვიზამ. უნდა დაგპირდე. კიდევაც შევასრულებ ამ დაპირებას. ისევე როგორც შენ შეასრულე პირობა, რაზედაც ბატონ ბინფორდს ელაპარაკებოდი ვახშმობამდე. შენ ჩემი დაპირება უნდა მიიღო. ხომ მიიღებ?

— კი ბატონო, — ვუთხარი მე.

— შენ უნდა მითხრა, მივიღებ-თქო, ჩამაშალა უნდა მითხრა. კარგი, გეუბნები, დაპირებას ვღებულობ.

— ახლა კი ისევ სცადე დაძინება, — მითხრა, — მსკამში, სიბნელეში, აქ დავჯდები, სადგურში წასვლის წინ რომ გიძინო, გაგაღვიძებ. — მსკამში უნდა დაძინო, სიბნელეში უნდა დაძინო... — არ შეძინებ. აუ ვიქნები. შენ დაძინე... — მითხრა, რომ გავაბრუნებო

ოთახში ისევ ბუნი დავინახე, მთვარით ნახაზი სარკმელის ჩრდილი უკვე გადასულიყო. მაშასადამე ცოცხალი ვიქნებოდა.



მად, ჩურჩულით ელაპარაკა, წელამდე შიშველი თავს წამოდგომოდა სამ-  
ზარეულოს სკამზე მჯდარ ევერბის (მისს კორის-მეთქი) და მკლავზე ეწე-  
ოდა, ის კი ეურჩებოდა.

— წამოდი, ერთი საათილა გვაქვს დრო.

— თავი დამანებე, — ჩურჩულითვე პასუხობდა ქალს, მისი გვერდითა,  
თავი დამანებე, ბუნ.

მერე ისევ კაცის ხრინწმორეული ჩურჩული გაისმა. მთელი ძალით  
ცდილობდა ხმის დაოკება-დამორჩილებას:

— ეშმაკმა დასწყევლოს, რისთვის გამოვიარე ამხელა გზა, რისთვის  
ველოდი ამდენ ხანს შენთან შეხვედრას. წუთითაც არ დამისვენია, თავ-  
აულებლად ვმუშაობდი. ფული ძლივს მოვაგროვე, შენ კი... — კიდევ უფ-  
რო იქით გადავიდა მთვარით ნახაზი ჩრდილი სარკმლისა, სადღაც მამალ-  
მა იყივლა. მტკივანი ხელი ქვეშ მომყოლოდა და შემანუხა, შეიძლება  
სწორედ ამიტომაც გამომეღვიძა. ვერ ვიტყვი, მთელი ეს ხანი  
ბუნი აქ იყო, თუ გავიდა და ისევ უკან დაბრუნდა, ისევ ის შეკავებული  
ხმები, ისევ ის ჩურჩული. მამალმა დაიყივლა ისევ, ადგომის დროც მო-  
სულიყო. და კვლავ, დიახ, კვლავ მომესმა გოგოს ქვითინი.

— არ მინდა! არ მინდა! თავი დამანებე!

— კარგი, კარგი. მაგრამ ეს ამალამ, მხოლოდ ამალამ, ხვალ ღამით  
კი, როცა პასემს ვიქნებით...

— არა! არც ხვალ! არ მინდა, არ მინდა-მეთქი! თავი დამანებე. და-  
მანებე, გეხვენები, ბუნ, გეხვენები!

8

ჩვენ — ევერბი, ბუნი და მე — სადგურში ძალიან ადრე მივედით, ანუ,  
ასე გვეჩვენა, მაგრამ პირველი, ვინც ვნახეთ, ნედი იყო, სადგურის შენობის  
წინ გველოდებოდა. თეთრი, სუფთა პერანგი ეცვა. შეიძლება ახალი იყი-  
და, შეიძლება ძველი გაარეცხინა ვილაცას, მაგრამ სუყველაფერი ისე სწრა-  
ფად მოხდა, რომ ამის გასარკვევად ვერ მოვიცალეთ. მერელა გავიგეთ,  
სემს მიეცა მისთვის პერანგი. ნედმა ბუნს პირის გაღებაც კი არ აცალა:

— დაწყნარდი, — ასე განუცხადა, — აქ ყველაფერს მე ვედევნებ თვალ-  
ყურს, ბატონი სემი კი მეხთამტეხელს დარაჯობს, ვაგონი უკვე ადგილზეა,  
მატარებელზე მიბმული აგერ იქ, ვაგზლის უკან დგას და ახლა საქმე  
თქვენზეა, როცა ბატონ სემ კოლდუელის ხელშია რკინიგზა, ყველაფერი კარ-  
გად იქნება. ჩვენ უკვე ცხენსაც დავარქვით სახელი — მეხთამტეხელი. —  
უცებ დაინახა, ხელი რომ მქონდა შეხვეული, და გადაირია, — რა მო-  
გივიდა?

— გავიჭერი, — მე ვუთხარი, — საშიში არაფერია.

— მაგრად გაიჭრა? — იკითხა.

— დიახ, — მიუგო ევერბიმ. — ოთხი თითი აქვს გასერილი. ვერც კი  
ამოძრავებს.

ხოდა, ნედსაც აღარ დაუკარგავს დრო. სწრაფად მოგვათვალა.

— ის მეორე სად არის?

— ვინ მეორე? — ჰკითხა ბუნმა.

— ის ჩიტირეკია, — უთხრა ნედმა, — ჩვენთან რომ იყო წუხელ და



სულ ფული-ფულიო, გაიძახოდა. ორი ხელი სჭირდება ამ ცხენს. თუ ფიქრობთ, ზედ ვინ უნდა შეჯდეს, მე თუ შენ? შენ ხომ ჩემზე ორჯერ უფრო მძიმე ხარ. ლუციუსი მინდოდა, მაგრამ რახან ის მეორე ბიჭიც არის, სჯობს ნალდი არჩევანი გავაკეთოთ. ლუციუსზე ორჯერ უფრო მსუბუქია, და თუ იმასავით ჭკუა არ უჭრის, სამაგიეროდ დედისგან უფრო ვინმეა, დოღზე კარგად გამოვა და ითამაშებს კიდევ, თანაც ხარბი უფულის მოყვას შეეცდება და რაკი მხდალიცაა მით უკეთესი. უნაგირს ზედ დავკვრება, ბრავანი არ მოვადინოო. ჩვენც მეტი რა უნდა გვინდოდეს, სად არის?

— არკანზასის გზაზე. — მიუგო ბუნმა. — თუ იცი, რამდენი წლისაა?

— რამდენისაც ჩანს, იმდენისაა. — თქვა ნედმა. — თხუთმეტის დაახლოებით, ხომ ასეა? არკანზასში მიდის? ვილაცამ უნდა დააბრუნოს.

— კარგი. — უთხრა ევერბიმ, — პარშემში შე ჩამოვიყვან. ამ მატარებელს რაღას მოვუსწრებ. ხოდა, აქ დავრჩები და ნაშუადღევს რომ იქნება, იმ მატარებლით ჩამოვიყვან.

— სწორედაც, — თქვა ნედმა, — მატარებელი ბ-ნი სემისაა, ეგ რიტირეკია ბატონ სემს მიახდეთ, კარგად მოუვლის.

— შენც ეგ გინდა, — უთხრა ბუნმა ევერბის, — მთელი საათი თავისუფალი იქნები. შეგიძლია პრანჭვა-გრეხას მოჰყვე და სულ არა, არაო, უძახო სემს. მაგრამ ის ჩემზე უფრო ჭკვიანია, ყურსაც არ დაგიგდება. — ვოგომ შეხედა და აღარაფერი თქვა.

— მაშინ გაემგზავრე და ოტისი შენ ჩამოიყვანე, ჩვენ კი პარშემში დაგხვდებით ამაღამ, — ვუთხარი მე. ახლა უკვე ბუნმა შემომხედა.

— ჰოო, — თქვა მან, — ბატონმა ბინფორდმა წუხელ რა თქვა? ნუთუ კიდევ ერთი ტახი ჩამოგორებულა ამ ტალახში. თუმცა ტახი კი არა, ჯერ მხოლოდ ბურვაკია, თუ იქნებ მომეჩვენა, რომ ბურვაკია.

— არ გინდა ბუნ, — ევერბიმ უთხრა. — არ გინდა.

— ესეც თან წაიყვანე, ჯანდაბამდისაც გზა გქონია, დაბრუნდი ისევ იმ შენს საროსკიპოში. ნეტავი იქიდან რას მოდიოდი. — თქვა ბუნმა. გოგომ ამჯერად პასუხი არ გასცა. თავი დახარა და მიწას დააცქერდა, ამსიდიდე ტანისას სწორედაც უხდებოდა ეს გარინდება. მერე მიტრიალდა და წავიდა.

— იქნებ მეც წავიდე, — ვთქვი მე, — პირდაპირ სახლში. ნედი უჩემოდაც იოლად გავა. მხედარი უკვე ჰყავს. შენ კი, ვხედავ, ყველა გინდა დააფრთხო, ვისაც კი რამე დახმარება შეუძლია.

ბუნი წამით გამომცდელი თვალით დამაცქერდა, მერე კარგო, ასე თქვა. ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და გოგოს წამოეწია.

— კარგი-მეთქი, გეუბნები, — უთხრა, — კარგი, არ გინდა.

— კარგი, — მიუგო გოგომ.

— პირველსავე მატარებელზე დაგხვდები დღეს. თუ იმას არ მოჰყვი, ისევ დაგხვდები. სანამ არ ჩამოხვალ, კარგი?

— კარგი, — დაეთანხმა გოგო და წავიდა.

— თუ გინდა, დავენახლევებით, ჩემი ჩემოდანი არ წამოგიღიათ, — ნედმა თქვა.

— რა? — ჩაეკითხა ბუნი.

— სად არის? — ვკითხე მე.



— სამზარეულოში, სადაც დავდევნი, სხვაგან სად უნდა იყოს, — თქვა ნედმა, — იმ შავტუხა ოქროსკბილიანმა გოგომ იცის.

— მისს კორი ჩამოიტანს ამაღამ, — ვუთხარი მე, — ნაგადეთ. — სადგურის შენობაში შევედი. ბუნმა ბილეთები იყიდა და ბაქანზე გავედი. მგზავრები უკვე მატარებელში სხდებოდნენ. ის სატყეირუ ვაგონი წინ იდგა. სემი, გამყოლი და კიდევ ვიღაც ორი სხვა ვაგონის ღია კართან იდგნენ და ლაპარაკობდნენ. ერთი მათგანი მემანქანე უნდა ყოფილიყო. ვესმის? მხოლოდ გამყოლი კი არა, ვინც მატარებელს ემსახურებოდა, სუყველა აქ მოსულიყო.

— დოღზე როდის გადის, დღეს? — იკითხა გამყოლმა.

— ხვალ. — მიუგო ბუნმა.

— კარგი, ჯერ ადგილზე ჩავიყვანოთ. — თქვა გამყოლმა და საათს დახედა. — თან ვინ გაჰყვება?

— მე, — უთხრა ნედმა. — როგორც კი ყუთს ან სხვა რამეს ვნახავ, რომ ზედ შევდგე, ვაგონში ავალ.

— აბა, ერთი ფეხი გამოწიე. — უთხრა სემმა. ნედმა მუხლი მოლუნა, სემმა ხელი შეაშველა და ვაგონში შესვა, — ხვალ პარშემში ვნახავთ ერთმანეთს.

— მე კი მეგონა ვაშინგტონში მიდიოდით, — განუცხადა ბუნმა.

— ვინ? მე? — სემმა უთხრა, — მატარებელი კი მიდის იქამდე, მაგრამ მე იქ რა მიწა. ჩატანუგამდე ჩავალ და ლამის ორ საათსა და ცხრა წუთზე უკან მომავალს გამოვყვები. ხვალ დილის შვიდ საათზე პარშემს ვიქნები. თქვენთან ერთად კი წამოვიდოდი და პარშემში იმ მატარებელს მივუსწრებდი, ორ საათსა და რვა წუთზე რომ გადის, მაგრამ ცოტა თუ არ წავიძინე, არ შემიძლია. თანაც მე აღარ გჭირდებით, ახლა ნედი მოუვლის ყველაფერს.

არც ბუნსა და მე გვანყენდა ძილი. ხოდა, ჩვენც თვალი მოვატყუეთ, ვიდრე გამყოლმა არ გაგვალვიდა, ჩამოვედით. პარშემს ვიყავით უკვე. წინდამოყრილ სავალზე ვიდექით, თენდებოდა. თუხთუხით მოვიდა ორთქლმავალი და ჩვენი ვაგონი საგანგებო ადგილას გადააყენა (საქონლის გადმოსაყვანი ფიცარნაგი იყო პარშემის სადგურში). მერე გაბრუნდა, ისევ ჩაუდგა სათავეში მატარებელს და დაიძრა, ერთი მეორის მიყოლებით გაიგრუხუნეს ვაგონებმა, სამხრეთისკენ. ჯეფერსონისკენ მიმავალ რელსებზე გადავიდნენ. მერე სამივემ ის ბაგა დავშალეთ და ნედმა ცხენი გამოიყვანა. და, რალა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, საიდანღაც გამოტყვრა სასიამოვნო შესახედაობის ზანგი ყმაწვილკაცი, ცხრამეტისა თუ იქნებოდა.

— დილა მშვიდობისა, — ბატონო მაკ-კასლინ.

— შენ ხარ, შვილო? — უთხრა ნედმა. — საით გავსწიოთ? — ხოდა, ჩვენ წავედით, ბუნი კი დარჩა, რადგან ახლა სწორედ მას უნდა მოეგვარებინა ყველაფერი: ბინა უნდა ეშოვნა ყველასთვის, არა მარტო თავისთვის და ჩემთვის, ოტისისა და ევერბისთვისაც. საღამოს რომ ჩამოვიდოდნენ; უნდა ეპოვნა ის უცნობი კაცი, რომლის სახელი ნედმა არც კი იცოდა, მაგრამ ასე ამბობდა, მაგ კაცს ბედაური ჰყავსო. ხოდა, უნდა დაერწმუნებინა სავარაუდო დოღში მიედო მონაწილეობა, ანუ ნედის ფანტაზიის ერთ ნაყოფს სარბიელზე უნდა გამოეყვანა ნედისავე ფანტაზიის



მეორე ნაყოფი, მეტოქე ჩვენი ცხენისა, რომელსაც უკვე ორგზის ჰყავდა დამარცხებული მეხთამტეხელი (ნედისავე თქმით), ანუ ეს იყო მისი ფანტაზიის მესამე ნაყოფი, სწორედ დოლის წყალობით აპირებდა ნედრ ბაბუას ავტომობილის დაბრუნებას. და ეს ყველაფერი ბუნს ისე უნდა მოეგვარებინა, რომ ვინმეს აზრადაც არ მოსვლოდა ეკითხა, ვინ არის ამ ცხენის პატრონი. ჩვენ — ნედმა, იმ ზანგმა ყმანვილმა და მე მალევე უკან მოვიტოვეთ ქალაქი და შარაგზას დავადექით. მაშინ დიდი დრო არ უნდოდა გზაზე გასვლას, რადგან პარშემი სინამდვილეში ქალაქი კი არა, პატარა დაბა იყო — ორი თუ სამი დუქანი ორი სარკინიგზო ხაზის გადაკვეთაზე, სადგური, ფიცარნაგი ვაგონიდან საქონლის გადმოსაყვანად და შიგ შესარეკად და საწყობი ბაქნითურთ ბამბის ბარდანებისთვის. კიდევ იყო ერთი შენობა, რომელიც დღემდე დგას: ვებერთელა, უთავბოლოდ აგებული, მრავალსართულიანი და მრავალდერეფნიანი სასტუმრო, გოტიკურ სარკმლებიან ხომალდს რომ მოჰგავს, სწორედ აქ იკრიბებიან ყოველი წლის თებერვალში ორ-ორი კვირით კომბინეზონიანი გულშემატკივრები, მეძებარი ძაღლების მწვრთნელები და ჩრდილოეთიდან ჩამოსული მილიონერები — ამ ძაღლების პატრონები (ჩემი ყურით მაქვს გაგონილი, 1933 წლის ერთ საღამოს ამ სასტუმროს ჰოლში ოჰაიოელმა პორას ლიტლმა როგორ თქვა უარი ხუთი ათას დოლარზე, მერი მონტროზში რომ აძლევდნენ, თუმცა მის საწარმოებს, ისევე როგორც მაშინ მრავალ საწარმოს, დამოკლეს მახვილით ემუქრებოდა საფრთხე დახურული ბანკების სახით). პოლ რეინისაც უყვარდა ჩვენს მხარეში სტუმრად ჩამოსვლა, ჩვენი დათვები, ირმები და პუმები, ამიტომაც დახარჯა თავისი უოლსტრიტული ფულის ნაწილი და მისისიპიში მიწის ნაკვეთი შეიძინა, რათა თავად მას და მის მეგობრებს აქ ნადირობა შესძლებოდათ. მთელი ცხოვრება ეს კაცი ძაღლებზე იყო გადაყოლილი და ერთხელ, დათვზე დაგეშილი თავისი მეძებრები აფრიკაში ჩაიყვანა, ერთი ვნახოთ, ლომებზე თუ მივლენო, ანდა პირიქითო.

— თეთრ ბიჭს ზეზეურად სძინავს, — თქვა ყმანვილკაცმა. — უნაგირი არა გაქვთ? — მაგრამ მე სულაც არ ვაპირებდი დაძინებას, ჯერ რაღაც უნდა გამერკვია:

— არც ვიცოდი, თუ შენ აქ ნაცნობები გყავდა, ჩვენი ჩამოსვლის ამბავიც კი შეგიტყობინებია.

ნედმა პასუხის გაცემა არც კი იკადრა მაშინვე, მხოლოდ რამდენიმე ხნის მერე მოიბრუნა ჩემკენ თავი.

— ხოდა, ახლა რა გინდა იცოდე, როგორ მოვახერხე? — და გზა განაგრძო, მერე დასძინა: — მე და ამ ბიჭის პაპა მასონები ვართ.

— რას ჩურჩულებ? — მივუგე მე, — პატრონიც მასონია, მაგრამ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობს.

— მართლა? მე კი სულაც არ შემიმჩნევია, — თქვა ნედმა, — მაგრამ, ვთქვათ და ვჩურჩულებ, მერე რა? ვინ შეეცდებოდა იმ ლოყაში შესვლას, ასეთი გასაიდუმლოებული რომ არ იყოს, ან ასეთი ძნელი არ იყოს იქ მოხვედრა? ანდა თუ საიდუმლოს არავინ დაიცავს, რაღა საიდუმლოა?

— მაგრამ ამ ბიჭს როგორ შეატყობინე? — ვკითხე მე.

— მისმინე, — თქვა ნედმა, — თუ რაღაც საქმის გაჩარხვა გინდა, თანაც სწრაფად, უჩუმრად და საიმედოდ, ისე, რომ არავის წამოსცდეს,



ქვეყანას არ მოსდოს ეს ამბავი, ვილაც ვიგინდარას ნუკი გადაეყრები, კაცური კაცი მოძებნე, მაგავსი ბატონ სემ კოლდუელისა და იმას მიანდე ეს საქმე, კარგად დაიმახსოვრე. იმ ჯეფერსონელ შარახვეტებსაც სწორედ ასეთი კაცი სჭირდებათ. ერთი და ორი კი არა, ბევრი სემ კოლდუელი.

მივედით. მზე უკვე კარგად ამოსულიყო. ერთი სახლა დასვდა, უხერხულად, შეუღებავი, მაგრამ სუფთა, თეთრი და ყვითელი კვანძებით გარშემორტყმული, ეზო დაგვილი იყო, დასუფთავებული, ლობე — მთელი. ერთი სარიც არ იყო გადატეხილი, ჭიშკარი არ ჭრიალებდა. ქათმები მტვერში იქექებოდნენ, გომურში კი ძროხა და ორი ჯორი იდგა. დაინახა თუ არა ჩვენი მეგზური ყმანვილკაცი, ორმა ჯიშიანმა ძაღლმა კუდის ქიცინით მოირბინა, ხოლო აივნიდან კიბეზე სწრაფად დაეშვა მოხუცი ზანგი — ძალიან შავი იყო, ქათქათა თეთრპერანგიანი, აჭიმებითა და ფართო-ფარფლებიანი შლაპით, თეთრი უღვაში და მოკლედ შეჭრილი თეთრი სამკუთხა წვერი ჰქონდა. ეზო გამოიარა, ცხენს დააცქერდა. თურმე იცოდა, ახსოვდა ეს ბედაური; ამისდა კვალად რაღაც ნაწილი ნედის ფანტაზიისა რეალობა შექმნილიყო.

— ყველამ ერთად იყიდეთ? — იკითხა მან.

— ჯერჯერობით ჩვენია, — მიუგო ნედმა.

— დიდი ხნით? მოასწრებთ დოღზე გაყვანას?

— ერთხელ კი, — უთხრა ნედმა, მერე მე მომიბრუნდა: — ბიძია პასემ ჰუდს მიესალმე. — ასეც მოვიქეცი.

— დაისვენეთ, — გვითხრა ბიძია პარშემმა. — საუზმეს ხომ არ მიერთმევთ? — შაშხის სუნი მომწვდა.

— ძილი მინდა, მეტი არაფერი, — მე ვუთხარი.

— მთელი ღამე თეთრად გაათენა, — თქვა ნედმა, — მეც არ მძინებია. ოღონდ ეგ დედაკაცებით სავსე სახლში იყო და იმათ ყაყანსა და ქოთქოთში აბა რა მოუვიდოდა. მე კი ჩემთვის ვიყავი ცარიელ სატვირთო ვაგონში იმ ცხენთან ერთად. — ოღონდ ჯერ მინდოდა მივხმარებოდი, მეხთამტეხელს თავლაში შევიყვან და ვაჭმევ-მეთქი. არ დამანებეს, — ლიკურგეს ნაჰყევი და თვალი მოატყუე, — მითხრა ნედმა, — სულ მალე დამჭირდები, სანამ ჯერ კიდევ ცოტა გრილა, ამ ცხენის შესახებ რაღაც რაღაცები უნდა გავიგოთ და რაც უფრო მალე დავიწყებთ, მით უფრო მალე დავამთავრებთ. — ლიკურგეს გავყევი. მიშენებულ ოთახში შემიყვანა, სანოლი დავინახე და ზედ უზადოდ სუფთა ჭრელი საბანი. მომეჩვენა, რომ უკვე მეძინა, სანამ დავწვებოდი, ხოლო ნედმა რომ შემანჯღრია და გამაღვიძა, ჯერაც არ მომესწრო დაძინება. ხელში ეჭირა უხეში ბანრის წინდა და თოკის გადანაჭერი. შიმშილი ვიგრძენი. — მერე ისაუზმე, — მითხრა ნედმა, — ცარიელ სტომაქზე უფრო კარგად მოუვლი იმ ცხენს. ჰოო... — წინდა განელა, — ის ჩიტირეკია ჯერ არ გამოჩენილა, იქნებ სჯობდეს, რომ არც ჩამოვიდეს. ისეთი ვინმეა, გგონია, ძალიან გჭირდება, მერე კი მიხვდები, რაც არის. და იტყვი, ნეტავი თვალითაც არ მენახაო. თოკი შემომიჭირა ზემოდან. — ცერი შეგიძლია ამოდრავო, მაგრამ სხვა ხელი მიჩვენე, — შეხვეულ ხელზე მეუბნებოდა. ზედ წინდა წამომაცვა და თითების გაშლას თუ შეეცდები, წინდა მაშინვე შეგახსენებს, რომ არ შეიძლება. თუ გაშალე, ისევ სისხლი წამოგივა.

ბიძია პარშემმა და ლიკურგეს ცხენი უკვე გამოეყვანათ და გველო-



დებოდნენ. მისთვის უნაგირი დაედგათ უკვე, ძველი, გაქეპილი, მაგრამ საგულდაგულოდ განმენდილი. ნედმა შეხედა.

— უამუნაგროდაც კარგად გავაჭენებდით, თუკი დაგვანებებდნენ, მაგრამ ახლა ზედ ედგას, ორივენაირად ვცადოთ, ვნახოთ, რომელი მოეწონება.

პატარა მდელო იყო ნაკადულის პირას, სწორი, უხინჯო, ნედმა უზანგი დაამოკლა, უფრო მისთვის თუ გამოდგებოდა, ვიდრე ჩემთვის, შემსვა.

— კი იცი, როგორც უნდა მოეპყრა. მაკ-კასლინების ბედაურები ხომ გახსოვს. მიუშვი, საითაც უნდა, იქით გაუხვიოს, მგონია, მისთვის ესლა უსწავლებიათ, ისე გაჭენდეს, როგორც ამის საშუალებას ლაგამი მისცემს, და იქით, საითკენაც თავს მიუტრიალებენ. ჩვენც სხვა არაფერი გვინდა. მათრახი სულაც არ გვჭირდება. არც გვინდა მათრახს მიეჩვიოს. ჩვენ მხოლოდ მისი გაცნობა გვინდა. აბა, მიდი.

ჩორთით მიმყავდა. ლაგამს კარგად გრძნობდა, აბლაბუდას ძაფსაც კი შეეძლო მისი შეჩერება. ასეც ვუთხარი ნედს.

— ნაძლევა ჩამოვალ. — თქვა ნედმა, — ნაძლევს ჩამოვალ, ამას გავაზე მათრახი უფრო ბევრჯერ აქვს მოხვედრილი, ვიდრე ლაგამი უტრიალებიათ მისთვის კბილებში. აბა, მიდი, გააჭენე. — მაგრამ მან არ მოინდომა. ქუსლებს ვაჭერდი, ვურტყამდი, მაინც ჩორთით მიდიოდა. მხოლოდ მეორე ნახევარწრეზე აუჩქარა ცოტა (წრეზე მივაჭენებდი, დაახლოებით იმ სიდიდისაზე, ბიძია ზაკის საძოვარზე რომ სარბენი ბილიკი იყო გაკვალული) და უცებ მივხვდი, ნედთან უნდოდა თურმე ჩქარა მისვლა. თუმცა არც ახლა აუწყვეტია თავი, ერთხელაც არ მოუქაჩავს ალვირი, არ მიგრძენია მისი დაძაგვრა, ლაგამი შეზიზღებოდა, თითქოს ღორის ხორცილო, თვითონ კი მუსულმანი (ან თევზის ძვალიო, თავად კი კონსტიტუბლობის კანდიდატი მისისიპის შტატში, ბაპტისტი მონინაალმდეგენი რომ უკიჟინებენ, კათოლიკე ამომრჩევლების გადმობირება გინდაო; ან ქ-ნ რუზველტის ხელით დაწერილი ბარათია, თავად კი „ამერიკელ მოქალაქეთა საბჭოს“ მდივანი; ან სენატორ გოლდუოტერის სიგარის ნამწვია, თავად კი ახალგამოჩევილი წვერი „დემოკრატიულ ქმედებათა მომხრეებისა“); მთლად თავდახრილი მირბოდა, ვიდრე ნედს არ მიატანა, ისეთი ძალით მიიჭრა, რომ მხარი მომიქცია, თავი ასწია და იმის პერანგს ლეჭვა დაუწყო. — ოჰო, — თქვა ნედმა, ცალი ხელი ზურგს უკან ჰქონდა, გასხეპილი წვეპლა დაეკავებინა. — მიატრიალე. — მერე ცხენს უთხრა, — უნდა ისწავლო და დაიმახსოვრო, ვაჟო, ჩემკენ არ გამოიქცე, ვიდრე არ დაგიძახებ. — მერე მე მომიბრუნდა. — ამჯერად აღარ გაჩერდება, მაგრამ შენ ისე მოიქეცი. თითქოსდა უნდა გაჩერდეს, ცოტა ადრე, მანამდე, სანამ იმ ადგილას მიხვიდოდე, სადაც მობრუნდებოდი და ჩემკენ წამოხვიდოდე, ცხენი რომ ყოფილიყავი, და რაც ძალი და ღონე გაქვს, გავაზე დაჰკარი ხელი. აბა, მაგრად იყავი. — ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ცხენს გავაზე გადაუჭირა წვეპლა. ცხენი ყალყზე შედგა და გაქანდა; შემზარავი იყო ძალა მისი მოძრაობისა (არც სისწრაფე, არც თავბრუდამხვევი წინსვლა, სწორედ ძალა მოძრაობისა), რადგანაც შიშს აეტანა, შიში კი ცხენს არ შეენის. მის აღნაგობას — ცოცხალ მასასა და სიმეტრიას — არ ძალოძს შიშის ჰარმონიული გამოსატყვა, რაც მოხდენილ, ნარნარ, დახვეწილ მოძრაობას მოითხოვს, ერთსა და იმავე დროს რომ გატყვევებს. ალგაფროთოვანებს და კიდევ გაშინებს, თავზარს გცემს, როგორც ანტილოპას, ყი-



რაფის ან გველის მოქნილობა საფრთხესთან გარიდებისას. ხოდა, როგორც კი გაუნულდა ცხენს შიში, ვიგრძენი, მორჩილი და გამგონე შეიქნა და, მოსახვევს რომ მიუახლოვდა, ნავარდზე გადავიდა. მივხვდი, მარცხენა მოსახვევსაც და ფინიშისკენ მიმავალ სწორ ბილიქსაც ნავარდით გაივლიდა. მაშინ გამახსენდა, ნედმა რაც მითხრა. იმ ადგილზე, სადა ის რომ მივედით, საიდანაც მეხთამტეხელი პირველად გაიჭრა მთელს კარსტრავით ნედისკენ, უკან გადავიხარე და რაც ძალი და ღონე მქონდა, საღი ხელი დავკარი გავაზე. ისევ შეხტა, ისევ გავარდა წინ, თვინიერი და დამყოლი და არა გამძვინვარებულ-გააფთრებული. — კარგი, გეყოფა, — მითხრა ნედმა, — აქ მოიყვანე. — მეც მივიყვანე და მის წინ გავაჩერე. ოდნავ გამოსვლოდა ოფლი, ეგ იყო და ეგ. — აბა, როგორია? — მკითხა ნედმა.

ვცადე ამეხსნა.

— მის წინა ნახევარს სირბილი არ უნდა.

— კარგად კი გაჭენდა, მე რომ დავკარი, — თქვა ნედმა.

კვლავ ავეუხსენი:

— იმას არ ვამბობ, მთელ წინა ნახევარს-მეთქი, ფეხებს უნდათ სირბილი, მაგრამ თავი არ ანებებს, თავს არ უნდა.

— ოჰო, — თქვა ნედმა. მერე ბიძია პარშემს მიუბრუნდა, — შენ ხომ იყავი იმ დოღზე, რა მოხდა იქ?

— იმ დოღზეც ყოყავი და მეორეზედაც, — მიუგო ბიძია პარშემმა, — არც არაფერი მომხდარა, კარგად მირბოდა, მაგრამ უეცრად დაინახა, არც არავინ იყო მის წინ სარბენ ბილიქზე.

— ოჰო, — თქვა ნედმა. — ჩამოხტი. — მე ჩამოვხტი. უნაგირი მოხდა, — აბა, ერთი ფეხი მომეცი.

— რა იცი, რომ ეს ცხენი უუნაგროდ უტარებიათ? — მკითხა ბიძია პარშემმა.

— არ ვიცი, — მიუგო ნედმა, — მაგრამ ახლა გავიგებ.

— ეს ბიჭი მხოლოდ ცალ ხელს ხმარობს. — თქვა ბიძია პარშემმა, — აბა, ლიკურგე...

მაგრამ ნედმა უკვე ფეხში ჩამავლო ხელი.

— ამ ბიჭს ზაკ ედმონდსის ცხენები უჭენებია, იქ, მისისიპიში. ხოდა, ერთხელ ვუყურე, ვერ მივხვდი, რით იმაგრებდა თავს, კბილებით ხომ არა-მეთქი. — შემსვა. ცხენი არ გაჯიუტებულა, მხოლოდ წამით შეკრთა, ცოტათი ჩაიკეცა და უკან დაიხია. — ოჰო, — ნედმა თქვა, — ახლა წადი და ისაუზმე. ის ჩიტირეკია ამ სალამოს ჩამოვა და ცხენს მიხედავს, მაშინ იქნებ მეხთამტეხელიც ეშხზე მოვიდეს.

ლიკურგეს დედა, ბიძია პარშემის ქალიშვილი სადილს აკეთებდა: სამზარეულოდან მოხარშული ბოსტნეულის სუნი გამოდიოდა. მას თბილად შეენახა ჩემი საუზმე — შემწვარი ღორის ხორცი, შვრიის ფაფა, ახალგა-მომცხვარი ფუნთუშები და შაქრიანი რძე თუ რძიანი ყავა; ხელიდან საჯირითო ხელთათმანი წამაძრო, რომ თავისუფლად მესაუზმა. კი გაოცდა, როდესაც გაიგო, ყავის გემო არ ვიცოდი, ლიკურგე კი ორი წლიდანვე სვამდა თურმე ყოველ კვირა დილით. მეგონა, მხოლოდ მშია-მეთქი, მაგრამ უცებ თეფშში ჩავრგე თავი და ჩამეძინა. მერე ლიკურგემ იმ მიშენებულ ოთახში გადამიყვანა თუ გადამათრია და ლოგინზე დამაწვინა. ნედმა თქვა, — ბატონი სემ კოლდუცი ვილაც ვიგინდარა კი არ იყო, სემ



კოლდუელი იყო, კაცური კაცი; ამიტომაც მატარებლის სასამსახურო ვაგონით რამდენიმე წუთით ადრე შუადღემდე ევერბი და ოტისი ჩამოიყვანა პარშემს და იმდენ ხანს გააჩერა, რომ გადმოსვლა მოასწრეს. მთლიანად სატვირთო შემადგენლობა იყო და არ უნდა გაჩერებულიყო, ვიდრე ალაბამის შტატის ქალაქ ფლორენსს არ ჩავიდოდა ან კიდევ უფრო დასაღმე. არ ვიცი, დამატებით რამდენი ნახშირი დაიწვა იმისთვის, რომ საპარერო ტუმბოები ამოქმედებულიყო და სრული სვლით მიმავალი მატარებელი პარშემში შეჩერებულიყო, ხოლო შემდეგ ისევ რომ გახურებულიყო ქვაბი და მატარებელს საჭირო სიჩქარე აელო დაკარგული დროის ასანაზღაურებლად. კაცური კაცი იყო სემ კოლდუელი, ოტისსაც კი წამოაძახებინებდა, ბიჭოსო.

ხოდა, ვილაცის უცხო ხმამ გამომალვიდა და ლიკურგეს დედამ ისევ წამომაცვა ხელზე საჯირითო თათმანი, ამ რამდენიმე საათის წინ სადაც რომ შეინახა, როდესაც მე თეფშში თავი ჩავრგე და დავიძინე. გარეთ გამოვედი. ყველანი აქ იყვნენ, ეტლი იდგა უკვე ჭიშკართან. ბიძია პარშემში კვლავ კიბის თავზე გადმომდგარიყო, ისევ ის შლაპა ეხურა. ნედი კიბის მეორე საფეხურზე იჯდა, ხოლო ლიკურგე კუთხეში დამდგარიყო აივანსა და კიბეს შუა, თითქოსდა სამივეს სახლის მისასვლელი შეეკრა. ევერბი ეზოში იდგა იმათკენ მიბრუნებული (დიახ, ისიც თან წამოედლო — ნედის პატარა ჩემოდანს ვგულისხმობ), იქვე იდგნენ ოტისი, ბუნი და კიდევ ვილაც მესამე, ვინც ხმამალლა ლაპარაკობდა ბუნსა და ევერბის შუა მდგომარე — თითქმის ბუნისავე სიმაღლისა და თითქმის ისეთივე მახინჯი, სახეაჭარხლებული, გულზე პოლიციელის ნიშანი ჰქონდა დამაგრებული, შარვლის ჯიბე პიატოლეტსა და მის ბუდეს გამოებერა. ქალი ცდილობდა მისი მკლავზე წატანებული ხელი მოეცილებინა.

— კი, ამბობდა იგი, — მე ვიცნობ ბებერ პასემ ჰუდს, უფრო მეტიც. ბებერი პასემ ჰუდიც მიცნობს მე, ხომ ასეა?

— ჩვენ ყველანი გიცნობთ, ბატონო ბუტჩ, — ნირშეუცვლელად უთხრა ბიძია პარშემმა.

— და თუ ვინმე არ მიცნობს, მალე გამიცნობს, — თქვა ბუტჩმა, — თქვენი დედაკაცები თუ სახლის დაგვა-დასუფთავებით არიან დაკავებულნი და შინ ვერ შევუპატიჟებოვართ, უთხარით, რომ სკამები გამოიტანონ და ეს ყმაწვილი ქალბატონი მაინც დასვან. შენ, ბიჭო, — მიუბრუნდა იგი ლიკურგეს, — ორი სკამი დადგი აივანზე. დავსხდეთ მე და შენ სიგრილეში, — ახლა ევერბის მიმართავდა, — და ერთმანეთი გავიცნოთ, ამასობაში ეს ჩვენი ძმა, — ბუნს გულისხმობდა, არც კი ვიცი როგორ, მაგრამ მივხვდი, — ბიჭებთან ერთად იმ ცხენის სანახავად წავა, ხომ ასეა? — მკლავზე ხელი არ გაუშვია, ისე გასწია ევერბი განზე და დააბარბაცა, მერე იმწამსვე ახლოს მიიზიდა. ის კი იქით იწეოდა და მეორე პელით ცდილობდა მკლავიდან მისი თითების მოცილებას. მე კი ბუნს ვუმზერდი ახლა. — მგონი, პირველად არ უნდა ვხვდებოდეთ ერთმანეთს. ბერდი უოტისას ხომ არ მინახიხარ? სად იმალებოდი აქამდე ეს ლამაზი გოგო?

ნედი აუჩქარებლად წამოდგა კიბიდან.

— დილა მშვიდობისა ბატონო ბუნ, — ასე თქვა, — იქნებ თქვენ და



შერიფს იმ ცხენის ნახვა გასურთ. გამოიყვანოს ლუციუსმა? — ბუტჩი მაინც არ უშვებდა ხელს ევერბის.

— ეს ვინლაა? — იკითხა იმან, — ჩამოსულ ზანგებს მაინც მაინც არ ვწყალობთ აქ, თუმცა არც რას ვერჩით, თუკი ვისაც ჯერ არს ეტყვიან, ვინც არიან და მერე კრინტსაც აღარ დაძრავენ.

— ნედ უილიამ მაკ-კასლინ ჯეფერსონ მისისიპი, —

— რა ბევრი სახელი გქონია, — ბუტჩმა მიუგო, — მაგრამ შენ მხოლოდ ეს უნდა იცოდე, სწრაფად და მოკლედ გვიპასუხო. ლაპარაკის უფლებას მაშინ დაიმსახურებ, როცა ამ ბებერი პარშემივით თეთრი წვერულვაშით შეიმოსები. საიდანაც უნდა იყო, ჩვენთვის სულ ერთია. ესლა გვანუხებს, დასაბრუნებელი ადგილი უნდა გქონდეს სადმე. მაგრამ შენ, გეტყობა, არაფერი შეგეშლება, დაინახავ თუ არა, იმწუთსავე ცნობ კანონის მსახურს.

— დიახ, ბატონო, — უთხრა ნედმა, — კანონის მსახურებს მე კარგად ვიცნობ. ჯეფერსონშიც გვყავს, — მერე ბუნს მიუბრუნდა, — გნებავთ იმ ცხენის ნახვა?

— არა, — თქვა ევერბიმ; როგორღაც მოახერხა მკლავის გათავისუფლება და სწრაფად მოსცილდა ბუტჩს. ადრევე შეძლებდა ამას, თუკი ბუნს ეტყოდა; სწორედაც ამას ელოდა ბუტჩი, შერიფის თანაშემწე იყო თუ რაღაც, და ეს ამბავი ჩვენ ყველამ ვიცოდით. სრულიად მოულოდნელი იყო ტანვეება გოგოსგან, ისე მკვირცხლად გაიწია განზე. მასა და ბუტჩს შორის მე აღმოვჩნდი. მკლავში რომ ჩამეჭიდა, ვიგრძენი, ხელი ოდნავ უკანკალებდა, — წამოდი, ლუციუს, გზა გვიჩვენე. — რაღაც დაძაბული, ლამის მგზნებარე ჩურჩულით მითხრა, — ხელი როგორ გაქვს, კიდევ განუხებს?

— არა, არ მანუხებს, — მივუგე მე.

— მართლა? არ დამიმალო, იცოდე. თუ გშველის ეს თათმანი?

— ხომ გითხარი, აღარ მანუხებს-მეთქი, — ვუთხარი, — თუ ამტკიცდა, გეტყვი. — საჯინიბოსკენ წავედით. თითქმის მიმართვედა ევერბი. ოლონდაც მე ვყოფილიყავი მასა და ბუტჩს შუა. მაგრამ სულ ამაოდ, ის კაცი მაინც ჩაგვეჩხირა; ოფლისა და არყის სუნი მეცა. ახლალა დავინახე, რომ მისი შარვლის მეორე ჯიბიდან თავი ამოსჩროდა არყის ბოთლს; ხოდა, ის (ბუტჩი) ისევ წაეტანა ევერბის მკლავს. უეცრად შიშმა დამრია ხელი, რადგანაც ვიცოდი, ჯერ კიდევ არ ვიცნობდი ევერბის და იქნებ უკეთესად არც ბუნი იცნობდა. თუმცა არა, შემეშინდა-მეთქი, რომ ვთქვი, არ არის მთლად სწორი. რად უნდა შემეშინებოდა. ჩვენ, უფრო სწორად, ბუნს ხომ შეეძლო სულ ადვილად წაერთმია მისთვის პისტოლეტი და კარგადაც მიებეგვა. მაგრამ, ასე გამიელვა თავში, ვაითუ მერე რამე მოუვიდეს ევერბის, ბიძია პარშენსა და მის სახლს, მისიანებს-მეთქი. შიშზე უფრო მეტი იყო, რასაც ვგრძნობდი. მრცხვენოდა, რომ არსებობდა მიზეზი შიშისა, ვაითუ რამე დაუშავდეს ბიძია პარშემს, მან ხომ აქ უნდა იცხოვროს-მეთქი. სიძულვილი (ბიძია პარშემს კი არა, მე მძულდა) მომრეოდა. მძულდა ყველა ჩვენგანი, რადგან ასეთი უსუსური მსხვერპლნი ვიყავით საკუთარი ცხოვრებისა, რაკილა ჩვენთვის გარდუვალი იყო ასეთი ცხოვრება; მძულდა ევერბი, რადგანაც ასეთი ბეჩავი, უსუსური და ამავე დროს მიმზიდველი მსხვერპლი იყო; და ბუნიც, რადგანაც ისიც ასეთივე



ბეჩავი და უილაჯო მსხვერპლი იყო გარემოებათა; ბიძია პარშემიც და ლიკურგეც, რადგანაც იქ ცხოვრობდნენ, სადაც იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ, და ძალაუნებურად ხედავდნენ, როგორ იქცეოდნენ თურქიანები. თურქიანები კი სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც, მათივე სიტყვით, იქცეოდნენ მხოლოდ ზანგები. ოტისიც მძულდა, ვინც არკანზასში ევერბის ცხოვრების შესახებ მიაჩნებოდა, და თავად ევერბის ცხოვრებას გამო, რომ ასეთი უმწეო იყო, და ვისაც მოესურვებოდა, შეეძლო მისი აბუჩად აგდება, დამცირება; საკუთარი თავიც მძულდა, რადგანაც ოტისს მოვუსმინე, რადგანაც მინდოდა მისი მოსმენა, ყველაფრის გაგება და შეცნობა; სიძულვილს ვგრძნობდი, რადგან ეს ყოველივე არა მარტო არის, უნდა იყოს კიდევ და იქნება სულ მუდამ, ვიდრე სიცოცხლე გაგრძელდება, ვიდრე კაცობრიობა სიცოცხლესთან იქნება წილნაყარი.

და უეცრად ისე მომენატრა სახლი, რომ ყრუანტელმა დამიარა, მეტიმეტი სიმძიმისგან გული შემეკუმშა; სახლში მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ ჩვეულებრივი არ უნდა ყოფილიყო ჩემი დაბრუნება, დრო-ჟამს უკუსვლა უნდა დაეწყო და ნედს ის ცხენი უკანვე უნდა მიეყვანა, იქ, საიდანაც და ვისგანაც წამოიყვანა; ბაბუას ეს ავტომობილი უკანვე, ჯეფერსონში უნდა ჩაგვეყვანა და მთელი ჩვენი მოგზაურობა უკუსვლით, თანდათანობით დასაწყისს უნდა დაბრუნებოდა და ასე გარდასახულიყო არარად, არარსებულად ისეთივე თანამიმდევრულობით — ჭუჭყიანი გზები, წუმბე, ტალახი, ის კაცი, ფერის გარჩევის უნარს მოკლებული ჯორებითურთ, მისს ბოლენბო, ელისი, იფემი... და ასე უნდა აღგვილიყო, რაიც გადამხდა თავს; და უცებ რალაც იდუმალმა ხმამ ასე ამოთქვა ჩემი გულის წიაღიდან: **ხელს რა გიშლის!** რადგანაც შემეძლო ერთი მეთქვა ბუნისთვის, სახლში წავიდეთ-მეთქი და იმწუთსავე ნედი ცხენს დააბრუნებდა, ხოლო ჩემს სამარცხვინო აღიარებას რომ მოისმენდა, პოლიცია ავტომობილს მოძებნიდა და პატრონს მიუყვანდა, ამისი საფასური კი ჩემი თავის მოჭრა იქნებოდა სწორედ. მაგრამ ახლა ამას ველარ ვიზამდი. გვიან იყო ძალიან. გუშინ ალბათ კიდევ შეიძლებოდა, როდესაც მე ჯერ ისევ ბალღი ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ ძალზე ბევრი რამ გავიგე, ბევრი რამ ვნახე, ბავშვი აღარ ვიყავი, საბოლოოდ გაცამტვერებულიყო ჩემი უმანკოება და სიყრმე. ევერბი კვლავ დასხლტომოდა ბუტჩის ხელიდან. ამჯერად როგორ შეძლო ეს, ვერ დავინახე. თავი დააღწია, პირისპირ დაუდგა. მერე სწრაფად ხმადაბლა რალაც უთხრა. ხოდა, ეს კაცი მის წაკარებას აღარც ცდილობდა, დაჰყურებდა და იღრიჭებოდა. — კარგი, კარგი, — ასე თქვა, — იყავი ჯერჯერობით აქ შენთვის, იქნებ ჩემთვისაც ასე სჯობდეს, ეს ჩვენი ძმაც შეეჩვევა ამ ამბავს. აბა, მიდი, კაცო, — ნედს მიუბრუნდა. — ის შენი ცხენი მაჩვენე.

— აქ დარჩი, — მითხრა ნედმა, — მე და ლიკურგე გამოვიყვანთ. — ევერბის გვერდით ვიდექი, ღობესთან, ვგრძნობდი. როგორ უთრთოდა ჩემს მკლავზე წატანებული ხელი, ნედმა და ლიკურგემ ცხენი გამოიყვანეს. ნედმა გამოგვხედა და წამოიძახა, — ის მეორე სადღაა?

— რაო, ვინ მეორე? — იკითხა ბუტჩმა. მე კი ვიცოდი, ვისაც ნედი გულისხმობდა, ასევე ევერბიმაც. სწრაფად მიტრიალდა.

— ოტის! — დაიძახა, მაგრამ ის აღარსად ჩანდა.

— გაიქეცი, — უთხრა ნედმა ლიკურგეს, — თუ ჯერ სახლში არ მი-



სულა, იქნებ გარეთ ნახო სადმე. უთხარი, დეიდაშენი გეძახის-თქო. მერე გვერდიდან ნულარ მოიცილებ.

ლიკურგეს დრო აღარ დაუკარგავს იმის სათქმელად, დაბს ბატონო, იმნუთასვე აღვირი ნედს მიუგდო და გაიქცა. დანარჩენები კი დობესთან დაფრჩით, — ევერბი უძრავად იდგა, ცდილობდა არ შეტოკებულყოფილ, თითქოსდა უძრაობა იყო მისი თავშესაფარი. იდგა, რადგან ესევე უნებებ ვერაფერს გახდებოდა, ისევე როგორც ფურირემი, რომელიც მეტისმეტად დიდია საიმისოდ, რომ გარეული ქლიავის წვრილნარს შეაფაროს თავი; გამძვინვარებული ბუნიც, თუმცა კი ამჯერად თავდაოკებული, ვისაც თავდაოკება ერთხელაც არ უნებებია ცხოვრებაში. შიშის გამო სულაც არა, მე გუბნები, ის პისტოლეტი და სამკერდე ნიშანი მას ვერ შეაშინებდა. სულ ადვილად შეეძლო იმ ბუტჩისთვის იარაღიც წაერთმია და ის ნიშანიც აეგლიჯა მკერდიდან და მერე გულზვიადად მოესროლა, იმასა და თავის შუა მინაზე დაეგდო და კიდევაც მიეცა იმ ბუტჩისთვის ნება. პირველს გადმოედგა მისკენ ნაბიჯი; ნაწილობრივ ამისი მიზეზი გახლდათ ჩემი და ჩემი ოჯახის (მისიც რომ იყო) ერთგულება და პატივისცემა. ჩვენი დაცვა უსიამოვნებისგან, ჩხუბს რომ მოჰყვებოდა, მიუხედავად იმისა. ვინ დარჩებოდა გამარჯვებული. ნაწილობრივ-მეთქი, ვამბობ. რადგან რაინდობა ქალის დაცვას ავალეზდა, თუნდაც მეძავისა, ვინც პოლიციელის სამკერდე ნიშნიანი მტაცებლის წერა უნდა გამხდარიყო, ვისაც შეეძლო სრულიად დაუსჯელად მიმძლავრებოდა უსუსურ არსებას. ცოტა იქით კი ბიძია პარშემი იდგა, განცალკევებული, მაგრამ მაინც ჩვენთან მყოფი. ნამდვილი პატრიცი (მისი სახელიც კი იმას მეტყველებდა, თუ რა ღრმად იყო დაკავშირებული მინასთან, რომელზეც ჩვენ ვიდექით), არისტოკრატი და მსაჯული ყოველი ჩვენთაგანისა.

— ეშმაკმა დალახვროს, — თქვა ბუტჩმა, — დოღს როგორ მოიგებს, თუ სულ ასე გაუნძრევლად იდგა. მოიყვანეთ, ცოტა გავაჭენ-გამოვაჭენოთ.

— ყოვეის მოსაყვანად წავიდნენ, — მიუგო ნედმა. — აი, ნახავთ, რა ცხენია, — და ასე დასძინა, — თუ, რა თქმა უნდა, არ მიდიხართ უკვე.

— სად მივდივარ? — იკითხა ბუტჩმა.

— სადაც მსახურობთ, — უთხრა ნედმა. — პასემს თუ სად, აბა რა ვიცი.

— ამხელა გზა გამოვიარე დოღის სანახავად. — სად უნდა წავიდე — თქვა ბუტჩმა, — თუმცა კი რას ვხედავ, ნახევრად მძინარე ჯაგლაგს, ძლივსლა დგას ფეხზე.

— კიდევ კარგი, — თქვა ნედმა. — თორემ ვიფიქრე, ვაითუ სულაც არ უყვარს მეთქი დოღი, — მერე ბუნს მიუბრუნდა. — იქნებ ჯობდეს თქვენ და მისს კორი ქალაქს დაბრუნდეთ და დანარჩენებს დახვდეთ. მატარებლით რომ ჩამოვლენ, იმ ეტლს კი უკან გამოგზავნიდეთ ბატონი ბუტჩის, ლუციუსისა და კიდევ იმ ბიჭის წასაყვანად, ხოლო მანამდე ჩვენ მეხთამტეხელს გავაჭენ-გამოვაჭენებთ.

— ხა-ხა-ხა, — ნაძალადევად გაიციინა ბუტჩმა, — კარგი აზრია, ღმერთმანი! რაო, ძმაკაც? შენ და ის ტურფა სასტუმროში ნახვალთ, ხოლო მე და ბიძია რიმუსი და ის ლორდი ფაუნტლეროში შუალამით მოვხრიგინდებით. თუკი, რაღა თქმა უნდა, აქ ყველაფერს მოვაგვარებთ. — მე-



რე ღობის გაყოლებით ბუნისკენ წავიდა და თუმცა მას უმზერდა, ნედს უთხრა, — მარტო სწორედაც ვერ გავუშვებ ამ ჩვენს ძმაბიჭს, მასთან უნდა ვიყო, თორემ, ვინ იცის, რალაც შეგვამთხვიოს. აქ კანონი გამოსცეს, ლამაზი გოგოების სხვა შტატში გაყვანას რომ კრძალავს, როგორც იტყვიან, უნესო მიზნებისთვის. ეს ჩვენი ძმაბიჭი კი აქ უცხოა, არ იცის, სად თავდება ჩვენი და სად იწყება სხვა შტატი. შეიძლება ფეხი ექვთი გადფუცდეს, თუმცა სულაც არა აქვს ამის დარდი, რადგან თავში სულ სხვა რალაც უტრიალებს, სხვა რამ ადარდებს. ხომ ასეა, ჩვენი ძმა? — ხელი დაჰკრა ზურგზე ბუნს ღრეჭით, თან თვალს არ აცილებდა. ასე დაჰკრავენ ხოლმე ხელს ერთმანეთს შეხუმრებული მეგობრები. ისე, ცოტათი უფრო მაგრად დაჰკრა, მაგრამ არც მთლად მაგრად. ბუნი არც კი შეტოკებულა, ოღონდ უფრო ღონივრად ჩაეჭიდა ჭიშკრის ზედა კადონს, მაგრამ თითები ისე ჰქონდა გარუჯული თუ სულაც ჭუჭყისგან გაშავებული, რომ თუ გაუთეთრდა, არ დასტყობია. სამაგიეროდ მე იმის კუნთებს ვხედავდი. — დიახ, ბატონო, — განაგრძო ბუტჩმა, თან ისევ ბუნს უმზერდა და იღრიჭებოდა, — მეგობრებს ერთად მოუყრიათ თავი და ერთადაც იქნებიან რამდენიმე ხანს. მერე ან ერთად წავლენ ყველანი, ან არც არავინ წავა, ჯერ არავინ წავა-მეთქი. ვინ იცის, რა მოხდეს, თუ თვალი არ გიჭირავს, შეიძლება ვინმეს რამე დაემართოს; იყო კაცი და გაიხედ-გამოიხედავ. აღარსად არის; და თუ უცხოა, ვინლა მოიკითხავს. ხომ ასეა, ძმაკაც? — და ისევ დაჰკრა ზურგზე ხელი, ამჯერად უფრო მაგრად. თვალს არ აცილებდა, ისევ იღრიჭებოდა. ევერბიმ ახლალა შეხედა ბუნის ხელს და იმწამსვე თქვა ხმადაბლა:

— ბუნ. — მხოლოდ ეს თქვა, ბუნო. ბიძია პარშემმაც შეხედა.

— აი, ის მეორე ბიჭიც მოვიდა, — თქვა მან. სწორედ იმ წუთას სანლის კუთხეს გამოსცდა ოტისი, ფეხდაფეხ ლიკურგე მოსდევდა, იმაზე ორჯერ უფრო მაღალი, და ზედ დაჰყურებდა. თუმცა მე ვიცოდი, რაც სჭირდა ოტისს, მაგრამ ამის გამო უკეთესი არ გამოჩენილა ჩემს თვალში. აუჩქარებელივ მოდიოდა, თითქოს მოსეირნობდა. ნედი მკაცრ მზერას არ აშორებდა.

— აბა, ვის დავჭირდი? — ასე იკითხა.

— მე, — უთხრა ნედმა, — მაგრამ დღისით-მზისით პირველად გხედავ და იქნება გადავიფიქრო სულაც. — მერე ლიკურგეს მიუბრუნდა, — ცხენი შეკაზმე. — ხოდა, ჩვენ — ყველამ — იმის შეკაზმვა დავინწყეთ; მერე ნედი და ლიკურგე წინ გაგვიძღვნენ, ღობეს გავუყვევით და წყაროსთან. მდელიოზე გამოვედით, ბუტჩმაც ინება ჩვენთან შემოერთება, მაგრამ მეთევზესავით იქცეოდა: ევერბის სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა, რათა მას ძალა მოეკრიბა და ერთხელ კიდევ შესჭიდებოდა მის ანკესს, ანუ თუნუქის ვარსკვლავს მის ოფლიან პერანგზე. მდელიოზე რომ გამოვედით, ნედი და ოტისი უკვე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, ასე, რვა ნაბიჯით დაცილებულნი, ცოტა მოშორებით კი ლიკურგე იდგა ცხენთან ერთად. ნედი დაღლილ-დაქანცული ჩანდა, ვიცოდი, მთელი ღამე თეთრად გაათენა მას მერე, რაც იმ ვაგონში თივაზე წასთვლიმა ერთი საათი. უძილობას თავისი დაღი დაემჩნია, მაგრამ მაინც ყოჩაღად გამოიყურებოდა. ოტისი კი მშვიდად იჩიჩქნიდა ცხვირს. — აბა, ჭკუის კოლოფო, — ეუბნებოდა ნედი, — შენისთანა ჭკუით სავსე ბიჭი ჯერ არ მინახავს, და რამ-



დენი წლისაც ხარ, კიდევ ერთი იმდენი რომ მოგემატება, ღმერთმა ქნას, ამის ნახევარი ჭკუა მაშინაც გქონდეს.

— დიდი მადლობა. — მიუგო ოტისმა.

— ცხენზე ჯდომა თუ იცი? — ჰკითხა ნედმა.

— კარგა ხანს ვცხოვრობდი არკანზასის ფერმაში, — უფრო უფრო უფრო.

— ცხენზე ჯდომა თუ შეგიძლია-მეთქი? — გაუმეთრო ნედმა, ჩემთვის სულ ერთია, სად ცხოვრობდი ან სად ცხოვრობ.

— სულ ერთი არც არაფერია, — თქვა ოტისმა, — სახლში წასვლას ვაპირებდი ამ დილას. უკვე კარგა ხნის ჩასული უნდა ვიყო კიბლიტს. არკანზასში, მაგრამ გეგმები ისე ამირ-დაპირიეს, ჩემთვის არც უკითხავთ. ხოდა, რას ვიზამ, ჯერ არ ვიცი. რამდენს გადამიხდით, ამ ცხენზე რომ შევჯდე?

— ოტის! — დაუძახა ევერბიმ.

— აბა, ჯერ რა ვიცი, — ოტისივით წყნარად თქვა ნედმა, — სამგზის უნდა გააჭენო და ორგზის მაინც პირველი მიხვიდე. მაშინ ვილაპარაკოთ, რა გერგება.

— ხე-ხე-ხე, — ისე ამოთქვა ოტისმა, არც გაუცინია, — ხოდა, გამოდის, არც არავინ მიიღებს რამეს, ვიდრე შენ არ გაიმარჯვებ, სწორედ შენ. შენ კი ამ ცხენს ადგილიდან ვერ დაძრავ, ვილაც სხვამ უნდა გააჭენოს, ვთქვათ მე. ხომ მართალია?

— ოტის! — დაუძახა ევერბიმ.

— მართალია, — თქვა ნედმა, — ჩვენ ყველას გვაქვს წილი, მაგრამ მხოლოდ მერე შეიძლება გვექონდეს გასაყოფი. შენც სხვებივით უნდა დაიცადო.

— ოჰო, — მიუგო ოტისმა, — ვიცი, ბამბის შემოსავალს როგორც იყოფენ არკანზასში. უბედურება ის არის, წილი ვისაც აქვს, უფრო ცოტა ურგება, ვიდრე იმას, ვინც ანაწილებს. იმას, ვისაც წილი აქვს, კარგა ხანს უწევს ლოდინი, ვიდრე რამეს მიიღებდეს, რადგან არც იცის, სად ეძებოს თავისი წილი! ხოდა, კი სჯობს, ავანსი მომცეთ, და მერე თუკი იქნება რამე, ისე გაინაწილეთ, როგორც გნებავდეთ.

— მაინც რამდენი? — ჰკითხა ნედმა.

— რად გინდა ამის ცოდნა, ჯერ ხომ არც ფულს ჩასულხარ და არც დოლში გაგიმარჯვია. მაგრამ ასე იყო, გეტყვი, ოღონდ საიდუმლოდ. ათი დოლარი მინდა.

— ოტის! — დაუყვირა ევერბიმ და მისკენ გაიწია, — გრცხვენოდეს!

— ნუ ღელავთ, მისს, — უთხრა ნედმა. — თავად მოვუვლი. — დაღლილი იყო, მაგრამ შემართული. დინჯად ამოაძვრინა უკანა ჯიბიდან გადაკეცილი ფქვილის ტოპრაკი, გაშალა, იქიდან ამოიღო გაქეცილი საფულე და გახსნა. ხელი მომეციო, უთხრა ლიკურგეს, იმანაც გაუწოდა. ნედმა ნელა გადათვალა ექვსი დაჭმუჭნული დოლარიანი, წვრილი ფულიც ამოაყოლა, სულ სხვადასხვა ღირებულების. — თხუთმეტი ცენტი უნდა გქონდეს, მაგრამ ბატონი ჰოგანბუკი დაამატებს.

— საწამლის დაამატებს? — ჰკითხა ოტისმა.

— სულმთავი, ათი ცენტო. — უთხრა ნედმა.

— ონ-ეცაზრად უნდა გეგოფონია, — მიუგო ოტისმა, — მე ოცი გითხარი, — ახლან კიბუნმა გეტყვნა, ოტისმა.



— ეშმაკმა დალახვროს! — ამოთქვა.

— დაიცადეთ, — უთხრა ნედმა. დაუყოვნებლივ ერთი მეორის მიყოლებით აკრიფა ის ფული ლიკურგეს ხელისგულიდან, ჯერ წერილი, მერე ქალაღდიაა. საფულეში ჩააბრუნა, დაკეტა, გადაკეტა ის ფქვილის ტომარაკი და ჯიბეში ჩაიდო. — მას, უარს ამბობთ, — ასე უთხრა ოტისს.

— აკლია და რა ვქნა. — მიუგო ოტისმა.

— ბატონ პოგანბეკს უნდოდა იმის დამატება, რაც აკლდა, — თქვა ნედმა, — მაგრამ კაცობა ის არის, პირდაპირ გვითხრა, რომ არ გინდა ამ ცხენით გაჯირითება. თუ რაღატომ; არც გკითხავთ. — ერთმანეთს უმზერდნენ. — მოდი, გულახდილად თქვი.

— არა, — უთხრა ოტისმა, — არ მინდა ჯირითი. — და მერე კიდევ რაღაც უნმანური თქვა. გადმოადინდა, რაც მის სულში იყო: სიმყრალე და ასევე სიკვლე; ეს მისი ბუნება იყო. მაგრამ იმის ცოდნა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა, რაღას გვიშველიდა. ამჯერად კი სტაცა ხელი ევერბიმ და მაგრად შეაჯახა ჯიბეში. ოტისმა დაუღრინა, შებგინა; თანე დამანებე, თორემ მე ვიცი, რასაც ვიტყვიო.

— მხოლოდ მითხარი და, — თქვა ბუტჩმა, — ღდინს გავაგდებინებ, პრინციპის გულისთვის და არა სიამოვნებისათვის. ამ ჩვენმა ძმაბიჭმა ამდენი როგორ მოუთმინა და არ გაჰკრა ყბაში.

— არა, — უთხრა ევერბიმ ბუტჩს. ოტისს ხელს აღარ უშვებდა; — პირველივე მატარებლით სახლში წახვალ, იცოდე!

— რას კაკანებ! — ოტისმა მიუგო, — შენი ბრალია, თორემ იქ ვიქნებოდი ახლა. — ევერბიმ ხელი გაუშვა. — ნადი, ეტლში ჩაჯექი, — ასე უთხრა.

— ამის ნდობა არ შეიძლება, — თქვა ნედმა, — თან უნდა გაჰყვე. — მერე დასძინა: — კარგი, ყველანი ქალაქს დაბრუნდით. სალამოს კი მე და ლუციუსს ეტლი გამოგვიგზავნეთ.

მივხვდი. რა გამოსავალიც ნახა, თითქოსდა ასე უნდოდა მოეგვარებინა თავისი საქმე. მაგრამ ბუტჩმა აჯობა: თავდაჯერებულმა მეთევზემ ისე მოიქნია ანკესი, თევზი შეუჭირვებლივ უნდა წამოგებოდა.

— კარგი. — ასე თქვა, — გამოგვიგზავნე ეტლი. — ევერბი და ოტისი წავიდნენ. — ეს საქმე მოვაგვარეთ, მაგრამ ამ ცხენზე ვინლა შეჯდება?

— აი, ეს ბიჭი, — უთხრა ნედმა, — ცალი ხელითაც კარგად შეძლებს.

— ხე-ხე-ხე. — ამჯერად მართლა გაიცინა ბუტჩმა. — გასულ ზამთარს ვნახე, ამ ცხენს რა სირბილიც შეუძლია. იქნებ ცალი ხელით კი შეძლოს მისი გამოფხიზლება, მაგრამ ეგ რას უშველის, პოლკოვნიკ ლინსკომის ბედაურს ვერ გაუსწრებს. თუნდაც იმდენი ხელი ჰქონდეს, რამდენიც ობობასა და მრავალფეხას.

— შეიძლება მართალი ხართ, — მიუგო ნედმა. — სწორედ ამის შემომხება გვინდა ახლა, შვილო, — ლიკურგეს მიუბრუნდა, — აბა, ერთი ის ქურთუკი მომეცი. — ქურთუკისთვის თვალი არ მომიკრავს აქამდე, მაგრამ ლიკურგეს ქურთუკიც თან ჰქონდა და სახრეც. ნედმა ორივე გამოართვა და ქურთუკი გადაიცვა. მერე ასე უთხრა ბუნსა და ბუტჩს: — იქით დადექით, იმ ხეების ჩრდილში, სადაც პასემ ბიძიაა, რომ ცხენი არ შეშფოთდეს. — აბა ერთი ფეხი მომეცი, — მე მითხრა. ხოდა, ასეც მოვიძიცი, ანუ ნედმა ცხენზე შემსვა, ბუნი. ბუტჩი და ლიკურგე კი ხის ძირ-



ში დადგნენ, ბიძია პარშემის გვერდით. თუმცა დილით ცხენი მხოლოდ სამგზის გავაჭენე ამ მდელით, სარბენი ბილიკი უკვე გაკვალული იყო, და მე რომც ვერ შემემჩნია, მეხთამტეხელი აუცილებლად დაინახავდა. ნედმა სწორედ იმ ადგილას დააყენა, საიდანაც ამ დილას ავიღეთ სტარტი. მოკლედ და წყნარად ლაპარაკობდა. სულაც არ ჰგავდა ამდენად ბიძია რიმუსს. არც არასდროს ჰგვანებია, თუკი ჩემთან დასაჯვისთვის ხალხთან ჰქონდა საქმე.

— ხვალინდელი სარბენი ბილიკი ნახევარ მილზე მეტი არ იქნება, ასე რომ ორგზის უნდა შემოურბინო. მოიქეცი ისე, როგორც ხვალ დილას მოიქცეოდი ნამდვილ სარბენ ბილიკზე, ცხენმა იცოდეს, რაც იქნება და რაც უნდა გააკეთოს. გესმის?

— დიახ, — მე ვუთხარი, — ორჯერ შემოვურბენ...

სახრე გამომინოდა.

— უნდა გააჭენო რაც ძალი და ღონე გაქვს. ერთხელ გადაუჭირე, მაშინ, როდესაც სულაც არ მოელის. მერე კი არ გინდა, ვიდრე არ გეტყვი, სვლა არ შეანელებინო, ფერდებზე ფეხები მოუჭირე, შეუძახე, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეს, მაგრად იჯექი, გახსოვდეს, ორჯერ უნდა შემოურბინო, ეცადე, ეს ცხენმაც დაიმახსოვროს. მაკ-კასლინის ბედაურებს კი აჭენებდი, მაგრამ ამას ცოტა სხვანაირად უნდა მოექცე, სახრეც ამიტომ მოგეცი. მაგრამ არ დაჰკრა, იცოდე, სანამ არ დაგიძახებ. — მიტრიალდა, ჯიბეში ქექვა დაიწყო. მერე რაღაც ამოაძვრინა, ვერ დავინახე. რაღაც წვრილი უნდა ყოფილიყო. სუნი ვიგრძენი, სუსტი, თუმცაღა მკვეთრი; მიკვირს, იმნამსვე როგორ ვერ მივხვდი, რისი სუნი იყო, მაგრამ მაშინ დრო არ მეყო ამისთვის. ნედი მოტრიალდა ისევ და ცხენს ისე დაუყვავა, როგორც დილით, როდესაც ვაგონში შეჰყავდა, ნამით ჩიჩვირზე ხელი მოუთათუნა და მერე უკუმიდგა. მეხთამტეხელმა მისკენ გაიწია, მაგრამ შევაკავე. — გასწი! — დაიყვირა ნედმა. — გადაუჭირე!

მეც გადავუჭირე, ცხენი შეკრთა, ერთი გადახტა და წინ გაიჭრა. ნახევარი ნაბიჯი და დავიმორჩილე, სრული ერთი ნაბიჯი და მიხვდა, რაც გვინდოდა: ბილიკს უნდა გაჰყოლოდა ჭენებით. ხოდა, ისიც გაფრინდა, დამფრთხალი იყო და, სანამ გონს მოეგებოდა, აღვირს მოვწიე და ფერდებზე ქუსლები მოვუჭირე. ბილიკიდან რომ არ გადასულიყო. მაგრამ მალე დილანდელი ამბავი განმეორდა: კარგად მირბოდა, კიდევაც მემორჩილებოდა. ძალაც მოზღვავებოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მის თავს არ სურდა სწრაფი ჭენება. ასე გაგრძელდა მანამდე, ვიდრე არ მოვუხვით და ნედი არ დაინახა მოპირდაპირე მხარეს. მაშინ კი გადარიდა, აიწყვიტა. აღვირი კინალამ ხელიდან არ წამგლიჯა. თავი ძლივს შევიმაგრე, როგორც იქნა საღი ხელით აღვირს მოვსწიე და ცხენი ისევ სავალზე დავაბრუნე, საიდანაც ისევ ხედავდა ნედს. კიდევ ერთხელ აიწყვიტა. ღრჭიალი გაიღო ლაგამმა, მაგრამ ნატკენი ხელიც მოვიშველიე და ბილიკიდან გადასვლა არ დავანებე. საუკუნე გავიდა-მეთქი, მეგონა, ვიდრე ნედის ხმას გავიგონებდი:

— გადაუჭირე და სახრე გადააგდე.

გადავუჭირე და სახრე ზურგს უკან მოვისროლე, ისევ შეხტა, მაგრამ ამჯერად ცალი ხელით შევძელი მისი დაოკება, აღვირს მოვსწიე და გზიდან აღარ გადავახვევინე. კარგადაც მირბოდა ახლა, მეორე წრეს ვურ-



ტყამდით და მე უკვე მზად ვიყავი, როცა მოვუხვევდით. ნედს დაინახავდა და ისევ გავიდოდა სწორეზე. ნედი კი ფინიშის ხაზიდან ოცი იარდის დაშორებით იდგა და ხმადაბლა ამბობდა რაღაცას, ოღონდ ისე, რომ მეხთამტეხელს გაეგონა, როგორც წუხელ იმ ვაგონის კართან და სახრე ახლა სულაც აღარ მჭირდებოდა. სულ ერთია, იმის მოშველიებას მაინც ვერ მოვასწრებდი, ხელთ რომც მქონოდა. აქამდე ვფიქრობდი ერთხელ მაინც ვმჯდარვარ-მეთქი ფიცხ ცხენზე; ბიძია ზაკის შერეული სისხლის ულაცს ვგულისხმობდი, მორგანის ჯილაგისას, მაგრამ რასაც ახლა ვგრძნობდი, პირველად იყო. — ცეცხლოვანი ჯირითი, ქარზე უმაღესი ქროლვა, თითქოსდა აქამდე პალოზე გამობმული თოკი გვაკავებდა და ახლა ნედის ხმამ განყვიტა.

— მოდი, ვაჟო, მოდი, აიღე.

და აი, ჩვენ ვდგავართ. მეხთამტეხელს დრუნჩი ისე ჩაურგავს ნედის მუჭში, ნესტოებიც არ უჩანს. მაგრამ ახლა მხოლოდ ცხენის ოფლის მკვეთრი სუნი მცემს და მხოლოდ ერთ ბლუჯა ბალახს ვხედავ, ცხენი რომ ცოხნის. ნედმა კი ხი-ხი-ხიო. ისე წყნარად და ალერსიანად ჩაიცინა, რომ მეც ჩურჩულით ვკითხე, რა არის-მეთქი. მაგრამ ამ დროს ბუნი მოგვიახლოვდა; ის კი სულაც არ იყო ჩურჩულის გუნებაზე.

— დასწყევლოს ღმერთმა! რა სიტყვა უთხარი ასეთი ჯადოსნური?

— არც არაფერი, — მიუგო ნედმა, — ვახშამი თუ გინდა, მოდი-მეთქი. — არც ბუტჩი ალაპარაკდა ჩურჩულით, კაცი თავხედი, თავდაჯერებული, რეგვენი, უწყალო და სინდისგარეცხილი.

— კარგი აბა, — თქვა და ცხენს თავი ისე ააწვეინა ნედის ხელიდან, კინალამ მოაგლიჯა, და სანამ ცხენი ისევ დასწევდა, პირში ლაგამი ჩასჩარა.

— დამაცადეთ, მე თვითონ. — სწრაფად უთხრა ნედმა. — რა გნებავთ?

— ვინმეს დახმარება თუ დამჭირდება, შენ მაინც არ დაგიძახებ, — თქვა ბუტჩმა, — შენ მისისიპიში დაგიძახონ საშველად. — მეხთამტეხელს ტუჩი ამოუტრიალა, ჯერ ღრძილები დაუთვალიერა, მერე თვალეებშიც ჩაბედა, — შენ თუ იცი, კანონია ასეთი, დოლის წინ ცხენს დოპინგს ვერ მისცემ. შეიძლება თქვენ იქ, იმ ჭანჭრობში არც გაქვთ გაგონილი ამის შესახებ, მაგრამ უნდა იცოდეთ.

— მისისიპიში ჩვენც გვყავს ცხენის ექიმები, — მიუგო ნედმა, — შეგიძლიათ ერთი იმათთაგანი ჩამოიყვანოთ, რომ ნახოს, თუ აქვს რამე გადაყლაპული.

— კარგი, კარგი, — უთხრა ბუტჩმა. — მაშინ დოლის წინა დღეს რად მიეცი? ვნახო, როგორ იმოქმედებსო?

— მართალი ხართ. — ნედმა თქვა, — თუკი მივცემდი, სწორედ ამიტომ, მაგრამ არც არაფერი მიმიცია. ცხენებისა თუ გესმით რამე, მიხვდებოდით, რომ ასეა.

— კარგი, კარგი, — მიუგო ბუტჩმა, — არავის საიდუმლო მე არა მჭირდება, არც ჩავერევი, ოღონდ ხეირი ვნახოთ. ხვალაც ასე გაჭენდება ეს ცხენი? თანაც ერთხელ კი არა, სამივეჯერ?

— ორჯერაც საკმარისი იქნება. — თქვა ნედმა.

— ასე იყოს, — თქვა ბუტჩმა. — მაგრამ ორჯერ კი შეიძლება?



— ბატონ ჰოგანბეკს ჰკითხეთ, ორჯერ რომ არ მოიგოს, რა იქნება, — უთხრა ნედმა.

— ბატონ ძმაბიჭს არ ვეკითხები, — თქვა ბუტჩმა, — შენ ვეკითხები.

— შემიძლია ორჯერ მოვაგებინო, — მიუგო ნედმა.

— კარგი, — უთხრა ბუტჩმა, — კაცმა რომ თქვას, სამგზისა შისაცენი დოზა თუ გაქვს, ჯობს მართლაც მხოლოდ ორჯერ გარისკო. თუკი მეორედ წააგებს, რაც დაგრჩება, ისიც მიეცი, რომ მისისიპიმდე ჭენებით მივიდეს.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა ნედმა. — ნადი და თავლაში შეიყვანე, — მითხრა მე, — ჯერ გაგრილდეს და მერე დავბანოთ.

ბუტჩი თვალს არ გვაცვილებდა. ცხენი თავლაში შევიყვანეთ და უნაგირი მოვხადეთ. ლიკურგემ ვედრო და ჩვარი მოიტანა, დაბანა და ჯვალთი გაამშრალა. მერე ბაგაში დააყენა და უნდოდა ეჭმია, მაგრამ ბუტჩმა უთხრა:

— ჰეი, შენ, ბიჭო, სახლში გაიქეცი და აივანზე დოქით წყალი და ცოტა შაქარი გამოიტანე. მე და ბატონი ძმაკაცი პუნშს გავიკეთებთ, — მაგრამ ლიკურგე არც განძრეულა, ვიდრე ბიძია პარშემმა არ უთხრა, ნადიო.

ლიკურგე წავიდა. ბუნი და ბუტჩიც მიჰყვნენ, ბიძია პარშემი კი დარჩა თავლის კარში მდგომარე, იმათ გაჰყურებდა (უფრო სწორად ბუტჩს) გამხდარი ბერიკაცი, რომლის შავ-თეთრი ფიგურაც დრამატიზმით იყო აღსავსე — შავი შარვალი, თეთრი პერანგი, შავი სახე და შავი შლაპა, საიდანაც თეთრი თმა მოუჩანდა, თეთრი უღვაში და თეთრივე ესპანურა.

— კანონის კაცია, — ასე ამოთქვა, წყნარად, ცივად და აუმღვრევლად, ზიზღითაც.

— ზოგს ჭკუა არა აქვს, ხოდა. საკმარისია, რაღაც სამკერდე ნიშანი იშოვოს, რომ მაშინვე თავში აუვარდება და თავის გარშემო მყოფთაც თავბრუს დაახვევს. — თქვა ნედმა, — თუმცა სამკერდე ნიშანი რა მოსატანია, პისტოლეტმა გადარია ეს კაცი. ჯერ კიდევ პატარა ბიჭს ალბათ ძალიან უნდოდა იარაღი, თუმცა კი იმთავითვე იცოდა, როცა გაიზრდებოდა და იშოვიდა, კანონი მისი ტარების უფლებას არ მისცემდა. ხოდა, ახლა დაუბნევია პოლიციელის ნიშანი და აღარც შიში აქვს, ციხეში მიკრავენ თავს და იარაღს ჩამომართმევენო, ამ ხნის კაცს გაღლობას აღარ დამანებებენო. მთელი უბედურებაც ის არის, ბავშვობიდანვე იარაღზე ფიქრით ათენებდა და აღამებდა და შეიძლება ტვინი ისე გადაუბრუნდეს, ვინმე სულიერი მიზანში ამოიღოს და გააგოროს.

ლიკურგე დაბრუნდა და მითხრა:

— შენ გელოდებიან, ეტლში სხედან.

— ქალაქიდან უკვე დაბრუნდნენ? — ვკითხე.

— ქალაქს არც წასულან, — თქვა ლიკურგემ, — სულ აქ არიან, ის არც გადმოსულა ეტლიდან, იმ ბიჭთან ერთადაა და მთელი ეს ხანი სულ თქვენ გელოდებათ.

— დაიცადე, — დამიძახა ნედმა. შევჩერდი, ხელზე ისევ ის საჯირი-



თო თათმანი მქონდა და ვიფიქრე, უნდა წამაძროს-მეთქი. მაგრამ ის მხოლოდ მიმზერდა. — ახლა კი აღარ მოგასვენებენ.

— ვინ არ მომასვენებს? — მე ვკითხე.

— უკვე ხმა გავარდა, დოლი იქნებაო.

— ხმა გავარდა?

— ჰო, რაღას არ ამბობენ. — თქვა ნედმა. — ხმის გავრცელებას რა უნდა, ამისთვის ათი მილის სიგრძის მინდორი და ორი სადოლე ცხენიც კმარა. რას ფიქრობ, საიდან გამოტყვრა ასე უეცრად ეს კანონის დამცველი? იქნებ ძალღივით სუნი აიღო, ოთხი თუ ხუთი მილით დაცილებულ დაბაში თეთრი გოგო ჩამოსულაო? თავიდან კი მქონდა იმედი, ბუნ ჰოვანბექს შეიძლება ახლაც არ დაუკარგავს, რომ ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დოლს მოვანყობდით, ამ ორ ცხენს შევაჯობებდით, გავიმარჯვებდით ან დავმარცხდებოდით და მერე მე, შენ და ის სახლში დავბრუნდებოდით ან სადმე უფრო შორსაც წავიდოდით, სადაც ჩვენი პატრონის ხელი ვერ მოგვწვდებოდა. მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თავიდან ველარ მოიცილებ მათ. ხვალ კი საერთოდ აღარ ამოგასუნთქებენ.

— დოლს ხომ გავმართავთ?

— უნდა გავმართოთ. ალბათ მაშინვე უნდა გაგვემართა, როგორც კი მე და ბუნი მივხვდით, რომ პატრონმა მთელი ოცდაოთხი საათით დატოვა თავისი ავტომობილი. მაგრამ ახლა ნამდვილად უნდა გავმართოთ.

— მე რა უნდა ვქნა? — შევეკითხე.

— არც არაფერი. ამასლა გეტყვი, ნულარაფერს გაიკვირვებ. ჩვენი გასაკეთებელი ესლა არის, სარბენ ბილიკზე დავაყენოთ ის ცხენები და ვუჩვენოთ, საითაც უნდა გაჭენდნენ, შენ კი მეხთამტეხელზე მჯდომარემ ის უნდა გააკეთო, რასაც გეტყვი. გასწი, სანამ დაგიყვირებდნენ.

(გაგრძელება იქნება)



## ლექსები

ესპანურიდან

თარგმნა კამილა კორინთადა



### კანტა სონდოს პოეზიდან

მინა გამხმარი,  
მინა მდუმარე,  
უკიდევანო ლამეების მინა.

(ქარი ზეთისხილის ქალებში,  
ქარი მთების მწვერვალებზე).

მინა ძველისძველი,  
მქრქალი სანთლის და კაეშნის მინა,  
მინა ღრმა წყალსატევეების,  
ბრმა სიკვდილის  
და ისრების მინა.

(ქარი გაჰკივის შორეულ გზებზე,  
ნიაფი არხევს ალვების ხეივნებს).

### ცეკვა

სევილიის ცხელ ქუჩებში  
ლამლამობით ცეკვავს კარმენ,  
ქალი თეთრი კულულებით,  
ანთებული მზერით.

გოგონებო, ფანჯრებს განერიდეთ!

მის თეთრ თმაში იკლაკნება  
შუქის მოყვითალო გველი,

მის ცეკვაში ილანდება  
სიყვარული ძველი.

გოგონებო, ფანჯრებს განერიდეთ!

ქუჩებს ძილი მოეძალა,  
ლამე ითვლის ჩრდილებს,  
ანდალუსური გული დაეძებს  
გარდასულ დღეთა ტკივილებს.

### ნაცემი გოგონის სიმღერა

ოცდაოთხი დარტყმა.  
ოცდანუთი დარტყმა.  
მერე კი, დედიკო, ლამით,  
მე გამახვევენ ვერცხლის ქალაქში.

ჟანდარმო, გემუდარები,  
დამალევინე ყლუპი წყალი,

წყალი თევზებით, გემებით,  
წყალი მომეცით, წყალი!

ჰეი, ჟანდარმების უფროსო,  
რა კარგად დამიგეთ მახე!  
სად არის შეიდიშის სახოცი,  
რომ შემიხოცოს ნაბეგვი სახე.

### ამარგოს დედის სიმღერა

მოასვენებენ ჩემი ზენარით  
ჩემი ნალველით ჩემი ხელები.

აგვისტოს ოცდაშვიდს.  
პატარა ოქროს დანით.

ჯვარი. ვიაროთ წყნარად!

ის შავგვრემანი იყო და ოჰ, რა მწარე!

ქალებო, დოქი მომანოდეთ,  
თითბერის დოქი ლიმონიანი წყალით.

ჯვარი. ნუღარ იტირებს ნურავინ!  
ამარგო უკვე მთვარეზე არის.



### წიგნიდან „სიმღერები“

#### მხედრის სიმღერა

კორდოვა.  
შორეული, ერთადერთი,  
ჭაკი შავი, მთვარე დიდი  
და ხალთაში — ზეთისხილი.  
ყველა გზა და შარა ვიცი,  
მაგრამ იქ ვერასგზით ჩავალ.  
ველს გადავჭრი. ქარი ჰკივის.  
ჭაკი შავი. მენამული მთვარე.

მე სიკვდილი მითვალთვალებს  
კორდოვის ყველა კოშკიდან.  
გზა ულავი, შორზე შორი,  
ჭაკი ჩემი მარდი, მკვირცხლი.  
სიკვდილი კი მიცდის, მიცდის,  
კორდოვაში არ შემიშვებს.

კორდოვა.  
შორეული, ერთადერთი.

#### გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ზ ა

მე თუ მოვკვდები,  
აივანი დატოვეთ ღიად.  
ბავშვი ჭამს ფორთოხალს.  
(ჩემი აივნიდან ამას დავინახავ).

მომკალი იღებს ჭირნახულს  
(ჩემი აივნიდან ამას შევიგრძნობ).  
როცა მოვკვდები,  
დატოვეთ აივანი ღიად.

#### მთარგმნელის კომენტარი

**კანტე ხონდო** — ესპანურად (ანდალუსურ დიალექტზე) ნიშნავს: „სიღრმის (ანუ სიღრმისეული) სიმღერა“. ეს არის ლორკას თქმით „ჯგუფი ანდალუსური სიმღერების“, „ყველაზე ღრმა და ამაღელვებელი, გულში ჩამწვდომი სიმღერები ჩვენი იდუმალი სულისა“, „ალმასის გული ჩვენი სიმღერების“, „ძაფი, რომელიც გვაკავშირებს იდუმალ აღმოსავლეთთან“ და მისი საწყისები „უნდა ვეძებოთ ინდოეთის უძველეს მუსიკალურ სისტემებში“. „XV საუკუნის დასაწყისში ინდოეთიდან გაძევებულმა ბოშებმა, — ამბობს ლორკა, — შემოიტანეს ჩვენს ქვეყანაში თავიანთი უძველესი სიმღერისეული საწყისები და შეძლეს მათი გაერთიანება აქაური, — ე. ი. ანდალუსური, — სიმღერების უძველეს ელემენტებთან“.

„კანტე ხონდოს პოემა“ — ლორკას ლექსების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი წიგნია (1931 წ.).

**ბრმა სიკვდილი** — ლორკას პოეზიაში სიკვდილი ყოველთვის ბრმაა, „უთვალო“ („sin ojos“).  
**ისრები** — ასევე სიკვდილის ნიშანია.

**ამარგო** — ესპანურად ნიშნავს სიმწარეს. ამარგო არის „კანტე ხონდოს პოემის“ გმირი — ახალგაზრდა ბოშა კაცი.

**მთვარე** ლორკას პოეზიაში არის სიკვდილის საუფლო. **ზეთისხილი** და **ლიმონი** მარტორბის, უილბლო სიყვარულის, წუხილის განსახიერებაა. ორივე ხშირად უკავშირდება მთვარეს, როგორც სიკვდილის ან მისი ახლო ყოფნის ნიშანს. მთვარეზე სიკვდილის შემდეგ აღიან ლორკას დაღუპული გმირები. მთვარეზე იმყოფება ამარგოც, მთვარე უთვალთვალებს მხედარს და არ შეუშვებს



მას კორდოვაში—თავისთან წაიყვანს. მთვარეს უკავშირდება ძაღლის ყეფაც. საინტერესოა, რომ ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგში“ ვხვდებით მსჯელობას, რომელიც არ შეესაბამება ქართულ პოეზიაში არსებულ ტრადიციას მთვარესთან დაკავშირებით და უახლოვდება მთვარის/ლორკასეულ აღქმას: „მგელიც და ძაღლიც მთვარეს უყეფენ“... დაღლილ ყმუღის, როცა ვინმე კვდება, ის „მძორის სუნს იუნოსავს“, „მთვარე ლეშის უყეფეს“... „მთვარე მოხარულია ძაღლების ყეფით... ამ ლეშს უყმუღიან მგლებიც... მთვარე მძორი პლანეტაა“.

ფორთოხალი უკავშირდება სიყვარულს.

შორეულის განცდა, მიუწვდომელისკენ სწრაფვა (აქ — კორდოვა) — ერთ-ერთი დამახასიათებელი ლორკასეული მოტივია, ისევე როგორც სიკვდილის — სიცოცხლის — სიყვარულის თემა.



## ინგლისური პალატა

ინგლისურიდან

თარგმნა თამაზ შიოღიაშვილი

ლი ჰანტი

(1784—1859)

### ხელთათმანი და ლომაგი

ფრანგთა ხელმწიფეს\* უყვარდა  
ლომთან ტყვის ბრძოლა დიდად,  
ერთხელ ბრძოლის წინ ლოჟიდან  
მანუქს უცქერდა მშვიდად.  
დიდებულებიც დამსხდარან  
ცოლ-შვილიანად სრულად,  
სათაყვანები არსება  
გრაფ დე ლორეს ახლავს სტუმრად.  
მხიარულება, ხალისი  
დუღს და გადმოდუღს ზემოთ,  
ფაფარაშლილი ლომები  
დანავარდობენ ქვემოთ.  
საზარი ბრძღვინვა-გნიასი  
უდგათ მძვინვარე ლომებს,  
ყალყზე დგებიან, ქშუილით  
იქნევენ მძიმე ტორებს.

იკბინებიან, გორავენ,  
ერთურთს დასდევენ ხენეშით,  
მეფემ თქვა: — კიდევ კარგი, რომ  
ჩვენ არ ვყავართო ხელში.  
გრაფის მწყალობელ ლამაზმანს  
ეს რომ ჩაესმა ყურში,  
ცივი თვალები აენტო,  
უმაღ გაივლო გულში:  
საქმრო უებრო ვაჟკაცი,  
მეუღრეკელი მყავსო,  
ჩემი გული რომ მოიგოს,  
არ დაიხოგავს თავსო.  
მეფე და დიდებულები  
ყველა გვარტყია გარსო,  
მტერ-მოყვარეს თუ მოშურნეს  
მყის დაუყენებ თვალსო.

\* დედანში მოხსენიებულია საფრანგეთის მეფე ფრანსის I (1494—1547).



ძირს ხელთათმანი ჩაავლო,  
 თვალის სეირი ართობს,  
 თან გამომწვევი ღიმილით  
 ცერად უცქერის საქმროს.  
 მან მდაბლად თავი დაუკრა,  
 ლომებში ჩახტა ხზარტად,  
 ხელი დაავლო ხელთათმანს,  
 აქოიტანა მარდად.

სკამისკენ დინჯად გასწია,  
 მწარედ შეკვროდა კრიჭა,  
 ის ხელთათმანი საცოლეს  
 ზიზღით სახეში ხობლიშა/  
 მეფემ თქვა: ჭკუის სახწავლად  
 სხვებს უნდა დარჩეთ მსოფს,  
 სიყვარულს ხარკი რად უნდა?!  
 ამპარტაუნობას სდევსო.

ოლივერ გოულდსმიტი  
 (1728—1774)

ელეგია მოფაკი ძალღის სიკვდილზე

ყური დამივდეთ, ძვირფასნო,  
 ერთი სიმღერა ვითხრათ,  
 თუკი ვერ გაგახალისებთ,  
 არც თავს შეგაწყენთ დიდხანს.  
 იზლინგტონს კაცი ცხოვრობდა,  
 ერიც აქებდა, ბერიც,  
 მასსავით სათნო ამქვეყნად  
 არ დაგვიდისო ბევრი.  
 წყნარიც არისო, კეთილიც,  
 სულ დარღი ჰქლავსო სხვისი,  
 დიდს თუ პატარას უყვარდა  
 და ხათრი ჰქონდა მისი.  
 იმავ ქალაქში ქოფაკი  
 დაწანწალეობდა ერთი,  
 ყველას უღრუნდა, ერჩოდა,  
 მთლად გასწყრომოდა ღმერთი.

იმ კაცმა ძალღიც მოხიბლა,  
 ნელ-ნელა იგრძნო ხალხმა.  
 თავის მეგობრად რომ იცნო,  
 მაშინ დაკბინა ძალღმა.  
 თქვეს, ღმერთი რაღად აჩენსო  
 ასეთ ოხერს და ამკლებს,  
 არ ემსხვერპლოსო საწყალი  
 იმ საძაგელის ნაკბენს.  
 ძალღს წყევლა-კრულვას უთვლიდნენ,  
 რისხვით შფოთავდა ბევრი,  
 თუმცა სიმართლეს, ეტყობა,  
 ხშირად ვერ ხვდება ვერვინ.  
 მალე ისეთი რამ მოხდა,  
 სახტად დატოვა ხალხი:  
 ნაკბენი კაცი გადარჩა,  
 მოწამულამ მოკლა ძალღი.

ხალხური

ალანის წყლის პირას

ალანის წყლისა პირას  
 გაზაფხული რომ დადგა,  
 მეწისქვილის ქალს ეშხით  
 ბადალი არა ჰყავდა.  
 მწველ ტრფობის აღში ხვევდა  
 მებრძოლი ტკბილი ენით,  
 ალანის წყლისა პირას  
 ქალი ფრინავდა ლხენით.

ალანის წყლისა პირას  
 მსაულის დადგა ხვათი,  
 ტურფა ასულის ღიმილს  
 ვერ იხილავდა თვალი.

რადგან ზაფხულში საქმრომ  
 ის გააბრიყვა მწარედ,  
 ალანის წყლისა პირას  
 ქალი ცრემლს ღვრიდა ცხარეს.

ალანის წყლისა პირას,  
 სადაც თოვს, ბარდნის ამდენს,  
 მეწისქვილის ქალს ქარი  
 თოშავდა, სცემდა ნამქერს.  
 ბედშავ, გათოშილ ასულს  
 სულ მალე ხსნა ხვდა სრული,  
 ალანის წყლისა პირას  
 საწყალს ამოხდა სული.



ორი მდინარე

ვიჟმაჟ ტვიდს მდორე ტილისთვის  
დაცინვა გაუბედავს:  
— ნელი დინება, ზოზინი,  
არა გწყინდება ვხედავ! —  
ტილს მკვახედ უპასუხნია:

— დაცინვას როგორ ბედავ!  
თუმცა კი მარდად მიქრიხარ,  
მოელ ქვეყანასთან ანხლობ,  
შენ სანამ ერთ კაცს ემსხვერპლებ,  
მე ორ კაცს წყნარად ვეზხინებ.

ამერიკელი ზანგი პოეტები

ქაუნტი ქალენი

შ ე მ თ ხ ვ ი ვ ა

ერთხელ ბალტიმორს სტუმრად მყოფს,  
ლალად მიმაგალს შინ,  
ბალტიმორელი ბიჭუნა  
შემომეყარა წინ.

შეეცინე, — იმან: „ზანგო“,  
და ენა გამომიყო.

რვა წლისა ვიყავ მე მაშინ,  
ისიც ჩემი ხნის იყო.

კარგა ხანს დაყავ ბალტიმორს,  
გამოვემგზავრე ბოლოს,  
იქ ნანახიდან ხსოვნაში  
ესლა შემომრჩა მხოლოდ.

ნაიომი ლონგ უინთერსპუნი

ლ ტ ო ლ ვ ი ლ ი

— სივარეტი ხომ არა გაქვს?  
— ესლა მაქვს ერთი ღერი.  
ჩემნაირ ლატაკისათვის  
ევეც ყოფილა ბევრი.

გამოვეთხოვე ჩემს ცოლ-შვილს,  
მშობლიურ არემარეს,  
და ღამით გადმოვიხვეწე  
ცივსა და უცხო მხარეს.

ცხენიც მყავდა და ცოლ-შვილიც,  
კაცად მომქონდა თავი:  
თეთრკანიანის დასმენამ  
ღღე გამითენა შავი.

ჩემი ოჯახის დარდი მკლავს,  
კიდევ თუ ენახავ ნეტავ,  
სამშვიდობოს ვარ ჩრდილოეთს,  
მაგრამ თავსა ვგრძნობ კენტად.

ცილი დამწამა შერიფთან,  
ყაჩაღთა ბანდა მყავსო,  
ერთმა მმაკაცმა მირჩია,  
სწრაფად უშველე თავსო.

ცუდად ჩაცმული, უჭედო,  
დავალ, სამსახურს ვეძებ,  
ეს სივარეტი შემომრჩა,  
იქნებ წ მართვით ესეც.





# იოჰან ვოლფგანგ გოეთე



გერმანულიდან

თარგმნა დანი შანჯიკიძე

## ჩემი ცხოვრება, პოეზია და სინამდვილე

(თარგმანი შესრულებულია გამოცემლობა „ფილიპ რეკლამის“ შემოკლებული ვარიანტის მიხედვით).

### პირველი ნაწილი

#### წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომის წინასიტყვაოდ, რომელიც ალბათ ყველა სხვა ნაშრომზე მეტად საჭიროებს შესაებადს, ერთი ჩემი მეგობრის ბარათი გამოვიყენე, მითუმეტეს, რომ ასეთ საჭოჭმანო საქმეს მისი წაქეზებით მოეკიდე ხელი:

„ძვირფასო მეგობარო! აი, ჩვენ უკვე თავი მოუყარეთ თქვენი თხზულებების თორმეტ წიგნს და მისი გადაკითხვისას ბევრ ნაცნობსა და უცნობ რასმე წავაწყდით. ზოგი რამ მივიწყებულსაც გაცოცხლდა ამ კრებულის წყალობით და ახლა ჩვენს წინ ჩამწკრივებული ერთი ფორმატის ტომების შემყურეთ აღარ ძალგვიძს ისინი ერთ მთელად არ აღვიქვათ და თან სურვილი არ გავიჩნდეს მათგან შევიქმნათ ავტორისა და მისი ტალანტის ცოცხალი ხატი. ამასთან, ვერც იმას უარვყოფთ, რომ იმ გაცხობვლებული საქმიანობის პირობაზე, როგორც ავტორმა დაიწყო თავისი მწერლური მოღვაწეობა, ან თუნდაც მას შემდეგ განვლილ დროსთან შედარებით, თორმეტი ტომი შეიძლება გვეცოტავოს კიდევ. თქვს ვერც იმას დავუმაღლავთ, რომ ცალკეული ნაშრომების კითხვისას შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ისინი მეტწილად რაღაც საგანგებო მიზეზებით ყოფილიყოს ნაკარნახევი, მათგან ასევე გამოსჭვივის გარეგანი და შინაგანი განვითარების საეტაპო საფეხურები და ასევე არცთუ იშვიათად გვხვდება გარკვეული დროისმიერი მორალური და ესთეტიკური მაქსიმები და დებულებანი. მთლიანობაში კი ამ ნაწარმოებებს უეჭველად აკლია ერთი გამაერთიანებელი ძაფი, უფრო მეტიც, ხშირად ვერც დაიჯერებ, რომ ისინი ერთი მწერლის კალმითაა შექმნილი.

თქვენს მეგობრებს ამასობაში სრულიადაც არ შეუწყვეტიათ კვლევა-ძიება და უცდიათ კიდევ, როგორც თქვენი ცხოვრებისა და აზროვნების წესის უკეთ მცოდნეთ, გამოეცნოთ ზოგჯერტი გამოცანა და გადაეჭრათ ზოგიერთი პრობლემა. მართალია, მათ საქმეს უიოლებს თქვენდამი ძველი სიმპათიები, ასევე შველით თქვენთან მრავალწლიანი ურთიერთობა და ყოველივე ამისა გამო თვით მოსალოდნელი დაბრკოლებებიც კი მათ თვა-



ლში თავისებურ მომხიბლაობას იძენს, მაგრამ ზოგჯერ მაინც არ გვაწყენდა მცირე შემწეობა, რაზეც იმედია უარს არ გვეტყვით და ჩვენს მეგობრულ ჩანაფიქრს ხელს შემოაშველებთ.

პირველი, რისთვისაც გაწუხებთ, ისაა, რომ ახალი გამოცემისათვის გარკვეული შინაგანი მიმართებების საფუძველზე ქრონოლოგიურად დაგვილაგოთ თქვენი თხზულებები და ასევე თანმიმდევრულად გავანდოთ ის ცხოვრებისეული თუ სულიერი გარემოებანი, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები, ამასთან ნურც იმ მაგალითებს დაივიწყებთ, თქვენზე ზემოქმედება რომ მოუხდენიათ და ნურც იმ თეორიულ პრინციპებს აუვლით გვერდს, რომლებსაც აღიარებდით მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე. ნუ დაიზარებთ ამ გარჯას ვიწრო წრისათვის, ვინძლო იგი უფრო ფართო წრისთვისაც სასიამოვნო და სასარგებლო გამოდგეს. ჩვენი აზრით, მწერალმა ღრმა მოხუცებულობაშიც არ უნდა გაუშვას ხელიდან იმის შანსი, რომ მოყვარულ მკითხველს შორეულ მომავალშიც გაესაუბროს. მერე რა, რომ ყველას არ ძალუძს ხანდაზმულობაშიც შემოგვთავაზოს მოულოდნელი, შთამბეჭდავი ნაწარმოებები, მაგრამ ის მაინც ხომ შეიძლება, სწორედ მაშინ, როცა შემეცნება უფრო სრულყოფილი, ხოლო ცნობიერება უფრო ნათელი ხდება, შენმა საქმიანობამ, ისეთი ინტერესი და მაცოცხლებელი ძალა შეიძინოს, რომ მზა ქმნილებები ხელახალ მასალად გამოიყენო, ერთხელ კიდევ გადაამუშავო და იმათ მიაწოდო, ხელოვანთან ერთად და მისი ზეგავლენით რომ ჩამოყალიბდნენ“.

აი, ამ თავაზიანად გამოთქმულმა მოთხოვნამ გამიღვიძა სურვილი საქმეს შევდგომოდი. რაკი ადრეულ წლებში გულმხურვალედ მივყვებით ჩვენს არჩეულ გზას და იმის შიშით, ვინძლო გზიდან არ გადავუხვიო, სხვათა მოთხოვნებს მოუთმენლად უკუვაგდებთ ხოლმე, გვიანდელ წლებში მით უფრო სასურველია, ვინძეს თანადგომა თუ აგვიყოლიებს და ახალი საქმისადმი სიყვარულით განგვაწყობს. მას შემდეგ მოვკიდე ხელი წინამდებარე სამუშაოს, შევეცადე ჩემი თორმეტტომეულის მოზრდილი თუ მომცრო თხზულებანი ჩამომეწერა და წლების მიხედვით დამელაგებინა, ამასთან ის დრო და ვითარება გამეხსენებინა, როცა მათ ვქმნიდი, ოღონდ საქმე სულ მალე გაძნელდა, რადგან უკვე ცნობილ ფაქტებს შორის ხარვეზების ამოსავსებად ამომწურავი შენიშვნებისა და ახსნა-განმარტებების მოძიება დამჭირდა. აღმოჩნდა, რომ უპირველეს ყოვლისა ის მასალები მკლებია, რაზეც პირველად მომისინჯავს კალამი, მკლებია აგრეთვე ზოგი წამოწყებული, ზოგიც შუა გზაზე მიტოვებული თხზულება, უფრო მეტიც, ზოგიერთი დამთავრებული ნაწარმოების გარეგნული სახე მთლიანად გამქრალა, რადგან იგი შემდგომ თავიდან ბოლომდე გადაამუშავებია და სულ სხვა ყალიბში ჩამომისხამს, გარდა ამისა, იმის გახსენებაც დამჭირდა, რა ენერგია დამიხარჯავს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესასწავლად და ჩემთვის ერთი შეხედვით სრულიად უცხო საგნებში რა ცოდნა აღარ მიმიღია, თანაც მიმეცადინია როგორც მარტოს, ასევე მეგობრებთან ერთად, ესე იგი, ხან ჩუმ-ჩუმად მივარჯიშნია, ხან კი ყველას დასანახად განვსწავლულვარ.

ეს ყველაფერი მინდოდა ჩემი კეთილმოსურნეების საამებლად თანდათანობით მეკეთებინა, მაგრამ ჩემმა შრომა-გარჯამ თავიდანვე შორს გამიტყუა: რაკი მოვიინდომე იმ კარგად გააზრებული მოთხოვნებისთვის



სათანადო პასუხი გამეცა, თავი აღარ დამიზოგავს, რათა შინაგანი და გარეგანი იმპულსები და შთაბეჭდილებანი, ჩემგან თეორიულად და პრაქტიკულად განვლილი საფეხურები რიგრიგობით წარმომედგინა და ამასობაში ჩემი პირადი ცხოვრებიდან ერთბაშად ვრცელ სამყაროში კი გავიჭერი. წინ წამოიწია ასეულობით გამოჩენილი ადამიანები, ფეხურად, რომელთა ახლო თუ შორეული ზემოქმედება განმიცდია, და ასევე იმდენი ყურადღება მოითხოვა მსოფლიო პოლიტიკურმა მდინარებამ, ჩემზე და ჩემს თანამედროვეებზე უზარმაზარი ზეგავლენა რომ მოუხდენიათ. როგორც ჩანს, ბიოგრაფიის მთავარი დანიშნულება სწორედ ისაა, ადამიანი წარმოადგინო თავის ეპოქასთან კავშირში და აჩვენო, რამდენად მავნე ან კეთილისმოყვარეა მისთვის დროება, როგორ შეიქმნა მან საკუთარი მსოფლმხედველობა, ან როგორ შეიძინა ადამიანის შეცნობის უნარი და თუ იგი ხელოვანი, პოეტი ან მწერალია, ეს ყველაფერი მის სულში როგორ აირეკლა და კვლავ გარეთ როგორ გადმოიფრქვა. აი, აქ კი ჩვენგან ლამის შეუძლებელს მოითხოვენ, მოითხოვენ სახელდობრ იმას, რომ ინდივიდი კარგად იცნობდეს საკუთარ თავსაც და თავის საუკუნესაც, საკუთარ თავს იმ გაგებით, ნებისმიერ ვითარებაში თვითონ რამდენად დარჩენილა უცვლელი, ხოლო საუკუნეს იმ აზრით, ეს უკანასკნელი ურჩსაც და მორჩილსაც თან რომ გაიყოლიებს, ჩამოქნის და ჩამოაყალიბებს და თან ისე, რომ საეჭვოა ვინმემ თქვას, თუნდაც ათი წლით ადრე ან გვიან დაბადებული ნებისმიერი ადამიანი თავისი საკუთარი განვითარებისა და გარეგანი ზემოქმედების თვალსაზრისით სულ სხვანაირი შეიძლებოდა გამოსულიყო.

აი ამ გზით, ამდაგვარი დაკვირვებებითა და ცდებით, ასეთი მოგონებებითა და ნააზრევ-ნაფიქრალით შეიქმნა წინამდებარე თხზულება. აქედან გამომდინარე, მხოლოდ მისი წარმოშობის გათვალისწინებით შეიძლება მან ვინმეს სიამოვნება მიანიჭოს ან სარგებლობა მოუტანოს და ვინძლო მისი განსჯის სურვილიც აღუძრას. ამაზე მეტის თქმის საშუალება, განსაკუთრებით კი წინამდებარე თხზულების ნახევრად პოეტურ, ნახევრად ისტორიულ ფორმაზე, გზადაგზა არაერთგზის მოგვეცემა ხოლმე.

### წიგნი პირველი

მე მოვევლინე ამ ქვეყანას 1749 წლის 28 აგვისტოს, მაინის ფრანკ-ფურტში, შუადღისას, როცა თორმეტჯერ ჩამოკრეს ზარებმა. იმ დღეს ვარსკვლავები ბედნიერად ყოფილან განლაგებულნი. ქალწულის ნიშნის ქვეშ მოქცეული მზე ზენიტზე იდგა, იუპიტერი და ვენერა მას კეთილი თვალით უმზერდნენ, არც მერკური ერჩოდა, თუმცა სატურნი და მარსი გულგრილად გამდგარიყვნენ განზე. მხოლოდ სისავსისკენ მიდრეკილი მთვარე მატებდა თავის ანარეკლს ძალას და მით უფრო კაშკაშებდა, რაც უფრო ახლოვდებოდა პლანეტებთან მისი თანადგომის საათი. მთვარე აყოვნებდა ჩემს დაბადებას, რადგან იმ საათის ჩავლამდე არ ივარგებდა ამ ქვეყნად ჩემი გაჩენა.

ზემოხსენებულ კეთილ ასპექტებს შემდგომ დიდად აფასებდნენ ასტროლოგები და, ეტყობა, მართლაც მათ უნდა ვუმაღლოდე, ცოცხალი რომ გადავრჩი, რადგან ბებიაქალის უგერგილობის წყალობით ამ ქვეყანას მკვდრადშობილი მოვევლინებოვარ და მხოლოდ დიდი ვაი-ვაგლახის შემ-



დეგ მომიხერხებია თვალის გახელა. ამ გარემოებას შინაურებისთვის გაუჩინია თავსატეხი, თორემ ჩემი თანაქალაქელებისთვის სახეირო გამომდგარა, რადგან ბაბუაჩემს, ქალაქის მამასახლის იოჰან ვოლფგანგ ტიქტორს საბაბი მისცემია ბებიაქალების სწავლება შემოეღოთ თუ განეაზღვებინა, რაც ბევრ ჩემს შემდეგ დაბადებულს უეჭველად სასწავლოდ დაეგებოდა.

ჩვეულებრივ, როცა მოვინდომებთ გავიხსენოთ, რა გადაგვხდენია შორეულ წარსულში, სხვებისგან მოსმენილი ფაქტები ხშირად იმ ფაქტებში გვერევა, რაც მართლა შემორჩენია ჩვენს მეხსიერებას. ამგვარად, დიდად რომ არ დავდო თავი სიზუსტეზე, რაც ისედაც ბევრს არაფერს შეგვძენს, მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ერთ ძველ სახლში, უფრო სწორად, ორ ერთმანეთზე უცნაურად გადაბმულ სახლში ვცხოვრობდით. კოშკივით აყუდებული კიბე ერთმანეთისგან გამოცალკევებული ოთახებისაკენ მიემართებოდა, ხოლო 'სართულების მეტ-ნაკლები სიმაღლე საფეხურების მეშვეობით თანაბრდებოდა. ჩვენ, ბავშვებს, ანუ ჩემს უმცროს დას და მე, ყველაზე უფრო ქვედა სართულის უზარმაზარი სადარბაზო გვიყვარდა, რომელსაც ხის გისოსებიანი წინა კედელი ჰქონდა. იგი პირდაპირ ქუჩაში გადიოდა და სუფთა ჰაერიც იქიდანვე აღწევდა ჩვენამდე. ასეთი „გალია“ მრავალ სახლს ამშვენებდა და მას, ჩვეულებრივ, ცხაურს ეძახდნენ. იქ ქალები სხდებოდნენ და საკერავს ან საქარგავს ჩაჰკირკიტებდნენ; მზარეული ქალიც იქ არჩევდა სალათას, მეზობლებიც ერთმანეთს იქიდან ეხმიანებოდნენ და ყოველივე ამის გამო ქუჩა თბილ თვეებში სამხრეთულ იერს იძენდა. გარდა ამისა მტერ-მოყვარესთან გაშინაურება შინაგან თავისუფლებას ანიჭებდა ადამიანს და ცხაურების წყალობით ბავშვებიც აბამდნენ მეზობლებთან ნაცნობობას. მე, მაგალითად, ჩემს პირდაპირ მცხოვრებმა სამმა ძმამ ოქსენშტაინებმა, კანტონის საბჭოს განსვენებული თავმჯდომარის მემკვიდრეებმა, დამადგეს თვალი და ჩემს გასაწვალეზად რას აღარ იგონებდნენ ხოლმე.

ჩემიანები სიამოვნებით იხსენებდნენ ნაირ-ნაირ ოინებს, რასაც ეს დინჯი და მარტოსული მამაკაცები ოდესღაც მიწყობდნენ. მე მხოლოდ ერთ ასეთ შემთხვევას ვიამბობთ. ერთხელ, მეთუნეების ბაზრობის დღეს, უფროსებმა სამზარეულოს ჭურჭელი რომ შეიძინეს, ბავშვებიც ისეთივე, ოღონდ პატარ-პატარა სათამაშო ჭურჭლით დაგვასაჩუქრეს. ჰოდა, ვიჯექი ჩემთვის ერთ მშვენიერ სალამოს ჩვენს ცხაურში და ჯამ-ჭურჭლით ვთამაშობდი. თამაში რომ მომწყინდა, დავავლე ხელი ერთ ჯამს, ქუჩაში მოვისროლე და მეტისმეტად გავიხარე, ქვაფენილზე ჭახანი რომ მოადინა. ოქსენშტაინებმა სიხარულისგან აჭყლოპინებული და ატროკებული რომ დამინახეს, კიდევ, კიდევო, შემომძახეს და მეც ერთმანეთის მიყოლებით მთელ ჩემს ჯამ-ჭურჭელს — თასებს, ფიალებს და დოქებს ქვაფენილზე გადავუძახე. ჩემი მეზობლები მოწონების შეძახილებს არ იშურებდნენ და მეც მეტისმეტად ვხარობდი, მათ რომ ვასიამოვნე. ამასობაში ჭურჭლის მარაგი გამომელა, ისინი კი კიდევ, კიდევო, მაგულიანებდნენ და მეც შეძახილებით გათამამებულმა სამზარეულოს მივაშურე. ერთმანეთის მიყოლებით ჩამოვიღე თაროებზე ჩამომწკრივებული თიხის თევშებიდან რასაც კი მივწვდი და მოვერიე, და მათი გულის მოსაგებად ყველას სათითაოდ გარეთ გადავუძახე. კარგახანი გავიდა, სანამ ვინმე ხელისშემშლელი და დამტუქსავი გამომიჩნდებოდა. მოსახდენი უკვე მომხდარი იყო,



მაგრამ ამდენი დაღუპილი ქურჭლის საფასურად, სხვა თუ არაფერი, გასამხიარულებელი ეპიზოდი მაინც შემოგვრჩა, რაც შინაურებს თუ არა, ჩემს მზაკვარ წამქეზებლებს მაინც ხომ სიცოცხლის ბოლომდე ეყოფოდათ სამხიარულოდ.

მამაჩემის დედის მოზრდილი ოთახი, ვის სახლშიც მყოფდნენ, იქნებ ვცხოვრობდით, პირდაპირ ამ სადარბაზოში გამოდიოდა და ჩვენც კეთილად ადგილი არ კმაროდა, მაინცდამაინც მის სავარძელთან, ხოლო თუ ავად იყო, ზედ მის სანოლთან ვთამაშობდით ხოლმე. აჩრდილივით მაგონდება ლამაზი, სიფრიფანა, მუდამ თეთრ, ქათქათა სამოსში გამონწყობილი მოხუცი, რომელიც ჩემს მეხსიერებას შემორჩა, როგორც ნაზი და ალერსიანი, კეთილი ქალი.

იმ ქუჩას, სადაც ჩვენი სახლი იდგა, ირმების ქვაბულს ეძახდნენ. რაკი ჩვენ ვერც ქვაბულს ვხედავდით და ვერც ირმებს, მოვინდომეთ გაგვეგო, რას ნიშნავდა ეს სახელი. როგორც გვიამბეს, ჩვენი სახლის ადგილას წინათ გარეუბანი ყოფილა და სწორედ იქ, სადაც ჩვენი ქუჩა გადიოდა, ქვაბულში თურმე ირმებს ინახავდნენ, რათა ძველი ტრადიციისამებრ, სენატი ყოველ წელს საზოგადოებრიობას ირმის ხორციით გამასპინძლებოდა. ირმების ასე შენახვა ხელსაყრელი გახლდათ: იმ საზეიმო დღისთვის საკლავი იქვე გეყოლებოდა, თორემ ხომ შეიძლებოდა ან მთავრებს არ დაენებებინათ ირმის მონადირება ან ქალაქი სულაც მტრის ალყაში მოქცეულიყო და უირმოდ დარჩენილიყვნენ. ეს ამბავი ისე მოგვეწონა, რომ ვნატრობდით, ნეტავ ნადირის საჩიხე ჩვენს დროშიც გვეხილა-თქო.

ჩვენი სახლის უკანა ფანჯრებიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა — ლამის ქალაქის კარიბჭემდე გადაჭიმულიყო მეზობლების ბალ-ვენახები. სამწუხაროდ, სათემო მიწების საოჯახო ბალებად გადაქცევისას ჩვენი და კიდევ რამდენიმე, ჩვენსავით ქუჩის კუთხეში მოხვედრილი სახლი, მეტი-მეტად შევიწროებული აღმოჩნდა, სხვა სახლებმა თავიანთი მიმდებარე ტერიტორია, ანუ ცხენების ბაზრის დიდრონი დამხმარე შენობები და ბალები მიისაკუთრეს, ჩვენ კი ასე ახლოს განლაგებულ მიწიერ სამოთხეებს ეზოს საკმაოდ მაღალი გალავნიდან რიგიანად ვერც კი ვხედავდით.

მესამე სართულის ერთ ოთახს ბალის ოთახს ეძახდნენ და, იცით, რატომ? მისი ფანჯრის რაფაზე გახარებულ თითო-ოროლა მცენარეს ჩვენთვის ვითომ ბალის მაგივრობა უნდა გაეწია. რაც წამოვიზარდე, მას შემდეგ იქ იყო ჩემი საყვარელი და იქნებ მწუხარე არა, მაგრამ მაინც სევდიანი ნავსაყუდელი. ზემოხსენებულ ბალებს იქით, ქალაქის კარიბჭისა და მიწაყრილის გადაღმა გადაშლილი მშვენიერი ნაყოფიერი ველი ლამის ბორცვს ებჯინებოდა. ზაფხულობით იმ ოთახში ვმეცადინეობდი, ხან ჭექა-ქუხილს ვაყურადებდი, ხან კი დასავლეთისკენ მიქცეული ფანჯრებიდან ჩამავალი მზის ცქერით ვტკბებოდი. თან აღტაცებით ვადევნებდი თვალს, როგორ მიმოდინდნენ მეზობლები თავიანთ ბალებში, უფროსები ყვავილებს უვლიდნენ, იქვე ბავშვები თამაშობდნენ, მესმოდა კეგლის ბურთულების გაგორებისა და ბუდეში ჩავარდნის ხმა. ჰოდა, ყოველივე ამან ჩემში ნაადრევად გააღვიძა მარტოობის შეგრძნება და მისგან აღმოცენებული კაეშანი, რამაც ბუნებით თანდაყოლილ სერიოზულობასა და გულთამხილაობის ნიჭთან ერთად მერე და მერე კიდევ უფრო ნათლად იჩინა თავი.

მიხვეულ-მოხვეული ტალანებით დაქსელილი, პირქუში კუთხე-კუნ-



ჭულებით სავსე ძველი სახლი შიშსა და ძრწოლას ბადებდა ჩემს ბავშვურ სულსა და გულში, საუბედუროდ, ამას ზედ ერთვოდა ჩვენს ოჯახში ფეხმოკიდებული აღმზრდელობითი მაქსიმა, ბავშვებში ნაადრევად ჩაეკლათ უჩინარი რალაცეების წინაშე შიში და ამ მიზნით ძრწოლისმომგვრელ ამბებსაც თავიდანვე გვაჩვენებდნენ. ამავე მიზნით ბავშვებს მარტო უნდა გვძინებოდა და თუ ზოგჯერ ამას ვერ ვეგუებოდით, უეცრად ამტკიცებდნენ ჩვენი მოცვივდებოდით და მსახურებისა და მოახლეების კალთას შევეფარებოდით, გადმობრუნებულ შლაფროკში მოჩვენებასავით შემოსილი მამაჩვენი მოგვევლინებოდა და კვლავ ჩვენ-ჩვენს ოთახებში შეგვრეკავდა ხოლმე. ძნელი წარმოსადგენი არაა ასეთი ზემოქმედების მავნე შედეგები. განა შეიძლება თავი დააღწიო შიშს, როცა ორმაგი საშინელების მარწყუხებში მოგამწყვდევენ? დედაჩემმა, მუდამ მხიარულმა და ხალისიანმა ქალმა, რომელიც სხვებსაც ხალისს უნერგავდა, უკეთეს პედაგოგიურ ხერხს მიაგნო — იგი თავის მიზანს დაჯილდოებით აღწევდა. მახსოვს, ატმის მწიფობის დრო იდგა და დედა ყოველდღივად ატმით პირის ჩატკბარუნებას გვპირდებოდა, ლამლამობით შიშს თუ მოვერეოდით. პირობა სრულდებოდა და ორივე მხარე კმაყოფილი გახლდათ.

სახლის შიგნით ჩემს მზერას ყველაზე უფრო რომაული ხედები იტაცებდა, რომლებითაც მამას მოერთო ვრცელი სადარბაზო ოთახი. ეს იყო პირანეზეს რამდენიმე ნიჭიერი წინამორბედის გრავიურები. მხატვრები კარგად ერკვეოდნენ არქიტექტურისა და პერსპექტივის ხელოვნებაში და მათი პუანსონის ნამუშავევი სიზუსტითა და სიცხადით გამოირჩეოდა. აქ ყოველდღე ვხედავდი პიაცა დელ პოპოლოს, კოლიზეუმს, წმ. პეტრეს მოედანს, წმ. პეტრეს ტაძრის გარე და შიდა ხედებს და სხვა მრავალს. ეს გამოსახულებები ისე მიზიდავდა, რომ ჩვეულებრივ სიტყვაძუნწი მამა ზოგჯერ ინებებდა და რომელიმე მათგანზე რაიმეს მოგვიყვებოდა. მამას გამორჩევით უყვარდა იტალიური ენა და საერთოდ ყველაფერი, რაც კი ამ ქვეყანას უკავშირდებოდა. მამა ხანდახან იქიდან ჩამოტანილ პატარა-პატარა მარმარილოს ნივთებისა და საბუნებისმეტყველო ექსპონატების კოლექციას გვათვალისწინებდა, თვითონ კი დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა იტალიურად დაწერილი მოგზაურობის სურათების საკუთარი ხელით გადათეთრებასა და რედაქტირებას. ამ საქმეში ერთი მხიარული იტალიელი მოხუცი კალმოსანი, სახელად ჯიოვინაცი ეხმარებოდა. მოხუცს სიმღერაც ემარჯვებოდა და დედაჩემს სხვა რა გზა ჰქონდა, ყოველდღე მისთვის და საკუთარი თავისთვისაც აკომპანიმენტი უნდა გაეწია. ამიტომაც მე *solitario bosco ombroso*\* მანამდე დიდი ხნით ადრე დავისწავლე ზეპირად, სანამ მის შინაარსს გავიცნობიერებდი.

მამა ბუნებით პედაგოგი გახლდათ და რაც საქმეს ჩამოსცილდა, მას შემდეგ განსაკუთრებით მონადინებული გახლდათ, თუ რამე იცოდა და ეხერხებოდა, სხვებისთვისაც გაეზიარებინა. ასე ამეცადინებდა დედაჩემს ქორწინების პირველივე წლებიდან კალიგრაფიაშიც და ფორტიპიანოზე დაკვრა-სიმღერაშიც და ამასობაში დედა იმასაც მიხვდა, რომ იტალიურშიც ასე თუ ისე უნდა განაფულიყო.

ბავშვები, ჩვეულებრივ, ყოველ თავისუფალ წუთს ბებიასთან ვატარებდით, რომლის მოზრდილ ოთახში სათამაშოდ საკმაოდ ადგილს ვპოუ-

\* უდაბურ, უსიერ მუხნარში (იტალ.).



ლობდით. ბებია მშვენივრად გვართობდა და გემრიელი რამე-რუმეებითაც გვიტკბარუნებდა პირს. ერთ შობის საღამოს კი დიდებულად დააგვირგვინა თავისი კეთილი საქმეები, როცა თოჯინების სპექტაკლი დაგვადგმევინა და ამით ჩვენს ძველ სახლში ახალი სამყარო შეგვიქმნა. ამ მოულოდნელმა სპექტაკლმა ძალუმად მიიზიდა ჩვენი ყმანვილნი სუფლები. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება კი მან ბიჭებზე მოახდინა. ისეთი კომ, ამ შთაბეჭდილების ექო კიდევ დიდხანს ხმიანობდა და დიდ გამოძახილსაც პოულობდა ჩვენში.

თავიდან პანია სცენა თავისი მუნჯი პერსონაჟებითურთ მხოლოდ დაგვათვალისწინებს, მერე კი სავარჯიშოდ და გასაცოცხლებლად მთლიანად გადმოგვაბარეს და იგი კიდევ უფრო ძვირფასი გახდა ჩვენთვის, რადგან იგი თითქოს ჩვენი კარგი ბების უკანასკნელი დანატოვარი გამოდგა. მოძალებული ავადმყოფობის გამო ბებია მალე მოაფარეს ჩვენს თვალს, შემდეგ კი სიკვდილმა სამუდამოდ წაგვართვა იგი. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახში ახალი ერა დაიწყო, რადგან მას დიდი ცვლილებები მოჰყვა თან.

სანამ ბებია ცოცხალი იყო, მამაჩემი სახლში მცირეოდენ ცვლილებასა და განახლებასაც კი ერიდებოდა, მაგრამ ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ დიდი მშენებლობა ჰქონდა ჩაფიქრებული და ბებიას გარდაცვალებისთანავე საქმეს შეუდგა კიდევ. ფრანკფურტში, ისევე როგორც ბევრ სხვა ძველ ქალაქში, ადგილის მოგების მიზნით მიღებული გახლდათ სართულის სართულზე დაშენება, რის წყალობითაც ისედაც ვინრო ქუჩები რაღაცნაირ პირქუშ, შიშისმომგვრელ იერს იძენდნენ. ბოლოს გამოვიდა კანონი, რის თანახმადაც ახალი სახლის აშენების მსურველს მხოლოდ მეორე სართული შეეძლო საძირკვლის სიგანეზე გაეტანა, დანარჩენი სართულები კი მხოლოდ ვინრო და წონოლა შეიძლებოდა ყოფილიყო. რაკი მამაჩემს მესამე სართულის წინ წამოწეული ოთახი შესავინროვებლად არ ემეტებოდა, არქიტექტურული იერსახისთვის თავი დიდად არ შეუნუხებია, მხოლოდ შიდა კომფორტზე იზრუნა და თავის მრავალ წინამორბედთა მსგავსად ასეთი გამოსავალი იპოვა: სახლის ზედა ნაწილს ხიმინჯებს შეუყენებდა, ქვემოდან ზემოთ ნელ-ნელა გამოაცლიდა ძველ კედლებს და მათ მაგიერ ახლებს ისე ჩასვამდა, რომ ძველისგან აღარაფერი დარჩებოდა და ამგვარად, ახალი ნაგებობა მაინც შეკეთებულ ძველ შენობად ჩაითვლებოდა. ჰოდა, რაკი ნგრევა-შენება თანდათანობით მიმდინარეობდა, მამაჩემმა გადაწყვიტა სახლი არ დაეცალა, ასე ზედამხედველობაც გაუიოდებოდა, მშენებლებს მითითებებსაც იქვე მისცემდა, მითუმეტეს, რომ მშენებლობის ტექნოლოგიაში მშვენივრად ერკვეოდა, და თან ოჯახსაც არ მოშორდებოდა. ეს ახალი ხანა ბავშვებისთვის მოულოდნელი და უცნაური აღმოჩნდა. საკუთარი თვალთ ხედავდნენ, იმ ოთახებს, სადაც ნაკლებ სახალისო სწავლა-გარჯით გულშეღონებულნი საკმაოდ ვინროდ ცხოვრობდნენ, იმ დერეფნებს, სადაც უთამაშიათ, კედლებს, რომელთა სისუფთავეზე ასე ზრუნავდნენ ოჯახის წევრები, რა დაუნდობლად უსწორდებოდა კალატოზის ქაფჩა თუ დურგლის ნაჯახი, ხოლო თავზემით პაერში გაშიშვლებული კოჭები გამოკიდებულიყვნენ. აი, ასეთ პირობებში ჩვეულებრივ უნდა ემეცადინათ და ეშრომათ, რაც მათ ყმანვილ თავებში, ცხადია, აურზაურს იწვევდა და მისი ჩანყნარება არცთუ იოლი საქმე გახლდათ. და მაინც, ამ არეულ-დარეულობას ახალგაზრდობა უფრო ნაკლებად



განიცდიდა, რადგან ახლა უფრო მეტი სათამაშო სივრცე გაუჩნდათ და მათ გასართობს კოჭებსა და აქა-იქ გადებულ ფიცრებზე ქანაობა და ბუქნაობაც დაემატა.

პირველ ხანებში მამა ჯიუტად ახორციელებდა თავის გეგმას, მაგრამ როცა სახლს ლამის ნახევარი სახურავი გადახადეს, ჩამოყალიბდა შვილების გასართობი ქსოვილისგან სახელდახელოდ გაკეთებული ტყუილი ნვიშა ველარ დაიჭირა და საწოლები ბავშვებსაც დაგვისველდა, აი, მაშინ მართალია, უხალისოდ, მაგრამ მაინც იკადრა მეგობრებთან გავეხიზნეთ და თან სამრევლო სკოლაშიც მივებარებინეთ.

ამ გადაბარგებას არაერთი უსიამოვნება მოჰყვა თან. აქამდე შინ გამოკეტილი, ფაქიზი, კეთილშობილი, თუმცა მკაცრად გაზრდილი ბავშვები უეცრად თანატოლების უხეშ მასაში რომ შეაგდეს, უხამსობასთან, სიბავესა და სულმდაბლობასთან შეჯახებამ ერთბაშად დათრგუნა ისინი, რადგან თავის დასაცავად არავითარი ხერხი და იარაღი არ აღმოაჩნდათ.

ისე კი, რომ იცოდეთ, ჩემი მშობლიური ქალაქი პირველად მაშინ გავიცანი, როცა თანდათანობით სულ უფრო და უფრო თავისუფლად და დაუბრკოლებლად, ზოგჯერ სულ მარტო, ზოგჯერ კი ჩემს ამფსონებთან ერთად ხან სად ამოვყოფდი თავს და ხან სად. უკეთ რომ გადმოგცეთ ის შთაბეჭდილებები, რასაც ეს დარბაისლური და ღირსეული გარემო ახდენდა ჩემზე, ჯერ მშობლიური ქალაქის აღწერილობა უნდა შემოგთავაზოთ და გიამბოთ, ჩემს თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით როგორ იშლებოდა მისი ცალკეული უბნები და ქუჩაბანდები. მე პირადად, მდინარე მაინის დიდ ხიდზე გასეირნება მაინც ყველაფერს მერჩივნა. სიგრძე-სიგანით, სილამაზითა და სიმტკიცით იგი ღირსშესანიშნავი ნაგებობა გახლდათ. გარდა ამისა, იგი ლამის ერთადერთი ძველი იყო, მოქალაქეებზე საერო ხელისუფალთა სავალდებულო ზრუნვის დასტურად ადრეული ხანიდან რომ შემოგვრჩენოდა. ვიდრე ხიდზე, აღმა-დაღმა ვაყოლებდი თვალს მშვენიერ მდინარეს და როცა ხიდის შპილზე შემომჯდარი ოქროს მამალი ჩამავალი მზის სხივებში აელვარებოდა, სიხარულისგან გული მიჩქროლდებოდა. შემდეგ ზაქსენჰაუზენში გავისეირნებდით, გემს გაღმა-გამოღმა სიამოვნებით დავყვებოდით, ბოლოს ისევ გამოღმა გამოსულები ღვინის ბაზრობაზე შევიპარებოდით, თვალგაფართოებულნი ვაკვირდებოდით ამწეების მექანიზმს, ვუყურებდით, როგორ იტვირთებოდა საქონელი, ყველაზე უფრო კი მაინც სავაჭრო გემების ჩამოსვლა გვიყვარდა, რადგან გემიდან ათასი ჯურის, უფრო მეტიც, უცნაური ხალხიც ჩამოდიოდა. ქალაქში თუ გავიდოდით, მონინებით ვიხრიდით ქედს მთავრის რეზიდენციის წინაშე, რომელიც სხვა თუ არაფერი, იმ ადგილზე მაინც იდგა, სადაც ოდესღაც კარლოს დიდისა და მის შთამომავალთა ციხე-დარბაზი მდგარიყო. ძველ ქალაქში, ხელოსნების უბანში, განსაკუთრებით ბაზრობის დღეებში მსიამოვნებდა იმ ზედახორაში გარევა, წმინდა ბართლომეს ეკლესიის ირგვლივ რომ იმართებოდა. აქ უძველესი დროიდან მოყოლებული, ერთმანეთს აწყდებოდა ვაჭრებისა და მეწვრილმანეების ბრბო და ამგვარი წვრილმესაკუთრეობის გამო ახალი დროების შესაფერი უფრო ხალისიანი, მოზრდილი დაწესებულებებისთვის ადგილის გამონახვა იოლი საქმე როდი იყო. ბავშვებს განსაკუთრებით გვიზიდავდა ის ჯიხურები, სადაც წვრილი ფულით ცხოველების გამოსახულებებით დატვიფრული ფერად-ფერადი ფურცლების შექმნა შეგვეძლო. იშვიათად თუ დაგვზარე-



ბია ხალხით გაჭედილი, ბინძური, აშმორებული ბაზრის მოედნის გადავ-  
 ლა — მაგონდება, მაგალითად, რა შეძრწუნებული გავრბოდი, ვინრო, გუ-  
 ლისამრევ ხორცის დახლებს რომ გადავანყდებოდი. აი, რომერის მთა კი  
 მართლაც სასიამოვნო ადგილი გახლდათ. გვანცვიფრებდა და გვახალისე-  
 ბდა ქალაქის ახალი უბნებისკენ მიმავალი გზაც, რომელზეც ესევე ახალ-  
 ახალი სანვრილმანოებით იყო დახუნძლული, ოღონდ ვდამიანდებოდი,  
 ლიბფრაუნკირხემდე პირდაპირ რომ ვერ გავდიოდით და იძულებულნი  
 ვიყავით შორი გზით, ვინრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით მოგვევლო...  
 ბავშვის თვალს ყველაზე მეტად მაინც ქალაქშივე ჩაშენებუ-  
 ლი პატარ-პატარა ქალაქები, ციხე-სიმაგრეებში ჩასმული ცი-  
 ხე-სიმაგრეები, ანუ გალავანშემოვლებული სამონასტრო კომპ-  
 ლექსები და ადრეული საუკუნეებიდან შემორჩენილი ციხე-დარბაზი-  
 სებური სასახლეები იტაცებდა, რომელთაგან მრავალს გვიანდელ ხანაში  
 საცხოვრებელ ბინებად ან სამეურნეო ნაგებობად იყენებდნენ. იმდროინ-  
 დელ ფრანკფურტში ღირსშესანიშნავი არქიტექტურული შენობები არ  
 მოიძებნებოდა, თუმცა მთელი ქალაქი და მისი შემოგარენი დიდხნის  
 ჩავლილ მღელვარე დროზე მეტყველებდა. კარიბჭეებისა და კოშკების  
 ერთი წყება ძველი ქალაქის საზღვრებს მიგვანიშნებდა, ასეთივე კარიბჭე-  
 ების, კოშკების, გალავნების, ხიდების, ბასტიონებისა და თხრილების მე-  
 ორე წყება კი ახალ ქალაქს ერტყმოდა გარს და ეს ყველაფერი მოწმობდა,  
 რომ ეს ნაგებობები მღელვარე ეპოქებში უსაფრთხოების მიზნით შექმნი-  
 ლიყო, ხოლო მოედნები, ქუჩები, თუნდაც ახლები, უფრო განიერები და  
 უფრო ლამაზებიც, თავიანთ წარმოშობას მხოლოდ შემთხვევასა და მავან-  
 თა თვითნებობას და არა ვინმეს გააზრებულ ინიციატივას უმაღლოდნენ.  
 იმ პატარა ბიჭს სიძველეთა მიმართ ინტერესი ძვალ-რბილში ჰქონდა გა-  
 ნჯდარი და მას განსაკუთრებით ნოყიერად ისეთი ძველისძველი ქრონი-  
 კები და გრაფიურები ატკბობდა და ასაზრდოებდა, როგორც გახლდათ,  
 მაგალითად, ფრანკფურტის ალყის ამსახველი გრაფიურა. აქვე იკვეთება  
 კიდევ ერთი ყინი — უპრეტენზიოდ აღგვექვა ადამიანური გრძნობები და  
 ისინი მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და ბუნებრიობით ასევე სადად  
 გადმოგვეცა. ყველაზე უფრო ამიტომაც გვიზიდავდა ქალაქის გალავანი  
 და შიდა მხრიდან წელიწადში არაერთხელ შემოგვივლია, რადგან ბალები,  
 ეზოები და დამხმარე ნაგებობები ლამის გალავანს ებჯინებოდა. აქედან  
 შეგეძლოთ დაგენახათ ათასობით ადამიანი თავის შინაურ, პატარა, კარ-  
 ჩაკეტილ, გარეშე თვალისგან დაფარულ ყოფაში, ჰოდა ჩვენც გზადაგზა  
 ხან ვინმე შეძლებული კაცის დეკორატიულ ბალს გადავანყდებოდით, ხან  
 თავის სარჩენად დამაშვრალი ბიურგერის ხეხილის ბალს, ფაბრიკებს, ქსო-  
 ვილის გამოსათეთრებელ ფარდულებსა და მისთანებს და სასაფლაოსაც  
 კი, რადგან ეს პატარა სამყარო შიგ შუაგულ ქალაქში მოქცეულიყო, მერე  
 კი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სულ სხვადასხვანაირი, მრავალფეროვანი, თვალის  
 სასეირო, გასაოცარი ადგილები გვხვდებოდა, თუმცა ჩვენი ბავშვური ცნო-  
 ბისმოყვარეობა მათ ჯეროვანი აღტაცებით ვერც აღიქვამდა ხოლმე. დია-  
 ხაც, იმ საყოველთაოდ ცნობილ კოჭლ ეშმაკს, თავის ერთი მეგობრის ხათ-  
 რით მადრიდში ყველა სახლს ერთბაშად რომ ახადა სახურავები, იმის ფა-  
 სი არაფერი გაუკეთებია, რაც აქ, ღია ცისქვეშ, მზის კაშკაშა სხივებქვეშ  
 ხდებოდა. გასაღებები, რომლებსაც ჩვენთვის ათასგვარი კოშკის, კიბისა და



ჭიშკრის კარი უნდა გაეღო, მეციხოვნეებს ეპყრათ და ჩვენც მათი ხელქვე-  
ითების მოსათაფლად ძალ-ღონეს არ ვიშურებდით.

ამაზე უფრო მნიშვნელოვანი, ლამის საშიშიც, რატკაუსი გვეგონა,  
რომელსაც რატომღაც რომერს ეძახდნენ. სიამოვნებით დავბრძოლა-  
ლებდით მის კამაროვან ტალანებში და ზოგჯერ უზარმაზარ, უცხო სა-  
და სხდომათა დარბაზში შესვლასაც კი ვახერხებდით. ღმრთისმეტყვე-  
ბი საკმაო სიმაღლეზე ხით გახლდათ მოპირკეთებული, ხოლო კედლების  
დარჩენილი ნაწილიც და კამარებიც თეთრად შეეფეთქათ, ზედ არც მო-  
ხატულობა ჩანდა და არც სურათები, მხოლოდ საკმაოდ მაღლა, შუა კე-  
დელზე იკითხებოდა მოკლე, გარითმული წარწერა, ერთი კაცის ნათქვამს  
ორი კაცის ნათქვამი სჯობიაო.

რომერში მისულები გუბერნატორთან აუდენციის მომლოდინე ბრბო-  
ში გავერეოდით, თუმცა ამას გვერჩინა კაიზერის საკორონაციო ადგი-  
ლები მოგვენახულებინა. კარგად ვიცოდით, როგორ უნდა მოგვეღობო კა-  
რისკაცების გული, რათა მათ გისოსებით ჩარაზულ, ფრესკებით მოხა-  
ტულ კაიზერის ახალ კიბეზე ავეშვიტ. მუნამული ხალიჩებითა და გასა-  
ოცარი ოქროს ხვეულებით შემკული საკორონაციო დარბაზი მოწინებას  
გვგვრიდა. კარის თავანზე მოთავსებულ ორნამენტებზე კაიზერის შესა-  
მოსელში ჩაცმული, საიმპერატორო ხელისუფლების ატრიბუტებით შემ-  
კული ბავშვები თუ გენიები ჩვენზე ისეთ გამაოგნებელ შთაბეჭდილებას  
ახდენდნენ, რომ თვალს ვერ ვაცილებდით და თავს იმითლა ვინუგეშებ-  
დით, იქნებ ოდესმე საკუთარი თვალით გვეხილა კორონაციის ცერემონი-  
ალი. საიმპერატორო დიდი დარბაზიდან ჩვენი გამოყვანა, თუ ბედი გაგ-  
ვიღიმებდა და იქ შეძრომას მოვახერხებდით, ერთობ ჭირდა და ჩვენს  
ყველაზე ჭეშმარიტ მეგობრად იმას ვთვლიდით, ვინც დარბაზის კედლებ-  
ზე გამოსახული კაიზერების ნამოღვანეებზე რაიმეს მოგვიყვებოდა.

კარლოს დიდზე ზღაპრის მაგვარს თუ მოვისმენდით რამეს, თორემ  
დადასტურებული საინტერესო ისტორიული ამბები მხოლოდ რუდოლფ  
ფონ შაბსბურგელიდან იწყებოდა, ვისაც თავისი ვაჟკაცობის წყალობით  
ბოლო მოვლო ქვეყანაში გამეფებული არეულ-დარეულობისათვის. ჩვენს  
ყურადღებას კარლოს მეოთხეც იპყრობდა, უკვე მოსმენილი გვექონდა ოქ-  
როს ბულისა და მისი დროის სისხლის სამართლის კანონების ამბავიც  
და ისიც, მან რომ ფრანკფურტელებს არ აპატიო მისი მეტოქე კაიზერის  
გიუნთერ შვარცბურგელისადმი სიმპათიების გამომჟღავნება, მაქსიმილიან-  
ნეს კაცთმოყვარეობისა და ბიურგერების ერთგულებისათვის გვიქებდნენ  
და მისი წინასწარმეტყველებაც გაგვანდეს, მე გერმანული სამეფო სახ-  
ლის უკანასკნელი კაიზერი გახლავართო, რაც სამწუხაროდ, ახდა, რად-  
გან მისი გარდაცვალების შემდეგ არჩევანი მხოლოდ ესპანეთის მეფე კა-  
რლოს მეხუთესა და საფრანგეთის მეფე ფრანც პირველს შორის მერყე-  
ობდა ხოლმე. ამ ამბის მთხრობელნი სევდიანად იმასაც დასძენდნენ,  
კვლავ ძალაშია ასეთივე წინასწარმეტყველება თუ გულთმისნობა, რადგან  
დიდი დაკვირვება არ უნდა, კაიზერების პორტრეტების წყებაში ერთად-  
ერთი კაიზერის ადგილი რომ დარჩენილაო. მართალია, ეს გარემოება  
შემთხვევითი ჩანდა, მაგრამ პატრიოტულად მოაზროვნეებს გულს მაინც  
უკლავდა.

ასეთ შემოვლაზე მისულებს არც ტაძრის მონახულება გვაინწყებო-  
და, სადაც მტერ-მოყვრისაგან ერთნაირად დაფასებული მამაცი გიუნთე-



რის საფლავი გვეგულებოდა. ის უცნაური ლოდი, რომელიც ოდესღაც მის საფლავზე იდო, დღეს კლიროსშია აღმართული. იქვე, კონკლავისაკენ მიმავალი კარი ჩვენთვის დიდხანს რჩებოდა დახშული, სანამ უშაღლეს ხელისუფალთაგან იქ შესვლის ნებართვას გავახერხებდით, ოღონდ/ჯობდა იგი ისეთივე გვეგონებოდა, როგორც აქამდე ჩვენს წარმოსახვაში ვხატავდით. გერმანიის ისტორიის ასეთი ღირსშესანიშნავი სადგინდო/სადაც ყველაზე ძლევა მოსილი მთავრები უმნიშვნელოვანეს საქმეთა გადასაწყვეტად იკრიბებოდნენ ხოლმე, სულაც არ აღმოჩნდა საკადრისად მორთულ-მოკაზმული, პირიქით, კოჭებით, დირეებით, ძელებითა და ლატანებით იქაურობა ისე იყო გამოჭედილი, რომ მათი მილენე-მოლენვა მოგინდებოდა. მითუმეტეს გაგვიღვივდა წარმოსახვის ძალა და აგვიძგერდა გული, როცა სულ მალე რატკაუსში რამდენიმე საპატივცემულო უცხო სტუმრისათვის ოქროს ბულის ჩვენების ცერემონიალს დაგვასწრეს.

მას შემდეგ პატარა ბიჭმა აღტაცებით მოისმინა, რასაც თავისიანები და მასზე უფროსი ნათესავეები და ნაცნობები ერთხელ კი არა, რამდენჯერმე სიამოვნებით უყვებოდნენ ხოლმე. ეს გახლდათ უკანასკნელ ხანებში ერთმანეთის მიყოლებით გამართული კორონაციები და ვერსად იპოვიდით მოზრდილ ფრანკფურტელს, ვისაც ეს ამბები თავის ცხოვრების უშაღლეს მწვერვალად არ ჩაეთვალა. რა დიდებულებაც იყო კარლოს მეშვიდის იმპერატორად კურთხევა და მის აღსანიშნავად საფრანგეთის დესპანთან გამართული უზადო დღესასწაული, მით უფრო სავალალო აღმოჩნდა მისი შედეგები: თავის რეზიდენციად მიუნჰენი რომ ვერ დაიმკვიდრა, ქველი იმპერატორი იძულებული გახდა თავის თანაქალაქელების სტუმართმოყვარეობის იმედად დარჩენილიყო.

მართალია, ფრანც პირველის კორონაცია მის წინამორბედთა კორონაციაზე თვალშისაცემად დიდებული არ ყოფილა, მაგრამ სამაგიეროდ მას დედოფალ მარია ტერეზას მობრძანებამ შემატა დიდებულება, რადგან დედოფლის სილამაზემ, ეტყობა, ისეთივე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მამაკაცებზე, როგორც მანდილოსნებზე კარლოს მეშვიდეს წარმოსადგობამ და ლურჯმა თვალებმა. ასე იყო თუ ისე, ორივე სქესის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო გამორჩეულ შთაბეჭდილებას შეუქმნიდა ყურებდაცქვეტილ ბიჭს ორივე გვირგვინოსანზე, რაც მთავარია, მთხრობელნი ყოველივეს ხალისიანად და გულარხეინად ყვებოდნენ, რადგან აახენის სამშვიდობო ხელშეკრულებამ ყოველგვარ შულს ბოლო მოუღო და როგორც აქამდე იმ ზეიმებზე ლაპარაკობდნენ გულარხეინად, ახლაც ასევე მშვიდად ყვებოდნენ ჩავლილი ლაშქრობების, დეტინგენის ბრძოლისა და განვლილი წლების სხვა ღირსშესანიშნავ ამბებს. ასე რომ, როგორც ახლად ჩამოვარდნილ მშვიდობის ხანას სჩვევია, მნიშვნელოვანი და სახიფათო გარდასული ამბები თურმე მხოლოდ იმიტომ მომხდარა, ამ ბედნიერ და უდარდელ ადამიანებს სალაპარაკო მასალად გამოსდგომოდათ.

ამგვარ პატრიოტულ ნეტარებაში ნახევარი წელიც არ გვექნებოდა გატარებული, რომ კვლავ დაიწყო ბაზრობების ხანა, ყოველი დროისა და ეპოქის ბავშვებს გულს რომ უჩქროლებს ხოლმე. ქალაქის შიგნით სულ მოკლე დროში მომრავლებული დუქნების წყალობით წარმოქმნილი ახალი ქალაქი, ორომტრიალი, საქონლის გადმოტვირთვა-დაბინავების ყურება ცნობიერების ჩამოყალიბებისთანავე აღვივებდა საქმიან ცნობისმოყვარეობას



და ქონების დაუფლების ბავშვურ, უსაზღვრო ჟინს, რომლის დაოკებასაც ის პატარა ბიჭი თავისი მსუბუქი ქისის კვალობაზე ხან ერთი და ხან მეორე ხერხით ცდილობდა. თან წარმოდგენა ექმნებოდა, რა საქონელს აღარ აწარმოებდა მსოფლიო, ჩვენგან რას მოითხოვდა და, საერთოდ, სხვადასხვა ქვეყნის ბინადართ ერთმანეთს შორის რა ურთიერთობა შექონდათ გაჩაღებული.

ზემოხსენებული დიდი ჟამი გაზაფხულსა და შემოდგომაზე დგებოდა, დიდი ზარ-ზეიმითაც აღინიშნებოდა და თავის მხრივ გარდასულ ხანას და ჩვენამდე მოღწეულ მის დანატოვარს აცოცხლებდა და აწმყოდ გვიქცევდა. თითოეული მათგანის შემოსვლის დღეს მთელი დუნია გარეთ იყო გამოფენილი, ხალხი გზატკეცილისკენ, ხიდისაკენ მიისწრაფოდა და ზაქსენჰაუზენამდეც კი გადიოდა. ფანჯრები მოსეირნებს დაეხუნძლათ, ვინძლო რაიმე მნიშვნელოვანი არ გამორჩენოდათ. ეტყობა, ბრბო იმის ბრბოა, რომ ზედახორა გამართოს, მაყურებლები კი იმისთვის არიან ამქვეყნად გაჩენილნი, რომ ერთმანეთი ათვალეირონ და მარაქაში გაერიონ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები სინამდვილეში დაღამებისას ხდებოდა და სხვა რა გზა გქონდა, ისინი უნახავად უნდა დაგეჯერებინა. [...]

და აი დადგა დღე, როცა პატარა ბიჭი გულის სიღრმემდე პირველად შესძრა ერთმა თავზარდამცემმა მსოფლიო მოვლენამ — 1755 წლის 1 ნოემბერს ლისაბონში მომხდარმა მიწისძვრამ შეაძრწუნა მშვიდობასა და სიმშვიდეში მონეტარე მსოფლიო. უზარმაზარ, დიდებულ სამეფო რეზიდენციას, სავაჭრო და საპორტო ქალაქს, მოულოდნელად დაატყდა თავს საშინელი უბედურება. მიწა დრტვინავს და თახთახებს, ზღვა ყალყზე შემდგარა, გემები ერთმანეთს ეჯახებიან, სახლები ინგრევა, ეკლესიები და კოშკები ზედ ემხოებიან, მეფის სასახლე სანახევროდ ზღვამ შთანთქა, გახლეჩილი დედამიწა თითქოს ცეცხლს ანთხევდეს, ისეთი კვამლი და ალი იფრქვევა ნანგრევებიდან. სამოცი ათასი კაცი, ერთი წამის წინ ჯერ კიდევ მშვიდად და მყუდროდ რომ გრძნობდა თავს, ერთმანეთის მიყოლებით იღუპება და მათ შორის უბედნიერესად ითვლება ის, ვისაც ამ უბედურების შეგრძნება და გააზრება აღარ უწერია. ცეცხლის ალი კვლავ მძვინვარებს და მასთან ერთად მძვინვარებს ჩვეულებრივ მიმალული, მაგრამ ამ უბედურების წყალობით აღვირახსნილ ბოროტმოქმედთა ბრბო, რომელთა წყალობით ცოცხლად გადარჩენილი უბედური ადამიანები ძარცვა-გლეჯის, მკვლელობისა და ათასგვარი ძალადობის მსხვერპლი ხდებიან და ბუნება ამითაც ადასტურებს უსაზღვრო თვითნებობასა და ადამიანზე ძალმომრეობას.

ცნობებზე უმაღ უბედურების მაუნყებელი ნიშნები მოედო ქვეყნიერებას: ბევრგან იგრძნობოდა შედარებით სუსტი ბიძგები, ბევრგან დაიშრიტა წყაროები, განსაკუთრებით სამკურნალო წყაროები, და ამიტომაც კიდევ უფრო თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ჯერ ზოგადმა ცნობებმა, მერე კი საზარელმა დეტალებმა, სწრაფად რომ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამასთან ღვთისმოშიშნი თავიანთ მოსაზრებებს, ფილოსოფოსები მანუგეშებელ დებულებებს, ხოლო სამღვდლოება ღვთის რისხვის მომასწავებელ შეგონებებს არ იშურებდნენ. ყოველივე ამან მსოფლიოს ყურადღება კარგახანს მიაჯაჭვა ამ კატასტროფას, ხოლო სხვისი უბედურებით შეძრულ ადამიანებს მით უფრო იპყრობდა საკუთარი თავისა და ახლობლების ბედზე ზრუნვა, რაც უფრო მეტი ცნობები მოდიოდა



აფეთქების ტალღის გავრცელებაზე. შიშისზარის დემონს ალბათ ასე სწრაფად და ძლიერად, ასე კიდით კიდემდე ჯერ არ შეუძრწუნებია მთელი მსოფლიო.

პატარა ბიჭმა არაერთხელ მოისმინა ეს ყველაფერი და სხვაზე არანაკლებ განიცადა კიდევ. ღმერთს, ზეცისა და დედამიწის შემქმნელსა და მეუფეს, რწმენასთან პირველივე ზიარებისას ესოდენ ბრძენი და მთუნჯალე სახით რომ წარსდგა მის სულიერ თვალთა წინაშე, დღეს ისე განურჩევლად გაეწირა მტყუან-მართალი, რომ მის მოქმედებას მამობრივი არამც და არამც აღარ ეთქმოდა. ამოდ ცდილობდა ნორჩი გონება შებრძოლებოდა ამ შთაბეჭდილებას, ან რა გასაკვირია, როცა თვით ბრძენკაცნი და სწავლულნი ვერ შეთანხმებულებიყვნენ, ასეთი ფენომენისთვის რა შეფასება უნდა მიეცათ.

მომდევნო ზაფხულში ბიჭუნას კიდევ ერთი, თანაც ხელშესახები შემთხვევა მიეცა ძველ აღთქმაში ესოდენ განდიდებული ღმერთი განრისხებული ეხილა. ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად გაავდრდა, ჭექა-ქუხილსა და ელვას ბოლო არ უჩანდა, წამოვიდა სეტყვა და ერთიანად ჩაღვნა დასავლეთით პირშექცეული ფანჯრების ბროლის შუშები, დააზიანა ახალი ავეჯი, გააფუჭა რამდენიმე ძვირფასი წიგნი და წივთები, ხოლო ბავშვები კიდევ უფრო შეაძრწუნა იმან, რომ შიშისაგან გონდაკარგულმა სახლეულმა მათთან ერთად ბნელ დერეფანს შეაფარა თავი და იქ ძუხლებზე დაცემულები საშინელი ბლავილითა და ყვირილით ლამობდნენ მოეღბოთ განრისხებული ღვთაების გული. ერთადერთი კაცი, ვინც არ დაბნეულა, მამა იყო. მან სასწრაფოდ გამოაღო ფანჯრები და მართალია, ამ გზით შუშები კი გადაარჩინა ჩაღვნას, მაგრამ სამაგიეროდ სეტყვას დართულ კოკისპირულ წვიმას გაუხსნა გზა და ცოტახნით გონსმოსულ ოჯახის წევრებს კვლავ თავზარი დასცა დატბორილი წინკარებისა და კიბეებზე მოწანწკარე წყლის ნაკადის დანახვამ.

ასეთი შემთხვევები, მართალია, ზოგჯერ არღვევდნენ ცხოვრების ნორმალურ მდინარებას, მაგრამ იშვიათად თუ აფერხებდნენ იმ გაკვეთილების მსვლელობასა და თანმიმდევრობას, მამას რომ ჰქონდა ჩვენთვის შემოდებული. თვითონ სიყმაწვილე კობურგის გიმნაზიაში ჰქონდა გატარებული, რომელსაც განათლების დონით გერმანიაში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა. მამამ იქ ენებსა და სხვა მნიშვნელოვან საგნებში საფუძვლიანი ცოდნა მიიღო, მერე დაიფციგში შეისწავლა სამართალმცოდნეობა, ბოლოს გისენში მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი და სხვათაშორის, მისი სერიოზული, კეთილსინდისიერად დაწერილი დისერტაცია „Electa de aditione hereditatis“\* სამართალმცოდნეთა შორის დღესაც ქებით მოიხსენიება.

ყველა მამის სანუკვარი სურვილია, რაც თვითონ დააკლდა, ის ვაჟიშვილებში ჰპოვოს განხორციელებული, დაახლოებით ისე, თითქოს მეორედ გაეველოს სიცოცხლე, ოღონდ გაეთვალისწინებინოს პირველად განვლილი სიცოცხლის გამოცდილება. მამა დარწმუნებული გახლდათ თავის ცოდნაში, თავის მოთმინების იმედიც ჰქონდა და მაშინდელი მასწავლებლების მიმართ უნდობლობით იყო განმსჭვალული. ამიტომაც გადაწყვიტა საკუთარი შვილები თვითონ ემეცადინებინა და მხოლოდ თავისი შეხედუ-

\* „მემკვიდრეობის მიღების ზოგიერთი საკითხი“ (ლათ.).



ლებისამებრ მოეწვია რამდენიმე საგანში გარეშე მასწავლებელი. იმ დროს უკვე ეჩინა თავი პედაგოგიურ დილექტანტიზმს და, ეტყობა, საამისო პირველი ბიძგი სახელმწიფო სკოლები, მასწავლებელთა პედანტიზმი და გონებაშეზღუდულობა უნდა ყოფილიყო. სკოლის მესვეურები თითქოს რაღაც უკეთესის ძიებაში იყვნენ, მაგრამ ავინყდებოდათ, რა ჩაკედილი შეიძლება გამოდგეს სწავლება, თუკი მას თავისი საქმის მცოდნე სწავლა არ წარმართავს.

მამაჩემის ცხოვრების გზა აქამდე თითქმის მისი სურვილისამებრ წარმართა; მეც იგივე გზა უნდა გამევილო, ოღონდ უფრო იოლად და მასზე უფრო შორსაც უნდა წავსულიყავი. მამა ზედმინევენით აფასებდა ჩემს თანდაყოლილ ნიჭს, მითუმეტეს, რომ თვითონ ჩემსავით ნიჭიერი არ ყოფილა: რასაც მიაღწია, ენით აუწერელი სიბეჯითით, სიკერპიტა და ზუთხვით შექონდა მოპოვებული. იგი ხშირად მიმეორებდა ადრეც და მერეც სერიოზულადაც და ხუმრობითაც, შენი ნიჭი რომ მქონოდა, სულ სხვაგვარად მოვიქცეოდი და ნიჭს ასე ქარაფშუტულად არ გავანიავებდიო.

სწრაფი შეთვისების, გადამუშავებისა და დამახსოვრების უნარის წყალობით მე ისე ნაადრევად გავიარე ყველაფერი ის, რასაც მამა და სხვა პედაგოგები მასწავლიდნენ, რომ საფუძვლიანი ცოდნა არცერთ საგანში არ მიმიღია.

გრამატიკაზე გული არ მიმდიოდა, რადგან მას თვითნებურად მიღებული კანონების კრებულად ვთვლიდი, წესებზე მეცინებოდა, რადგან მათ უამრავი გამონაკლისი აბათილებდა და თან ის გამონაკლისები ცალკე უნდა დამესწავლა. რა მეშველებოდა, გარითმული ლათინურის სახელმძღვანელო რომ არ მქონოდა, აი, იმას კი ვიზეპირებდი და სიამოვნებითაც წავიმღერებდი ხოლმე. გეოგრაფიაც გვექონდა ასევე დასამახსოვრებელი კუპლეტებით განყოფილი და საოცარია, ყოვლად უგემოვნოდ გარითმული სტრიქონების წყალობით რა კარგად გვებეჭდებოდა ტვინში ის, რაც დასამახსოვრებელი იყო. მაგალითად, ასეთები:

„ობერ-ისელის ჭანჭრობ-ლამპალით  
მთელი ის მხარე გვიჩანს დამპალი“.

ენობრივ ფორმებსა და საქცევებს იოლად ვითვისებდი, ასევე სწრაფად ვისწავლე ცნებებით აზროვნება, ამიტომ რიტორიკაში, ქრიებსა და მისთანებში ვერავინ მჯობნიდა, მაგრამ მართლწერაში სხვებს მაინც ჩამოვრჩებოდი. მიუხედავად ამისა, ჩემი თხზულებებით მამას ხშირად სიხარულს ვანიჭებდი და ისიც ჩემი ხნის ბიჭისთვის საკმაოდ მოზრდილი თანხით მაჯილდოვებდა.

სხვათა შორის, მამა ჩემს დას იმავე ოთახში ასწავლიდა იტალიურს, სადაც მე ცელარიუსს ვიზეპირებდი. ჩემს საქმეს სულ მალე ვამთავრებდი და რაკი მაინც იქვე წყნარად უნდა ვმჯდარიყავი, წიგნში ცალი თვალის ვიყურებოდი, მათ ვუსმენდი და ასე გავინაფე იტალიურში, რომელიც სახალისოდ დამახინჯებულ ლათინურად მეჩვენებოდა.

ნაადრევად გამომუშავებული სხვა ნიჭი და უნარი იმ ბავშვებთან მიახლოებდა, ჭკუა-გონებით პატარაობიდანვე რომ გაეთქვათ სახელი და ამიტომ მამაჩემს ერთი სული შექონდა აკადემიაში როდის შემიყვანდა. სულ მალე მამამ გამომიცხადა, რომ იურისპრუდენცია უნდა შემესწავლა და თანაც ლაიფციგში, რადგან ამ ქალაქის სიყვარული აქამდე შექონდა



შემორჩენილი, მერე კი სწავლას სხვა რომელიმე უნივერსიტეტში გავაგრძელებდი და დისერტაციასაც იქვე დავიცავდი. ეს სხვა უნივერსიტეტი ოლონდ გოტინგენი ნუ იქნებოდა და სხვა რომელიც გინდობდ ყოფილიყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ მამაჩემი გოტინგენს ვერ იტანდა და ეს ძალიან მადარდებდა, რადგან მე თვითონ ყველაზე მეტი რწმუნა და იმედი სწორედ ამ უკანასკნელისა მქონდა.

შემდგომში მამა მარიგებდა, ჯერ ვეცლარი და რეგენსბურგი მენახა და მერე აუცილებლად ვენაში, ხოლო იქიდან იტალიაში წავსულიყავი, თუმცა იქვე მაფრთხილებდა, ჯერ პარიზის მონახულება ჯობია, თორემ იტალიიდან ჩამოსულ კაცს ველარაფერი გააკვირვებსო.

ჩემი სიყმაწვილის სამომავლო ზღაპარს მამას სიამოვნებით ვამეორებინებდი, რადგან ვიცოდი, თხრობა ბოლოსდაბოლოს იტალიაზე გადაინაცვლებდა და ნეაპოლის აღწერით დამთავრდებოდა. ამ დროს თითქოს სადღაც ქრებოდა მისი ჩვეული სერიოზულობა და სიმკაცრე და ხმაც ისე გამოუცოცხლდებოდა, რომ ჩვენს ბავშვურ გულებშიც ფესვს იდგამდა მგზნებარე სურვილი, როგორმე ამ სამოთხეს ჩვენც ვზიარებოდით.

თანდათან მომრავლებულ კერძო გაკვეთილებს მეზობლის ბავშვებიც შემოემატნენ, მაგრამ ეს ერთობლივი მეცადინეობები მე ბევრს ველარაფერს მშატებდა. მასწავლებლები თავიანთ გათელილ ბილიკს მიუყვებოდნენ, ხოლო ჩემი თანაჯგუფელების უსაქციელობას, ზოგჯერ კი ბოროტობებსაც, ისედაც გამოზომილ გაკვეთილებში არეულობა, უსიამოვნება და უწესრიგობა შემოჰქონდა. ის ქრესტომათიები, სწავლა-განათლება უფრო სახალისო და მრავალფეროვანი რომ უნდა გაეხადა, ჩვენში ჯერ არ იყო შემოტანილი, ხოლო ახალგაზრდებისათვის ესოდენ მშრალი კორნელიუს ნეპოსი, ზედმეტად გამარტივებული და ქადაგებებითა და საღვთო სჯულით გაუბრალოებული ახალი აღთქმა, ცელარიუსი და პაზორი ინტერესს ნამდვილად ვერ გაგვიღვიძებდა. სამაგიეროდ, იმდროინდელი გერმანელი პოეტების კითხვამ მელექსეობისა და ყველაფრის გართმვის საოცარი ყინი გაგვიღვიძა. მე მაინც ხომ სხვებზე ადრე შემიპყრო ამ ყინმა, როცა შევამჩნიე, რა სახალისო აღმოჩნდა დავალებების რიტორიკული გაზუთხვის ნაცვლად მათი პოეტურ ფორმაში მოქცევა.

იმ დროს ბიჭებს ჩვეულებად გვექონდა ყოველკვირულ შეკრებებზე ჩვენი შეთხზული ლექსები გვეკითხა და აი აქ შევეჩეხე ერთ საოცარ რასმე, რამაც კარგახანს დამიკარგა სიმშვიდე: ჩემი ლექსები, რანაირიც უნდა ყოფილიყო, მაინც სხვებისაზე უკეთესი მეჩვენებოდა, ოლონდ სულ მალე შევამჩნიე, ჩემი მეტოქეებიც, მართლა უვარგის რალაც-რალაცებს რომ კითხულობდნენ, ასევე ფიქრობდნენ და ჩემზე ნაკლებად სულაც არ მოჰქონდათ თავი, ყველაზე სამწუხარო კი ის გახლდათ, რომ ერთი ჩემი მეგობარი, კარგი ყმაწვილი, მაგრამ აშკარად უნიჭო მელექსე ლექსებს ჰოფმაისტერს აწერინებდა და ის კიდევ არაფერი, ეს ლექსები ყველაზე კარგი რომ ეგონა, გულწრფელად სჯეროდა, ჩემი დაწერილიაო და მარტონი რომ დავრჩებოდით, გულითად საუბარშიც ამასვე მიმტკიცებდა ხოლმე, ჰოდა, ასეთი დაბნეულობისა და უგუნურების მონშე რომ გავხდი, ერთ მშვენიერ დღეს დავეჭვდი, იქნებ ის ლექსები ჩემსას მართლაც სჯობია და სხვა ბიჭების თვალში მეც ისეთივე შერეკილი ხომ არ ვჩანვარ, როგორც ისინი მეჩვენებიან-მეთქი. ეს ეჭვები დიდხანს მანვალებდა, რადგან ვერ იქნა და ვერ დავადგინე სინამდვილის დამადასტურებელი ჭეშმარიტი



ნიშნები. საქმე იქამდე მივიდა, რომ საერთოდ შევწყვიტე წერა, სანამ თავქარიანობამ და თვითრწმენამ ხელში ხელახლა არ ამაღებინა კალამი. საბოლოოდ კი დამამშვიდა სახელდახელო საგამოცდო წერამ, მასხარაველებმა და მშობლებმა რომ მოგვიწყვეს, ჩვენი მასხარაობის ამბავი/როცა შეიტყვეს. აი ის გამოცდა მართლა კარგად ჩავაბარე და ~~საყვედურად~~ ქებაც დავიმსახურე.

იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა საბავშვო ბიბლიოთეკები. თვითონ მოზრდილებიც ჯერ ვერ გასცდენოდნენ ბავშვურ აზოვნებას და ერჩივნათ საკუთარი ცოდნა თავის შეუწუხებლად გაეზიარებინათ თავიანთი შთამომავლობისათვის. ამიტომაც ამოს კომენიუსის „Orbis pictus“-ის გარდა ამ ჟანრის სხვა წიგნი არც ჩავგვარდნია ხელში, სამაგიეროდ ხშირ-ხშირად გადაგვიფურცლავს მერიანის გრაფიურებით დამშვენებული ფოლიანტი ბიბლიისა, ამავე მხატვრის დასურათებული გოტფრიდის „ქრონიკა“ მსოფლიო ისტორიის ღირსშესანიშნავ ფაქტებს გვასწავლიდა, ხოლო „Acerra philologica“ ისტორიას ათასგვარი ლეგენდით, მითოსითა და კურიოზით ამდიდრებდა; რაკი საკმაოდ მალე ოვიდიუსის „მეტამორფოზებიც“ ჩამივარდა ხელთ და მისი პირველი წიგნები გულდაგულ შევისწავლე, ჩემი ნორჩი ტვინი საკმაოდ სწრაფად აღივსო უამრავი სურათითა და ამბით, მნიშვნელოვანი და გასაოცარი მოვლენებით და იმ დროიდან მოყოლებული მოწყენილობა აღარ მიგრძენია — დღენიადაგ იმ მონაპოვრის გადამუშავებით, გამეორებითა და ხელახალი შეთხზვით ვიყავი დასაქმებული.

იმ ძველ თხზულებებში შიგადაშიგ უხეში და საზიანოც ბევრი რამ გამოერეოდა და რა გასაკვირია, მათზე უფრო სათუთი და ზნეკეთილი შთაბეჭდილება ჩემზე ფენელონის „ტელემაქეს“ რომ მოეხდინა. მართალია, თავდაპირველად ამ ნაწარმოების საეკლესიო, არასრული თარგმანი ნავიკითხე, მაგრამ იმანაც კი სულსა და გულში სიტკბოება და სიკეთე ჩამიტოვა. ბუნებრივია, მას დროულად მოჰყოლოდა „რობინზონ კრუზო“ და ისიც კანონზომიერია, „ფელზენბურგის კუნძულს“ არ ავცდენოდი. ლორდ ანსონის „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ სინამდვილის ღირსებებსა და ზღაპრის ფანტაზიას აერთიანებდა და ჩვენც, ამ დიდებული ნაოსნის კვალდაკვალ ფიქრებით მსოფლიოს ვსერავდით და მის გზას გლობუსზე თითით მივუყვებოდით. წინ კიდევ უფრო მდიდარი მოსავეალი მულოდა, როცა მრავალ თხზულებას გავეცანი, რომლებიც დღეის გადასახედნიდან თავს იქნებ ვერც მოიწონებდნენ, მაგრამ მათი წყალობით გულუბრყვილოდ გადმოცემული წარსულის ზოგიერთი სიკეთე ჩვენთვის მაინც ახლობელი ხდებოდა.

იმ წიგნების გამომცემლობა, უფრო ფაბრიკა, სახელწოდებით „სახალხო თხზულებები“ თუ „სახალხო წიგნები“, მომდევნო წლებში საყოველთაოდ რომ გაითქვა სახელი, სულაც ფრანკფურტში მდებარეობდა, ოღონდ წიგნები, აქაოდა მაინც სალდებო. ძველი მატრიცებიდან საშინელ საშრობ ქალაქდზე იბეჭდებოდა და თითქმის არ იკითხებოდა. ჰოდა, ბავშვებს წილად გვხვდა ბედნიერება, შუა საუკუნეების ეს ძვირფასი ნარჩენები წიგნების გამყიდველის კარწინ გამოდგმულ მაგიდაზე ყოველდღე გვეხილა

\* „სამყარო სურათებში“ (ლათ.).

\* „ფილოლოგიური საცეცხლური“ (ლათ.).



და რამდენიმე კროიცერად შეგვეძინა. ოილენშპიგელი, ჰაიმონის ოთხი შვილი, მშვენიერი მელუზინე, იმპერატორი ოქტავიანე, მშვენიერი მაგელონე, ფორტუნატუსი და მთელი მათი საგვარეულო მარადი ურჩის ჩათვლით, ჩვენს განკარგულებაში გახლდათ, თუკი მოგვეხასიათებოდა და სასუსნავის ნაცვლად წიგნების ყიდვას მოვისურვებდით. ყველაზე დიდი უპირატესობა კი ის იყო, თუ რომელიმე ასეთი ბროშურა-ხელში შემოგვადნებოდა, მაშინვე შეგვეძლო ახალი გვეყიდა და ხელახლა გადაგვეკითხა.

ოჯახურ გასეირნებას ზაფხულში უეცარი ავდარი რომ ჩაგიშლის და ხალისიან დღეს ჩაგაშხამებს, ზუსტად ისე მოულოდნელად იცოდა საყმაწვილო სახადმა მაინცდამაინც უმშვენიერეს ხანაში თავზე დატყდომა. ასეთი ბედი არც მე ამცდენია. ის იყო შევიძინე ფორტუნატუსი თავისი გუდითა და ნატვრის ქუდითურთ, რომ შეუძლოდ გავეხდი და სიცხეც მომცა, რაც ყვავილის ნიშანი იყო. აცრას ჩვენში ჯერ კიდევ აღმაცერად უყურებდნენ და თუმცა პოპულარული მწერლები აცრის ჩატარებას დაჟინებით გვირჩევდნენ, გერმანელი ექიმები მაინც უფრთხოდნენ ისეთ ქმედებას, რაც, მათი აზრით, ბუნების წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა. ფხიანი ინგლისელები ჩამოდიოდნენ კონტინენტზე და გვარიანი ანაზღაურების ფასად ყვავილს უცრიდნენ შეძლებული და ცრურწმენებისგან თავისუფალი პიროვნებების შვილებს, მაგრამ უმრავლესობა ჯერ კიდევ ამ ძველთაძველი სენის მსხვერპლი ხდებოდა; სენი მძვინვარებდა ოჯახებში, კლავდა, ან ასახიჩრებდა უამრავ ბავშვს და მაინც მშობლების მცირე ნაწილი თუ გაბედავდა უკვე მრავალგზის ნაცადი ხსნისათვის მიემართა. უბედურება ჩვენს კარსაც მოადგა და განსაკუთრებული სისასტიკით მე დამატყდა თავს. მთელი სხეული წყლულებით მქონდა მოფენილი, სახეზე ტილო მეფარა და ასე უჩინოდ, განამებული ვეგდე დღეების მანძილზე. რას აღარ ცდილობდნენ შინაურები, რომ ჩემთვის ტანჯვა-წვალება შეემსუბუქებინათ და რა ოქროს მთებს აღარ მპირდებოდნენ, თუ არ ვიბორგებდი და ფხანა-კანვრით წყლულებს კიდევ უფრო არ გავიღიზიანებდი. პოდა, მეც, რაც შემეძლო, თავს ვერეოდი, თუმცა ყველაფერ სიკეთესთან ერთად, გავრცელებული ცრურწმენის თანახმად, რაც შეიძლებოდა თბილად გვფუთნიდნენ და სატკივარს კიდევ უფრო გვიმწვავედნენ ხოლმე. ბოლოს როგორც იქნა ჩათავდა ტანჯვა-წამების დღეები, სახიდან თითქოს ნილაბი ჩამოეხსნათ, ისე დამცვივდა ფუფხი, ყვავილს კანზე დიდი კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ სახე მას შემდეგ მაინც შესამჩნევად შემეცვალა. მე თვითონ მეცხრე ცაზე დავფრინავდი, კვლავ რომ მეღირსად დღის სინათლის ხილვა და მიხაროდა, თანდათან ლაქებიც რომ მიქრებოდა, მაგრამ სამაგიეროდ გარეშენი შეუბრალებლად მახსენებდნენ ჩემს წინანდელ მდგომარეობას და ამ მხრივ ერთი ზედმიწევნით ცქრიალა დეიდა ყველას სჯობნიდა — იგი წინათ ვითომ ჭკუას ჰკარგავდა ჩემზე, ახლა კი წლების მანძილზე იშვიათად თუ შემხვდებოდა და ისე არ დამცილდებოდა, რომ არ ნამოეძახა, ფუი ეშმაკს, ეს კარგი ბიჭი ასე რამ დაგამახინჯაო. მერე კი დანვრილებით მომიყვებოდა, როგორ გიყდებოდა ჩემზე და რა შურის თვალით უყურებდა ყველა, მე რომ ხელით დამატარებდა. აი, ასე ნაადრევად მივხვდი, ადამიანები როგორ მწარედ გვაზღვევინებენ ხოლმე იმ სიამოვნებას, რაიც მათთვის ოდესმე მიგვინიჭებია.

შემდგომ ვერც წითელას გადავურჩი, ვერც ჩუტყვავილას და კიდევ



რა ვიცი, რა აღარ ჰქვია სიყმაწვილის თანმხლებ სხვა მრავალ სატანჯველს, და ყოველთვის მარწმუნებდნენ, რა ბედნიერებაა, ეს განსაცდელი სამუდამოდ რომ მოიშორეო, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი უბედურება ჩავლილი არ იყო, რომ მეორე უკვე ზურგიდან მეპარებოდა. ყოველივე ამან კიდევ უფრო გამიძლიერა ფიქრისკენ თანდაყოლილ მიდრეკილებას და რაკი მოუთმენლობის დასათრგუნად არაერთხელ მივაჩვენე, სტოიკოსების საქებარი სიქველე მისაბაძად მესახებოდა, მითუმეტეს, რომ ჭირთათმენას ქრისტიანული მოძღვრებაც გვიქადაგებდა.

სიტყვამ მოიტანა და მინდა ჩემზე სამი წლით უმცროსი ძმა გავიხსენო, რომელსაც იგივე ავადმყოფობა გადაედო და ჩემზე არანაკლებ იტანჯებოდა. სუსტი ბავშვი იყო, წყნარი და ჯიუტი, ერთმანეთთან სიახლოვე არასდროს გვექონია, თუნდაც იმიტომ, რომ ბავშვობაშივე გარდაიცვალა, მის შემდეგ დაბადებული და-ძმებს შორის კი, რომლებიც ასევე ვერ გასცდნენ ბავშვობის ასაკს, მხოლოდ ერთი ლამაზი და საყვარელი გოგონა მახსოვს, ისიც მალე წავიდა ამ ქვეყნიდან და რამდენიმე წელიწადში რომ მივხვდით, მხოლოდ მე და ჩემი და შევრჩენოდით ერთმანეთს, ამან ჩვენი სიახლოვე და სიყვარული კიდევ უფრო გააღრმავა.

ის ავადმყოფობები და სხვა უსიამოვნო შეფერხებები ორმაგ ტვირთად დაგვანვა მე და ჩემს დას მხრებზე: მამაჩვენს, ეტყობა, შედგენილი ჰქონდა ჩვენი აღზრდა-განათლების მკაცრი კალენდარი, ამიტომ მოინდომა ყოველი გაცდენა აენაზღაურებინა და გამოჯანსაღებულებს ორჯერ მეტ გაკვეთილებს გვინიშნავდა. ამას, მართალია, ვუმკლავდებოდით, მაგრამ ორმაგი დატვირთვა მაინც მთრგუნავდა, ჩემს შინაგან განვითარებას უკვე საბოლოო გეზი ჰქონდა აღებული და ასეთი ტვირთი არათუ მამუხრუჭებდა, ლამის უკანაც მეზიდებოდა.

ამდაგვარ დიდაქტიკურ და პედაგოგიურ წნეხს ზოგჯერ გავურბოდით და თავს ბებია-ბაბუასთან ვაფარებდით ხოლმე. მათი სახლი ფრიდბერგერ-გასეზე იდგა და ოდესღაც ციხე-კოშკი უნდა ყოფილიყო, რადგან მიახლოებისას მხოლოდ ვეება ჭიშკარი და ქონგურებიანი გალავანი მოჩანდა, რომელიც ორთავ მხრივ მეზობელ სახლებს ებჯინებოდა. ჭიშკრიდან ვინრო ტალანით საკმაოდ ვრცელ ეზოში მოხვდებოდით, სადაც გალავნის გასწვრივ განლაგებული სულ სხვადასხვა სიმაღლის ნაგებობანი ამყამად ერთ ბინად გაერთიანებინათ. ჩვენ იმწამსვე მშვენივრად მოვლილ ბაღს მივაშურებდით, რომელიც ნაგებობებს უკან სიგრძე-სიგანეზე საკმაოდ ვრცლად იყო გადაჭიმული. ბილიკებს მეტწილად ვაზი მიუყვებოდა, ერთი ნაკვეთი საბოსტნედ შემოეფარგლათ, ხოლო მეორე ყვავილებისთვის დაეთმოთ, რომლებიც გაზაფხულიდან შემოდგომამდე ჰყვავდნენ და კორდებსა და კვლებს ამკობდნენ. ერთი კედლის გასწვრივ, სადაც შუადღის მზე ადგებოდა, საგულდაგულოდ ნაპატივები ატმის ხეები იდგა და მთელი ზაფხულის მანძილზე მწიფობაში შესული აკრძალული ხილი პირს გვიწყლიანებდა. ამ მხარეს შეგნებულად ვუვლიდით გვერდს, რადგან იქ პირს ვერ ჩავიტკბარუნებდით და უფრო მეორე კუთხეს ვეტიანებოდით, სადაც მოცხარი და ხურტკმელი ხარობდა და შემოდგომამდე გულუხვად გვიცხრობდა ხილს დახარბებულ მადას. მათზე არანაკლებ გვიზიდავდა ერთი ბებერი, მაღალი, ტოტებგაშლილი თუთის ხე, მისი ნაყოფის გამოც და იმიტომაც, რომ გვიამბეს, მისი ფოთლებით აბრეშუმის ჭია იკვებებო. ამ მყუდრო კუთხეში ყოველ საღამოს შეხვდებოდით ბაბუას,



რომელიც სათუთად უვლიდა ძვირფას ხილსა და ყვავილებს, შედარებით მძიმე სამუშაოს კი მებაღე უძღვებოდა. ბაბუას არც მშვენიერი მიხაკის დარგვა-გამრავლება ეზარებოდა და ასევე საკუთარი ხელით მარათსებრ აკრავდა შპალერზე ატმის ხის რტოებს, რომ ნაყოფი თავისუფლად და უხვად გაზრდილიყო. ბაბუა არც ტიტების, სუმბულისა და მათი მონათესავე ყვავილების ბოლქვების დახარისხებასა და მათ შემდგომ მოვლას ანდობდა ვინმეს და დღემდე სიამოვნებით ვიგონებ, ვარდის ნაირ-ნაირ ჯიშებს რა რუდუნებით ამყნობდა და აჯვარებდა. ამ დროს ეკლებისგან თავის დასაცავად ძველებურ ტყავის ხელთათმანებს იცვამდა, რომელსაც წელიწადში სამჯერ მიართმევდნენ ხოლმე მესტვირეთა სასამართლოზე და ამგვარად, არასდროს შემოაკლდებოდა. ბაბუა სამუშაოდ ბაბუას ასევე ყოველთვის ეცვა ანაფორისებური შლაფროკი, თავზე მინაოჭებული ხავერდის ქუდი ეხურა და ასე ჩაცმულ-დახურული ალკინოუსს თუ ლაერტს ჩამოჰგავდა.

ბაბუის სამუშაოს ბაბუა ისევე რეგულარულად და პუნქტუალურად ასრულებდა, როგორც თავის სამსახურის საქმეებს ეკიდებოდა: ძირს მანამ არ ჩამოვიდოდა, სანამ მომჩივანთა განცხადებებსა და სხვა სამსახურებრივ ოქმებს არ ჩაიკითხავდა. დილაობით რატჰაუსში მიდიოდა, დაბრუნებისთანავე ისადილებდა, ნასადილევს თავის სავარძელში თვალს მოატყუებდა და ასე მეორდებოდა ყოველდღე. ლაპარაკობდა ცოტას და აუჩქარებლად, არ მახსოვს, ოდესმე გაბრაზებული მენახოს. გარს ყველაფერი ძველებური ერტყა. მის ხით მოპირკეთებულ კაბინეტში სიახლე არასოდეს შემიმჩნევია, ბიბლიოთეკაში იურისპრუდენციული ლიტერატურის გარდა მხოლოდ უძველესი ხანის მოგზაურობების, ნაოსნობისა და ქვეყნების აღმოჩენის შესახებ დაწერილ წიგნებს ნახავდით. ერთი სიტყვით, არ მაგონდება სხვა გარემოება, დაურღვეველი სიმშვიდისა და მარადიულობის განცდას ამ კაბინეტით რომ აღმიძრავდა. მოწინებას ამ დარბაისელი მოხუცის მიმართ. უაღრესად ალამაღლებდა იმის რწმენაც, რომ მას წინასწარმეტყველის ნიჭიც ჰქონდა მომადლებული, განსაკუთრებით ისეთ ამბებში, პირადად მას და მის ბედს რომ შეეხებოდა. მართალია, ბებუას გარდა თავის წინათგრძნობები არავისთვის გაუმხელია, მაგრამ ყველამ ვიცოდით, მოსახდენს სიზმარში რომ აუნყებდნენ ხოლმე. ერთხელ, მაგალითად, როცა ჯერ კიდევ უმცროს რატსჰერად იწოდებოდა, მეუღლეს უთხრა, უფროსი რატსჰერის პირველივე ვაკანსია ჩემი იქნებაო და მართლაც, სულ მალე ერთ-ერთი რატსჰერი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. ბაბუამ კენჭისყრის დღეს თადარიგი დააჭერინა მეუღლეს, რომ სტუმრებსა და მომლოცველებს გამასპინძლებოდა და მართლაც, არჩევნების ბედის გადამწყვეტი ოქროს ბურთულა მის სახელზე ამოიღეს ყუთიდან. ამ ამბის მომასწავებელი მარტივი სიზმარი კი მანამდე ცოლს გაანდო: ბაბუა ვითომ საბჭოს ჩვეულებრივ კრებაზე ზის, კრება წესისამებრ მიმდინარეობს, უეცრად თავის სავარძლიდან დგება ან განსვენებული რატსჰერი, ჩამოდის ქვემოთ, ბაბუას სასიამოვნო ქათინაურს ეუბნება, მერე დასძენს, შეგიძლია ჩემი ადგილი დაიკავო, კარისკენ მიემართება და უჩინარდება.

რალაც ამის მსგავსი განმეორდა, სასამართლოს მეთაური, ანუ შულტჰაისი რომ გარდაიცვალა. ასეთ დროს რატჰაუსში ჩქარობენ ხოლმე ახალი შულტჰაისის არჩევას, რადგან შიშობენ, იმპერატორმა თავისი ძველი უფლება არ გამოიყენოს და შულტჰაისი თვითონ არ დაგვინიშნოსო, ამ-







ნამოღვანარში აღმოეჩინა და მისთვის ძველი აღთქმის მიხედვით საკურთხეველი აეგო. ბუნების ქმნილებანი სამყაროს განასახიერებდნენ, მათ თავზე აღს უნდა ეგვიზგიზა, რაც თავის შემოქმედისაკენ მიმსწრაფი ადამიანის სულს ნიშნავდა. ბიჭუნამ სახლში არსებული ექსპონატებიდან და შემთხვევიდან შემთხვევამდე შეგროვილი ნივთებიდან საუკეთესოები შეარჩია, მაგრამ იმაზე ფიქრმა, ისინი ერთმანეთზე როგორ დაეღვწებინა და განეთავსებინა, თავსატეხი გაუჩინა. მამას ერთი კობტა, წითლად გალქული, ოქროსფერი ყვავილებით მოჩითული პუპიტრი ჰქონდა, რომლის ოთხნახნაგა საფეხურებიანი პირამიდის ფორმა კვარტეტის ნოტების დასაწყობად ფრიად მოხერხებული გახლდათ, მაგრამ კარგახანია ამ მიზნით იშვიათად იხმარებოდა, აი ის პუპიტრი ჩაიგდო ხელში ბიჭუნამ, ზედ წყება-წყება ჩამოალაგა ბუნების რჩეული ქმნილებანი და ნახელავი საკმაოდ სახალისო და შთამბეჭდავი გამოუვიდა. ახლა კი აღიონზე უნდა ჩაეტარებინა ღვთისმსახურება, მაგრამ ყმანვილ პასტორს ვერ გადაეწყვიტა, როგორ დაენთო ცეცხლი, რომ ალიც კარგი ჰქონოდა და სურნელიც სასიამოვნო ეფრქვია. უეცრად გონება გაუნათდა და აზრად მოუვიდა ორივე თვისება გაეერთიანებინა — სახლში ჰქონდათ საგანგებო სანთლები, რომლებიც უალოდ იღვენთებოდნენ და ძალზე სასიამოვნო სურნელს გამოსცემდნენ. დიახაც, ეს ნელი წვა და ანაორთქლი უკეთ გამოხატავდა ადამიანის სულში მიმდინარე პროცესს, ვიდრე ბრიალა ალი. მზე დიდხნის ამოსული იყო, მაგრამ მეზობელი სახლები კეტავდნენ აღმოსავლეთს. ბოლოს, როგორც იქნა, სახურავებს ზემოთ ამოაღწია მზის შუქმა, ბიჭუნამაც გამადიდებელი შუშა მოიმარჯვა და სულ ზემოთ, კობტა ფაიფურის თასში ჩადებულ სანთელს ცეცხლი მოუკიდა. ყველაფერი მისი სურვილისამებრ წარიმართა და ღვთისმოსაური რიტუალიც სრულყოფილი გამოვიდა. საკურთხეველი ახალ სახლში მისთვის განკუთვნილი ოთახის გამორჩეულ სამკაულად იქცა, ოღონდ ყველას მხოლოდდამხოლოდ კოპნიად განწყობილი ბუნების ექსპონატების კოლექცია ეგონა და სხვა არაფერი, სასწაულის გამეორებას ნატრობდა. ერთხელ, მისდა სავალალოდ, სწორედ მაშინ, როცა მზემ მის ოთახში შემოაღწია, ის ფაიფურის თასი ხელთ არ ჰქონდა, ამიტომ სანთელი პირდაპირ პუპიტრის თავზე შემოდგა და ისე აანთო. ღვთისმსახურებაში ჩაფლულმა საფრთხე დროზე ვერ შეამჩნია, სანთელი ჩაინავლა და ისე ღრმად ამოწვა წითელი ლაქი და ოქროსფერი ყვავილები, გეგონებოდათ ზედ ავსულს გადაუვლია და თავისი შავი, ამოშანთული ნატერფალი დაუტოვებიაო. ამ ამბავმა მეტისმეტად შეარცხვინა ყმანვილი პასტორი. მართალია, მოახერხა ამომწვარი ადგილი თავისი კოლექციის ყველაზე დიდი და ყველაზე მშვენიერი ექსპონატებით დაეფარა, მაგრამ სამუდამოდ დაეკარგა რიტუალების მოწყობის სურვილი. გარდა ამისა, ეს შემთხვევა შეიძლებოდა იმის მინიშნებად და გაფრთხილებადაც ჩაგეთვალათ, რა სახიფათო იყო ღმერთთან ასეთი გზით მიახლოება.

### წიგნი მეორე

აქამდე მონათხრობი იმ ბედნიერ და სასიამოვნო ვითარებას აგვიწერს, როცა ქვეყნები ხანგრძლივი მშვიდობიანობის ხანაში ცხოვრობენ, მაგრამ არსად ისე არ ტკბებიან მშვენიერი დროებით, როგორც იმ ქა-



ლაქებში, საკუთარ კანონებს რომ აწესებენ, თავიანთი სიდიდის წყალობით უამრავ მოქალაქეს იტყვენ და ისეთ ხელსაყრელ ადგილზე მდებარეობენ, რომ ალბ-მიცემობით იხვეჭენ სიმდიდრეს. უცხონი აქ მოგვებას ნახულობენ, მიდი-მოდინ და იძულებულნი არიან სხვაც ახეირონ, თორემ ისე თვითონაც ვერ იხეირებენ. ასეთ ქალაქებს თუ დიდი ტერიტორიის არ უჭირავთ, მაშინ კიდევ უფრო უკეთ იწყობენ შინაურ კეთილდღეობას, რადგან საგარეო ურთიერთობანი სულაც არ ავალდებულებენ ძვირად ღირებული ლაშქრობები მოაწყონ ან საომარ ოპერაციებში მიიღონ მონაწილეობა.

დიახ, სწორედ ასე ბუდნიერად მიმდინარეობდა ფრანკფურტელების ცხოვრება ჩემს ბავშვობაში, მაგრამ ის იყო 1756 წლის 28 აგვისტოს შემისრულდა 7 წელი, რომ სულ მალე დაიწყო ის საყოველთაოდ ცნობილი ომი, რომელმაც ასევე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემი ცხოვრების მომდევნო შვიდ წელიწადზე. ფრიდრიხ მეორე, პრუსიის მეფე, 60 000 ჯარისკაცით თავს დაესხა საქსონიას და ომის წინასწარ გამოცხადების ნაცვლად გამოვიდა მანიფესტი — როგორც ამბობენ, მისივე შეთხზული — სადაც ის მიზეზები იყო ჩამოთვლილი, ამ საზარელი ნაბიჯის გადადგმის უფლებას რომ ანიჭებდა. ამგვარად, მსოფლიო ერთბაშად აღმოჩნდა არამართო მაყურებლის, არამედ მსაჯულის როლშიც და მაშინვე დაიყო ორ პარტიად, ხოლო ჩვენი ოჯახი თითქოს ამ დიდი მთელის პატარა ასლად გადაიქცა.

ბაბუაჩემს, როგორც ფრანკფურტის მთავარ მოსამართლეს, თავის დროზე ფრანც პირველის საკორონაციო ბალდახინი ეჭირა ხელში, დედოფლისაგან კი მისივე პორტრეტით დამშვენებული მძიმე ოქროს ჯაჭვი ჰქონდა მიღებული და, ბუნებრივია, თავის რამდენიმე სიძითა და ქალიშვილებითურთ ავსტრიის მხარე უნდა დაეჭირა. მამაჩემი კარლ მეშვიდესგან გახლდათ საიმპერატორო მრჩევლად დანიშნული, ამ ხელმოცარული მონარქის უბედობას სულითა და გულით განიცდიდა და ამიტომ ოჯახის შედარებით მცირე ნაწილთან ერთად პრუსიისკენ იხრებოდა. აქედან გამომდინარე, ომის დაწყებიდან სულ ცოტახნის შემდეგ შეწყდა ჩვენი ოჯახური თავყრილობები, მრავალი წლის მანძილზე კვირაობით განუწყვეტივ რომ ეწყობოდა და ჩვეულებრივმა ნათესაურმა უთანხმოებებმა ახლა სულ სხვა ფორმით იჩინა თავი: ნათესავეები ერთმანეთს ეკამათებოდნენ, საყვედურობდნენ, ზოგი ხმას არ იღებდა, ზოგი მოთმინებიდან გამოდიოდა და აქამდე ხალისიანი, მშვიდი და უწყინარი კაცი თავს ველარ თოკავდა ხოლმე. ქალები ამაოდ ცდილობდნენ ცეცხლის განელებას და რამდენიმე უსიამოვნო სცენის შემდეგ პირველი მამაჩემი გამოეთიშა ოჯახურ შეკრებებს. ამიერიდან შეგვეძლო პრუსიელთა გამარჯვებები შინ თავისუფლად გვეზეიმა, გამარჯვებების ამბები კი დიდი ყივილ-ხივილით, ჩვეულებრივ, იმ დაუდგრომელ დეიდას მოჰქონდა ხოლმე. ამ ამბების ფონზე სხვა აღარაფერი გვაინტერესებდა და იმ წელიწადის ბოლო თვეები ასე გაუთავებელ აგიტაციებში გავლიეთ. დრეზდენის აღება, დასაწყისისათვის ხელმწიფის ზომიერი ქმედებანი, აუჩქარებელი, სამაგიეროდ ნაღდი წინსვლა, გამარჯვება ლოვოზიცთან, საქსონელების დატყვევება და სხვა ამგვარები ჩვენი პარტიისათვის ასევე დიდ ტრიუმფს ნიშნავდა. მონინაალმდეგის ნარმატებებს უფროსები ან სულ უარყოფდნენ, ან აკნინებდნენ და რაკი ჩვენთან დაპირისპირებული ნათესა-



ვებიც ამასვე სჩადიოდნენ, მათი ქუჩაში შეხვედრაც კი ისეთივე აყალ-მალ-ყალით მთავრდებოდა, როგორც „რომეო და ჯულიეტაშია“ აღწერილი.

აქედან გამომდინარე, მეც პრუსიულად, უფრო ზუსტად, ფრიდრიხ-ულად ვიყავი განწყობილი: ან კი რაში გვენადვლებოდა პრუსია? ჩვენი განწყობის მიზეზი დიდი ხელმწიფის პიროვნება გახლდათ, ~~რომელიც ყველას~~ ყველას ნუსხავდა. ჰოდა, მეც მამასთან ერთად ვხარობდი ჩვენს ~~განწყობების~~ გამო, სიამოვნებით ვიწერდი გამარჯვების სიმღერებს, კიდევ უფრო მეტად კი მოწინააღმდეგე პარტიაზე შეთხზული სატირული, თუმცა საკმაოდ მდარე კუპლეტები მომწონდა.

როგორც უფროსი შვილიშვილი და ნათლული, ბავშვობიდანვე, კვირაობით ბებიასთან და ბაბუასთან ვსადილობდი და უწინ ეს გახლდათ მთელი კვირის მანძილზე ყველაზე სასიამოვნო საათები ჩემს ცხოვრებაში, ახლა კი ყელში ლუკმა ძლივს გადამდიოდა, სადილობისას ჩემი გმირის მისამართით ისეთ ლანძღვა-გინებას ვისმენდი ხოლმე. აქ სულ სხვა სიო მქროდა და სულ სხვა ჰანგები ისმოდა. ამის გამო ნელ-ნელა ბებია-ბაბუას მიმართ სიყვარულიც მინელდებოდა და პატივისცემაც. მშობლებთან კრინტს არ ვძრავდი, დედასაც ვყავდი გაფრთხილებული, მაგრამ ჩემითაც ვხვდებოდი, ამაზე რომ არ უნდა მელაპარაკა. ყოველივე ამის წყალობით გულჩახვეული გავხდი და როგორც 7 წლის ასაკში ლისაბონის მიწისძვრის გამო პირველად შემეპარა ეჭვი ღმერთის სიკეთეში, ამჯერად ის მაეჭვებდა, ფრიდრიხ მეორის მიმართ საზოგადოება სამართლიანი იყო თუ არა. ადამიანის პატივისცემა ბუნებით მომსდევდა და რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო, ვინმეს მიმართ რწმენა შემრყეოდა და პატივისცემა გამწვლდებოდა. სამწუხაროდ, კარგ ჩვევებსა და წესიერებას ჩვენთვის კი არა, სხვების დასანახად გვინერგავდნენ, გაუთავებლად გვესმოდა, რას იტყვის ხალხიო და მეც მეგონა, ის ხალხიც ნამდვილი ადამიანები იქნებიან და ყველას და ყველაფრის დაფასებას შეძლებენ-მეთქი. ახლა კი სულ სხვა რასმე წავაწყდი: ადამიანები ყველაზე დიდ და თვალსაჩინო დამსახურებებს აბიაბრუებდნენ, დიად საქმეებს, მიჩქმალვას თუ ვერ მოუხერხებდნენ, ამახინჯებდნენ და აკნინებდნენ და ასე უმსგავსოდ და უსამართლოდ თავის თანამედროვეებზე აშკარად აღმატებულ იმ ერთადერთ კაცს ექცეოდნენ, ვინც ყოველდღე საქმით ამტკიცებდა, რისი შემძლეც გახლდათ და განა ამას პლებოსი სჩადიოდა? ასე იქცეოდნენ დარბაისელი ადამიანები, რომელთა რიცხვს ბაბუასა და ჩემს ბიძებსაც ვაკუთვნებდი. პარტიების არსებობასა და იმ ფაქტს, რომ თვითონაც რომელიღაც პარტიას ეკუთვნოდა, ბიჭუნა ჯერ ვერ აცნობიერებდა. მას უბრალოდ სჯეროდა, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო და უფლება ჰქონდა თავისი არჩევანიც თამამად მოეწონებინა. განა თვითონ და მისი თანამოაზრენი არ აფასებდნენ მარია ტერეზიას სილამაზესა და სხვა კეთილ თვისებებს? განა იმპერატორ ფრანცს ძრახავდნენ ძვირფასეულობისა და ფულის სიყვარულის გამო? ხოლო გრაფ დაუნს თუ ზოგჯერ დოჟლაპიას ეძახდნენ, ბიჭუნას ესეც სამართლიანად მიაჩნდა.

ამდაგვარ ამბებს ახლა რომ ვუფიქრდები, მათში უპატივცემლობის ჩანასახს, დიახ, საზოგადოებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას ვხედავ, რაიც მეც კარგახანს გამომყვა და მერე და მერე მხოლოდ შეგნებისა და განათლების წყალობით მოვიშორე თავიდან. ასე იყო თუ ისე, ბიჭუნას ბავშვობაშიც არ სიამოვნებდა ორივე მხარის მიერ გამოჩენილი



უსამართლობა და მიკერძოება, უფრო სწორად, ამის გაცნობიერება მისთვისვე აღმოჩნდა საზიანო, რადგან ატყობდა, ასე საყვარელ და საპატივცემულო პიროვნებებს თანდათან როგორ შორდებოდა. ამასობაში ერთმანეთზე მიყოლებულმა საომარმა მოქმედებებმა და მოვლენებმა პარტიებს სიმშვიდე და მოსვენება დაუკარგა და ჩვენ ყველას თითქოს უარსაღიწიან კმაყოფილებას გვგვრიდა ხელახლა გაგვეღვივებინა და გავგვემწიფებინა ჩვენივე გამოგონილი უბედურებანი და შეგნებულად გამოგვეწვია შეხლა-შემოხლა. აი, ასე განვაგრძობდით ერთმანეთის ტანჯვა-წამებას, სანამ რამდენიმე წლის შემდეგ ფრანგებმა არ დაიკავეს ფრანკფურტი და მართლა ნამდვილი გაჭირვება არ დაგვატეხეს თავს.

მართალია, უმრავლესობა ამ მნიშვნელოვან, ოღონდ სადღაც შორს მიმდინარე მოვლენებს მხოლოდ ცხარე კამათის საბაბად იყენებდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, მათ სერიოზულ საფრთხედ რომ აღიქვამდნენ და ხვდებოდნენ, ომში საფრანგეთი თუ ჩაერეოდა, მაშინ ჩვენს კუთხესაც ბრძოლის ველად გადაქცევა ემუქრებოდა. აქედან გამომდინარე, ახლა ბავშვებს უფრო მეტად გვაჩერებდნენ შინ და ათასნაირ ხერხს მიმართავდნენ ჩვენს გასართობად და დასასაქმებლად. ამიტომ გამოგვიძებნეს ბებოს დანატოვარი თოჯინების თეატრი და ისე გაგვიმართეს, რომ მაყურებლებს შეეძლოთ ჩემს მანსარდის ოთახში მსხდარიყვნენ, ხოლო თვითონ თეატრი ავანსცენითურთ მეორე ოთახში განლაგებულიყო. ხელსაყრელი ვითარების წყალობით, მაყურებლად ვის აღარ ვეპატიებოდით და ამგვარად ბევრი მეგობარი კი გავიჩინე, მაგრამ, როგორც ბავშვებს სჩვევიათ, ისინი დიდხანს ვერ ძლებდნენ წყნარად, მოთმინება-დაკარგულნი ანცობდნენ და ხელს უშლიდნენ წარმოდგენის მსვლელობას. ამიტომ იძულებულნი გავხდით, მაყურებლებად უფრო მცირეწლოვანი საზოგადოება მოგვეწვია, მათ, სხვა თუ არაფერი, გადიები და მოსამსახურე გოგოები მაინც გააჩერებდნენ. თავდაპირველად გვექონდა ერთი მთავარი დრამა, რომელიც ჩვენს თოჯინებზე იყო გათვლილი, ის ზეპირად ვიცოდით და თავიდან მხოლოდ და მხოლოდ იმ დრამას ვთამაშობდით ხოლმე, მაგრამ სპექტაკლი მალე მოგვებზრდა, შევცვალეთ გარდერობიც, დეკორაციებიც და ისეთ პიესებსაც შევბედეთ, ჩვენს პანია სცენას ნამდვილად რომ აღარ შეეფერებოდა. მართალია, ამით ისიც გავაფუჭეთ და წყალში ჩავეყარეთ, რის გაკეთებაც მართლა შეგვეძლო და გვეხერხებოდა, მაგრამ ამ ბავშვურმა გართობამ და საქმიანობამ მაინც გაამრავალფეროვნა ჩემი ფანტაზია და წარმოდგენის უნარი, გამიღვივა გამომგონებლობის ნიჭი და ტექნიკაც შემძინა, რაც, ალბათ, სხვა გზით, თანაც ასე მოკლე დროში, ასეთ ვიწრო სივრცეში და ასეთი მცირე ძალისხმევით ნამდვილად არ მოხერხდებოდა.

მე ადრე ვისწავლე ფარგლისა და სახაზავის ხმარება და რასაც კი გეომეტრიაში ვისწავლიდი, მაშინვე ვიყენებდი და კარგადაც ვერთობოდი მუყაოსგან რალაც-რალაცების კეთებით, ოღონდ გეომეტრიულ სხეულებს, ყუთებსა და მისთანებს დიდხანს არ გადავყოლილვარ, საკუთარი ფანტაზიით დავინწყე კოპწია სახლების კეთება, რომლებიც პილასტრებით, ღია კიბეებით და ბანით იყო დამშვენებული, ოღონდ ამ თამაშს რაიმე სერიოზული შედეგი ნამდვილად არ მოჰყოლია.

უფრო მეტი ყინითა და მონდომებით შევუდექი ჩვენი ერთი მსახურის, ყოფილი თერძის დახმარებით დრამებისა და ტრაგედიებისათვის რეკვიზიტის დამზადებას, რადგან თოჯინების ასაკიდან უკვე გამოსულები



ვიყავით და სპექტაკლებში ჩვენ თვითონ ვთამაშობდით ხოლმე. ჩემი თანატოლებიც იმზადებდნენ მსგავს ნივთებს და თავიანთი ნახელაფი ჩემსაზე არანაკლებ მოსწონდათ, მაგრამ მე, მათგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი რომელიმე ადამიანისთვის როდი ვამზადებდი რეკვიზიტს, მათი შეშვეობით მთელი ჩვენი პატარა ლაშქრის აღკაზმვა შეიძლებოდა და ამის გამო ჩვენი პატარა წრისათვის დღითიდღე აუცილებელი უფრო და უფრო ამდაგვარი თამაში პარტიებად დაყოფის, შეტაკებებისა და ცემა-ტყეპის გარეშე რომ არ ჩაივლიდა, ადვილი მისახვედრია. ასეთ შემთხვევებში ჩემი ამხანაგების ნაწილი ჩემს მხარეს იჭერდა, ნაწილი კი მოპირდაპირე მხარისას, თუმცა აქეთ-იქით გადასვლა-გადმოსვლაც ხშირად ხდებოდა ხოლმე. გამონაკლისი ვახლდათ ერთი ბიჭი, ვთქვათ, სახელად პილადეს, რომელმაც მხოლოდ ერთხელ გადაინაცვლა ჩემს მონინააღმდეგე ბანაკში, მაგრამ იქ ერთი წუთი ძლივს გაძლო და ისევ ჩემს მხარეს გადმოვიდა, შერიგებისას ორთავემ ცრემლის ტბები დავაყენეთ და მას შემდეგ კარგახანს ერთმანეთისთვის აღარ გვიღალატია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე შემეძლო ეს და სხვა ჩემი მოკეთენი კიდევ ზღაპრების მოყოლით გამებედნიერებინა, განსაკუთრებით პირველ პირში მოყოლილი ზღაპრებით და ძალიანაც უხაროდათ, რომ მე, მათ თანატოლს, ასეთი საოცარი ამბები შეიძლებოდა გადამხდენოდა. რაც მთავარია, არც აეჭვებდათ, სად უნდა მეპოვა დრო ასეთი თავგადასავლებისათვის, მათ ხომ მშვენივრად იცოდნენ, რამდენი საქმე მქონდა და სად მივდი-მოვდიოდი. არანაკლებ დაუჯერებელი უნდა ყოფილიყო, რომ მოქმედება თუ სხვა სამყაროში არა, სხვა მხარეში მაინც მიმდინარეობდა და თან ყველაფერი დღეს ან გუშინ ხდებოდა ხოლმე. ასე და ამგვარად, ისინი თვითონვე უკეთ იტყუებდნენ თავს, ვიდრე ამას მე შევძლებდი და მაინც, მე რომ ბუნებრივი ნიჭის წყალობით ამ გამონაგონი პერსონაჟებისა და მათი ცრუ თავგადასავლების მხატვრულ ფორმაში მოქცევას არ მიფჩევოდი, ასეთი სახიფათო თამაში ჩემთვის კარგად არ დამთავრდებოდა.

ასეთ მისწრაფებებს კარგად თუ ჩაუუკვირდებით, იქ ამოვიცნობთ იმ სითამამეს, რითაც პოეტი თვით ყველაზე დაუჯერებელ ამბებსაც კი მბრძანებლური ტონით გამოთქვამს და ყოველი ჩვენგანისაგან მოითხოვს სინამდვილედ აღიარონ მისი ნათქვამი, რაც მას, პირველად მომჩინს, როგორღაც ჭეშმარიტებად მოსჩვენებია.

ზემოთ მხოლოდ ზოგადად და სავარაუდოდ გამოთქმული აზრი იქნებ უფრო სასიამოვნოდ და თვალსაჩინოდ ერთი მაგალითით, ერთი ნიმუშით დავასაბუთო. ამ მიზნით აქვე ერთ ისეთ ზღაპარს დავუერთავ, რომელსაც ჩემს ამხანაგებს ხშირ-ხშირად ვუყვებოდი და მეხსიერებაში დღემდე ცოცხლად მაქვს შემორჩენილი.

### ახალი პარისი

#### საყვანვილო ზღაპარი

სულ ცოტახნის წინ, სამების ღამეს მესიზმრა, ვითომ სარკის წინ ვიდექი და ჩემი საყვარელი მშობლებისგან მოძღვნილ ახალ საზაფხულო ტანსაცმელს ვიზომებდი. კოსტიუმი, მოგვხსენებათ, ვერცხლის ბალთებიანი პრიალა ტყავის ფეხსაცმლის, ბამბის თხელი წინდების, შავი სარკის



შარვლისა და ოქროსლილებიანი მწვანე ქაშლოთის კამზოლისაგან შედგებოდა, მისი შესაფერი ჟილეტი კი მამაჩემის საქორწინო ფარჩის ჟილეტიდან იყო გადაკეთებული. მე უკვე დავარცხნილიც გახლდით და შეპუდრულიც, თავზე ფრთებივით მადგა კულულები, მაგრამ ვერა და ვერ მოვრჩი მორთვა-მოკაზმვას, რადგან ერთმანეთში მერეოდნენ კოსტიუმის რომელი ნაწილი უნდა ჩამეცვა. ამ განამანიაში რამდენიმე საშროს მომიახლოვდა ვიღაც ახალგაზრდა, პირმშვენიერი კაცი და თავაზიანად მომესალმა.

— ო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — შევძახე მე. — როგორ მიხარია თქვენი დანახვა.

— ნუთუ მიცანი? — მითხრა მან ღიმილით.

— როგორ არა, თქვენ ხომ მერკური ხართ, რამდენჯერ მინახიხართ ჩემს წარმოსახვაში! — ასევე ღიმილით მივუგე მე.

— დიახ, მე გახლავართ, — დამიდასტურა მან, — მე გახლავართ და ღმერთებისგან მნიშვნელოვანი დავალებით ვარ შენთან წარმოგზავნილი. ამ სამ ვაშლს ხომ ხედავ? — ხელი გამომიშვირა მან და დამანახა სამი ვაშლი, ძლივს რომ ეჭირა, იმოდენა იყო თითოეული მათგანი. სილამაზეს ხომ ნუ იტყვით, თვალს მოგტაცებდნენ, თუმცა ერთი წითელი გახლდათ, მეორე ყვითელი, მესამე კი მომწვანო ფერისა. გეგონებოდათ, ძვირფასი ქვისგან გამოუთლიათ და ხილის ფორმა მიუციათო. მინდოდა ხელი მეტაცა, მაგრამ მან უკან დაიხია და მითხრა:

— ეს ვაშლები შენი როდია, ისინი შენი ქალაქის სამ ულამაზეს ჭაბუკს უნდა ჩამოურიგო, რომ მერე ყოველმა მათგანმა თავის შესაფერი მეუღლე იპოვოს. გამომართვი და საქმეს შეუდექი! — მითხრა მან დამშვიდობებისას და ვაშლები მისკენ განვდილ ხელებში ჩამინყო.

მომეჩვენა, რომ ვაშლები კიდევ უფრო დამსხვილებულიყო. ვაშლები მალლა ავნიე, სინათლეზე გავხედე და ვნახე, რომ გამჭვირვალე ყოფილიყვნენ, ეს კიდევ არაფერი, უეცრად გაიწვინენ და სამ მშვენიერ ასულად გადაიქცნენ. მოზრდილი თოჯინების ზომის ასულებს იმ სამი ვაშლისფერი კაბები ეცვათ, სამივენი თითებზე ჩამომაცოცდნენ და ის იყო თუნდაც ერთის დასაჭერად ხელი გავინვდინე, რომ უკვე ზეცაში მინანაობდნენ და სულ მალე შორეთში გაუჩინარდნენ. გაშტერებული ვიდექი, ადგილიდან ვერ ვიძროდი და ჩემს თითებს ისე ვაკვირდებოდი, თითქოს ზედ კიდევ რაიმე ყოფილიყო შერჩენილი. და აი, დიდხანს არ გაუვლია, რომ დავინახე, ჩემი თითების წვეროებზე ცეკვა-ცეკვით როგორ გადარბოდა კობტა გოგონა, იმ სამ ასულზე პატარა ტანისა, მაგრამ საოცრად ტურფა და ცქრიალა. რაკი ის დანარჩენებივით არ გაფრენილა, ჩემთან დარჩა და ცეკვა-ცეკვით ხან ერთ თითზე შემომასკუბდებოდა და ხან მეორეზე, კარგახანს გაოგნებული შევყურებდი. გოგონა ძალიან მომეწონა და ის იყო ვიფიქრე, ამას მაინც დავიჭერ-მეთქი, რომ იმავე წუთში თავში დარტყმა ვიგრძენი, დარეტიანებული ძირს დავეცი და გონს მანამდე არ მოვსულვარ, სანამ ჩაცმის და ეკლესიაში წასვლის დრო არ მოვიდა.

ღვთისმსახურებისას ხშირად მახსენდებოდა ის სურათები და არც მერე, ბებიასა და ბაბუასთან სადილობისას დამვიწყებია. წასადილევს რამდენიმე მეგობრის მონახულებას ვაპირებდი, ჯერ ერთი, მინდოდა მათ ახალ ტანსაცმელში, გვერდზე ხმლითა და ილღის ქვეშ ამოჩრილი შლა-



პით დავნახვებოდი და მეორეც, მათთან სტუმრობა რიგითაც მიწევდა. შინ არცერთი არ დამხვდა და რაკი მითხრეს, ბალებში არიან წასულნიო, გადავწყვიტე მეც იქით მექნა პირი და სალამო ერთად გაგვეტარებინა. ჩემი გზა ცვინგერზე გადიოდა და მალე იმ მიდამოში აღმოვჩნდი, აქ გალავანს რომ ეძახდნენ და სავსებით სამართლიანადაც, რადგან ქვეყნის რაღაც უცნაური, უსიამო გრძნობა გიპყრობდა ხოლმე. შევდიოდით ზღა-ნელა და ჩემს სამ ღვთაებაზე ვფიქრობდი, განსაკუთრებით ტკბილად კი ის ჩემი პანია ნიმფა მაგონდებოდა. დროდადრო თითებს მალლა ვწევდი იმ იმედით, იქნებ წყალობა მოიღოს და თითებზე ისევ ამიციკვდეს-მეთქი. ჰოდა, ამ ფიქრებში გართულმა უეცრად გალავანში, ხელმარცხნივ პატარა კარიბჭე შევნიშნე, რომელიც აქამდე არასოდეს მენახა. ერთი შეხედვით იგი დაბალი ჩანდა, მაგრამ მის თავზე გამოყვანილ თაღში ყველაზე მაღალი კაციც კი გაეტეოდა. კარიბჭის თაღს და საპირებს უნატიფესი ჩუქურთმები და ბარელიეფები ამკობდა, მაგრამ ჩემი ყურადღება უფრო მეტად თვით კარმა მიიზიდა. ყავისფერი, სადად დამუშავებული ძველთაძველი ხის ზედაპირზე ჩაზნექილ-ამოზნექილი სპილენძის ზოლები იყო დაკრული, ხოლო ზედ გამოყვანილ ფოთლებში, ცოცხლებისგან რომ ვერ გამოარჩევდით, ისეთი ჩიტუნები ისხდნენ, თან ისეთი ლამაზები, თვალს ვერ მოაცილებდი. ყველაზე უფრო კი იმან გამაოცა, რომ არც საკლიტული ჩანდა სადმე, არც სახელური, არც დასაკაკუნებელი ჩაქური და ამიტომ ვივარაუდე, ეს კარი მხოლოდ შიგნიდან ხომ არ იღება-მეთქი. ასე ვიფიქრე და არც შევმცდარვარ: სამკაულის უკეთ დასათვალიერებლად სულ ახლოს რომ მივედი, კარი შიგნიდან გაიღო და ვილაც კაცი გამოჩნდა, რომელსაც რაღაც უცნაური, გრძელი და სრული სამოსი ეცვა და ნიკაპს დარბაისლური წვერი უმშვენებდა. ამან მაფიქრებინა, ებრაელი ხომ არ არის-მეთქი. მან კი, თითქოს ჩემი ფიქრები ამოიცნოო, პირჯვარი გადაიწერა და ამით მიმახვედრა, კათოლიკე ქრისტიანი ვარო.

— ყმაწვილო, საიდან მოსულხარ და აქ რას აკეთებ? — აღერსიანი ხმით მკითხა მან და გულითადობის ნიშნად ჩემსკენ დაიხარა.

— მე ამ კარიბჭის შემკულობამ განმაცვიფრა. ამის მსგავსი არსად არაფერი მინახავს, მხოლოდ ხელოვნების მოყვარულთა კოლექციებში თუ ნააწყდები ამდაგვარ ცალკეულ, პატარ-პატარა დეტალებს, — მივუგე მე.

— მიხარია, ასეთი ნამუშევარი რომ მოგწონთ, — მითხრა მან, — შიგნიდან კარიბჭე გაცილებით ლამაზია. შემობრძანდით, თუ ასე მოგეწონათ.

მე რაღაც უსიამო გრძნობამ შემიპყრო. დარაჯის უცნაური სამოსი, უკაცრიელი მიდამო და კიდევ რაღაც, თითქოს პაერში რომ ტრიალებდა, ჩემზე დამთრგუნველად მოქმედებდა. მოვიმიზეზე, ისევ გარედან დათვალიერება მირჩევნია-მეთქი და თან თვალი ჩემს თვალწინ გადაშლილი ბაღისკენ გავაპარე. ზედ კარიბჭესთან დაჩრდილული კუთხე დავინახე; თანაბრად დაშორიშორებული ბებერი ცაცხვები ისე გადახლართვოდნენ ერთმანეთს, რომ მათ ჩრდილქვეშ პაპანაქება სიცხეში თავს უამრავი ხალხი შეაფარებდა. ჩემდაუნებურად უკვე ზღურბლზე შევდგი ფეხი და მოხუციც ნაბიჯ-ნაბიჯ შიგნით მიტყუებდა. გული მეც აღარ მიძლიებდა და თან არაერთხელ გამეგონა, პრინცი ან სულთანი ასეთ შემთხვევაში არასდროს არ იკითხავდა, წინ რაიმე საფრთხე ხომ არ მულოდებო. ჩემი ხმალი იქ არ მქონდა? განა ამ მოხუცს ვერ გავუმკლავდებოდი, მტრობას თუ განიზ-



რახავდა? ჰოდა, მეც ბალში გულდაგულ შევაბიჯე. დარაჯმა კარს ხელი ჰკრა და ისიც ისე წყნარად დაიხურა, რომ მხოლოდ სუსტი ჩქარე გავიგონე. დარაჯმა მიჩვენა კარის შიდა მხარეზე მართლა უფრო დიდი ხელოვნებით გამოყვანილი ჩუქურთმები და ალერსიანი ღიმილით გამათამაშა, მეც, საბოლოოდ გულმოცემული, გზას მოჩრდილულ მხარეს დავადექი, გალავანს, სადაც უხვევდა, იქითკენ გავუყევი და შიშხიღველი და ალტაცების ღირსი ბევრი რამ ვნახე: ნიჭარებით, მარჯნითა და ლითონის წახნაგებით მორთულ-მოკაზმულ ნიშებში ტრიტონები დაეტანებინათ, რომელთა ხახიდან მარმარილოს აუზებში წყალი მოჩქეფდა, მათ შორის მოთავსებულ ვოლიერებსა და გალიებში ჩიტებს გარდა ციყვებიც დახტოდნენ, ზღვის გოჭები დარბოდნენ და რა გინდა სულო და გულო, სხვა რა ცხოველს აღარ დაინახავდით. ჩიტები, გვერდით რომ ჩავუვლიდით, ჭიკჭიკით გვეხმაურებოდნენ, შოშიები კი რალაც სისულელეებს გაიძახოდნენ. ერთი ყვიროდა: პარის! პარის! მეორე კი მკაფიოდ იძახდა ნარცის, ნარცისო, ზუსტად ისე, სკოლის მოსწავლეებმა რომ იციან ხოლმე, მოხუცი სერიოზული სახით შემომცქეროდა, ჩიტები ამ სახელებს რომ იძახოდნენ, მაგრამ მე არაფერს ვიმჩნევდი და მართალი გითხრათ, მისთვის ისედაც არ მეცალა, რადგან ის იყო მივხვდი, რომ წრეზე მივდიოდით. საერთოდ ეს დაჩრდილული სივრცე უზარმაზარ წრეს წარმოადგენდა და გაცილებით მნიშვნელოვან შიდა წრეს გარს ევლებოდა. ამასობაში მართლა ისევ კარიბჭესთან მივედით და მომეჩვენა, რომ მოხუცი გასტუმრებას მიპირებდა, მე კი მზერა ოქროს ცხაურს მივაპყარი, რომელიც ამ თვალწარმტაცი ბალის შუაგულში იდგა. ის ცხაური ადრევე მქონდა შეთვალეებული, თუმცა მოხუცი თავგამეტებით ცდილობდა გალავანს არ მოეცილებოდა და შუაგულიდან მოშორებით დამატარებდა. ახლაც, ის იყო კარიბჭესთან მიმაცილა, რომ მე თავი მდაბლად დავუკარი და ვუთხარი:

— თქვენ ისე გაისარჯეთ ჩემთვის, სანამ დაგემშვიდობებოდეთ, კიდევ ერთ თხოვნას შემოგბედავთ: იქნებ ის ოქროს ცხაური უფრო ახლოდან დამათვალეებინოთ, ჩემი ვარაუდით ბალის ვრცელი შუაგული რომ შემოუფარგლავს?

— სიამოვნებით, — მომიგო მან, — ოღონდ რამდენიმე პირობის დაცვა მოგიწევთ.

— მაინც რა პირობაა ასეთი? — შევაგებე მე.

— თქვენს შლაპას და ხმალს აქ დატოვებთ და შემდეგ ხელიხელჩაკიდებულებმა უნდა ვიაროთ.

— დიდი სიამოვნებით! — მივუგე მე და შლაპა და ხმალი პირველივე ქვის სკამზე დავანყვე.

მოხუცმა მარჯვენა ხელი მარცხენაში ჩამავლო და წინ ლამის ძალით მიბიძგა. სამაგიეროდ ცხაურთან მისვლისთანავე ალტაცება გაოცებით შემეცვალა: ასეთი რამ მანამდე არსად მენახა. მარმარილოს მაღალ კვარცხლბეკზე უამრავი შუბი და ალუბარდი ჩაემწკრივებინათ, მათი უცნაურად მოჩუქურთმებული წვეროები ერთმანეთს ებჯინებოდნენ და ერთ მთელ წრეს ქმნიდნენ. მათ შორის დარჩენილ არეში გავიჭვრიტე და იქვე მარმარილოს ღარში წყნარად მოჩუხჩუხე წყალი დავინახე. წყალი გუბდებოდა და მის კამკამა სიღრმეში ოქროსა და ვერცხლის თევზები ირეოდნენ. ზოგი დუნედ დაცურავდა, ზოგი სწრაფად დასრიალებდა, ხან განცალკევდებოდნენ, ხან კი მწკრივად მიმოდრიოდნენ. სიამოვნებით გადავი-



ხედავდი, იმ არხს მიღმა რა ხდებოდა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, წყლის სათავეს ისეთივე ცხაური ფარავდა და თან ისე ოსტატურად, რომ აქეთა ცხაურის ღრიჭოში მეორე ცხაურის შუბები და ალებარდები იყო ჩასმული, ამას მიათვალეთ ჩუქურთმა და სივრცე ისე იგმანებოდა, საიდანაც უნდა მიდგომოდით, მაინც ვერაფერს დაინახავდით. მოხუცმა ხულს მიშლიდა, ისე მაგრად ვეჭირე, ძლივს ვმოძრაობდი. უკვე ნანახმა ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო გამიღვივა, მეც გამბედაობა მოვიკრიბე და მოხუცს ვკითხე, იქით გასვლა თუ შეიძლება-მეთქი.

— რატუმაც არა? — მომიგო მან. — მაგრამ ახალი პირობების დაცვა მოგიწევთ.

რომ ვკითხე, მაინც რა პირობებია-მეთქი, მიმახვედრა, ტანსაცმლის გამოცვლა მოგიწევსო. ამ აზრმა კმაყოფილება მომიგვარა. მოხუცმა უკან მიმაბრუნა და ერთ პატარა, სუფთა დარბაზში შემიყვანა, რომლის კედლებზეც აღმოსავლური ტიპის ნაირ-ნაირი ტანსაცმელი ეკიდა. ტანსაცმელი სწრაფად გამოვიცვალე. ჩემს გაპუდრულ თმაზე მოხუცმა ჭრელი ბადე ჩამომაცვა, ხოლო მანამდე, ჩემდა გულსატკენად, პუდრი კარგა მაგრად ჩამომბერტყა. სამაგიეროდ, დიდი სარკის წინ რომ დავდექი, ჩემი თავი ასე მორთულ-მოკაზმული უფრო მომეწონა, ვიდრე იმ ჩემს გაშეშებულ საკვირაო კოსტიუმში. სარკის წინ რამდენჯერმე ისე შევხტი და შევკოპნიალდი, როგორც ბაზრის ბალაგანის მოცეკვავეებთან მქონდა ნანახი. ამასობაში სარკეში, ჩემს უკან ნიშა დავინახე. იქ, თეთრად შეფეთქილ სიღრმეში სამი მწვანე ზონარი ეკიდა, თითოეული სხვადასხვანაირად დავრეხილი, თუმცა ამ სიშორიდან კარგად ვერცერთს ვერ ვარჩევდი. სასწრაფოდ შემოვტრიალდი და მოხუცს ნიშისა და ზონრების ამბავი ვკითხე. მან ხათრი არ გამიტეხა, ერთ-ერთი მათგანი ჩამოხსნა და მიჩვენა. ეს გახლდათ მწვანე აბრეშუმის, საკმაოდ მსხვილი ზონარი, რომლის ორივე ბოლო მწვანე ტყავის ორმაგი კვანძით იყო მაგრად შეკრული და, ეტყობოდა, რალაც უსიამო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. დაეჭვებულმა მოხუცს ვკითხე, ეს ზონრები რის მაქნისია-მეთქი, მანაც აუღელვებლად და გულკეთილად ამიხსნა, ისინი მათთვისაა განკუთვნილი, ვინც ჩვენს ნდობას ბოროტად გამოიყენებსო, ზონარი კვლავ თავის ადგილზე ჩამოკიდა და მიბრძანა უკან გავყოლოდი, ოღონდ ამჯერად ხელი აღარ ჩაუჭიდა და მეც თავისუფლად შემეძლო გვერდით მივყოლოდი.

ამჯერად ყველაზე უფრო ის მაინტერესებდა, ცხაურში შესასვლელი კარი და არხზე გადასასვლელი ბოგირი სად უნდა ყოფილიყო, რადგან აქამდე მსგავსი ვერაფერი აღმომეჩინა. გაფაციცებული ვაკვირდებოდი ოქროს მესერს, საითკენაც გამალებით მივემართებოდით. უეცრად სახე მომედრინა: სრულიად მოულოდნელად შუბები, ხელშუბები, ალებარდები აუღარუნდნენ და ამოძრავდნენ და ეს უცნაური რხევა-ფლრიალი იმით დასრულდა, რომ ყველა ეს წამახული წვერო ერთმანეთისკენ გადაიხარა, ზუსტად ისე, თითქოს ფარ-შუბებით შეიარაღებული ორი ძველებური ლაშქარი ერთმანეთთან შესატაკებლად დაძრულაო. ეს თვალის ამაჭრელებელი და ყურების დამახშობელი სეირი ის იყო აუტანელი ხდებოდა, რომ მოულოდნელად ისინი ძირს განერთხენ, არხის ზედაპირი დაფარეს და ზღვდ ისეთი დიდებული ბოგირი გასდეს, ავ თვალს არ დაენახებოდა. და აი ჩემს თვალწინ წალკოტი აბდღვიალდა. მიხვეულ-მოხვეული კვლები თითქოს ერთ მშვენიერ ლაბირინთად ერთიანდებოდნენ და ჩემთვის უც-



ნობი ფუმფულა, დაბალი მწვანე ბალახით იყვნენ გარშემორტყმული. ნალკოტის ყოველი კუთხე სხვადასხვაფრად ღუოდა, ყვავილები ყველგან ლამის მიწაზე გართხმულიყვნენ და მით უფრო მკაფიოდ აჩენდნენ წინასწარ დაგეგმილ მოხაზულობას. ამ ნალკოტს კაშკაშა მზე დანათობდა და კიდევ უფრო თვალწარმტაცს აჩენდა, ოღონდ ის ველარ გავრცელებულ ფურცლად უნდა დამედგა: დაკლაკნილ ბილიკებზე ცისფერი ქვიშა ეჭარბა; ქვიშის უსტად, ისეთი მუქი ცისფერი, თითქოს დედამიწაზე წყალში არეკლილი ცა განოლილაო. კარგახანს მივაბიჯებდი ასე თავდახრილი ჩემი მეგზურის გვერდით, სანამ ამ ყვავილწარის შუაგულში კვიპაროსებისა თუ ალვის ხეების დიდ კორომს არ მივაღექით, ოღონდ თითქოს მიწიდან ამოზრდილ ტოტებში ვერაფერს დაინახავდით. ჩემს მეგზურს, მართალია, არა უმოკლესი გზით, მაგრამ მაინც პირდაპირ იმ კორომისკენ მივყავდი და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა მაღალი ხეების წრეში შევაბიჯე და პორტიკით დამშვენებული მშვენიერი პავილიონი დავინახე, რომელსაც ასეთივე შესასვლელები წესით ყოველ მხარეს უნდა ჰქონოდა დატანებული. ხუროთმოძღვრების ამ დიდებულ ქმნილებაზე უფრო შენობიდან დარხეულმა ზეციურმა მუსიკამ დამატყვევა. ეს ხმები ხან ბარბითის მეგონა, ხან ქნარისა, ხან კი ციტრისა, რომელსაც კიდევ რაღაც წკარუნი ერთვოდა, რაც ამ სამიდან არცერთს არ შეიძლებოდა გამოეცა. ჭიშკარს რომ მივუახლოვდით, იგი მოხუცის ხელის ერთი შეხებით გაიღო და გაოცებისგან ენა ჩამივარდა: ზღურბლზე მდგარი ქალწული საოცრად ჰგავდა იმ პირმშვენიერ გოგონას, სიზმარში ჩემს თითებზე რომ ცეკვავდა. ისიც ისე მომესალმა, თითქოს ერთმანეთს უკვე ვიცნობდით და შენობაში შემიპატიჟა. მოხუცი ჩამომჩა, მე კი გოგონასთან ერთად თაღებიანი, მოჩუქურთმებული პატარა დერეფანი გავიარე და შუა დარბაზში შევედი, რომლის ტაძარივით მაღალმა ჭერმა თვალი მომტაცა და უსაზღვროდ გამაოცა. ოღონდ ჭერს თვალი მალევე მოვაცილე, რადგან მყისვე კიდევ უფრო თვალწარმტაცმა სანახაობამ მიმიზიდა. ხალიჩაზე, ზუსტად გუმბათის ქვეშ სხვადასხვა ფერის სამოსში გამოწყობილი სამი ქალი იჯდა: ერთს წითელი ემოსა, მეორეს ყვითელი, მესამეს კი მწვანე. საკარცხულები მოოქროვილი გახლდათ, ხალიჩა კი ყვავილების კორდს მიაგავდა. ქალბატონებს ხელში სამი სხვადასხვა საკრავი ეჭირათ, რომელთა ხმა გარეთ შემომესმა, ჩემი შესვლისთანავე კი მუსიკა შეწყდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მითხრა ერთ-ერთმა, რომელიც კარისკენ პირშექცევით იჯდა, წითელი კაბა ეცვა და ხელში ქნარი ეჭირა. — დაბრძანდით ალერტესთან და თუ მუსიკა გიყვართ, სმენა მოგვაპყარით.

მხოლოდ ამ სიტყვების მოსმენის მერე შევამჩნიე, რომ იქვე მოგრძო მერხი იდგა და ზედ მანდოლინა იდო, ახლა ჩემგან მარჯვნივ მჯდარი მანდილოსნის ყურებაც შემეძლო, მას ყვითელი კაბა ეცვა და ხელში ციტრა ეჭირა. თუკი ქნარზე დამკვრელი წარმოსადგევი ქალი იყო, სახის მსხვილი ნაკვთები ჰქონდა და მედიდურობითაც გამოირჩეოდა, ციტრაზე დამკვრელი სანდომიან და ხალისიან ადამიანს ჰგავდა. იგი ტანწერწეტა ქერა ქალი გახლდათ, იმ მედიდურ მანდილოსანს კი მუქი ნაბლისფერი თმა ამშვენებდა. მათ შეხმატკბილებულ და ნაირფერ მუსიკას ჩემთვის ხელი არ შეუშლია მწვანე სამოსში გამოწყობილ მესამე მზეთუნახავს დაკვირვებოდი, რომლის ბარბითი რაღაც გულისამაჩუყებელ ხმებს გა-



მოსცემდა და ყველაზე მეტადაც იქცევდა ჩემს ყურადღებას, რადგან ისიც გამორჩეული ყურადღებით მეკიდებოდა და თითქოს მანიშნებდა, შენთვის ვუკრაუო, მაგრამ ვერაფერს გახდა; იგი სახის გამომეტყველებასა და პანგის ცვალებადობის მიხედვით ხან ნარნარი, ხან თვალნარმტაცი, ხან გულდია, ხან კი კერპი მეჩვენებოდა. ხან ჩემს მოხიბვლას ცდილობდა, ხან გაღიზიანებას, მაგრამ რაც უნდა ექნა, მაინც ვერ მიმიზიდავდა, რადგან მე იმ ჩემს პანია მეზობელს ვყავდი მთლიანად დაპყრობილი, გვერდით სულ ახლოს რომ მეჯდა. თანაც იმ სამ მანდილოსანში ისე ნათლად შევიცანი სიზმარში ნანახი სილფიდები და იმ სამი ვაშლის ფერი, რომ მივხვდი, მათთან არაფერი მესაქმებოდა. მე ამ სანდომიან პანიას უფრო დიდი სიამოვნებით ჩავიკრავდი გულში, სიზმარში მისგან ნათავაზები დარტყმა აქამდე ცხადად რომ არ მხსომებოდა. იგი თავის მანდოლინიანად აქამდე წყნარად იჯდა, მაგრამ მისმა მბრძანებლებმა დაკვრა მოათავეს და ახლა მას უბრძანეს მხიარული პიესები დაეკრა, მაგრამ ის იყო რამდენიმე საცეკვაო მელოდია საკმაოდ სახალისოდ ააჟღარუნა მანდოლინაზე, რომ წამოხტა და მანდოლინიანად ცეკვას მოჰყვა. მეც მივყევი, თავდავიწყებით ვცეკვაავდი და ვცდილობდი მისთვის ფეხი ამეწყო. საბოლოოდ რაღაც საბალეტო ნომრის მსგავსი გამოგვივიდა და, ეტყობოდა, მანდილოსნებიც კმაყოფილნი დაგვირჩნენ, რადგან პანიას უბრძანეს, სანამ ვახშმობის დრო მოვიდოდა, ჩემთვის რაიმე ნუგბარი მოეტანა. მე მართლა აღარ მახსოვდა, ამ სამოთხის გარდა დედამინის ზურგზე კიდევ რამე თუ არსებობდა. აღერტემ მყისვე იმ დერეფანში მიმაბრუნა, საიდანაც აქ შემოვედი. იქვე ორი მშვენივრად მოწყობილი ოთახი ჰქონდა, ერთ-ერთში შემიპატიჟა, ფორთოხალი, ლეღვი, ატამი და ყურძენი მომართვა და მეც დიდი სიამოვნებით არამარტო უცხო ქვეყნების ხილი ვიგემე, არამედ ჩვენთან ჯერ შემოუსვლელ ხილსაც გავუსინჯე გემო. სუფრაზე ტკბილეულიც უხვად ეწყო, მან კიდევ ბროლის ნათალი ჭიქა შუშხუნა ღვინით ამივსო, მაგრამ აღარ მწყუროდა — წყურვილი ხილმა მომიკლა.

ახლა კი, მოდი, ვითამაშოთო, მითხრა მან და მეორე ოთახში გამიყვანა. იქაურობა საშობაო ბაზარს ჰგავდა, მაგრამ ასეთ ძვირფას და ნატიფ ნივთებს იქაც ვერ იხილავდით. აქ იყო ნაირ-ნაირი თოჯინები, თოჯინების ტანსაცმელი და ავეჯი: სამზარეულო და სასტუმრო ოთახის მოწყობილობა, ნაირნაირი სათამაშოებით გამოჭედილი სათამაშო მაღაზიები. მან ყველა მინის კარადა ჩამომატარა, სადაც ეს უნატიფესი ნივთები იყო გამოფენილი, ოღონდ პირველი კარადები მალევე ჩაკეტა და მითხრა:

— როგორც ხედავთ, სათქვენო არაფერია, აი, აქ კი შეგვეძლო სამშენებლო მასალები გვენახა, გალავნები და კოშკები, სახლები, სასახლეები, ეკლესიები, რითაც ერთ დიდ ქალაქს ავაშენებდით, მაგრამ ასე მე ვერ გავერთობი. ჯობია ისეთ რასმე მოვკიდოთ ხელი, ორივეს რომ მოგვენონება, — დასძინა მან და რამდენიმე ყუთი გადმოიღო, სადაც კოხტად ელაგა სათამაშო ჯარისკაცები და მეც მყისვე ვაღიარე, რომ ასეთი მშვენიერება აქამდე არსად მენახა. მან ჯარისკაცების თითო-თითოდ დათვალიერება არ დამანება, ერთი ყუთი თვითონ ამოიღო ილღიაში, ხილო მეორეს მე დავავლე ხელი.

— მოდი, ოქროს ხიდზე წავიდეთ, — მითხრა მან, — ჯარისკაცებით



თამაში ყველაზე კარგად იქ გამოდის, შუბები მაშინვე მიგითითებენ, ჯარების განლაგება როგორ ჯობია.

სულ მალე მოქანავე ოქროს ხიდზე ვიდექით და მესმოდა, ჩემ ქვეშ როგორ მიჩუხჩუხებდა წყალი და როგორ დგაფუნებდნენ ოქროს თევზები. მე ჩავცუცქდი, რომ ჩემი ჯარი განმელაგებინა და მჭეჭნე შევადრინე, მხოლოდ ცხენოსანი ჯარი რომ მყოლია. მან წაიტრაბახა, ჩემს ქვეშის ლაშქარს თვით ამორძალების დედოფალი მეთაურობსო. სამაგიეროდ მე აქილევსი და ბერძნული კავალერია მყავდა. აი, ჯარები უკვე პირისპირ იდგნენ და ამაზე დიდ სილამაზეს კაცის თვალი ვერ ნახავდა. ესენი ჩვენს ბრტყელ-ბრტყელ ტყვიის ჯარისკაცებს როდი ჰგავდნენ, ცხენიც და მხედარიც დიდი ხელოვნებით იყო გამოძერწილი. გარდა ამისა, გაგიკვირდებოდათ, როგორ ინარჩუნებდნენ წონასწორობას, როცა სადგამიც არ მქონდათ ძირში დატანებული.

ის იყო ორივემ დიდი კმაყოფილებით შევავლეთ თვალი ჩვენ-ჩვენს ლაშქარს, რომ მან ბრძოლის დაწყება მამცნო. ჩვენს ყუთებში თოფებიც აღმოჩნდა და აქატის პანია, პრიალა ბურთულებით სავსე კოლოფებიც. ამ იარაღით უნდა გვებრძოლა ერთმანეთთან, ოღონდ ფიგურებისთვის ისე მოზომილად უნდა დაგვეშინა ტყვიები, რომ არცერთი არ დაგვეზიანებინა. აი, დაიწყო კანონადა და თავიდან ორივენი კმაყოფილები ვიყავით, მერე კი, ჩემმა მოწინააღმდეგემ რომ დაინახა, მიზანში მე უფრო კარგად ვურტყამდი და ფეხზე დარჩენილი მეტი ფიგურების მიხედვით გამარჯვებაც მე დამრჩებოდა, ჩემს ჯარს უფრო მოუახლოვდა და როგორც იქნა, მის ქალურ დარტყმებს მეტი ძალა მიეცა. მთელი ჩემი საუკეთესო რაზმები მიწასთან გამისწორა და რაც უფრო მეტ პროტესტს გამოვთქვამდი, მით უფრო წვიმასავით გვაყრიდა ტყვიებს. ბოლოსდაბოლოს მეც მოთმინებიდან გამოვედი და განვუცხაადე, ახლა მე მიყურე-მეთქი. მეც წინ წავიწიე და ისეთი ძალით დავუშინე მის ჯარს ტყვიები, რომ სულ მალე რამდენიმე ცენტურიონი ნამსხვრევებად ვაქციე. გაცხარებულს არაფერი შეუმჩნევია, მე კი გაქვავებულივით ვიდექი და შევყურებდი, დამსხვრეული ფიგურები როგორ მთელდებოდნენ, ამორძალი და ცხენი კვლავ ერთ ფიგურად იქცა, უფრო მეტიც, უცებ გაცოცხლდნენ, ოქროს ხიდიდან ისკუპეს, ჯერ ცაცხვის ქვეშ აღმოჩნდნენ, მერე კი ჭენებით გადაიარეს ბალი და გალავანში გაუჩინარდნენ. ჩემი მშვენიერი მოწინააღმდეგე ჯერ გაოგნდა, მაგრამ როგორც კი მოვიდა აზრზე, მაშინვე ტირილი დაიწყო და დამიყვირა, შენ ისეთი ზარალი მომაყენე, ენით ვერ ითქმებაო. მე უკვე ისე ვიყავი გაბრაზებული, გამიხარდა, რომ გავამწარე და დარჩენილი ტყვიები მის ჯარს გამეტიებით, ალაღბედზე დავაყარე. საუბედუროდ, ერთი ტყვია დედოფალს მოხვდა, რომელიც სანამ მოზომილად ვთამაშობდით, უვნებლად იდგა განზე. ისიც ნამსხვრევებად იქცა და მისი უახლოესი ადიუტანტიც, მაგრამ ისინიც მალე გამთელდნენ, პირველი ფიგურების მსგავსად მოკურცხლეს, მხიარული ჭენებით შემოუარეს ცაცხვს და გალავანში ჩაიკარგნენ.

ჩემი მოწინააღმდეგე მლანძლავდა მთათხავდა, მეც ველარ ვჩერდებოდი, წავიკუზე, რომ დარჩენილი ტყვიები მომეგროვებინა, რომლებიც ოქროს შუბებს შორის დაგოგიალებდნენ, და დავაპირე მიწასთან გამესწორებინა მთელი მისი ლაშქარი, მაგრამ არც ჩემი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა ჯაბანი, წამოხტა, მეცა და ისეთი სილა მტკიცა, რომ თავმა ზუზუნნი დამიწყო. გაგონილი მქონდა, გოგონას სილაზე მაგარი კოცნით უნდა უპა-



სუხოო, პოდა, მეც ორივე ყურში ჩავავლე ხელი და რამდენჯერმე ვაკოცე. მან ისეთი წივილ-კივილი ატეხა, რომ შიშმა ამიტანა. ჩემი ბედი კიდეც, რომ გოგონას ხელი გავუშვი, თორემ არ ვიცი, რა დამემართებოდა. მიწა ჩემს ფეხქვეშ აზანზარდა და აგუგუნდა. თვალი ვკიდე, რომ ცხაურიც ამოძრავდა, მაგრამ აღარც ფიქრის დრო მქონდა და ველარც ფეხს ვინაცვლებდი, რომ გავქცეულიყავი. ყოველ წამს შეიძლებოდა შუბზე წამოვგებულიყავი, რადგან შუბები და ალებარდები კვლავ წელში იმართებოდნენ და უკვე ტანსაცმელს მიხევდნენ. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ მხედველობაც წამერთვა და სმენაც და გონს მხოლოდ ერთ-ერთი ცაცხვის ძირას მოვეგე, სადაც წამომართულმა შუბებმა მომისროლეს. გონს მოსვლისთანავე, ხელახლა ამიტანა ბრაზმა და ბრაზი სულ უფრო და უფრო მერეოდა, გაღმიდან ჩემი მოწინააღმდეგის დამცინავი სიტყვები და სიცილი რომ მესმოდა, სადაც, ეტყობა, ჩემზე სათუთად დაუშვა წამომართულმა ცხაურმა. ფეხზე წამოვხტი თუ არა, ჩემს ირგვლივ მიმოფანტული პატარა ჯარი და მისი ბელადი აქილევსი დავინახე, რომელიც წამომართულ ცხაურს ჩემთან ერთად წამოეხვეტა, გაბრაზებულმა ხელი ჯერ გმირ აქილევსს დავავლე და ხეს მივანარცხე. მისი გამთელება და გაქცევა წინანდელეებზე ორჯერ უფრო მომეწონა, რადგან ჩემი ღვარძლი უმშვენიერესი სანახაობით გამოწვეულ სიხარულს შეუერთდა და ის იყო დავაპირე ყველა ბერძენი მათი ბელადისთვის მიმეყოლებინა, რომ ერთბაშად ყოველი მხრიდან, კედლებიდან, მიწიდან და ტოტებიდან თქიშინ-თქიშინით გადმოიღვარა წყალი და ოთხივე კუთხით თავზე გადმომესხა. საითაც უნდა მივბრუნებულიყავი, ყველგან წყალი მეღობებოდა და სულ მალე ჩემი მსუბუქი ტანსაცმელი მთლიანად გამეწუნა. ტანსაცმელი ალაგ-ალაგ მაინც გახეული მქონდა და მეც ბევრი აღარ მიფიქრია, ჯერ ფეხსაცმელი გავიხადე და მერე მთელი სამოსელი რიგ-რიგობით მოვიშორე თავიდან. მართალი გითხრათ, იმ სიციხეში ასეთი წყალუხვი შხაპი მესიამოვნა კიდეც. დედიშობილა მივტყაპუნებდი სასიამოვნო ნაკადულებში და ვფიქრობდი ნებივრობა კიდეც დიდხანს გამეგრძელებინა. ბრაზი გამინელდა და ახლა მხოლოდ ჩემს პანია მოწინააღმდეგესთან შერიგებას ვნატრობდი, მაგრამ თვალის დახამხამებაში წყალი დაიწრიტა და გალუმპული, გაყივებულ მიწაზე აღმოვჩნდი. წყლის დაწრეტა და მოხუცის გამოჩენა ერთი იყო, რაც არ მეჭაშნიკა, მაგრამ რაღას ვიზამდი. ერთი სული მქონდა, სადმე დავმალულიყავი ან რაღაცაში მაინც გავხვეულიყავი. სირცხვილისგან მოკუნტულმა, სიცივისგან აკანკალებულმა აღარ ვიცოდი, სად დავმალულიყავი და ასეთ შავ დღეში ჩავარდნილი საცოდავად გამოვიყურებოდი. მოხუცმა ჩემი დაბნეულობით ისარგებლა და სეტყვასავით დამაყარა საყვედურები.

— ნეტავ რა დამიშლის, ერთი მწვანე ზონარი ჩამოვხსნა და ყელში თუ არ წაგიჭერ, ზურგი მაინც აგიხურო! — დამიყვირა მან.

ეს მუქარა მეტისმეტად ვინყინე.

— ფრთხილად იყავით! — დავუყვირე მეც. — ასეთი სიტყვების თქმა კი არა, გონებაში გავლებაც არ გაბედოთ, თორემ თქვენც და თქვენი ქალბატონებიც დაიღუპებით!

— ერთი მაცოდინა, ვინა ხარ, ასე ლაპარაკს რომ ბედავ! — შემომიბღვირა მან.

— ვინა ვარ და, ღმერთების რჩეული და ჩემს ხელთაა, ის მანდილოს-



ნები ღირსეულ მეუღლეებს იპოვიან და ბედს ეწევიან, თუ ამ თქვენს მოჯადოებულ მონასტერში ჩაობდებიან და ჩაბერდებიან!

მოხუცმა უკან დაიხია.

— ეგ ვიღამ გაუწყა? — მკითხა გაოცებულმა და შეფიქრიანებულმა.

— სამმა ვაშლმა, სამმა ძვირფასმა ქვამ, — მივუგო.

— მერე რას მოითხოვ ჯილდოდ? — წამოიძახა მან.

— უპირველეს ყოვლისა, იმ პატარა არსებას, ვინც ამ დღეში ჩამაგდო.

მოხუცი ჩემს წინაშე მუხლებზე დაემხო, სველ და ატალახებულ მიწას არ მორიდებია, მაგრამ ფეხზე ისე წამოდგა, ტალახი არ მოსცხებია, ალერსიანად ჩამკიდა ხელი, კვლავ იმ დარბაზში შემიყვანა, სწრაფად ჩამაცვა ჩემი ტანსაცმელი და წუთში კვლავ საკვირაოდ ვიყავი დაბანილ-დავარცხნილი და გამონწყობილი. დარაჯს სიტყვა აღარ დასცდენია, ოღონდ სანამ ზღურბლს გადავაბიჯებდი, შემაჩერა, გალავანზე გამოსახულ გზის მაჩვენებელ საგნებზე მიმანიშნა და თან ერთხელ კიდევ მიმახედა უკან, კარიბჭისაკენ. კარგად მივუხვდი: უნდოდა ის საგნები ტვინში კარგად ჩამებეჭდა, რომლებიც კვლავ მიმაგნებინებდნენ კარიბჭეს, რომელიც ამასობაში ჩემს უკან შეუმჩნევლად დაიხურა. მე მაშინვე კარგად დავაკვირდი ყველაფერს, რაც თვალწინ მქონდა. მაღალი გალავნიდან ბებერ კაკლის ხეებს ტოტები გადმოეკიდათ და ნაწილობრივ ფარავდნენ ქონგურებს. ტოტები ქვის ფილას სწვდებოდა, რომლის დეკორი მეცნო, მაგრამ ვერ წავიკითხე, ზედ რა ეწერა. ფილა იმ ნიშის ქიმს ეყრდნობოდა, სადაც ოსტატურად გაკეთებული შადრევნიდან წყალი ფიალიდან ფიალაში იღვრებოდა და ბოლოს დიდ აუზში გუბდებოდა, აუზი მერე პატარა ტბორივით ფართოვდებოდა და სადღაც მიწაში იკარგებოდა. შადრევანი, ნარწერა, კაკლის ხეები, ყველაფერი ერთიერთმანეთზე ვერტიკალურად იყო დაშენებული და გულით მიხდოდა ყველაფერი ისე ჩამეხატა, როგორც ვიხილე.

იოლი მისახვედრია, იმ საღამოს და მომდევნო დღეს როგორ გავატარებდი და რამდენჯერ მოვეყვებოდი ამ ამბავს, რომელიც ლამის თვითონვე არ მჯეროდა. როგორც კი დროს მოვიხელთებდი, იმ ავ გალავანთან მივდიოდი, რომ ის ნიშნები მეხსიერებაში გამეცოცხლებინა და სანუკვარი კარიბჭისთვის თვალი შემეველო, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ყველაფერი შეცვლილი მხვდებოდა. კაკლის ხეები კვლავ ირხეოდნენ გალავნის თავზე, მაგრამ ისე ახლო-ახლო აღარ იდგნენ. ფილა კვლავ გალავანში იყო ჩატანებული, ოღონდ ხეებისგან მოშორებით, და ზედ ამოკვეთილი ნარწერის ამოკითხვა ამჯერად თავისუფლად შეიძლებოდა. შადრევნიანი ნიშა სადღაც შორს, მარცხნივ მოჩანდა და იმას სულ არ ჰგავდა, რაც უწინ მენახა, ასე რომ, თითქმის ვირწმუნე, მეორე თავგადასავალიც პირველივით სიზმარში გადამხდა-მეთქი, რადგან იმ გალავანში კარიბჭის კვალიც არსად ჩანდა. ერთადერთ ნუგეშად ის დაკვირვება მრჩებოდა, რომ ის სამი საგანი თითქოს გამუდმებით იცვლიდა ადგილ-სამყოფელს — ყოველ მისვლაზე კაკლის ხეები ერთმანეთთან ოდნავ მიახლოებული მეჩვენებოდა და ფილა და შადრევანიც თითქოს უფრო ახლო-ახლო მოჩანდნენ. ყველაფერი რომ შემჭიდროვდება, ალბათ მაშინ კარიბჭეც გამოჩნდება და მეც ჩემს ნიჭსა და უნარს არ დავიშურებ თავგადასავლის გასაგრძელებლად, ოღ-



ონდ ვერ გეტყვით, უფლება მომეცემა, თუ არა, მოგიყვით, მერე და მერე თავს რაც გადამხდება.

ჩემს ამფსონებში ზღაპარს დიდი მონონება ხვდა წილად და რაც მთავარია, ყველამ სულითა და გულით მოინდომა მისი ნამდვილობა/ერწმუნა. თითოეული ცალ-ცალკე, ჩემგან და დანარჩენებისაგან, ფარულად, მიდიოდა მითითებულ ადგილზე, კაკლის ხეებსაც პოულუბდნენ, ყელსაც და შადრევანსაც, ოღონდ ერთმანეთისგან შორი-შორ მდებარეთ, როგორც ბოლოს ყველა გამოტყდა, რადგან ამ ასაკში ადამიანს უჭირს საიდუმლოს შენახვა. ნამდვილი შეხლა-შემოხლა ამის შემდეგ გაიმართა. ერთი ამტკიცებდა, ის საგნები ადგილიდან არ იძვრიან და ერთმანეთისგან მუდამ ერთნაირად არიან დაშორებულნიო. მეორე ირწმუნებოდა, მოძრაობენ და უფრო და უფრო შორიშორდებიანო. მესამე პირველ პუნქტში ეთანხმებოდა მეორეს, ოღონდ თვითონ ეჩვენებოდა, რომ კაკლის ხეები, ფილა და შადრევანი პირიქით, ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. მეოთხეს კიდევ უფრო უცნაური რამ უნახავს: კაკლები შუაში მდგარან, ხოლო ფილა და შადრევანი მოპირდაპირე მხარეს ყოფილან მოქცეულნი და არა ისე, მე რომ ვყვებოდი. კარიბჭის არსებობა-არარსებობაზეც ნაირ-ნაირი აზრები მესმოდა და მაშინ ამ ნაადრევად მიღებულმა გაკვეთილმა მიჩვენა, როგორ შეუძლიათ ადამიანებს სრულიად უბრალო და იოლად განსახილველ საკითხზე საპირისპირო აზრები უმტკიცონ ერთმანეთს. ჩემი ზღაპრის გაგრძელებაზე ჯიუტად რომ ვამბობდი უარს, პირველს მით უფრო ხშირად მაყოლებდნენ ხოლმე, მეც ვცდილობდი როგორმე წვრილმანები არ შემეცვალა და ასე და ამგვარად მონათხრობის სიზუსტის წყალობით ჩემი მსმენელების გონებაში ზღაპარი სინამდვილედ იქცა.

საერთოდ არ ვიყავი ტყუილებისა და თვალთმაქცობის მოყვარული და მითუმეტეს თავქარიანობას ხომ ვერავინ დამწამებდა. ჩემი შინაგანი სერიოზულობა, რის წყალობითაც ადრიდანვე საკუთარ თავს და გარესამყაროს ვაკვირდებოდი, ჩემს გარეგნობაშიც მჟღავნდებოდა და ჩემი ღირსეული თავდაჭერა ხშირად მეგობრული, მაგრამ ასევე ხშირად ბოროტი ქილიკის საგანი ხდებოდა. მართალია, კარგი და გამორჩეული მეგობრები არასოდეს მკლებია, მაგრამ ჩვენ მაინც უმცირესობად ვრჩებოდით იმათ წინაშე, ვისაც ჩვენთან მუშტი-კრივის გამართვა კმაყოფილებას ჰგვრიდა და ხშირად უდიერად ცდილობდნენ გამოვეფხიზლებინეთ იმ ზღაპრული, თავმოძნონე ოცნებებიდან, სადაც თავის შეფარებას მე ჩემი თხზვის ნიჭის მეოხებით, ჩემი მეგობრები კი ჩემს შეთხზულ ამბებში მონაწილეობით ვახერხებდით ხოლმე. ამგვარად, არაერთხელ გაგვიცნობიერებია, რომ განაზებასა და ფანტაზიორობას ის გვერჩივნა გამოვწრთობილიყავით და გვერდაუვლელი ბოროტებისთვის ან გაგვეძლო ან მის დასათრგუნად ხელის გამოლება შეგვეძლებოდა.

სტოიციზმის გამოსამუშავებელ ვარჯიშებს, რასაც პატარა ბიჭის პირობაზე მშვენივრად ვუძღვებოდი, ფიზიკური ტკივილის მოთმენაც განეკუთვნებოდა. ჩვენი მასწავლებლები ხშირ-ხშირად გვიმასპინძლდებოდნენ, მუჯღუგუნებით და თავში ნათაქებით და ჩვენც ვკაუდებოდით, რადგან დარტყმის აცილება ან მასწავლებლისთვის წინააღმდეგობის განევა უსასტიკესად იკრძალებოდა. ამიტომაც, მრავალი ახალგაზრდული სახუმარო თამაში გამძლეობაში შეჯიბრს რომ ემყარება. მაგალითად, როცა ორი თითით ან გაშლილი ხელით ერთმანეთს ხელის გაბუყებამდე ურტყამ;



როცა ზოგიერთ თამაშში წაგებულ დარტყმებს ასე თუ ისე იტან; როცა ჩხუბში ნახევრად დამარცხებული მოწინააღმდეგის ძიძგილაობას ალაფრად აგდებ; როცა ზედმეტად გაცხარებული მოწინააღმდეგისგან მოყვებულ ტკივილს უძლებ; თუნდაც ჩქმეტა და ლიტინი ავიღოთ, ახალგაზრდები ერთმანეთს ხშირად ასე რომ აწვალევენ და ამას არაფრად აცხადებ, ჰოდა ამისთანებით ისეთ უპირატესობას იძენ, იოლად ვერაფერს წაიხსნარ შეგეცილება.

მე მაინც ხომ ამტანობა ლამის პროფესიად გავიხადე და ამიტომ მომიმრავლდნენ ავის მოსურნეები. რაკი უზნეო სისასტიკე საზღვარს გადადის ხოლმე, მეც არაერთხელ გამოვსულვარ წონასწორობიდან და ახლა მრავალთაგან ერთ ასეთ შემთხვევას გიამბობთ. ერთხელ გაკვეთილი გაგვიცდა. სანამ ყველანი ერთად ვიყავით, წესრიგი არავის დაურღვევია, მაგრამ მერე ჩემს მოკეთებებს ლოდინი მობეზრდათ, შემომეცალნენ და მე ჩემს სამ ავისმოსურნესთან მარტო დავრჩი. დამიმარტოხელეს თუ არა, მაშინვე წვალემა, შერცხვენა და ოთახიდან გაძეება დამიპირეს. ერთი წამით გარეთ გავიდნენ და უკან წკეპლებით ხელში დაბრუნდნენ, რომლებიც სახელდახელოდ ცოცხისთვის დაედროთ. განზრახვას მივუხვდი, მაგრამ ჩემი ანგარიშით გაკვეთილი საცაა უნდა დამთავრებულიყო და გადავწყვიტე ზარის დარგვამდე არც ფეხი მომეცვალა და არც მათგან დამეცვა თავი. მალე სამივე ერთად მომვარდა და ფეხებსა და წვივებზე შეუბრალებლად დამცხეს წკეპლები. არ გავნძრეულვარ, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ანგარიშში მოვტყუვდი — ასეთი ტკივილი ზარამდე დარჩენილ წუთებს საუკუნედ აქცევდა. მოთმინებასთან ერთად მატულობდა ჩემი სიბრაზე და ზარმა დაინკარუნა თუ არა, ერთ-ერთს, რომელიც ყველაზე ნაკლებად მოელოდა საპასუხო დარტყმას, ქეროში ხელი ჩავავლე, წამში მიწას გავაკარი და ზურგზე მუხლიც დავაბჯინე. მეორეს, უფრო პატარასა და სუსტს, რომელიც ზურგიდან მეპარებოდა, მივწვდი, მისი თავი იღლიაში ამოვიდე და ფერდზე ისე მივიჭყლიტე, რომ კინალამ გავგუდე. დამრჩა მესამე და არცთუ ყველაზე სუსტი მოწინააღმდეგე, მე კი მარცხენა ხელილა მქონდა თავისუფალი. მაინც მოვახერხე მისთვის ტანსაცმელში ჩამევლო ხელი, მარჯვე ფანდით ჩემსკენ გადმოვქაჩე, ძირს დავანარცხე და სახით იატაკს დავაჭყლიტე. სამივენი იკბინებოდნენ, იკანრებოდნენ და ტლინკებს ისროდნენ, მაგრამ მე ტანსა და გონებაში მხოლოდ შურისძიება მიტრიალებდა. უკვე მე ვიყავი მომგებიან პოზიციაში და ერთმანეთს რამდენჯერმე თავები მივახათქუნებინე. ახლა კი იკადრეს და ისეთი ღრიალი მორთეს, რომ მთელი სკოლა შეყარეს. მიმობნეული წკეპლები და ცემით ახურებული ფეხები ჩემს სასარგებლოდ მეტყველებდნენ. ამიტომ მე მხოლოდ მუქარა მაკმარეს, სასჯელი არ აგცდებოაო და გარეთ გამომაგდეს. მე ჩემდათავად ყველას განვუცხადე, ამიერიდან იოტისოდენა შეურაცხყოფასაც არავის შევარჩენ, ვინც უნდა იყოს, თვალებს ამოვკანრავ, ყურებს დავაგლეჯ და მადლობელი დამრჩეს, თუ არ მივახრჩვე-მეთქი.

ეს შემთხვევა, როგორც ბავშვური მუშტი-კრივი, თითქოს მიივიწყეს, იშვიათად და ისიც მხოლოდ სახუმაროდ თუ გაიხსენებდა ვინმე, მაგრამ იგი მაინც განხეთქილების საბაბად იქცა. — ერთობლივი გაკვეთილები ჯერ გაიშვიათდა და ბოლოს სულ შეწყდა. ამიერიდან მე უწინდებურად უმეტეს დროს შინ ვატარებდი და ჩემს დასთან, ერთი წლით უმცროს კორ-



დელიასთან ურთიერთობა დღითიდღე უფრო და უფრო მეტ სიამოვნებასა და სიხარულს მანიჭებდა.

არა, მაინც ვერ ვეშვები ხსენებულ თემას და რამდენიმე უსიამოვნო ამბავი კიდევ უნდა მოგიხროთ. ადამიანი ხომ ასეთი ქკუისსანაწელი ამბებით გებულობს, მსგავსი რამ სხვასაც რომ შემთხვევით დახვდება, ამ ცხოვრებისგან რას უნდა მოელოდეს. ამიტომაც ავი შეეშთხვევა, თუ კარგი, ამას არც თავის განსაკუთრებულ ქუდბედიანობას მიანერს და თავს არც უბედურად ჩათვლის, იქნებ ასეთმა ცოდნამ თავიდან ვერ აგვაცილოს უბედურება, მაგრამ იმაში მაინც დაგვეხმარება, ბევრ რასმე გავუძლოთ და გავუმკლავდეთ.

უმართებულო არ იქნებოდა, აქ კიდევ ერთი ზოგადი შენიშვნა გამოგვეთქვა. შეძლებული ოჯახები შვილების აღზრდაში ერთ დიდ შეცდომას უშვებენ, კერძოდ, ბავშვებს მშობლები და მასწავლებლებიც ჩასჩინებენ თავდაჭერილად, ზომიერად და გონივრულად უნდა მოიქცეო, ქედმაღლობის თუ ონავრობის გამო ნურავის ავნებ, შენში ყოველი უკეთური გრძნობა ჩანასახშივე უნდა ჩაკლავ, მაგრამ როცა ჯერ კიდევ ნორჩები ამ შეგონებების განხორციელებას ცდილობენ და სხვებისგან ზუსტად იმას იწვნივენ, რაც მათ ეძრახებათ და ეკრძალებათ, მაშინ საბრალონი ბუნებრივი მისწრაფებებისა და ცივილიზაციის მოთხოვნებს შორის იჭყლიტებიან, მათ მარწუხებში ექცევიან და თუ დიდხანს უძლებენ ასეთ მდგომარეობას, თავისი ბუნების შესაბამისად ან ვერაგები გამოდიან, ან თავზუნელალებულ მოძალადეებად ყალიბდებიან.

ძალადობა ჯობია ძალადობითვე დაითრგუნოს, მაგრამ ბუნებით კეთილი, სიყვარულისა და თანაგრძნობისთვის დაბადებული ბავშვი დაცინვასა და ბოროტებას ვერ გაუმკლავდება. მე ჩემი თანატოლების გამოხდომებს ასე თუ ისე ვიგერიებდი, მაგრამ მათ კბენასა და გესლს რომ ავყოლოდი, მაშინ თავი უნდა დამეცვა, ხოლო თავის დაცვას რომ იწყებ, თავიდანვე წაგებული გაქვს ომი. ზოგჯერ ამდაგვარ თავდამსხმელებს, მოთმინებიდან როცა გამომიყვანდნენ, ფიზიკურად ვუსწორებოდი, ზოგჯერ კი გაბრაზების მაგიერ უცნაური გრძნობები მეღვიძებოდა და მათ შედეგით თავისებური მოჰყვებოდა ხოლმე. ჩემი ავისმდომელნი სხვა უამრავ სიკეთეს შორის იმასაც მაყვედრიდნენ, ბაბუაჩემის შულტჰაისობა ჩვენს ოჯახსაც პატივს რომ მატებდა, რადგან იგი უპირველესი გახლდათ თანასწორთა შორის და ბუნებრივი იყო, ამას თავისიანებზეც ემოქმედა. ჰოდა, ერთხელ მესტვირეთა სასამართლო რომ გაიმართა და თავის მოწონება დავაპირე, ბაბუაჩემი უხუცესთა საბჭოს შუაში, ერთი საფეხურით მაღლა, ზედ იმპერატორის პორტრეტქვეშ ზის-მეთქი, ერთმა ბიჭმა დამცინავად მომახალა, გირჩევნია ფარშევანგივით საკუთარ ფეხებზე დაიხედო და მეორე ბაბუაც გაიხსენო, მეტრატქირე რომ იყო და ტახტსა და გვირგვინზე ფეხი რომ ვერ მიუწვდებოდაო. ამ ავყოობაზე ვუბასუხე, ეგ ამბავი სულაც არ მეთაკილება, ჩვენი მშობლიური ქალაქი სწორედ იმითაა ღირსეული და დიადი, რომ აქ ყველა მოქალაქე თანასწორია და მხოლოდ თავის საქმით ფასდება, მე მხოლოდ იმაზე მტკივა გული, ის პატიოსანი კაცი დიდი ხანია ცოცხალი რომ აღარაა, ბევრჯერ მინატრია პირადად მცნობოდა, მისი სურათი რომ მითვალთვინებია ან საფლავზე მივსულვარ, იქ აღმართულ უბრალო ძეგლზე მისი განვლილი ცხოვრების თარიღები რომ წამიკითხავს, გამხარებია, ამქვეყნად გაჩენას მას რომ ვუმაღლი-მეთქი. ამ დროს მე-



ორე ავისმოსურნემ, მათ შორის უვერაგესმა, პირველი გვერდზე გაიყვანა, ყურში რალაც ჩასჩურჩულა და თან ორივენი ჩემსკენ დაბრუნდა და იყურებოდნენ. ბრაზისგან გულგასიებულმა მოვთხოვე ხმამაღლა ვლაპარაკაო.

— ბატონი ბრძანდები, — თქვა პირველმა, — რახან გინდა რცხიდე, არაფერს დაგიმაღავთ. აი ეს პატიოსანი კაცი ამბობს, მაშინ დაიხარის მოუწევს ამქვეყნად ხეტიალი, სანამ ბაბუამისს იპოვიდესო.

მე უფრო მაგრად შევუბღვირე ორივეს, სათქმელი უფრო ნათლად თქვით-მეთქი. მათაც მიამბეს თავიანთი გამოგონილი ზღაპარი, ჩვენი მშობლების საუბარს მოვკარით ყური, მამაშენი სინამდვილეში ვიღაც დიდკაცის ვაჟი ყოფილა და იმ პატიოსან ბიურგერს უკისრია მისი მამობაო. ეს კიდევ არაფერი, ორივემ უსირცხვილო არგუმენტებიც მოიშველია, მაგალითად ის, რომ მთელი ჩვენი ქონება ბებუის ნამემკვიდრევი იყო და მთელ ჩვენს სანათესაოს, ფრიდბერგში თუ სადმე სხვაგან სულს იქით არა ებადა რა. ამის მსგავსი სხვა მტკიცებანიც მათი უნაპირო სიძულვილით იყო ნასაზრდოები. მთელი ეს აბდაუბდა იმაზე უფრო მშვიდად მოვისმინე, ვიდრე თვითონ მოელოდნენ და გასაქცევად მზად იყვნენ, თუ თმაში ხელის ჩავლებას დავუპირებდი. მე წარბშეუხრელად ვუთხარი, ჩემთვის თქვენს სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი. სიცოცხლე ისე მშვენიერია, არც ღირს იმაზე ფიქრი, ვისგან გაქვს იგი მონიჭებული, ყველანი ხომ ღვთის შვილები ვართ, ხოლო მის წინაშე ყველა ერთნი ვართ-მეთქი. რაკი ველარაფერი გაანყვეს, ჩემი წყენინება მეტჯერ აღარც უცდიათ და მას მერე ძველებურად ერთად ვთამაშობდით ხოლმე, რაც ბავშვების შერიგების ნაცადი საშუალება გახლავთ. ოღონდ ამ გესლიანმა სიტყვებმა აცრილივით შემყარა რალაც ზნეობრივი ავადმყოფობის მსგავსი, რომელიც ჩემს სულსა და გულში ჩუმ-ჩუმად ღვივდებოდა. მართალი გითხრათ, სულაც არ მენყინებოდა, ვინმე დიდკაცის შვილიშვილი თუ აღმოვჩნდებოდი, თუნდაც ეს მემკვიდრეობითობა არც ყოფილიყო კანონიერი. მთელი ჩემი გონება აქეთკენ წარიმართა, ფანტაზია გამიცხოველდა და გრძნობები გამიმახვილდა. დავიწყე ჩემს ხელთ არსებული ცნობების შეჯერება და ალბათობის დამადასტურებელ მოჩვენებით თუ ნამდვილ ახალ-ახალ საბუთებს თუ ვერ ვპოულობდი, მე თვითონ ვიგონებდი ხოლმე. ბაბუაჩემზე ბევრი არაფერი მქონდა გაგონილი, მენახა მხოლოდ მისი პორტრეტი, რომელიც უწინ ბებუას სურათთან ერთად ეკიდა ძველი სახლის სასტუმრო ოთახში და სახლის გადაკეთების შემდეგ ზემოთ, საკუჭნაოში ინახებოდა. ასაკით მეუღლის ტოლი ბებია, ეტყობა, ძალიან ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო. ისიც გამახსენდა, რომ მის ოთახში ვარსკვლავითა და ორდენით შემკულ მუნდირში გამოწყობილი ერთი ლამაზი მამაკაცის მინიატურაც მქონდა ნანახი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ სხვა მრავალ წვრილმანთან ერთად, სახლის გადაკეთებისას დაიკარგა. ჰოდა, ამ და სხვა ფაქტებს ჩემს ბავშვურ ტვინში თავი მოვუყარე და საკმაოდ ნაადრევად დავიწყე იმ პოეტური ტალანტის წვრთნა, რაც ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი ამბების ავანტიურისტული გააზრების წყალობით მთელი კულტურული სამყაროს ინტერესსა და პატივისცემას იმსახურებს.

ცხადია, ასეთ საქმეში ვერავის გავენდობოდი და მოიარებითაც ვერაფერს გამოვიკითხავდი, ამიტომ ჩემთვის, მალულად ვსაქმიანობდი და ვცდილობდი საიდუმლოს რაც შეიძლებოდა მივახლოვებოდი — გაგონილი



მქონდა, ვაჟიშვილები მამებს და ბაბუებს ხშირად ძალიან ჰგვანანო. ბევრ ჩვენს მეგობარს, განსაკუთრებით კი ოჯახის ერთ ახლობელს, მრჩეველ ბატონ შნაიდერს, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მეზობელი მწარის თავად-აზნაურობასთან, რაინისა და მაინისპირა ადგილ-მამულის მმართველ მთავრებთანაც და მათ შემკვიდრებთანაც და ისინიც თუფიჭუფი ფრთავულ საქმის მწარმოებელს მადლობის ნიშნად ხშირად თავიანთი პორტრეტებით აჯილდოებდნენ. ის პორტრეტები ბავშვობაში კედელზე ჩამომწკრივებული მინახავს, მაგრამ ახლა მათ გაორმაგებული ყურადღებით ვაკვირდებოდი და მამაჩემთან ან ჩემთან მსგავსების აღმოჩენას ვცდილობდი. მსგავსებას კი ისე ხშირად ვპოულობდი, რომ ჩვენს შესაძლო ნათესაურ კავშირს სულ ველარ ვიჯერებდი. ხან ერთის თვალები მიმანიშნებდა ჩვენს ნათესაობაზე, უცებ მეორის ცხვირს წავამსგავსებდი ჩემსას და ამ ნიშნების ერთმანეთთან შეჯერება საბოლოოდ მიბნევდა თავგზას. მართალია, სულ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემი ამხანაგები ნმინდანყლის სისულელეს როშავდნენ, მაგრამ ეს ამბავი მაინც ღრმად ჩამრჩა გულში, ამიტომ არც იმ ბატონების სახეები წაშლილა ჩემს ფანტაზიაში და მათ პორტრეტებსაც დროდადრო მალულად მაინც გულდასმით ვათვალიერებდი. მართალი ყოფილა, ადამიანს გულის სიღრმეში პატივმოყვარეობის ჭია რომ შეუჩნდება, ისე აიტანს თავისი გამორჩეულობის დადასტურების სურვილი, რომ აღარც დაგიდევთ, სიმართლის გამოაშკარავება ღირსებას შემატებს, თუ თავსლავს დაასხამს.

ახლა კი ჯობია სერიოზულ, მითუმეტეს მამხილებელ კირკიტს და განსჯას მოვეშვათ და იმ ბედნიერ ხანასაც მოვაშოროთ თვალი, რადგან მაინც არავის ძალუძს ბავშვობის შთაბეჭდილებების სრულად გადმოცემა. ჩვენ სიამოვნებით, უფრო სწორად, აღტაცებით შევცქერით ჩვენს თვალწინ მოფუსფუსე პატარა არსებებს, რადგან ისინი ხშირად ბავშვობაში იმაზე გაცილებით მეტს გვპირდებიან, ვიდრე დიდობაში გვიმართლებენ, მაგრამ ეტყობა, ეს ბუნების ერთ-ერთი მზაკვრული ოინია, რომელიც აქაც თავის ნებაზე გვათამაშებს ხოლმე, უპირველესი ინსტინქტები, ბავშვს დაბადებიდანვე თან რომ დაჰყვება, სავსებით შესაფერი და საკმარისია სიცოცხლის პირველი წლებისათვის და იგიც თავისუფლად და დაუფიქრებლად, მარჯვედ იყენებს მათ თავის უახლოესი მიზნებისათვის. ბავშვი, მართო მყოფიც და თანატოლებში გარეულიც, თავისი ძალების შესატყვის გარემოში რომ მოექცევა, ისეთ ჭკუასა და მიხვედრილობას ამყლავნებს, რომ გაოცების მეტი არა დაგვრჩენია რა, თან ისეთი საყვარელია, ისეთი ცუგრუმელა და ცქვიტი, გეგონებათ მეტი განვითარება აღარც სჭირდებაო. ბავშვები რომ ისეთივე ტემპით ვითარდებოდნენ, როგორც პატარაობაში ვითარდებიან, ეს ქვეყანა გენიოსებით აივსებოდა, მაგრამ ზრდა მხოლოდ განვითარება როდია: სხვადასხვა ორგანული სისტემა, რომელიც იმ ერთ და არა სხვა რომელიმე ადამიანს ქმნის, ერთმანეთისგან გამომდინარეობს, ერთმანეთს მოსდევს, ისინი ერთმანეთში ერთიანდებიან, ერთმანეთს გამოდევნიან, უფრო მეტიც, შთანთქავენ ერთმანეთს და ამიტომაა, ზოგიერთი ნიჭი და უნარი, ზოგიერთი სულიერი ენერგია გარკვეული დროის შემდეგ უკვალოდ რომ ქრება ხოლმე. ადამიანის მიდრეკილებებს ერთი გამოკვეთილი მიმართულება რომც ჰქონდეს, ყველაზე დიდ, ყველაზე გამოცდილ სპეციალისტსაც გაუჭირდებოდა უყოყმანოდ



ენინასწარმეტყველებინა ბავშვის მომავალი, სამაგიეროდ მერე კი შეიძლება დააკვირდე, ამა თუ იმ მომავალს ბავშვობაში რაიმე მიგვანახებდა თუ არა.

აქედან გამომდინარე, სულაც არ ვაპირებ ჩემი სიყმაწვილის ბანა პირველ წიგნებშივე ამოვწურო, პირიქით, გვიანდელი ხანის პირველ გავეყვები იმ ძაფს, ჩემი ბავშვობის პირველ წლებს შევხსენებ და რომ გასდევდა, ოღონდ აქვე უნდა მოგიტხროთ, ომიანობის წლებმა რა დალი დაასვეს ჩვენს ჭკუა-გონებასა და ცხოვრების წესს.

მშვიდობიან ბიურგერს უცნაური დამოკიდებულება აქვს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან. ისინი შორიდანვე აღელვებენ და აფორიაქებენ მას და პირადად რომც არ ეხებოდეს, იგი მაინც ვერ იკავებს თავს, მსჯავრი ან თანაგრძნობა არ გამოხატოს და თავისი ხასიათისა თუ გარეშე მიზეზების გავლენით მყისვე ვისიმე მხარე არ დაიჭიროს. თუკი ბედისწერას მისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოაქვს თან, მაშინ გარეშე არეულ-დარეულობას შინაგანი ფორიაქიც ემატება, სიხვე ორმაგად აუტანელი და მწარე ხდება და სიკეთესაც ძირშივე სპობს და ანადგურებს. მაშინ მეგობრებიც და მტრებიც ზიანს აყენებენ, თანაც პირველნი უფრო ხშირად სცოდავენ და პატიოსან ბიურგერს ველარ გაუგია, ვის მოეფეროს და ვის არა, რომ თვითონ არ დაზარალდეს და თავი არ წააგოს.

1757 წელი თითქოს სრულ ბიურგერულ სიმშვიდეში გავატარეთ, მაგრამ მაინც არ დაგვკლებია დიდი სულიერი ქარტეხილები, რადგან მოვლენების სიმრავლით მას სხვა წელი ვერ შეედრებოდა. გამარჯვებები, საქმენი საგმირონი, მარცხი და რევანში ერთმანეთს მოსდევდა, ერთმანეთს ნთქავდა და თითქოს აბათილებდა, მაგრამ, ყველაფერ ამას გამუდმებით თავს ადგა ფრიდრიხის ხატება, მისი სახელი და დიდება. ფრიდრიხ მეფის თაყვანისმცემლების ენთუზიაზმი დღითიდღე იზრდებოდა და ცხოველდებოდა, მტრების სიძულვილი კი მძაფრდებოდა, შეხედულებათა ნაირგვარობას ოჯახებშიც შეჰქონდა განხეთქილება და ისედაც გათიშულ ბიურგერებს კიდევ უფრო თიშავდა და აცალკევებდა. ფრანკფურტისთანა ქალაქში, სადაც სამი რელიგია მოსახლეობას სამ არათანაბარ ნაწილად ჰყოფდა, სადაც თვით გაბატონებული ფენის მამაკაცთაგან თითო-ოროლას თუ მიუწვდებოდა ხელი ქალაქის მმართველობაზე, საკმაოდ მოიძებნებოდნენ შეძლებული და განათლებული ადამიანები, რომლებიც კარჩაკეტილ ცხოვრებას ამჯობინებდნენ და სწავლა-განათლებითა და სხვადასხვა გასართობით იქცევდნენ თავს. აი ასეთ ხალხზე ვისაუბრებთ ახლაც და მომავალშიც, თუ გვინდა ნათლად წარმოვიდგინოთ, რა ნიშანთვისებებით ხასიათდებოდა იმდროინდელი ფრანკფურტელი ბიურგერი.

მამაჩემმა მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე, თავის საკუთარი აზროვნების წესიდან გამომდინარე, გადაწყვიტა ქალაქის სამსახურში ჩამდგარიყო და ამ მიზნით რაიმე მეორეხარისხოვან პოსტზე უსასყიდლოდ ემსახურა, ოღონდ იმ პირობით, თუ ამ პოსტზე კენჭისყრის გარეშე დანიშნავდნენ. ასევე თავის აზროვნების წესისა და საკუთარ თავზე შემუშავებული შეხედულებების გამო სჯეროდა, რომ ამგვარ პატივს იმსახურებდა, თორემ კენჭისყრის გარეშე რაიმე პოსტზე დანიშვნა კანონს ეწინააღმდეგებოდა და არც მიღებული გახლდათ. ჰოდა, ამ წინადადებაზე უარი რომ უთხრეს, განაწყენდა და დაიფიცა არასოდეს, არანაირი თანამდებობა არ დაეკავებინა და ამის შესაძლებლობა ძირშივე რომ აღმოეფხვრა, იმპერა-



ტორის მრჩევლის წოდება გაიხერხა, რაც მხოლოდ შულტჰაისსა და უბუ-  
ცესებს ენიჭებოდათ. ამგვარად, იგი ქალაქის მაღალჩინოსანთ/ გაუტოლ-  
და და ქვევიდან კარიერის დაწყება უკვე აღარ ეკადრებოდა. იმავე მი-  
ზეზე უბიძგა შულტჰაისის უფროსი ქალიშვილის ხელი ეთხოვა/ და ამ  
ქორწინებითაც მოეჭრა რატჰაუსისკენ მიმავალი გზა. ამგვარად, იგიც  
განდგომილთა რიცხვში აღმოჩნდა, რომლებიც დიდად უნდოდათ თან-  
ცდილობდნენ დაახლოებას. დიახ, ასეთები მთელ საზოგადოებასაც გაურ-  
ბიან და ერთმანეთსაც და ეს გარემოება თანდათან მათი ხასიათის გან-  
ვითარებაზეც ახდენს გავლენას. მამაჩემმა, ვტყობა, მოგზაურობისას იმა-  
ზე გაცილებით ელეგანტური და ლიბერალური ცხოვრების წესი შეით-  
ვისა, ვიდრე მისი თანამოქალაქეები იყვნენ ჩვეულნი, თუმცა ამ საქმეში  
წინამორბედებიც ჰყავდა და არც მიმდევრები დაჰკლებია.

ამათგან ფონ უფენბახის გვარი საყოველთაოდაც ცნობილი. ერთ-  
ერთი უფენბახი იმ დროისათვის ერთობ ხელგაშლილად ცხოვრობდა, იტა-  
ლიაში გახლდათ ნამყოფი, იქ თავდავინყებით შეჰყვარებოდა მუსიკა, თვი-  
თონაც სასიამოვნო ტენორი ჰქონდა, იტალიიდან მუსიკალური ნაწარმო-  
ებების მშვენიერი კრებულებიც ჩამოეტანა და აი, მის სასახლეში ხშირად  
იმართებოდა კონცერტები და ორატორიები. რაკი კონცერტებზე თვითონ  
ნაც მღეროდა და მუსიკოსებსაც უხვად ასაჩუქრებდა, ყოველივე ამას  
უკადრის საქციელად უთვლიდნენ და მოწვეული სტუმრებიც და სხვა  
თანამემამულენიც თავს მასზე ჭორაობის უფლებას აძლევდნენ ხოლმე.

კიდევ მაგონდება ბარონი ფონ ჰეკელი, მდიდარი დიდგვაროვანი,  
რომელიც დაოჯახებული კი იყო, მაგრამ შვილები არ ჰყავდა, ბარონს ან-  
ტონიუსგასეზე მდებარე მშვენიერი სახლი თავის შესაფერი ფუფუნებით  
ჰქონდა მორთული: ჩინებული სურათები, გრაფიურები, ანტიკვარიატი და  
სხვა მისთანანი, რაც კოლექციონერებსა და ხელოვნების მოყვარულთ  
უვარდებათ ხოლმე ხელში, არ აკლდა; დროდადრო ქალაქის წარჩინებულ  
პირებს სადილად იწვევდა და საერთოდ უცნაურ, მხოლოდ მისთვის და-  
მახასიათებელ ქველმოქმედებასაც ეწეოდა: ღარიბ-ღატაკთ მოსავედა, ოლ-  
ონდ თავიანთ ძონძებს იქვე ატოვებინებდა და მოითხოვდა ყოველკვირე-  
ული შემწეობის მისაღებად სუფთად და კობტად ჩაცმულ-დახურულნი  
ხლებოდნენ. ჩემს მეხსიერებას იგი ბუნდოვნად შემორჩა, როგორც აღერ-  
სიანი და განათლებული კაცი, სამაგიეროდ უფრო უკეთ მახსოვს მის სახ-  
ლში გამართული აუქციონი, რომელსაც თავიდან ბოლომდე ვესწრებოდი  
და ნაწილობრივ მამაჩემის განკარგულებისამებრ, ნაწილობრივ კი ჩემი  
საკუთარი სურვილით რაღაც-რაღაცეები მეც შევიძინე და მათგან რამდენ-  
იმე დღესაც ინახება ჩემს კოლექციებში.

კიდევ უფრო ადრე, მგონი თვალთ არც უნდა მყავდეს ნანახი, მაგრამ  
მახსოვს, ლიტერატურულ სამყაროშიც და მთელ ფრანკფურტშიც მიხაელ  
ფონ ლოენს ჰქონდა მოხვეჭილი სახელი. თვითონ წარმოშობით ფრანკ-  
ფურტელი არ ყოფილა, მაგრამ ცოლად შეურთავს ბებიაჩემის და ტექს-  
ტორი, ლინდჰაიმერის ასული და ფრანკფურტში დაფუძნებულა. მეფის  
კარზე და მმართველ წრეებში მიღებული კაცისთვის ხელახლა უბოძები-  
ათ აზნაურობა, ხოლო სახელი უფრო საეკლესიო და საერო საქმეებში გა-  
ბედული ჩარევით გაუთქვამს. მან დაწერა „გრაფი ფონ რივერა“, დიდაქ-  
ტიკური რომანი, რომლის დედააზრი ქვესათაურში უფრო მკლავნდება,  
სადაც ვკითხულობთ: „ანუ პატიოსანი კაცი მეფის კარზე“. ნაწარმოებს



ნარმატება ჰქონდა, რადგან იგი მეფის კარისგან ჭკუასთან ერთად კეთილზნობასაც მოითხოვდა და როგორც ვთქვით, ამ ნაშრომმა პატივი და აღიარება მოუტანა. მეორე ნაწარმოები კი, პირიქით, მისთვის საკმაოდ სახიფათო გამომდგარა. მან დაწერა წიგნი „ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია“, სადაც ტოლერანტობას ქადაგებდა, თანაც განსაკუთრებით — ლუთერანებსა და კალვინისტებს შორის, და თავისდაუნებურად თეროლოგებთან კამათში ჩაება. ყველაზე მეტი თავგამოდებით მის წინააღმდეგ გისენელმა დოქტორმა ბენერმა გაილაშქრა და ფონ ლოენიც ვალში არ დარჩენია. კამათი გაცხარდა, პირად მტრობაში გადაიზარდა და აქედან გამომდინარე უსიამოვნებებმა ავტორი აიძულა ლინგენში პრეზიდენტობაზე დათანხმებულიყო, რაიც ფრიდრიხ მეორემ შესთავაზა, რადგან გონებაგახსნილ და თან იმ სიახლეების უყოყმანოდ გადმოძღვებ კაცად თვლიდა, საფრანგეთში უკვე დიდი ხანია რომ ჰყვოდა. მისი ყოფილი თანამოქალაქეები, რომლებიც გულნატკენმა მიატოვა, ირწმუნებოდნენ, იქ ვერ გაძლებს, ან რამ უნდა გააძლებინოს, ლინგენისთანა მიყრუებული ადგილი ფრანკფურტთან რას მოვაო. პრეზიდენტის კეთილდღეობისა მამაჩემსაც ეეჭვებოდა და ამბობდა, ჩვენს კეთილ ბიძას ერჩივნა მეფისგან შორს დაეჭირა თავი, რა გამორჩეული კაციც უნდა იყოს, მეფესთან დაახლოება მაინც სახიფათოაო. ნუთუ დაგვაავინყდა, პრუსიელი რეზიდენტის ფრაიტაგის წარდგინების წყალობით ფრანკფურტში რა სამარცხვინოდ დააპატიმრეს თვით სახელგანთქმული ვოლტერი, რომელიც მანამდე მეფეს დიდ პატივში ჰყავდა და ფრანგულ პოეზიაში მის მრჩევლადაც კი ითვლებოდაო. ასეთ შემთხვევებში კაცის დასაფრთხობად მეფის კარზე მოსალოდნელ უამრავ საფრთხეს ჩამოგითვლიდნენ, თუმცა არა მგონია, მათზე ნებისმიერ ფრანკფურტელს მიახლოებითი წარმოდგენა მაინც ჰქონოდა.

ერთ დიდებულ ადამიანს, დოქტორ ორტს აქ მხოლოდ სახელით მოვიხსენიებ, რადგან სულაც არ ვაპირებ ყველა დამსახურებულ ფრანკფურტელს ავუგო ძეგლი, მე მხოლოდ იმ პიროვნებებს ვახსენებ, სიყმაწვილის წლებში თავისი ავტორიტეტით ჩემზე რაიმე ზეგავლენა რომ მოუხდენიათ. დოქტორი ორტი მდიდარი კაცი გახლდათ და იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც ქალაქის მმართველობაში არასდროს გარეულა, თუმცა თავიანთი ცოდნითა და შეხედულებებით დიახაც რომ იმსახურებდნენ ამას. გერმანულ, განსაკუთრებით კი ფრანკფურტულ სიძველეთა მოყვარულები მისგან ერთობ არიან დავალებულნი. მან გამოსცა შენიშვნები ეგრეთ წოდებულ „ფრანკფურტულ რეფორმაციაზე“, ნაშრომი, რომელშიც თავმოყრილია ამ საიმპერიო ქალაქის ყველა სტატუტი. ხსენებული წიგნის ისტორიული თავები მე თვითონ გულმოდგინედ მაქვს ჩემს სიყმაწვილეში შესწავლილი.

ფონ ოქსენშტაინი, იმ სამი ძმიდან უფროსი, ზემოთ ჩემს მეზობლებად რომ ვიხსენიებდი, ერთი უცხვირპირო კაცი გახლდათ და სიცოცხლეში არც არაფრით გამოუჩენია თავი, მაგრამ სიკვდილის შემდეგ კი მართლა გაითქვა სახელი: დაუბარებია, დილაადრიან, უხმაუროდ, უპროცესიოდ და ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე ხელოსნებმა გამასვენონ და დამმარხონო. დანაბარები ალასრულეს და ჩვენს ქალაქში, სადაც ხალხი დაკრძალვის პომპეზურ ცერემონიალს იყო მიჩვეული, ამ ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ყველა ფეხზე დადგა, ვისაც კი დაკრძალვიდან გვარიანი შემოსავალი ჰქონდა, და ენერგიულად გაილაშქრეს ამ სიახლის წინააღმდეგ,



მაგრამ მამაც პატრიციელს ყველა ფენაში გამოუჩნდა მიმდევრები და თუმცა ხალხში კარგახანს სადად დაკრძალულ მიცვალებულებს დაცინვით ოქსენშტაინის გვამებს ეძახდნენ, ხელმოკლე ოჯახებმა მყისვე გადაიღეს ეს სიახლე და მას შემდეგ ბრწყინვალე პროცესიები სულ უფრო და უფრო იშვიათად იმართებოდა. ზემოხსენებული მაგალითი იმეს, დასტურად მოვიყვანე, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ნელ-ნელა დაკრძალვით ბოდა მისწრაფება თავმდაბლობისა და თანასწორობისაკენ. იგი ზემოდან მოდიოდა და სულ მალე მოულოდნელი მასშტაბები მიიღო.

იმ დროს არც სიძველეთა მოყვარულები გვკლებია. უკვე არსებობდა სურათების გალერეები და გრაფიურების კოლექციები, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი რუდუნებით კოლექციონერები სამამულო ღირსშესანიშნაობებს დაეძებდნენ და პატრონობდნენ. აქამდე არ არსებობდა საიმპერიო ქალაქის ძველი ბრძანებულებებისა და მანდატების კოლექციები, სამაგიეროდ ახლა სანთლით დაეძებდნენ მათ, ქრონოლოგიურად ალაგებდნენ და როგორც სამშობლოს სამართლისა და ტრადიციების ამსახავ საგანძურს, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. ასევე აგროვებდნენ ფრანკფურტელების პორტრეტებს, რომლებიც უხვად მოიპოვებოდა და გალერეებში ისინიც გამოცალკევებულ ადგილს იჭერდნენ.

მამაჩემს, ეტყობა, ასეთი მოღვაწენი სამაგალითოდ მიაჩნდა, თვითონაც არ აკლდა ღირსეული ბიურგერის საკადრისი არცერთი თვისება და სახლის დამთავრებისთანავე მანაც წესრიგში მოიყვანა თავისი ავლადიდება: დაახარისხა და დაალაგა შენკისა და გეოგრაფიული ატლასების სხვა გამომცემლების რუკების ჩინებული კოლექცია, ზემოხსენებული ბრძანებულებები და მანდატები, პორტრეტები, მოაწესრიგა ძველისძველი თოფებით გაჭედილი ერთი კარადა და მეორეც, გასაოცარი ვენეციური ტიქებით სავსე, დახარისხდა და დალაგდა ფიალები და თასები, მინერალები, სპილოს ძვლის ნივთები, ბრინჯაო და ათასი სხვა რამ და მას მერე მეც, თუკი სადმე აუქციონი გაიმართებოდა, მამას უფჭველად ვთხოვდი, ჩვენი კოლექციის გამრავლება ჩემთვის დაევალებინა.

უნდა გავიხსენო კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ოჯახი, რომელზეც სიყმანვილეშივე ბევრი უცნაური რამ მსმენოდა და მისი ზოგიერთი ნევრისგან მე თვითონ უცნაურობები გადამხდენია. ეს იყო ზენკენბერგების ოჯახი. მამაზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ ის ვიცი, რომ იგი შეძლებული კაცი გახლდათ და ჰყავდა სამი ვაჟიშვილი, რომლებიც სიყმანვილეშივე ახირებულებად ითვლებოდნენ, ასეთი რამ კი ბუნებრივია, ზომიერი ცხოვრების მოყვარულ ქალაქში, სადაც არც სიკეთით და არც სიავით არ უნდა გამორჩეულიყო ვინმე, მოსაწონი ვერ იქნებოდა. დასაცინი მეტსახელი და უცნაური, მეხსიერებაში ჩარჩენილი ზღაპრები მეტწილად ასეთი ახირებულობის ნაყოფია ხოლმე. მათი მამა ჰაზენგასეს კუთხეში ცხოვრობდა და სხვათა შორის, ქუჩასაც მისი სახლის გერბის გამო შეერქვა კურდღლების ქუჩა, რადგან გერბზე ერთი კი არა სულაც სამი კურდღელი იყო გამოსახული. ამის გამო ძმებსაც სამ კურდღელს ეძახდნენ და ეს მეტსახელი ძალიან დიდხანს შემორჩათ. ჩვეულებრივ, ახალგაზრდობაში პიროვნების დიდი ღირსებები ცოტა არ იყოს უცნაური და მოუხეშავი ფორმით ვლინდება და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. უფროსი ძმა სახელგანთქმული სახელმწიფო მრჩეველი გახდა და ფონ ზენკენბერგად მოიხსენიებოდა. შუათანა ქალაქის საბჭოში მსახურობდა და ჩინებული ნიჭი და



უნარიც გამოავლინა, მაგრამ თავისი სიფიცხითა და თავშეუკავებელი ქცევით თუ ქალაქს ვერაფერს აკლებდა, თავის კოლეგებს ხომ შავ დღეს აყრიდა ხოლმე. მესამე ძმამ, კარგმა ექიმმა და უაღრესად სამართლიანმა კაცმა, რომელსაც პატარა პრაქტიკა ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ მხოლოდ წარჩინებულთა ოჯახებში დაიარებოდა, ღრმა სიბერემდე შეინარჩუნა უცნაური გარეგნობა. ეცვა სუფთად და კობტად, ქუჩაში ყოველთვის ერთნაირად ჩაცმულს შეხვდებოდით — მუდამ ერთნაირი წინდებითა და ფეხსაცმელებით, შეპუდრული კულულებიანი პარიკითა და ილღიაში ამოდებული შლაპით დაიარებოდა. დადიოდა სწრაფად, ოღონდ უცნაური რხევა-რხევით, ამიტომ წამდაუნუმ ქუჩის ერთი მხარიდან მეორე მხარეს გადადიოდა და ენამწარეები ამბობდნენ, ზიგზაგებით რომ არ იაროს, გარდაცვლილთა სულებს გადააწყდებოდა. და აი, ყველა ხუმრობა და ქილიკი ბოლოს მის მიმართ მოწინებად იქცა, როცა ერთ მშვენიერ დღეს თავის დიდებული სახლი, ეზო, ბაღი და დამხმარე ნაგებობანი სამედიცინო სასწავლებლის დაარსებას მოახმარა, იქვე მხოლოდ ფრანკფურტელებისათვის პოსპიტალი მოაწყო, გვერდით ბოტანიკური ბაღი გააშენა, იქაურობას ანატომიური თეატრი, ქიმიური ლაბორატორია, ჩინებული ბიბლიოთეკა და დირექტორის ბინაც მიუმატა და ეს ყველაფერი ისეთ დონეზე იდგა, ვერცერთი აკადემია რომ ვერ დაიწუნებდა.

ამ დროისათვის უკვე ჩვენზე შორიდანვე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა კლოპშტოკის სახელი. თავიდან ყველას უკვირდა, მისნაირ დიდებულ ადამიანს როგორ შეიძლებოდა ასეთი უცნაური გვარი ჰქონოდა, მაგრამ მალე შევეჩვიეთ და ეს სიტყვა რომ საბერტყ ჯოხს ნიშნავდა, აღარავის გვაგონდებოდა. მამაჩემის ბიბლიოთეკაში აქამდე უფრო მისი თანამედროვე ან ძველი, სახელმძოხვეჭილი პოეტების კრებულებს ვპოულობდი. ყოველი მათგანი რითმთან ლექსებს წერდა და მამაჩემსაც რითმა პოეტური ქმნილების აუცილებელ კომპონენტად მიაჩნდა. კანიცის, ჰაგედორნის, დროლინგერის, გელერტის, კროიცისა და ჰალერის ტყავისყდიანი კობტატომების მწკრივს გვერდს უმშვენებდა ნოიკირხის „ტელემაქე“, კოპენის „განთავისუფლებული იერუსალიმი“ და სხვა თარგმანები. ყველა ეს წიგნი ბავშვობაშივე გულდაგულ მქონდა გადაკითხული. ბევრი ნაწყვეტი ზეპირადაც ვიცოდი და ამიტომ სტუმრების გასართობად ხშირად მეძახდნენ ხოლმე. აი, კლოპშტოკის „მესიადას“ რამდენიმე ლექსს რომ საყოველთაო მოწონება ხვდა წილად, მამაჩემისთვის ეს საშინელი ეპოქის დასაწყისს უდრიდა, რადგან ამდაგვარ ლექსებს იგი ლექსად არც თვლიდა. თვითონ, ცხადია, არც უფიქრია ხსენებული წიგნის შეძენა, მაგრამ ჩვენი ოჯახის მეგობარმა, მრჩეველმა შნაიდერმა სადღაც იშოვა იგი და დედას და ბავშვებს ჩუმად წაგვაკითხა.

ამ საქმიან, ნაკლებად ნაკითხ კაცზე „მესიადამ“ გამოსვლისთანავე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა, ანუ ბუნებრივად გამოთქმულმა, მოხდენილად გაკეთილშობილებულმა ღვთისმოსაურმა გრძნობებმა, მშვენიერი ენით დაწერილმა ლექსებმა, თუნდაც ისინი მხოლოდ ჰარმონიულ პროზად ჩაგეთვალათ, ისე დაიპყრეს ამ უემოციო, საქმიანი კაცის გული, რომ პირველ ათ სიმღერას, რაიც ფაქტიურად მაშინ ხელთ გვექონდა, ლამის წმინდა წიგნად თვლიდა და წელიწადში ერთხელ, ვნების კვირაში, როცა საქმეები დროებით გადადებული ჰქონდა, თავისთვის წყნარად კითხულობდა და მერე მთელი წელი თავს იმ შთაბეჭდილებებით იხალისებ-



და. თავიდან იფიქრა, ჩემს გრძნობებს ძველ მეგობარს გავუზიარებო, მაგრამ, რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა მამაჩემის მხრიდან მოულოდნელად ასეთი შინაარსიანი ნაწარმოების მიმართ გადაუღებავ ანტიპათიას წააწყდა, თანაც მხოლოდ ფორმის გამო, რასაც თვითონ არაფრად აგებდა. თითქოს შეიძლებოდა ამ საგანზე განმეორებდაც შემდეგარიყო საუბარი, მაგრამ ძველი მეგობრები კინალამ დასცილდნენ ერთმანეთს, ასე განსაჯეთ, რამდენჯერმე ჩხუბამდეც კი მივიდა საქმე და მაშინ დამთმობმა კაცმა ამჯობინა თავის საყვარელი ნაწარმოები აღარ ეხსენებინა, თორემ ადვილად შეიძლებოდა სიყრმის მეგობარიც დაეკარგა და მასთან ერთად გემრიელ საკვირაო წვნიანსაც გამომშვიდობებოდა.

პროზელიტების მიმხრობა ყოველი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და, წარმოიდგინეთ, რა დიდი ჯილდო იქნებოდა მისთვის, როცა თანამოაზრენი ოჯახის დანარჩენ წევრებში ჰპოვა. ნიგნის ის ეგზემპლარი თვითონ ხელიწაღში ერთი კვირის განმავლობაში სჭირდებოდა, მთელი დანარჩენი დრო კი ჩვენს ხელთ გახლდათ. ნიგნს დედა ჩუმ-ჩუმად კითხულობდა, ჩვენც, დროს ვიხელთებდით თუ არა, სადმე კუთხეში მივიყუყუბოდით და ყველაზე ღირსშესანიშნავ ადგილებს ვიზეპირებდით, განსაკუთრებული მონდომებით კი, ცხადია, უსათუთესი გზებით აღსავსე სტრიქონებს ვიმახსოვრებდით.

პორციას სიზმრის ზეპირად წარმოთქმას ერთმანეთს ვასწრებდით, სამაგიეროდ განწირულ, გულისშემძვრულ დიალოგს სატანასა და ადრამელეს შორის, რომლებიც მკვდარ ზღვაში ერთად გადაყარეს, ერთმანეთში ვინანილებდით ხოლმე. პირველი როლი, როგორც ყველაზე ვაჟკაცური, მე მერგო, მეორე, უფრო საცოდავი, ჩემმა დამ იკისრა და, აი, ჩვენს ბაგეთაგან შენაცვლებით მოედინებოდა საზარელი, მაგრამ მაინც კეთილხმოვანი წყევლა-კრულვა და ჩვენც შემთხვევას არ ვუშვებდით ხელიდან, რომ ერთმანეთს ამ ჯოჯოხეთური ფრაზებით არ მივსალმებოდით.

ერთხელ, ზამთარში, შაბათ საღამოს, სანთლის შუქზე მამა დალაქს ჩვეულებისამებრ აპარსვინებდა პირს, რომ კვირა დილით ეკლესიაში წასასვლელად აუჩქარებლად მორთულ-მოკაზმულიყო, ხოლო ჩვენ ლუმელთან დაბალ სკამებზე ვისხედით და იმ ჩვენს გაზეპირებულ წყევლა-კრულვას წყნარად ვბუტბუტებდით. და აი, იმ ადგილზე რომ მივედით, სადაც ადრამელესი, სატანას თავის რკინის ხელებს მარწუხებივით შემოაჭდობს, ჩემმა დამ ღონივრად ჩამჭიდა ხელი და ჯერ მართლა ხმადაბლა დაიწყო შესაფერი კუბლეტის დეკლამაცია, მაგრამ ნელ-ნელა მის ხმას მგზნებარება მოემატა და დასჭექა:

მიშველე რამე! გევედრები, მიშველე რამე!  
ვილოცებ შენზე, თუ ისურვებ, ავაზაკო, ურჩხულო შავო,  
მიშველე რამე! მტანჯავს მარადი, შურისძიებით ანთებული  
სიკვდილის შიში!..  
უწინ შემედლო მძულეობდი სიძულვილით, მხურვალით, ავით!  
ან აღარ ძალმიძს სიძულვილი და ამიტომაც ვიტანჯები ჯოჯოხეთურად!

ამ წუთამდე აუტანელი არაფერი ყოფილა, მაგრამ როცა ჩემმა დამ შემზარავი ხმით ხმამაღლა წარმოთქვა სიტყვები: „ო, დავილუპე, დავი-



დუბე სამარადისოდ!..“ ჩვენი პატიოსანი „ქირურგი“ შეკრთა და საპნიანი წყლით სავსე თასი მამაჩემს ზედ მკერდზე გადაასხა. ატყდა დიდი აურ-ზაური და დაიწყო მკაცრი გამოძიება, განსაკუთრებით იმ ნიშნით, რა უბედურება შეიძლებოდა მომხდარიყო, დალაქს რომ პარსვა დაწყებული შქონოდაო. ავი განზრახვა რომ არ დაგვბრალებოდა, იძულებულნი ვიყავით გველიარებინა, ეშმაკისეულ როლებს ვასრულებდით-თქო. მტყუარბდ, მტყელი უბედურება ჰეგზამეტრს დაბრალდა და აშკარა გახდა, რომ მისი ავტორი ხელახლა შეჩვენებასა და გაძევებას ველარ გადაურჩებოდა.

აი ასე შეუძლიათ ბავშვებს და ხალხს ყოველივე დიადი და ამალღებული თამაშად, უფრო მეტიც, გასართობად გადააქციონ, თუმცა სხვაგვარად ხომ ვერც შეძლებდნენ მისი სიმძიმისათვის გაეძლოთ.

### წიგნი მესამე

ახალი წლის პირველი დღე იმ დროს საყოველთაო მისვლა-მოსვლით და მილოცვით აღინიშნებოდა და ქალაქს სიცოცხლეს მატებდა. ვისაც სახლიდან გამოსვლა ეზარებოდა, ის თავის საუკეთესო ტანსაცმელში გამოეწყობოდა, მომსვლელებს გულთბილად ეგებებოდა და მეგობრებისა და მოკეთებების მიმართ თავაზიანობას ასე გამოხატავდა. ბავშვებს კი ყველაზე დიდ სიამოვნებას ბაბუას სახლში გამართული ზეიმი გვანიჭებდა. შვილიშვილები იქ დილაადრიან ვიკრიბებოდით, რათა დაფდაფების, ჰობოის, კლარნეტისა და ბუკ-ნალარის ხმა მოგვესმინა, სამხედრო და ქალაქის სასულე ორკესტრები რომ გამოსცემდნენ. ბავშვები წვრილფეხა მომლოცველებს საჩუქრებით სავსე, წარწერიან, დაბეჭდილ პაკეტებს ვურიგებდით, ხოლო დღის მატებასთან ერთად მატულობდა საპატიო სტუმრების რიცხვი. ჯერ ახლობლები და ნათესავები მოდიოდნენ, მერე უბრალო მოხელეები. რატსპერებიც იმ დღეს ისე როგორ ჩაატარებდნენ, თავიანთი შულტჰაისისთვის ახალი წელი არ მოელოცათ და აი, სალამოს რჩეული სტუმრებისათვის იმ ოთახებში იშლებოდა სუფრა, რომლებიც წლის განმავლობაში შეიძლება ითქვას, გამოკეტილი იყო ხოლმე. ტორტები, კექსები, მარციპანი, ტკბილი ღვინო ბავშვების თვალში უკვე ხიბლით იყო გარემოსილი, ზედ ისიც ემატებოდა, რომ შულტჰაისი და ორივე გუბერნატორი სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდიდან ყოველწლიურად ცოტაოდენ ვერცხლის ფულს იღებდნენ და უფროს-უმცროსობის მიხედვით შვილიშვილებს და ნათლულებს ურიგებდნენ. ერთი სიტყვით, ამ დღესასწაულს მცირე მასშტაბით არაფერი აკლდა ისეთი, რაც ჩვეულებრივ, დიდ დღესასწაულებს ამშვენებს ხოლმე.

და აი, დადგა 1759 წლის პირველი იანვარი, ბავშვებისთვის ისეთივე სასურველი და სანატრელი, როგორც მისი წინამორბედი წელი, უფროსებისთვის კი საჭოჭმანო და დამაფიქრებელი. უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით წლის მიწურულს ფრანგების მარშით სვლა ისე გახშირდა, რომ აღარავის ეუცხოებოდა, მთავარი კოშკის მეციხოვნე საიმპერიო ქალაქის ძველი ჩვეულებისამებრ ბუკით რომ გვამცნობდა ჯარების მოახლოებას, ახალი წლის იმ პირველ დღეს კი ბუკი გამუდმებით ყიოდა, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ ქალაქში ყოველი მხრიდან მოედინებოდა მო-



ზრდილი საჯარისო შენაერთები. მართლაც, იმ დღეს მთელ ქალაქში და-  
 აბიჯებდნენ მრავალრიცხოვანი რაზმები და ხალხიც მათ სანახავად გა-  
 მორბოდა. ფრანკფურტელები აქამდე პატარ-პატარა რაზმებს იყვანდნენ მიჩ-  
 ვეულნი, ახლა კი რაზმს რაზმი ემატებოდა და მათი შეჩერება არც არავის  
 შეეძლო და არც არავის მოუხდომებია. ერთი სიტყვით, ჟიუნიერს ზაქ-  
 სენჰაუზენის მხრიდან შემოსული კოლონა ხიდზე გადმოვიდა, ფრანგებს  
 გავლით საპოლიციო საგუშაგომდე მიალწია, იქ შეჩერდა, განაიარაღა სა-  
 გუშაგოზე მდგარი პატარა რაზმი, თვითონ დაიკავა მისი ადგილი, ცაილის  
 გავლით ქვემოთ დაეშვა და მცირე წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ  
 მთავარ საგუშაგოსაც დაეპატრონა. ამგვარად, თვალის დახამხამებაში  
 მშვიდობიანი ქუჩები საომარი მოქმედებების სცენად იქცა, ხოლო ჯა-  
 რისკაცები მანამდე იყვნენ იქ დაბანაკებულნი, სანამ წესისა და რიგის  
 მიხედვით არ დაიწყო მათი ბინებში შესახლება

ამ მოულოდნელმა, მრავალი წლის წინ მივიწყებულმა ტვირთმა წე-  
 ლში განყვიტა მყუდრო ცხოვრებას ჩვეული ბიურგერები, მაგრამ არა მგო-  
 ნია, ამის გამო მამაჩემზე უფრო შენუხებულყო ვინმე. თავის ახლადდამ-  
 თავრებულ სახლში უცხო სამხედრო პირები უნდა მიეღო, მათთვის გან-  
 კრძალვებული, მეტწილად დაკეტილი მისაღები ოთახები დაეთმო და იქ,  
 სადაც თვითონ უმკაცრესი წესრიგი ჰქონდა დამყარებული, უცხო ადა-  
 მიანები ეპარკაშებინა; მას, ისედაც პრუსიელთა თანამგრძნობ კაცს, ყო-  
 ველდღე თავის ოთახებში დაბანაკებული ფრანგებისთვის უნდა ეყურე-  
 ბინა და ამაზე დიდი უბედურება მისი სულიერი წყობის კაცისათვის რაღა  
 შეიძლებოდა ყოფილიყო. ისე კი ამ ამბავს რომ უფრო იოლად მოჰქიდე-  
 ბოდა, მრავალ უსიამოვნო წუთს თვითონაც ასცდებოდა და ჩვენც აგვა-  
 ცილებდა, მითუმეტეს, რომ ფრანგული კარგად იცოდა და თავის ღირ-  
 სეულად დაჭერაც ემარჯვებოდა. სიტყვა რომ აღარ გავაგრძელოთ, ჩვენ-  
 თან დააბინავეს ხელმწიფის ლეიტენანტი, იგიც სამხედრო პირი გახლდათ,  
 მაგრამ ჯარისკაცებსა და ბიურგერებს შორის მხოლოდ სამოქალაქო უთა-  
 ნხმოებების მოგვარება, ვალებთან დაკავშირებული საქმეები და მისთანა-  
 ნი ევალებოდა. ეს იყო გრაფი თორანი, წარმოშობით პროვანსელი, ანტი-  
 ბის მახლობლად მდებარე სოფელ გრასედან, მალალ-მალალი, გამხდარი,  
 ყვავილისგან სახედაკენილი სერიოზული კაცი, ჰქონდა შავი, ბრიალა  
 თვალები, თავი მუდამ ღირსეულად ეჭირა და წონასწორობას არასოდეს  
 ჰკარგავდა. მისი შემოსვლა ჩვენი სახლის ბინადართათვის უსიამოვნო არ  
 ყოფილა. ილაპარაკეს ოთახებზე, რომელი ნაწილი უნდა დაგვეთმო და  
 რომელი უნდა დაგვრჩენოდა. უკვე დაღამებული იყო, მაგრამ მან სურა-  
 თებიანი ოთახის ხსენებისთანავე ითხოვა ნებართვა, სანთლის შუქზე მა-  
 ინც გადაევილო მისთვის თვალი. სურათების ხილვით ფრიად გაიხარა, თა-  
 ვისი სიხარული არც დაუფარავს, მამასაც მოეფერა, ხოლო რომ გაიგო,  
 მხატვრების უმრავლესობა ჯერ კიდევ ცოცხალია და სულაც ფრანკფურტ-  
 ში და მის ახლო-მახლო ცხოვრობენო, ბრძანა, დიდი სურვილი მაქვს გა-  
 ვიცნო ყოველი მათგანი და შეკვეთებიც მივცეო, მაგრამ ამოდ დაშვრა —  
 მამაჩემს თანამოაზრესთან შეხვედრამ ვერც შეხედულებები შეუცვალა და  
 ვერც გული მოუღბო. რაც მოსახდენი იყო, იმას წინ ვერ აღუდგებოდა,  
 ამიტომ ხელი ჩაიქნია და განზე გადგომა არჩია, მაგრამ მის ირგვლივ  
 მიმდინარე ამ უჩვეულო მოვლენების ყოველი წვრილმანი მაინც ანერ-  
 ვიულებდა ხოლმე.



გრაფი თორანი თავის მხრივ სამაგალითოდ იქცეოდა. ახალი შპალერი რომ არ გაეფუჭებინა, კედლებზე რუკებიც კი არ გაუკრავს, სელქვეითებიც საქმიანი, წყნარი და წესიერი ჰყავდა, მაგრამ დილიდან გვიან ღამემდე მასთან მისვლა-მოსვლა არ წყდებოდა, მომჩივანს მომჩივანი მოსდევდა, მოჰყავდათ და მიჰყავდათ პატიმრები, ოფიცრებსაც და ნაძღვრე ტანტებს თავისუფლად შეეძლოთ ნებისმიერ დროს მოსვლა. ჩვენს დაუმატეთ, რომ გრაფს მთელი დღე გაშლილი ჰქონდა სუფრა და ამგვარად, საკმაოდ დიდი, მაგრამ მაინც ერთი ოჯახისათვის აშენებული სახლი, რომელსაც ზედა სართულებზე ასასვლელი ერთადერთი კიბე გააჩნდა, მუდამ ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა, თუმცა მიმსვლელ-მომსვლელნი შეძლებისდაგვარად წესიერად, დინჯად და თავდაჭერილად იქცეოდნენ.

მუდამ აღრენილი, ჰიპოქონდრიით განამებულ ოჯახის თავსა და კეთილგანწყობილ, მაგრამ სერიოზულ და მკაცრ სამხედროს შორის შუამავლად, საბედნიეროდ, ერთი თარჯიმანი გამოგვიჩნდა, ლამაზი, მკვირცხლი, ჩასუქებული, მხიარული კაცი. ეს ფრანკფურტელი ბიურგერი ფრანგულად ხომ კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ არც მოქნილობა აკლდა და პატარ-პატარა უსიამოვნებების ხუმრობაში გატარებაც ემარჯვებოდა. ამ კაცის მეშვეობით დედამ გრაფს გააგებინა, რა უხერხულ დღეში იყო ჩავარდნილი თავისი მეუღლის სულიერი მდგომარეობის გამო. მანაც ისე ჭკვიანურად აუწერა გრაფს სიტუაცია: ახალი, ჯერ კიდევ მოუწყობელი სახლი, სახლის პატრონის თანდაყოლილი გულჩათხრობილობა, ოჯახის წევრების აღზრდაზე ზრუნვა და სხვა მისთანანი, რომ გრაფი ისედაც ხომ ამაყობდა თავისი სამართლიანობით, მოუსყიდველობითა და მხედრული ღირსებით, ახლა სულით და გულით მოინადინა მდგმურიც სანიმუშო ყოფილიყო და მართლაც, წლების განმავლობაში ნებისმიერ ვითარებაში თავი უზადოდ ეჭირა.

დედაჩემმა ცოტა იტალიური იცოდა, მოგეხსენებათ, იტალიური ჩვენი ოჯახის სხვა წევრებისთვისაც არ იყო უცხო, და ამით გულმოცემულმა გადაწყვიტა ფრანგულიც შეესწავლა, რაშიც იგივე თარჯიმანი ეხმარებოდა. დედამ იმ არეულობის წლებში მას შვილი მოუნათლა, იგიც ნათელმირონის ხატრით ჩვენს ოჯახს გაორმაგებული სიმპათიით ეკიდებოდა და თავის ნათლიდედას ყოველ თავისუფალ წუთს უთმობდა, მითუმეტეს, რომ თვითონაც იქვე, ჩვენს პირდაპირ ედო ბინა. მან უპირველეს ყოვლისა დედას ის ფრაზები შეასწავლა, გრაფთან პირად ურთიერთობაში რომ დასჭირდებოდა. გრაფის თავმოყვარეობას ესალბუნებოდა, ოჯახის ასაკოვანი დიასახლისი თავს ასე რომ იტვირთავდა, ბუნებით ისედაც გონიერი და დახვეწილი კაცი გახლდათ, არც თავისებური მკაცრი გალანტურობა აკლდა, ამიტომ მასა და დიასახლისს შორის საუკეთესო ურთიერთობა დამყარდა და ამ გარემოებას შეხმატკბილებული ნათლიმამა და ნათლიდედა თავის სასარგებლოდ ხშირად იყენებდნენ ხოლმე.

უკვე მოგახსენეთ, მამაჩემის გახალისება რომ შეგვძლებოდა, თავისთავად უსიამო ვითარება ასე მძიმე ტვირთად აღარ დაგვანწვებოდა. გრაფი ზედმინწვნიტ უანგაროდ მსახურობდა, იმ მოსაკითხსაც არ იღებდა, მის თანამდებობას რომ ერგებოდა. უმცირესი ძღვენის მომტანსაც კი, თუ ძღვენს ქრთამის სუნი ასდიოდა, სასჯელი თუ არა, სასტიკი რისხვა მაინც არ ასცდებოდა. გარდა ამისა გრაფი თავის ქვეშევრდომებს მკაცრად აფრთხილებდა, ოჯახის პატრონებისთვის ხარჯი არ მიეყენებინათ, თვითონ კი,



პირიქით, ბავშვებს დესერტს ხშირად გვიზიარებდნენ ხოლმე, ვისარგებლებ შემთხვევით და იმდროინდელი გულუბრყვილობის დასტურად ერთ მაგალითს გიამბობთ: ერთ დღეს დედამ ძალიან დაგვწყვიტა გული, როცა მათი მოკითხული ნაყინი გადაგვიგდო, რადგან ვერ წარმოედგინა, რა დასაქრულიც უნდა ყოფილიყო, კუჭს ნამდვილი ყინული რუგორ უნდა მოენელებინა.

ამ სასუსნავის გარდა, რომელსაც გემოც გავუგეთ და მონელებითაც მშვენივრად ვინელებდით, ბავშვებს ისიც გვახარებდა, სასწავლო განრიგი რომ დაირღვა და აღზრდა-განათლება ძველებურად აღარ მიმდინარეობდა. რაც შეეხება მამაჩემს, იგი დღითიდღე იბოღმებოდა და გარდუვალ ბედს ვერაფრით ურიგდებოდა. თავსაც იტანჯავდა, დედასაც, ნათლიმამასაც, რატსჰერებს, ყველა მეგობარს აწუხებდა, ოღონდ კი გრაფი თავიდან მოეშორებინა. ამოდ არწმუნებდა ყველა, სახლში გრაფისთანა ადამიანის ყოლა ამ უკულმართ დროში ნამდვილი ღვთის წყალობაა, ის რომ სხვაგან გადავიდეს, სამაგიეროდ ვილაც ოფიცრებს ან ჯარისკაცებს შემოგისახლებენო, მაგრამ მამას არაფრის გაგონება არ უნდოდა — აწმყო ისეთი აუტანელი ეჩვენებოდა, რომ ამაზე უარესის წარმოდგენაც კი არ შეეძლო.

აქამდე მამა მთელ თავის ენერგიას ჩვენ გვახარჯავდა, ახლა კი ისე იყო მოდუნებული, რომ დავალებებს ძველებურად მკაცრად აღარ გვთხოვდა და ჩვენც ცნობისმოყვარეობას სამხედრო და სხვა საზოგადოებრივ საქმეებზე დაკვირვებით ვიკმაყოფილებდით, თანაც არამარტო შინ, არამედ ქუჩაშიც, სადაც დღე და ღამე ღია კარში გუშაგები იდგნენ და ონავარი ბავშვების წინ და უკან სირბილს აინუნშიაც არ აგდებდნენ ხოლმე.

სახელმწიფო ლეიტენანტის სასამართლოზე გამოტანილი ყოველი საქმის განხილვას განუმეორებელი ხიბლი ახლდა, რადგან ლეიტენანტი შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, თავის განაჩენისთვის რაიმე გონებაბაზვილური ხუმრობა არ დაეტანებინა. ამასთან განაჩენი ზედმიწევნით სამართლიანი გახლდათ, მისი გამოსატვის ფორმა კი თავისებური და პიკანტური, რაშიც ეტყობა, ჰერცოგ ოსუნას ბაძავდა. დღე ისე არ გავიდოდა, თარჯიმანს დედა და ბავშვები ერთი-ორი ამდაგვარი ანეგდოტით არ გავემხიარულებინეთ. ამ მკვირცხლ კაცს მთელი კოლექცია ჰქონდა ლეიტენანტის სოლომონისებური განაჩენებისა, ოღონდ მე მხოლოდ მთლიანი შთაბეჭდილება მახსოვს და მათგან თუნდაც ერთი გამორჩეული მაგალითი ჩემს მეხსიერებას არ შემორჩენია.

ნელ-ნელა გრაფის ახირებულ ხასიათსაც ავუღეთ ალღო, მაგრამ უნდა ითქვას, საკუთარი ნაკლი თვითონაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და უგუნებობა და პიპოქონდრია რომ მოერეოდა, თუ კიდევ რა ჰქვია იმ ბოროტ დემონებს, საათობით, ზოგჯერ კი მთელი დღეების განმავლობაში ოთახში ჩაიკეტებოდა და თავის კამერდინერს გარდა არავის ენახვებოდა, უფრო მეტიც, ყველაზე აუცილებელ აუდიენციებსაც კი გაურბოდა, ჩამოეხსნებოდა თუ არა ბოროტი სული, კვლავ სასიამოვნო, ხალისიანი და საქმიანი ხდებოდა. მისი კამერდინერისაგან შევიტყვეთ, რომ ახალგაზრდობაში მისი უგუნებობის მიზეზით რაღაც დიდ უბედურება მომხდარა და მას შემდეგ ასეთ დროს ხალხში გამოჩენას ერიდებოდა, მითუმეტეს ახლა, როცა თავის თანამდებობის წყალობით, მთელი ქვეყნის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

გრაფმა დაბინავებიდან სულ რამდენიმე დღეში ყველა ფრანკფურტე-



ლი მხატვარი მოანვევინა. მათ თან მოიტანეს მზა ნამუშევრები და გრაფ-  
მაც შეიძინა, რაც იყიდებოდა. გრაფს ჩემი კოპნია, ნათელი მხარდის  
ოთახიც დაუთმეს და მან იგი მყისვე კაბინეტად და ატვირთვდა გადააქ-  
ცია, რადგან ჩაფიქრებული ჰქონდა იქ მხატვრები ემუშავებინა, განსაკუ-  
თრებით კი დარმშტატელი ზეეკაცი, რომლის ნახატებში ნატურბრი-  
ობითა და გულუბრყვილობით ყველაზე უფრო ხიბლავდა, მერე მისთვის უფ-  
როს ძმას, რომელსაც, ეტყობა, მშვენიერი სახლი უნდა ჰქონოდა, ყველა  
ოთახისა და დარბაზის ზომები გამოაგზავნინა, მხატვრებთან ერთად და-  
იანგარიშა, ზეთის საღებავებით შესრულებული რამდენი და რა ზომის  
ნახატი დასჭირდებოდა, რომ კედლებზე შპალიერის მაგივრობა გაენიათ  
და მუშაობაც გაჩაღდა. ზეეკაცმა სოფლურ სცენებს მოჰკიდა ხელი და  
უნდა ითქვას, რომ ნატურიდან დახატული მოხუცები და ბავშვები ჩინე-  
ბულად გამოუვიდა, სამაგიეროდ ყმანცილების ფიგურები, მეტიხმეტი სი-  
გამხდრის გამო, ქალები კი სრულიად საპირისპირო მიზეზით, თავს ნამდ-  
ვილად ვერავის მოანონებდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ ზეეკაცს ერთი  
ტანმორჩილი, სქელი და უსახური ქალი ჰყავდა ცოლად, ქმარს თავის გა-  
რდა სხვა მოდელის მოწვევას არ ანებებდა და აბა ლამაზ-ლამაზი ქალები  
საიდან გამოუვიდოდა, გარდა ამისა, მხატვარი თავის სქელ-სქელი ფიგურ-  
ების ფონზე სხვა პროპორციებსაც ვეღარ იცავდა, ხეები, მაგალითად, ნა-  
მდილს ჰგავდა, მაგრამ შეუფერებლად წვრილ-წვრილი ფოთოლი ესხა,  
თავი და თავი კი ის იყო, რომ ზეეკაცი ბრინკმანის მოწაფე გახლდათ, რო-  
მელსაც უფრო დაზგური ფერწერა ემარჯვებოდა.

სიმართლე თუ გნებავთ, საქმეს ყველაზე უკეთ პეიზაჟისტიმა შუცმა  
გაართვა თავი, მის სურათებზე რაინის ხედებს გაზაფხულის ნაზი მზე  
დანათოდა, იგი მუშაობას ნაჩვევი გახლდათ, ამიტომ მის ნამუშევრებს  
განაფული ხელიც ეტყობოდა და ზომიერების მიუხედავად არც სიცოცხლე  
აკლდა.

ტრაუტმანი რემბრანტობდა და ახალი აღთქმიდან ქრისტეს აღდგომის  
საოცარ ამბებს რომ ასურათხატებდა, სოფლებსა და წისქვილებს გვერდით  
კოცონს უხატავდა. როგორც ოთახების ესკიზებს შევატყვე, მასაც საკუ-  
თარი არე ჰქონდა მიჩენილი. ჰირტიმა რამდენიმე მუხნარი და წიფლნარი  
დახატა და იქ მობალახე ფარაც სანაქებო გამოუვიდა. იუნკერი სიზუსტის  
მიმდევარი ნიდერლანდელების მიბაძვას იყო ჩვეული, ამიტომ საშპალიერო  
სტილის ათვისება ყველაზე უფრო მას გაუჭირდა, მაგრამ კარგი ანაზღა-  
ურების ხათრით თავს არ იზოგავდა, რომ რამდენიმე კუთხე ყვავილებითა  
და ხილით მაინც მოეხატა.

რაკი ზემოთ ჩამოთვლილ მხატვრებს ბავშვობიდანვე ვიცნობდი, მათ  
სახელოსნოებშიც დავიარებოდი და გრაფსაც ჩემი იქ ყოფნა არ ეხამუშე-  
ბოდა, ყოველი ახალი იდეის დაბადებას, ახალი შეკვეთის მიცემას და მო-  
ლაპარაკებას, თუ მზა ნამუშევრების ჩაბარებას მეც ვესწრებოდი და ესკი-  
ზებისა და მონახაზების თაობაზე ზოგჯერ შეხედულების გამოთქმასაც არ  
მოვრიდებოდი. საქმე ისაა, რომ კარგახანია სურათების მოყვარულებსა  
და აუქციონის მუშტრებს შორის სახელი მქონდა მოხვეჭილი, ერთი  
შეხედვით შემეძლო გამომეცნო, რას წარმოადგენდა ესა თუ ის ისტორი-  
ული სურათი, მისი თემა ბიბლიიდან მომდინარეობდა, ისტორიიდან, თუ  
სულაც მითოლოგიიდან იყო აღებული. იქნებ ყოველთვის ვერც ვახერხე-  
ბდი ალეგორიების აზრი ამომეცნო, მაგრამ ჩემზე უკეთ მათ აზრს იშვი-



ათად ვინმე სხვა მიმხვდარიყო. ისეც მომხდარა, მხატვრისთვის სურათის თემაც მიმინოდებია და ამდაგვარი უპირატესობით თვითონვე წასიამოვნები დავრჩენილვარ. მახსოვს, ერთხელ მოზრდილი თხზულებაც კი დავწერე, სადაც იოსების ცხოვრების ამსახველი თორმეტი სურათი მქონდა აღწერილი და მათგან რამდენიმე მართლაც ფერწერულ ტრადუციას.

ყმანვილისათვის ასეთი თავმოსაწონი ამბების შემდეგ — უნდა ვთქვათ — პატარა სამარცხვინო ეპიზოდის მინდა გავიხსენო, ხელოვანთა წრეში ტრიალის წყალობით რომ ვინვნიე. მე ყველა სურათს, რაც ნელ-ნელა იმ ოთახში გროვდებოდა, მშვენივრად ვიცნობდი, მაგრამ უნახავი და გაუჩხრეკავი რომ დამრჩენოდა რამე, ჩემი ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობა არ მომასვენებდა. ჰოდა, ერთხელ ღუმლის უკან რაღაც შავი ყუთი ვიპოვე: ბევრი არ მიყოყმანია, დავინტერესდი, შიგ რა უნდა ყოფილიყო და საკეტი გავხსენი. იქ მოთავსებული სურათი ნამდვილად არ გახლდათ ყველას დასანახად გამოსაფენი, მეც სასწრაფოდ შევეცაადე ყუთი ჩამეკეტა, მაგრამ ველარ მოვასწარი და გრაფი დამადგა თავზე.

— ვინ მოგცათ ყუთის გახსნის უფლება? — მითხრა მან და ხმაში ხელმწიფის ლეიტენანტის კილო დაეტყო.

სათქმელი ბევრი არაფერი მქონდა და მანაც მყისვე გამომიტანა სასჯელი, რვა დღე ამ ოთახში ფეხს ვერ შემოდგამთო. მე თავი მორჩილად დავუკარი, გარეთ გამოვედი და სასჯელიც ზედმინწევნით პუნქტუალურად მოვიხადე, რითაც დიდად დავალონე ზეეკაცი, რომელიც იმ ოთახში მუშაობდა და ჩემი იქ ყოფნა ახალისებდა. მორჩილებაში პატარა ვერაგობაც გავურიე და ისე შორს შევტოპე, რომ ზეეკაცს ყავას აქამდე თუ მოლბერტთან მივართმევდი, ახლა კარის ზღურბლზე ვუდგამდი, ისიც იძულებული ხდებოდა მუშაობა შეეწყვიტა, ამდგარიყო და ფინჯანი თვითონ აეღო, რაც ძალიან აწუხებდა და საბოლოოდ ლამის მისი რისხვაც დავიმსახურე.

ახლა კი საჭიროდ მეჩვენება უფრო დაწვრილებით გიამბოთ, ფრანგული არასოდეს რომ არ მისწავლია, ფონს იოლად როგორღა გავდიოდდი. აქაც თანდაყოლილი ნიჭი მშველოდა, ნებისმიერი ენის მიმოხრას, უღერადობასა და აქცენტს, კილოს და ყველა მის გარეგან ნიშან-თვისებას იოლად რომ ვიჭერდი. ლათინურიდან ბევრი სიტყვა ნაცნობი იყო ჩემთვის, იტალიური კიდევ უფრო მეტად გამომადგა, თან ჯარისკაცებისა და მსახურებისგან, გუშაგებისა და მიმსვლელ-მომსვლელთაგან იმდენი ვისწავლე, სულ მოკლე ხანში თუ საუბარში ჩაბმა არა, კითხვა-პასუხი მაინც შემეძლო, მაგრამ ეს ყველაფერი რა მოსატანია იმასთან, რაც თეატრმა მომცა. ბაბუაჩემისგან უფასო ბილეთი მივიღე და თუმცა მამაჩემს ეს ამბავი დიდად არ ეპიტნავებოდა, დედის მხარდაჭერის წყალობით, ყოველდღე თეატრში დავდიოდდი. ვიჯექი პარტურში, შევცქეროდი უცხოენოვან სცენას და, მართალია, სულ ცოტა ან სულაც არაფერი გამეგებოდა იმისა, რასაც სცენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მიხრა-მოხრის, მიმიკისა და ხმის აწევ-დაწევის მიხედვით აზრი მაინც გამომქონდა ხოლმე. ყველაზე მეტად კომედიის გაგება მიჭირდა, რადგან მსახიობები სწრაფად ლაპარაკობდნენ, სცენაზეც ყოფითი ამბავი თამაშდებოდა და მისი გამომხატველი ლექსიკა სულ არ ვიცოდი. ტრაგედია იშვიათად იდგმებოდა, მაგრამ თუ დაიდგმებოდა, მისი მოზომილი ტემპი, ალექსანდრიული ლექსის მკაფიო ტაქტი და განზოგადებული გამოთქმები ჩემთვის ყოველმხრივ უფრო გა-



საგები გახლდათ. დიდხანს არ გაუვლია, რომ მამაჩემის ბიბლიოთეკაში რასინის წაფანყდი, ხელი მოვკიდე და თეატრალური დეკლამაციით ესე და-  
 ვინყე მისი პიესების კითხვა, როგორც ამას ჩემი სმენის ორგანო მკარნა-  
 ხობდა და მისი ახლო ნათესავი მეტყველების ორგანო იმეორებდა, იმეო-  
 რებდა ცოცხლად და ხალისიანად, თუმცა გაბმული მეტყველებდა. აზრი  
 ნაკლებად გამოქონდა. დიახ, მთელ მონაკვეთებს ვიზუთხავდი და გან-  
 ვრთნილი თუთიყუშივით უაზროდ ვიმეორებდი, ასეთ საქმიანობას ნაჩვევი  
 გახლდით, რადგან ბავშვობაში თითქმის ასევე გაუგებარ ბიბლიურ პასა-  
 ჟებს ზეპირად ვსწავლობდი და მერე პროტესტანტი პასტორის მიბაძვით  
 ვიმეორებდი. გალექსილი ფრანგული კომედიები მაშინ დიდ გასავალში  
 იყო: დეტუშის, მარივოს, ლაშოსეს პიესები ხშირად იდგმებოდა და ზო-  
 გიერთი მათი სახასიათო პერსონაჟი დღესაც ნათლად მახსოვს, მოლიერი-  
 სა ჩემს მეხსიერებას ბევრი არაფერი შემორჩენია, სამაგიეროდ ყველაზე  
 დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ლემიერის „ჰიპერმნესტრამ“ მოახდინა, რო-  
 მელიც დიდის ამბით დაიდგა როგორც ახალი პიესა და ხშირად მეორდე-  
 ბოდა ხოლმე. ასევე სასიამოვნო კვალი დატოვა ჩემში პიესებმა:  
 „Devin du Village“, „Rose et Colas“, „Annette et Lubin“. დღემდე მახ-  
 სოვს ბაბთიანი ბიჭუნები და გოგონები და მათი რონინი. დიდხანს არ  
 გაუვლია, რომ სურვილი გამეღვიძა, უფრო ღრმად ჩემეხედა თეატრში და  
 საამისო შემთხვევაც ხშირად მომცემია ხოლმე. ყოველთვის არ მყოფნიდა  
 მოთმინება, ბოლომდე მომესმინა ნახევრად გაუგებარი სპექტაკლები, ამ-  
 იტომ ზოგჯერ დერეფნებში დავრბოდი, ზოგჯერ კი უფრო თბილ თვეებში  
 თეატრის კარწინ ჩემს თანატოლებში ვერთობოდი და აი იქ დავუმეგობრდი  
 ერთ მშვენიერ მკვირცხლ ბიჭუნას, რომელიც თეატრის დასში ირიცხებო-  
 და და პატარ-პატარა როლებში რამდენჯერმე მყავდა ნანახი. ყველაზე  
 უკეთ იგი მე მაგებიანებდა, რადგან ჩემი ფრანგული მასთან საურთიერთოდ  
 კი მყოფნიდა. ისიც დამიმეგობრდა, მითუმეტეს, რომ არც თეატრში და  
 არც ახლო-მახლო მისი ასაკის ფრანგი ბიჭი არ მოიძებნებოდა. ჩვენ სპე-  
 ქტაკლის დაწყებამდეც ხომ ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ იგი არც  
 სპექტაკლის მიმდინარეობისას მტოვებდა მართ. ეს საყვარელი პატარა  
 ბაქია ისე მომხიბლავად და გაუთავებლად ატარტალუბდა ენას, იმდენ რა-  
 მეს მიყვებოდა თავის ფათურაკებზე, ოინებსა და სხვა უცნაურობებზე, რომ  
 ჩინებულადაც მართობდა და იმ ოთხ კვირაში მისგან იმაზე მეტი ვისწავ-  
 ლე, ვიდრე ვინმეს შეეძლო წარმოედგინა. ამიტომ უკვირდა ყველას, თი-  
 თქოს ზეშთაგონება მეწვიაო, ასე სწრაფად უცხო ენის შესწავლა როგორ  
 შევძელი.

გავიცანი თუ არა, სულ რამდენიმე დღეში ჩემმა ახალმა მეგობარმა  
 თეატრში, უფრო სწორად, ფოიეში შემიყვანა, სადაც მსახიობები სცენაზე  
 ვასვლამდე იდგნენ ან ტანსაცმელს იცვლიდნენ. ფოიე ამ მიზნისათვის  
 ყოველად მოუხერხებელი რამ იყო, მაგრამ თეატრი საკონცერტო დარბაზს  
 გახლდათ შეკედლებული და მსახიობებს სცენის მიღმა არავითარი სათავ-  
 სოები არ გააჩნდათ. ერთ მოზრდილ ოთახში, სადაც უნინ მუსიკოსების  
 რეპეტიციები იმართებოდა, ერთმანეთში ირეოდა ქალი და კაცი, ჩაცმა-  
 გახდისას უხერხული სიტუაციებიც იქმნებოდა, მაგრამ ისინი არც ერთმა-

\* „სოფლის ჯადოქარი“, „როზი და კოლა“, „ანეტი და ლუბენი“.  
 (ფრანგ.).



ნეთს და არც ბავშვებს არ გვერიდებოდნენ. მსგავსი რამ არასოდეს მენახა, მაგრამ მათთან ერთი-ორჯერ კიდევ რომ მოვხვდი, მივეჩვიე და მერე ეს ამბავი მეც სავსებით ბუნებრივი მეჩვენებოდა.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ჩემში საკუთარმა საგანგებო ინტერესმაც გაიღვიძა. ყმანვილი დერონესი, ასე მინდა მოვიხსენიო, ბიჭუნა, ვისთანაც ურთიერთობას ვაგრძელებდი, ბაქიაობის მიუხედავად, მწვეთილი და თავაზიანი ბიჭი გახლდათ. მან ჩვენზე ორიოდ ნლით უფროსი და გამაცნო, სანდომიანი, მალალი, საკმაოდ კობტა გოგონა, რომელსაც პირისკანი მუქი, ხოლო თმა და თვალები შავი ჰქონდა; მთელი თავისი საქციელით იგი წყნარი, უფრო მეტიც, სევდიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მე, რაც ძალი და ღონე მქონდა, თავს ვაწონებდი, მაგრამ ვერა და ვერ მივიქციე მისი ყურადღება. ჩვეულებრივ, გოგონებს თავისზე უმცროს ბიჭებზე ბევრად უფროსად მოაქვთ თავი, თვითონ უკვე ყმანვილებისკენ უჭირავთ თვალი და ბიჭუნებს, რომლებიც მათ თავიანთ პირველ გრძნობას უძღვნიან, დეიდებივით ექცევიან ხოლმე. რაც შეეხება მათ უმცროს ძმას, მასთან არავითარი ურთიერთობა არ მქონია.

ხანდახან, როცა მათი დედა რეპეტიციებზე ან სტუმრად იყო წასული, მათ ბინაში სათამაშოდ ან სასაუბროდ ვიკრიბებოდით. მათთან ისე არ მივიდოდი, მშვენიერი გოგონასთვის ყვავილები, ხილი ან სხვა რაიმე არ მიმერთმია, ისიც ყოველთვის თავაზიანად ლებულობდა ჩემს მოსაკითხს და უღრმეს მადლობას მიხდოდა, ოღონდ მის სევდიან თვალებში არასოდეს სიხარული არ შემინიშნავს და არც ჩემს მიმართ გამოუხატავს ყურადღება. ბოლოს, ჩემი ჭკუით, მის საიდუმლოს მივაგენი. ბიჭუნამ დედამისის საწოლის თავზე, ჩარდახის სიღრმეში, რომელსაც აბრეშუმის ელეგანტური ფარდები ამშვენებდა, ვილაც მშვენიერი მამაკაცის პასტელის ფერებით შესრულებული პორტრეტი მიჩვენა და ეშმაკურად მითხრა, ეს ჩვენი მამა არ არის, მაგრამ მაინც მამააო. მერე ამ კაცის ქება-დიდებას მოჰყვა, თან იმდენი იტრაბახა და ისე დანვრილებით მიამბო ამ კაცის თავგადასავალი, რომ დავასკვენი, ალბათ ქალიშვილი ნამდვილი მამის შვილია, ბიჭები კი ოჯახის მეგობრის ნაშიერები არიან-მეთქი. ასე ავხსენი გოგონას სევდის მიზეზი და ამის გამო იგი უფრო სანუკვარი გახდა ჩემთვის.

ამ გოგონასადმი ტრფობამ ამატანინა მისი ძმის ცრუპენტელობა, რაც ზოგჯერ ყოველგვარ საზღვარს გადადიოდა. ჩემდა სავალალოდ, საკმაოდ ხშირად მიწევდა მისი ვრცელი ნაამბობის მოსმენა, როგორ გასულა ორთაბრძოლაში, ისე რომ არც უფიქრია სხვისთვის ზიანი მიეყენებინა და თურმე მხოლოდ ღირსების დაცვა ამოძრავებდა. არასოდეს გასჭირვებია მოწინააღმდეგის განიარაღება და მერე მისთვის დანაშაული უპატიებია, ხოლო ფარკაობაში ისეთი განაფული ყოფილა, რომ ერთხელ თვითონვე ჩავარდნილა უხერხულ დღეში — მოწინააღმდეგის დაშნა ისეთ მალალ ხეზე აუტყორცნია, სადავიდარაბო მერე მისი ჩამოღება გამხდარა.

თეატრში ჩემს სიარულს რაც შეეხება, ამას ფრიად მიადვილებდა უფასო ბილეთის ქონა, თანაც შულტჰაისისგან მოძღვნილი, თვით ავანსცენის ჩათვლით ნებისმიერი ადგილისაკენ რომ მიხსნიდა გზას.

ფრანგულ ყაიდაზე მოწყობილ, საკმაოდ ღრმა და ორთავ მხრიდან სკამებით შემოფარგლულ ავანსცენას წინ დაბალი ბარიერი ჰქონდა, ხოლო სკამები რამდენიმე მწკრივად ისე დაედგათ, პირველი რიგი სულ ოდნავ იყო სცენას აცილებული. ავანსცენაზე ჯდომა დიდი პატივი გახლდათ



და ამ პატივით, ჩვეულებრივ, მხოლოდ ოფიცრები სარგებლობდნენ, თუმცა მსახიობებთან ასე ახლოს ყოფნა იქნებ ყოველგვარ ილუზიას არ აქარწყლებდა, მაგრამ სიამოვნებას კი ნამდვილად ამცირებდა. ნამდვილად მართალი ბრძანდებოდა ვოლტერი, ეს ჩვეულება რომ არ მოსწონდა და მის უაზრობაში მეც არაერთხელ დავრწმუნებულვარ. ზოგჯერ ნამდვილობაში, განსაკუთრებით ჯარების ჩვენს ქალაქზე გავლის პერიოდში, ჩვეულებოდა, რომ წარჩინებულ ოფიცრებს საპატიო ადგილები დაკავებული ხვდებოდათ. მაშინ რამდენიმე რიგს პირდაპირ სცენაზე დგამდნენ და მსახიობებს სხვა რაღა დარჩენოდათ, მცირე არეში უნდა ეტრიალათ და უნიფორმებისა და ჩინ-მედლების გარემოცვაში გამოემზურებინათ თავიანთი საიდუმლოებანი. მე თვითონ „ჰიპერმნესტრას“ წარმოდგენაზე შევსწრებივარ ასეთ ამბავს.

მოქმედებებს შორის ფარდა არ ეშვებოდა და ამასთან კიდევ ერთი უცნაური ჩვეულება უნდა მოვიხსენიო, რომელიც ძალიან მალიზიანებდა, რადგან ერთ რიგით, ნესიერ გერმანელ ბიჭს ვერა და ვერ ამეტანა მის გამო ხელოვნება როგორ უფასურდებოდა. თეატრი ხომ წმინდათაწმინდად იყო. შერაცხული და სცენის ასე მოურიდელები ხელყოფა ჩემს თვალში მისი უდიდებულესობა მაყურებლის წინაშე ჩადენილ დანაშაულს უტოლდებოდა, ერთი სიტყვით, ორი თოფიანი გრენადერი სრულიად დაუფარავად იდგა უკანა ფარდის ორთავ მხარეს და თვალყურს ადევნებდა, რაც დასის წიაღში ხდებოდა. როგორც მოგახსენეთ, მოქმედებებს შორის ფარდა არ ეშვებოდა და აი, მუსიკის აჭურებისთანავე კულისებიდან მოურიდელებად გამოვიდოდა სხვა ჯარისკაცული წყვილი და ამგვარად, გუშაგების ცვლა ჩვენს თვალწინ ხდებოდა. თუკი ასეთი წესი და რიგი იმას ემსახურებოდა, რომ გაექარწყლებინათ ყველაფერი, რასაც თეატრში ილუზიას ეძახიან, მითუმეტეს თვალშისაცემია, რომ ეს ხდებოდა იმ დროს, როცა სცენაზე დიდროს პრინციპებისა და მაგალითების თანახმად უბუნებრივესი ბუნებრიობა სუფევდა და თეატრალური ხელოვნების ძირითად მიზნად სრული ილუზიის მიღწევა იყო აღიარებული. ასეთი გასამხედროებული ცერემონიალი რატომღაც ტრაგედიას არ ახლდა და წარსულის გმირებს უფლება ენიჭებოდათ თვითონვე დაეცვათ საკუთარი თავი. ზემოთ ნახსენები გრენადერები ამ დროს შორიანხლოს, მაგრამ მაინც კულისებს უკან იდგნენ.

ერთს კიდევ დავსძენ, რომ ნანახი მქონდა დიდროს „ოჯახის პატრონი“ და პალისოს „ფილოსოფოსები“ და დღემდე მახსოვს ერთი ფილოსოფოსი, რომელიც ოთხზე დადიოდა და უმ სალათას ლეჭავდა.

მთელი ეს მრავალფეროვანი სანახაობა ბავშვებს თეატრში მაინც ვერ გვაკავებდა ხოლმე. დარში ზედ თეატრის წინ ან ახლომახლო ვთამაშობდით და რა სისულელეს აღარ ჩავდიოდით, თუმცა კვირაობით და დღესასწაულებზე ონავრული საქციელი ჩვენს ჩაცმულობას არასგზით არ შეეფერებოდა: მე და ჩემი თანატოლები ხომ ისე ვიყავით ჩაცმულ-დახურულნი, როგორც ჩემს ზღაპარში გიყვებოდით — შლაპა ილღის ქვეშ გვექონდა ამოდებული, ხოლო წელზე აბრეშუმის დიდი ბაფთით ვადადამშვენებული პატარა დაშნა გვეკიდა. ერთხელ, თამაშში გართულებს დერონეც შემოგვერია და უეცრად დამიწყო მტკიცება, შენ მე შეურაცხჰმყავი და სატიწყაქციას მოვითხოვო. მართალია, ვერ მივხვდი, რა უნდა სწყენოდა, მაგრამ გამონვევა მაინც მივიღე და დაშნის ამოღება დავაპირე. მან არ და-



მანება და ამიხსნა, ასეთ დროს წესია განმარტოებულ ადგილზე გავიდეთ, რომ ორთაბრძოლაში ხელი არავინ შეგვიშალოსო. ჩვენც რაღაც ფარდულებს უკან გავედით და შესაბამისი პოზიცია დავიკავებთ. ორთაბრძოლა ცოტა არ იყოს თეატრალურად მიმდინარეობდა, დაშნებს წკრიალი გაუდიოდა, დარტყმა დარტყმას მოსდევდა, ოღონდ გაცხარებულ ბრძოლაში მისი დაშნის წვერი ჩემი დაშნის ბაფთას გამოედო, ბაფთა გაიხვრიტა, დერონემ ეს სრულყოფილ სატისფაქციად ჩათვალა, გადამეხვია, სხვათა შორის მართლა თეატრალურად და ორივე იქვე მდებარე ყავახანაში შევედით, რათა ერთი ჭიქა ნუშის რძით გულეები დაგვეშოშმინებინა და კიდევ უფრო გაგვეღრმავებინა ჩვენი მეგობრობა.

[...]

ფრანგული თეატრისადმი ჩემი ლტოლვა წარმოდგენიდან წარმოდგენამდე იზრდებოდა; საღამოს არ ვაცდენდი, თუმცა ყოველთვის, როცა სპექტაკლის შემდეგ ოჯახთან ერთად სუფრას მივუჯდებოდი, მეტწილად ვახშმის ნარჩენები თუ მერგებოდა და მამაჩემის საყვედურებსაც ვერ ავუდიოდი, თეატრი უსარგებლო რამაა და კარგს არაფერს მოგიტანსო. ამ დროს, ჩვეულებრივ, თეატრის დასაცავად ყველა იმ არგუმენტს ვუხმობდი, მსგავს სიტუაციაში ჩავარდნილთათვის რაც მოიძეება. საბოლოოდ კი ბედნიერების ბინიერებასა და უბედურების სათნობას პოეტური სამართლიანობა ანონასნორებდა. შეცოდება რომ დაუსჯელი ვერ დარჩებოდა, ამის მაგალითებად დიდი ხალისით „მის სარა სამფსონსა“ და „ლონდონელ ვაჭარს“ ვიშველიებდი, მაგრამ ზოგჯერ განიარაღებული ვრჩებოდი, როცა ჩემს გასამტყუნებლად „სკაპენის ოინებსა“ და მის მსგავს პიესებს დამისახელებდნენ და მამუნათებდნენ, გაიძვერა მსახურების ცრუპენტელობისგან შენც ისეთივე სიამოვნებას ღებულობ, როგორც სხვა თავაშვეებული ახალგაზრდებიო. მოპაექრე მხარეები ვერაფრით ვერ თანხმდებოდნენ, მაგრამ მალე მამაჩემი სცენას მაინც შეურიგდა, როცა დაინახა, მისი წყალობით ფრანგულში რა სწრაფად ვინაფებოდი.

ადამიანები ასე არიან მოწყობილნი; ნიჭი და უნარი გასწვდებათ თუ არა, მაინც ცდილობენ გადმოილონ ის, რასაც ხედავენ. მეც სულ მალე ავითვისე ფრანგული თეატრის მთელი კურსი, მრავალი პიესა ორჯერაც და სამჯერაც იდგმებოდა, ასე რომ, ჩემს თვალსა და გონს ტრაგედიიდან მოყოლებული ფუქსავატურ კომედიამდე არაფერი გამორჩენია და რაკი ჯერ კიდევ ბავშვობაში გავკადნიერდი ტერენციუსისათვის მიმებაძა, ყმანვილკაცობაში რალა დამიშლიდა ფრანგული ფორმები ავად თუ კარგად ამეთვისებინა და გამომეყენებინა.

[...]

ჰოდა, მეც უპირველეს ყოვლისა, კორნელის „სამი ერთიანობის ტრაქტატი“ წავიკითხე და გავიცნობიერე, ოღონდ რა აუცილებელი იყო მათი დაცვა, ამას თავი და ბოლო მაინც ვერ გავუგე, ხოლო კიდევ უფრო დავიბენი, როცა „სიდის“ განმაქიქებელი სტატიები და კორნელისა და რასინის წინასიტყვაობები წავიკითხე, სადაც ერთიც და მეორეც კრიტიკოსებისა და



მაყურებლისაგან თავის დაცვას ცდილობდნენ. საბოლოოდ იმას მაინც მივხვდი, რომ თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდოდათ. ან კი როგორ შეიძლებოდა სიდისნაირი პიესა, ამოდენა შთაბეჭდილება რომ მოახდინა მაყურებელზე, ერთი ვინმე ძლევამოსილი კარდინალის ბრძანებით უბრალოდ უვარგისად გამოცხადებულიყო, რომ რასინი, ჩემი წინაპრების კერპი და ჩემი კერპიც (რადგან იგი უფრო ახლოს გავიცანი, როცა მამასახლისმა ფონ ოლენშლაგერმა ბავშვებს „ბრიტანიკუსი“ დაგვადგმევინა, სადაც მე ნერონის როლი მერგო) თავის დროზე ვერც თაყვანისმცემლებს გამკლავებოდა და ვერც ხელოვნების მსაჯულებისთვის ეჯობნა. ყველაფერმა ამან კიდევ უფრო დამაბნია, მაგრამ მაინც დიდხანს გავინამე თავი გასული საუკუნის თეორიული ნაჯექ-უკუჯექობის ზუთხვით, მერე ნაბან წყალს ბავშვიც თან გადავაცოლე და მთელ ჩემს ნადავლს მით უფრო დაუნანებლად შეველიე, რაც უფრო კარგად გავიაზრე, რომ თავად ავტორები, დიდებული ნაწარმოებების დამწერნი, როგორც კი დაიწყებდნენ მათზე მსჯელობას, როგორც კი თავიანთი ნამოქმედარის მიზეზებს გვიხსნიდნენ, როგორც კი თავდაცვაზე გადავიდოდნენ, ბოდიშებს მოჰყვებოდნენ და დანდობას ითხოვდნენ, ამაოდ ირჯებოდნენ, რადგან სათანადო არგუმენტებს ნამდვილად ვერ პოულობდნენ ხოლმე. ამიტომაც მივაშურე ისევ ცოცხლად არსებულ სინამდვილეს, კიდევ უფრო დავეხარბე სპექტაკლებს, კითხვაშიც მეტ კეთილსინდისიერებასა და გულმოდგინებას ვიჩინდი და საბოლოოდ იმ დროისათვის რასინი და მოლიერი მთლიანად, ხოლო კორნელის შემოქმედების დიდი ნაწილი საფუძვლიანად შევისწავლე და ავითვისე.







ოთხი მოკა

სანკის ფილოსოფიის თანახმად, ბუნება არის სამი ძალის ურთიერთქმედება, რომელსაც **სანსკრიტზე სატვა, რაჯასი და ტამასი** ეწოდება. ფიზიკურ სამყაროში მათ გამოვლინებას შეიძლება ვუწოდოთ წონასწორობა, კმედითობა და ინერტულობა. ტამასი სიბნელე და უმოქმედობაა, რაჯასი — მოქმედება, რაც მიზიდულობასა და განზიდულობაში გამოიხატება, ხოლო სატვა არის წონასწორობა პირველსა და მეორეს, ანუ რაჯასსა და ტამასს შორის.

ეს სამი ძალა ყოველ ადამიანში ურთიერთქმედებს. ზოგჯერ ტამასი ჯაბნის და ჩვენც სიზარმაცე გვეუფლება, ვკარგავთ აქტივობას, გვბოჭავს რაღაც იდეა ან თავს, უბრალოდ უხალისოდ ვვრძნობთ. სხვა დროს აქტიური საწყისი მძლავრობს, ან პირიქით, განვიცდით წონასწორობის მდგომარეობას. ადამიანში ამ სამ ძალთაგან, როგორც წესი, ერთ-ერთი დომინირებს: ერთთავის სიზარმაცე და სიზანტვა დამახასიათებელი, მეორეთავის — აქტიურობა და ენერჯიულობა. სხვათათვის — სინაზე, სირბილე და სიმშვიდე, რაც აქტიურ და ინერტულ საწყისთა წონასწორობაზე მიუთითებს. ეს ეხება ყველაფერ ცოცხალს — ცხოველებსაც, მცენარეებსაც და ადამიანებსაც.

**კარმა** — იოგა, უთმობს რა განსაკუთრებულ ყურადღებას ამ სამი ფაქტორის ურთიერთქმედებას. გვასწავლის რა მათ გამოყენებას, გვეხმარება საქმის უკეთესად წარმართვაში.

ყველა დიდი მასწავლებელი გვმომღვრავს, არ გავუწიოთ წინააღმდეგობა ბოროტებას, რამეთუ სწორედ წინააღმდე-

გობის არგაწევია მორალური იდეალი. ჩვენ ყველას მშვენივრად გვესმის, თუ ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ნების პრაქტიკაში განხორციელებას შეეცდებოდა, დაიშლებოდა საზოგადოებრივი სტრუქტურა, უკეთური ადამიანები ჩვენს ქობებას და ცხოვრებაზე განაცხადებდნენ უფლებას, ისე მოგვექცეოდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ — წინააღმდეგობის ამგვარი არგაწევის ერთი დღეც კი კატასტროფით დამთავრდებოდა. მიუხედავად ამისა, სულის სიღრმეში ინტუიტურად ჩვენ მაინც ვლებულობთ ჭეშმარიტებას ამ ცნებისას — „არა წინააღმდეგობად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ფერიმალსა შენსა მარჯვენასა, მიუხეარ ერთკერძოიცა“. და ეს ჩვენ უმაღლეს იდეალად გვესახება. ამავე დროს კი გვესმის, რომ ამ დოქტრინის ქადაგება კაცობრიობის უდიდესი ნაწილისათვის მსჯავრის ტოლფასი იქნებოდა. და არა მხოლოდ ეს: თვითეული თავს გამუდმებით დამნაშავედ ივრძნობდა, თვითეული ყოველ თავის ქმედებას შემოწმებას დაუწყებდა, რაც მას სისუსტემდე მიიყვანდა. ხოლო თავისი თავით გამუდმებული უკმაყოფილება უფრო მეტ ბიწიერებას ბადებს, ვიდრე რომელიც გნებაფთ სხვა სისუსტე. იწყებს რა ადამიანი საკუთარი თავის სიძულვილს, იგი ფართოდ უღებს ბჭეს პიროვნების დაცემას, ასეა ეს ხალხებთან მიმართებაშიც.

ჩვენი უპირველესი ვალია, არ გვძულდეს საკუთარი თავი, რამეთუ წინსვლისათვის, უპირველეს ყოვლისა, ჯერ საკუთარი თავის უნდა გჯეროდეს, მერე ღმერთის. ის, ვისაც არ სჯერა საკუთარი თავ-



ვის, ვერც ღმერთს იწამებს, ამიტომაც ჩვენ მხოლოდ ერთი რამ დავგრჩენია: ვალიაროთ, რომ ვითარებისდა მიხედვით, მოვალეობა და მორალი შეიძლება არ ეთანხმებოდეს ერთმანეთს. მაგრამ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ადამიანი, რომელიც ეწინააღმდეგება ბოროტებას, ყოველთვის და პრინციპში მართალი არ არის; პირიქით, უნდა გვახსოვდეს, რომ არის ისეთი ვითარება, როცა ბოროტების მიმართ წინააღმდეგობის გაწევა ჩვენი მოვალეობაა.

დასავლელ მკითხველში „ფხავადა— გიტამ“, როცა მეორე თავში მხდალსა და ფარისეველს უწოდებს არჯუნს, რომელიც უარს ამბობს შებრძოლებაზე ანუ წინააღმდეგობის გაწევაზე იმ მიზეზით, რომ მოწინააღმდეგის არმია მისი მეგობრებისა და ნათესავებისაგან შედგება, ხოლო წინააღმდეგობის არგაწევა სიყვარულის უმაღლესი იდეალია, შეიძლება გაოცებაც კი გამოიწვიოს. ეს არის უდიდესი გაკვეთილი თვითნული ჩვენთაგანისათვის, რომელიც მიგვითითებს, რომ, ყოველგვარი უკიდურესობა, გამომდინარე დადებითიდან თუ უარყოფითიდან, მსგავსია. როცა სიხშირე ძალიან შეწუხებულია, ჩვენი თვალი ვერ აღიქვამს სინათლეს, ისევე როგორც ვერ აღიქვამს ვერც მაშინ, როცა ეს სიხშირე მეტისმეტად სწრაფია. ასეა — ბევრაც — ჩვენ ვერ აღვიქვამთ ვერც ძალიან დაბალ, ვერც ძალიან მაღალ სიხშირეებს. ასეთივეა წინააღმდეგობასა და წინააღმდეგობლობას შორის განსხვავებულობის ბუნებაც. ერთნი ბოროტებას არ ეწინააღმდეგებიან არა იმიტომ, რომ სწორად მიაჩნიათ, არამედ იმიტომ, რომ მეტისმეტად ზარმაცნი და სუსტები არიან და არ ძალუძთ წინააღმდეგობის გაწევა. მეორეებმა კი იციან, თუ მოინდობებენ, შეუძლიათ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ, მაგრამ არა თუ მიაყენებენ იმ დარტყმას, არამედ „აკურთხევდიან მოძულეთა“. ის, ვინც არ ეწინააღმდეგება სიხუსტის გამო, ცოდვას ჩადის. ეს შეუწინააღმდეგებლობა მისთვის სასიკეთო არ იქნება. მეორეთათვის კი სწორედ წინა-

აღმდეგობის გაწევა იქნებოდა ცოდვა. ბუდამ უარი თქვა სამეფო ტახტზე და ეს ნამდვილი უარის თქმა იყო, მაგრამ ლაპარაკიც არ ღირს იმ მათხოვრის ტარზე, რომელსაც არაფერი გააჩნია, რაზედაც შეიძლებოდა უარი ეთქვა. ამიტომაც, როცა წინააღმდეგობის არგაწევასა და იდეალურ სიყვარულზე ვიწყებთ ლაპარაკს, ჩვენი მხრივ, წინდახედულობის გამოჩენაა საჭირო. უპირველეს ყოვლისა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, შეგვწევს თუ არა ძალა და უნარი წინააღმდეგობის გასაწევად. თუ ჩვენ საკმარისად ძლიერები ვართ, მაგრამ უარს ვამბობთ წინააღმდეგობის გაწევაზე, ეს იქნებოდა სიყვარულის უდიდესი აქტის აღსრულება. მაგრამ საპირისპირო აზრს იქნის ჩვენი საქციელი, თუ ჩვენ არ ძალგვიძს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ საკუთარ თავს ვატყუებთ, მთავაგონებთ საკუთარ თავს, თითქოს წინააღმდეგობას არ ვწევთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამალღებულ სიყვარულზე ფიქრი გვამოძრავებს. ძლიერი არმიის დანახვაზე არჯუნი ფრთხება, თავი კი ისე უჭირავს, ვითომ სიყვარულმა აიძულა, რათა უარი ეთქვა თავის მოვალეობაზე სამშობლოსა და მეფის წინაშე. აი, რატომ უწოდა კრიშნამ მას ფარისეველი: მართალია, ბრძენივით ბჭობ, მაგრამ შენი მოქმედება შენს მშობრობას ამხელს — წადი, შეებრძოლეო!

ასეთია მთავარი აზრი. ითვისებს რა ამ აზრს, ადამიანი იგებს, რომ წინააღმდეგობლობა უმაღლესი იდეალია, მაგრამ ამავე დროს უდიდესი რეალური ძალის გამოვლენაცაა. იგებს აგრეთვე იმასაც, რომ ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაწევა ძალის ნამდვილი გამოვლენისაკენ, ანუ წინააღმდეგობლობისაკენ გადადგმული მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

მანამდე, ვიდრე უზენაეს იდეალს მიუახლოვდება, ადამიანი ვალდებულია გაითავისოს, რომ ბოროტებასთან ბრძოლაა საჭირო — საჭიროა შრომა, შეჭიდება, ქანცის გაწყვეტა. მხოლოდ მაშინ იქცევა წინააღმდეგობის არგაწევა სიკეთედ, რო-



ცა ადამიანი თავის თავში ბოროტებისად-  
მი შეწინააღმდეგების ძალას იპოვის.

ჩემს სამშობლოში მე ვიცნობდი ერთ  
ძალზე სულელსა და მოსაწყენ ადამიანს,  
კაცს, რომელიც პირუტყვივით ცხოვრობ-  
და, არც არაფერი გაეგებოდა, არც სურ-  
ვილი ჰქონდა გაგებისა. ერთხელ მკითხა,  
რა უნდა გავაკეთო, ღმერთი რომ შევიც-  
ნო და შინაგან თავისუფლებას მივაღ-  
წიო. ტყუილის თქმა თუ შეგიძლია-  
მეთქი, ვკითხე. არა, არ შემიძლიაო,  
მიპასუხა. თუ ასეა, ტყუილის თქმა უნდა  
ისწავლო, ჯობია ტყუილი ილაპარაკო,  
ვიდრე პირუტყვი და რეგვენი იყო. ძალზე  
ზანტი და უსიცოცხლო კაცი ხარ, წონას-  
წორობა და სიმშვიდე შენთვის უცხო რამ  
არის. იმდენად ზარმაცი ხარ, ცუდის ჩა-  
დენაც კი არ შეგიძლია-მეთქი. ეს ექსტრე-  
მალური შემთხვევა იყო და მე, რა თქმა  
უნდა, ვიხუმრე, მაგრამ მინდოდა გაეგო,  
რომ ადამიანისათვის მოქმედებაა აუცი-  
ლებელი, და რომ მხოლოდ მოქმედებით  
შეიძლება კაცმა გაწონასწორებულ მდგო-  
მარეობას მიაღწიოს.

უმოქმედობას კაცი ყოველნაირად უნდა  
გაურბოდეს. მოქმედება უდაოდ წინააღმდე-  
გობას ნიშნავს. შეწინააღმდეგეთ ყოველ-  
გვარ ბოროტებას, გონებით იქნება ეს თუ  
საქციელით, ხოლო წონასწორობის მდგო-  
მარეობას მაშინ მიაღწევთ, როდესაც წი-  
ნააღმდეგობის გაწევას ისწავლით. სათქ-  
მელად ადვილია — არავინ გძულდეს, წინ  
არ აღუდგე ბოროტებასო, მაგრამ, ჩვენ  
ხომ ვიცით, პრაქტიკულად რასთან შეი-  
ძლება ამან მიგვიყვანოს. სხვათა დასანა-  
ხად შეიძლება არ შეწინააღმდეგო ბორო-  
ტებას, გული კი ბოღმითა და სიძულვი-  
ლით გქონდეს სავსე. ჩვენ გვაკლია ის  
სიმშვიდე, რაც აუცილებელია წინააღმდე-  
გობლობისათვის, გული წინააღმდეგობი-  
საკენ მიგვიწევს. თუ თქვენ გინდათ გამ-  
დიდრდეთ, მაგრამ იცით, რომ საზოგადო-  
ებრივი აზრი წინააღმდეგია ადამიანის  
სიმდიდრეზე გადარევისა, შეიძლება ვერ  
გაბედოთ თქვენი სურვილის ნებაზე მი-  
შვება, მაშინ როცა ფულზე ფიქრი დღე-  
დაღამ მოსვენებას არ გაძლევთ. ამ შემ-

თხვევაში ეს მხოლოდ ფარისევლობაა და  
სხვა არაფერი. ჯობია ჩაეფლო ამქვეყნი-  
ურ რია-რიასა და ზრუნვაში იტანჯო და  
იხარო, შერე კი, როცა დრო გაგა და იგ-  
რძნობ, რომ უკვე ყველაფერი დროა ამ  
ყველაფერზე უარიტყვევაში მამინ გე-  
წვევა სიმშვიდე. დაიოკეთ ძალაუფლებისა  
და კიდევ უამრავი რალაციის წყურვილი,  
ხოლო, როცა დაიოკებ თინს, დადგება  
დრო და მიხვდები, რომ ყოველივე ის,  
რაც ასე გეწადა და რისკენაც ასე ისწრა-  
ფოდი, არარაობა იყო. მაგრამ ვიდრე დაკ-  
მაყოფილებული არ იქნება თქვენი სურ-  
ვილები, ვიდრე არ შეისრულებთ იმას,  
რაც გსურდათ, ვერც სიმშვიდეს მიაღ-  
წევთ, ვერც გაწონასწორებულობას და  
ვერც პირად სიკეთეზე უარის თქმას.  
ათასობით წელია სულიერი სიმშვიდე და  
თვითაღკვეთა იქადაგება, ეს თვითუღ-  
ჩვენთაგანს ბავშვობიდან ესმის, მაგრამ  
იმასაც ვხედავთ, რომ მხოლოდ თითო-  
თროლამ თუ შეძლო ამის მიღწევა. თით-  
ქმის მთელი ნახევარი მსოფლიო შემოვი-  
არე, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, შე-  
ვხვდი თუ არა თუნდ ორ ათეულ ადამი-  
ანს მაინც, ვინც ნამდვილად ფლობდა სუ-  
ლიერ სიმშვიდესა და წინააღმდეგობის  
უნარს.

ყოველი ადამიანი თავად უნდა ირჩევ-  
დეს თავის იდეალს, ისწრაფოდეს და ილ-  
ვწოდეს მისი მიღწევისათვის. წარმატება  
სწორედ ამ გზით უფრო არის შესაძლე-  
ბელი, ვიდრე სხვათა მიერ არჩეული, მაგ-  
რამ თქვენთვის მიუღწეველი იდეალისა-  
კენ სწრაფვით. ამოცანად პატარა ბავშვს  
ფეხით ოცი მილის გავლას თუ დაუსა-  
ხავთ, ან ვერ გაუძლებს, ანდა ათასიდან  
ერთი ფოფხვით მივა გზის ბოლომდე.  
ჩვენც სწორედ ამის გაკეთებას ვცდი-  
ლობთ. ყოველ საზოგადოებაში ადამიანე-  
ბი ერთმანეთისაგან ჭკუით, უნარითა და  
ენერგიით განსხვავდებიან. აქედან გამომ-  
დინარე, მათი სწრაფვაც განსხვავებული  
იდეალებისაკენ იქნება მიმართული და  
ჩვენ არც ერთი მათგანის დაცინვის უფ-  
ლება არა გვაქვს. დაე, თვითუღმა მთე-  
ლი თავისი ძალ-ღონე საკუთარი იდეალის



მიღწევას მოახმაროს. უსამართლობა იქნებოდა, მე თქვენი საზომით განმესაჯა, თქვენ კი — ჩემი საზომით. არ შეიძლება ვაშლის ხისაგან იგივე მოითხოვო, რაც მუხისაგან, ვაშლის ხეზე ვაშლის ხის მიხედვით უნდა იმსჯელო, მუხაზე კი — მუხის მიხედვით.

ერთნაირობა მრავალფეროვნებაში სამყაროს კანონია. როგორც არ უნდა განსხვავდებოდეს ერთი ადამიანი მეორესაგან, საბოლოო ანგარიშში ყველა ერთია. ერთნაირია, რამეთუ ყველა ადამიანია. სხვადასხვა, განსხვავებული ტიპის, განსხვავებული ხასიათის ცალკეული ადამიანები — ბუნებრივი ვარიანტებია. მაშასადამე, ვერც მათ განსჯით ერთი საზომით. ასევე არ უნდა ველოდეთ, რომ ყველა ერთი და იგივე იდეალისაკენ იქნება მიწრაფებული. ეს არაბუნებრივ დაძაბულობას შექმნიდა, რის შედეგადაც ადამიანი საკუთარ თავს შეიძულებდა, ნაკლებ რელიგიური და ნაკლებ კეთილი გახდებოდა. ჩვენი მოვალეობაა წავახალისოთ თვითუფი ადამიანი, რათა იბრძოლოს საკუთარ იდეალთან მიახლოებისათვის. ამავე დროს ვეცადოთ, მივუახლოვოთ იდეალი ქეშმარიტებას.

სწორედ ამანვე აიგებოდა მორალურ ფასეულობათა ინდუსური სისტემა უძველესი დროიდან — საღვთო წიგნებსა და ეთიკის ტრაქტატებში ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის სხვადასხვა წესებია მოცემული — იქნებიან ეს მეოჯახენი, ამქვეყნიური ყოფისაგან განდგომილი სანიასები თუ ადამიანები, რომელთაც შეიცნეს ცხოვრება.

უდიდესი საქმეა დაეხმარო ადამიანს, როცა მას სჭირდება ეს დახმარება, მაგრამ ადამიანებს სხვადასხვა რამ ესაჭიროებათ, ამიტომ დახმარებაც სხვადასხვანაირად შეიძლება. თუ შეგიძლია ადამიანი გაჭირვებისაგან ერთი საათი მაინც იხსნა, ეს, რა თქმა უნდა, დახმარების გაწევაა. კიდევ უფრო დიდი დახმარება იქნება, ამ გაჭირვებისაგან ერთ წელიწადს თუ იხსნი. მაგრამ ყველაზე დიდი დახმარება ამ მხრივ მისი სამუდამო განთავისუფლება იქნე-

ბოდა... გაჭირვებიდან ჩვენი საბოლოო დახმარება მხოლოდ სულიერ ცოდნას ძალუძს, ყველა სხვა ცოდნას მხოლოდ დროებითი დახმარება შეუძლია. სულიერ მხოლოდ შეცნობაც კი სამუდამოდ სპობს მოთხოვნილების განცდის უსწარმადე კი, ამიტომაც ადამიანისათვის სულიერი მხარდაჭერაა ის ყველაზე დიდი დახმარება, რაც კი შესაძლებელია. გარდა სულიერი შემწეობისა, საჭიროა ინტელექტუალური დახმარებაც. ნაჩუქარ ცოდნას გაცილებით მეტი ფასი აქვს, ვიდრე ნაჩუქარ საჭმელს ან ტანსაცმელს. ცოდნის ჩუქება უფრო დიდია, ვიდრე თვით სიცოცხლის უნარი.

... შრომა საჭიროა დაქვემდებარების გარეშე. დაე იმუშაოს ტვინის ცენტრებმა, იმუშაოს გაუჩერებელი, მაგრამ ისე, რომ შრომის შედეგმა არ დაიმორჩილოს გონება. იშრომეთ ისე, თითქოს ამ მიწაზე უცხო ქვეყნელი, გზადგამვლელი იყოთ, იშრომეთ ხელდაკაპიწებულმა, თავდაუზოგავად, მაგრამ არ შებოჭოთ საკუთარი თავი, ვინაიდან მონობა საშინელებაა. ადამიანმა უნდა იშრომოს როგორც ბატონმა და არა როგორც მონამ, მან უნდა იშრომოს თავდაუზოგავად, მაგრამ არა მონურად. განა ვერ ხედავთ, ყველა როგორ შრომობს? ხალხს წუთითაც არა აქვს მოსვენება. კაცობრიობის ოთხმოცდაცხრამეტე პროცენტი მონასავეთ შრომობს და შედეგად უბედურიცაა, ვინაიდან მათი შრომა მეთავისე, ანგარებიანი შრომაა. იშრომეთ ლალად! იშრომეთ სიყვარულით! სიტყვა „სიყვარული“ ძნელად ემორჩილება გაგებას, ვინაიდან სიყვარული მხოლოდ მაშინ მოდის, როდესაც ადამიანი თავისუფალია. მონას არ შეუძლია უყვარდეს ნამდვილი სიყვარულით. თქვენ თუ შეიქნეთ მონას, ჯაჭვს დაადებთ და აიძულებთ თქვენთვის იშრომოს, მთელ საქმეს იგი მექანიკურად შეასრულებს, არავითარ სიყვარულს არ ჩადებს მასში. ასე ვართ ჩვენც — ვმუშაობთ რა მონებივით ამქვეყნიური ყოფისათვის, არ ვიცით რა არის სიყვარული, მაშასადამე ჩვენი შრომა არ არის ნამდვილი შრომა. შრომის ანაზღაურებაზე ფიქრი ხელს უშლის



ჩვენს სულიერ განვითარებას და საბოლოო ანგარიშში ტანჯვისაკენ მივყავართ. პრაქტიკაში გულმოდგინების იდეისა და უანგარო შრომის ნორცშესხმის კიდევ ერთი გზაც არსებობს — შრომა მივიღოთ, როგორც ლოცვა, ოღონდ ეს მაშინ, თუ გვწამს ღმერთის პიროვნება. ჩვენ ღმერთთან მიგვაქვს ჩვენი შრომის ყოველი ნაყოფი და, თაყვანს ვცემთ რა ღმერთს, ჩვენი შრომის საფასურად არაფერს გამოველით ადამიანებისაგან. ღმერთიც დღენიადაგ შრომობს და უსასყიდლოა მისი შრომა. როგორც წყალს არ შეუძლია ლოტოსის ფოთლის დასველება, ისე შრომასაც არ შესწევს უნარი, თავი შეაყვაროს იმას, ვინც თავისუფალია თავისი შრომის ნაყოფის სიყვარულისაგან. უანგარო ადამიანმა, იმან, ვინც თავისუფალია თავისი შრომის ნაყოფთაგან, ცოდვილ ადამიანთა ბრბოს შუაგულშიც რომ იცხოვროს, მათი ცოდვა მას არასოდეს შეეხება.

ჩვენი ვალია აღმოვუჩინოთ ადამიანებს დახმარება, ვაკეთოთ სიკეთე ქვეყნისათვის. კი მაგრამ, რატომ ვართ ვალდებული ქვეყნისათვის სიკეთის კეთებისა? ჩვენ გვგონია, რომ ამას სამყაროს დასახმარებლად ვაკეთებთ, მაშინ როცა სინამდვილეში საკუთარი თავის შველა გვწადია.

რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ ქვეყნიერების სასიკეთოდ, ეს ჩვენი უმთავრესი მიზანია, მაგრამ კარგად თუ ჩავუფიქრდებით, მივხვდებით, რომ სამყაროს სულაც არ სჭირდება უხვენი დახმარება. ისე არაა იგი, რომ მას ჩვენი დახმარება სჭირდებოდეს. ერთხელ იმ ქადაგებას ვკითხულობდი, სადაც ნათქვამია — ეს მშვენიერი სამყარო იმითაა კარგი, რომ ღროსა და შესაძლებლობას გვაძლევს, სხვა ადამიანებს დავეხმაროთ. ერთი შეხედვით ეს გრძნობა თითქოს ძალზე კეთილშობილური გეჩვენება, მაგრამ სომ არ არის ღვთის გმობა ჩვენს იმ ვარაუდში, თითქოს სამყაროს ჩვენი დახმარება ესაჭიროებოდეს? შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ქვეყანა ტანჯვითაა სავსე. ამიტომაც ყველა შესაძლო ქმედებათაგან გვემიღოთ დახმარება უკეთესთა შორის უკეთესია, თუმცა საბოლოო ანგარიშში მუდამ ვრწმუნდებით, რომ სხვების დახმარებით საკუთარ თავს ვეხმარებით. ჩემს ბავშვობაში თეთრი თაგვები მყავდა. ვალიაში პატარა ბორბლები იყო ჩადგმული. ბორბლებს რამდენსაც არ ატრიალებდნენ თაგვები, ვალიას ადგილიდან ვერ ძრავდნენ. ასეთია სამყაროსადმი ჩვენი დახმარებაც — ჩვენ მხოლოდ ჩვენს ზნეობას ვაყვარებთ.

„რაჯა-იოგადა“

სხვადასხვა ზებუნებრივ მოვლენათა შემჩნევა ადამიანმა უკვე ისტორიის განთიადზე დაიწყო. იმ მოწმეთა სიმცირე, რომლებიც მზად არიან დაამტკიცონ ზებუნებრივ მოვლენათა არსებობა, თვით თანამედროვე მეცნიერების შუქით გაბრწყინებულ ქვეყნებშიც, ე. ი. ჩვენს დროშიაც არ შეინიშნება. ამგვარ მტკიცებათა უდიდესი ნაწილი სარწმუნო არ არის, ვინაიდან იგი უმეტეს, ცრუმორწმუნე ან, უბრალოდ, მატყუარა ადამიანებს ეკუთვნის. ხშირ შემთხვევაში ევრეთწოდებული სასწაული მხოლოდ იმიტაციაა, მაგრამ რის იმიტაციაა? პატროსან მეცნიერულ გონე-

ბას მანამდე არ შეუძლია ფაქტის უარყოფა, ვიდრე კარგად არ გაერკვევა მასში, მაშინ როცა ზერელე ცოდნის მქონე სწავლულები, იმ ზებუნებრივ მენტალურ მოვლენებს რომ აწყდებიან, რომელთა ასსნაც არ შეუძლიათ, ცდილობენ თვალი დახუჭონ. ეს მიდგომა კიდევ უფრო მანკიერია, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი ლოცვა-ვედრება ღრუბლებს ზემოთ ვინმე არსებასა თუ არსებებში კპოვებს ვაპოძახილს, ვინც იმედს ამყარებს იმაზე, რომ მათი ვედრება აიძულებს იმ არსებებს, შეცვალონ სამყაროს მოძრაობა. ამ ადამიანთა შეხე-



დულებანი შეიძლება გაემაჩროლოთ მათი უფიცობით ან მიღებული განათლების ხასიათით, რომელმაც ისინი ამგვარ ამბებთან დაკავშირებულ ჩვევებთან მიიყვანა, და რაც დროთა განმავლობაში მათი დასუსტებული ბუნების ნაწილი გახდა. მაგრამ მეცნიერს გამართლება არა აქვს.

ადამიანები ათასობით წლის მანძილზე სწავლობდნენ ზებუნებრივ მოვლენებს, კლასიფიკაციას უკეთებდნენ და განაზოგადებდნენ, ანალიზებდნენ ადამიანის რელიგიურ უნარს, მეცნიერება რაჯა-იოგა სწორედ ამ პროცესის შედეგია. სხვა თანამედროვე მოძღვრებათაგან განსხვავებით რაჯა-იოგა არ უარყოფს ფაქტებს იმის გამო, რომ იგი ძნელად არის ასახსნელი. მეორე მხრივ რაჯა-იოგა რბილად, მაგრამ არაორაზროვნად ასწავლის ცრუმორწმუნეებს, რომ სასწაულები, პასუხები ლოცვებზე, რწმენის ძალა, მიუხედავად მათი აუცილებლობისა, არ შეიძლება აიხსნას ღრუბლებს იქით მყოფი არსებისა თუ არსებების არსებობით. ადამიანი კაცობრიობის მიღმა არსებული ცოდნისა და ძალის უსაზღვრო ოკეანის წვეთია, — გვასწავლის რაჯა-იოგა. მართალია, ადამიანს ბევრი რამ სჭირდება და სწადია, მაგრამ თავისი ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად ფლობს კიდევაც საშუალებებს. ყოველთვის როცა სრულდება სურვილი, როცა ადგილი აქვს გამოძახილს ლოცვაზე, ზებუნებრივი არსებიდან კი არა, ამ შესაძლებლობების ამოუწურავი საგანძურისაგან მოდის, ის, რაც აუცილებელია. აზრს ზებუნებრივ არსებათა შესახებ შეუძლია ამოკმედოს ადამიანი, ანუ აღძრას მოკმედებისათვის, მაგრამ მას იგი სულიერ მოდუნებამდეც მიჰყავს, ვინაიდან ეს აზრი თანდაყოლილ სისუსტეში, შემადრწუნებელ რწმენაში იბადება. არ არსებობს არავითარი ზებუნებრივი, — ამბობს რაჯა-იოგას მიმდევარი, — ბუნებაში არის მხოლოდ უხეში გამოვლინებები და არის ნატიფი გამოვლინებები. ნატიფი გამოვლინებები შეადგენენ მიზეზებს, უხეში გამოვლინებები — შედეგებს, ეს უკანასკნელი ადვილად აღიქმება გრძ-

ნობათა ორგანოებით. ნატიფი გამოვლინებები კი — არა, რაჯა-იოგას პრაქტიკა ადამიანს აღქმის სრულყოფაში უხმარება. ყოველი სამშენველი ღვთაებრივია მოტენციურად.

მეცნიერული მიზანი — მინაგანი, ღვთაებრივების გამოვლენა.

მიადწიეთ მიზანს შრომით, ღვთისმსახურებით, ფსიქიური კონტროლით, ფილოსოფიის შესწავლით — რომელიმე ერთის ან ყველას საშუალებით ერთად და გათავისუფლდით.

ამაშია რელიგიის არსი. დოქტრინები, დოგმატები, წეს-ჩვეულებები, წიგნები, ტაძრები, ფორმები — ყველაფერი ეს მეორადია.

მთელ მსოფლიოში ითვლება, რომ რელიგია რწმენას ეფუძნება, რომ უმეტესწილად იგი სხვადასხვა თეორიებისაგან შედგება, რის გამოც, როგორც ცნობილია, რელიგიები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ერთი ამბობს, რომ სადღაც ღრუბლებს ზემოთ ზის უზენაესი არსება და იქიდან მართავს სამყაროს, მე კი ეს მხოლოდ მტკიცების საფუძველზე უნდა ვიწამო. ანალოგიურად შეიძლება მეც მქონდეს ჩემი წარმოდგენა ამის თაობაზე და სხვებსაც ვთხოვო, ირწმუნონ, მაგრამ შეკითხვაზე, თუ რის საფუძველზე უნდა დამიჯერონ, ჩემი შეხედულების დასასაბუთებლად ვერაფერს ვუპასუხებ.

მიუხედავად ამისა, თვითეულ რელიგიას გააჩნია საფუძველი, რომელზედაც სხვადასხვა სარწმუნოებათა მრავალი თეორია და იდეა აიგება. თვითეული სარწმუნოების საფუძვლის შესწავლისას შეიძლება დარწმუნდე, რომ ყოველი მათგანი უნივერსალურ გამოცდილებაზეა აკებული.

დავიწყეთ აქედან: მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ რელიგიები შეიძლება ორ კატეგორიად დავეყოთ — წიგნიერ და უწიგნიერ რელიგიებად. წიგნიერი რელიგიები უფრო ძლიერია და გაცილებით მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავს. არაწიგნიერმა რელიგიებმა ან შეწყვიტეს არსებობა ან



თითქმის ვერ შეინარჩუნეს მრევლი. და მაინც ყველა რელიგიას ერთი საერთო ნიშანი აქვს, როგორც საყოველთაოდაა მიღებული, ჭეშმარიტება, რომელსაც ესა თუ ის რელიგია ქადაგებს, გარკვეულ პირთა უშუალო გამოცდილების ნაყოფს წარმოადგენს. ქრისტიანი დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ უნდა ირწმუნო ქრისტე, ირწმუნო როგორც განსახიერებული ღმერთი, ირწმუნო ღმერთი, სული და, სულის სრულყოფილების შესაძლებლობა. მაგრამ, რომ პკითხო, რატომ უნდა ირწმუნო ეს ყველაფერი, გიპასუხებს, იმით, რომ თავად მწამსო. ქრისტიანობის პირველ საწყისს პირადი გამოცდილება უდევს საფუძვლად: ქრისტე ამბობს, რომ მან იხილა ღმერთი, ხოლო ქრისტიანი ამბობს, რომ შეიგრძნო იგი. ასეა ბუდიზმიც — ისიც ბუდას პირად გამოცდილებაზეა აგებული. ბუდამ აღიქვა რაღაც ჭეშმარიტებები, იხილა იგი, შევიდა ურთიერთშეხებაში და დაიწყო მისი ქადაგება. ასეა ინდუიზმიც — ინდუსთა წმინდა წიგნების ავტორები, რომლებსაც რიშეებს ეძახიან, ამტკიცებენ, რომ მათთვის რაღაც ჭეშმარიტებები გაიხსნა და ისინიც სწორედ ამ ჭეშმარიტებებს ქადაგებენ. ამგვარად, ამკარაა, რომ მსოფლიოში ყოველი რელიგია მთელი ჩვენი ცოდნის, უშუალო გამოცდილების უნივერსალურსა და უცილობელ საფუძველს ეფუძნება. ყველა პირველმოდღვარმა იხილა ღმერთი, იხილა საკუთარი სული, თავისი მომავალი, იხილა თავისი მარადიულობა და ეს ყველაფერი შემდეგ იქადაგა. არსებობს მხოლოდ ერთი განსხვავება — რელიგიების უმეტესობა, განსაკუთრებით ჩვენს დროში, აყენებს უცნაურ თეზისს, რომლის მიზნდვითაც მსგავსი გამოცდილების მიღება დღეს თითქმის უკვე შეუძლებელია და, რომ იგი ხელეწიფებოდათ მხოლოდ იმ ცალკეულ ადამიანებს, რომლებიც მათი სახელის მატარებელი სარწმუნოებრივი მოძღვრების ფუძემდებლები გახდნენ. აღნიშნული დებულებით ჩვენს დროში იმგვარი გამოცდილების მიღება შეუძლებელია, ამიტომაც საჭიროა რწმე-

ნით მივიღოთ ესა თუ ის რელიგია. მაგრამ მე სრულიად არ ვეთანხმები ამ თეზისს. თუ კაცობრიობის ყველა უბანზე აღინიშნებოდა რაღაც გამოცდილება, მაშინ აქედან გამომდინარე უმჯობესი გამოცდილებები აქამდე უკვე აღმოჩნდებოდა და მისი გამეორება ამის შემდეგაც ასევე უსასრულოდ არის შესაძლებელი. ერთგვარობა ბუნების მკაცრი კანონია, ის, რაც ერთხელ მოხდა, შეიძლება კიდევ უამრავჯერ გამეორდეს.

იოგას მასწავლებლები ამტკიცებენ, რომ რელიგია წარსულში მიღებულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული, უფრო მეტიც, ადამიანი არ შეიძლება ჩაითვალოს რელიგიურად, ვიდრე თავად არ მიიღებს მსგავს გამოცდილებას. და, აი, იოგა სწორედ ის მეცნიერებაა, რომლის საშუალებითაც ჩვენ ამ აღქმებს ვღებულობთ. აზრი არა აქვს რელიგიაზე ლაპარაკს, თუ ადამიანს არ შეუძლია მსგავსი გამოცდილების მიღება. რატომ იბრძვიან ამდენს ღმერთის სახელით, რატომ ჩხუბობენ, რატომ წვალობენ და ჯახირობენ? რატომღაა ღმერთის სახელით უფრო მეტი სისხლი დაღვრილი, ვიდრე სხვა ნებისმიერი მიზეზით? მხოლოდ იმით, რომ ადამიანები არ უბრუნდებიან რელიგიის სათავეებს. ჩვენ თანახმანი ვართ მივდიოთ მამა-პაპათა ადათ-ჩვევებს და ამას ვითხოვთ სხვებისგანაც. რა უფლება აქვს ადამიანს ამტკიცოს, რომ მას აქვს სული, თუკი არ გრძნობს თავისში ამ სულს, ანდა ამტკიცოს, რომ ღმერთი არსებობს, მაშინ როცა მას იგი არ უნახავს? ღმერთი თუ არსებობს, ჩვენ უნდა ვხედავდეთ მას, თუ არსებობს სული, ჩვენ უნდა აღვიქვამდეთ მას, წინააღმდეგ შემთხვევაში სჯობს, არ გვწამდეს. ჯობია ამკარა ათეისტი იყო, ვიდრე ფარისეველი. დღეს „განათლებულებს“ მიაჩნიათ, რომ რელიგია, მეტაფიზიკა, უზენაესი საწყისის ძიება — დროის ამათ ხარჯვაა. ნახევრად განათლებულები ფიქრობენ რომ ეს ყოველივე უსაფუძვლოა, რომ მისი ერთადერთი ღირებულება სიკეთის ქმნის იმ ძლიერ წამქეზებლურ მოტივშია, რომელსაც იგი თავისთავში ატარებს.



როდესაც ადამიანებს სწამთ ღმერთი, მათ უფრო უკეთესად და უფრო ზნეობრივად უჭირავთ თავი, ამიტომაც საზოგადოების კარგი წევრები არიანო. არ შეიძლება ასეთი მიდგომის გამო ვინმეს უსაყვედურო, ვინაიდან ადამიანები მიეჩვივნენ უახრო სიტყვიერი ნაწარმის დაჯერებას, მათგან მოითხოვენ, სიტყვით ირწმუნონ და სიტყვით იცხოვრონ, მაგრამ განა ეს შესაძლებელია? ეს რომ შესაძლებელი იყოს, ყოველგვარ პატივისცემას დავკარგავდი ადამიანური ბუნების მიმართ. ადამიანი ისწრაფვის იმ ჭეშმარიტებისაკენ, რომელიც თავად შეუძლია განიცადოს, ხოლო როცა პოეზებს, როცა აღიქვამს, შეიგრძნობს გულისგულით, მხოლოდ მაშინ გაქრება, ეჭვი, წყვილი, მაშინ გასწორდება ის, რაც აბურღული და არეულ-ღარეული იყო, — ნათქვამია ვედებში.

„ო, შვილნო უკვდავებისანო, და თქვენც, უმაღლეს სფეროთა ბინადარნო, ნაპოვნია გზა, რომელსაც შეუძლია ამ წყვილიდან გამოყვანა, რათა შევიცნოთ იგი, ეს გზა ერთადერთია, სხვა გზა — არ არსებობს“, — გვმოდვრავს რაჯა-იოგა. მისი მიზანია — გვასწავლოს, როგორ მოვიკრიბოთ გონების ძალა, რათა შემდეგ მის ყველაზე ღრმა შრეებში შევალწიოთ; გვასწავლოს, როგორ განვაზოგადოთ ის, რასაც შევიმეცნებთ და როგორ გავაკეთოთ მისგან დასკვნები, ამიტომაც საჭირო არ არის კითხვა, თუ რას წარმოადგენს ჩვენი რელიგია, ვინ ვართ — დეისტები თუ ათეისტები, ქრისტიანები, იუდეველები თუ ბუდისტები. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ეს უკვე საკმარისია. თვითუღ ადამიანს აქვს უფლება და ფლობს რელიგიისაკენ სწრაფვის ძალას. ყოველ ადამიანს აქვს უფლება იკითხოს, რა არის მიზეზი და თვითონვე უპასუხოს ამ კითხვაზე, ოღონდ მთავარია მოინდომოს.

იმის მიხედვით, რაც რაჯა-იოგას შესახებ შევითყვეთ, აშკარაა, რომ მისი შესწავლისათვის აუცილებელი არ არის რწმენა, რელიგიურობა — არ დაიჯეროთ არაფერი, ვიდრე არ დარწმუნდებით, აი, რა არის რაჯა-იოგას პრინციპი. ჭეშმარი-

ტებას არ სჭირდება საბრჯენი, რათა გამაგრდეს და გაძლოს. შეიძლება გეჩვენებათ, რომ ფაქტები, რომელიც მღვიძარემ იხილეთ, დასადასტურებლად სიჭმრებს ან სიცრუეს მოითხოვს? ცხადია, არა. რაჯა-იოგას შესწავლა უფრო და უფრო პრაქტიკას მოითხოვს, მართალია, ნაწილობრივ ფიზიკურს, მაგრამ ძირითადად მაინც ფსიქიურს. კვლევის პროცესში ჩვენ დავინახავთ, თუ რაოდენ დიდად არის დაკავშირებული გონება და სხეული ერთმანეთთან. თუ ჩავთვლით, რომ გონება ორგანიზმის ყველაზე რთული ნაწილია, მაშინ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ორგანიზმი უსათუოდ შემოქმედებს გონებაზე. ავადმყოფ სხეულში არ შეიძლება იყოს ჯანსაღი გონება, მხოლოდ ჯანსაღ სხეულშია გონება ჯანსაღი და ძლიერი. როცა ადამიანი ბრაზობს, მისი გონება წონასწორობიდან გამოდის. ხოლო როცა გონება წონასწორობიდან გამოდის, იგი მთელი ორგანიზმის მუშაობას ასვამს დაღს.

ადამიანების უმეტესობას გონება იმდენად სუსტად აქვს განვითარებული, რომ იგი, როგორც წესი, სხეულის კონტროლის ქვეშ იმყოფება, რამეთუ კაცობრიობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შორს არაა წასული ცხოველობისაგან. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში ადამიანის თვითკონტროლის უნარი არც თუ ისე აღემატება ცხოველური სამყაროს დაბალ საფეხურზე მდგომთა უნარს. ჩვენ არ შეგვწევს ძალა, კარგად ვმართოთ ჩვენი გონება. საჭიროა ფიზიკური ვარჯიში, რათა ვისწავლოთ, როგორ ვაკონტროლოთ საკუთარი თავი, გონება იქნება ეს თუ სხეული. როდესაც სათანადო დონეზე დავეუფლებით საკუთარი სხეულის კონტროლს და ჩვენი გონების ხელში აყვანას, ვისწავლით მის ჩართვასაც. ვმართავთ რა გონებას, ვამყოფებთ რა კონტროლქვეშ, ვაძიებთ რა იმუშაოს საჭირო მიმართულებით, ამით ჩვენ მისი ძალის მართვის უნარსაც ვეუფლებით.

რაჯა-იოგას მოძღვრების მიხედვით, გარე სამყარო სხვა არაფერია, თუ არა უფ-



რო დახვეწილის ანუ შინაგანი სამყაროს უხეში ფორმა. შინაგანი სამყარო ყოველთვის მიხეზია, უხეში სამყარო — შედეგი. ანუ გარე სამყარო არის შედეგი, ხოლო შინაგანი სამყარო — მიზეზი. ზუსტად ასეა ძალებიც: გარე სამყაროში მოქმედი ძალები არის შინაგანი სამყაროს უფრო დახვეწილი ძალების გაუბეჭებელი ვარიანტი. ადამიანს, რომელმაც აღმოაჩინა თავისი შინაგანი ძალები და ისწავლა მისი მართვა, შესწევს უნარი, კონტროლი გაუწიოს მთელ ბუნებას. იოგა ამოცანად ისახავს, იყოს სამყაროს მბრძანებელი, მართოს ბუნების ძალები, არც მეტი და არც ნაკლები. მას სურს მივიდეს იმ წერტილამდე, სადაც არის ის, რასაც ჩვენ „ბუნების კანონებს“ ვუწოდებთ, გამოვიდეს მისი ძალაუფლებიდან, დადგეს ამ „კანონთა“ მოქმედების საზღვრებს გარეთ. მას სურს ბუნების მბრძანებელი იყოს — იმისიც, რაც ჩვენს გარეთაა და იმისიც, რაც ჩვენშია, ვინაიდან კაცთა მოდგმის პროგრესი და ცივილიზაცია არსებითად ბუნების მართვას ნიშნავს.

სხვადასხვა ხალხები სხვადასხვა გზით მიდიოდნენ, რათა დაუფლებოდნენ ბუნებას. ისე როგორც ადამიანთა საზოგადოებაში ერთნი გარე ბუნების დაძლევისაკენ ისწრაფვიან, ხოლო მეორენი — შინაგანის, ასევეა ხალხებიც — ვინ გარე სამყაროს დამორჩილებას ცდილობს, ვინ შინაგანის. ზოგიერთებს მიაჩნიათ, თუ შინაგანი ბუნების კონტროლს მიაღწიეს, მაშასადამე, ყველაფრის გაკონტროლებას შესძლებენ. ეს ორივე თვალსაზრისი სწორია თავის უკიდურეს გამჟვლინებებში, ვინაიდან სინამდვილეში ბუნება არ იყოფა შინაგანად და გარეგანად, ასეთი დაყოფა პირობითია და იგი ბუნებაში არ არსებობს. ორივე თვალსაზრისის მომხრეები, გაივლიან რა მთელ თავის გზას, ბოლოს უსათუოდ შეხვდებიან ერთ წერტილში. მსგავსად ფიზიკოსისა, რომელიც მიიწევს რა თავისი მეცნიერების საზღვრებისაკენ, აღმოაჩენს, რომ ფიზიკა მეტაფიზიკაში განზავდება, ასევე მეტაფიზიკოსიც უსათუოდ დაინახავს, რომ კონება და მატე-

რია, გარეგნული განსხვავების მიუხედავად, არსებითად ერთია.

ყოველი მეცნიერის მიზანი და ამოცანა ერთი პოვნაში მდგომარეობს/ იმ ერთისა, რომლისგანაც ~~მრავალსახეობა წარმოიქმნება~~ და რომელშიც ~~სახეში არსებობს~~ რაჯა-იოგა თავის საწყისად იღებს შინაგან სამყაროს, იგი შინაგანი ბუნების გამორკვევას ესწრაფვის, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კონტროლი მთელზე, როგორც შინაგანზე, ისე გარეგანზე. ეს ძალიან ძველი მიდგომაა და ამან განსაკუთრებული აღიარება ინდოეთში ჰპოვა, თუმცა იგი სხვა მრავალმა ხალხმაც სცადა. ამ მიდგომას დასაუღეთში მისტიკურად თვლიდნენ, ხოლო მის მიმდევრებს კოცონზე სწვაოდნენ ან ხოცავდნენ, როგორც ჯადოქრებსა და კუდიანებს. სხვადასხვა მიზეზის გამო ინდოეთში ეს ცოდნა იმ ადამიანების ხელში მოხვდა, რომლებმაც შეცნობილის ოთხმოცდაათი პროცენტი მოსპეს, მერე კი ყველაფერი გააკეთეს, რათა დარჩენილი მეთაუდი რაც შეიძლება დიდ საიდუმლოდ ქცეულიყო. ბოლო დროს დასაუღეთში გაჩნდა უამრავი ეგრეთ წოდებული „მოძღვარი“, რომლებიც ინდოელ მოძღვრებზე უარესები აღმოჩნდნენ — იმათ რაღაც მაინც იცოდნენ, ამათ კი არაფერი იცოდა.

ყველაფერი იდუმალი და მისტიკური, რასაც კი იოგას სისტემებს უკავშირებენ, დაუყოვნებლივ უნდა უკუვაგდოთ. ცხოვრების საუკეთესო მეგზური — ძალაა. რელიგიაში, ისე როგორც სხვა ყველაფერში, შეეცადეთ უკუაგდოთ ის, რაც გადუნებთ და გასუსტებთ, რაც შეიძლება შორს დაიჭიროთ თავი მისგან. საიდუმლოებებით თამაში ასუსტებს ადამიანის გონებას, ამან თითქმის დაღუპა იოგა — ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერება მეცნიერებებს შორის. თითქმის ოთხი ათასი წლის წინ იოგა უკვე სრულიად ჩამოყალიბებული, სრულიად ფორმირებული იყო — მას ინდოეთში იყენებდნენ. საოცარია — რაც უფრო თანამედროვეა იოგას კომენტატორი, მით უფრო მეტი შეუსაბამობაა მის



ინტერპრეტაციაში, ხოლო რაც უფრო ძველია ავტორი, მით უფრო რაციონალურია იგი. იოჯას თანამედროვე განმარტებები თაყუანს სცემენ იდუმალებას. იოჯა პატარა ჯგუფის მონოპოლიად იქცა, რომელმაც, ნაცვლად იმისა, მოძღვრება სინათლეზე გამოეტანა და ლოგიკისათვის დაემორჩილებინა — იდუმალების ბურუსში გახვია, ვინაიდან ჯგუფი თავისი მონოპოლიის შენარჩუნებით იყო დაინტერესებული.

რაც შეეხება მე, იმაში რასაც ვასწავლი, არავითარი საიდუმლო არ არის. მე ვაკვირდები და, რამდენადაც შემიძლია, დაგისაბუთებთ იმ მცირედს, რაც პირადად ჩემთვისაა ცნობილი. ხოლო, რაც არ ვიცი, იმასაც პირდაპირ ვეტყვი და იმასაც, რაც მის შესახებ წიგნებშია დაწერილი. ზრმა რწმენა საჭირო არ არის.

რაც არ უნდა გითხრათ, თქვენთვის ის მანამდე დარჩება საეჭვოდ, ვიდრე საკუთარი გამოცდილებით არ დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში. თქვენი ეჭვი მაშინ გაქრება, როცა მთელს თქვენს ორგანიზმში ნერვების ამოძრავებას იგრძნობთ. ამისთვის ყოველდღიური დაბეჯითებული პრაქტიკაა საჭირო, ვარჯიში არანაკლებ ორჯერ მაინც არის დღე-ღამეში აუცილებელი. ყველაზე უკეთესი დილასა და საღამოს იმ საათებშია, როცა დღეს ღამე სცვლის და ღამეს დღე. ამ დროს ორგანიზმი შედარებით წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება. სწორედ ამიტომაც არის დღის ამ პერიოდებში ვარჯიში რეკომენდებული, ვინაიდან დღე-ღამის ამ დროისათვის ორგანიზმი ბუნებრივადაა წონასწორობისაკენ მიდრეკილი. ამიტომაც უნდა გამოვიყენოთ ეს მდგომარეობა ვარჯიშის დასაწყებად. წესად შემოიღეთ, მანამდე არ ჭამოთ, ვიდრე არ ივარჯიშებთ შიმშილის გრძობა სიზარმაცის დაძლევაში დაგეხმარებათ. ბავშვები ინდოეთში, როგორც წესი, მანამდე არ ჭამენ, ვიდრე არ ივარჯიშებენ და არ ილოცებენ, ამას თავიდან აჩვენენ, ამიტომაც ეს უკვე ჩვევად აქვთ გადაქცეული — ბავშვს ჭამა მანამდე არ უნდა, ვიდრე არ დაი-

ბანს, და დილის რიტუალს არ ჩაატარებს. ვისაც ამის საშუალება აქვს, უმჯობესია ვარჯიშისათვის ცალკე ოთახი გამოყოფს. სავარჯიშო ოთახში, არ უნდა გეძინოთ. — იქ სიწმინდის ატმოსფერო უნდა სუფევდეს. სასურველია, ვიდრე არ შეხვიდეთ ოთახში, ვიდრე არ განიბახებით, ვიდრე არ იგრძნობთ, რომ სუფთა ხაროთ სულითაც და სხეულითაც. ეცადეთ აქ ყოველთვის იქონიოთ ცოცხალი ყვავილები — იგი ხელს უწყობს იოჯას ვარჯიშებს — ჩამოკიდოთ სურათები, რომელიც მოგწონთ, დილა-საღამოს დააკმით სურნელოვანი ჩხირები. არ იჩხუბოთ, არ გაბრაზდეთ, არ გაიტაროთ გულში ცუდი აზრები. დაე ამ ოთახში მხოლოდ ის ადამიანები შემოვიდნენ, ვინც თქვენს აზრთა წყობას იზიარებს. ამგვარად თანდათან იქმნება სიწმინდის ატმოსფერო და, როცა სევდა, შემოგაწვევათ, ნალველი ან ეჭვი მოგეძალებათ, ანდა მოუსვენრობა მოიცავს თქვენს გონებას, უბრალოდ, შედით ამ ოთახში და იგრძნობთ, თანდათან როგორ დაშვიდდებით. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამაშია ტაძრებისა და ეკლესიების მნიშვნელობა, რომელთაგან ბევრი ინახავს თავისში ამ ატმოსფეროს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში თავად არსი უკვე დავიწყებულია. მნიშვნელობა და არსი კი იმაშია, რომ ადგილი, რომელიც ინახავს სუფთა ვიბრაციებს, თავისთავად განიწმინდება. მაგრამ იმათ, ვისაც ვარჯიშისთვის ცალკე ოთახის გამოყოფის საშუალება არა აქვთ, შეუძლიათ იქ ივარჯიშონ, სადაც უნდათ. დაჯექით სწორად და პირველ რიგში თქვენი აზრები მიმართეთ ყოველ არსზე. გაიმუორეთ გონებაში: დაე ყოველი ცოცხალი ბედნიერი იყოს, დაე ყოველმა ცოცხალმა იარსებოს ამქვეყნად, დაე ყოველმა ცოცხალმა ინეტაროს. ეს აზრები მიმართეთ აღმოსავლეთით, სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით. — და რაც უფრო ხშირად მოიქცევით ასე, მით უფრო უკეთესად იგრძნობთ თავს და ბოლოს და ბოლოს მიხვდებით, რომ თქვენი ჯანმრთელობის და ბედნიერებისათვის, ყველაზე უკეთესია იზრუნოთ



სხვათა ჯანმრთელობასა და ბედნიერებაზე. ვინც მორწმუნეა, უნდა ილოცოს, მაგრამ ილოცოს არა ფულისათვის, არა ჯანმრთელობისათვის, არა ზეციერი სასუფეველისათვის, არამედ ცოდნისა და სინათლისათვის, რამეთუ ყველა სხვა ლოცვაში ანგარებაა, ამის შემდეგ ფიქრი უნდა მიმართოს საკუთარ სხეულზე, იფიქროთ იმაზე, რომ თქვენი სხეული მაგარი, მხნე და ძლიერია, და რომ თქვენ

უმშვენიერეს ინსტრუმენტს ფლობთ. იფიქრეთ იმაზე, რომ თქვენი სხეული ძალღონითაა აღსავსე, და რომ მისი დახმარებით ცხოვრების ოქეანუს გადალახავთ. სუსტი ვერასოდეს შეძლებს თქვის უფლებას. უკუაგდეთ სხეულს თქვითხარით თქვენს სხეულს, რომ იგი ძლიერია, უთხარით თქვენს გონებას, რომ იგი ძალმოხილია, შთააგონეთ თქვენს თავს საკუთარი თავის მიმართ უსაზღვრო რწმენა და იმედი.

„ჯანა-იოგაჯან“

ადამიანი დიდი დაყინებით ეჭიდება გრძნობად აღქმას. მაგრამ, რაოდენ მატერიალურიც არ უნდა ეჩვენებოდეს ის სამყარო, რომელშიც ცხოვრობს, დგება საათი, როცა ცალკეული ადამიანისა თუ მთელი ხალხის წინაშე ჩნდება კითხვა — რეალურია თუ არა ეს ყოველივე? იმასაც კი, ვისაც თავისი აღქმა იმდენად სარწმუნოდ, ესახება, რომ წუთსაც ვერ პოულობს მის უტყუარობაზე დასაფიქრებლად, ვინც კმაყოფილია ამ აღქმით — იმასაც ეწვევა სიკვდილი, ისიც იძულებული იქნება იკითხოს — რეალურია ეს თუ არა? რელიგია იწყება ამ კითხვით და ამ კითხვაზე პასუხით მთავრდება. მითების იდუმალებით მოცულ სამყაროში, ცივილიზაციის განთიადზე, დროის იმ უკიდურეს სიღრმეში, სადაც წერილობითი ისტორიით შეღწევა არ შეგვიძლია, ივივე კა ისმის: იყო კი ეს რეალური?

კათხა—უპანიშადა, ერთ-ერთი ყველაზე პოეტური უპანიშადებს შორის, ამ კითხვით იწყება: ადამიანის მიცვალების შემდეგ ერთნი ამბობენ, რომ ადამიანი სამუდამოდ კვდება, მეორენი ამტკიცებენ, რომ იგი სიცოცხლეს სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს. რომელია მათ შორის მართალი? ამ კითხვაზე მრავალი პასუხი არსებობს. მეტაფიზიკა, ფილოსოფია თუ რელიგია, არსებითად, ამ კითხვის სხვადასხვა პასუხს წარმოადგენს. იყო მცდელობა საკითხის დახურვის, გონების მაძიებლობის შეჩერების, გონებისა, რომელიც სულ იმის ძიებაშია — რა არის საზღვრებს იქით, რა

არის რეალური? მაგრამ, ვიდრე არსებობს სიკვდილი, ამ კითხვის დასმას ადამიანს ვერასოდეს დაუშლი, მოუსვენარ გონებას ვერასოდეს შეაჩერებ. ცხადია, შეგვიძლია შევახსენოთ ჩვენს თავს, რომ იქ არაფერი ჩანს, შეგვიძლია მთელი ჩვენი სასო და იმედები დავუკავშიროთ იმას, რაც ახლაა, მთელი ძალითა და ღონით ვეცადოთ, არ ვიფიქროთ გრძნობადი სამყაროს საზღვრებს მიღმაზე, მითუმეტეს, ყველაფერი ხელს გვიწყობს, რათა განვმტკიცდეთ ამ შეზღუდულობაში. ყველაფერი, რაც ხდება ქვეყნიერებაზე, იმისკენ გვიბიძგებს, რათა არ გადავიხედოთ პორიზონტს იქით. მაგრამ, ვიდრე არსებობს სიკვდილი, იარსებებს ეს კითხვაც — არის თუ არა სიკვდილი ყველაფრის დასასრული? რატომ ვებლაუჭებით ასე, თითქოს იგი რეალურზე რეალური, მატერიალურზე მატერიალური იყოს? ქვეყნიერება ერთ წამში ქრება და იგი უკვე აღარ არსებობს. გაირინდები რა პირდაღებული უფსკრულის პირას, თვით ყველაზე დამყაყებული გონებაც კი არ შეიძლება არ დაფრთხეს და არ იკითხოს — არის ეს რეალური თუ არა? ქრება ცხოვრების იმედები, ერთ წუთში არარად იქცევა ის, რაც უდიდეს გონებათა შრომით იყო შექმნილი. მაგრამ, რეალურად ხდება ეს ასე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა საჭირო. დრო არა თუ ვერაფერს აკლებს, პირიქით, სულ უფრო მწვავედ და მწვავედ აყენებს ამ კითხვას.

ადამიანის ენა — ეს არის იმ ჭეშმარიტების გამოხატვის მცდელობა, რაც ჩვენ-



მია. დარწმუნებული ვარ, ყრმა თავისი ტიტინით უდიდესი ფილოსოფიური კეშმარიტების გამოხატვას ცდილობს, მაგრამ ამისთვის მას არც შესაფერისი ორგანოები გააჩნია, არც ხერხები. უდიდეს ფილოსოფოსთა აზრები ბავშვის ტიტინისაგან მხოლოდ გამოხატვის დონით განსხვავდება — არსი ერთია. ასევე მხოლოდ გამოხატვის დონით განსხვავდება თანამედროვეობის ყველაზე კორექტული, სისტემატიზებული მათემატიკური ენა ძველი ხალხების ბუნდოვანი, მითოლოგიური, მისტიკური ენისაგან. ერთნიც და მეორენიც თავისში უდიდეს იდეას ჰფარავენ, იდეას, რომელიც თითქოს როგორღაც თავისი თავის გამოხატვას ესწრაფვის — უძველესი მითები ხომ თავისში ხშირად ხალხს კეშმარიტებებს ატარებენ, სამწუხაროდ, ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე თანამედროვეთა გამართული, გაკრიალებული ფრაზები. საგნები არ უნდა ვისროლოთ ეიმს იქით მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მითოლოგიური გარსი მისტერ იმიარეკის ან მისის იმიარეკის მიერ შემუშავებულ თანამედროვეობის კონცეფციას არ პასუხობს. თუ ადამიანი ჩუმ-ჩუმად დასცინის რელიგიას იმის გამო, რომ რელიგიების უმეტესობა ამა თუ იმ წინასწარმეტყველის მიერ შექმნილი მითების დაჯერების აუცილებლობას პროკლამირებს, მაშინ კიდევ უფრო ირონიულად იგი სწორედ ჩვენს თანამედროვეებს უნდა მოეკიდოს. როცა ჩვენს დროში ადამიანი მოსეს, ბუდას ან იესოს ციტირებას ახდენს, ძველმოდურია, სულ სხვაა თუ იგი ვინმე ჰაქსლის, ტინდალას ან დარვინს მონიშვებებსო. ეს ჰაქსლის სიტყვებია! და ეს ბევრისათვის საკმარისზე მეტია. მაგრამ თუ ის რელიგიური ცრურწმენები იყო, ეს მეცნიერული ცრურწმენებია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ რელიგიური ცრურწმენების გზით სიცოცხლის შემოქმედი სულიერება იკაფავდა გზას, მეცნიერული ცრურწმენების გზით კი — ავხორცობა და სიხარბე. იმ ცრურწმენაში ღმერთის თაყვანისცემა იყო, ხოლო ამაში — მამონის, დიდების, უფლებამოყვარეობის თაყვანისცემა.

მაგრამ დაგუბრუნდეთ მითოლოგიას. ყველა მითს უკან ერთი და იგივე განზოგადებული აზრი დგას, აზრი წარსული სიმძალეებიდან ადამიანის დაცემის შესახებ. ჩვენი დროის მეცნიერება კატეგორიულად უარყოფს ამ მისტიკულ, ევოლუციის თეორია კატეგორიულად არ ეთანხმება ამ აზრს — ევოლუციის თეორიის თანახმად, ადამიანი არის მოლეკულის ევოლუციის შედეგი, ამიტომაც არ შეიძლება სიმართლედ ჩაითვალოს ის, რაც მითებშია მოთხრობილი. მაგრამ ინდოეთში არის მითები, რომელსაც შეუძლია თანხმობაში მოიყვანოს ეს ორი თვალსაზრისი. იგი ვგთავაზობს ციკლურობის თეორიას, რომლის თანახმადაც ყოველგვარი განვითარება ხდება ტალღისებურად — ამდღეობას დაცემა მოხდევს. თვით თანამედროვე მეცნიერების მიერ გაკეთებული დასკვნების მიხედვითაც აშკარაა, რომ ადამიანი არ შეიძლება მხოლოდ ევოლუციის ნაყოფი იყოს, რამეთუ ევოლუცია უსათუოდ ინვოლუციასაც გულისხმობს, თანამედროვე მეცნიერება გვეუბნება, რომ განაცემი, რომელიც მიიღება მექანიზმისაგან, არ შეიძლება აღმატებოდეს მასში თავიდან ჩადებულ ენერჯიას, რომ არაფრისაგან მხოლოდ არაფერი წარმოიქმნება. თუ ადამიანმა ევოლუცია მოლუსკისაგან განიცადა, ესე იგი, სრულყოფილი ადამიანი ანუ პირველსახე ქრისტესი ან პირველსახე ბუდასი უკვე მოლუსკში იყო ჩადებული. თუ ეს ასე არ არის, მაშინ საიდანაა ამდენი დიდი პიროვნება? არაფრისაგან ხომ არაფერი წარმოდინდება! აი, სწორედ აქ შეიძლება მივიდეთ ძველი დროის წმინდა წიგნებისა და თანამედროვე მეცნიერების თანხვედრასთან: ენერჯია, რომელიც ნელა, თანდათანობით ავლენს თავს განვითარების სხვადასხვა სტადიაში, ვიდრე არ გამოვლინდება სრულყოფილი ადამიანის გზით, არ წარმოიქმნება არსაიდან. ენერჯია არსებობდა სადღაც, და თუ მოლუსკი და პროტოპლაზმა ის უახლოესი წერტილებია, რომლებზეც შეიძლება მივუთითოთ, მაშასადამე, რაღაც სახით ის ენერჯია უკვე იყო მოლუსკსა თუ პროტოპლაზმაში.



დიდი კამათი იმართება იმის შესახებ, არის თუ არა სხეულად წოდებულ მასალათა შეერთება იმ ენერჯის წარმოშობის მიზეზი, რომელიც სამშენველად, აზრად და ა. შ. იწოდება? ან იქნებ პირიქითაა, იქნებ სწორედ ისინი ხდიან სხეულს ხილვადს? ყველა რელიჯია ამტკიცებს, რომ აზრის ენერჯია წარმოიშობა სხეულში და არა პირიქით. თანამედროვე მეცნიერების ზოგიერთ მკვლევართა მტკიცებით, აზრი წარმოადგენს სხეულად წოდებულ მანქანის ნაწილთა ურთიერთქმედების შედეგს. თუ გავიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ სამშენველი ანუ აზრის მასა, ანდა რაც არ უნდა დავარქვათ მას, წარმოადგენს მანქანისაგან წარმოებულს, სხეულისა და ტვინის შემადგენელი ნივთიერებების ქიმიური და ფიზიკური პროცესების შედეგს, კითხვაზე პასუხს ცხადია, მაინც ვერ მივიღებთ. მაშ საიდან ჩნდება სხეული? რა ძალა აკავშირებს იმ მოლეკულებს, რომელიც ფორმას აძლევს სხეულს? რა ძალაა ისეთი, რომელიც ნივთიერებათა მასიდან იღებს მასალას და ამ მასალით ჩემს სხეულს ამ სახით, სხვისას კი — სხვა სახით ძერწავს. საიდან არის განსხვავებულთა ეს უსასრულო მრავალსახეობა? თქმა იმისა, თითქოს სამშენველად წოდებული ძალა სხეულის მოლეკულების წარმოებული შეუღლებაა, ეს იგივეა, ცხენს ოთხთვალა დაუყუბო წინ. მაშინ საიდან გაჩნდა ეს შეუღლება, რა ძალა აკავშირებს მათ? თქმა იმისა, რომ შეერთების მიზეზი სხვა ძალაა, ხოლო სამშენველი — მათგან წარმოებული, რომ ეს სამშენველი, რომელიც გარკვეული წესით ერთმანეთს აკავშირებს რაღაც ნაწილს ნივთიერებებისას, თავად არის შეერთების შედეგი. — პასუხი არ არის. უნდა შეიჭმნას ისეთი თეორია, რომელიც ყველა ფაქტს ჩაირთავდა და ყველას თუ არა, მათ დიდ ნაწილს მაინც ახსნიდა ისე, რომ არ დაუპირისპირდებოდა სხვა თეორიებს. გაცილებით ლოგიკურია, თუ ვივარაუდებთ, რომ ძალა, რომელიც ქმნის სხეულს ნივთიერებათა მასიდან, იგივე ძალაა, რომელიც თავის თავს სხეულის საშუალებით გამოავლენს. ამ შემ-

თხვევაში მტკიცება, რომ მოაზროვნე ძალა, გამოვლენილი სხეულიდან, არის წარმოებული შეუღლება მოლეკულებისა და რომ მას არ შეუძლია მათგან დაბოუკიდებლად არსებობა, აზრს, ქრესტე ქმს ქლებული. ძალას არ შეუძლია მათგან დაბოუკიდებლად არსებობა. უფრო იმის არარსებობის დამტკიცება შეიძლება, რასაც ჩვენ მატერიას ვუწოდებთ, ვინაიდან მატერია ენერჯის მხოლოდ ერთი მდგომარეობათაგანია. შეიძლება დავამტკიცოთ, რომ სიმყარე, ან მატერიის რომელიც ვნებათ თვისება, მოძრაობის შედეგია. სწრაფი წრეობრივი მოძრაობა სითხეს მყარ სხეულად აქცევს. ასეა ჰაერის მასაც, წრეობრივი მოძრაობისას ისიც მყარი სხეულის თვისებებს იძენს (ტორნადო) და უნარი აქვს შეხებისას სხვა მყარი სხეულები დაანჯრიოს. აბლაბუდაც კი, თუ მას ძალზე დიდ სიჩქარეში ჩაევაგდებთ, რკინის ჯაჭვის სიმყარეს შეიძენს და მუხასაც გაჭრის. ასე და ამგვარად, მატერიის არარსებობის დამტკიცება, ძნელი არ არის, აი, საწინააღმდეგოს მტკიცება კი შეუძლებელია.

რას წარმოადგენს სხეულიდან გამოსული ენერჯია? რასაც არ უნდა წარმოადგენდეს, ჩვენთვის ამკარაა, რომ იგი ნაწილაკებისაგან აშენებს ფორმას, ვთქვათ ჩვენს სხეულს, რომელსაც ენერჯის გარდა სხვა არავინ აწარმოებს. არასოდეს მინახავს, ვინმეს სხვას ეჭამოს ჩემ მაგიერ — მე უნდა ავითვისო საკვები, მე უნდა ვაქციო სისხლად, მე უნდა ვაქციო ძვლებად და ა. შ. მაშინ რა არის, რა საიდუმლო ძალაა ეს? ბევრს აშინებს მომავლის და წარსულის იდეა. ზოგიერთები კი ამ იდეას წმინდა გონების ჭვრეტად აღიქვამენ.

მოდით შემოვიფარგლოთ აწმყოთი. რა ძალაა ის ძალა, რომელიც ახლა, ამ წუთის გამოვლინდება ჩვენში? ცნობილია, რომ ძველად ყველა საღმრთო წიგნში ეს ძალა, ანუ ამ ძალის გამოვლენა აღინუსხებოდა ნათელმოსილი სუბსტანციის სახით, რომელსაც ჰქონდა სხეულის ფორმა და რასაც იგი დაცემის შემდეგაც ინარჩუნებდა. მაგრამ მოგვიანებით უფრო მაღალი



იდეა იქნა წამოყენებული. ამ იდეა მიხედვით, ნათელმოსილი სხეული თავისთავად არ წარმოადგენს ამ ძალას, ვინაიდან ყველაფერი, რასაც ფორმა გააჩნია, ნაწილაკების შეერთების შედეგია, ნაწილაკებისა, რომელიც რაღაცას უნდა შეეგროვებინა ერთად. თუ სხეული შექმნილია იმ რაღაცის მიერ, რაც თვითონ არ წარმოადგენს სხეულს, მაშასადამე, ნათელმოსილი სხეულიც რაღაცის მიერ უნდა იყოს შექმნილი, იმ რაღაცის, რაც არ წარმოადგენს ნათელმოსილ სხეულს. იმ რაღაცამ სანსკრიტის ენაზე **ატმანის** სახელი მიიღო. ნათელმოსილი სხეულის საშუალებით **ატმანი** ქმნის უხეშ გარსს — ჩვენს ფიზიკურ სხეულს. ნათელმოსილი სხეული გონების მატარებლად არის მიჩნეული, **ატმანი** კი გარეთ იმყოფება. იგი (**ატმანი**) არ არის გონება — იგი მოქმედებს გონების საშუალებით სხეულის შექმნისას. თქვენ თქვენი **ატმანი** გყავთ, მე — ჩემი. ყველას თავისი **ატმანი** მყავს, თავისი ნათელმოსილი ანუ ნაზი სხეული, რომლის საშუალებითაც ვნოქმედებთ უხეშ გარეთა გარსზე. მაგრამ, იბადება კითხვა — რა არის **ატმანი**? რას წარმოადგენს ადამიანის სამშენველი, რომელიც არც სხეულია, და არც გონება? ამის თაობაზე ბევრს კამათობდნენ, აყენებდნენ სხვადასხვა წინადადებებს, იქმნებოდა ფილოსოფიური კონცეფციები. მე შევეცდები გადმოვცეთ ზოგიერთი დასკვნა **ატმანისა** და მისი ბუნების შესახებ.

სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულება ერთმანეთს ერთ რამეში ემთხვევა — რასაც არ უნდა წარმოადგენდეს **ატმანი**, მას არ გააჩნია არც ფორმა და არც მოხაზულობა. ხოლო იმის გამო, რომ მას არ გააჩნია ფორმა, უნდა იყოს ყველგან მყოფი. დროის იდეა, ისევე შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან მიზეზობრიობა მოვლენათა თანამიმდევრობას ვარაუდობს. მაშასადამე, დრო, სივრცე და მიზეზობრიობა გონებაშია, **ატმანი** კი, იმყოფება რა გონების გარეთ, და არ გააჩნია ფორმები, დროის, სივრცის და მიზეზობრიობის გარეთ უნდა იყოს. თუ იგი დროის, სივრცის და მიზეზობრიობის გა-

რეთაა, ესე იგი, უსასრულოა. და, აი, ჩვეულებრივად ფილოსოფიის უმთავრეს საკითხს: არ შეიძლება იყოს იგი უსასრულოა, თუ სამშენველი უსასრულოა, შეიძლება არსებობდეს ერთი, მხოლოდ ერთი, ერთიანი სამშენველი, მაშინ მთელი ეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მე ჩემი სამშენველი მაქვს, თქვენ კი თქვენი და ა. შ., არ წარმოადგენს რეალობას. ასე და ამგვარად, **რეალური ადამიანი** არის ერთი, უსასრულო და ყველგან მყოფი **სული**. ის ადამიანი კი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, **რეალური ადამიანის** მხოლოდ შეზღუდული ვარიანტია. ამ აზრით სწორია მიმოლოგიური წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც, რაც არ უნდა დიდი იყოს ადამიანი, იგი მხოლოდ მკრთალი ანარეკლია ამ სამყაროს გარეთ მყოფი **რეალური ადამიანისა**. იგი, ანუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარე მყოფი **სული**, რომელიც არც დროითაა შეზღუდული და არც სივრცით, თავისუფალი უნდა იყოს. სული ყოველთვის თავისუფალია და ეს სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, მაშინ როდესაც ადამიანი, ანუ მისი ანარეკლი დროით, სივრცით და მიზეზობრიობით არის შეზღუდული, ანუ თავისუფლებას არის მოკლებული, ანუ ზოგიერთი ჩვენი ფილოსოფოსის სიტყვით რომ ვთქვათ, თავს არათავისუფლად, გვაჩვენებს, თუმცა კი თავისუფალია არსებითად. სწორედ ეს არის ჩვენი სამშენველის რეალობა, ანუ ყველგანმყოფობა, სულიერება და უსასრულობა. ყოველი სამშენველი უსასრულოა, ამიტომ არ შეიძლება დაიხვას საკითხი მისი დაბადების ან გარდაცვალების შესახებ.

ვაპოიკითხა უამრავი ბავშვი. შეთავაზებულ რთულ კითხვებს შორის, ერთი ასეთი კითხვაც იყო: რატომ არ ვარდება დედამიწა? ივარაუდებოდა, რომ ბავშვები გრავიტაციის კანონებზე ილაპარაკებდნენ, მაგრამ მათმა უმეტესობამ კითხვაზე ვერაფერი უპასუხა. ზოგიერთებმა თითქოს რაღაც იცოდნენ დედამიწისეული მიზიდულობის შესახებ, ერთმა პატარა ტყვიანმა გოგონამ კი კითხვაზე კითხვით უპასუხა — სად უნდა ჩავარდესო?



კითხვა ნამდვილად უაზრო იყო — მართლაცდა სად უნდა ჩავარდნილიყო დედამიწა? მას არც ქვევით ჩავარდნა შეუძლია, არც ზევით აწევა, ვინაიდან უსასრულობას არც თხემი აქვს, არც ძირი, იქ ყველაფერი შეფარდებულია. შეიძლება უსასრულობის მოსვლა ან წასვლა? საიდან უნდა მოვიდეს ან სად უნდა წავიდეს?

როცა ადამიანი წვევებს ფიქრს წარსულსა და მომავალზე, როცა თავიდან იშორებს ფიქრს შეზღუდული სხეულის შესახებ, იგი უფრო მაღალ იდეალთან მიდის. **რეალური ადამიანი არ არის სხეული** და არ არის გონება, რამეთუ გონებას თავისი მიქცევ-მოქცევები აქვს. ეს არის სული ყველაფრის გარეშე, მას ერთადერთს შეუძლია მარადიული სიცოცხლე. სხეულიც და გონებაც განუწყვეტლად იცვლება, ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს შენაცვლებად მდგომარეობათა სერიას, მსგავსად მდინარისა, რომლის ნაკადებიც უცვლელი გვეჩვენება, თუმცა სინამდვილეში ყოველ წუთს იცვლება. ჩვენი სხეულის თვითეული ხაწილაკი განუწყვეტელ ცვალებადობას განიცდის. არავის შეუძლია თქვას, რომ მისი სხეული რაღაც უცვლელს წარმოადგენს. ასეა გონებაც — იგი მუდმივ ცვალებადი მორევივითაა, ხან ბედნიერი, ხან უბედური, ხან ძლიერი და ხან სუსტი. მაშასადამე, ჩვენი გონება არ არის **სული**, რამეთუ **სული** უსასრულოა, ხოლო ყოველი ცვალებადი — სასრული აბსურდულია ვარაუდი, თითქოს უსასრულოც ცვალებადობისკენ იყოს მიდრეკილი — როგორი ცვალებადობისაკენ? მე და თქვენ ჩვენი შეზღუდული სხეულებით შეგვიძლია ვიმოძრაოთ, ვინაიდან სამყაროში ყოველი ნაწილაკი მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. მაგრამ თუ ავიღებთ სამყაროს, როგორც ერთს ანუ ერთ განუყოფელს, მას არ შეუძლია მოძრაობა, არ შეუძლია შეცვლა, იმიტომ რომ მოძრაობა ყოველთვის შეფარდებულია. მე ვმოძრაობ რაღაცასთან შეფარდებით, სამყაროს ყველა სხვა ნაწილაკთან, შეფარდებით, მაგრამ რასთან შეფარდებით შეიძლება იმოძრაოს ერთმა განუყოფელმა სამყარომ, მის გარდა ხომ არა-

ფერი არ არის? ამგვარად, სამყარო ანუ უსასრულო მოლიანობა უცვლელია, უმოძრაო, აბსოლუტური და ეს არის **რეალური ადამიანი**. მაშასადამე, ჩვენი რეალობა უნივერსალურშია დაქვევებული. ძალიან ადვილია იფიქროს, ჩვენ პატარა, მუდმივ ცვალებაში მყოფი არსებანი ვართ, ვინაიდან ადამიანს აშინებს ფიქრი, რომ იგი არსებითად **უნივერსალური** — ყველგან მყოფი არსებაა თვითეული თავისი საქციელით, თვითეული თავისი ნაბიჯით, თვითეული სიტყვითა თუ თვითეული გულისცემით.

როცა ადამიანებს ამის შესახებ ეუბნები — მაშინ სად არის ჩვენი ინდივიდუალობა? — შეშინებულები გეკითხებიან. მაგრამ, რა არის ინდივიდუალობა? ბავშვს უღვაში არა აქვს, როცა გაიზრდება და დავაგვაცდება, შეუძლია წვერიც მოუშვას და უღვაშიც. საქმე მხოლოდ მის სხეულს რომ ებებოდეს, ეს მისი წარსული ინდივიდუალობის დაკარგვა იქნებოდა. ასე იქნებოდა თვალის ან ხელის დაკარგვითაც, გამოდის, ინდივიდუალობა რომ არ დაკარგოს, ლითი ლითად უნდა დარჩეს, ქურდი ქურდად და ა. შ., ყველა თავის ჩვევებსა და ცხოვრების წესს უნდა ჩაებლაუკოს. ინდივიდუალობა კი მხოლოდ უსასრულოშია, ვინაიდან მხოლოდ ის არ ექვემდებარება ცვალებადობას — სხვა ყველაფერი მუდმივ დინებაშია. ვერც მეხსიერება იქნება ინდივიდუალობის საწინდარი. ვთქვათ, თავში რაღაც დამარტყეს და დავივიწყე ჩემი წარსული — გამოდის, რომ მორჩა, დავივიწყე ჩემი ინდივიდუალობა. ვთქვათ, აღარ მახსოვს სიყრმის პირველი სამი წელი, და თუ ხსოვნა და არსებობა ერთი და იგივეა, ესე იგი, ის, რაც დავიწყებულია, სამუდამოდ არის დაკარგული — ანუ ჩემი ცხოვრების დავიწყებული ხანა ის ხანაა, რომელიც არ მიცხოვრია. მაგრამ ინდივიდუალობისადმი ამგვარი მიდგომა ძალზე შეზღუდულად, არასწორად მიმაჩნია.

არც ერთი ჩვენგანი ჯერ კიდევ არ არის ინდივიდუალობა — ჯერ ჩვენ მხოლოდ ვისწრაფვით ინდივიდუალობისაკენ,



რომელიც უსასრულოა და რომელიც ადამიანის კეშმარიტ ბუნებას წარმოადგენს. მხოლოდ ის ცხოვრობს, ვისაც თავისი ცხოვრება სამყაროსთან თანაფარდობაში მოკცავს. ხოლო, რაც უფრო მეტად ვუკავშირებთ ჩვენს თავს სასურველ საგნებს, მით უფრო სწრაფად მივიწვევთ სიკვდილისაკენ. ჩვენ მხოლოდ იმ წუთებში ვცოცხლობთ ნამდვილი სიცოცხლით, როცა ჩვენი სიცოცხლე, სამყაროს სხვა სიცოცხლეებთან არის ერთობაში. ციციქნა არსებობაში ჩაკეტვა — სიკვდილია, ნამდვილი სიკვდილი, სწორედ ამიტომ ჩნდება ასეთი შიში მის წინაშე. მაგრამ ადამიანს შეუძლია გადალახოს სიკვდილის შიში. ვინაიდან იგი მანამდეა ცოცხალი, ვიდრე სამყაროში სიცოცხლის ნაპერწკალი მაინც არის. მას აკი შეუძლია თქვას: მე ყველაფერში ვარ, მე ყველაში ვარ, მე მთელი ცხოვრება ვარ, მთელი სამყარო ვარო. ამის შემდეგ მას უკვე აღარაფრის ეშინია. იმსჯელო იმის უკვდავების შესახებ, რაც განუწყვეტლივ იცვლება — აბსურდია. როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს — ინდივიდუალური არის მხოლოდ **სული**, რამეთუ მხოლოდ ისაა უსასრულო. უსასრულო არ შეიძლება ნაკრებად დაკუწო, იგი ყოველთვის ერთია, ერთი განუყოფელი, უცვლელი — და სწორედ ესაა **რეალური ადამიანის** ინდივიდუალობა. ჩვეულებრივი ადამიანი ამ ინდივიდუალობის გამოხატვის მხოლოდ განსახიერებელი მცდელობაა, ანუ იმისა, რაც ყველაფრის გარეთაა. ევოლუციას სულთან არავითარი კავშირი არა აქვს. ცვლილებები თავისი გზით მიედინება — არამზადა კეთილი ადამიანი ხდება, პირუტყვი ადამიანის დონეს აღწევს, მაგრამ რა თვალსაზრისითაც არ უნდა შევხედოთ ამ ყველაფერს, სულთან მას არაფერი ესაქმება, ეს მხოლოდ ბუნების ევოლუცია და სულის გამოვლენაა. წარმოიდგინეთ, რომ ჩემსა და თქვენს შორის ნახვრეტიანი ფარდაა და იმ ნახვრეტიდან მე მხოლოდ რამდენიმე სახის დანახვა შემიძლია — მხოლოდ რამდენიმე სახის. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ნახვრეტი თანდათან ფართოვდება და მეც სულ უფრო მეტსა და მეტ სახეს ვხე-

დაე, ვიდრე ფარდა ბოლოს და ბოლოს მთლიანად არ გაქრება და ყველას არ დაუინახავ. მაგრამ, განა ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ შეიცვალეთ? პირიქით, ეს ნახვრეტი განიცადა ევოლუცია, თქვენ კი ჩემი ხედვის წინაშე თანდათან ავლენდით თავს. ასეა **სულიც**. აქ არც სრულყოფილებისკენ მოძრაობაა — ჩვენ ყველანი ისედაც სრულყოფილები და თავისუფლები ვართ. მაინც რა არის ღმერთის იდეა, — სხვა სამყაროს ძიება? რატომ ეძებს ადამიანი ღმერთს? რატომაა — სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, ვინც არ უნდა იყოს, ადამიანს სრულყოფილი იდეალი სწყურია, იგი მას ადამიანშიც ეძებს, ღმერთშიც და ვინ იცის კიდევ რაში არა, მაშინ როცა ეს იდეა ჩვენშია. იგი ჩვენს საკუთარ გულში ძვერდა, ჩვენ კი არ ვიცოდით და ხმას გარედან ვუსმენდით. თავად ღმერთი გვაიძულებს, ვიპოვოთ იგი ჩვენში, ვიპოვოთ და თვითრეალიზაცია მოვახდინოთ. ტაძრებსა და ეკლესიებში, ცასა და ღედამიწაზე ხანგრძლივი ძიების შემდეგ ადამიანი წრეს უვლის და იმასვე უბრუნდება, რითაც დაიწყო — უბრუნდება საკუთარ სამშენველს. იქ პოულობს ღმერთს, რომელსაც მთელ სამყაროში ეძებდა, ეძებდა ლოცვით და გოდებით, ეძებდა ეკლესიებსა და ტაძრებში. ის, ვინც დიდზე დიდ საიდუმლოდ გვესახებოდა, მახლობელზე მახლობელი აღმოჩნდება — აღმოჩნდება ჩვენსავე „მე“ში, ჩვენი სხეულისა და სულის რეალობაში. ის არის ჩვენი ბუნება, ჩვენ უნდა განვამტკიცოთ მასში, უნდა გამოვავლინოთ ჩვენში. არა იმისათვის, რათა განვიწმინდნეთ — ჩვენ ისედაც წმინდა ვართ. ნურც სრულყოფილებისაკენ მივისწრაფვით, რამეთუ ისედაც სრულყოფილები ვართ. ბუნება ისე მალავდა ჩვენგან იმიერ მხარის რეალობას, როგორც ფარდა, რომელსაც თითქოს გლეჯს ყოველი ჩვენი კეთილი საქმე, ყოველი ჩვენი კეთილი ზრახვა და ჩვენსა თვალთა წინაშე სულ უფრო აშკარად ავლენს თავს — წმინდა, უსასრულო, ღმერთი...

ასეთია კაცობრიობის ისტორია. ფარდა სულ უფრო იცრიცება, სულ უფრო თხელ-



დება და სულ უფრო ანათებს სინათლე, ვინაიდან სწორედ ესაა მისი ბუნება — იგი უნდა ანათებდეს. მაგრამ არ შეიძლება მისი შეცნობა, ამათა ყოველი ჩვენი მცდელობა. ეს რომ შესაძლებელი იყოს, იგი აღარ იქნებოდა ის, რაც არის — აღარ იქნებოდა მარადი თემა, ვინაიდან ცოდნა მას ობიექტივიზებულს ხდის და ზღუდავს. მარადი თემა, სამყაროს მარადიული მოწმე ჩვენი საკუთარი „მე“-ა. მასთან შედარებით ცოდნა უკან, გაუარესებისაკენ გადადგმული ნაბიჯია. რა უნდა შევიცნოთ, როცა ჩვენ თვითონ ვართ მარადი თემა. ეს არის ჭეშმარიტი არსი თვითეული ადამიანისა, არსი, რომლის გამოხატვასაც სხვადასხვა საშუალებით ვცდილობთ. თუ არა ეს, მაშ საიდანაა ამდენი ეთიკური კოდექსი? რაშია მთელი ამ ეთიკის ახსნა? სხვადასხვა ფორმით გამოხატული ყოველი ეთიკური სისტემის არსი ერთია — აკეთო სიკეთე სხვებისათვის. კაცობრიობის წამქეზებელ ძალას უნდა წარმოადგენდეს გულმოწყალე დამოკიდებულება ადამიანისა ადამიანის მიმართ, ყოველი ცოცხალის მიმართ. აკი სწორედ ესაა მარადიული ჭეშმარიტების გამოვლენაც; მე ვარ სამყარო — მე მთელი სამყარო ვარ. აბა სხვა რა გასამართლებელი საბუთი შეიძლება აქონდეს? რატომ უნდა ვაკეთო კეთილი საქმეები მოყვასისთვის, საერთოდ, ადამიანისათვის? რა მაიძულებს? რა და, სიმპათია, ჩვენი ერთნაირობის შეგრძნება. სიბრალულს ზოგ-

ჯერ თვით ყველაზე მკაცრი გულებიც კი განიცდიან. ის ადამიანიც კი, რომელსაც აძინებს აზრი, რომ მისი წარმოსახვითი ინდივიდუალობა, უბრალოდ, ცთომილებაა, რომ უხამსობაა ებღუძრებოდა გამოვლილ ინდივიდუალობას, თვით-ეტიკური ვერ უარყოფს, რომ მორალის არსს სრული თვითუარყოფა წარმოადგენს. მაინც რა არის სრული თვითუარყოფა? ეს არის უარის თქმა წარმოსახვით „მე“-ზე, საკუთარი თავის სიყვარულზე. წარმოდგენა „ჩემზე“ და „ჩემის“ შესახებ — ეს არის წარსულიდან შემევიდრეობით მიღებული ცრურწმენა, და რაც უფრო შეიზღუდება, რაც უფრო განზე გაიწევს ახლანდელი „მე“, მით უფრო აშკარა გახდება ნამდვილი „მე“. აი, რაში მდგომარეობს თავის თავზე უარის თქმის ჭეშმარიტი არსი, არსი ყოველგვარი მორალური მოძღვრებისა, მისი გულისგული და საფუძველი. ზოლო, ესმის ადამიანს ეს თუ არ ესმის, კაცობრიობა თანდათანობით სწორედ ამ მიმართულებით მიიწევს, თუმცა კი მისი უდიდესი ნაწილი ამას გაუცნობიერებლად სჩადის. დიან, კაცობრიობამ ეს უნდა გაიცნობიეროს, უნდა წავიდეს ამ მსხვერპლზე, უნდა გაიგოს, რომ ყველა ეს „მე“ და „ჩემი“ ზღუდავს ადამიანის ჭეშმარიტ ბუნებას. ახლანდელი ადამიანი უსასრულო რეალობის გამოკრთომა, იმ უსასრულო ცეცხლის ნაპერწყალია, რაც უკანაა, რაც ყველაფერია — უსასრულო მისი ბუნებაა.

„ბხაკტა — იოგადა“

ადამიანის ენას არ ძალუძს ამადლებული და აბსოლუტური სიყვარულის იდეალის გამოხატვა. რაც არ უნდა მაღლა იფრინოს ადამიანის წარმოსახვამ მას არ ძალუძს წარმოიდგინოს ეს იდეალი მთელი მისი სრულყოფილებითა და სიღამაზით. მიუხედავად ამისა, სიყვარულის რელიგიის მიმდევარნი, ყველა ქვეყანასა და ყველა დროში, თავისი სიყვარულის იდეალის გამოსახატავად იძულებულნი იყვნენ ადამიანის ენის შეზღუდული საშუალებები გამოეყენებინათ. ადამიანი იძულებულია ენით აუწერელი დეტალები

სიყვარული ადამიანური სიყვარულის სხვადასხვა ფორმის წარმოდგენების მიხედვით გამოხატოს. დეტალები ალქმა მას მხოლოდ ადამიანურად შეუძლია, აბსოლუტის ჩვენეული ალქმის გამოხატვა ჩვენ მხოლოდ ჩვენი ენის პირობითი ტერმინების მიხედვით ძალგვიძს, ამიტომაც სამყარო ჩვენთვის უსასრულოს სასრულზე თარგმანია. დმერთისადმი მისი სიყვარულის აღწერისას ბხაკტასაც იმ სიტყვების გამოყენება უწევს, რომლის დანიშნულებაც ადამიანური სიყვარულის გამოხატვაა.

ის მრძენი ადამიანები, რომლებიც პა-



რა-ბხაკტაზე წერდნენ, რათა გაეგოთ და განეცადათ ღვთაებრივი სიყვარული, სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. ამ საშუალებათაგან ყველაზე უმარტივესს ისინი შანტას უწოდებდნენ: ამ დროს ადამიანი, მართალია, ღმერთს თაყუანს სცემს, მაგრამ მის გულს სიყვარული ცეცხლივით არა სწვავს, მისი გონება თავისუფალია სიყვარულის შემლილობისაგან, მისი ეს სიყვარული ჩვეულებრივი და მშვიდია, მართალია, მაღლდება ფორმალურსა და სიმბოლურ გამოვლინებებზე, მაგრამ ძალიანად არ ნთქავს. არიან ნელი, მშვიდი და არიან სწრაფი, მგზნებარე ადამიანები: შანტა-ბხაკტა ნაზ, წყნარ, აუჩქარებელთა სიყვარულია.

მაგრამ არის სიყვარულის უფრო მაღალი სახეობა, ეს არის დასია, ანუ მსახურება, როცა ადამიანი თავის თავში ღმერთის იმ მსახურს ხედავს, რომლის იდეალი მბრძანებლისადმი ერთგულება და თავდადებაა.

არის სიყვარულის ერთი სახეც — საკხია ანუ მეკობრობა: „შენ ჩვენი საყვარელი მეკობარი ხარ“... როცა ადამიანი ღმერთს გულს ისე უხსნის, როგორც მეკობარი მეკობარს, და დარწმუნებულია, რომ მისი ნაკლოვანებების გამო კი არ დატუქსავს, არამედ ეცდება დაეხმაროს. როგორც ნამდვილი მეკობრობაა თანასწორობაზე დაფუძნებული, ასევე თანასწორობასა და სიყვარულს ეფუძნება დამოკიდებულება ბხაკტასა და მის მეკობარ ღმერთს შორის.

ღმერთი ჩვენი მეკობარი ხდება, მეკობარი, რომელიც ყოველთვის ჩვენს გვერდითაა, რომელსაც შეიძლება ყველაფერი მოუყვე. შეგვიძლია ამ მეკობარს ჩვენი გულების ყველაზე დიდი საიდუმლო გავანდოთ და დარწმუნებული ვიყოთ, რომ იგი გავვიცებს და მხარს დაგვიჭერს — იგი ჩვენი მეკობარია. ბხაკტა მასთან თავს ისევე თანასწორად გრძობს, როგორც ბავშვობის მეკობართან. ხომ შეიძლება ითქვას, რომ ამქვეყნად ჩვენ ყველანი ვთამაშობთ. პატარა ბავშვები თავის თამაშს თამაშობენ, დიდი მთავრები და ჩხუბისთავეები — თავისას, თამაშობს თვით

ღმერთიც კი, და იგი სამყაროთი თამაშობს. ღმერთი სრულყოფილია, მას არაფერი სწადია. თუ ასეა, მაშინ რაში დასჭირდა ღმერთს ქვეყნიერების შექმნა? ადამიანი ყველაფერს თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აკეთებს, მოთხოვნილების არსებობა კი არასრულყოფილებას გულისხმობს. ღმერთი სრულყოფილია და მას არ გააჩნია მოთხოვნილებები. მაშ რატომ არის იგი მუდამ აქტიური და მუდამ შემოქმედებით დაკავებული? რა არის მიზანი? ამბები, რომელსაც ვიგონებთ, ღმერთმა სამყარო ამისთვის და ამისთვის შექმნაო, მხოლოდ თავშესაქცევი ზღაპრებია და სხვა არაფერი. სინამდვილეში ეს მისი თამაშია, იგი მუდამ თამაშობს და მუდამ ქმნის, სათამაშო კი მისთვის ალბათ სწორედ მთელი სამყაროა. თუ ღარიბი ხარ — ღარიბობა ითამაშე, თუ მდიდარი ხარ — მდიდრობა. თამაში შეიძლება საშიშროებითაც, ბედნიერებით ხომ — მითუმეტეს. ჩვენი სათამაშო მოედანი მთელი ქვეყნიერებაა, ჩვენ ვიბადებით იმისათვის, რათა თავი ამ სათამაშოთი შევიქციოთ, ხოლო ამ თამაშში ჩვენთან ერთად ღმერთიც მონაწილეობს, იგი ჩვენი ამხანაგია ჩვენს ამ ბავშვურ თამაშში. და რაოდენ მშვენიერია მისი ეს თამაში და თავშექცევა. თვითული ციკლის დამთავრებით მისი ერთ-ერთი თამაშიც მთავრდება და რაღაც დროით სულმოთქმის პერიოდი დგება. მერე კი ისევ ახალი თამაში იწყება. რაც შეეხება განსაცდელს, გაჭირვებასა და უბედურებას, ყველაფერი იწყება მაშინ, როდესაც ჩვენ ვივიწყებთ, რომ ეს ყველაფერი თამაშია და რომ ამ თამაშში ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ. ვივიწყებთ რა ამას, გულში სიმძიმეს ვგრძობთ, სამყარო მთელი თავისი წარმოუდგენელი სიმძიმით გვთრგუნავს. მაგრამ საკმარისია თავიდან მოვიშოროთ სერიოზულობა, გავიხსენოთ, რა ხანმოკლე და ცვალებადი ცხოვრება, რომელიც მხოლოდ სცენაა, სცენა, სადაც ჩვენ, ვიღებთ რა მონაწილეობას ღვთაებრივ თამაშში, — ვთამაშობთ, რომ სიმძიმე უმაღლესად უკვალოდ გაქრება. ქმნის რა ღე-



დამიწას, მხეს, მთვარეს და ა. შ. ღმერთი თვითეული ატომით თამაშობს, თამაშობს ადამიანის გულებით, ცხოველებითა თუ მცენარეებით. ჩვენ მხოლოდ ფიგურები ვართ მის საკადრაკო დაფაზე, იგი ჩვენ გადაგვაადგილებს და ბოლოს გვყრის სა-თამაშო დაფიდან. ხან ისე გადაგვაადგი-ლებს, ხან ასე და ჩვენც, ვიცნობიერებთ ამას თუ არ ვიცნობიერებთ, მონაწილეო-ბას ვიღებთ მის თამაშში. ო, რა დიდი ნე-ტარებაა — იყო უფლის პარტნიორი!

მაგრამ ღმერთი შეიძლება სხვაგვარა-დაც გიყვარდეს: არა როგორც მამა, არა-მედ როგორც შვილი — ყმაწვილი. შეიძ-ლება ეს აზრი უცნაურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმას, რომ ღმერთის კონცეფცია ავტორიტარუ-ლობის ყოველგვარი წარმოდგენისაგან გა-ვათავისუფლოს. ავტორიტარულობა მო-წიწებას და შიშს იწვევს, სიყვარული და შიში კი შეუთავსებელია. მორჩილება და თავყვანისცემა აუცილებელია ხასიათის ფორ-მირებისას, მაგრამ, როცა ხასიათი უკვე ფორმირებულია, როცა ბხაკტამ უკვე განიცადა მშვიდი და წყნარი სიყვარული, როცა უკვე იგემა სიყვარულის შემლილო-ბა, იგი უკვე აღარ საჭიროებს მადისციპ-ლინურებულ ეთიკას. ბხაკტა ამბობს, რომ მისთვის სულერთია ძლევამოსილი, დია-დი, ყოვლად დიდებული ღმერთი, სამყა-როს მეუფე, ღმერთი ღმერთებისა. იგი თავყვანს სცემს ღმერთ—ყმაწვილს, რათა თავიდან მოიშოროს წარმოდგენა ღმერთ-ზე, როგორც უძლიერესსა და შიშის მო-მგვრელზე. დედა და მამა არ განიცდის შვილის წინაშე შიშს, რიღსა და მოწიწე-ბას. მისთვის შეწყალების თხოვნა მათ აზ-რადაც არასოდეს მოუვათ. პირიქით, სწო-რედ ბავშვი ღებულობს ყოველთვის რაღა-ცას მშობლებისგან, ხოლო მშობლები მზად არიან თუნდაც ათასჯერ გაწირონ თავი შვილის სიყვარულისათვის. ათასი სიცო-ცხლევ რომ ჰქონდეთ, ათასჯერვე სიხარუ-ლით გასცემდნენ შვილის გამო და ღმერ-თიც ამიტომ უყვართ საკუთარი შვილი-ვით. ღმერთი-ყმაწვილის, ღმერთი-შვილის იდეა ჩნდება და ბუნებრივად ვითარდება

რწმენის იმ რელიგიურ სექტებში, რომ-ლებიც ღმერთის განსხეულებას აღიარე-ბენ. მუსულმანს არ შეუძლია წარმოიდ-გინოს ღმერთი-შვილი, ღმერთი-ყმაწვილი. თვით ამ აზრსაც კი უკეთესი შექმნილებული უკუაგდებს. მაგრამ ქრისტიანებში ინდუ-სები ადვილად აღიქვამენ ამას, ვინაიდან ერთისათვის არსებობს ყრმა იესო, ხოლო მეორისათვის — ყმაწვილი კრიშნა. ინდო-ელი ქალები ხშირად თავის თავს კრიშნას დედასთან აიგივებენ, ასევე ქრისტიან ქა-ლსაც შეუძლია წარმოიდგინოს, რომ იგი ღვთისმშობელია, რაც დასავლეთს მისთ-ვის ესოდენ აუცილებელ დედობის ღვთაე-ბრიობის კონცეფციას მისცემდა. ღმერთ-თან დაკავშირებულმა ცრურწმენებით გა-მოწვეულმა შიშმა ძალზე ღრმად გაიდგა ჩვენს გულებში ფესვი და წლებია საჭი-რო, რათა ღმერთის შესახებ ეს წარმოდ-გენები, რომელიც მოწიწებას, რიღს და დამცირებულობას შთაგვაგონებს, სიყვარუ-ლში ჩავახრჩოთ.

არსებობს კიდევ ერთი ადამიანური წა-რმოდგენა ღვთაებრივი სიყვარულის იდე-ალის შესახებ, რომელსაც **მადხურა** ეწო-დება და რომელიც უმაღლესია ამ სახის წარმოდგენებს შორის, ვინაიდან იმ მიწიე-რი უმაღლესი და ყველაზე ძლიერი სიყ-ვარულის გამოვლენა უდევს საფუძვლად, რაც კი ადამიანისთვისაა ცნობილი. რომელი სიყვარული გარდაქმნის ადამიანს, რომელი სიყვარული ავსებს თვითეულ ატომს მისი არსებისას, უკარგავს გონე-ბას, მიჰყავს თავდავიწყებამდე. ღმერთად ან ეშმაკად აქცეეს, რომელ სიყვარულს შესწევს ძალა ყოველივე ამისა, თუ არა სიყვარულს კაცისას და ქალისას? ღვთაე-ბრივი სიყვარულის ამ ნაზ წარმოდგენა-ში ღმერთი ჩვენი მეუღლეა. ჩვენ ყველანი ქალები ვართ, ქვეყანად არ არსებობს მა-მაკაცი, გარდა ერთისა და ეს ერთი ჩვენი ღვთაებრივი მიჯნურია. ხოლო მთელი ის სიყვარული, რასაც მამაკაცი ქალს და ქა-ლი მამაკაცს უძღვნის, მხოლოდ ღმერთი-სადშია მიმართული!

მაგრამ სიყვარულის ის სხვადასხვა გა-მოვლენა, რაც კი ამქვეყნად ჩვენთვისაა



ცნობილი და რითაც ჩვენ მხოლოდ ვთამაშობთ, არსებითად ღმერთს ეკუთვნის, იგი ღმერთისაა. სამწუხაროდ, ადამიანი არ იცნობს სიყვარულის იმ უკიდევანო ზღვას, საითაც სიყვარულის უძლიერესი ნაკადი მუდმივად მიისწრაფის და ამ თავისი უცოდინრობის გამო ცდილობს სიყვარულის ობიექტად ადამიანები — ნამცეცა თოჯინები გაიხადოს. უსაზღვროა ბავშვის მიმართ სიყვარულის ძალა, იგი ბუნებრივია ადამიანისათვის, თუმცა არა პატარა ადამიანისათვის. და თუ ამ სიყვარულს მშობლები ბრმად და დაუფიქრებლად მხოლოდ ბავშვზე გადმოაფრქვევენ, ისინი უთუოდ დაიტანჯებიან ამის გამო, მაგრამ ეს ტანჯვა თვითიუღს იმის შეცნობაში დაეხმარება, რომ სიყვარული, რომლითაც იგი აღსავსეა, თუ მხოლოდ ადამიანებს ეძღვნება, შეუძლებელია ბოლოს ტანჯვისა და ტკივილის მიზეზად არ იქცეს. ჩვენი სიყვარული იმისკენ უნდა იყოს მიმართული, ვინც არ კვდება, ვინც არ იცვლება არასოდეს, ვისი სიყვარულის ოკეანეშიც არც მიქცევა იცის, არც მოქცევა. სიყვარული იმისადმი უნდა იყოს, ვისთვისაცაა განკუთვნილი, იგი იმ სიყვარულის ოკეანეში უნდა ჩაიღვაროს, რომელსაც სახელად ღმერთი ეწოდება. ყველა მდინარე ზღვაში ჩადის, კლდიდან შოწანწკარე წვეთიც კი, მას შემდეგ, რაც ნაკადულს ან მდინარეს შეუერთდება, მოძრაობას განაგრძობს და ბოლოს და ბოლოს ისიც ოკეანეს უერთდება. ღმერთი ჩვენი ვნებებისა და გრძნობების ერთადერთი მიზანია. თუ თქვენ გაბრაზებული ხართ — იმას გაუბრაზდით — გაებუტეთ თქვენს მიჯნურს, თქვენს მეგობარს. კიდევ ვის შეიძლება ასე გაუბრაზდეთ და გაებუტოთ დაუსჯელად. ასე უსიტყვოდ მოკვდავი არასოდეს მოითმენს თქვენს ჭირვეულობას და ადრე თუ გვიან მაინც გაგცემთ პასუხს. თუ თქვენ ჩემზე გაბრაზებული ხართ, მეც გაუბრაზდები თქვენზე, ვინაიდან არც მე შემიძლია თქვენი გაბრაზება ავიტანო. შეყვარებულს კი შეიძლება უთხრა — რატომ მიმატოვე, რატომ უნდა ვიტანჯებოდე ასე მართლობაში?

სხვით ვისით შეიძლება გახარებული იყო თუ არ მისით? რა სიხარული შეიძლება მოგანიჭოს ძტვრის კუბდამ? დაეძთელი ჩვენი ვნება და განცდები/მისადმი იყოს მიმართული. იგი ხომ სწორედ ამისთვისაა განკუთვნილი, რომ ნაიღიდან თუ ჩვენი ვნებები და გრძნობები დაბრუნდეს სიმაღლეს ვერ მიაღწევს, თუ იმისკენ მივმართავთ, რაც დაბლაა, ეს მათ მანკიერს გახდის. მაგრამ თუ იგი ღმერთისადმი იქნება მიძღვნილი, თვით ყველაზე მდაბალი გრძნობები, ხდება რა ამაღლებული, გარდაიქმნება. რაშიც არ უნდა გამოავლინოს ადამიანის სხეულმა და გონებამ თავისი ენერჯია, ერთადერთი წერტილი, საითაც ეს ენერჯიაა მისწრაფებული, ყველა შემთხვევაში მხოლოდ ღმერთია. სწორედ მისადმი უნდა იყოს მიძღვნილი ადამიანის გულის ყველა გატაცება, რამეთუ სწორედ ის არის ერთადერთი მიჯნური. ის არის ყველაზე მშვენიერი და ამაღლებული — იგი თავად არის მშვენიერება და სილამაზე, თავად არის ზემადალი სიდიადე. ვინაა უფრო მშვენიერი მთელ სამყაროში? ვინ იქნება მასზე უკეთესი მეუღლე? მასზე მეტად ვინ იმსახურებს სამყაროში სიყვარულს? ჰოდა, დაე სწორედ ის იყოს შენი მიჯნური, ის იყოს შენი მეუღლე.

მაგრამ ღმერთზე შეყვარებულები ხშირად თავიანთ ღვთაებრივ სიყვარულს ადამიანური სიყვარულის ენით უმღერიან მთელი მისი ასპექტებით და მიაჩნიათ, რომ ამ ენას მათი გრძნობების გამოხატვა შეუძლია. ამ ბრყევებს არ უსმით ეს და ვერც ვერასოდეს გაიგებენ, ვინაიდან სამყაროს მხოლოდ ფიზიკური თვალთახედვით უყურებენ მათთვის გაუგებარია სულიერი სიყვარულის სიგიჟე. აბა საიდან? „შენთა ბაგეთა ერთი კოცნისათვის ო, მიჯნურო ვისაც კი შენი კოცნა უგემია, შენდამი ვნების საუკუნო ცეცხლშია გახვეული და — არ არსებობს მისთვის სხვა სევდა, მას არაფერი ახსოვს შენს გარდა!“

მაგრამ კვამარიტი ბნაკტა არ ჩერდება ამაზე: მის ვნებას თვით ცოლ-ქმრული სიყვარულიც კი არ აკმაყოფილებს — მას უკანობო სიყვარულის იდეა იტაცებს. მა-



გრამ არა მისი უკანონობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მასში მეტია ვნება: ეს ხომ ის სიყვარულია, რასაც დაბრკოლება კიდევ უფრო ძლიერად უკიდებს ცეცხლს. ბხაკტა თავის თავს იმ ასულად მიიჩნევს, ვინც იმ სიყვარულის ცეცხლით იწვის, რომლის ობიექტიც მიუღებელია მისი მშობლებისათვის, მაგრამ რაც უფრო მეტია დაბრკოლება სიყვარულის გზაზე, მით უფრო იზრდება და ძლიერდება მისი სიყვარული. ადამიანის ენას არ ძალუძს იმ მკზნებარე სიყვარულის გადმოცემა, რა სიყვარულითაც კრიშნა ვრინდას კორომებში უყვართ. როგორ მოფრინავენ მისკენ მარად კურთხეული მწყემსი ქალები, როგორ მოისწრაფიან მისი ხმის გაგონებაზე, როგორ ივიწყებენ ყველაფერს, ივიწყებენ მთელ ქვეყნიერებას მთელი მისი პირობითობებით, ივიწყებენ მოვალეობას, ივიწყებენ ყველა სხვა სიხარულსა თუ მწუხარებას. ადამიანო! ო, ადამიანო! შენ ლაპარაკობ ღვთაებრივ სიყვარულზე და თან არც ამაოებას ივიწყებ, ხარ კი განა შენ გულწრფელი?

როდესაც მიღწეულია სიყვარულის უმაღლესი იდეალი, ფილოსოფია საჭირო აღარ არის. გათავისუფლება, ხსნა, ნირვანა... აქ უკვე აღარაფერია საჭირო. განა ვინმე მოისურვებს, ღვთაებრივი სიყვარულით მონიჭებული ბედნიერებისაგან გათავისუფლდეს?

„უფალო, არ მინდა სიმდიდრე, არ მინდა მეგობრები, სილამაზე, არ მინდა განსწავლულობა, არ მინდა თვით თავისუფლება კი — დამბადე ისევ და ისევ და იყავი მუდამ ჩემი სიყვარული. იყავი ჩემი მიჯნური უკუნისაღმდეგ!“

ბხაკტა კითხულობს:

„ვის სურს შექრად იქცეს? მე არ მინდა შექრობა, რამეთუ მინდა თავად ვგრძნობდე სიტკბოს მაქრისას“.

განა მოისურვებს ვინმე გათავისუფლდეს და ღმერთთან შეერთდეს?

„მე შემძლია შევიცნო, რომ იგი და მე ერთი ვართ, მაგრამ მე მას ვშორდები, რათა მიჯნურთან ურთიერთობით დავტკბე“.

ასე ამბობს ბხაკტა. სიყვარული სიყვარულისათვის — აი, რაშია მისი ყველაზე დიდი სიხარული: მიჯნურთან ურთიერთობისათვის ვინ არ იქნება თანახმა თუნდაც ათასჯერ იეცეს მონადირე, მონადირე ალელვებს, გარდა სიყვარულისა, სიყვარულით, რათა უყვარდეს და უყვარდეთ. მისი არამიწიერი სიყვარული მდინარეზე ახვირთებულ, მოხეთქილ ტალღას ჰგავს, ბხაკტა დინების საწინააღმდეგოდ მიდის და ქვეყანა მას შემლილს ეძახის. მე ვიცი ერთი ადამიანი, შემლილს რომ დაუძახებდნენ, ასე პასუხობდა:

„მეგობარნო ჩემო, განა მთელი სამყარო არ არის შემლილი. ზოგი მიწიერი სიყვარულისთვის გიჟდება, ზოგი დიდებისა და ძალაუფლებისათვის, ზოგი ფულის მოხვეჭაზეა გადასული, ზოგი კი იმაზეა შემლილი, რათა იხსნას საკუთარი სული და სიკვდილის შემდეგ ზეცაში დაიმკვიდროს სასუფეველი. პოდა, მეც ერთი შემლილი ვარ ამ საგიჟეთში — მე ღმერთის სიყვარულით ვარ შემლილი. თქვენ ფულისაკენ მიისწრაფით, მე — ღმერთისაკენ. თქვენც ისევე ხართ შემლილები, როგორც მე, მაგრამ უკეთესი, მე მკონი, ჩემი შემლილობა“.

ნამდვილი ბხაკტას სიყვარული უსაზღვროა, მის წინაშე ყველაფერი ფერმკრთალებდა, სხვა მისთვის აღარაფერი არსებობს. მის თვალში მთელი სამყარო სიყვარულით არის სავსე — მხოლოდ სიყვარულით. ასეთი სიყვარულით სავსე ადამიანი კი მუდამ ნეტარი და ბედნიერია. მხოლოდ ნეტარი სიყვარულით გამოწვეულ ნეტარ შემლილობას ძალუძს ჩვენი სამყაროს მანკიერებათა განკურნება. არ არის ბხაკტაში სურვილები, მაშასადამე, მასში არც თავისი თავის სიყვარულია. იგი ღმერთს მიუახლოვდა და მოიშორა ყოველივე ის ამაო, რითაც ადრე ასე სავსე იყო.

ჩვენ უნდა შევიდეთ სიყვარულის რელიგიაში, როგორც დუალისტები: მართალია, ღმერთი ჩვენთვის განსაკუთრებული არსებაა, მაგრამ თავს მისგან განცალკევებულად ვგრძნობთ. ხოლო იმისდა მიხე-



დვით, თუ როგორა ვართ პირთამდე სი-  
ყვარულით საფსე, ჩვენ ღმერთთან მიახ-  
ლოებას ვიწყებთ და ღმერთი ახლობელი  
ხდება ჩვენთვის. ადამიანს თავის სიყვა-  
რულის იდეალზე — ღმერთზე გადააქვს  
სიყვარულის გამოვლინების ის ფორმები,  
რაც ცხოვრებაშია, მისთვის ჩვეული — ეს  
არის დედის, მამის, შვილისა თუ მეგობ-  
რის სიყვარული, ეს არის მზრძანებლისა-  
დნი თავდადება და ტრფიალება. ბხაკტა-  
სათვის ღმერთი არსებობს სიყვარულის  
ყოველ გამოვლინებაში. მაგრამ შემდეგ  
იგი თანდათან მაღლდება და იმ უმაღლეს  
წერტილს აღწევს, საიდანაც თავის თავს

სიყვარულის საგანთან სრულ შერწყმაში  
ხედავს. ჩვენ ყველანი საკუთარ თავის სი-  
ყვარულით ვიწყებთ და საკუთარი თავის  
ჩვენი ეს სიყვარული თავით სხვებისადმი  
ჩვენს სიყვარულსაც შევფიქრებთ მოყვა-  
რულს ხდის. მაგრამ ჩვენს სხვაობას  
ჩვენ ვხედავთ კაშკაშა სინათლეს და ვიცნო-  
ბიერებთ, რომ ჩვენი პაწაწა „მე“ შეუერ-  
თდა უსასრულოს. ადამიანი გარდაისახა  
სიყვარულის ამ კაშკაშის წინაშე და გაიც-  
ნობიერა მშვენიერი და აღმამფრენი ჭეშ-  
მარილება — ის, რომ სიყვარული, შეყვა-  
რებული და მიჯნური — ერთია, ერთი  
მთლიანობაა.





იუმორი



თარგმნა ზრიგოლ სიხარულიძემ

უკრაინელი კლასიკოსის, სატირიკოს-იუმორისტის ოსტაპ ვიშნიას (პავლო გუბენკო — 1889-1956) სახელი კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. მისი ნაწარმოებები არაერთხელ ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულად. წინამდებარე მოთხრობები ამოკრეფილია წიგნიდან „მხიარული მოთხრობები“. მიუხედავად ხალისიანი სათაურისა, მკითხველი ადვილად მიხვდება, რა ნაღველითაც არის შეზავებული სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, იმ ავად მოსაგონარ წლებში შერისხული და ციმბირის ბანაკებგამოვლილი მწერლის იუმორი.

მონადირეობა

უჰ, რა მიმზიდველია დანისლული ტბები! უჰ, რა ლამაზია დონისპირა მინდორ-ველები! ისლისა და ვორსკლის ქალები! აბა, რა შეედრება შრიალა ტყეებს, ატეხილ ყანებს!

ღმერთო ჩემო, ვინ შექმნა ესე ყოველი?! ვინ მოიგონა გარეული იხვი, სული ვინ შთაბერა კურდღელსა თუ მელისა?!

იცით კია, რა მოსდის კაცს ყოველივე ამებებისაგან?

იმ კაცზე მოგახსენებთ, თავის ყოფასა და ყოველდღიურობაში არაფრით რომ არ გამოირჩევა, მაგრამ ყოველ შაბათს ან რაიმე დღესასწაულის წინაღლით რომ იგი (სწორედ ის კაცი) წრიალეებს, სკამზე ვერ ისვენებს, წამდაუწყუმ საათისკენ გაურბის თვალი, მერე კი ცდილობს ყველასაგან შეუმჩნეველად, ქურდულად დასწვდეს საკუთარ ქუდს, რათა როგორმე გამოაღწიოს დაწესებულებიდან!

მერე თავქუდმოგლეჯილი გარბის ეს კაცი შინისაკენ, თოფს, ფალასკასა და ჩანთას ზურგზე მოიგდება, ძაღლს სა-

ბელს შეაბამს და, ჰაიდა! — უკან მოუხედავად გარბის სადგურისაკენ: მატარებელი ხომ ზუსტად ოთხ საათზე ჩამოდგება!

და არ არსებობს ქვეყანაზე ძალა, ის კაცი რომ შეაჩეროს, რამეთუ... უსაზღვროდ მაცდუნებელია დანისლული ტბები! აჰ, ტყეები! უჰ, უკიდუგანო ყანები! ოჰ, გარეული იხვები! ეჰ, ეს კურდღლების...

ვინაიდან და რადგანაც ის კაცი მონადირე გახლავთ!

ხომ გაგიგონიათ, ქალმა თუ გაიწიაო... პოდა, ისიც კი უძღლურია ამ შემთხვევაში. აბა, თუ ქალი ხარ, მიდი და აჯობე დანისლულ ტბებს, ტყეებსა და უკიდუგანო ქალებს!..



— ივან პეტროვიჩ, შაბათს მივდივართ?

— თავი თუ დავაღწიე, წავალთ!

— თავი რას უნდა დააღწიო?

— ოჯახობას. გადამალა იმ შეჩვენებულმა თოფი.



— რას მეუბნები, ადამიანო, მართლა ველარ წამოხვალ?

— არც მთლად ეგრეა საქმე, ბიჭს ათშაურიანი მივეცი, დედაშენმა სადღაც შეჩურთა თოფი, მომიძებნე და საიმედო ალაგას გადამალე-მეთქი! ისეთი მამაძაღლია, უსათუოდ იპოვის და წავალთ კიდევაც.



დიდი ძალა აქვსო, სწორედ ნადირობაზე ითქმის! რაო, ეჭვი ხომ არ გეპარებათ? მაშ, მისმინეთ! აი, თქვენ მატარებელში ზიხართ და ოცნებაში წასულის სამიზნეზე მამალი იხვი გიზით, ამ დროს კი კარი ღრჭიალით იღება და ვაგონში დარბაისელი მამაკაცი შემობრბის, ერთიანად ოფლში გახვითქული.

— ძმებო, თოფი, სავაზნე და ჩანთა გამომართვით ჩქარა, მე კი სკამქვეშ შევძვრები! ჩემო მხსნელებო, ძუკნაც გყოლიათ, ახლო მომისვით და მომაფარეთ, თორემ გამომათრევს!

— რა გამოგათრევს?

— ცოლი გამომათრევს, ცოლი მომდევს!

და როცა ვაგონში ის არსება შემოიჭრა, რომელსაც ის დარბაისელი მამაკაცი უნდა „გამოეთრია“, ერთმა ბებერმა მონადირემ, სწორედ იმან, დათვებს კნუტებივით რომ ხოცავდა, პირჯვარი გადაისახა და შეშინებულმა ძლივს ამოღერდა:

— ვეფხვიც მინახავს, აფთარიც შემხვედრია, მაგრამ ასეთ საშინელებას არასოდეს შევსწრებივარ. ჩემი ბებრუცუნა კაი ხანია მიიცვალა, აცხონოს ღმერთმა, ჰოდა, გადავეჩვიე ამგვარ ხაზბარს!

უპ, რა მშვენიერია დანისლული ტბები!



ჰეი, მეგობარო, თქვენ ჯერ კიდევ არა ხართ მონადირე? მერედა, რაღას უცდით? მარტო ხარკივშიჩინაში უკვე

ცხრა ათასი მონადირეა, თქვენ კი აქამდე არ ჩაწერილხართ? ვაი, სირცხვილო! ჩაეწერეთ, ეს ხომ არც ისე ძნელია! მონადირე რომ გახდეთ, ამისათვის აი, რა არის საჭირო:

1. დასაკეცი ალუმიანის სირსაქა
2. მათარა, ასე, არანაკლებ ერთი ლიტრი ტევადობისა.
3. სამონადირეო ძეხვი, ორიოდ გირვანქა მაინც.
4. ფალასკა.
5. მონადირის ჩანთა.
6. ზურგჩანთა.
7. მონადირის ჩექმები. ჭიპამდე მაინც უნდა გწვდებოდეს.
8. ღვედი — კურდღლის ჩამოსაკიდად.
9. თხელი ტყავის მარყუჟიანი საკიდები — გარეული იხვებისათვის.
10. ჰილზების დასატენი.
11. ჰილზების თავის მოსახვევი.
12. დენტისა და საფანტის სარწყავი.
13. მონადირის მოწმობა.
14. თოფი. თუმცა თოფი მაინცდამაინც არც არის სავალდებულო, თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ თქვენ, შესაძლოა, მარცხი მოგივიდეთ — საკუთარი თავი ან ამხანაგი დაჭრათ ფეხსა თუ თავში.

ეს ყველაფერი ტანზე უნდა აისხათ და ისე გაემართოთ სანადიროდ. ხოლო როცა მოგვიანებით შეგეკითხებიან, აბა, გვითხარი, რა მოინადირეო, შეგიძლიათ ასეც უპასუხოთ: ოთხიოდე ბოთლი დავცალეთ, მერე კი ცარიელ ბოთლებზე სროლაში გავეჯიბრეთ ერთმანეთს-თქო.

აი, ამის მერე თქვენ ჭეშმარიტი მონადირე გვთქმით... და უკვე აღარ გამოირჩევით ყველაზე გამოცდილ მონადირეთა ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტისაგან მაინც!



სეზონის გახსნა

ისე, რომ ვთქვათ, სანადირო სეზონა ორჯერ იხსნება ხოლმე წელიწადში: ფრინველზე — აგვისტოში, ნადირზე — ნოემბერში. მაგრამ ტრადიციულად მონადირეები მას ზაფხულის ბოლო თვეს ზეიმობენ, როცა დიდი ხნის შესვენების შემდეგ თქვენ ისევ წასწვდებით საყვარელ თოფს და შესაძლებლობა გეძლევათ, ასე ვთქვათ, არა მარტო შეივსოთ სასურსათო რესურსები და დაეხმაროთ სახელმწიფოს ზორცის დამზადებაში, არამედ დაიკმაყოფილოთ სულიერი მოთხოვნილებაც როგორც ბუნებისმეტყველმა, ბუნებისავე მოყვარულმა და სპორტსმენმა.

ნადირობა, როგორც ხედავთ, უმნიშვნელო რამ როდია, ის მეტად საჭირო საქმეა, მით უფრო ისეთი მოქალაქეებისათვის, როგორიც ჩვენა ვართ...


სეზონის გახსნა...  
რამდენი საზრუნავი, მღელვარება და დაძაბულობა ახლავს მას: ვერ მოისვენებთ, სანამ თოფს არ გააწყობთ, პატრონტაშს, ტანსაცმელს, ზურგჩანთასა და სირჩას არ მონახავთ, — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც აუცილებელია სერიოზული, ბარაქიანი ნადირობისათვის.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საით აპირებთ წასვლას? ვისთან ერთად?



საით აპირებთო? ამას ასე უცებ როგორ გადაწყვეტ, როცა დღეს გეუბნებიან:

— ბორიშპოლის ახლოს, ტბებზე იხვი მოზღვავებულა, ბუხებივით ირევიან! დაიჯერებ? იქაურობა იხვით ისეა გაქედილი, ერთმანეთზე შემჯდარნი დაცურავენ. გუშინ იქიდან ჩვენგან გათხოვილი ქალი ჩამოსულა, უთქვამს, დედამთილის ნათლიამ თქვაო, ნათლიამის დედაკაცს გაუგონია თურმე მძახლისაგან, თავისი თვალით უნახავს როცა კანაფს ალბობდა, იმდენი იხვია, იმ-

დენი, ნემსიც აღარსად ჩაფარდებამო! წავიდეთ, პა?!  


— წავიდეთ, ოღონდ ესაა, ძილსები მაქვს ცოტა.

— რა ჯანდაბად გიხდა შეტი? მარშან ერთი პატრონტაშით ოცდაოთხი იხვი დახოცეს. ხუთი — ეს უკვე ას ოცა ცალია. სულ მამლები ყოფილან. მძიმე კია დალოცვილი, ას ოცი ცალის მეტს ვერც ასწევ!

მეორე დღეს კი გაიგონებთ:  
— საით?  
— ბორიშპოლისაკენ ალბათ.  
— ბორიშპოლიო? რას ამბობ, კაცო? როდის იყო, იხვი ხმელეთზე დაცურავდა?

— როგორ თუ ხმელეთზე?  
— როგორ და, ტბები დამშრალა! მთელი გაზაფხულ-ზაფხული ისე მიილია, ერთხელაც არ სმენიათ ვახვახი. კი, ადრე გაზაფხულზე კაი ბლომად მიფრენილან იქ, მერე გადაუფიქრიათ — უტრიალიათ, უტრიალიათ და გეზი ნოსოვკისაკენ აუღიათ. გაგიგონიათ ნოსოვკა?

— გამიგონია.  
— გაზაფხულდება თუ არა, მთელი მარცხენა ნაპირის უკრაინის იხვი სწორედ იქ იყრის თავს. ნამდვილი სტიქიური უბედურებაა: მოედებიან ნათესებს და ერთიანად ავერანებენ. მღელვებზე იმდენი ბუდეა, ბალახს წვერი ვერ ამოუყვია! ბუდე ბუდეზეა მიკრული. რა ქნას ბალახმა? გლებები თავში ხელს იშენენ, პირუტყვი რით გამოგვევებოთო. თუ წავალ, ისევ ნოსოვკაში, სხვაგან არსად!

— კარგი, ნოსოვკაში წავიდეთ! კიდევ ერთი დღის მერე კი:  
— გამარჯობა, მზადა ხარ?  
— მზადა ვარ!  
— იაგოტინში?  
— არა, ნოსოვკაში!  
— თფუ! ბაყაყებზე ნადირობას აპირებ?



— რის ბაყაყებზე, რა ბაყაყებზე?

— აბა, ბაყაყის გარდა რაა ნოსოვ-  
კაში? დამიჯერე. რა გვინდა იქ. იხვი თუ  
გინდა, იაგოტინში უნდა წავიდეთ. პო-  
პო-პო, რა იხვი ყოფილა იმ დალოცვი-  
ლში!..

ვისთან ერთად წავიდეთ?

ღმერთო, დიდებულო! განა მონადი-  
რეებში, იმ ადამიანთა შორის, ასე რომ  
უყვართ ტბისპირა წყნარი საღამოები  
და ლელქაშების ალერსიან შრიალში —

წყნარად, წყნარად, არ ისუნთქო,

არ გაგვიგოს ლელქაშებმაო... —

რომ ესმით, ან კიდევ, ჭალაში წყლის  
ბუღას ხმა ისევე რომ ელამუნება მათ  
ყურს, როგორც ქერა მეოცნებე ასუ-  
ლის გულს კოზლოვსკის რაკრაკა ლა-  
ლა, და მერე მთრთოლვარე გულში  
ექოსავით რომ უმეორდებათ წყლის  
წყნარი და იდუმალი ტლაშუნი, ტირი-  
ფის ან ზვინის ძირას აღარაფერი რომ  
არ ჩჩებათ უთქმელი და წამით გალუ-  
რსული მიდამოს მომაჯადოებელი სიმ-  
ღერა რომ აღვიძებს —

ჩემო ბედის ვარსკვლავო,

ამო, ამოანათე... —

განა ასეთ ხალხში გამოერევა თუნდაც  
ერთი კაცი, ვისთან ერთადაც სეზონის  
გახსნაზე არ წაისვლებოდეს?

... ვთქვათ, ივან პეტროვიჩთან ერ-  
თად წახვედით...

იგი ტირიფის საამო ჩრდილქვეშ  
მწვანე ხალიჩაზე ფეხმორთხმული უკვე  
მესამე სირჩის მერე იხსენებს თავის სა-  
ხელგანთქმულ გორდონს — ეჰ, სადღა  
ნახავთ ახლა ასეთ ძალღს! — ერთხელ  
უსიერ თხილნარში ნაბულზე შემდგარა  
ტყის ქათმის კვალთან და ისე განაბუ-  
ლა, რომ ვერც სასტვენითა და ვერც სა-  
ყვირით ვერ მოუცვლევინებიათ ფეხი.  
რალა ექნათ, მიუტოვებიათ ტყეში, ღამ-  
დებოდა უკვე. ივან პეტროვიჩი ერთი  
წლის მერე მიბრუნებულა იმ ადგილე-  
ბში — ძალღი, რა თქმა უნდა, ახსოვ-  
და, — შესულა იმ თხილნარში და...

— ვხედავ, დვას ჩემი გორდონის ჩო-

ნჩხი, როგორც დავტოვე, ნაბულზე შე-  
მდგარი და წინა თათაწეული! აი, ძალ-  
ღი იმას ერქვა! დააკვდებოდა ნაბულს!  
აღარც მინახავს ისეთი მეძინარე, გავუ-  
ჩრიდი კბილებში წერტილსა და ფულს:  
„ჭეკა, აბა, სწრაფად მიუფრე კარაყი!“  
და რალაც ნახევარ საათში მოფრინდე-  
ბოდა არაყიანად. თლონდ ზედმეტი არ  
უნდა მიგეცა: უსიკვდილოდ დაამლე-  
რებდა.

... სადღაც, შორს ღალღა თვისტომს  
უხმობს, ისმის მწყურის ქვითქვითი, მე-  
რე ყველაფერი მდუმარებაში იძირება,  
თითქოს უფსკრულში მიეჭანები და ხე-  
დავ, პატრონის ხურდის იმედად ჭეკი  
სუფრას შემოჯდომია და ქეიფობს...

... ხოლო თუ პეტრო ივანოვიჩს წაპ-  
ყვებით, მისი მონათხრობით შეიტყობთ,  
რომ ცხოველებზე ნადირობა უფრო  
უყვარს, ფრინველზე კი — ისე რა —  
ჩვეულების გამო თუ წასძლევს სული...  
პეტრო ივანოვიჩი მდევერების მოტრფი-  
აღეა. მერედა, რა ძუენა ჰყავს! — ფლე-  
იტა! პო-პო, რას დარბის! ბარე ორი  
თვე სდია მგელს. თავიდანვე ეშინოდა  
საცოდავს. როცა მგელს პირველად გა-  
დააწყდა, მყისვე ბილიკზე ისკუპა მიტ-  
კალივით გაფითრებულმა. ერთხელ თო-  
თხმეტი მგელი დაგვედევნა მე და ფლე-  
იტას.

— რას ამბობთ, პეტრო ივანოვიჩ?  
მართლა თოთხმეტი იყო?

— ფლეიტაც დამიმოწმებს: ორივე  
რუხი იყო!

... პილიპ ფედროვიჩი ერთ ბებერ  
ბულალტერზეც გიამბობთ. ბერიკაცს  
სიბეცე ხელს როდი უშლიდა თურმე,  
ნადირობის ტრფიალი რომ ყოფილიყო.  
რალას არ უგონებდნენ იმ საცოდავს,  
ერთხელ კურდღელს გამოკიდებია თუ-  
რმე სროლით. კურდღელიც გულგამ-  
გმირავე „მიაუ-მიაუუს“ ჩხავილით ტე-  
ლეგრაფის ბოძს წვერზე მოქცევია, და-  
ფეთებულ ბულალტერს კი თოფი ხე-  
ლიდან გაუგდია და „ღმერთო შენ მიშ-  
ველეს“ ბუტბუტით ბარე სამი კილო-



მეტრი ურბენია თავქუდმოგლეჯილს...

— ვერ მიხვდით? მე ჩამოვაცვი კატას კურდღლის ტყავი და ტელეგრაფის ბოძთან დავსვი, გზის პირას, სწორედ იქ, სადაც იმ საცოდავ ბულალტერს უნდა გაევლო...

— ეს კიდევ არაფერი! — განაგრძობს პილიპ ფედროვიჩი. — ერთხელ მოკლულ კურდღელს წარწერიანი ქალღალდი მივამაგრეთ და ბუჩქთან დავმალეთ, მერე კი ის ბეცი პირდაპირ კურდღლისაკენ გავუშვით. ბულალტერმა ორივე ლულა დაცალა, მერე მიიბინა, ის მკვდარი კურდღელი გადააბრუნა და წარწერაც წაიკითხა: „რა დაგიშავე?“ საწყალი კინალამ გადაჰყვა იმ საყვედურს, ჩვენ კი ლამის სიცილით გავიგუდეთ.

... განა თქვენც არ იხარხარებთ, როცა იმ მოხუცს მოუსმენთ, ოდესღაც, ახალგაზრდობაში, უთოფოდ, შინ ყოველთვის იხვებით დატვირთული რომ ბრუნდებოდა?

— რას ამბობთ?

— რას ვამბობ და, მდინარის მოსახვევში მუდამ ყრია იხვი. პატარა კუნძულთან მიცურდები და ლელქაშებში ჩაიძალები. ხომ იცი, ვინმე უსათუოდ მოვა დამჯდარ იხვზე სანადიროდ. ჰოდა,

ხედავ, ეპარება, ეპარება და — ბა-ბან! ახლა შენ რაც ძალი და ღონე გაქვს უნდა დაიყვირო: „მი-შვეე-ღეეთ!“ ერთი განახათ, რას მოუსვენებს ის მენი თოფიანი მონადირე, ფიქრობს ან მოვკალი ვილაც, ან დავჭერე თქვენი იხვი, იხვებს აკრეფ და, ჰაიდა, შინისაკენ...

... ცას ვარსკვლავი მოწყდა... ჩაიყურყუმელავა წყლის ვირთხამ... ავახვანდა წანათვლემი დედალი იხვი... დაიწრობინა ლელიანის ბელურამ... სადღაც შორს ორთქლმავალმა იკივლა...

თქვენ კი წევხართ და ფიქრით იმ ხალხს ეხმიანებით, ახლა მთელ დედამიწაზე რომ ნადირობენ: არქტიკასა და ანტარქტიკაში — გრენლანდიის ვეშაპებზე, ტაიგაში — ციყვსა და დათვზე, ტუნდრაში — თეთრ მელაზე, პოლარულ ზღვაზე — მორეზე, ჯუნგლებში — ვეფხვზე, ცხელ აფრიკაში — ლომზე...

ჰოდა, ხელთ გიპყრიათ მთელი დედამიწა...

დღე და ღამე იყრება...

— ფრ-ფრ-ჩრ-ჩრ! — ჰაერი გაჰკვეთა იხვინჯამ.

— ბა-ბან!

პირველი გასროლა...

და ნადირობის სეზონიც გახსნილია!

## მწყერი

დიდებული ფრინველია. მოჩაღისფრო ბუმბულზე შავი წინწკლები ისე უხდება, ხატავს პირდაპირ! ციციქნა ქათამია, რაღა! გამოჩეკს ყვითლად შეღიწლულ ჩოჩრებს, პაწაწკინტელა მწყერუკუნებს და თან დაჰყავს კრუხუნით.

ო, შენ ჩემო პაწაწინა დედა-კრუხო! მითხარი ერთი, რანაირად კრუხუნებ, როცა თვითონ წიწილასხელა ხარ?

კი კრუხუნებ და! ნამდვილად კრუხუნებს, მტერსაც ეძგერება, თუ იგი მის შვილიკოებს დაემუქრა...

ასეა: დედა დედაა, ის დედაა, ჩვენი შვილები ასე რომ უმღერიან:

სად იყავი, სად იყავი, ჩემო  
მწყერუკელა,

სად იყავი, სად იყავი, შე  
პაწაწკინტელა.

აი, ისიც — ერთი ციდა,  
დააფრინდა მიწას ციდან...

უყვარს ჩვენს ხალხს მწყერი: პატარასაც და დიდსაც.

აი, მაგალითად, მიდის მინდორში საზრუნავით ყელამდე სავსე არტელის თავმჯდომარე. ქალა უსკდება ფიქრებისაგან:

— გაითუფ ფარცხვა არ დაამთავრეს.



— ვაითუ საშემოდგომო ხორბალში კულტივატორს არ გაუვლია.

— მიუშვეს კი რეკორდსმენ რეზედაზე წმინდასისხლიანი სიმენტალი ცეზარი?

— გოჭები ხომ არ დაყარა მატყლდამ?

— აბა, თუ გააგზავნეს რაიმეწიგანში ერთი კასრი მყავე კიტრი?

— რაიმეწიგანიდან კიდევ თუ გამოგზავნიან მყავე კომბოსტოს?

— უვნებლად თუ ჩააღწია რაიმეილიციაში გოჭმა?

— რამენაირად არ დამავიწყდეს, ხვალ ანა ივანოვნას რაიონში გავუგზავნო ორმოცდაათი ცალი კვერცხი.

— მოამზადა კი ნამცხვარი ოლენამ ხვალისთვის? დარეკეს, რომელიღაც კომისია ჩამოდის იმ კომისიის მუშაობის შესამოწმებლად, წინა კომისიის მუშაობა რომ შეამოწმოს.

და უცებ პურის ყანიდან სტაკატო:

— ქვით-ქვით-ქვით!

— ქვით-ქვით-ქვით!

— ქვით-ქვით-ქვით!

თავმჯდომარეს შუბლზე ნაოჭები უჭრება, თვალში სინათლე ემატება, სახე უბრწყინდება, ღიმილი ბაგეს უკობს, ჩერდება და ითვლის:

— ერთი! ორი! სამი! ოთხი! რაჰ, რას მღერის, ეშმაკის ფეხი როგორ უხმობს, რანაირად ეძახის!

ჰოდა, თავმჯდომარის თავმაც დაისვენა.

უყვარს ჩვენს ხალხს მწყერი მაშინაც კი, როცა ის, ვალიაში გამომწყვდეული გულისსწორს უხმობს! უყვარს ჩვენს ხალხს მწყერი მაშინაც, როცა ბაზარი სავსეა ამ შესანიშნავი ფრინველით, როცა იგი შემწვარ-მოხრაკული დევს სუფრაზე, კოხტა წინსაფრიალი დიასახლისი კი პურსა ჭრის.

დიდებული ფრინველია!

\* მამაკაცის ზედა ტანსაცმელია.

\* უბნის სახელია.



„სალამოა.  
დადგა ღამეც...“

დაე მომიტევეს პავლო გრიგორის-დე ტიჩინამ, ფრაზას ჩემს ცხოველსებზე; ამას განგებ იმიტომ ვწადი, რომ პრეტს შევასხენო: მთელ... ხალხთან ერთად მწყერი მასაც უყვარს.

ჰოდა, როცა ზაფხულის სალამო დადგება და მეზობლის ქალი მსხლებქვეშ მეზობლის ქალს თმას რომ უხილავს, ეტყვის: გეყოფა, გენაცვალე, უკვე ვეღარ ვხედავთ, რადგან:

აჰა, ღამის ანგელოსმა

ფრთა შეახო წყნარად მიწასო... —

მეზობელიც მაშინვე დაყაბულდება:

— კარგი, საყვარელო, ხვალაც ამ თვის არ არისო?!

თქვენ კი ამ დროს დედას ეაჯებით:

— დედიკო, წავყვები რა ბაბუა მახტის მწყერების დასაჭერად!

— გაკლია წანწალი?

— გამიშვი რა, დედიკო, ძალიან მიწდა!

— აღარ დაილაღე? მთელი დღე დახტიხარ და დახტიხარ ჭრიჭინასავით!

— გამიშვი რა, ყველაფერს გაგიგონებ, ყველაფერს!

დედა დუმს, არც თხრავს და არც ბრაზდება. ესე იგი, ყველაფერი ნათელია — შეიძლება!

თქვენ მაშინვე ხატაში შევარდებით, პურის ნატებს უბეში იღებთ და ჭიშკრისაკენ გარბიხართ.

დედა კი მაინც წუხს:

— ჩუმარკა\* მაინც მოგეხურა!

— ოოჰ! — ამბობთ უკმაყოფილოდ და ხტუნვა-ხტუნვით, კარგი გზით კი არა, მინდორ-მინდორ, მათიტელას ფენსაც რომ არ აკარებთ, ისე, ბაბუა მახტისთან ჩნდებით, ვასილისში\* რომ ცხოვრობს ნაბაღჩევის ახლოს; იმათ





პავლოს ხომ ჩვენი სტეპანიდა ჰყავს ცოლად.

გარბიხარ და იცი, რომ ბაბუას ჯიბეში აი, ის სატყუარა უდევს, სწორედ ისე რომ იძახის, როგორც დედალი მწყერი უხმობს მამალს. ჩაცუცქდება ბაბუა მახტეი პურის ყანაში, ჩაბერავს სატყუარას, რათა მწყერი ბადეში შეიტყუოს. ბადე კი ისეთი წმინდა ძაფისაგანაა ნაქსოვი (ოქრო ხელი აქვს ბაბუას: სამწყერაო ბადესაც ქსოვს, სათევზაოსაც და პეპლების საჭერსაც), ჩვენი ჰანა პერანგს რომ იჭარგავს. ბადე უკვე ჩანთაში უდევს ბაბუას, ჩანთის გვერდით კი ბადეგადაფარებული გალიაა.

ბაბუა მახტეი დაჭრილ მწყერს სწორედ იმ გალიაში უკრავს ხოლმე თავს. გალია მთლიანად წნელისა კი არ არის, წნელისა მარტო ჩონჩხია, რომელსაც ბადე აქვს შემოხვეული, დასხლტომის ცდისას მწყერმა თავი რომ არ გაიტეხოს.

გალიაში გამომწყვდეული მწყერები ძალუმად ეხეთქებიან ჭერს, დასხლტომას ცდილობენ, ლამის სისხლი დასდინდეთ.

ძირს ჩამოვარდნისას კი, საკვირველია, — არაფერი უშავდებათ.

— გამარჯობა, ბაბუ! — რიხიანად ესალმებით.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! — სალამს გიბრუნებთ მოხუცი.

— წავიდეთ, ბაბუ? — ფრთხილად აპარებთ თქვენ და უსაშველოდ გასურთ ამოიცინოთ ბერიკაცის გულისნადები. — ხომ წავალთ? ჰო, ჰო, რას ქვითქვითებდნენ, მამაჩემს სამკალიდან რომ მოგყვებოდის ქვითქვითებდნენ და ქვითქვითებდნენ! ასე, ასამდე მაინც იქნებოდა!

— ქვითქვითებდნენო, ამბობ? — კი, ჩემო ბაბულიკო, ყურებში ახლაც მიდვას მათი ხმა.

— მართალს ამბობ? — მართალს, აბა რა! ასე, ასამდე მაინც იქნებოდა! — ასამდეო? — ვინ იცის, ეგებ... — კოპაო? მეტე... — კოპა თუ ასი?



— ოო, ბაბულიკო, კოპა ხომ მეტია! კვერცხს თუ ჩააწყობ კალათში, მთელი კოპაა! ოღონდ უნდა გაავსო!

— ასი რომ ჩადო? — ასი... ასი? კვერცხზე თუ ამბობ, ეგებ ერთი ტაფამწვარი გამოვიდეს!

— უყურე შენ? ნამეტანი ბევრი ხომ არ ქვითქვითებდა? გალიაში დაეტევა?

— ყველას ხომ არ დავიჭერთ? — ოჰო, ამ პირობით წასვლა მართლაც შეუძლებელია! ვიფიქრე, მთელი კოპა ხომ არ უნდა დავიჭიროთ-მეთქი და შემეშინდა. რახან ასეა, წავიდეთ!

აქ უკვე ისეთ ასკინკილას გაახურებთ, ბროვკასაც აიყოლიებთ და ბოსელთან თივის ზვინი რომაა, ზედ მოექცევით მურიანზე ამხედრებული, ბროვკას კი უხიციანებთ და უხიციანებთ.

— ნუ ანცობ, — გაფრთხილებთ ბერიკაცი, — თამაშ-თამაშ კბილი არ გაგკრას!

— არ მიკბენს, — ჩამონძახით თქვენ და ბროვკასთან ერთად ზვინიდან ბალახზე კოტრილით ეშვებით.

— აბა, მზადა ხარ? წავიდეთ! — ამბობს ბაბუა მახტეი.

— ბაბულიკო, აი, ის, რა ქვია იმას, „სიურ-სიურს“ რომ იძახის, მოგაქვთ?

— მომაქვს!

— მომეცით რა, დავუკრავ, მხოლოდ ერთხელ!

— წავიდეთ, წავიდეთ, მერეც მოესწრები!

— წავიდეთ...  
●  
მაშ, ერთხელ კიდევ: „სალამოა.“

\* უკრაინულად, ხალხური ანგარიშით, კოპა სამოცს უდრის.



დადგა ღამეც...“

კაცმა რომ თქვას, საღამო კარგა ხანია ღამედ იქცა!

არავის ვკითხავ იმას, თუ რა არის უკრაინული ღამე, ვინაიდან ჯერ კიდევ ასზე მეტი წლის წინათ ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი დაყინებით ეკითხებოდა ყველას:

„იცი თუ კი, რა არის უკრაინული ღამე?“

და იქვე ნაღვლიანად დასძენდა:

„არა, თქვენ არ იცით, რა არის უკრაინული ღამე!“

მაგრამ ეს ხომ ასზე მეტი წლის წინათ იყო!

ამ ასზე მეტ წელიწადში კი, მე მგონი, თქვენ უკვე შეიცანათ და მიხვდით, თუ რა არის უკრაინული ღამე!

ასე რომ, ახსნა-განმარტება, ჩემის აზრით, ზედმეტია.

იმ ღამეს ბაბუა მახტეის მე რომ ვხლებოდი მწყურების დასაჭერად, მისი შემხედვარე, გულში ვიტყვოდი:

— ვხედები, ბაბულიკო, ვხედები, ვერ გამომაპარებ, სულს რომ ვმღერება:

რა ღამეა, ღმერთო ჩემო,  
ვარსკვლავნი და მთვარე ბაღრი,  
თუნდაც ბეწვსაც დაიხახავ,  
ბალახში რომ დაგივარდეს...

— ხოლო თუ ეს ლექსი, ჩემო ბაბულიკო, მართლაც გულით ამოიმღერეთ, არ იქნება, არ დაფიქრდეთ, არ ამოიხვენოთ და მერ ისევ გულს არ ამოაყოლოთ:

ვიჯობს, სახეგაცრეცილო,  
მიეფარო ღრუბლებს, მთვარევე,  
რადგან ქვეყნად აღარაა,  
ვინაც გულით შევიყვარე...

მაგრამ იმ ღამეს ამნაირი ფიქრისთვის ვის ეცალა, თავში სულ სხვა აზრი მიტრიალებდა, ყველაზე უფრო ერთი რამ მაინტერესებდა: გამოგვექვითქვითებოდნენ თუ არა მწყურები? თანაც მთელი კობა?

ის იყო, სოფელს გავცდით, გზაზე გადმომდგარი ძველი მსხალიც უკან მო-

ვიტოვეთ და საყანე ბილიკს დავადექით, რომ გაისმა:

— ქვით-ქვით-ქვით! ქვით-ქვით-ქვით! ერთს მეორე აძევს, მეორეს — მესამე, მერე მოჰყვებენ და მოჰყვებენ, კიდევ და კიდევ!

— ბაბუა მახტეი, გესმით?

— მესმის!

— კობა იქნება?

— ბარე ორიც!

— ორჯერ მეტიც? ოჰო!

შორს გავედით, ყორღანს იქით. მარჯვნივ და მარცხნივ საშემოდგომო ყანებია. ყანებს შორის კი გვირილები, რძიანები, ურცი და მაჩიტა მოძალებულა...

ბაბუა მახტეი შედგა, ჩანთიდან ბადე ამოიღო:

— დაიჭი, — მითხრა.

ბადის ცალი მხარე მე მიჭირავს, ბაბუა მახტეი კი შლის და ასწორებს.

— გაიტანე!

ბადეს პურის თავთავებზე ვშლით, ბილიკის პირს ბერიკაცი სატყუარას იღებს და იწყებს:

— სიურ-სიურ, სიურ-სიურ, სიურ-სიურ!

სიწყნარეა. ბაბულია ისევ ეძახის:

— სიურ-სიურ, სიურ-სიურ!

და აი, ხელმარცხნივ, თითქოს ჩაქუჩი დაჰკრაო:

— ქვით-ქვით!

— სიურ-სიურ!

— ქვით-ქვით!

ჰოდა, ბაბუა მახტეის ყოველ „სიურ-სიურზე“ სულ უფრო ახლოვდება ნერვული „ქვით-ქვით“. უკვე ისმის მოთმინებადაკარგული, ვნებიანი:

— ჰამ-ჰამ! ჰამ-ჰამ!

და იმწამსვე ზარვიით რეკს:

— ქვით-ქვით!

აჰა, ორიოდ ნაბიჯი თუ გვაშორებს მაშალ მწყერს, უკვე პურის შრიალიც ისმის, ასე გგონია, ეს „ჰამ-ჰამი“ და „ქვით-ქვითი“ ზედ უფრზე გასხედან!

— ჰამ-ჰამ!

მწყერი უკვე ბადეშია, ვხედავ კიდევ



